

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია
საზოგადოებრივ მეცნიერებათა ღარფში სამეცნიერო ინფორმაციის
სამსახური

ოთარ გვინჩიძე

ანთიმ ივერიელი

(მესტაგბე და პოლიტიკური მოღვაწე)



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი — 1973

1ფ(c41)+1ფ(4)
301(47.922+498)(09)
3462

ნაშრომში განხილულია ანთიმ ივერიელის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობის ძირითადი საკითხები, ჟერძოდ: ანთიმ ივერიელის სასტამბო მოღვაწეობა რუმინეთში, მისი როლი პირველი ქართული სტამბის დაარსების საქმეში, პრუტის ლაშქრობა და ანთიმ ივერიელი, ფანარიოტები რუმინეთში და ანთიმ ივერიელის ზრძოლა მათი ბატონობის წინააღმდეგ და სხვა.

შესავალი

ანთიმ ივერიელი¹ (დაიბადა 1650—60 წლებს შუა. დაიღუპა 1716 წელს), საქართველოდან მოტაცებული და კონსტანტინოპოლის ბაზარზე მონად გაყიდული ქართველი, თავის მეორე სამშობლოს ვლახეთში² პოულობს. მეტად მრავალმხრივია ამ მართლაც რომ საოცარი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის მოღვაწეობა. იგი იყო შესანიშნავი კალიგრაფი, მხატვარი, ხუროთმოძღვარი, ქსილოგრაფი, გრაფიკორი, მოქანდაკე. ფლობდა მრავალ ენას: მშობლიური ქართულის გარდა—ბერძნულს, რუმინულს, ძველ სლავურს, არაბულს, თურქულს. ამთიმ ივერიელმა ვლახეთში დააარსა ოთხი სტამბა, სადაც წიგნები იბეჭდებოდა სხვადასხვა ენებზე. იგი იყო სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ვლახეთში წარმოებული მთელი ბეჭდვითი საქმიანობისა. სამშობლოდან მოწყვეტილი ქართველის წყალობით „ვლახეთი გადაიქცა ცენტრად, რომელიც მთელ საქრისტიანო აღმოსავლეთს წიგნებით კვებავდა“. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფასდაუდებელი წვლილი, რომელიც მან პირველი ქართული ეროვნული სტამბის დაარსების საქმეში შეიტანა. ანთიმ ივერიელი იყო რუმინული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ბრწყინვალე მწერალი. მას მოპოვებული ჰქონდა თავისი დროის დიდი განმანათლებლისა და ჰუმანისტის სახელი. იგი აღიარებული იყო როგორც შესანიშნავი ორატორი. მის კალამს ეკუთვნოდა ლექსები ბერძნულ, რუმინულ და ძველ სლავურ ენებზე. დიდი დამსახურება მიუძღვის ანთიმ ივერიელს, როგორც თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეს. მან თავისი სიცოცხლე შესწირა ვლახეთის განთავისუფლების საქ-

¹ ზოგიერთი ქართველი მკვლევარი ხმარობს ანთიმოზ ივერიელს, ანთიმოზ ქარველს. მაგრამ, ანთიმოზი ბერძნული გამოთქმაა. ამიტომ, ჩვენ ანთიმ ივერიელი ვარჩიეთ, როგორც თვით ანთიმო უწოდებს თავის თავს რუმინულ დოკუმენტებში.

² ვლახეთი — რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სამხრეთი ტერიტორიის ისტორიული სახელწოდებაა, კარპატების მთებსა და დუნაის შორის. XIV საუკუნის დასაწყისში ვლახეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა წვრილი საეკლესიოების შეერთების საფუძველზე შეიქმნა ვლახეთის სამთავრო.

მეს თურქთა და ფანარიოტთა ბატონობისაგან. „ყველა მღვდელმთავარს შორის, რომლებიც ვლახეთის მიტროპოლიტად ყოფილან, არავინ არის ისეთი, რომელსაც შთამომავლობის თვალში ესოდენ დიდი ღვაწლი მიუძღოდეს, როგორც ანთიმ ივერიელს. მისი ცოდნა, მისი გემოვნება ხელოვანისა, მისი ღრმა სიყვარული წიგნებისადმი საკმარისი იქნებოდა, რომ იგი უბაღლოდ მიგვეჩნია. მაგრამ მას მეტი აქვს გაკეთებული. მან, უცხოელმა, „საქართველოს წიაღიდან მოსულმა, გვიჩვენა იშვიათი მაგალითი რუმინული პატრიოტიზმისა“ — წერდა ფრანგი მეცნიერი ე. პიკო.

ანთიმ ივერიელის ასეთი მრავალმხრივი მოღვაწეობის სათანადო შესწავლა მოითხოვს, რომ მასზე საგანგებოდ მუშაობდნენ როგორც ისტორიკოსები, ასევე ლიტერატურათმცოდნეები, ენათმეცნიერები და ხელოვნებათმცოდნეები.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გააშუქოს ანთიმ ივერიელის ძირითადი საქმიანობა, რომლითაც იგი ყველაზე მეტადაა სახელგანთქმული და გაარკვეოს „დღემდე ბურუსით მოცული“, ანდა საკამათოდ ქცეული ზოგიერთი საკვანძო საკითხი მისი ცხოვრებიდან. სახელდობრ, ჩვენ ამოცანად დავისახეთ შეძლებისდაგვარად სრული სახით წარმოვადგინოთ, თუ რაში გამოიხატება ანთიმ ივერიელის საქმიანობა, როგორც მესტამბისა და პოლიტიკური მოღვაწის.

და, ბოლოს, დიდი პატივისცემით მინდა მოვიხსენიო აწ განსვენებული პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე, რომელმაც გადმოშვა ანთიმ ივერიელის მიერ ვლახეთში დაბეჭდილი წიგნების ფოტო-პირები.

არსებობს თქმულება:

ერთ მეფეს კარის ექიმი ეახლა და მოახსენა: თურმე ინდოეთში უკვდავების ბალახი ხარობს და მის მოსატანად გამიშვიო. მეფემ დიდად გაიხარა და ექიმს ინდოეთის გზას გაუყენა. მთელი ინდოეთი ფეხით შემოიარა ექიმმა, მაგრამ აღთქმული ბალახი ვერსად იპოვნა. მწარედ დაღონდა. ინდოელ ბრძენთ დაეთათბირა: მირჩიეთ რა ვქნა, შინ ხელცარიელს არ მიმგვლეზაო. უცხოელს ურჩიეს ინდოელმა სწავლულებმა: უკვდავების ბალახი ჩვენში არ ხარობს, მას ფუქად ნუ ეძებ. მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს უკვდავების წიგნი. იგი მკვდარს არ აცოცხლებს, მაგრამ ცოცხალს უკვდავს ხდის, რამეთუ მას სიბრძნეს ასწავლის და ქვეშაირიტებას უღალადებს. მკვდარია კაცი, თუ მას სიბრძნე არ აბადია. უფიცობით გზააბნეულ კაცს ბალახმა აბა რა უნდა უშველოსო.

როდესაც ექიმი სამშობლოში დაბრუნდა, ხელმწიფე გამოეგება მას და შესძახა: უკვდავების ბალახი მოგაქვს თუ არაო?

— მომაქვს, დიდებულო მეფეე. — მიუგო ექიმმა და ბალახის ნაცულად წიგნი გაუწოდა.

— ხუმრობა გეყარება, ექიმო, ეს წიგნია და არა ბალახი.

— დიახ. მეფეე, ეს წიგნია და არა ბალახი. უკვდავების ბალახი არ არსებობს, მაგრამ არსებობს უკვდავების წიგნი.

ფიქრებს მიეცა მეფე. ექიმი მართალი იყო.

ანთიმ ივერიელი—მესტამბე

სად შეისწავლა ანთიმ ივერიელმა მესტამბეობა

ყველა მკვლევარი, ვინც კი ანთიმ ივერიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას სწავლობს, სეამს შემდეგ კითხვას: სად დაეუფლა ანთიმ ივერიელი ბეჭდვით საქმიანობას?

ცნობილი რუმინელი მკვლევარი ნ. შერბინესკუ თავის ნაშრომში „ანთიმ ივერიელი—მესტამბე“ მრავალი დოკუმენტისა და ლიტერა-

ტურის ანალიზის შემდეგ დაასკვნის: „საკითხი იმის შესახებ, თუ სად შეისწავლა ანთიმ ივერიელმა ბექდვის ხელოვნება ღიად რჩება! თუმცა არიან ისეთი მკვლევრებიც, რომელთაც ეს საკითხი, შეიძლება ითქვას, უკვე გადაჭრილად კი მიაჩნიათ და გამოთქვამენ ამა თუ იმ მოსაზრებას: მაგალითად, ნ. იორგა წერდა: „...ალბათ ანთიმმა ბექდვითი საქმიანობა მიტროფანესაგან² ბუზუეში³ ყოფნის დროს შეისწავლა“⁴. ასეთივე თვალსაზრისი გააჩნია ა. მირონესკუსაც, „ალბათ, ანთიმში მოწაფედ აიყვანა მიტროფანემ, ბუზუეს ეპისკოპოსმა, რომელმაც შეასწავლა მას მესტამბეობა“⁵ — აღნიშნავს იგი. გ. შტრემპელი აცხადებს: „მესტამბეობის ხელოვნებას ანთიმი დაეუფლა ბუქარესტში მიტროფანესთან ყოფნის დროს, რომელიც ამ დროს სათავეში ედგა მთავრის სტამბას“⁶, ასევე ფიქრობს ნ. დობრესკუც⁷.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ იმ საკითხის გარკვევის დროს, თუ სად დაეუფლა ანთიმ ივერიელი მესტამბეობას, მკვლევარნი ორ ჯგუფად იყოფიან. ერთნი გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ანთიმ ივერიელმა შეისწავლა მესტამბის ხელოვნება ეპისკოპოს მიტროფანეს ხელმძღვანელობით ბუზუეში, მეორენი კი ანთიმ ივერიელის ბექდვითი საქმიანობის დასაწყისს უკავშირებენ აგრეთვე მიტროფანეს სახელს. ხოლო ბუზუეს მაგივრად ასახელებენ ბუქარესტს.

მაგრამ ჩვენს მიერ აქ მოყვანილი მოსაზრებების გარდა არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომელიც, ეჭვს გარეშეა, ყველაზე უფრო ახლოა სინამდვილესთან. ეს არის ნ. შერბინესკუს ვერსია. აი რას წერს იგი: „არსებობს აზრი, რომ ანთიმ ივერიელმა შეისწავლა ბექდვის საქმე ჩვენს ქვეყანაში, როდესაც იგი იყო ბუზუეში ეპისკოპოს მიტროფანეს მოწაფედ. მაგრამ ეს არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან მიტროფანე ბუზუეში ჩავიდა 1691 წლის ივნისში, როდესაც ანთიმი უკვე მუშაობდა ბუქარესტის სტამბაში თავის პირველ წიგნზე, რომელიც გამოვიდა იმავე წლის ოქტომბერში. შეიძლება ანთიმ ივერიელი დაეუფლა მბეჭდავის ხელობას ბუქარესტის სტამბაში, როგორც ამას ფიქრობს ისტორიკოსი ნიკოლაე დობრესკუ, სადაც 1687—1691 წლებში მოღვაწეობ-

¹ N. Serbanescu, Antim Ivireanul tipograf, ob. Biserica Ortodoxa Romana № 8—9, 1959, გვ. 695.

² ცნობილი ვლახელი მესტამბე . . .

³ ქალაქი ვლახეთში.

⁴ N. Iorga, Istoria literaturii romanesti, II, Buc, 1928, გვ. 465.

⁵ At. Mironescu, Istoria Eparhiei Rimnicului-Noul Severin, Buc, 1906.

⁶ G. Stempel, Antim Ivireanul, Predici, 1962, გვ. 10.

⁷ N. Dobrescu, Antim Ivireanul, Mitropolitul Ungro-Vlahiei, 1910, გვ. 11.

და მიტროფანე, რომელიც ჯერ ხუმის, ხოლო შემდეგ ბუზეუს ეპისკოპოსი იყო. მაგრამ ჩვენ ყველაზე უფრო მართებულად მიგვაჩნია, რომ ანთიმმა დაიწყო მუშაობა რომელიც სტამბაში ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ⁸.

როგორც აქ ციტირებული ადგილიდან ჩანს, ნ. შერბინესკუს — მოპყავს დამაჯერებელი არგუმენტები, რის გამოც ანთიმ ივერიელს არ შეეძლო მესტამბეობის შესწავლა ეპისკოპოს მიტროფანესაგან ბუზეუში. აქედან გამომდინარე, სინამდვილეს არ შეესაბამება ნ. იორგასა და ა. მირონესკუს მიერ წამოყენებული ვერსიები. ნ. შერბინესკუ, აგრეთვე, ექვის ქვეშ აყენებს იმ მოსაზრებას, რომ ამთიმ ივერიელი პირველად ბუქარესტში გაიწაფა მესტამბის ხელობაში და ის საესებით სწორია. მართლაც, თუ გავითვალსწინებთ სათანადო წყაროებსა და ლიტერატურას, რის შესახებაც შემდეგ გვექნება საუბარი, ვნახავთ, რომ ანთიმ ივერიელი არა მესტამბის ხელოვნების დასაუფლებლად ჩამოსულა ვლახეთში, არამედ სასტამბო საქმიანობის გასანვითარებლად და მის მაღალ დონეზე დასაყენებლად. აქედან გამომდინარე, არც გ. შტრემპელის და ნ. დობრესკუს ვერსიებია დამაჯერებელი. ამრიგად, არსებობს ყველაზე უფრო მისაღები მოსაზრება: ანთიმ ივერიელმა ბექტდვის საქმე შეისწავლა ვლახეთში ჩასვლამდე. „მაგრამ სად? — სვამს კითხვას ნ. შერბინესკუ და თვითონვე პასუხობს, — ეს არაა ცნობილი სათანადო წყაროების უქონლობის გამო“⁹.

როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ აქ დასმული საკითხი, რომელიც ეხება ანთიმ ივერიელის მესტამბეობის დაწყებით პერიოდს, მთლიანად ბურუსითაა მოცული. ამიტომაც ჩვენ მიზანს წარმოადგენს დავადგინოთ ანთიმ ივერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა მის ვლახეთში დამკვიდრებამდე და შესაძლებლობისდაგვარად გავცეთ პასუხი იმ კითხვაზე, თუ სად შეიძლება დაუფლებოდა იგი ბექტდვის ხელოვნებას.

როდის დაიბადა ანთიმ ივერიელი? მისი დაბადების წელი არაა ცნობილი. თუმცა მთელი რიგი მკვლევრებისა ამ თარიღს გარკვეულ წელსაც კი უკავშირებს. მაგალითად, გ. ლეონიძე წერდა: „ანთიმ ივერიელი დაბადებულა 1650 წლის ახლო ხანებში“¹⁰. უნდა ითქვას, რომ გ. ლეონიძის მიერ 1951 წელს გამოთქმული ეს ვარაუდი შემდგომში

⁸ N. Serbanescu, Antim Ivireanul tipograf, გვ. 694.

⁹ იქვე.

¹⁰ „დროშა“, № 2, 1951, გვ. 17.

საფუძვლად დაედო ყველა ქართველი მკვლევრის თვალსაზრისს, ვინც კი ანთიმ ივერიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შეხებია და ისინი სავსებით იზიარებენ მას¹¹. ხოლო რაც შეეხება ქ. შარაშიძეს და ფ. ჯინჯინაშვილს, როგორც ჩანს, მათ ანთიმ ივერიელის დაბადების წელი უკვე დადგენილად მიაჩნიათ, რადგან თავიანთ გამოკვლევებში ისინი ამ თარიღად კონკრეტულად 1650 წელს ასახელებენ¹². ჩვენი აზრით, ასეთი კატეგორიული განცხადება ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული, რადგან ჯერჯერობით არ არსებობს რაიმე საბუთი, რომელიც ანთიმ ივერიელის დაბადების წელზე ზუსტად ან თუნდაც მიახლოებით ლაპარაკობდეს. ვფიქრობთ არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვი, რომ ჩვენში გავრცელებული ლიტერატურის გარდა, რომელიც ანთიმ ივერიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება, უცხოეთში არ არსებობს თითქმის არცერთი საბუთი ან გამოკვლევა, რომელშიც მითითებულია ანთიმ ივერიელის დაბადების წელი. გამონაკლისს შეიძლება შეადგენდეს რუმინელი მკვლევრის თ. ჩერბულეტის ნაშრომი, რომელშიც მოცემულია ანთიმ ივერიელის როგორც დაბადების, ასევე გარდაცვალების წლები: 1650—1716. მაგრამ 1650 წელს დასმული აქვს კითხვის ნიშანი¹³.

რაც შეეხება დანარჩენ რუმინელ მეცნიერებს, რომელთაც შემდგომში გამოაქვეყნეს თავიანთი გამოკვლევები ანთიმ ივერიელის შესახებ, ისინი სათანადო საბუთების უქონლობის გამო ჩვეულებისამებრ გვერდს უვლიან ანთიმ ივერიელის დაბადების საკითხს. მაგალითად, დ. ბოგდანი ანთიმ ივერიელის გარდაცვალებიდან 240 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში აღნიშნავდა, რომ „ანთიმ ივერიელის ბავშვობა და ყრმობა... ჩვენთვის ძალზე ნაკლებადაა ცნობილი“¹⁴. დაახლოე-

¹¹ იმ ქართველ მკვლევართა პუბლიკაციებში, რომლებიც გ. ლეონიძემდე იხილავდნენ ანთიმ ივერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხს, არაღერია ნათქვამი ანთიმ ივერიელის არამც თუ დაბადების, არამედ მისი ახალგაზრდობის წლების შესახებაც. (ა. ლ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, „ქართველი მოღვაწე უცხოეთში“, ივერია №63, 1898 წ.; პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი „იერარქია საქართველოს ეკლესიისა“, 1900 წ.; ზ. კ ი კ ი ნ ა ძ ე, „ქართული სტამბა 1627—1916 წწ.“; დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“, 1929 წ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი „ქართული წიგნი (1629—1929)“; ა. შ ა ნ ი ძ ე, „ქართული სტამბის ისტორიისათვის“ ლიტერატურული შემკვიდრება, წიგ. I, 1935 წ.; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ძლევაჲ, „რუმინია-ბულგარეთში მოგზაურობიდან“. თბ., 1949წ.

¹² ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, „პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722). თბილისი 195 5, გვ. 88. Ф. Джинджихашвили, Антимоз Ивериели, 1967, გვ. 17.

¹³ C e r b u l e t, Antim Ivireanu, 1885.

¹⁴ D. B o g d a n, Viata lui Antim Ivireanul; ib. Biserica Ortodoxa Romîna, № 8—9, 1956, გვ. 679.

ბით ამავე სიტყვებით კმაყოფილდებიან სხვა რუმინელი მკვლევრებიც, როგორც არიან: შტრემპელი¹⁵, კონსტანტინესკუ-იაში¹⁶, კარტოჯანი¹⁷, იორგა¹⁸ და სხვები.

მანც როდის უნდა იყოს დაბადებული ანთიმ ივერიელი? ერთადერთი წყარო, რომელიც ჩვენ საშუალებას გვაძლევს დაახლოებით მანც ვიმსჯელოთ ანთიმ ივერიელის დაბადების წელზე, ეს არის ანთიმ ივერიელის ფრესკული პორტრეტი, შემონახული გოგორის მონასტრის ერთ-ერთ კედელზე და დათარიღებული 1706 წლით. და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ანთიმ ივერიელი ამ პორტრეტზე უკვე ხანში შესულ ადამიანად გამოიყურება, მისი დაბადების დროდ შეიძლება მართლაც მივიჩნიოთ 1650-იანი წლები.

ბავშვობა და სიჭაბუკე ანთიმ ივერიელისა ნაკლებადაა ცნობილი. ვიცით მხოლოდ, რომ ანთიმის დედასა და მამას სახელად ერქვათ მარიამი და ივანე¹⁹ და რომ ის წარმოშობით ქართველი იყო. თუმცა, ცოტა როდი იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ანთიმ ივერიელს არაქართველად თვლიდნენ. გ. ლეონიძე წერდა: „როგორც ბუქარესტში გადმომცეს, სულ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც რუმინელი ნაციონალისტები ანთიმს რუმინელად თვლიდნენ, ბუქარესტის სომხები — სომხად, ბერძნები — ბერძნად. რაც შეეხება „ივერიელს“, ამ სახელს აწარმოებდნენ ათონის ივერიის მონასტრისაგან, რადგან ივერიის მონასტრის ბერს შეეძლო სახელი „ივერიელი“ ეტარებინა. მაგრამ არაბულ წიგნში ანთიმი თავის თავს „გურჯს“, ქართველს რომ უწოდებს, ამაზე კი თვალებს ხუჭავდნენ“²⁰.

გ. ლეონიძის ამ სიტყვებთან დაკავშირებით შემდეგი უნდა აღვნიშნოთ. მართლაც, რა უფლებით უნდა გამოეცხადებინათ რუმინელ ნაციონალისტებს ანთიმ ივერიელი რუმინელად, როდესაც არსებობს მთელი რიგი სარწმუნო წყაროები, რომლებიც საკვებით აბათილებენ ამ მოსაზრებას და ცხადყოფენ, რომ ანთიმი წარმოშობით არარუმინელი იყო. აი, რას წერდა თვით ანთიმ ივერიელი თავის ვინაობის შესახებ: „სხვათაშორის, ასეც ლაპარაკობენ, რომ მე უცხოელი ვარ და ამიტომაც მე არ უნდა ვყოფილიყავი მიტროპოლიტად, მაგრამ ქრისტეს

¹⁵ G. Strempele, Antim Ivirenul, Predici, 1962, გვ. 8.

¹⁶ P. Constantinescu-Iasi, Din relatiile culturale Romîno-Gruzine, 1957, გვ. 19.

¹⁷ N. Cartoian, Istoria literaturii romîne vechi, vol. I, გვ. 219.

¹⁸ N. Iorga, Istoria literaturii romanesti in secolul al XVIII—lea, vol. I, Buc, 1910, გვ. 418.

¹⁹ Academia R. P. R, manuscrisul romînesc nr. 3342.

²⁰ „დროშა“, № 2, 1951, გვ. 17.

წინაშე ჩვენ ყველანი ერთნი ვართ. ამასთან, არა მარტო მე ვიყავი უცხოელთაგან ვლახეთის მიწაზე მიტროპოლიტად და ეპისკოპოსად, არამედ იყვნენ სხვებიც, როგორც ეს შეიძლება შეიტყოს კაცმა ძველი ჩანაწერებიდან... ასევე: როგორც აქ ყოფილან მთავრებად უცხოელნიც... ღმერთმა ხომ ქვეყანა თავისუფალი შექმნა ყველასათვის...“²¹.

ამრიგად, თვით ანთიმ ივერიელი ადასტურებს, რომ იგი „უცხოელია“ და არა რუმინელი, და, ეპკვარეშეა, ეს ყველაზე უფრო სარწმუნო წყაროა.

ახლა, რაც შეეხება იმ გარემოებას, რომელმაც საფუძველი მისცა მკვლევართა გარკვეულ ნაწილს ეპკვი შეეტანა ანთიმის ქართველობაში და იგი ბერძნად ან სომხად მოენათლა. როგორც უკვე აღინიშნა, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ზოგიერთი მკვლევარი ანთიმის მიერ ბერძნულ და რუმინულ ენებზე დაბეჭდილ წიგნებზე არსებულ ხელმოწერას „ივერიელს“ უკავშირებდა ათონის ივერიის მონასტერს²². ა. შანიძე ამ მოსაზრებას უარყოფს. „ზოგიერთი რუმინელი ავტორის აზრით — წერს ა. შანიძე — ანთიმოზის ზედმეტი სახელი წარმოსდგება ივერიის მონასტრიდან (ათონის მთაზე), მაგრამ ეს პიპოთეზა მიუღებელია: „ივერია“ საქართველოს ბერძნული სახელია; გარდა ამისა, არაბული გამოცემების სათაურებში ანთიმოზს პირდაპირ ეწოდება „ქართველი“²³.

ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს გ. ლეონიძე. იგი ამტკიცებს, რომ ანთიმის ზედმეტი სახელი „ივერიელი“ ნაწარმოებია არა ათონის ივერიის მონასტრისაგან, არამედ იდენტურია ეროვნების გამოხატველი სიტყვის „გურჯის“ ანუ „ქართველის“. ამ მტკიცების დასასაბუთებლად გ. ლეონიძე მიუთითებს „არაბულ წიგნზე“, რომელშიც ანთიმი თავის თავს „გურჯს“ უწოდებს. ამჟამად ჩვენ ხელთ გვაქვს ამ „არაბული წიგნის“ ფოტოპირები, რომელიც წარმოადგენს ანთიმ ივერიელის მიერ 1702 წელს ბუქარესტში დაბეჭდილ „უამნს“. წიგნი შედგება 752 გვერდისაგან და მთავრდება ანთიმ ივერიელის სიტყვებით: „გვედრები და გაფიცებ, ძმანო პატიოსანნო, რომელნი იკითხვიდეთ წიგნსა ამას, რათა შემინდოთ მბეჭდველსა ამისსა ცთომილებანი და სიმრუდენი, რომელ შექმნას, ვინაითგან არაბული ენა უცხოა ჩემთვის და მე, ვითარცა კაცი, ცოდვილ ვარ და ვცთები, რამეთუ არავინ არს

²¹ Didahiile tinule in Mitropolia din Bucuresti de Antim Ivireanul Mitropolitul Ungro-Vlahiei, editia C. Er b i c e a n u, Rucurestii, 1888, გვ. 102—103. (შემდგომი Di a h i i l e ed. C. Er b i c e a n u...)

²² ა. ოლობესკუ წერდა, რომ ანთიმ ივერიელმა „ივერიელის“ სახელი აიღო ათონის ივერიის მონასტრისაგან, სადაც იგი შედგა ბერად. (A. Odobescu, Ctteva ore la Snagov, in Revista Romina, II, 1862 გვ. 402).

²³ ლიტერატურული შემკვიდრება, წიგნი I, თბილისი, 1935, გვ. 169.

სრული, გარნა ღმერთი მხოლო. დაიბეჭდა ბუქარესტსა უნგრო-ვლახეთისასა, ხელითა ანთიმოზ მღვდელ-მონაზვნისათა, ძირად ქართველისა (არაბულ ტექსტშია — „გურჯი“ — ო. გ.) წელსა 1702 ქრისტესით, თვესა ჰაზირანსა (ივნისს)²⁴. გარდა აღნიშნული „ჟამნისა“, ანთიმ ივერიელმა სნაგოვოში 1701 წელს გამოსცა ბერძნულ-არაბული „კონდაკი“, რომელშიაც იგი თავის თავს აგრეთვე ძირად „გურჯს“ უწოდებს. ბუნებრივია, ანთიმ ივერიელს თავისი სახელი მხოლოდ ათონის ივერიის მონასტრისაგან რომ ჰქონდა ნაწარმოები და მასში არ გულისხმობდეს ქართველობას, არაბული წიგნების გამოცემის შემთხვევებშიც იგი თავის თავს მოიხსენიებდა არა როგორც „გურჯი“, არამედ როგორც „ივერიელი“.

ანთიმ ივერიელი რომ ეროვნებით ქართველი იყო ამის შესახებ მთელი სიცხადით ლაპარაკობენ როგორც მისი თანამედროვენი, ასევე მთელი რიგი მკვლევარებისა. მაგალითად, დელ კიარო — ვლახეთის მთავრის კონსტანტინე ბრინკოვიანუს მრჩეველი წერდა: „ჩემს დროს სტამბის ხელმძღვანელად იყო ანთიმი, ვლახეთის მიტროპოლიტი, ეროვნებით ქართველი“²⁵. მ. გასტერი აღნიშნავდა, „მე-17 საუკუნის მიწურულში ვლახეთში ცხოვრობდა ვინმე ანთიმი, წარმოშობით ქართველი. იგი ცნობილია ამ სახელით: „Anthim Ivireanul“ ე. წ. ანთიმ ქართველი“²⁶. „ის (ანთიმ ივერიელი.— ო. გ.)—განაგრძობს მ. გასტერი,— არასოდეს არ უშვებდა ხელიდან შემთხვევას, თავისი ქართველობა აღენიშნა“²⁷. ემილ პიკო წერდა: „ამან (ანთიმ ივერიელმა— ო. გ.) უცხოელმა, საქართველოს წიაღიდან მოსულმა, გვიჩვენა იშვიათი მაგალითი რუმინული პატრიოტიზმისა“²⁷. „ანთიმ ივერიელი, — დასძენს ემილ პიკო, — დიდი ხნის წამოსული უნდა ყოფილიყო თავის სამშობლო საქართველოდან“²⁸. ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ეპისკოპოსი მელქისედეკი: „ანთიმ ივერიელი წარმოშობით ქართველი იყო. იგი დაბადებულა კავკასიის ერთ-ერთ მხარეში, რომელსაც ბერძნები ივერიის სახელით იხსენიებდნენ. ამიტომაც იგი თავის თავს „ივერიელს“

²⁴ არაბული ტექსტის თარგმანი მოგვყავს აკად. ა. შანიძის მიხედვით (ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგ. I, 1935, გვ. 176).

²⁵ *Revolutiile Valachiei de Anton Maria Del Chiaro Fiorentino*, Iasi, 1929, გვ. 26; (შემდეგში *Del Chiaro...*)

²⁶ ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, თბილისი, 1935, გვ. 165—166. „ივერია“, 1898, № 63.

²⁷ Picot E., *Notice biographique et bibliographique sur l'imprimeur Anthime d'Ivire, métropolitain de Valachie*, Paris, 1886, გვ. 515, (შემდეგში E. Picot).

²⁸ იქვე, გვ. 517.

უწოდებდა²⁹. პეტრე ხანეში და კონსტანტინესკუ-იაში აღნიშნავენ, რომ ანთიმ ივერიელი „ქართველი ერის შვილი“³⁰ „ივერიიდან იყო“³¹ და სხვ.

როდესაც ჩვენ ვეხებით საკითხს ანთიმ ივერიელის ვინაობისა თუ სადაურობის შესახებ და ამავე დროს თვალწინ წარმოგვიდგება ავბედობით სამშობლოდან უცხოეთში გადასვენებული ადამიანი, რომელიც ყველა მის მიერ დაბეჭდილ წიგნს, იქნებოდა ეს რუმინულ, ბერძნულ, არაბულ თუ ძველ სლავურ ენებზე, ხელს აწერს როგორც „ანთიმ ივერიელი“, რითაც დაბეჭდვით ხაზს უსვამს თავის ქართველობას, ჩვენ ძალაუვნებურად გვახსენდება ნ. ბერძენიშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვები მეორე დიდი ქართველი მოღვაწის გრიგოლ ბაკურიანის ძის მიმართ: „გრიგოლ ბაკურიანის ძეს, ამ უბედურ კაცს, მიუხედავად იმისა, რომ დაჟინებით ამტკიცებდა თავის ქართველობას, შეილება ითქვას, რომ სწორედ ამიტომაც მას არაქართველად სთვლიდნენ“³².

დელ კიაროს ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ანთიმს ერისკაცობაში სახელად ანდრია³³ რქმევია. ამ ცნობის გარდა ანთიმ ივერიელს მოხსენებულია აგრეთვე ბროკპაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსაკონში, რომელშიაც ვკითხულობთ: „Митрополит Андрей (?), (კითხვის ნიშანი ტექსტშია — ო. გ.) родом из Иверии, в совершенстве изучивший румынский язык, был замечательный оратор“³⁴.

წარმოშობით რომელ წრიდან უნდა ყოფილიყო ანთიმ ივერიელი? ზოგიერთი რუმინელი მკვლევრის აზრით ანთიმ ივერიელი დიდგვაროვან ოჯახში იყო დაბადებული. მაგალითად, კარტოჯანი წერდა, რომ ანთიმ ივერიელი წარჩინებულთა გვარს ეკუთვნოდა³⁵. ამგვარი თვალსაზრისის წამოყენების დროს რუმინელ მკვლევარს ალბათ მხედველობაში აქვს მიტროპოლიტ თეოდოსის სიტყვები, რომლებითაც მან ანთიმ ივერიელს მიმართა ვლახეთში რიმნიკის ეპისკოპოსად კურთხევის

²⁹ Antim Ivireanu, Predici, Editia Petre V. Hanes, Bucuresti (Minerva, 1915), გვ. XXXVI. (შემდეგ Predici... ed. P. Hancef).

³⁰ იქვე, გვ. XVI.

³¹ P. Constantinescu-Iasi, Din relatiile culturale Româno-Gruzine, 1957, გვ. 19.

³² ნ. ბერძენიშვილი, „ძლევა, რუმინია—ბულგარეთში მოგზაურობიდან“, 1949წ. გვ. 58.

³³ Del Chiaro... გვ. 142.

³⁴ Ф. Брокгауз, И. Ефрон, Энциклопедический словарь, т. XXVII, 83. 275.

³⁵ N. Carloja n, Istoria literaturii române vechi, vol. I, გვ. 219.

დროს: „შენ ერთგულ ღვთისმსახურს, შვილს კეთილშობილს მშობლებსა...“³⁶.

არსებობს სხვა ვერსიაც. გ. ლეონიძე წერდა: „...სახელ „ანდრიას“ მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანთიმი არ უნდა ყოფილიყო ფეოდალური ოჯახიდან, რადგან ასეთ სახელებს ქართულ ფეოდალურ ოჯახებში თითქმის არ ატარებდნენ“³⁷. იქნებ მართალი იყოს გ. ლეონიძე, შესაძლოა, მისი თვალსაზრისის სასარგებლოდ ლაპარაკობდეს თვით ანთიმ ივერიელის სიტყვებიც. 1714 წელს ვლახეთის მთავარ კონსტანტინე ბრინკოვიანუსადმი მიწერილ წერილში იგი აღნიშნავდა: „მაღალმა ღმერთმა... განიზრახა აღმალღებინა საწყალი ადამიანი (ანთიმ ივერიელი ლაპარაკობს თავის არჩევაზე უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტად — ო. გ.), რათა მომეპოვა ადგილი შენს (კონსტანტინე ბრინკოვიანუს — ო. გ.) ბოიარებს გვერდით“³⁸.

მაგრამ, ვფიქრობთ, იმის დადგენას, სახელდობრ, რომელ ოჯახს ეკუთვნოდა ანთიმ ივერიელი, ქართველი ფეოდალისას თუ გლეხისას, არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში მთავარია ერთი რამ, რაც, ჩვენი აზრით, შემდეგში უნდა გამოიხატებოდეს: ან ანთიმი დაიბადა ქართულ დიდგვაროვან ოჯახში, სადაც მას ბავშვობიდანვე ჰქონდა შექმნილი სათანადო პირობები ცოდნისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების დასაუფლებლად, რის შესახებაც ჩვენ შემდეგ გვექნება საუბარი, ანდა თუ ანთიმი მართლაც ქართველი გლეხის ოჯახიდან იყო, ასეთ ვითარებაშიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო იგი აღმოჩენილა ისეთ გარემოში, სადაც ხელი შეუწყუიათ მისი ინტერესის გაღვივებისათვის ცოდნისა და ხელოვნების მიმართ.

როგორც იტალიელი ანტონ დელ კიარო წერდა, ანთიმ ივერიელი „ახალგაზრდობაში მონად ყოფილა“³⁹.

სად და როდის მოიტაცეს ანთიმ ივერიელი? გ. ლეონიძე წერს: „მისი (ანთიმ ივერიელის — ო. გ.) მოტაცების ხანა ემთხვევა შაჰნავაზის (ვახტანგ V) და არჩილის მეფობის პირველ წელს. მაშინ, აღმოსავლეთ საქართველოში შედარებით მშვიდობიანობა იყო, არავითარი ომები და თავდასხმები იმ ხანად არ ყოფილა. სულ სხვა იყო სამცხე-საათაბაგო, რომელიც უსაშინელეს აწიოკებას განიცდიდა ოსმალოთაგან. ამი-

³⁶ St. Dinulescu, Vieala si activitatea Mitropolitului Terei Romînesci. Antim Ivireanul (1708—1716), 1886.

³⁷ „დროშა“, № 2, 1951, გვ.

³⁸ Predice facute pe la praznice mari de Antim Ivireanul Mitropolitul Ungro-Vlachiei (1709—1716); editia I. B i a n u. (შემდეგ Predice... ed. I. Bianu).

³⁹ Del Chiaro, გვ. 26.

ტომ შესაძლოა ანთიმი უფრო მესხეთიდან იყო წარმოშობით და იქი-
დანვე მოტაცებულ⁴⁰.

ამრიგად, გ. ლეონიძის ვარაუდით, რომელიც შემდგომში გაიზიარა
ყველა ქართველმა მკვლევარმა, ანთიმ ივერიელი თურქებმა მოიტაცეს
საქართველოს ერთ-ერთი კუთხიდან, კერძოდ სამცხე-საათაბაგოდან და
გაყიდეს კონსტანტინოპოლის ბაზარზე. რაც შეეხება რუმინელ მკვლე-
ვარებს, ისინიც აღიარებენ თურქების მიერ ანთიმ ივერიელის მოტაცე-
ბის ფაქტს, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ისინი არ ასახელებენ ამ შემ-
თხვევის კონკრეტულ ადგილს. მაგალითად, დამიან ბოგდანი წერს: „ან-
თიმ ივერიელი ახალგაზრდობის დროს ტყვედ ჩაუვარდა თურქებს, რო-
გორც ამას ამტკიცებს განსწავლული ფლორენციელი ანტონ დელ კია-
რო, რომელიც ემსახურებოდა მთავარ კონსტანტინე ბრინკოვიანუს“...⁴¹.
მაგრამ მივმართოთ პირველწყაროს და ვნახოთ თუ სინამდვილეში რას
„ამტკიცებს“ დელ კიარო. წიგნში „რევოლუცია ვლახეთში“, სადაც
დელ კიარო ეხება ანთიმ ივერიელის ეზოვრების აღრინდელ პერიოდს,
გარკვევითაა ნათქვამი, რომ ანთიმი ახალგაზრდობაში მონად ყოფი-
ლა⁴², და არა ის, რომ იგი ახალგაზრდობაში ტყვედ ჩაუვარ-
და თურქებს. რასაკვირველია, მხოლოდ დელ კიაროს მხრივ „თურქე-
ბის“ მოუხსენებლობა ძირითადად არ შეიძლება გამოყენებულ იქნას
იმის უარსაყოფად, რომ ანთიმ ივერიელი მოიტაცეს თურქებმა. მაგრამ
მხედველობაში მივიღოთ შემდეგი გარემოება. ჯერჯერობით არ არსებობს
არავითარი საბუთი იმისა, თუ, სახელდობრ, საქართველოს რომელი
კუთხიდან მოიტაცეს ანთიმი. სოლო რაც შეეხება ყველაზე უფრო მი-
საღებ ვერსიას, რომლის მიხედვითაც ანთიმი მონად გაყიდეს კონსტან-
ტინოპოლში, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ანთიმი აუცილებლად.
უნდა მოეტაცათ თურქებს და ისიც სამცხე-საათაბაგოდან. მაგალითი-
სათვის ვთქვათ და, განა ქართლში ან კახეთში მცხოვრები ქართველი
არ მოხვედრილა კონსტანტინოპოლის მონათა ბაზარზე? ამას მტკიცება
არ ჰქონდა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ხშირად ეს ხორციელდებოდა
სულ სხვა გზით და სხვისი წყალობით. ჩვენ გვხვდება მრავალი საბუთი,
რომლებიც ცხადყოფენ ჩრდილო კავკასიის მთიელთა მიერ მოტაცე-
ბულ ქართველების მონებად გაყიდვას ყირიმში, საიდანაც ისინი გაჰ-
ყავდათ ან კონსტანტინოპოლში, ან თურქეთის იმპერიის სხვადასხვა
კუთხეში. ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა სწორედ XVII—XVIII

⁴⁰ „დროშა“, № 2, 1951, გვ. 17.

⁴¹ D. Bogdan, *Viala lui Antim Ivireanul*, გვ. 681.

⁴² *Del Chiaro*... გვ. 26.

საუკუნეებში. გარდა ამისა, ჩვენ მივაცვლიეთ ერთ საყურადღებო ცნობას, რომელსაც, ჩვენი აზრით, შეუძლია ერთგვარი გარკვეულობის შეტანა ანთიმ ივერიელის მოტაცების საკითხში. ამ ცნობის მიხედვით, უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტს თეოდოსეს ანთიმ ივერიელისათვის, უკვე მისი ვლახეთში ყოფნის დროს, „აზოვის ზღვის იქითა მხრიდან“ მოსული უწოდებია⁴³. თუ ამ სიტყვებში კონსტანტირებულ ანთიმ ივერიელის ცხოვრების ერთ-ერთ მომენტს განვიხილავთ საქართველოში იმ ხანობით შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, მაშინ, ჩვენის აზრით, შესაძლებელი გახდება სულ სხვა ვერსიის წამოყენება. სახელდობრ, ანთიმ ივერიელი მოიტაცეს არა თურქებმა სამცხე-საათაბაგოდან, არამედ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებმა მთიელებმა, რის შედეგადაც იგი საბოლოოდ აღმოჩნდა კონსტანტინოპოლის მონათა ბაზარზე.

ნაადრევად ნუ ჩაგვითვლიან მხოლოდ ზემოთქმულის საფუძველზე ასეთი დასკვნის გამოტანას, რადგან არსებობს მთელი რიგი საგულისხმო ფაქტებისა, რომელთა ანალიზისა და განზოგადების შედეგად ასეთი განცხადება არ უნდა იყოს დამაჯერებლობას მოკლებული. მაგრამ ამ საკითხის შესახებ ჩვენ შემდგომ გვექნება საუბარი. ახლა კი გავცეთ პასუხი შემდეგ კითხვას: რამდენი წლის მოიტაცეს ანთიმო?

როგორც უკვე ნათქვამი იყო, ანთიმ ივერიელის ცხოვრების ადრინდელი პერიოდის შესახებ არსებობს მხოლოდ დელ კიაროს ცნობა, რომლის მიხედვითაც ანთიმ ივერიელი ახალგაზრდობაში მონად ყოფილა ნამყოფი⁴⁴. ჩანს, სწორედ ამ ცნობამ მისცა საფუძველი გ. ლეონიძეს წამოეყენებინა თავისი ვერსია: ანთიმ ივერიელი მოიტაცეს 15 წლის ასაკში⁴⁵. გ. ლეონიძის ამ ვერსიას, ისევე როგორც მის მიერ გამოთქმულ ვარაუდს, ანთიმ ივერიელის მოტაცების ადგილის შესახებ, იზიარებს ყველა ქართველი მკვლევარი. რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ასეთი თვალსაზრისი?

ჯერ ერთი, სიტყვა „ახალგაზრდობაში“ სავალდებულო არაა ვიგულისხმოთ მაინცადამაინც 16 წლის ყრმა. მაგრამ ჩვენ არსებით მნიშვნელობას როდი ვანიჭებთ იმის გარკვევას, ზუსტად 16 წლისა იყო ანთიმ ივერიელი მოტაცების დროს, თუ დაახლოებით ამ ასაკის. სამაგიეროდ მეტად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგი ფაქტორის დადგენას:

⁴³ St. Dinulescu, *Viata si activitatea Mitropolitului Terei Rominesci. Antim Ivireanul (1708—1716)*; 1886, გვ. იხ. აგრეთვე N. Iorga, *Istoria literaturii romanesti in secolul al XVIII-lea*, I, გვ. 418.

⁴⁴ *Del Chiaro...* გვ. 26.

⁴⁵ „დროშა“, 1951, № 2, გვ. 17.

ანთიმ ივერიელი მართლაც იმ ასაკში მოიტაცეს, როდესაც იგი ახლახან იწყებდა შეგნებულ ცხოვრებას და საფუძველი ეყრებოდა მისი, როგორც მოქალაქის ფორმირებას, თუ გაცილებით გვიან პერიოდში, როდესაც იგი უკვე სათანადო ტრადიციებზე აღზრდილ, გარკვეული თვალსაზრისისა და მრწამსის მქონე, სავსებით ჩამოყალიბებულ პიროვნებას წარმოადგენდა.

აღნიშნული საკითხის დასმას იმდენად ენიჭება დიდი მნიშვნელობა, რამდენადაც მისი გადაჭრის შედეგად სრულიად ახლებურად შექმდება ანთიმ ივერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი ძირითადი მომენტი.

ამრიგად, არსებობს ორი ვერსია: ერთს იზიარებს ყველა ქართველი თუ უცხოელი მკვლევარი, ხოლო მეორე ჩვენ გვეკუთვნის. რომელი ვერსიაა სწორი და რომელი არა?

ამის დასადგენად მოგვიხდება განვიხილოთ ანთიმ ივერიელის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელიც მოიცავს პერიოდს მისი მოტაცებიდან ვლახეთში ჩასვლამდე. რა არის ცნობილი ამ პერიოდის შესახებ? მხოლოდ მცირედი რამ. დაბეჭდვებით შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ, ვიდრე ანთიმ ივერიელი ვლახეთის მიწა-წყალზე ფეხს დაადგამდა, მას უკვე ფართოდ ჰქონდა მოხვეჭილი შესანიშნავი ხელოვნის სახელი. აი, რას წერდა დელ კიარო, რომელიც პირადად იცნობდა მას. „იგი (ანთიმ ივერიელი — ო. გ.) დაჯილდოებული იყო საოცარი ნიჭით, ბრწყინვალედ ფლობდა ხელოვნების ყველა დარგს, განსაკუთრებით მხატვრობას, გრაფიკას, მოჩუქურთმებას, ქსილოგრაფიას“⁴⁶. ანთიმ ივერიელი აგრეთვე ცნობილი იყო როგორც შესანიშნავი კალიგრაფი, დახელოვნებული ზეზე მკრეელი და ნიჭიერი მოქანდაკე⁴⁷. ეტყობა, ყოველივე ამის წყალობით მან შეძლო ჯერ კიდევ ვლახეთში ჩასვლამდე გამხდარიყო ცნობილი და შეძლებული ადამიანი. „მე ამ ქვეყანაში (ვლახეთში — ო. გ.) ჩემის ნებით არ მოვსულვარ, — აცხადებდა შემდგომში ანთიმ ივერიელი, — არც რაიმე გაჭირვებისა თუ სიღარიბის გამო“⁴⁸.

როგორ აღმოჩნდა სამშობლოდან ტყვედ მოტაცებული ანთიმ ივერიელი შორეულ ვლახეთში?

XVII საუკუნის 80-იანი წლების დამლევს ვლახეთის მთავარი კონ-

⁴⁶ Del Chiaro. გვ. 142.

⁴⁷ I. Badulescu, Mitropolitul Ungro-Vlahiei Antim Ivireanul (1708—1716), Buc. 1893, გვ. 16.

⁴⁸ Predice... ed. I. Bianu, გვ. XXIII.

სტანტინე ბრინკოვიანუ სახავს ფართო გეგმებს ვლახეთში სასტამბო საქმიანობის გასანვითარებლად. მაგრამ, ამ გეგმის განხორციელება, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო იმ ერთადერთი სტამბის მეშვეობით, რომელიც ჯერ კიდევ კონსტანტინე ბრინკოვიანუს სამეფო ტახტზე ასვლამდე ათი წლით ადრე 1678 წელს დააარსა ვლახეთში მიტროპოლიტმა ვარლამმა⁴⁹.

გარდა ამისა, მიტროფანეს, რომელიც შემდგომში, 1687 წლიდან, სათავეში ედგა აღნიშნულ სტამბას, კონსტანტინე ბრინკოვიანუ უპირებდა ბუზუეს ეპისკოპოსად გადაყვანას, რის გამოც აუცილებელი ხდებოდა შესაფერისი ცვლის მონახვა. „შესაძლოა იმ დროს, — წერს ნ. შერბინესკუ, — როდესაც ბრინკოვიანუ ასეთი ხელოვნის ძიებაში იყო, მის კარზე მყოფმა ერთ-ერთმა განათლებულმა და კულტურულმა პიროვნებათაგანმა, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებიდან იყო ჩამოსული, მიუთითა მას მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ანთიმ ივერიელზე... ბრინკოვიანუს დიდხანს აღარ უფიქრია და მოიწვია იგი ვლახეთში“⁵⁰. მ. როლერის რედაქციით გამოცემულ „რუმინეთის ისტორიაში“ ნათქვამია: „საქართველოს (იბერიის) მკვიდრი მოწვეულ იქნა ვლახეთში კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიერ, რომელმაც ნახა ანთიმის სახით ბეკდვითი საქმის, ხატვისა და გრაფიკების დიდი მცოდნე“⁵¹. დ. ბოგდანი აღნიშნავს: „ვლახეთში, კერძოდ კი ბუქარესტში, არსებული სტამბისათვის კონსტანტინე ბრინკოვიანუს სპირდებოდა დახელოვნებული ოსტატი გრაფიკებისა და ნახატების დასაბეჭდად, რაშიაც ანთიმ ივერიელი განუმეორებელი ხელოვანი იყო.. ასეთი ოსტატის ძებნისას კონსტანტინე ბრინკოვიანუ პოულობს მას, შესაძლოა, კონსტანტინოპოლში... და იწვევს ვლახეთში“⁵². ა. როსეტის, ბ. კაზაკუს და პ. ჰანემის სიტყვებით ანთიმ ივერიელის ვლახეთში მოწვევის მიზეზს წარმოადგენდა, ერთის მხრივ, „კონსტანტინე ბრინკოვიანუს დიდი სი-

⁴⁹ სწორედ ამ სტამბაში დაიწყო მუშაობა ანთიმ ივერიელმა ვლახეთში ჩასვლის შემდეგ. ანთიმ ივერიელის, როგორც მესტამბის მოღვაწეობას ჩვენ ამ წიგნში ცალკე თავი მიუძღვენით. აქ კი მხოლოდ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ანთიმ ივერიელმა ვლახეთში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილზე დააარსა ოთხი ახალი სტამბა, სადაც ბეჭდავდა წიგნებს რუმინულ, ბერძნულ, ძველ სლავურ, არაბულ ენებზე. ანთიმ ივერიელის წყალობით - ვლახეთი გადაიქცა მართლმადიდებლობის ცენტრად, რომელიც მთელ ქრისტიანულ აღმოსავლეთს წიგნებით კვებავდა“ (История Румынии, под ред. М. Р о л л е р а, 1950, გვ. 184). ხოლო რაც შეეხება დელ კაროს, იგი აღნიშნავდა, რომ ანთიმ ივერიელმა „ბეკდვითი ხელოვნება სრულყოფამდე აიყვანა“, (Del Chiaro... გვ. 142).

⁵⁰ N. Serbanescu, Antim Ivireanul tipograf, გვ. 693.

⁵¹ История Румынии, под редакцией, М. Р о л л е р а, 1950, გვ. 184.

⁵² D. Bogdan, Viata lui Antim Ivireanul,; გვ. 680.

ყვარული კულტურისადმი“⁵³, ხოლო, მეორეს მხრივ, ის, რომ „ანთიმ ივერიელი დახელოვნებული ოსტატი იყო სასტამბო საქმეში, კალიგრაფიაში. ხეზე კრაში და ფერწერაში“⁵⁴.

პირველადი წყარო, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვგებულობთ კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიერ ანთიმ ივერიელის ვლახეთში მოწვევის შესახებ. ეს არის 1706 წელს რიმნიკში გამოცემული „ლოცვანის“ წინასიტყვაობა. წინასიტყვაობა ეკუთვნის მიხაილ იშტვანოვიჩს და ეძღვნება ანთიმ ივერიელს. მასში ნათქვამია: „აქ, ჩვენს ქვეყანაში, არა ვინმე ეგვიპტის ფარაონის მსგავსმა, არამედ კეთილმა, დავითის დარმა ჩვენმა ბრწყინვალე ბატონმა და ხელმწიფემ კონსტანტინე ბრინკოვიანუ ბესარაბმა, შეიტყო რა შენი არსებობის შესახებ და მისთვის ცნობილი გახდა შენი სიყვარული ღვთისადმი, ასევე შენი შორსმჭვრეტელი და ბრწყინვალე ნიჭი, მან შენი სახით ნახა ღირსეული და დახელოვნებული ადამიანი. მან განაცხადა, ნეტავ თუ კიდევ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელიც ასეთი სრულყოფით ფლობდეს ხელოვნების ნებისმიერ დარგს. თუ მე ვიტყვი, რომ ყოველივე ამაში ერთი სიტყვაც არ არის გადაპეტებული, მე მაშინ სიმართლე მითქვამს“⁵⁵.

ამრიგად, როგორც ჩვენს მიერ ციტირებული ადგილებიდან ჩანს, ანთიმ ივერიელი ვლახეთს ჩასულა კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიწვევით და ამ ქვეყანაში ბეჭდვითი საქმიანობის განვითარების მიზნით. მაგრამ როდესაც მკვლევრები ცდილობენ დააზუსტონ საკითხი, თუ რომელ ადგილიდან ჩავიდა ანთიმ ივერიელი ვლახეთს, ისინი ორ ჯგუფად იყოფიან. მაგალითად. ერთნი (ბოგდანი⁵⁶, კარტოჯანი⁵⁷, კონსტანტინესკუ-იანში⁵⁸) ამ ადგილად ვ ა რ ა უ დ ი თ კონსტანტინოპოლს ასახელებენ, ხოლო მეორენი (ქსენოპოლი⁵⁹, შერბინესკუ⁶⁰, როსეტი⁶¹, გ. ლეონი-

⁵³ Predici... ed. P. Hanes, გვ. XVI.

⁵⁴ Al. Rosetti si B. Cazacui, Istoria limbii romine literare, I, Buc. 1961, გვ. 160.

⁵⁵ D. Bogdan, Viata lui Antim Ivireanul, გვ. 690.

⁵⁶ იქვე.

⁵⁷ N. Carlojan, Istoria literaturii romine vechi, vol. I, გვ. 219.

⁵⁸ P. Constantinescu-Iasi, Din relatiile culturale Romania-Gruzine, 1957, გვ. 19.

⁵⁹ A. Xenopol, Istoria rominilor din Dacia Traiana, vol. VIII, Buc, 1929, გვ. 293.

⁶⁰ N. Serbanescu, Antim Ivireanul tipograf, გვ. 692.

⁶¹ Al. Rosetti si B. Cazacu, Istoria limbii romine literare I, Buc. გვ. 166.

ძე⁶², შ. კურდღელაშვილი⁶³, ფ. ჭინჭიხაშვილი⁶⁴ და სხვ.) კატეგორიულად კონსტანტინოპოლზე მიუთითებენ.

რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ? ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ არც ერთსა და არც მეორე ვერსიას. საქმე იმაშია, რომ არც მიხაილ იშტვანოვიჩის წინასიტყვაობაში, რომელიც დართული აქვს 1706 წელს რიმნიკში გამოცემულ „ლოცვანს“ და არც თვით ანთიმ ივერიელის 1712 წლით დათარიღებულ წერილში⁶⁵, (ეს წყაროები შეიძლება ითქვას ერთადერთია, რომლებიც ისტორიას შემოუწინავენ დღემდე და რომლებზეც დაყრდნობით შეგვიძლია ძალუქს თავისი მოსაზრების გამოთქმა კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიერ ანთიმ ივერიელის ვლახეთში ჩამოყვანის შესახებ) სიტყვითაც კი არაა ნახსენები კონსტანტინოპოლი.

რასაკვირველია, ეკვის ქვეშ არავინ აყენებს იმ ფაქტს, რომ ვლახეთის მთავარი კონსტანტინე ბრინკოვიანუ 1689 წელს იმყოფებოდა კონსტანტინოპოლში⁶⁶. მაგრამ რატომ უნდა ჩავთვალოთ კონსტანტინე ბრინკოვიანუს 1689 წელს კონსტანტინოპოლში ყოფნა იმის დამამტკიცებლად, რომ სწორედ კონსტანტინოპოლში უნდა შეხვედროდა ვლახეთის მთავარი ანთიმ ივერიელს და ამ ქალაქთან მოეწვია იგი თავისთან. თუ ერთის მხრივ ჩვენ სულ გვაქვს 1689 წელს კონსტანტინე ბრინკოვიანუს კონსტანტინოპოლში ყოფნის საჩუქნო ცნობა, მეორეს მხრივ, სად არის დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ სწორედ ამ დროს ანთიმ ივერიელი მარცადაამარც კონსტანტინოპოლში ჩამოყვანილია?

ცხადია, სიზარტლესთან ყველაზე უფრო ახლო დგას ის მოსაზრება, რომ ტყვედ გატაცებული ანთიმ ივერიელი მონად გახდებოდა კონსტანტინოპოლის ბაზარზე. მაგრამ რომელი საბუთი დასტურებს იმის შესახებ, რომ იგი ფეხმოუცვლელად იმყოფებოდა მხოლოდ ეს შრომოდ კონსტანტინოპოლში და მისი მოღვეწეობისა და ცხოვრებისა? არ იყო დაკავშირებული სხვა რომელიმე ქალაქთან?

ჩვენის აზრით, კონსტანტინე ბრინკოვიანუმ ანთიმ ივერიელს

⁶² „დროშა“, 1951, № 2, გვ. 16.

⁶³ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიანი, 1955, გვ. 25.

⁶⁴ Ф. Джиндихашвили, Антимоз Ивериецъ. 1957, стр. 29.

⁶⁵ Didahille ... ed. C. Erbiceanu, გვ. 97—103.

⁶⁶ ზოგჯერ შეულოარს კონსტანტინე ბრინკოვიანუს 1689 წელს კონსტანტინოპოლში ყოფნა მისცა მართლაც იმის საფუძველი, რომ ანთიმ ივერიელის ვლახეთში ჩასვლის ადგილად დასახლებინა კონსტანტინოპოლი, რაფხანაც ყველაზე უფრო მისაღები ვერსიით ანთიმ ივერიელის ვლახეთში დასახლების დრო თარიღდება დაახლოებით 1689—1690 წლებით.

პიროვნების შესახებ, რომელიც უკვე ცნობილი იყო როგორც მხატვარი. მოჩუქურთმე, კალიგრაფი, მოქანდაკე, ქსილოგრაფი და მესტამბე. შეიტყო მაშინ, როდესაც ანთიმ იმყოფებოდა არა კონსტანტინოპოლში, არამედ ქ. იასში⁶⁷ და მოიწვია იგი ვლახეთს.

... რამ მოგვცა საფუძველი წამოგვეყენებინა სრულიად ახალი ვერსია? ანჭერად დავკმაყოფილდეთ მხოლოდ უკვე ნათქვამით, რადგან ჩვენ შემდეგში მოგვიხდება ამ საკითხზე დაწვრილებით შეჩერება. ვინაიდან მის გადაჭრახე და მოკიდებული არა მხოლოდ ერთი ახალი დეტალის გაშუქება ანთიმ ივერიელის ბიოგრაფიიდან, არამედ სწორი პასუხის გაცემა ისეთ ძირითად და მნიშვნელოვან კითხვაზე, როგორიცაა: სად უნდა დაუფლებოდა ანთიმ ივერიელი მესტამბის ხელოვნებას?

მაგრამ თუ ჩვენ უარვყავით მოსაზრება ანთიმ ივერიელის ვლახეთში კონსტანტინოპოლიდან ჩამოსვლის შესახებ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს. რომ კონსტანტინოპოლს საერთოდ არაფერი აქვს საერთო ანთიმ ივერიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან.

... როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანთიმ ივერიელი მონად ყოფილა გაყიდული სწორედ კონსტანტინოპოლში. მაგრამ თუ როგორ მოახერხა მან მონობიდან თავის დაღწევა, ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემას მრავალი მკვლევარი სათანადო წყაროების უქონლობის გამო თავს არიდებს. მაგალითად, კარტოიანი წერს: „გარდა იმისა, რომ ანთიმ ივერიელი ყრმობაში ტყვედ იყო გაყიდული, ჩვენ არაფერი ვიცით იმის შესახებ, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა იგი და როგორ მოახერხა მან მონობიდან თავის დაღწევა“⁶⁸. მთელი რიგი მკვლევრებისა კი ამ საკითხს საერთოდ დუმილით უვლის გვერდს. ამავე დროს მეცნიერულ ლიტერატურაში ჩვენ ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც უკვე გარკვეული შეხედულებებია წამოყენებული. მაგალითად, შტრემპელი წერს, რომ ანთიმ ივერიელი მონობიდან გამოუსყიდია კონსტანტინოპოლის პატრიარქს⁶⁹. ხოლო რაც შეეხება ქართველ მკვლევრებს, ისინი

⁶⁷ ჩვენი თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ი. მირონესკუს მიერ მოწოდებული ცნობა, რომლის მიხედვითაც ანთიმ ივერიელს ვლახეთში ჩასვლამდე მოლდავეთში უნდა ეცხოურა. A. I. Mironescu, Istoria Eparhiei Rîmnîcului-Noul Severin, Buc. 1906, გვ. 86; რატომღაც დანარჩენი რუმინელი მკვლევრები ამ ცნობას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებენ და მას ლეგენდად თვლიან. N. Serbanescu, Antim Ivireanul tipograf, გვ. 693. ამ ფაქტის უგულებელყოფა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩართვით უამართლებლად, რადგან როგორც ჩვენს მიერ აქ ჩატარებული კვლევა შემდგომში გვიჩვენებს, ანთიმ ივერიელის ცხოვრებაში დიდი როლი უნდა ეთამაშა სწორედ მოლდავეთს, კერძოდ კი ქ. იასს.

⁶⁸ N. Carţoian, Istoria literaturii române vechi, vol. I, გვ. 219.

⁶⁹ G. Strempele, Antim Ivireanul, Predici. 1962, გვ. 9.

ძირითადად გ. ლეონიძის ინფორმაციაზე დაყრდნობით აღნიშნავენ: ის პიროვნება, რომელსაც მონობიდან დაუხსნია ანთიმ ივერიელი, იერუსალიმის პატრიარქი ყოფილა⁷⁰.

მიუხედავად ზემოაღნიშნული სხვადასხვა ვერსიისა, ექვს არ იწვევს, რომ არა მხოლოდ ანთიმ ივერიელის მონობიდან გამოსყიდვა, არამედ მისი ცხოვრების ზოგიერთი მომენტიც დაკავშირებულია მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, იქნება ეს კონსტანტინოპოლის თუ იერუსალიმის საპატრიარქოები. მაგრამ ჩვენ გადაჭარბებულად და გაზვიადებულად მიგვაჩნია ის შეფასება, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი აძლევს კონსტანტინოპოლს, კერძოდ კი საპატრიარქო კარს, ანთიმ ივერიელის „ინტელექტუალური ვინაობის“ ფორმირებაში. არ მიგვაჩნია მართებულად დებულება, რომ მრავალმხრივი განათლება და დაოსტატება ხელოვნების სხვადასხვა დარგში, რამაც ანთიმ ივერიელს „სწორუბოვარი შემოქმედის“ სახელი მოუპოვა, შეძენილი ჰქონდეს მას ბერძენი პატრიარქის კარზე. ცხადზე უცხადესია, რომ ანთიმ ივერიელი თავისი დროისათვის ერთ-ერთი უგანათლებლესი ადამიანი იყო, რომ იგი ფლობდა მშობლიური ენის გარდა მრავალ უცხო ენას: ბერძნულს, რუმინულს, ძველ სლავურს, არაბულს, თურქულს, გათვითცნობიერებული იყო თეოლოგიასა, ლიტერატურასა და ბუნებისმეტყვე-

⁷⁰ ფ. ჭინჭიბაშვილი, აგრეთვე გ. ლეონიძის ინფორმაციაზე დაყრდნობით თავის წიგნში წერს, რომ ანთიმ ივერიელი მონობიდან გამოუსყიდია იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს. (Ф. Джинджихашвили, Антимоз Ивериели, Тб. 1967, გვ. 17) ამასთან დაკავშირებით ჩვენ შეძღვევთ უნდა განვაცხადოთ. თქვია გ. ლეონიძე თავის გამოკვლევაში მართლაც წერს იერუსალიმის პატრიარქის მიერ ანთიმ ივერიელის მონობიდან გამოსყიდვის შესახებ, მაგრამ იგი სიტყვითაც არ იხსენებს, რომ ეს იერუსალიმის პატრიარქი სწორედ დოსითეოსი იყო. (ეურ. „დროშა“ 1951 წ. გვ. 17). მაგრამ ეს არაა მთავარი. თუ ფ. ჭინჭიბაშვილი დარწმუნებულია და ეს ასეცაა. (იხ. დასახელებული ნაშრომი გვ. 17) რომ ანთიმ ივერიელი მონობიდან გამოსყიდიათ 1666 წელს, ასეთ შემთხვევაში ის პიროვნება, ვინც მონობიდან იხსნა ანთიმი, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ყოფილიყო იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი. ამის მიზეზი ის არის, რომ 1666 წელს იერუსალიმის საპატრიარქოს სათავეში ედგა არა პატრიარქი დოსითეოსი არამედ პატრიარქ ნექტაროსი. ხოლო რაც შეეხება დოსითეოსს, იგი ამ დროისათვის ექსარქის მიტროპოლიტია და იერუსალიმის პატრიარქად იგი აკურთხეს მხოლოდ 1669 წელს. (იხ. „Собрания Императорскаго православнога палестинскаго епископа“, 1868, т. XIX, გვ. 4. სადაც ეკითხულობთ „23 сентября 1666 г. хиротонисал Досифей в митрополити кесарийскаго, указав этим и на будущее его патриаршество, так как по установившейся практике, преемник нерусалимского патриарха обикновенно назначался в лица кесарийскаго митрополита“. ხოლო რაც შეეხება დოსითეოსის იერუსალიმის პატრიარქად არჩევის დროს, ამის შესახებ ჩვენ ვკითხულობთ ამავე წიგნის გვ. 4. „19 января 1669 г. Нектарий подписал свое добровольное отречение от нерусалимскаго престола, а 23 января его преемником был избран Досифей“.)

ლებამი⁷¹. მაგრამ ყოველივე ეს მას მოპოვებული ჰქონდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას და არა მხოლოდ კონსტანტინოპოლში ბერძენი პატრიარქის კარზე. ახლა შევეხთ საკითხს, თუ სად უნდა ჩამოყალიბებულიყო ანთიმ ივერიელი როგორც ხელოვანი.

როგორც აღვნიშნეთ, ყველა მკვლევარი, ვინც კი ანთიმ ივერიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას სწავლობს, ერთხმად აღიარებს, რომ იგი მონობიდან გამოისყიდეს ახალგაზრდობის, ყრმობის პერიოდში. კერძოდ კი 16 წლის ასაკში⁷². ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ ანთიმ ივერიელი, ვიდრე იგი ვლახეთში ჩავიდოდა, უკვე ცნობილი ყოფილა როგორც შესანიშნავი მხატვარი, მოჩუქურთმე, ხეზე მჭრელი და სხვ. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება აქედან? ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინების შედეგად სავსებით მართებული იქნება თუ ჩვენ ანთიმ ივერიელის ცხოვრების გზას მისი მოტაცებიდან ვლახეთში ჩასვლამდე შემდეგნაირად წარმოვიდგენთ.

საქართველოდან მოტაცების შემდეგ ყრმა ანთიმი მონობიდან გამოისყიდა ბერძენმა პატრიარქმა. დროთა განმავლობაში მან ყრმა ანთიმში შენიშნა ხელოვანის ნიჭი და მისწრაფება შემოქმედებისაკენ. გულისხმიერმა მფარველმა ყოველმხრივ შეუწყო ხელი ანთიმს დასაასტატებლად. მალე მან ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა და გარკვეულ პერიოდში, ვიდრე ვლახეთში დამკვიდრდებოდა, უკვე მოიხვეჭა ცნობილი ხელოვნის სახელი. აი, ორიოდ სიტყვით, და ვფიქრობთ სწორ შტრიხებში, ანთიმ ივერიელის ცხოვრების მონაკვეთი მისი 16 წლის ასაკში მონობიდან გამოისყიდვის ვერსიის შემთხვევაში.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს „კეთილისმყოფელი“ და „გულისხმიერი“ პიროვნება, ვისაც ანთიმი მონობიდან დაუხსნია, ყოფილა ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეური. ე. ი. ის გარემო, სადაც უზრუნველ და უმეცადინი ყრმა ანთიმს ჯერ კიდევ ბავშვი ანთიმ ივერიელის, როგორც ხელოვნის ბედზე და სადაც ანთიმი დაუფლებია მხატვრობას, მოჩუქურთმებას, მოქანდაკეობას და ხელოვნების სხვადასხვა დარგს, ყოფილა ბერძნული პატრიარქის კარი კონსტანტინეპოლ-

⁷¹ ბერძნულ ენაზე გამოცემული ერთ-ერთი წიგნის წინასიტყვაობაში ანთიმ ივერიელი ლაპარაკობს მის შესისხლბორცებულ მისწრაფებაზე სწავლისადმი და, მართლაც, მთელი თავისი დაუხვარებელი ცხოვრება ამ უნიკიერესმა აღმაზნმა და უცილო ხელოვნმა სწავლა-განათლებას შესწირა.

⁷² არსებობს აგრეთვე მოსაზრება, რომ ანთიმ ივერიელი მოტაცებულ იქნა ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი Condica Sfinta a Mitropoliei Ungro-Vlahiei, ed. G. E n a c e - a n u , Buc. 1886, გვ. 100. და ამ დროიდან იგი უკვე ვლახეთში იყო. ეს ვერსია ყოველგვარ რეალურ საფუძველსა მოკლებული. რასაც ნათლად გვიჩვენებს ჩვენს წიგნში ამ წიგნში ჩატარებული კვლევა.

ში. და თუ ეს ასეა, მაშინ ისმის საკვებით კანონიერი კითხვა: რომელი ხელოვნების ტრადიციებზე უნდა აღზრდილიყო ყრმა ანთიმი კონსტანტინეპოლში და ისიც ბერძენი პატრიარქის მზრუნველობისა და მეთვალყურეობის ქვეშ?

ვფიქრობთ, ამ კითხვაზე ბუნებრივი პასუხი შემდეგი იქნება: ასეთ ვითარებაში ყრმა ანთიმი უნდა აღზრდილიყო ბიზანტიური ხელოვნების ტრადიციებზე.

მაგრამ წინ გავუსწროთ ორი-სამი ათეული წლით ჩვენს მიერ აქ აღწერილ ხანას და ვნახოთ რა სურათია ვლახეთში რუმინული ხელოვნების განვითარების თვალსაზრისით, რომელზედაც თავისი წარუშლელი კვალი დაამჩნია ანთიმ ივერიელმა.

„რუმინელ და ქართველ ხალხებს შორის კავშირის შესახებ ბევრი წერილობითი საბუთი შემოინახა, — წერს რუმინელი მკვლევარი იონ ნანუ — მაგრამ ძირითადად ამას მოწმობს უძველესი მხატვრული ტრადიციების მქონე ქართული ხელოვნების გავლენა რუმინულზე. ამაზე ნათლად მეტყველებენ ჩვენი კულტურის ძეგლები“⁷³. შემდეგ: „რუმინელი ხალხი დიდად აფასებს ქართველი ხალხის სამ ათასწლოვან მხატვრულ შემოქმედებას, მით უმეტეს, რომ დროთა მსვლელობაში რუმინულ ხელოვნებაშიც შეიქრა ქართული ხუროთმოძღვრებისა და ქანდაკების გავლენა...“⁷⁴.

რუმინულ ხელოვნებაზე ქართული ხელოვნების გავლენის ფაქტებს ხაზგასმით აღნიშნავენ რუმინელი მკვლევრები კონსტანტინესკუიაში,⁷⁵ ნანუ⁷⁶ და სხვ., რომლებიც ამ გარემოებას, ერთის მხრივ, ხსნიან რუმინეთში მცხოვრებ ქართველ ოსტატთა მოღვაწეობით. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიას ჩვენამდე არ შემოუნახავს ქართველ ოსტატთა სახელები, რომელთაც ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ქართული ხელოვნების ელემენტები შეიტანეს რუმინულ ხელოვნებაში, სამაგიეროდ ჩვენ კონკრეტულად შეგვიძლია დავასახელოთ ის ქართველი ხელოვანი, რომელმაც XVIII ს. დასაწყისში თავისი სამშობლოს ხუროთ-

⁷³ იონ ნანუ, ქართული და რუმინული ხელოვნების ურთიერთობა, „საბჭოთა ხელოვნება“, № 8, 1963, გვ. 85 (შემდეგში იონ ნანუ...)

⁷⁴ იქვე, გვ. 84.

⁷⁵ P. Constantinescu-Iasi, Din relatiile culturale Romîno-Gruzine, 1957.

⁷⁶ Ion N. Nanu, Un monument istoric de arta religioasa: Clitcria mitropolitului Antim Ivireanul; in: Biserica Ortodoxa Romîna № 3—4, 1961 (შემდეგში Ion Nanu)

მოძღვრებისა და ქანდაკების ნიმუშები შეიტანა რუმინულ ხელოვნებაში. ეს ხელოვანი ანთიმ ივერიელია⁷⁷.

ამრიგად, რუმინელი მკვლევარები აღიარებენ ქართული ხელოვნების გავლენის ფაქტს რუმინულ ხელოვნებაზე და ამ გავლენის ერთ-ერთ საწყისად ისინი ასახელებენ ქართველ ოსტატთა მოღვაწეობას ვლახეთში.

ახლა კი ვნახოთ, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა რუმინელი მკვლევრების თვალსაზრისით ეს გავლენა, რაზედაც იონ ნანუს სიტყვებით რომ ვთქვათ, ნათლად მეტყველებენ რუმინეთის „კულტურის ძეგლები“.

1708 წლიდან დაწყებული, როდესაც ანთიმ ივერიელი უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტად აირჩიეს, 1716 წლამდე, მისი უშუალო მონაწილეობით ან მითითებებით აგებულ და აღდგენილ იქნა ოცი ეკლესია და მონასტერი. აქედან ათი ეკლესია აგებულ იქნა მხოლოდ 1715 წელს. ჩვენ აქ ნიმუშად ავიღებთ სწორედ ამ მონასტრებსა და ეკლესიებს და მათ შორის 1713—1715 წლებში ანთიმ ივერიელის მიერ ბუქარესტში აშენებულ „ყოვლად წმიდათა“ („ანთიმი“) მონასტერს⁷⁸, „ყველაზე ღირსშესანიშნავ ძეგლს ეპოქისა“⁷⁹, რომლებიც თვალნათლივი დადასტურებაა ქართველი ხუროთმოძღვრის, არქიტექტორის, მოქანდაკის, ფერმწერისა და გრაფიკოსის ბრწყინვალე ტალანტისა⁸⁰.

„საქართველოში, — წერს ი. ნანუ — კაბენში ჩნდება არქიტექტურული დეტალი, რომელსაც ვერ ვხვდებით ვერც რომანულ, ვერც გუთურ ნაგებობებში. ეს არის მსხვილი პროფილის ცოკოლი. ეს დეტალი რუმინულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში ერთ-ერთი დეკორატიული ელემენტია, რომელიც ნაგებობას განსაკუთრებულ სიმყარეს ანიჭებს და ამავე დროს ფართო საშუალებას იძლევა ორნამენტაციისათვის. ანთიმ ივერიელის ეპოქაში მსხვილ ცოკოლზე იყო აგებული ეკლესიები: „ანთიმი“ (1713—15 წწ.), „ეპარეტში“ (1716)“...⁸¹.

1706 წელს ანთიმ ივერიელი რესტავრაციას უკეთებს „კოზიას“ მონასტერს⁸², „რის გამოც, — აღნიშნავს ი. ნანუ, — ტაძრის პირვანდელი

⁷⁷ იონ ნანუ... გვ. 84.

⁷⁸ Ion Nănu, გვ. 222—318.

⁷⁹ N. Ghika Budesti, *L'ancienne architecture religieuse de la Valachie*, Buc, 1942, გვ. 48.

⁸⁰ I. Nănu ... გვ. 286.

⁸¹ იონ ნანუ, № 8, 1963, გვ. 85.

⁸² კოზიას მონასტერი მოხატული ყოფილა ანთიმ ივერიელის მიერ. N. Iorga *Inscriptii din bisericile României*, I, Buc, 1905, გვ. 157.

სახე საგრძნობლად შეიცვალა და ახალი, გარკვევით ქართული გავლენის მატარებელი იერი მიეცა. ნაღის სარკმლების საპირეები ყურადღებას იქცევენ, უპირველეს ყოვლისა, ორნამენტის 5-6 ნახატიის შეხამებით, რომლებიც ერთ დეკორატიულ მთლიანობაშია მცენარეული და გეომეტრიული ნახატების ოსტატური წნული მომხიბლავ ეფექტს ქმნის. ნაღის ერთ-ერთი სარკმლის საპირის ზედა ნაწილში ზოომორფული ფიგურებიცაა ჩართული. აქვე საპირეებს ზემოთ, ჩვენ ვხედავთ ნახევრადმრგვალი ფორმის დამატებით ორნამენტს, როგორც საქართველოშია ნიკორწმინდისა და იშხანის ტაძრებში. რუმინულ არქიტექტურულ ძეგლებზე ეს ორნამენტი უფრო იშვიათად გვხვდება. ამავე პერიოდს მიეკუთვნება მხატვრული თვალსაზრისით საინტერესო საპირეები „ანთიმის“ ეკლესიაში. მათი სწორკუთხოვანი ფორმა მცხეთისა და იკორთის ქართულ ორნამენტს მოგვაგონებს“⁸³.

ანთიმ ივერიელის მიერ კოზიას მონასტრის რესტავრაციის შემდეგ, განაგრძობს ი. ნანუ, „მისი ფასადი ახალ ორნამენტს იძენს. მათ შორისაა ჩვენი ქვეყნისათვის ახალი ელემენტი — ასევე გადმოღებული ნიკორწმინდისა და იშხანის ორნამენტებიდან, კერძოდ — ქვის სკულპტურული ზაზი, რომელიც როზეტის თავზეა განლაგებული გვირგვინის სახით და ძალზე მოხდენილ, ამავე დროს, დიდებულ იერს აძლევს მას. ამ ქართულ დეკორატიულ დეტალს ანთიმ ივერიელი იყენებს ბუქარესტის 1715 წელს აგებულ მონასტერზეც. აქურული როზეტის ორი ლამაზი ნიმუში ამშვენებს ტაძარსა და მონასტრის სენაკებს. ორივე ნიმუში აქურულია და ერთდროულად ორნამენტიცაა ვენტილაციისათვის. „ანთიმის“ მონასტრის ფასადზე ათი ასეთი როზეტია, რომელთა ორნამენტი სტილიზებული ფოთლებისა და ღეროებისაგან შედგება. იგი ემსგავსება ნიკორწმინდის ტაძრის ერთ-ერთი როზეტის ორნამენტს“⁸⁴.

„ბეთანიის, ნიკორწმინდისა და სხვა ქართულ ტაძრებში გვხვდება არშიები შედგენილი გრეხილისაგან, ან სხვა დეკორატიული ფორმისა... ქვაზე მდიდრულად კვეთილმა არშიებმა სრულყოფას მიაღწია კრეცუ-ლესკუს, სტავროპოლესის, ვაკარეშტის ეკლესიებში, რომლებიც ანთიმ ივერიელის დროს აშენდა“⁸⁵.

„ანთიმ ივერიელის დროს, ქართული... პორტალების სახასიათო დეტალების შერწყმით, ვლახეთში იქმნებოდა ულამაზესი ნიმუშები

⁸³ ი. ნ. ნ. ნ. № 8, 1963, გვ. 85.

⁸⁴ ი. ქ. ე. გვ. 88.

⁸⁵ ი. ქ. ე. გვ. 25.

ჩვენი ხუროთმოძღვრების ისტორიაში. „ანთიმის“ ეკლესია, „ვაკარეშტი“ და სხვ.“⁸⁶.

„სხვა ეკლესიებს შორის, რომლებსაც ფასადები უხვად აქვთ მორთული თაღების დეკორით, აღსანიშნავია... ანთიმ ივერიელის ეკლესია, სადაც ორნამენტის ეს ქართული დეტალი ფართოდაა გამოყენებული ფასადების მთელ სიბრტყეზე... XVIII—XIX საუკუნეებში ფასადების მორთვის ეს სისტემა ფართოდ გავრცელდა ვლახეთში“⁸⁷.

გარდა ზემოთქმულისა, რუმინელი მკვლევრები ანთიმ ივერიელის მიტროპოლიტობის პერიოდში ვლახეთში აშენებულ მონასტრებსა და ეკლესიებში ხედავენ ქართული ხელოვნების გავლენას შენობის გეგმაში, ფანჯრის საპირეებში, და სხვ.

საყურადღებოა აგრეთვე ი. ნანუს დაკვირვება რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის აკადემიაში დაცულ ხელნაწერზე, რომელიც წარმოადგენს ანთიმ ივერიელის ანდერძს. ხელნაწერის ტექსტი სავსეა მინიატურებით, რომელიც ფუნჯითაა შესრულებული სხვადასხვა ფერებით. ეს ხელნაწერი, რომელიც ტყავის ყდაშია ჩასმული „შემკულია ქართული ორნამენტებით და გეომეტრიული მოტივებით, რომელიც ოქროზეა შესრულებული და გარს უვლის დავითის გამოსახულებას“⁸⁸. როგორც მინიატურების, ასევე ორნამენტების ავტორი ანთიმ ივერიელია.

შერბინესკუ აღნიშნავს, რომ ანთიმ ივერიელი შესანიშნავი მკოდნე იყო ქართული ხელოვნების, ამას ადასტურებს მის მიერ გამოცემულ წიგნებზე შესრულებული მოკაზმულობანი⁸⁹.

ესოდენ მრავალრიცხოვანი ციტატების მოყვანა რუმინელ მკვლევართა ნაშრომებიდან ჩვენ იმიტომ ჩავთვალეთ სავალდებულოდ, რადგან გვინდა დავასაბუთოთ დებულება: ანთიმ ივერიელმა ქართველმა ოსტატმა, XVIII საუკუნის დასაწყისში ქართული ხელოვნების ელემენტები შეიტანა რუმინეთის ხელოვნებაში.

თუ ჩვენ დასაბუთებულად ჩავთვლით ამ დებულებას, მაშინ ყოველგვარ საფუძველს მოკლებული რჩება ის მოსაზრება, რომ ანთიმ ივერიელი ყრმობის (16 წლის) ასაკიდან იზრდებოდა კონსტანტინეპოლში. მართლაც, თუ ანთიმ ივერიელი 16 წლისა მოხვდა კონსტანტინოპოლში და ამ ქალაქში (და ისიც ბერძენი პატრიარქის კარზე) დაეუ-

⁸⁶ იონ ნანუ... გვ. 86.

⁸⁷ იქვე, გვ. 88.

⁸⁸ I. N a n u ... გვ. 315.

⁸⁹ N. Serbanescu, Antim Ivireanul. tipograf, გვ. 695.

ფლა მხატვრობას, ხუროთმოძღვრებას, მოჩუქურთმებას, მაშინ როგორღა მოხდა, რომ ბიზანტიური ხელოვნების ტრადიციებზე აღზრდილ ოსტატს რუმინულ ხელოვნებაში შეაქვს არა ბიზანტიური ხელოვნების, არამედ ქართული ხელოვნების მოტივები?!

ორიოდ სიტყვით შევჩერდეთ თუ რა განსხვავება არსებობს ამ ორ ხელოვნებას შორის. „ცხადია — წერს აკად. გ. ჩუბინაშვილი — როგორც სოციალურ-ეკონომიური ფორმაციით ბიზანტია კარდინალურად განსხვავდება საქართველოსაგან, ასევე მისი ხელოვნება განსხვავდება საქართველოს ხელოვნებისაგან. ამის გამო ყოველგვარი ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ქართული ხელოვნება წარმოადგენს ბიზანტიური ხელოვნების შტოს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოიხსნოს. ყველაფერზე უკეთ, რასაკვირველია, ამას ცხადჰყოფს თვით ძეგლების სხვაობა“⁸⁰. მაგალითისათვის, რომ ცხადად ჩანდეს ამ ორ ხელოვნებას შორის განსხვავება, ჩვენ ისევ მივმართავთ აკად. გ. ჩუბინაშვილს. „...ბიზანტიურ ხუროთმოძღვრებას — წერს იგი — არა თუ არ შეუშუშავენია რაიმე ნორმები ფასადებისათვის, როგორც მხატვრულ-დეკორატიული ერთეულისათვის, არამედ არც კი დაუსვამს ასეთი პრობლემა, არ შეუგნია მისი არსი; ქართულმა ხუროთმოძღვრებამ კი უკვე მცხეთის ჭერის პატარა ეკლესიაში, ან ნინოწმინდის კათედრალში განსაზღვრული ცდა მოახდინა ამ მიმართულებით, რომელიც როგორც განვითარების ყველა სტეპი მოსამზადებელი ძაფი, იღებს თავის სრულ დამთავრებას მცხეთის ჭერის დიდი ეკლესიის გენიალურ შენობაში“⁸¹.

აქ ლაპარაკია VI—VII საუკუნეებზე, კონსტანტინოპოლის აია-სოფიასა და მცხეთის ჭერის ხანაზე, მაგრამ ის პრინციპები, რომლებიც ამ დროს ჩამოყალიბდა, ქართულ და ბიზანტიურ ხუროთმოძღვრებას მთელი ისტორიის მანძილზე გაჰყვა. მაგალითად აკად. შ. ამირანაშვილი წერს: „ქართული არქიტექტურა X საუკუნიდან XIV საუკუნემდე დიდ მოვლენას წარმოადგენს მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში. ე. წ. „მეორე აყვავების“ ხანის, რომელიც მეტად ჩამორჩება იუსტინიანეს ხანის ბრწყინვალეობას, ბიზანტიელი ხუროთმოძღვრები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ნაგებობის ფასადის შემკობის პრობლემას და კედლებს წმირად ტოვებენ დეკორატიულ-მხატვრულ გაფორმების გარეშე. ამ ხანის ქართულმა არქიტექტურამ ნაგებობის მთავარი მასები სრულყოფამდე მიიყვანა და მისი გარეგნული კედლების მხატვრული გაფორმების ორიგინალური სისტემა გამოიმუშავა... ხელოვნების განვითა-

⁸⁰ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, 1936, გვ. 81

⁸¹ იქვე, გვ. 80—81.

რების პროცესი თითოეულ ქვეყანაში დამოუკიდებლად მიმდინარეობდა⁹².

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადად ჩანს რომ ბიზანტიის ზუროთ-მოდღვრებაში ფასადთა მორთვის, მით უმეტეს ორნამენტით მორთვის პრობლემა არასდროს არ მდგარა (არის ფასადებზე სკულპტურის გამოყენების ცალკეული შემთხვევები), მაშინ როდესაც ქართულ ზუროთ-მოდღვრებაში ადრეული ხანებიდანვე ექსტერიერის მხატვრულ გაფორმებას ისეთივე ყურადღება ექცეოდა, როგორც ინტერიერის.

რა შეიძლება ითქვას ბიზანტიური და ქართული ხელოვნების შესახებ რუმინელი ხელოვნებისადმი მიმართებაში? თუკი რუმინულ ზუროთმოდღვრულ ძეგლთა ფასადები მორთულია (ჩვენ კი ვნახეთ რომ ეს ასეა), მათ ამ კონკრეტულ საკითხში, არაფერი აქვთ საერთო ბიზანტიურ ტრადიციებთან, მაშინ როდესაც ქართულ და რუმინულ ზუროთ-მოდღვრებას ძეგლთა გარეგნული მხატვრული იერის ჩამოყალიბების პრინციპი ერთი აქვთ. ამას თუ დავუმატებთ ორივე ქვეყნის დეკორის ცალკეული მოტივების (ელემენტების) უეჭველ მსგავსებას, რასაც ნათლად ცხადჰყოფს ანთიმ ივერიელის ნახელავი რუმინულ ზუროთმოდღვრულ ძეგლებზე, ლოგიკური დასკვნა მხოლოდ ასეთი იქნება: ანთიმ ივერიელს, როგორც ხელოვანს, თავისი ცოდნა-გამოცდილება საქართველოდან გაჰყოლია.

აქედან გამომდინარე, ანთიმ ივერიელი არ შეიძლება სამშობლოდან ყოფილიყო მოტაცებული 16 წლისა, ე. ი. იმ ასაკში, როდესაც ახლახან ეყრება საფუძველი პიროვნების ფორმირებას და მას შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ზერელე წარმოდგენა ჰქონდეს ზელოვნების ამა თუ იმ დარგზე, არამედ მაშინ, როდესაც იგი უკვე იყო ქართული ხელოვნების ტრადიციებზე აღზრდილი და სავსებით ჩამოყალიბებული წესანიშნავი ხელოვანი.

ჩვენს მიერ წამოყენებული ვერსიის სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე შ. კვასხვაძის მიერ ჩატარებული საინტერესო დაკვირვება.

შ. კვასხვაძე თავისი ნაშრომის „ვახტანგ VI სტამბის წიგნი“, ერთ-ერთ თავში „თავსამკებისა და ბოლოსამკების გენეზისისათვის“ ეხება ანთიმ ივერიელის მიერ ვლახეთში დაბეჭდილ წიგნებისა და ვახტანგ VI სტამბის წიგნების მოკაზმულობის მსგავსება-იგივეობის საკითხს. მკვლევარი ნიმუშად იღებს ანთიმ ივერიელის მიერ 1697 წელს სნაგოვოში დაბეჭდილ „სლავეურ გრამატიკას“ და 1712 წელს ვახტანგ VI სტამბაში გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“ და ამ წიგნების შედარების შემდეგ მიუხედავად ზოგიერთი შეუსაბამობისა და განსხვავებისა, აღნიშნავს:

⁹² შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1961, გვ. 352.

ვახტანის წიგნის ანთიმოზის წიგნთან მსგავსებისათვის საყურადღებო მასალას იძლევა „სლავური გრამტიკის (1697) მე-4 გვერდის „Что есть грамматика“-ს თავსაშემკის ფოტოპირი. ამ თავს მკს ზოგი რამ ნახატის სქემის მხრივ უდავოდ ანათესავენებს ვახტანგის სტამბის წიგნებს. ამ მოტივის ნაწილობრივ რემინისცენციას ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ დეკორშიც ვხვდებით“⁹³. შემდეგ: „უდავოა, რომ ვახტანგის წიგნში ნაწილობრივ მართლაცაა გამოყენებული ანთიმის წიგნის მზა დეკორი“⁹⁴. შ. კვასხვაძე მოკაზმულობის თვალსაზრისით საერთოს ხედავს აგრეთვე ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილ „სახარების“ და ანთიმის მიერ ვლახეთში გამოცემულ წიგნს შორის. „ვახტანგის სტამბის „სახარებაში“ — წერს მკვლევარი — ანთიმისეული წიგნის გრაფიკული ნაწყობი დეკორის გამოყენების შემთხვევას ვხვდებით მაგ. სამკუთხედის სქემაში ჩაწერილ მცენარეულ მოტივის გამოყენების შემთხვევაში. ეს ბოლოსამკი დართული აქვს ვახტანგის წინასიტყვაობას. იგი სქემისა და ნახატის მხრივ ანთიმის წიგნის დეკორთან შედარებით სრულ იგივეობას იძლევა, მაგრამ ტონალობის მხრივ სხვადასხვაგვარადაა მოდიფიცირებული“⁹⁵.

ამრიგად, შ. კვასხვაძის მიერ ჩატარებული დაკვირვებიდან ცხადი ხდება, რომ ანთიმ ივერიელის მიერ ვლახეთში დაბეჭდილ წიგნების/ორნამენტული მოტივი გამოყენებულია XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველოში გამოცემულ წიგნებში. „როგორ ან საიდან?“ — სვავს კითხვას შ. კვასხვაძე და ამ კითხვას თვითონვე პასუხობს: „ნაწყობი ორნამენტული მოტივები, როგორც ჩანს, საერთოდ მოხეტიალე ყოფილა და ფართოდაც ყოფილა გავრცელებული ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ქვეყნებში. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ... ანთიმოზის წიგნის გვერდის თავსაშემკი ისეთ ნიმუშს გვაძლევს, რომელიც მართლაც გვხვდება ვახტანგის წიგნში“⁹⁶. რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით? რასაკვირველია, მარტო „ორნამენტულა მოტივების“ „მოხეტიალობით“ არ შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ერთის მხრივ ანთიმ ივერიელის მიერ დაბეჭდილ წიგნებში, ხოლო მეორეს მხრივ ვახტანგ VI-ის სტამბაში გამოცემულ წიგნებში აღნიშნული ორნამენტული მოტივები ერთმანეთს ემთხვევიან. ნით უმეტეს, როდესაც შ. კვასხვაძე ანვითარებს თავის მოსაზრებას, იგი შემდეგს აღნიშნავს:

⁹³ შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, თბილისი, 1952, გვ. 222.

⁹⁴ იქვე, გვ. 223.

⁹⁵ იქვე, გვ. 219.

⁹⁶ იქვე, გვ. 223.

„მაგრამ ეს თავსამკი (ანთიმის წიგნის „სლავური გრამატიკის“ გვერდის თავსამკაული — ო. გ.) ვახტანგის ქართულ წიგნში „სლავური გრამატიკის“ მიხედვით კი არ არის მოხვედრილი, არამედ აქ ქართულ წყაროდან მოდის. ამგვარი სამკაულის მოტივი გაცილებით ადრე გამოიყენა და დაბეჭდა ქართულ წიგნში ჭერ კიდევ არჩილ მეფემ თავის დავითნში“ (1705 წ.) მაშასადამე გაცილებით ადრე, ვიდრე უნგროვლახელს⁹⁷ შეეძლო მისი ჩამოტანა. ცნობილია, რომ „დავითნი“ დაიბეჭდა პეტერბურგში⁹⁸. ცნობილია, რომ ამ წიგნს საერთო არაფერი აქვს რა უნგროვლახეთის სტამბებთან. მაშ რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოტივი, გამოყენებული უფრო ადრე ქართულ წიგნში და საქართველოში ადრევე ცნობილი, უფრო ადვილად არ მოხვდებოდა პირველ წყაროდანვე? დედანი ქართულ წიგნში უფროა საძიებელი, ვინემ უნგროვლახურში, ჩვენი წიგნის წრისათვის უცხოურსა და უცნობში“¹⁰⁰.

ცხადია, საკამათოდ არავინ ხდის იმას, რომ ვახტანგის ქართულ წიგნში გამოყენებული ორნამენტური მოტივი ჭერ კიდევ არჩილ მეფემ დაბეჭდა „დავითნში“, რომ ეს ორნამენტული მოტივი საქართველოში ადრევე იყო ცნობილი და ქართულ წყაროდანაა აღებული. მაგრამ, აქ, ჩვენ ჩვენის მხრივ ვსვამთ კითხვას: საიდან მოხვდა ეს ორნამენტი ანთიმ ივერიელის მიერ „სლავური გრამატიკის“ ფურცლებზე. ნუთუ მართლა იმ მიზეზით; რომ ის „როგორც ჩანს, საერთოდ მოხეტიალე ყოფილა“. თუ უფრო სწორი იქნება ვიფიქროთ, რომ ისევე როგორც „ქართული ხუროთმოძღვრებისა და ქანდაკების გავლენა“ შეიქრა რუმინულ ხელოვნებაში ქართველი შემოქმედის ანთიმ ივერიელის წყალო-

⁹⁷ მ ი ხ ა ი ლ ი შ ტ ვ ა ნ ო ე ი ჩ ი — ვლახეთიდან ჩამოსული მესტამბე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის 1709 წელს პირველი ქართული სტამბის დაარსებაში. იხ. ამ წიგნის გვ.

⁹⁸ „დავითნი“ არჩილ მეფემ დაბეჭდა 1705 წელს არა პეტერბურგში, არამედ მოსკოვის სინოდის სტამბაში. „დავითნის“ თავფურცლის მეორე გვერდზე იკითხება: „სადიდებლად წმინდისა და ერთარსისა, ცხოველმყოფელისა და განუყოფელისა სამებისა... მეფობასა დიდისა ბატონისა მეფისა და დიდისა მთავრისა ყოელის დიდისა, ცოტასი და თეთრისა რუსეთისა თვითმპყრობელისა და კეთილშობილის პეტრე ალექსის შვილისა და მეფის შვილისა დიდის მთავრის ალექსი პეტრეს შვილისა, ჩემ მიერ მეფისა არჩილისა და ძისა ჩემისა ალექსანდრისა დაიბეჭდა წიგნი ესე დავითნი სამეფოსა ქალაქსა მოსკოვის, წელთა დასაბამიდან შეილიათას ორას ოც და განხორციელებიდან ღეთის სიტყვისათას შვილას ე (—1705 წ.), ინდოკტიონს ოც თვესა მარტასთ“ (არჩილ მეფის მიერ „დავითნის“ დაბეჭდვის შესახებ იხ. „მოამბე“ 1900 წ. № 3. აღ. ხახანაშვილი. ძველად აღბეჭდილი წიგნის სინოდალურს სტამბაში).

¹⁰⁰ შ. ე ვ ა ს ხ ე ა ძ ე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, თბილისი, 1952, გვ. 223.

ბით, ასევე ანთიმ ივერიელის მეშვეობით ქართულმა ორნამენტებმა თავისი გამოხატულება პპოვა ვლახეთში დაბეჭდილ წიგნის ფურცელზე.

სამწუხაროდ სათანადო საბუთების უქონლობის გამო ჩვენ კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვით, თუ როგორ მიმდინარეობდა ახალგაზრდა შემოქმედის ანთიმის ცხოვრება და მოღვაწეობა საქართველოში. ვინ იცის საქართველოში იმ პერიოდის ხელოვნების რომელ ძეგლს ამჩნევია მისი ხელი, იქნება ეს ლევან კახთა მეფის სასახლე — ალვანში, არჩილის სასახლე—თელავში, მდ. ქციაზე გადებული „გატეხილი ხილი“ ანუ „წითელი ხილი“, რომელსაც თავისი სილამაზით არა ერთი უცხოელი მოგზაური გაუოცებია¹⁰¹, გრემის საქალაქო ანსამბლი ქალაქის უბნებით, აბანოებითა და ეკლესიებით, ანანურის ციხე-სიმაგრე მრავალსართულოვანი კოშკებითა და გუმბათოვანი ეკლესიებით, შუამთის მონასტერი, ანანურის ეკლესია, მჭადისჯვარში აშენებული დიდი გუმბათოვანი ეკლესია, ანდა იმდროინდელი საერო თუ სასულიერო შინაარსის დიდი გემოვნებით მორთული ხელნაწერი წიგნები.

თუ ჩვენ ზევით მოყვანილი ფაქტების განზოგადებისა და ანალიზის შედეგად მიღებულ მოსაზრებებს დამაჯერებლად მივიჩნევთ, ამ შემთხვევაში დასკვნა შემდეგი უნდა იყოს: ანთიმ ივერიელმა თავისივე სამშობლოში შეისისხლხორცა ქართული ხელოვნების ტრადიციები და იგი საქართველოშივე აღიზარდა და ჩამოყალიბდა, როგორც შესანიშნავი მხატვარი, ხუროთმოძღვარი, მოჩუქურთმე და სხვ.

არსებობს კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტორი, რომლის გათვალისწინების შემდეგ მთელი რიგი მკვლევარების მიერ წამოყენებული ვერსია იმის შესახებ, რომ ანთიმ ივერიელი 16 წლის ასაკიდან დაწყებული ვლახეთში ჩასვლამდე იზრდებოდა და ყალიბდებოდა როგორც პიროვნება ბერძენი პატრიარქის კარზე, საკამათო ხდება.

დავუშვათ და ანთიმ ივერიელი მართლაც 16 წლის ასაკიდანვე ან უფრო მცირეწლოვანი დამკვიდრებულა იერუსალიმის პატრიარქის კარზე, როგორც ეს ღღემდე მიაჩნია ყველა მკვლევარს. აქედან გამომდინარე, ანთიმ ივერიელი თავიდანვე უნდა მოხვედრილიყო ისეთ გარემოში, სადაც სუფევდა არა მარტო ბერძნული ენა, არამედ საფუძველი ეყრებოდა ბერძნული ეკლესიის ექსპანსიურ გეგმებს, დაემორჩილებოდა „ყოველივე და ყველაფერი“ ბერძნული ზეგავლენისათვის¹⁰². ერთი

¹⁰¹ ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუბაძე, ვ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 327.

¹⁰² საკმარისია აღინიშნოს ბერძნული ეკლესიის მიერ, კერძოდ კი იერუსალიმის საპატრიარქოს მხრივ ქართველთა ჯვრის მონასტრის ხელში ჩაგდება, ანდა ბერძნული ეკლესიის შესუვერთა მეთოდური და დაქინებითი ბრძოლა „რუმინული ნაციონალიზ-

სიტყვით, ანთიმ ივერიელი უნდა აღმოჩენილიყო „ბერძნული სულის-კვეთებით“ გაელენთილ ატმოსფეროში ჭერ კიდევ იმ ასაკში, როდესაც იგი დგამდა პირველ ნაბიჯებს თავისი შეგნებული ცხოვრების გზაზე და როდესაც იწყებოდა მისი სულიერი მრწამსის ფორმირება. უფრო მეტიც. ზოგიერთი მკვლევრის აზრით იერუსალიმის საპატრიარქოს კარზევე მიუღია ანთიმ ივერიელს სწავლა-განათლება და აღზრდა, ბერძნული ეკლესიის სულიერ მამათა ზედამხედველობასა და გარემოცვაში გაუტარებია თითქმის მეოთხედი საუკუნე (1666 წლიდან 1690 წლამდე). მაგალითად შ. კურდღელაშვილი წერს: „...დოსითეოს პატრიარქის ხელმძღვანელობით ყალიბდებოდა 20 წელიწადზე მეტი ზნის მანძილზე იერუსალიმის საპატრიარქო კარზე მყოფ ანთიმოზ ივერიელის მოქალაქეობირვი სახე“¹⁰³, ზოლო ფ. ჭინჭინაშვილი აღნიშნავს: „ექვს არ იწვევს, რომ ცოდნა, განათლება, კულტურა, რომელიც ვლახეთში ჩასვლამდე გააჩნდა ანთიმ ივერიელს... მას მოპოვებული ჰქონდა პატრიარქის კარზე ყოფნის დროს“, „სადაც იგი აღიზარდა“¹⁰⁴.

და თუ ყოველივე ეს შეესაბამება სინამდვილეს, მაშინ ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ ყრმა ანთიმისაგან, მისი იერუსალიმის საპატრიარქო კარზე თითქმის მეოთხედი საუკუნის ყოფნის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო (მით უმეტეს თუ მხედველობაში მივიღებთ ბერძნული ეკლესიის ღვთისმსახურთა აღზრდის მეთოდებს მათი მეურვეობის ქვეშ მყოფ ყრმათა მიმართ) „ქეშმარიტი ბერძენი“, რომელიც მთელი თავისი არსებით, შეგნებით, მიზნებითა და ინტერესებით იქნებოდა ბერძნული ეკლესიის ერთგული მსახური, (ანთიმ ივერიელს სასულიერო წოდება ჭერ კიდევ ვლახეთში ჩასვლამდე ჰქონდა მიღებული).

ჩვენ კი სინამდვილეში რა სურათს ვხედავთ? ანთიმ ივერიელის ვლახეთში ჩასვლის შემდეგ არ გაუვლია ორ წელიწადსაც კი, რომ იგი ზუქარესტში ბერძნულ-რუმინულ ენაზე ბეჭდავს წიგნს „ლოთაებრივი და წმიდა სახარება“. ამ წიგნის გამოცემით ანთიმ ივერიელმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა, გადადგა ნაბიჯი, რათა ვლახეთის ეკლესიებში ბერძნული ენის გვერდით დაემკვიდრებინა რუმინული ენა და ეს მაშინ, როდესაც, შეიძლება ითქვას, ბერძნულ ენას სრულიად შეუზღუ-

მისი წინააღმდეგ, რისი საბოლოო შედეგიც იყო ვლახეთის ეკლესიებსა და მონასტრებში ბერძნული ენის გაბატონება. იხ. გვ. 33—36, 108—109.

¹⁰³ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბ. 1953, 83. 26—27.

¹⁰⁴ ფ. დ. ჯინდჯიხაშვილი, Антиmoz Иверии, Тб. 1967, стр. 18—

დავი მონოპოლია ჰქონდა მოპოვებული ელახეთის ეკლესიებში¹⁰⁵. ხოლო ერთი წლის შემდეგ ანთიმ ივერიელი რუმინულ ენაზე ბეჭდავს „დავიტნს“. ეს იყო კიდევ ერთი ახალი საფეხური ვლახეთის კულტურულ ცხოვრებაში არსებული დიდი მოძრაობისა, რომელსაც სათავეში ედგა ანთიმ ივერიელი და რომელიც მიზნად ისახავდა ბრძოლას ბერძნული ეკლესიის ჰეგემონიის წინააღმდეგ ვლახეთის ეკლესიებსა თუ მონასტრებში. საფუძველი ეყრება „ეკლესიებში ღვთისმსახურების რუმინიზაციას“, რომლის დევიზადაც აღებულ იქნა შემდეგი სიტყვები: „მე მირჩენია ეკლესიებში ითქვას მხოლოდ ხუთიოდე სიტყვა იმ ენაზე, (რუმინულზე — ო. გ.) რომელიც ყველასათვის გასაგები იქნება, ვიდრე წარმოითქვას ოცი ათასი სიტყვა მსმენელთათვის გაუგებარ ენაზე (ბერძნულ ენაზე — ო. გ.)“¹⁰⁶.

ჩვენ აქ აღარ შევჩერდებით ანთიმ ივერიელის მიერ მომდევნო წლებში გატარებულ ყველა ღონისძიებებზე, რომლებითაც იგი წინააღმდეგ ბერძნული ეკლესიის ინტერესებს. შევეხებით მხოლოდ რამდენიმეს. პირველ რიგში ანთიმ ივერიელსა და იერუსალიმის საპატრიარქოს შორის მომხდარ კონფლიქტს. საქმე შემდეგში იყო. დაახლოებით 1710 წელს, როდესაც ანთიმ ივერიელი უკვე უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტია, იერუსალიმის პატრიარქმა ქრიზანთემ კატეგორიულად მოითხოვა, რათა ვლახეთის მონასტრები და ეკლესიები დამორჩილებოდნენ იერუსალიმის საპატრიარქოს და მათ ელიარებინათ ქრიზანთე!¹⁰⁷ თავიანთ „სრულუფლებიან პატრონად, როგორც ადმინისტრაციულ საქმეებში, ასევე რელიგიურში“¹⁰⁸. ქრიზანთეს ასეთმა მისწრაფებამ

¹⁰⁵ იხილეთ ამ წიგნის გვ. 97.

¹⁰⁶ Biserica Ortodox Romîna, № 8—9, 1956, გვ. 731. ხოლო თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა ისტორიის გარკვეულ პერიოდში ამა თუ იმ ერისთავის მის მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების წარმოებას, ეს კარგად ჩანს გიორგი მერჩულის სიტყვებიდან, რომელსაც მხედველობაში თუმცა მხოლოდ საქართველო აქვს, მიუხედავად ამისა მისი სიტყვები საესებით შეიძლება გამოიყენოთ ელახეთის მიმართაც. გიორგი მერჩულე წერდა: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღიარებების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწირვის და ლოცუა ყოველი აღსრულების“ გ. მერჩულე. ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თბილისი, 1949, გვ. 97.

¹⁰⁷ მიუხედავად ამისა, რომ იერუსალიმის პატრიარქი ქრიზანთე დიდ პატივს სცემდა პირადად ანთიმ ივერიელს E. H u r m u z a k i, Documente, vol. XIV, par II, გვ. 734. როგორც ეხედავთ, იერუსალიმის პატრიარქი ამ შემთხვევაში გვევლინება ბერძნული ეკლესიის ექსპანსიური წრეების ტიპიურ წარმომადგენლად.

¹⁰⁸ N. I o r g a, Mitropolitul Antim Ivireanu în lupta cu Ierusalimul pentru drepturile Bisericii sale იხილეთ Biserica Ortodoxa Romîna, LII, 1934, გვ. 11—12, I. R a m u r e a n u, Legaturile mitropolitului Antim Ivireanul cu Patriarhia Ecumenica si cu Patriarhia Apostolica a gerasalimului, იხილეთ Biserica Ortodoxa Romîna, № 8—9, 1956, გვ. 846—853.

ანთიმ ივერიელის მხრივ სასტიკი პროტესტი გამოიწვია. იგი წერდა: „...პირდაპირ სასაცილოა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ვლახეთში არსებული ეკლესიები თუ მონასტრები უნდა ემორჩილებოდნენ იერუსალიმის პატრიარქს ანდა სხვა საპატრიარქოს... არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება ვლახეთის მონასტრები და ეკლესიები დამორჩილებული რომელიმე პატრიარქს უცხო მიწა-წყლების ეპარქიებიდან.., ყველა ეს მონასტერი და ეკლესია იმყოფება ჩვენი გამგებლობის ქვეშ... და მათში მხოლოდ ჩვენ გვიპყრია წმიდა ტახტი და არა იერუსალიმის პატრიარქს“¹⁰⁹. და შემდეგ „...არ დავუთმობთ მას (იერუსალიმის პატრიარქს — ო. გ.) ჩვენს უფლებებს, თუნდაც თვით ღვთის ანგელოზმა გვიბრძანოს ამის შესახებ ზეციდან“¹¹⁰.

ანთიმ ივერიელის დაპირისპირება იერუსალიმის საპატრიარქოსადმი და მის მიერ გამოვლენილი „ღირსება, სიმტკიცე და პატრიოტიზმი“ ნით უფრო ხდება თვალსაჩინო და დასაფასებელი, თუ ჩვენ გავიხსენებთ ანალოგიურ შემთხვევას. როდესაც მოლდავეთის მიტროპოლიტს გედეონს, ანთიმ ივერიელის თანამედროვეს, ქრიზანთემ მოსთხოვა, რათა მას დამორჩილებოდნენ გალათას, წმ. სებას, პარნოვსხის და მოლდავეთის სხვა მონასტრები, იგი მაშინვე დათანხმდა და არარად ჩაავდო მოლდავეთის ეკლესიის ინტერესების შებღალვა¹¹¹.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სხვა მომენტი. 1713—1715 წლებში ანთიმ ივერიელმა ბუქარესტში ააშენა „ყოვლად წმიდათა“ მონასტერი¹¹² ამ მონასტრისათვის ანთიმ ივერიელს დაუწერია წესდება, რომელიც შედგება შესავლისა და 32 თავისაგან¹¹³.

„ყოვლად წმიდათა“ მონასტრის წესდების შედგენის დროს ანთიმ ივერიელი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა მონასტრის დამოუკიდებლობის საკითხს. „იერუსალიმის ხელნაწერში № 605“ ჩვენ ვკითხულობთ: „ყოვლად წმიდათა მონასტერი არასოდეს დამორჩილებული და დაქვემდებარებული არ უნდა ყოფილიყო, არც საპატრიარქო ბატონობით დამონებული, არც ხელმძღვანელობის თვითნებობით და არც სახელმწიფო პირების მხრივ, არამედ მარად და ყოველმხრივ თავისუფალი, სრულიად დამოუკიდებელი და უბატონო დარჩენილიყო. დამორჩილებოდა და მართული ყოფილიყო მხოლოდ წინამძღვრისა და

¹⁰⁹ E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par. III, pag. 79.

¹¹⁰ იქვე.

¹¹¹ G. Strempele, Antim Ivireanul, Predici, 1962, pag. 19.

¹¹² E. Picot... pag. 522; N. Iorga, Inscriptii din bisericile României, I, Buc, 1905, pag. 281.

¹¹³ Academia R. P. R. manuscrisul românesc nr. 3342.

ტუთი ეპიტროპის მიერ, რომელთაც თავის დროზე აღმასრულებლად და მეთვალყურედ დააყენებდა უშუალოდ თვითონ წინამძღვარი. არავითარ სხვა რომელიმე წოდების, მდგომარეობისა და რანგის ადამიანს არ შეძლებოდა რაიმეგვარად სიტყვით ან საქმით ჩარეულიყო მონასტრის მმართველობაში, ან ებრძანებინა და თქმით იძულებულ ეყო — ეს ასე უნდა მოხდეს, ის კი სხვაგვარად. არამედ დაეცვა თითოეულის საკუთარი საზღვარი და მონასტერი გამოყოფილი ყოფილიყო მათგან, რომ გორაკ მიუყერძობელი“¹¹⁴.

მოთხოვნა „წმიდათა მონასტრის“ დამოკიდებულობის უფლების მოპოვების შესახებ ანთიმ ივერიელს წარუდგენია იერუსალიმის პატრიარქის ქრიზანთესათვის, რომელიც ამ დროს ბუქარესტში იმყოფებოდა და მოუთხოვია, რათა პატრიარქს „განემტკიცებინა“ ის „საპატრიარქო სიგელით“¹¹⁵. ქრიზანთე დათანხმებულა. რა იყო ამის მიზეზი, გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია.

¹¹⁴ Recueil de documents Grecs, Paris, 1895. გვ. 187—188.

¹¹⁵ აქ არ უნდა გავიგოთ როგორც შეუსაბამობა, ერთს მხრივ, ანთიმ ივერიელის კატეგორიული ვანცხადებასა, რომ ელახეთის ეკლესიები და მონასტრები არ ემორჩილებიან იერუსალიმის პატრიარქს, ხოლო, მეორეს მხრივ, აქ მოხსენებულ ანთიმ ივერიელის მიერ გადადგმულ ნაბიჯ შორის. თუმცა, ერთი შეხედვით, ამის საფუძვლილი სასებით საკმარისია. თუ ანთიმ ივერიელი უარს აცხადებს დაუმორჩილოს იერუსალიმის პატრიარქს ელახეთის ეკლესიები და მონასტრები, მაშ რატომღა წარუდგინა მან იმავე ქრიზანთეს მოთხოვნა „ყოვლად წმიდათა“ მონასტრის დამოუკიდებლობის უფლების მოპოვების შესახებ „განსამტკიცებლად“? ნუთუ ანთიმ ივერიელი დამორჩილდა ბერძენი სამღვდელთა მომტყუარებას და მსჯავსად მოლდავეთის მიტროპოლიტის გელეონისა, უკვე უსიტყვოდ ასრულებდა ბერძენი პატრიარქის ნება-სურვილს. სრულბოთაც არა. ანთიმ ივერიელი, რომელიც იერუსალიმის პატრიარქთან კონფლიქტის დროს წინაღუდა მის მისწრაფებას, დაეწესებინა სრული კონტროლი უნგრო-ელახეთის ეპარქიაზე და უკომპრომისოდ ჩარეულიყო მის შინაგან საქმეებში, მომავალში მტკიცედ იცავდა ელახეთის ეკლესიის ეროვნულ ინტერესებს. (აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ ანთიმ ივერიელის მიერ ელახეთის ეკლესიებსა და მონასტრებში ღვთისმსახურების რუმინულ ენაზე შემოღების შესახებ, ნაცლად ბერძნულსა. იხ. გვ. 33). თუ ანთიმ ივერიელმა იერუსალიმის პატრიარქს ქრიზანთეს წარუდგინა მის ეპარქიაში შემავალს ერთ-ერთი მონასტრისათვის („ყოვლად წმიდათა“) დამოუკიდებლობის მოპოვების მოთხოვნა „განსამტკიცებლად“, ეს იმას ნიშნავდა, რომ ანთიმ ივერიელი ცნობდა ბერძნული საპატრიარქოს მხოლოდ გა რ ე გ უ ლ უ ფ ლ ე ბ ა ს, ისევე როგორც ზოგიერთი კანონიკურ უფლებას (მაგალითად, ელახეთის ეკლესიებსა და მონასტრებში ღვთისმსახურების დროს ბერძენი პატრიარქის სახელის მოხსენიება) და არამც და არამც ბერძენი პატრიარქის უფლებას, ჩარეულიყო ელახეთის ეპარქიის მ ა რ თ ე ა - გ ა მ გ ე ო ბ ი ს შ ი ნ ა გ ა ნ ს ა ქ მ ე ე ბ შ ი.

დაახლოებით ანალოგიური ვითარება იყო შექმნილი საქართველოში, როდესაც ქართული ეკლესია ვეღარ ურჩევდებოდა ბერძენთა ბატონობას, იბრძოდა თვითმმართველობის მოსაპოვებლად და VIII-IX საუკუნეებისათვის აღწევს კიდევ დიდ წარმატებას. რო-

1710 წლიდან დაწყებული, როდესაც წარმოიშვა უთანხმოება იერუსალიმის პატრიარქსა და ანთიმ ივერიელს შორის ვლახეთის ეპარქიაზე იერუსალიმის საპატრიარქოს უფლებებთან დაკავშირებით, თითქმის სამი წლის მანძილზე ანთიმსა და ქრიზანთეს შორის მეტად დაძაბული ურთიერთდამოკიდებულება არსებობდა. მათ ერთმანეთთან მიმოწერაჲ კი შეწყვიტეს¹¹⁶, რომელიც მხოლოდ 1712 წლისათვის განახლდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ ქრიზანთემ გადაწყვიტა სტამბის დაარსება და დახმარებისათვის ანთიმ ივერიელს მიმართა¹¹⁷.

ვინ იცის, იქნებ ამ ზეღისშეწყობამ, ანდა იმ გარემოებამ, რომ იერუსალიმის პატრიარქი ანთიმ ივერიელს პირადად დიდ პატივს სცემდა, და მის „საუკეთესო მეგობრად“¹¹⁸ ითვლებოდა, გული მოუბრუნა ქრიზანთეს და იგი დათანხმდა დაეკმაყოფილებინა ანთიმ ივერიელის მოთხოვნა. იერუსალიმის პატრიარქის ასეთი მოქმედება მეტად მოულოდნელი იყო ბერძენი ეკლესიის მესვეურთათვის. ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელსაც ზელს აწერს „იერემია ღვთის შეწევნით, არქიეპისკოპოსი კონსტანტინოპოლისა, ახალი რომისა და მსოფლიო პატრიარქი“, ჩვენ ვკითხვლობთ, რომ ანთიმ ივერიელის „პრეტენზია“ დაუკმაყოფილებია იერუსალიმის პატრიარქს, „თუმცა არ ვიცი როგორ?“¹¹⁹, — გოცებითა და გულისწყრომით დასძენს კონსტანტინოპოლის პატრიარქი.

მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად. ანთიმ ივერიელის მოთხოვნით იერუსალიმის პატრიარქმა ქრიზანთემ გამოსცა სინოდალური სიგელი. ეს სიგელი შემდეგი სახელწოდებითაა ცნობილი: „ქრიზანთე იერუსალიმელის სიგელი, რომელიც ამტკიცებს უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტ ანთიმის მიერ ბუქარესტში აშენებულ „ყოვლად წმიდათა“ მონასტრის სამართლიან თხოვნას და მის განთავისუფლებას გადასახადისაგან“. სიგელში ნათქვამია: „...საპატიო მონასტერი, სახელად „ყოვლად წმიდათა“, რომელიც საფუძვლიდან ბოლომდე ბუქარესტში დააარსა ზსენებულმა უწმიდესმა მიტროპოლიტმა უნგრო-ვლახეთისა და ჩვენმა თანამოძმემ უფალმა ანთიმმა, მისი მამულებით, უძრავი ქონებით და

გორკ გადმოგვეცემს ეფრემ მცირე, ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს დროიდან (741—751) ქართულ ეკლესიაზე ბერძნული საპატრიარქო კარის უფლება გამოიხატებოდა მხოლოდ იმაში, რომ საქართველოს კათალიკოსი ღვთისმსახურების დროს მხოლოდ მოიხსენიებოდა ანტიოქიის პატრიარქის სახელს. (თ. ჟორდანი, ქრონიკები. I, გვ. 75—76).

¹¹⁶ E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par. III, გვ. 105—107.

¹¹⁷ E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par. III, გვ. 106—107.

¹¹⁸ E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par. II, გვ. 794.

¹¹⁹ Recueil de documents Grecs, Paris, 1895, გვ. 235.

სხვა მოძრავი შეწირულებებით, განძით, წმინდა შესამოსლით და ვერ-
ცხლის ქურჭლით, ამიერიდან იქნება და დარჩება თავისუფალი,
დაუმონებელი და უბატონო, სრულიად დამოუკიდებელი, მიუ-
დგომელი და ხელუხლებელი ყოველგვარ საპატრიარქო და ხელისუ-
ფალ პირთაგან, თვით მღვდელმთავრისა და ყველა სხვა სახელმწიფო
უპირატესობისა და ღირსების მქონე პირთაგან... ვინც თავის ძალაუფ-
ლებაზე დაყრდნობით, ან იმ დროის ხელისუფალთა, ან ადგილობრივ
მღვდელმთავართა, სახელმწიფო პირთა თუ ყოველ სხვა წარმომადგე-
ნელთა დახმარებით შეეცდება წმიდა მონასტრის დაქვემდებარებას და
დამონებას სხვა პირისადმი, შერყევას, გადასხვაფერებას, ან შემოკლე-
ბას დაწერილის თავხედობითა და უგულებელყოფით, იგი მოკვეთილ
იქნება და სხვ. (მოსდევს წყევლა — ო. გ.). ამრიგად, აქ დამთავრდა
ჩვენი საპატრიარქო სიგელი, პერგამენტზე დაწერილი. იგი გადაეცეს
მღვდელს იმ მონასტერში საიმედოდ დასაცავად, გასახსენებლად და
საუკუნო განსაცხადებლად¹²⁰.

ანთიმ ივერიელის მიერ თავის წესდებაში წამოყენებულ „ყოვლად
წმიდათა მონასტრის“ დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით,
ჩვენ საჭიროდ ვთვლით მოვახდინოთ მცირე ექსკურსი.

როგორც ვიცით, ქართველმა გრიგოლ ბაკურიანისძემ ბულგარეთ-
ში, რომელიც იმ დროს ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში შედიოდა,
1083 წელს ააშენა ცნობილი პეტრიწონის (ბაჩკოვოს) მონასტერი და
მისთვის წესდებაც შეადგინა¹²¹.

თუ ჩვენ ამ ორ წესდებას ერთმანეთს შევადარებთ, მაშინათვე
ყურადღებას მიიპყრობს ერთი გარემოება. თუ ანთიმ ივერიელი თავის
წესდებაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ყოვლად წმიდათა“ მონასტე-
რი „არასოდეს დამორჩილებული და დაქვემდებარებული არ უნდა
ყოფილიყო, არც საპატრიარქო ბატონობით დამონებული, არც ხელ-
მღვანელობის თვითნებობით და არც სახელმწიფო პირების მიერ,
არამედ მარად და ყოველმხრივ თავისუფალი, სრულიად დამოუკიდებე-
ლი და უბატონო დარჩენილიყო“, გრიგოლ ბაკურიანისძე თავის
მხრივ პეტრიწონის მონასტრის წესდების მესამე თავში, რომელიც

¹²⁰ Recueil de documents Grecs, Paris, 1895, გვ. 190—191.

¹²¹ როგორც თვითონ გრიგოლ ბაკურიანისძე წერდა, პეტრიწონის მონასტრის წეს-
დება დამტკიცებული ყოფილა „იერუსალიმის უწმიდესი პატრიარქის უფალ ექვთიმეს
მიერ“, მისი ყოფნის დროს გრიგოლ ბაკურიანისძის მამულებში, კერძოდ ფილიპოპო-
ში. (გეორგიკა, ტ. V, გვ. 253—255); ისევე როგორც 632 წლის შემდეგ „ყოვლად წმი-
დათა“ მონასტრისათვის ანთიმ ივერიელის მიერ შედგენილი წესდება „განამტკიცა“ იე-
რუსალიმის პატრიარქმა ქრიზანთემ, ვლახეთის მიტროპოლიტთან ყოფნის დროს ბუქა-
რესტში.

დასათაურებელია „იმის შესახებ, რომ ჩვენ მიერ აგებული წმინდა მონასტერი თავისუფალია ყოველგვარი გადასახადისაგან“, შემდეგ წერდა: „...ჩვენ განვსაზღვრეთ წმიდა ეკლესიები და მათი კუთვნილი ჯწმიდესი სენაკები და უდაბნოები, რომლებშიც უუღლო ჯოგები მწყობრად და დამშვიდებით ივლიან, ყოველნაირად თავისუფალნი იქნებიან... ჩვენ აგრეთვე განვსაზღვრეთ, რომ ზემოთ ხშირად ხსენებულ მონასტრისათვის (პეტრიწონის მონასტრისათვის — ო. გ.) ბოძებული უძრავი, მოძრავი და თვითძრავი ქონება იქნება თავისუფალი და დაუმონებელი, მასთან (ე. ი. მონასტერთან) ერთად, რომელიც არის თვითმფლობელი, თავისთავად მქონებელი თავის თავზე ბატონობისა. რომელიც არ ექვემდებარება არავითარი სახის გადასახადს, არც სამეფოს, არც რომელიმე ლეთისმოყვარე მიტროპოლიტისას, ან ეპისკოპოსისას, ან სხვა რომელიმე საეკლესიო ან სამთავრო პირისას. ან რომელიმე ჩვენი შინაური ნათესაჯისას... თავისუფალი არის აგრეთვე ყოველგვარ საერო მთავართაგან და მეთაურთაგან, დიდიდან ვიდრე პატარამდე“¹²².

აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ბაკურიანისძე, რომელიც ბიზანტიის სამსახურში იმყოფებოდა, სასტიკად ილაშქრებდა ბიზანტიის სასულიერო ხელისუფლების წინააღმდეგ. გრიგოლ ბაკურიანისძე თავის წესდებაში ხაზს უსვამდა, რომ მონასტერი აშენებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართველთათვის. მის თანამემამულეთათვის. მონასტერში ძყოფი ბერები, წესდების მიხედვით, ქართველები უნდა ყოფილიყვნენ ან სხვა ეროვნების წარმომადგენლები და არავითარ შემთხვევაში — ბერძნები. გრიგოლ ბაკურიანისძე დაჟინებით მოითხოვდა, რომ პეტრიწონის მონასტერში არასოდეს არ ყოფილიყო მიღებული ბერძენი ბერი, გარდა ერთისა, ისიც მხოლოდ ბერძნულის მწერლად. „ასეთ ბრძანებას იმის გამო ვცემ ასე მტკიცედ, — წერდა გრიგოლ ბაკურიანისძე, — რომ ბერძნები მოძალადენი არიან, უპირონი და ანგარნი, და მონასტერს რამე გაჭირვებასა და ენებას შეამთხვევენ, ან ვინმე მოწინააღმდეგეს დააყენებენ ადგილზე, რომელიც შეეცდება იქ გაბატონდეს, ან მამასახლისობა თვითონ მიითვისოს, ან სხვა რაიმე დაწყველილი საბაბით მონასტერი მიიჩემოს, რაც ჩვენ ხშირად გვინახავს მათგან ჩადენილი ჩვენი ტომის გულუბრყვილობისა და გულმართლობის წყალობით“¹²³.

გრიგოლ ბაკურიანისძის გადაწყვეტილება, გამიჯნოდა ბერძნულ ეკლესიას, აიხსნებოდა, ჯერ ერთი, იმ დაუცხრომელი ბრძოლით, რომელიც ბერძენ და ქართველ სასულიერო პირთა შორის წარმოებდა,

¹²² გეორგიკა, ტ. V, გვ. 133.

¹²³ გეორგიკა, ტ. V, გვ. 219.

როგორც ათონის, ისე შავი მთისა და იერუსალიმის მონასტრებში და, მეორეც, იმ გარემოებით, რომ ამ პერიოდში „ქართველებმა ეკლესიურ-კულტურულად და თან ეროვნულადაც კატეგორიულად დაუპირისპირეს თავისი თავი ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროს“.

ანთიმ ივერიელის გადაწყვეტილებაც — მოეპოვებია „ყოვლად წმიდათა“ მონასტრისათვის დამოუკიდებლობა, ჩვენ უნდა განვიხილოთ, როგორც კერძო შემთხვევა იმ საერთო მიმდინარეობაში, რომელიც გამოიხატებოდა რუმინული ეკლესიის ეროვნული ინტერესების დაპირისპირებაში ბერძნულ სასულიერო სამყაროსთან. თუმცა ანთიმ ივერიელი თავის წესდებაში, მსგავსად გრიგოლ ბაკურიანისძისა, არ მოითხოვდა არ დაეშვათ „ყოვლად წმიდათა“ მონასტერში ბერძენი ბერები, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იგი გადაჭრით მოითხოვდა ვლახეთის ეკლესიებსა და მონასტრებში ბერძენთა ჰეგემონიის შეზღუდვას, მოითხოვდა ღვთისმსახურების წარმოებას რუმინულ ენაზე და ამის განსახორციელებლად მან სათანადო ნაბიჯებიც გადადგა¹²⁴. ასეთი ღონისძიებების გატარება კი განა იმის ტოლფასოვანი არ იყო, რომ ვლახეთის ეკლესიებიდან და მონასტრებიდან განდევნილი ყოფილიყვნენ ბერძენი სასულიერო პირნი? რომელი ბერძენი მღვდელი ან ბერი თავისი სურვილით დათანხმდებოდა შეესწავლა რუმინული ენა და ამ ენაზე ეკითხა ლოცვა-გალობანი?¹²⁵.

ანთიმ ივერიელის, როგორც სრულიად უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტის მხრივ „ყოვლად წმიდათა“ მონასტრის დამოუკიდებლად გამოცხადება, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ეტაპი იყო იმ დიდი და ძნელი ბრძოლისა, რომელიც მიზნად ისახავდა რუმინული ეკლესიისათვის ~~ქრისტიანული~~ ავტოკეფალიის მოპოვებას ბერძნული ეკლესიიდან; ავტოკეფალიისა,

¹²⁴ იხ. ამ წიგნის გვ. 33, 108—109.

¹²⁵ ბერძნული ეკლესიის ექსპანსიის პერიოდში ვლახეთში რუმინულ ენაზე ღვთისმსახურების წარმოებას უღაჲოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს იყო მაჩვენებელი იმისა, რომ ვლახეთის ეპარქიას თვითმმართველობის მისაძიებლად წარმოებულ ბრძოლაში გარკვეული წარმატებები ჰქონდა მოპოვებული, რასაც, თავის მხრივ, შედეგად მოჰყვა ამ ეპარქიის შინაური ცხოვრებისათვის ეროვნული ელფერის მიცემა. მიხეილ თამარაშვილის საქართველოს ეკლესიის თვითმმართველობის და დამოუკიდებლობის დასამტკიცებლად შემდეგი მაგალითი მოჰყავს: მიქელ მოღრეჯილის საგალობელთა კრებული (X საუკუნე) შეიცავს მრავალ ქართულ საგალობელს, შედგენილს ქართული სამღვდლოების მიერ ჯერ კიდევ IX საუკუნისა და თვით VIII საუკუნის წინა ხანებში. ამ საგალობლების სიძველე ახალი საბუთია იმისა, რომ ქართული ეკლესია აღნიშნულ დროს დამოუკიდებელი იყო. მართლაც, იგი დამოუკიდებელი ან ავტოკეფალური რომ არ ყოფილიყო, ვერ შესძლებდა შეექმნა საკუთარი ქართული საგალობლები, არამედ გადმოიღებდა მათ იმ ეკლესიიდან, რომელსაც იგი ექვემდებარებოდა. Michel Tamarati. L'Eglise géorgienne des origines jusqu'à nos jours, Rome, 1910, გვ. 300—301.

რომლის მისაღწევად ქართული ეკლესია თავის მხრივ ასეული წლები ნანძილზე ილაშქრებდა ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოების ბატონობის წინააღმდეგ¹²⁶.

მაგრამ არ იქნებოდა სწორი, რომ ჩვენ ანთიმ ივერიელის მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმების მნიშვნელობა მხოლოდ ეკლესიათა შორის წარმოებული ბრძოლის მნიშვნელობით შემოგვეფარგლა. იმ დროს, როდესაც მთელს ვლახეთში ბერძნული ენა სდევნის რუმინულს მთავრის სამეფო კარიდან, ადმინისტრაციულ დაწესებულებებიდან, სასწავლებლებიდან (ეკლესიებსა და მონასტრებზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან აქ ბერძნული ენის სრული ჰეგემონია სუფევდა), მაშინ როდესაც ზდება მთელი ქვეყნის ელინიზაცია, „რუმინული ნაციონალიზმის“¹²⁷ წინააღმდეგ დაჟინებითი და მეთოდური შეტევა, ასეთ ვითარებაში რუმინულ ენაზე ღვთისმსახურების წარმოებას უდავოდ ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჩვენ აქ საჭიროდ ვთვლით კიდევ ერთხელ გავიხსენოთ გიორგი მერჩულე, რომელსაც მხედველობაში თუძცა მხოლოდ საქართველოს სინამდვილე ჰქონდა, მიუხედავად ამისა, მისი სიტყვები სავსებით შეიძლება გამოვიყენოთ ვლახეთის მიმართაც. გიორგი მერჩულე წერდა: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“¹²⁸.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა რეაქციას გამოიწვევდა ბერძნული ეკლესიის მესვეურთა შორის ანთიმ ივერიელის მიერ „ყოვლად წმიდათა მონასტრის“ დამოუკიდებლად გამოცხადება, გასაგები გახდება, თუ რატომ გაიოცა მსოფლიო პატრიარქმა იერემიამ, როდესაც მან მონასტრის დამოუკიდებლობის შესახებ იერუსალიმის საპატრიარქოს თანხმობა შეიტყო. ანთიმ ივერიელის სიკვდილის შემდეგ¹²⁹ (საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ ანთიმ ივერიელის დაღუპვის ამბავს ბერძნული ეკლესიის მესვეურნი კმაყოფილებით შეხვდნენ. ისინი არც ცდილობდნენ დაეფარათ სიხარულისა და ნიშნისგე-

¹²⁶ П. Иоселиани, краткая история грузинской церкви, СПб. 1843; მ. ჯანაშვილი, საქართველოს ეკლესიის ისტორია, 1901; პ. კარბელაშვილი, იერარქია საქათველოს ეკლესიისა, 1904; ე. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, 1918; M. Tamarati, L'Eglise géorgienne dès origines jusqu'à nos jours, Rome, 1910.

¹²⁷ Regnault Elias, Histoire politique et sociale des principates d'oubiennes, Paris, 1855, გვ. 31—68.

¹²⁸ გ. მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თბილისი, 1949, გვ. 97.

¹²⁹ ანთიმ ივერიელი მოკლულ იქნა „ყოვლად წმიდათა მონასტრის“ წესდების დამტკიცების ერთი წლის შემდეგ, 1716 წელს.

ბის გრძნობა ურთიერთმიმოწერაში¹³⁰) მსოფლიო პატრიარქმა იერემიამ მოიწვია საგანგებო სინოდალური სხდომა. მას ესწრებოდნენ უმაღლესი იერარქიის მღვდელმთავარნი. სხდომის გადაწყვეტილებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა შემდეგ დოკუმენტში: „საპატრიარქო სინოდალური სიგელი ბუქარესტის „ყოვლად წმიდათა“ პატიოსანი მონასტრისა, რომელიც დაარსებულია უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტის ანთიმის მიერ“. სპეციალურ საპატრიარქო სინოდალურ სიგელში ნათქვამი იყო: „ვბრძანებთ სინოდალურ აზრს და უბრძნესი პატრიარქისა იერუსალიმისა, უფლის უფალი ქრიზანთესი, ჩვენსა უწმიდეს და უძვირფასეს მიტროპოლიტთა, სიყვარულისა სული წმიდისა ჩვენთა ძმათა და თანაყამწირველთა აზრს, რომ თვითმმართველობა და დამოუკიდებლობა „ყოვლად წმიდათა“ მონასტრის, უფრო ზუსტად, უმეთაურობა, როგორც უაზრო და მიუღებელი გაუქმებულ და მოსპობილ იქნას“¹³¹.

სინოდალურ სიგელში რომ განსაკუთრებით გამოყოფილია პატრიარქ ქრიზანთეს სახელი, ეს შემთხვევითი არაა, რადგან, როგორც ვიცით, სწორედ მან „განამტკიცა საპატრიარქო სიგელით“ „ყველა წმიდათა“ მონასტრის დამოუკიდებლობა. მაგრამ, როგორც ჩანს, უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტის ანთიმ ივერიელის სიკვდილის შემდეგ ქრიზანთე აიძულეს შეეცვალა თავისი ადრინდელი გადაწყვეტილება და თვითონვე ეღიარებინა ის, როგორც „უაზრო და მიუღებელი“¹³².

ბერძნული ეკლესიის მღვდელმთავარნი ჩქარობდნენ აღედგინათ „ყოვლად წმიდათა“ მონასტრის „კანონიერი მმართველობა“¹³³. მონასტრის „მეთვალყურეობა და მმართველობა“ „დღეიდან და მომავალში“ ევალებოდა „უნგრო-ვლახეთის ახლადარჩეულ მიტროპოლიტს უფალ მიტროფანეს“¹³⁴ და მის შემდგომ უნგრო-ვლახეთის მღვდელმთავართ“¹³⁵.

ანთიმ ივერიელი, ჩანს, ითვალისწინებდა იმ გარემოებას: თუ

¹³⁰ E. Hurmuzaki, Documente, vol XIV, par. II, გვ. 794, 796. E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par. III, გვ. 124.

¹³¹ Recueil de documents Grecs, Paris, 1895, გვ. 237—238.

¹³² სინოდალურ სიგელს, რომელიც აუქმებდა „ყველა წმიდათა“ მონასტრის დამოუკიდებლობის უფლებას, სხვა მღვდელმთავართა შორის ხელს აწერდა იერუსალიმის პატრიარქი ქრიზანთე. Recueil de documents Grecs, Paris, 1895, გვ. 239.

¹³³ Recueil de documents Grecs, Paris, 1895, გვ. 238.

¹³⁴ მიტროფანე ნისელი, ვლახეთის მთავრის კონსტანტინე ბრინკოვიანუს ყოფილ სულიერი მოძღვარი, ჰერ კიდევ ბრინკოვიანუს მმართველობის პერიოდში ცილს სწამებდა ანთიმ ივერიელს და ყოველმხრივ ცდილობდა მისი სახელის შელახვას. იხ. ამ წიგნის გვ. 142. აგრეთვე Predice... ed. I. Bianu, გვ. XXIII—XXIV.

¹³⁵ Recueil de documents Grecs, Paris, 1895, გვ. 238.

მან ამჯერად შესძლო „ყოველად წმიდათა“ მონასტრისათვის დამოუკიდებლობის მოპოვება, მომავალში ბერძნული ეკლესია ყოველმხრივ შეეცდებოდა დანაკარგის ანაზღაურებას. ამიტომაც იგი წყევლითა და შეჩვენებით ემუქრებოდა ყველას, ვინც კი ხელყოფდა მონასტრის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. „ვინც თავის ძალაუფლებაზე დაყრდნობით — ვკითხულობთ ჩვენ იერუსალიმის ზელნაწერში №605 — ან იმ დროის ზელისუფალთა ან ადგილობრივ მღვდელმთავართა, სახელმწიფო პირთა თუ ყოველ სხვა წარმომადგენელთა დახმარებით შეეცდება წმიდა მონასტრის დაქვემდებარებას და დამონებას... იგი მოკვეთილ იქნება“¹³⁶... და შემდეგ „წყევლითა და კრულვით წარსდგეს სამსჯავროს წინაშე ის, ვინც გაბედავს მონასტრის ამგვარი წყობის, თვითმმართველობისა და დამოუკიდებლობის შერყევას“¹³⁷.

„მსოფლიო საყდარმა“ თავისი მფარველი ხელი გადააფარა „ერთგულ ღვთისმოსავე მსახურთ“, რომელთა დასაცავად ანთიმ ივერიელის რისხვისაგან საგანგებო სიგელიც კი დაადგინა: „წყევლა და კრულვა, — ვკითხულობთ ჩვენ „იერუსალიმის ზელნაწერში № 605, — რომელსაც ადრე გამოქვეყნებული სინოდალური სიგელი შეიცავდა, მიუღწეველი და უქმი, შეწყდა და აღმოიფხვრა. უმაღლესი და უწმიდესი მღვდელმთავარნი, მიტროპოლიტი უნგრო-ვლახეთისა უფალი მიტროფანე, და მის შემდგომ ისინი, ვინც სამღვდელმთავრო მფარველობას უნგრო-ვლახეთისა მიიღებენ, არიან თავისუფალი ამგვარი წყევლისა და კრულვისაგან“¹³⁸.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა: ბერძნული ეკლესიის ერთგული მსახური (სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო ანთიმ ივერიელი, თუ სარწმუნოდ ჩავთვლით ფაქტს, რომ იგი ბავშვობის ასაკიდან თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე იმყოფებოდა იერუსალიმის საპატრიარქო კარზე) ვლახეთში ჩასვლისთანავე ილაშქრებს ბერძნული ეკლესიის ინტერესების წინააღმდეგ (რაც წარმოადგენს უცილობელ ფაქტს).

რას უნდა გამოეწვია ასეთი გარდატეხა ანთიმ ივერიელის მრწამსში? რა უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ანთიმ ივერიელმა ვერც კი მოასწრო საფუძვლიანად ვლახეთის მიწა-წყალზე ფეხის მოკიდება, რომ იგი უკვე დგამს ისეთ ნაბიჯებს, რომლებმაც დასაბამი მისცეს მის მოღვაწეობას, შეფასებულს შემდეგი სიტყვებით: ეს იყო „იშვიათი

¹³⁶ Recueil de documents Grecs, Paris, 1825, გვ. 191.

¹³⁷ Academia R. P. R., manuscrisul romfnesc nr. 3342.

¹³⁸ Recueil de documents Grecs, Paris, 1895, გვ. 238.

მაგალითი რუმინული პატრიოტიზმისა“¹³⁹. ანდა რით უნდა აიხსნას ან-
თიმ ივერიელის პიროვნების მიმართ ნ. ბერძენიშვილის მიერ საესეებით
სამართლიანად გამოთქმული თვალსაზრისი: „რაც შეეხება მის (ანთიმ
ივერიელის — ო. გ.) ინტელექტუალურ ვინაობას — წერს ნ. ბერძენი-
შვილი, — ეს მოღვაწე უპირველეს ყოვლისა რუმინიის პატრიოტია,
ბერძენთა გავლენის წინააღმდეგ მებრძოლი“¹⁴⁰.

აქვე საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ არც ერთ მკვლევარს არ
მიუქცევია ყურადღება იმ გარემოებისათვის, თუ როგორ და რანაირად
შეეძლო ანთიმ ივერიელს, ადამიანს, რომელიც თითქმის მეოთხედი სა-
უკუნის მანძილზე იმყოფებოდა ბერძნულ გარემოში, ვლახეთში — ამ
უცხო ქვეყანაში ჩასვლისთანავე გამხდარიყო მისი პატრიოტი და ბერ-
ძნული ეკლესიის ინტერესების წინააღმდეგ მებრძოლი. სამწუხაროდ,
დღემდე არც ერთ მკვლევარს არ გაუანალიზებია ეს შეუსაბამობა და
არ გამოუტანია სათანადო დასკვნა. დასკვნა კი შემდეგი იქნება. არავი-
თარ შეუსაბამობას და ანთიმ ივერიელში მომხდარ სრულიად გაუგე-
ზარ მეტამორფოზას აღარ ექნებოდა ადგილი, თუ ჩვენ საწყისად ავი-
ღებთ არა იმ ვერსიას, რომლის მიხედვითაც ანთიმ ივერიელი 16 წლის
ასაკიდანვე ყოფილა შეფარებული ბერძენი პატრიარქის კარს, სადაც
მთელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე ფორმირდებოდა მისი „მოქალა-
ქეობრივი სახე“, არამედ ჩავთვალოთ, რომ ანთიმ ივერიელი იერუსა-
ლიმის საპატრიარქო კარზე მოხვდა არა 16 წლისა, არამედ იმ ასაკში,
როდესაც იგი უკვე წარმოდგენდა სრულიად ჩამოყალიბებულ პიროვნე-
ბას „გარკვეული ინტელექტუალური ვინაობით“.

ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ბერძენი პატრიარქის კარი უკვე
ველარ მოახდენდა გადაწყვეტ და ძირეულ გავლენას ანთიმ ივერიელ-
ზე. ველარ წარმართავდა მის სულიერ ცხოვრებას თავის ნება-სურ-
ვილზე, ველარ აქცევდა ქართველ ადამიანს „სულითა და გულით ბერ-
ძენ მოქალაქედ“, რასაც ხშირად აქვს ზოლმე ადგილი, როდესაც ესა
თუ ის პიროვნება ერთი ეროვნებისა, მცირეწლოვანი ხვდება სხვა ერ-
ოვნების წარმომადგენელთა გარემოში და იქ ხდება მისი აღზრდა და
მისი პიროვნების ჩამოყალიბება რამდენიმე ათეული წლის მანძილზე.

შეიძლება ითქვას, რომ იერუსალიმის საპატრიარქო კარი იყო
მხოლოდ დროებითი შეჩერების პუნქტი იმ დიდ გზაზე, რომელიც გან-
ულო ანთიმ ივერიელმა თავის სამშობლოდან ვლახეთამდე — თავის
წიგორე სამშობლომდე. იერუსალიმის საპატრიარქო კარზე ყოფნამ თუ

¹³⁹ E. Picot... გვ. 515.

¹⁴⁰ ნ. ბერძენიშვილი, „ქლევაჲ, რუმინია-ბულგარეთში მოგზაურობი-
დან“, თბილისი, 1949, გვ. 13.

რაიმე ახალი შეიტანა ანთიმ ივერიელის ცხოვრებაში, ეს შეიძლება გამოიხატოს მის მიერ ბერძნულის თუ სხვა უცხო ენების დაუფლება-სა და მის ბერად აღკვეცაში.

რაც შეეხება ზოგიერთი მკვლევრის განცხადებას იმის შესახებ, რომ ანთიმ ივერიელს „ენციკლოპედიური ცოდნა“, „კულტურა“ მოპოვებული ჰქონდა ბერძენი პატრიარქის კარზე, ჩვენ საფუძველს მოკლებულად მიგვაჩნია. ეს მკვლევრები ან არ იცნობენ, ან რატომღაც უგულებელყოფდნენ ემილ პიკოს მიერ წამოყენებულ ვარაუდს, რომლის მიხედვითაც ანთიმ ივერიელს ფართო განათლება, კერძოდ კი, კლასიკური ლიტერატურის, ბერძნული და რომაული მწერლობის შესანიშნავი ცოდნა მოპოვებული უნდა ჰქონოდა ვლახეთში ჩასვლის შემდეგ „მიტროპოლიტ თეოდოსეს“¹⁴¹ შედამხედველობის ქვეშ. და ჩვენის აზრით, ემილ პიკო სწორი უნდა იყოს, ვინაიდან არ არსებობს არავითარი საბუთი იმისა, რომელიც ლაპარაკობდეს ანთიმ ივერიელის¹⁴² ვლახეთში ჩასვლამდე მისი „ენციკლოპედიური ცოდნის“¹⁴³ შესახებ. მართალია ამ პერიოდთან დაკავშირებით მიხაილ იმტვანოვიჩი წერდა ანთიმ ივერიელის „ბრწყინვალე ნიჭის“¹⁴⁴ თაობაზე, მაგრამ ამ ბრწყინვალე ნიჭში“ ნაგულისხმევია ანთიმ ივერიელის მიერ ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესანიშნავი ცოდნა, როგორცაა მხატვრობა, მოჩუქურდმეობა, ზეზე კრა, კალიგრაფია და სხვ.

ამრიგად, ისევე როგორც ანთიმ ივერიელის მიერ რუმინულ ხელოვნებაში ქართული ხელოვნების ელემენტების შეტანის ფაქტი მჩვენებელია იმისა, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ყოფილიყო ბიზანტიური ხელოვნების ტრადიციებზე აღზრდილი. აქედან გამომდინარე კი გამორიცხულია მისი 16 წლის ასაკიდან დაწყებული მთელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე კონსტანტინოპოლში ცხოვრების ვერსია, ასევე ანთიმ ივერიელის ვლახეთში ჩასვლისთანავე ბერძნული ეკლესიის ინტერესებისადმი დაპირისპირების ფაქტი მჩვენებე-

¹⁴¹ თეოდოსე—ვლახეთის მიტროპოლიტი 1669—1708 წლებში.

¹⁴² რომ ანთიმ ივერიელი, ეს „ფართოდ ერუდირებული ადამიანი“. ბრწყინვალე მეტონე იყო კლასიკური ლიტერატურისა, ამაზე ცხადად მეტყველებს შემდეგი ფაქტი. ანთიმ ივერიელი თავის „დიდახიებში“ (ქადაგებებში) ხშირად იმოწმებდა ბერძენ ფილოსოფოსებსა და მწერლებს: არისტოტელეს, ანაქსაგორას, დემოკრიტეს, სოკრატეს, ანაქსიმანდროსს, პესოდესს. იხსენიებდა აგრეთვე სახელმწიფო მოღვაწეებსა და მხედართმავრებს; ალექსანდრე მაკედონელს, არტაქსერქსეს, „ჩინეთის იმპერატორს თუმკუნს“. გამომდინარეობდა რა ძველ ბერძენ მატერიალისტთა მოძღვრებიდან, იგი თვლიდა, რომ ადამიანი და მთელი სამყარო შექმნილია ჰაერის, ცეცხლის, წყლისა და მიწისგან. G. S t r e m p e l, Antim Ivireanul, Predici, 1962, გვ. 54—55.

¹⁴³ E. Picot... გვ. 515.

¹⁴⁴ D. Bogdan, Viata lui Antim Ivireanul; გვ. 680.

ლია იმისა, რომ მისი სულიერი მრწამსი, მისი „ინტელექტუალური ვინაობა“ არ უნდა ჩამოყალიბებულიყო ბერძნული ეკლესიის მესვეურთა ზეგავლენით, აქედან გამომდინარე კი გამორიცხულია იერუსალიმის საპატრიარქო კარზე მისი მთელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე ყოფნის ვარაუდი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი მკვლევარი სკეპტიკურ თვალსაზრისს გამოსთქვამს იმის შესახებ, იცოდა თუ არა ანთიმ ივერიელმა ქართული ენა და დამწერლობა. მაგალითად, შ. კვასხვაძე წერს: „...ანთიმოზი 16 წლისა მოუტაციათ. თუ გავითვალისწინებთ მისი ცხოვრების პირობებს, მაშინ ეკვის ქვეშ დადგება არა მარტო ანთიმოზის მიერ ქართული ენის ცოდნის საკითხი, არამედ არსებითი და ძირითადი მხარეც საქმისა, როგორც ქართული დამწერლობის ცოდნის საკითხი“...¹⁴⁵.

ზოლო ბ. გორდეზიანის აზრით: „...ივერიელობა ანუ ქართველობა, კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ანთიმოზმა ქართული კარგად იცოდა. განა ცოტა იყო ქართველი, რომელთაც უცხოეთში დიდი თანამდებობა ეკირათ, თავისი ქართული წარმოშობით ამაყოფდნენ კიდევაც, მაგრამ ქართული კი არ იცოდნენ“¹⁴⁶.

ეტყობა ამავე თვალსაზრისისაა ქ. შარაშიძეც, რომლის სიტყვებიდანაც ჩანს, რომ ანთიმ ივერიელს საქართველოსთან დაკავშირებული თავისი ცხოვრებიდან მხოლოდ ისღა უნდა ახსოვდეს, რომ იგი წარმოშობით ქართველია. „ანთიმოს ქართველი — წერს მკვლევარი — ყოველ თავის გამოცემაში იხსენიებს თავს, როგორც „ძირით ქართველს“, მაშასადამე მას თავისი წარმოშობა დავიწყებული არა აქვს“¹⁴⁷.

რა შეიძლება ითქვას დასახელებული ავტორების თვალსაზრისის მიმართ? რასაკვირველია, თუ ეს თვალსაზრისი გამომდინარეობს იქიდან, რომ ანთიმ ივერიელი 16 წლისა მოიტაცეს საქართველოდან და შემდგომში მთელი თავისი ცხოვრების გატარება მას სამუდამოდ მოუხდა უცხო ხალხში და უცხო გარემოში, ბუნებრივი იქნებოდა შემდეგი: ანთიმ ივერიელის მეხსიერებაში დროთა ვითარებაში თანდათან გაქარწყლდებოდა ყრმობის პერიოდში შექმნილი ყოველივე მშობლიური, დავიწყებას მიეცემოდა როგორც ქართული ენის, ასევე დამწერლობის ცოდნაც და მის შეგნებაში მხოლოდ ისღა დარჩებოდა, რომ იგი წარმოშობით ქართველია.

¹⁴⁵ შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, თბილისი, 1952, გვ. 226.

¹⁴⁶ ბ. გორდეზიანი, ქართული მხედრული შრიფტი, თბილისი, 1955, გვ. 41.

¹⁴⁷ ქ. შარაშიძე, პირველი ქართული სტამბა საქართველოში (1709—1722), თბილისი, 1955, გვ. 89.

მაგრამ თუ ჩვენ დაუშვებთ, რომ ანთიმ ივერიელი საქართველოდან მოიტაცეს არა 16 წლისა, არამედ გაცილებით მოზრდილ ასაკში, მაშინ შ. კვასხვაძის, ბ. გორდენიანის და ქ. შარაშიძის სექტეკური თვალსაზრისი ანთიმ ივერიელის მიერ ქართული ენისა და დამწერლობის ცოდნის შესახებ უსაფუძვლო იქნება.

გადავიდეთ შემდეგ საკითხზე.

ცნობილია, რომ იმ მრავალ უცხო ენათაგან, რომელსაც ფლობდა ანთიმ ივერიელი, მას აგრეთვე ცოდნია ძველი სლავური ენაც. სად უნდა შეესწავლა ანთიმ ივერიელს ეს ენა?

რუმინელი მკვლევარი ნ. შერბინესკუ წერს, რომ ანთიმ ივერიელი ვლახეთში ჩასვლის შემდეგ დაუფლებია ძველ სლავურ ენას¹⁴⁸. თუმცა უნდა ითქვას, რომ ანალოგიურ თვალსაზრისს გამოსთქვამს არა მხოლოდ ნ. შერბინესკუ, არამედ ყველა მკვლევარი, ვინც კი ამ საკითხს შეხება.

ერთის მხრივ, ეს მოსაზრება დასაშვებად შეიძლება იქნეს მიჩნეული, რადგან ანთიმ ივერიელის ვლახეთში ჩასვლის პერიოდში იქ მართლაც არსებობდა ისეთი პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემდნენ მას შეესწავლა ძველი სლავური ენა. კერძოდ, ბუქარესტში ჩამოყალიბებული იყო სკოლა, სადაც სწავლებასა და მომზადებას გადიოდნენ ძველ სლავურ ენაზე დაწერილი საღმრთო წიგნებისა და საბუთების რუმინულ ენაზე მთარგმნელები¹⁴⁹.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ უკვე XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ბერძნული გავლენა მკიდროდ იკიდებს ფეხს არა მარტო ვლახეთის მთავრის კარზე და არისტოკრატიაში, არამედ ვლახეთის მთელ კულტურულ ცხოვრებაში და სდევნის ძველ სლავურ ენას ეკლესიებიდან¹⁵⁰.

„რაც დამახასიათებელია ამ პერიოდისათვის — წერს ქსენოპოლი — ძველ სლავურ ენაზე ნაბეჭდი ნაწარმოებები გამონაკლისის სახით გვხვდება და ამ ენის გავლენა მინიმუმამდე დადის“¹⁵¹ და შემდეგ: „რაც ნათლად მაჩვენებელია ვლახეთში ბერძნული კულტურის მზარდი გავლენისა — განაგრძობს ქსენოპოლი — ეს ისაა, რომ თუ ადრე თარგმანები სრულდებოდა მხოლოდ ძველ სლავურ ენიდან, დაწყებუ-

¹⁴⁸ N. Serbanescu, Anlim Ivireanul tipograf; გვ. 695.

¹⁴⁹ C. Giurescu, Istoria romnilor, III, Buc, 1944, გვ. 183, XVII საუკუნის მეორე ნახევარამდე ვლახეთის ეკლესიებში ღვთისმსახურება მხოლოდ ძველ სლავურ ენაზე წარმოებდა.

¹⁵⁰ A. Xenopol, Istoria romnilor din Dacia Traiana, vol. VIII, Buc. გვ. 239.

¹⁵¹ იქვე, გვ. 248.

ლი მათე ბესარაბის¹⁵² და ვასილი ლუპუს¹⁵³ მეფობის პერიოდიდან, ის ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ ბერძნული ენიდან, უცხო ენიდან, რომელმაც XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან სრული უპირატესობა მოიპოვა მთელ რიგ ეკლესიებსა და მაღალ საზოგადოებაში¹⁵⁴.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ანთიმ ივერიელს, დაეუშვათ არამცოდნეს ძველი სლავური ენისა, ასეთ ვითარებაში, როდესაც ვლახეთის კულტურული ცხოვრება სულ სხვა გზით მიდიოდა, საგანგებოდ ხელი მოეკიდა ამ ენის შესწავლისათვის.

მაგრამ მხოლოდ ეს მოტივი არ მიგვაჩნია ძირითად არგუმენტად ჩვენს მიერ წამოყენებული თვალსაზრისის განსამტკიცებლად. მაგალითად, ცნობილია, რომ ანთიმ ივერიელი ვლახეთს ჩასვლის შემდეგ (დაახლოებით 1690 წ.) სნაგოვის მონასტრის სტამბაში 1697 წელს ბეჭდავს წიგნს ძველ სლავურ ენაზე¹⁵⁵, რაც კიდევ ერთხელ ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ანთიმ ივერიელი ფლობდა სლავურ ენას. ამას ნაწილობრივ მოწმობს ის გარემოებაც, რომ იგი ძველ სლავურ ენაზე დაბეჭდილ წიგნში არაფერს ამბობს ტექსტში დაშვებულ შეცდომებზე. ანთიმ ივერიელს კი ყოველთვის ახასიათებდა „საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება“, „თავმდაბლობა“, „თავის ნამუშევრისადმი მეტად კრიტიკული მიდგომა“, რის გამოც თუ მან იცოდა, რომ მის მიერ გამოცემულ წიგნში დაშვებულია შეცდომები, იგი მკითხველს „ცთომილებისა და სიმრუდისათვის“ თხოვდა პატიებას. ამას ნიშნავს ანთიმ ივერიელის რუმინულ ენაზე დაბეჭდილი პირველი წიგნები¹⁵⁶ და არაბულ ენაზე გამოცემული „კონდაკი“ და „ქამნი“¹⁵⁷, ე. ი. იმ ენებზე დაბეჭდილი წიგნები, რომლებსაც ანთიმ ივერიელი არ ფლობდა სრულყოფით¹⁵⁸.

¹⁵² ვლახეთის მთავარი 1633—1654 წწ.

¹⁵³ მოლდავეთის მთავარი 1634—1653 წწ.

¹⁵⁴ A. Xenopol, Istoria românilor din Dacia Traiana, vol. VIII, Buc. გვ. 248.

¹⁵⁵ P. Constantinescu-Iasi, Relatiile culturale româno-ruse din trecut, 1954, გვ. 177.

¹⁵⁶ Biserica Ortodoxa Româna, № 8—9, 1956, გვ. 704, 709.

¹⁵⁷ იქვე, გვ. 716, 721.

¹⁵⁸ ანთიმ ივერიელს რომ რუმინული ენა მხოლოდ ვლახეთში ჩასვლის შემდეგ შესწავლია, ამის დამამტკიცებელია ერთი საბუთი. რუმინეთის აკადემიის ანალებში ჩვენ ვკითხვლობთ: „ანთიმის აღრიხედელ ქადაგებებში ჯერ კიდევ შეცდომები შეიმჩნეოდა. მაგალითად, წერია „Ucenili“ (უჩენიცი), უნდა იყოს „Ucenici“ (უჩენიჩი). ეს იმის მაჩვენებელია, რომ ანთიმ ივერიელი სმენით წერდა და მას სპეციალური აკადემიური განათლება არ ჰქონდა მიღებული რუმინული ენის შესწავლის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, იგი მალე სრულყოფით ფლობს ამ ენას და იგი კუშმართლად ითვლება XVII—XVIII სს. რუმინული ლიტერატურული ენის არა მხოლოდ ბრწყინვალე მცოდნედ, არამედ

მაგრამ თუ ძველ სლავურ ენაზე დაბეჭდილ წიგნში დაშვებული შეცდომების მოუხსენებლობა ჩვენ არ შეგვიძლია მივიჩნიოთ გადამწყვეტ ფაქტორად იმისა, რომ ანთიმ ივერიელი თავისუფლად ფლობდა ამ ენას¹⁵⁹, სამაგიეროდ ამავე წიგნში მოთავსებული ანთიმ ივერიელის მიერ ძველ სლავურ ენაზე დაწერილი ლექსი სრულ უფლებას გვაძლევს რომ ამ მოსაზრებაში აღარ შევიტანოთ არაერთგვაროვანი ეჭვი.

ამრიგად, როგორც ზემონათქვამიდან ჩანს ანთიმ ივერიელს, რომელიც ვლახეთში დაახლოებით 1690 წელს ჩასულა, 1697 წელს დაუბეჭდავს წიგნი ძველ სლავურ ენაზე. რასაკვირველია, ერთი შეხედვით, საკვებით ბუნებრივი იქნებოდა, რომ 6 წლის გამწვანლობაში არა მარტო ისეთ პოლიგლოტს, როგორიც ანთიმ ივერიელი იყო, არამედ ჩვეულებრივ მოკვდავსაც კი შეესწავლა რომელიმე უცხო ენა. მაგრამ საქმე შემდეგშია. ანთიმ ივერიელი ვლახეთში ჩასვლის შემდეგ თითქმის ერთი წლის შემდეგ ბუქარესტის სტამბაში 1691 წელს ბეჭდავს წიგნს ბერძნულ ენაზე „ნა თავი ბერძენთა თვითმპყრობელის ბასილი მაკედონელის შეგონებათა“¹⁶⁰. უკვე შემდეგ წელს (1692 წ.) მან იმავე სტამბაში გამოსცა ბერძნულსავე ენაზე „ღვთისმსახურება ახალი მონასტრის წმიდისა დედის ჩვენისა პარასკევისი და წმიდისა მამის ჩვენისა, გრიგორი დეკაპოლიტისა“¹⁶¹. 1693 წელს გამოდის ანთიმ ივერიელის მიერ ორ ენაზე ბერძნულსა და რუმინულზე დაბეჭდილი „ღვთაებრივი და წმიდა სახარება“¹⁶² ამ წიგნის ბოლო ფურცელზე დაბეჭდილ მიმართვაში მკითხველისადმი ანთიმ ივერიელი „შენდობას ითხოვს“ რუმინულ ტექსტში დაშვებულ შეცდომებისათვის¹⁶³, ხოლო ერთი წლის შემდეგ (1694 წ.) გამოცემულ წიგნში „დავითნში“¹⁶⁴, რომელიც პირველი ნაშრომია ანთიმ ივერიელისა მთლიანად რუმინულ ენაზე, იგი უკვე სიტყვითაც არ იხსენიებს დაშვებულ ლათსუსებს.

ე. ი. ვლახეთში ჩასვლიდან, 1694 წლამდე, ანთიმ ივერიელი მთელ დროს ანდომებს ოთხი წიგნის ბეჭდვასა და გამოცემას. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმ ხანებში წიგნების ბეჭდვის სირთულეს და აგრეთვე

მის ნოვატორადაც. Melhisedec. Episcopul, Didachiele sau predicie Mitropolitului Antim Ivireanul, t. II. ობ. ... «Analele Academiei Romine», Seria II, IX, Buc. 1889.

¹⁵⁹ P. Constantinescu-Iasi, Relatiile culturale romino-ruse din trecut. 1954, გვ. 177.

¹⁶⁰ Acelasi Constantin Vcda Brincoveanu, ობ. Analele Academiei Romine ser. II. 1914—1915, გვ. 174.

¹⁶¹ Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 702.

¹⁶² იქვე, გვ. 704.

¹⁶³ იქვე.

¹⁶⁴ იქვე, გვ. 705.

იმ დროს, რომელიც მას დასჯირდებოდა რუმინული ენის შესასწავლად, არა გეგონია, რომ ასეთ შედარებით ხანმოკლე პერიოდში ანთიმ ივერიელს მისცემოდა საშუალება დაუფლებოდა კიდევ ერთ ახალ უცხო ენას, ძველ სლავურს, და ისიც იმ დონეზე, რომ ამ ენაზე ეწერა ლექსები.

თუმცა ჩვენ შეიძლება შემოგვეკამათონ და გვითხრან, რომ 1694 წლიდან ძველ სლავურ ენაზე წიგნის დაბეჭდვამდე (1697 წ.) მთელი სამი წელიწადია და ამ დროის განმავლობაში რატომ იყო შეუძლებელი შეესწავლა ანთიმ ივერიელს აღნიშნული ენა? ეს, რასაკვირველია, ასეა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ 1694 წლიდან ანთიმ ივერიელი უკვე აღარაა ბუქარესტში, სადაც მთელს ვლახეთში ერთადერთი ძველი სლავური ენის სკოლა იყო და სადაც მას შეეძლო კვალიფიციური ცოდნის მიღება ენის დაუფლების თვალსაზრისით. 1694 წლიდან ანთიმ ივერიელი ბუქარესტიდან სანაგოვოში გადადის, სადაც აარსებს სტამბას. ამ დროიდან დაწყებული, 1701 წლის ჩათვლით, უკვე აღვიღმოუცვლელად მოღვაწეობს და, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ აქ, სანაგოვოს მონასტრის სტამბაში ბეჭდავს წიგნს ძველ სლავურ ენებზე.

ამრიგად, თუ ჩვენს მიერ ზემომოყვანილ არგუმენტაციას სარწმუნოდ ჩავთვლით, ანთიმ ივერიელს ძველი სლავური ენა არ უნდა შეესწავლა ვლახეთში.

ახლა გავარკვიოთ, თუ სად უნდა დაუფლებოდა ანთიმ ივერიელი ძველ სლავურ ენას, რომელ ქვეყანასა და მხარეში, თუ არა ვლახეთში. ამ „ქვეყანასა“ და „მხარეში“ ჩვენ, რასაკვირველია, პირველ რიგში უნდა ვიგულისხმოთ ის ადგილები, სადაც საფიქრებელია მოუხდებოდა ყოფნა ანთიმ ივერიელს თავისი ცხოვრების მანძილზე და სადაც გავრცელებული იყო იმ პერიოდში ძველი სლავური ენა (ძნელი დასაჯერებელია რომ ანთიმ ივერიელს ძველი სლავური ენა შეესწავლა ან საქართველოში, ან კონსტანტინოპოლში ბერძენი პატრიარქის კარზე). აღნიშნული პირობების გათვალისწინების შემთხვევაში ასეთ ადგილად ჩვენ დეკლარაციებზე იმდროინდელ რუსეთს. რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ჩვენს მიერ წამოყენებული ეს ვერსია? ვინაიდან ამ ვერსიის დასასაბუთებლად არ არსებობს რაიმე პირდაპირი წყარო, მოგვიხდება მთელი რიგი ფაქტორებისა და მოვლენების გაანალიზება და მათი განზოგადება.

დავუბრუნდეთ ისევ ანთიმ ივერიელის მიერ 1697 წ. სანაგოვოს მონასტერში ძველ სლავურ ენაზე დაბეჭდილ წიგნს ეს ნაშრომი ეკუ-

თენის ცნობილი რუსი ფილოლოგის მელეტი სმოტრიცკის¹⁶⁵ კალამს და ატარებს სათაურს „სლავური გრამატიკა“. (დაიბეჭდა 1618 წ.). ორიოდ სიტყვით შეეჩერდეთ ამ წიგნის არსზე.

„სლავური გრამატიკა“, რომელშიაც ეტიმოლოგიისა და სინტაქსის გარდა მოცემული იყო რიტორიკისა და პოეტიკის ნიმუშები, ხოლო ძველი სლავური ენის გრამატიკას დართული ჰქონდა რუსული ცოცხალი სალაპარაკო ენის ნიმუშები, ამტკიცებდა ერთიან გრამატიკულ ფორმებს. სმოტრიცკის გრამატიკა მცირედი დამატებითა და შესწორებით იბეჭდება მოსკოვში 1648 და 1721 წლებში, როგორც ერთადერთი მისაღები სახელმძღვანელო. „ამ გრამატიკას, — ვკითხულობთ დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში, — სწავლობდა მ. ლომონოსოვი. XVIII საუკუნის შუა ნახევარში ის გადაბეჭდილ იქნა მოლდავეთში¹⁶⁶ ბულგარელებისათვის და სერბებისათვის. სმოტრიცკის გრამატიკამ დიდწიან შეინარჩუნა თენის მეცნიერული მნიშვნელობა“¹⁶⁷.

თუ რისთვის იყო გამიზნული „სლავური გრამატიკის“ გამოცემა და რაოდენ საჭიროდ თვლიდა მას ანთიმ ივერიელი ვლახეთის სინამდვილისათვის, ეს კარგად ჩანს ამ წიგნისათვის მის მიერვე დაწერილ წინასიტყვაობიდან. ამ წინასიტყვაობაში ანთიმ ივერიელი განმარტავს, რომ მან გამოსცა დასახელებული წიგნი იმ მოსაზრებით, რათა „დახმარება აღმოგვეჩინა ყველასათვის, ვინც კი ცდილობს ძველი სლავური

¹⁶⁵ მელეტი სმოტრიცკი, ცნობილი რუსი მეცნიერი-ფილოლოგი და საზოგადო მოღვაწე, დაიბადა დაახლოებით 1578 წელს ქ. კამენეცკში. სწავლობდა ჯერ კონსტანტინე ოსტროვკის მიერ დაარსებულ სკოლაში, შემდეგ კი მეცადინეობა გააგრძელა ეილნ-იუსპი-ივზუიტთა კოლეჯიუმში. კურსის დამთავრების შემდეგ მოგზაურობდა გერმანიაში და ესმენდა ლექციებს ლაიფციგსა და ვიტენბერგში. 1610 წელს დასვედონით „თეოფილე ორთოლოგი“ მან ეილნ-იუსპი პოლონურ ენაზე დაბეჭდა პოლემიკური ტრაქტატი „ფრი-სონი ანუ აღმოსავლეთის ეკლესიის გოდება“, რომელშიაც მხილებულ იქნენ კათოლიკეები და უნიატები, როგორც მართლმადიდებლური ეკლესიის დაუძინებელი მტრები. სმოტრიცკი მნიშვნელოვან პედაგოგიურ და მეცნიერულ მუშაობას აწარმოებდა: ასწავლიდა ლათინურ და სლავურ ენებს; ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც სმოტრიცკის დარჩა, ეს მის მიერ ჯერ კიდევ უბრალო ბერად ყოფნის დროს დაწერილი სლავური ენის გრამატიკაა.

¹⁶⁶ როგორც ჩანს, დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში მოთავსებულ იმ წერილის ავტორებს, სადაც ლაპარაკია მელეტი სმოტრიცკის გრამატიკაზე, არაფერი სცოდნათ ანთიმ ივერიელის მიერ 1697 წელს სნაგოვოში მელეტი სმოტრიცკის „სლავური გრამატიკის“ გამოცემის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ასე განსაკუთრებით აღარ აღნიშნავდნენ რომ „სლავური გრამატიკა“ დაიბეჭდა რუსეთის ფარგლებს გარეთ მოლდავეთში XVIII საუკუნის შუა ნახევარში (Большая Советская Энциклопедия, т. 39, стр. 431), მაშინ როდესაც დასახელებული წიგნი უკვე გამოცემული იყო ვლახეთში თითქმის ნახევარი საუკუნით ადრე.

¹⁶⁷ Большая Советская Энциклопедия, т. 39, стр. 431.

ენის შესწავლას და ამ ენაზე კარგად წერასა და ლაპარაკს. ყოველივე ამას ჩვენ ადრე მოკლებული ვიყავით, რადგან არ გაგვაჩნდა გრამატიკა¹⁶⁸.

ინტერესს არ იქნება მოკლებული, თუ აქვე აღვნიშნავთ, რომ ანთიმ ივერიელის მიერ ვლახეთში 25 წლის მანძილზე სხვადასხვა ადგილას დაარსებულ ოთხ სტამბაში სხვადასხვა დროს დაბეჭდილ 64 წიგნიდან მხოლოდ 6 წიგნია დაბეჭდილი ძველ სლავურ ენაზე. მათ შორის, როგორც აღვნიშნეთ, ანთიმ ივერიელის მიერ გამოცემული „სლავური გრამატიკა“. გარდა ამისა, ამ ხუთი წიგნიდან ოთხი წიგნად დაბეჭდილია არა მარტო ძველ სლავურ ენაზე, არამედ რუმინულ-ძველ სლავურ ენებზე ერთდროულად და მათი დაბეჭდვა დაკავშირებულია არა ანთიმ ივერიელის, არამედ მისი მოწაფეების: მიხაილ იშტევანოვიჩის და გიორგი რადოვიჩის სახელებთან. ზოლო ერთი წიგნი, ბერძნულ-რუმინულ-ძველ სლავურ ენებზე — დაბეჭდა ანთიმ ივერიელმა.

თუ მხედველობაში მივიღებთ ანთიმ ივერიელის მიერ დაარსებულ სტამბებში ძველ სლავურ ენებზე დაბეჭდილ წიგნებისა და ამავე სტამბებში სხვა ენებზე გამოქვეყნებულ წიგნების პროცენტულ შეფარდებას¹⁶⁹, მაშინ სრული დამაჯერებლობა ენიჭება ქსენოპოლის სიტყვებს, რომლის მიხედვითაც XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ძველ სლავურ ენაზე დაბეჭდი ნაწარმოებები მხოლოდ გამოჩაკლისის სახით თუ არსებობდა და რომ ძველი სლავური ენა, რომლის გავლენა მინიმუმამდე იყო დასული, იდევნებოდა ვლახეთის ეკლესიებიდან და მონასტრებიდან¹⁷⁰.

მაშ რატომღა გამოსცა ანთიმ ივერიელმა „სლავური გრამატიკა“? ნუთუ მხოლოდ იმ მიზნით, რომ ვლახელების ის ნაწილი, რომელიც ტრადიციის გავლენით ლოცვებს ძველ სლავურ ენაზე წარმოთქვამდა, დაუფლებოდა უცხო ენას, რათა მათთვის გასაგები გამხდარიყო ამ ლოცვების შინაარსი? ჩვენ იმიტომ ვწერთ „გასაგები გამხდარიყო ამ

¹⁶⁸ Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 710.

¹⁶⁹ 25 წლის მანძილზე ანთიმ ივერიელის მიერ ვლახეთში დაარსებულ სტამბებში გამოცემულ 64 წიგნიდან, გარდა ძველ სლავურ ენაზე დაბეჭდილ ექვსი წიგნისა, ორი წიგნი დაიბეჭდა არაბულ ენაზე (არის მოსაზრება, რომ ანთიმ ივერიელმა ვლახეთში დაბეჭდა მესამე წიგნიც არაბულ ენაზე. A. Decei, Din tipariturile orientale la Bucuresti in secolul al XV III-lea, იხ. „Revista Istorică Romina, vol. XV, 1945, გვ. 369.) გარდა ამისა, რუმინელი მეკლევარი გ. ბეცვიკონი ფიქრობს, რომ ანთიმ ივერიელმა ვლახეთში დაბეჭდა წიგნი თურქულ ენაზე. G. Bezviconi, calatori Rusi in Moldova si Muntenia, დანარჩენი წიგნები დაბეჭდილია რუმინულ და ბერძნულ ენებზე.

¹⁷⁰ A. Xenopol, Istoria rominilor din Dacia Traiana, vol. VIII, Buc. გვ. 239—248.

ლოცვების შინაარსი“, ვინაიდან დიდ უმრავლესობას ვლახელებისა, ვინც ძველ სლავურ ენაზე ლოცულობდა, არ ესმოდა ეს ენა. მათ მხოლოდ დაზეპირებული ჰქონდათ გაუგებარი ტექსტი და მას მექანიკურად წარმოსთქვამდნენ. ისევე როგორც ვლახელი ხალხის მასები პერძულ ენაზე ამბობდნენ ლოცვებს ისე, რომ მათ არ ესმოდათ ამ უცხო სიტყვების მნიშვნელობა. რასაკვირველია, ჩვენს მიერ აქ მოყვანილი ფაქტორი პრინციპში არ არის უმნიშვნელო. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ „სლავური გრამატიკის“ დაბეჭდვა ნაწილობრივ ამ მიზანსაც ემსახურებოდა. მაგრამ აქ ხაზს ვუსვამთ სიტყვას „ნაწილობრივ“, რადგან ამ პერიოდში, როგორც თვით ანთიმ ივერიელი აღნიშნავდა, ვლახეთში ღვთისმსახურება ძველ სლავურ ენაზე მხოლოდ თითო-ორიოთხეულ ეკლესიაში თუ წარმოებდა. ასეთ ვითარებაში კი არა გვეგონია, რომ მას საგანგებოდ მოეპოვებინა რუსი ფილოლოგის მიერ დაწერილი სახელმძღვანელო და პირველს, რუსეთის ფარგლებს გარეთ, დაებეჭდა „სლავური გრამატიკა“ მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად.

მით უმეტეს. ჩვენ ვიცით, რომ სწორედ ამ პერიოდში ანთიმ ივერიელი ვლახეთში სათავეში უდგება დიდ ეროვნულ საქმეს. მის წინაშე დგას სულ სხვა პრობლემა, თუ შეიძლება ითქვას, პრობლემა ნომერი პირველი — ეს არის — ვლახეთის — ეკლესიებისა — და — სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში რუმინული ენის შემოღება, ნაცვლად ბერძნულისა, რომლის განხორციელებასაც მან შესწირა მთელი თავისი დაუშრეტელი ენერჯია. რითაც აჩვენა „იშვიათი მაგალითი რუმინული პატრიოტიზმისა“.

ძირითადი, რაც ანთიმ ივერიელს ამოქმედებდა „სლავური გრამატიკის“ დაბეჭდვისას, საფიქრებელია იყოს ის, რომ ვლახელ ხალხს ამ წიგნის მეშვეობით, შესაძლებლობა მისცემოდა დაუფლებოდა ძველი სლავური ენის გრამატიკას, გასცნობოდა რუსული ცოხცალი სალაპარაკო ენის ფორმებსა და პოეტიკის ნიმუშებს. ერთი სიტყვით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ანთიმ ივერიელს ამოქმედებდა იმ ხალხის ენის პოპულარიზაციის საქმე, რომელსაც არა მარტო თვით ანთიმ ივერიელი, როგორც ქართველი, და არა მარტო ვლახელები, რომელთა მწაწყალზე ანთიმ ივერიელმა თავისი მეორე სამშობლო ჰპოვა, არამედ თურქეთის ბატონობის ქვეშ მყოფი მთელი საქრისტიანო შეპყრებდა როგორც მხსნელს უცხოელ დამპყრობელთა ტირანიისაგან. „როგორც ქართველი, — წერს რუსო, — ანთიმი სიმპათიით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული პეტრე პირველის მართლმადიდებლური

რუსეთისადმი, რომელმაც მიზნად დაისახა გაენთავისუფლებინა ქრისტიანები თურქეთის ბატონობისაგან¹⁷¹.

რასაკვირველია, მხოლოდ „სლავური გრამატიკის“ გამოცემის ფაქტით არ იქნებოდა სწორი გვემსჯელა ანთიმ ივერიელის სიმპათიებზე რუსი ხალხისადმი და მის პრორუსულ ორიენტაციაზე. მაგრამ თუ ჩვენ 1697 წლის მაგივრად ავიღებთ 1711 წელს, როდესაც ანთიმ ივერიელი მხოლოდ სახელმძღვანელო მბეჭდავი კი არ არის, არამედ უკვე უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტის მაღალი თანამდებობის მქონე პიროვნებაა¹⁷², მაშინ ჩვენს მიერ წამოყენებული მოსაზრება მეტად სარწმუნო გახდება.

1711 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როდესაც ვლახეთის მთავარი კონსტანტინე ბრონკოვიანუ იწყებს ლავრებისა და მოცილის პოლიტიკას, ვისკენ გადაიწევს გამარჯვების სასწორი: რუსებისაქენ თუ თურქებისაქენ, რომ საბოლოოდ მიმხრობოდა გამარჯვებულს. „რუსეთის ორიენტაციის ჯგუფი“, რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ანთიმ ივერიელი იყო, აშკარად ილაშქრებს კონსტანტინე ბრონკოვიანუს წინააღმდეგ და რუსეთთან დაახლოვების გზას ადგება. ანთიმ ივერიელი, რომელიც ვლახეთის კეთილდღეობას და უცხოელ დამპყრობლებისაგან განთავისუფლებას რუსული იარაღის გამარჯვებას უკავშირებდა, კონსტანტინე ბრონკოვიანუს დაუკითხავად თავს უყრის პურა ურლაცილორეში თავის თანამოაზრე ვლახელ ბოიარებს და ანხორციელებს მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებს, რასაც შედეგად მოჰყვა რუსეთისა და ვლახეთის პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცება თურქთა ბატონობის წინააღმდეგ საბრძოლველად¹⁷³.

ამრიგად, ანთიმ ივერიელი — პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც ვლახეთის კეთილდღეობასა და განთავისუფლებას რუსეთს უკავშირებს, ანთიმ ივერიელი — მესტამბე, რომელიც ბალკანეთის ქვეყნების ისტორიაში პირველად ბეჭდავს რუსი ფილოლოგის მიერ შედგენილ „სლავურ გრამატიკას“, ანთიმ ივერიელი — ხელოვანი, რომელიც ქმნის „იშვიათი სილამაზის ყვავილოვან ორნამენტებს, რომლის მსგავსსაც, ამავე დროს რუსების ნამუშევარშიც ვხვდებით“¹⁷⁴, ანთიმ ივერიე-

¹⁷¹ D. Russo, Studii istorice greco-romine, II, 1939, გვ. 51.

¹⁷² ვლახეთში არსებული იმდროინდელი წესის მიხედვით თუ მთავარი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ იყოფებოდა. მთელი ძალაუფლება ქვეყნის მმართველ-გაბეგობის მიტროპოლიტის ხელში გადადიოდა. N. Iorga, Istoria Bisericii romanesti, cd. II Buc. 1930. გვ. 55.

¹⁷³ იხ. ამ წიგნის გვ. 264—284.

¹⁷⁴ Marea Enciclopedie Italiana, vol. VII, 1939, გვ. 689—690.

ლი — ქართველი ადამიანი, რომლის ვლახეთში მოხვედრას მისი თანამედროვენი უკავშირებენ „ზოვის ზღვის იქითა მხრიდან მოსვლას“¹⁷⁵, ე. ი. იმ მხრიდან მოსვლას, რომელიც გზად დევს საქართველოდან რუსეთისაკენ მიმავალთათვის: და ბოლოს — ანთიმ ივერიელს ძალუძს შეაფასოს ძველი სლავური ენის ცოდნის დონე იმდროინდელ ვლახეთში¹⁷⁶.

თუ მხედველობაში მივიღებთ ყოველივე ზემოთქმულს, ვფიქრობთ, სინამდვილესთან უფრო ახლო იქნება ის მოსაზრება, რომ ანთიმ ივერიელისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო ძველი სლავური ენა ვლახეთში ჩასვლამდე და რომ მას მხოლოდ ვლახეთში არ უნდა დაეწყო ამ ენის შესწავლა. უფრო მოსალოდნელია, რომ იგი ახლოს, შეიძლება ითქვას, ძალზე ახლოც იცნობდა რუს ხალხს, მის კულტურას, საერთოდ რუსეთს და იქ ყოფნის დროს შეისწავლა კიდევ მან ძველი სლავური ენაც.

რა უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ახალგაზრდა ნიქიერი ქართველი ხელოვანი, მხატვარი, გრავიორი და კალიგრაფი აღმოჩენილხყო რუსეთში?

ცნობილია, რომ 1682 წელს არჩილ მეფე მრავალრიცხოვანი ამალით მიემგზავრება რუსეთს მფარველობის საქებნელად. ისიც ცნობილია, რომ პოლიტიკური მიზნების გარდა არჩილს დასახული ჰქონდა მთელი რიგი გეგმებისა, რომელთა განხორციელებას იგი აპირებდა საქართველოში კულტურული საქმიანობის ასაღორძინებლად. პირველ რიგში იყო ქართული სტამბის მოწყობა. „...სტამბის მოწყობის აზრი,—

¹⁷⁵ St. Dinulescu, *Vieala si activitatea Mitropolitului Terei Romînesci; Antim Ivireanul (1708 — 1716)*, 1886, *ob. აგრეთვე N. Iorga, Istoria literaturii romanesti în secolul al XVIII-lea*, გვ. 418.

¹⁷⁶ „ვლახელები მოკლებულნი იყვნენ საშუალებას სწორად ეწევათ და ელაპარაკათ სლავურ ენაზე (კურსივი ჩვენა — ო. გ.) — წერდა ანთიმ ივერიელი. *Biserica Ortodoxa Romîna* № 8 — 9, 1956, გვ. 710. და თუ სლავური ენის ცოდნის დონე ვლახეთში ასეთი იყო, როგორღა შესძლებდა ამ პირობებში სლავურ ენას დაუფლებული ანთიმ ივერიელი იმის განსაზღვრას, რამდენად სწორად წერდნენ ან ლაპარაკობდნენ ვლახელები სლავურ ენაზე? როგორც ჩანს, თავისი მსჯელობის დროს ანთიმ ივერიელი ხელმძღვანელობდა ძველი სლავური ენის ცოდნის სულ სხვა კრიტერიუმით. ანთიმ ივერიელის დროინდელ ვლახეთში რომ სლავური ენის სწავლება არ იდგა სათანადო სიმაღლეზე, თვით ბუქარესტში არსებულ სლავურ სკოლაშიც კი, ამას მოწმობს „სლავური გრამატიკისათვის“ დართული ანთიმ ივერიელის მიერ დაწერილი წინასიტყვაობა, რაქელშიაც ნათქვამია: „ეს გრამატიკა სასარგებლო იქნება სკოლაშიც სლავური ენის შესასწავლად“. *Biserica Ortodoxa Romîna* № 8 — 9, 1956, გვ. 711.

წერს ქ. შარაშიძე, — არჩილს საქართველოდანვე გაჰყოლია და რომ ეს საქმე (სტამბის მოწყობა) მას გადაუღებელ ამოცანად მიაჩნდა¹⁷⁷.

და თუ ვლახეთის მთავარმა კონსტანტინე ბრინკოვიანუმ დაინტერესება გამოიჩინა ვლახეთის ფარგლების გარეთ მცხოვრებ უცხოელ ზელოვნისადმი, ანთიმ ივერიელისადმი, რომლის ნიჭი, როგორც მხატვრის, გრავიორის და კალიგრაფის მას განზრახული ჰქონდა გამოეყენებინა სასტამბო საქმიანობის გასაუმჯობესებლად, გასაკვირი იქნება, რომ თავისი ქვეყნის კულტურის ამაგდარს არჩილ მეფეს ყურადღება არ მიექცია მრავალმხრივ დაჯილდოებულ თავის თანამემამულისათვის და არ წაეყვანა იგი რუსეთს, როგორც სასტამბო საქმიანობაში მეტად საჭირო პიროვნება.

მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენი ვარაუდია, ჰიპოთეზის სახით წამოყენებული, რადგან ჯერჯერობით არავითარი დამამტკიცებელი საბუთი ამისა არ არსებობს. მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ანთიმ ივერიელი თავისუფლად ფლობდა ძველ სლავურ ენას, გაცნობილი იყო რუსული ზელოვნების ნიმუშებს და რომ მას ვლახეთში „აზოვის ზღვის იქითა მხრიდან“¹⁷⁸ მოსულად თვლიან, ვიმეორებთ, იმ მხრიდან მოსულად, რომელიც გზად დევს საქართველოდან რუსეთისაკენ მიმავალთათვის. და თუ ეს ასეა, უნდა ჩავთვალოთ, რომ რუსეთში გარკვეული პერიოდის მანძილზე ყოფნის შემდეგ საქართველოში დაბრუნებისას (შესაძლოა არჩილ მეფესთან ერთად ან ცალკე)¹⁷⁹, მას თავს დაესხნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელები და მოიტაცეს. ცნობები ლექთა თუ ჩერქეზთა თავდასხმების შესახებ არა ერთი და ორი შემოუნახავს ჩვენთვის ისტორიას. სახელობრ, როდესაც 1693 წელს (არჩილ მეფის რუსეთში მეორედ გამგზავრების თარიღი) არჩილი „წაზვიდა დვალეთს, იქილამ რუსეთს მცირეთა სპითა“ ჩერქეზთ ბატონი ყილჩიყო თავს დასხმია მას. „ქართლის ცხოვრებაში“ შემდეგი სიტყვებით არის აღწერილი ეს შემ-

¹⁷⁷ ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), თბილისი, 1955, გვ. 79. იხ. აგრეთვე ამ წიგნის გვ. 74—80.

¹⁷⁸ ნ. იორგას ცნობით ი. პეტრესკუს მიხედვით ანთიმ ივერიელი შეილი ყოვილა „აზოვის იქითა მხრიდან“ გამოქვეული მცხოვრებლებისა. მაგრამ, თვით იორგას ეს არა სარწმუნოდ მიაჩნია, რადგან იგი კითხულობს — თუ ეს ასეა, ვაშ რატომღა იხსენიებს ანთიმ ივერიელი თავის თავს, როგორც ქართველს (N. Iorga, Istoria literaturii romanesii în secolul al XVIII-lea, I, გვ. 418). ჩანს, ი. პეტრესკუს მიაჩნია, რომ ანთიმ ივერიელის მშობლები ცხოვრობდნენ „აზოვის ზღვის იქითა მხარეს“ და ისინი ქართველებიც კი არ იყვნენ. ეს დებულება, ცხადია, სავსებით მიუღებელია.

¹⁷⁹ არის საბუთი, რომ არჩილ მეფეს რუსეთში ყოფნის დროს ნაწილი თავისი ამალია საქართველოში გამოეშვია. არჩილი წერდა: „ჩემს ყმებს ზოგასა საქართველოში დაბრუნება ებრძანა“. არჩილიანი, II, გვ. IX.

თხვევა „...შეუპყრეს ორთა კაცთა ხელნი არჩილს იმიერ და ამიერ და იწყეს სპათა არჩილისათა პყრობა ჩერქეზთა: მაშინ იხადეს მახვილნი, რომელნი აქუნდათ დაფარულად მონაზონთა აბაშიძე ნიკოლოზ და შალიკა შვილ-მან, სცეს კაცთა მათ და განათავისუფლეს მეფე, იხადა მშვილდ-კაპარკი მეფე-მან და მოსრნა მრავალნი... შემდგომად განვლო ბრძოლთა მეფე-მან რაზმი მათი და წარვიდა ლტოლვიით... განსივდა ცხენი მეფისა და ვერლარა ჰბოდა: კვალად მოვიდნენ და მოეტევენ მეფესა და ბრძოდა ძლიერად“¹⁸⁰. მიუხედავად დიდი მამაცობისა, ჩერქეზებს მაინც შეუპყრიათ არჩილი, რომელსაც დიდის გაჭირვებით მოუბრუნებია თავის დახსნა. საფიქრებელია, რომ ანთიმ ივერიელმაც სწორედ ასეთივე თავდასხმა განიცადა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა მხრივ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას საბოლოოდ ბედმა არ გაუღიმა არჩილ მეფესავით და ტყვედ ჩავარდა.

რაც შეეჩება იმ ქართველ და უცხოელ მკვლევართა თვალსაზრისს, რომ ანთიმ ივერიელი მოტაცებული იქნა თავისი ცხოვრების ადრეულ წლებში და ზუსტად ხნოვანებასაც კი უჩვენებენ — 16 წელს, რის დასასაბუთებლადაც, ცხადია, ემყარებიან დელ კიაროს ცნობას ანთიმ ივერიელის უმაწვილკაცობაში მონად ყოფნის შესახებ, ამასთან დაკავშირებით შემდეგი უნდა აღვნიშნოთ. სიტყვა „ახალგაზრდობაში“ არ არის სავალდებულო აუცილებლად იგულისხმებოდეს 16 წელი. შესაძლოა, დელ კიარო ამ სიტყვაში ვარაუდობდა გაცილებით მეტი ხნის ახალგაზრდასაც. სამწუხაროდ, წიგნის ბიბლიოგრაფიული იშვიათობის გამო ჩვენ ხელთ არ გვქონდა დელ კიაროს მიერ იტალიურ ენაზე დაწერილი „ვალხეთის რევოლუცია“, სადაც ორიგინალში შევძლებდით შემოწმებას, თუ კონკრეტულად რომელ სიტყვას იყენებდა ავტორი ანთიმ ივერიელის მოტაცების პერიოდში მისი ხნოვანების აღსანიშნავად. ჩვენ ვხელმძღვანელობდით მხოლოდ ამ წიგნის რუმინულ ენაზე შესრულებული თარგმანით, რომელიც ეკუთვნის ს. კრის-კრისტიანს და გამოცემულია იასში 1929 წელს¹⁸¹. ამ წიგნში კი ანთიმ ივერიელის მონად ყოფნის შესახებ ცნობა შემდეგი სიტყვებითაა გადმოცემული „Antim, Mitropolitul Valahie, de naționalitate georgiană care, sclav în tinerețe...“ ხოლო რაც შეეჩება სიტყვას „tinerețe“, ეს ქართულად ითარგმნება შემდეგი სინონიმებით: ახალგაზრდობა, სიყმაწვილე, ჰიჭაბუკე, — აქედან გამომდინარე დელ კიაროს ცნობაზე დაყრდნობით იმ დასკვნის გამოტანა, რომ ანთიმ ივერიელი მხოლოდ და მხო-

¹⁸⁰ ქართლის ცხოვრება, II, 1854, გვ. 214.

¹⁸¹ Del Chiaro...

ლოდ 16 წლის ასაკში უნდა ყოფილიყო სამშობლოდან მოტაცებული, არ იქნებოდა სწორი, მართლაც და თუ ერთ შემთხვევაში სიტყვები „სიყმაწვილე, სიკაბუჯე“ შეიძლება იყოს ამსახველი დაახლოებით 16 წლის ასაკისა, მეორე შემთხვევაში სიტყვა „ახალგაზრდობა“ მოიცავს უფრო ფართო პერიოდს, დაახლოებით 30 წლამდე.

მაგრამ დაეუშვათ, რომ თვით დელ კიაროც სიტყვა „linereiz“-ში, გულისხმობს ანთიმ ივერიელის მხოლოდ აღრინდელი სიკაბუჯის ხანას. მაშინ ანთიმის მოტაცება აღნიშნულ პერიოდში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ყოფილიყო პირველი და უკანასკნელი. ჩვენთვის უცნობი სხვადასხვა მიზეზების გამო მას ალბათ მიეცემოდა საშუალება ისევ დაბრუნებულიყო საქართველოში და თავის სამშობლოს კულტურისა და ხელოვნების ტრადიციებზე ჩამოყალიბებულიყო როგორც შესანიშნავი შემოქმედი. სწორედ ამ პერიოდს უნდა დაემთხვეს ანთიმ ივერიელის საქართველოდან მეორედ მოტაცება, რომლის შემდეგაც მას უკვე აღარ უნახავს თავისი სამშობლო. ქართველთა არაერთგზის მონად გაყიდვას და შემდეგ ამ მონობიდან თავის დახსნას ქართველი ხალხის ცხოვრებაში რომ ხშირად ჰქონდა ადგილი, ამის ნათელ მაგალითს იძლევა ერთ-ერთი საბუთი: „ქრისტე ღმერთო, — ვკითხულობთ ჩვენ საბუთში, — მოიხსენე და შეიწყალე მართლმადიდებელნი კახელნი. მერმეცა მონა ღვთისა ფრიად ცოდვილი თუშია თუშის შვილი, მოქცეული კახეთისა, ალავერდის წმიდის გიორგის მონასტერში და ფრიადის ცოდვისაგან და ლეკისაგან გასყიდული, ლეკისა და თათრისაგან. და მერე მოწყალისა ქრისტესაგან დახსნილი... ექუსსა წელსა შინა რვაჯერ განვისყიდე ძმანო, ბევრი ჭირი ვნახე. ყმაწვილი ვიყავ, შენდობა ბრძანეთ“¹⁸².

თუ ჩვენ დასაბუთებულად ჩავთვლით ჩვენს მიერ წამოყენებულ ვერსიას, რომ ანთიმ ივერიელი სამშობლოდან მოტაცებულ იქნა არა 16 წლის ასაკში, არამედ უკვე გარკვეული „ინტელექტუალური ვინაობის“ მქონე პიროვნება, რომელიც, როგორც ხელოვანი აღიზარდა და ჩამოყალიბდა არა კონსტანტინოპოლში ბერძენი პატრიარქის კარზე, არამედ თავისივე სამშობლოში — საქართველოში, ამ შემთხვევაში ზოგიერთი მკვლევრის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი ანთიმ ივერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთელ რიგ სხვა მომენტებზეც გადასასინჯი ხდება.

მაგალითად, შ. კურდღელაშვილი, როდესაც განიხილავს საკითხს, თუ რატომ უნდა გამოეყიდა ანთიმ ივერიელი მონობიდან იერუსა-

¹⁸² Н. Марр, Синодик Крестного монастыря в Иерусалиме, стр. XX—XXI.

ლიმის პატრიარქს, შემდეგ წერს: „ჩვენთვის საინტერესო საკითხის ვასარკვევად უადრესად მნიშვნელოვანია იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის ერთი წერილი, მიწერილი საქართველოს კათალიკოსისადმი: „თქვენი წერილები მეტად საგულისხმოა, მაგრამ ვინ გვითარგმნის ჩვენ ყოველივე ამას? თარჯიმანი ჩვენ არ გვყავს. ათასჯერ მომიწერია თქვენთვის, რომ გამოგვიგზავნოთ აქ ერთი ყრმა აღსაზრდელად, განსწავლისათვის და თქვენთან მიმოწერის საწარმოებლად. მაგრამ თქვენ ეს არ გააკეთეთ“... ვფიქრობთ, რომ დოსითეოს პატრიარქის ეს წერილი ამომწურავ პასუხს იძლევა ჩვენს მიერ დასმულ საკითხზე — თუ რა მიზნით უნდა გამოესყიდა მას ტყვეობიდან ქართველი ქაბუკი ანთიმი და ნათელს ჰფენს აქამდე გაურკვეველ საკითხს ანთიმოზ ივერიელის ძირითადი საქმიანობის შესახებ იერუსალიმის საპატრიარქო კარზე 23 წლის განმავლობაში. თვით ის ფაქტი, რომ იერუსალიმის პატრიარქს ტყვეობიდან დაუხსნია არა მცირეწლოვანი, არამედ 16 წლის ასაკს მიღწეული ქართველი ახალგაზრდა, უთუოდ იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ პატრიარქს სწორედ აღნიშნული მიზნით უნდა გამოესყიდა იგი, რადგან 16 წლის ქართველ ქაბუკს, ბუნებრივია, კარგად ეცოდინებოდა მშობლიური ენა, ყოველ შემთხვევაში ქართული მეტყველება მაინც“¹⁸³ და შემდეგ — „ამრიგად, ჩვენი აზრით, შეიძლება დადგენილად იქნას მიღებული, რომ იერუსალიმის საპატრიარქო კარზე ზანგრძლივი დროის მანძილზე მყოფი ანთიმოზ ივერიელის ძირითადი მოვალეობა იყო თარჯიმნობა იერუსალიმის პატრიარქსა და საქართველოს მეფე-კათალიკოსთა შორის არსებულ მიმოწერასა და ურთიერთობაში“¹⁸⁴.

რასაკვირველია, მეტად საინტერესოა შ. კურდღელაშვილის მხრივ პატრიარქ დოსითეოსის მიერ საქართველოს კათალიკოსისადმი გაგზავნილ წერილზე დაყრდნობით ანთიმ ივერიელის მონობიდან გამოსყიდვის მიზეზის ახსნა. ცხადია, საცხებიტ დასაშვებია, რომ იერუსალიმის პატრიარქს თავის მოქმედებაში სწორედ აღნიშნული მოტივი ამოძრავებდა.

¹⁸³ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბილისი, 1959 წ. გვ. 23.

¹⁸⁴ იქვე, გვ. 25. ანალოგიურ თვალსაზრისს გამოსთქვამს ფ. ჭინჭიხაშვილიც (იხ. იხ. Джишджихашвили, Антиmoz Иверии, 1967, გვ. 17). მიუხედავად იმისა, რომ იგი თავის წიგნის სქოლიოში არც ერთ ავტორზე არ მიუთითებს, მისი თვალსაზრისი ჩვენს არ შეგვიძლია მივიღოთ, როგორც თარიღინალური, რადგან დებულება იერუსალიმის საპატრიარქო კარზე ანთიმ ივერიელის თარჯიმნად ყოფნის შესახებ, ფ. ჭინჭიხაშვილზე ცხრა წლით ადრე, წამოყენებული აქვს შ. კურდღელაშვილს.

მაგრამ როგორც ვხედავთ, შ. კულდელაშვილი თავის დებულების განმტკიცების ერთ-ერთ ამოსავალ წერტილად იღებს არსებულ ვერსიას ანთიმ ივერიელის 16 წლის ასაკში მონობიდან გამოსყიდვის შესახებ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მომენტზე ყურადღების გამახვილება ჩვენ მკითხველმა არ გავგივოს არა სწორ ასპექტში. რასაკვირველია, არა მხოლოდ 16 წლის ასაკში, არამედ უფრო მეტი ხნისაც რომ გამოესყიდა პატრიარქ დოსითეოსს ანთიმ ივერიელი მონობიდან, საესებით დასაშვები ბქნებოდა მისი თარჯიმნად გამოყენება. მართლაც, განა 28-30 წლის ასაკში მონობიდან გამოსყიდულ ქართველ ახალგაზრდისათვის არ შეეძლო შეესწავლებინა პატრიარქ დოსითეოსს ბერძნული ენა და დაევალებინა მისთვის „თარჯიმნობა იერუსალიმის პატრიარქთა და საქართველოს მეფე-კათალიკოსთა შორის არსებულ მიმოწერასა და ურთიერთობაში?“ ცხადია, შეეძლო. მაგრამ ჩვენ აქ ვსვამთ კითხვას. განა ის ძირითადი მოტივი, რომელმაც გადაადგმევინა იერუსალიმის პატრიარქს ასეთი ნაბიჯი, მართლაც ანთიმ ივერიელის თარჯიმნად გამოყენება იყო, თუ მას სულ სხვა მიზანი ამოძრავებდა? ამ კითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად საჭირო იქნებოდა, პირველ რიგში შეგვესწავლა იერუსალიმის საპატრიარქო კარზე არსებული ვითარება და გავვერკვია და დაგვედგინა: რა ძირითადი ამოცანები იდგა დოსითეოსის, როგორც ბერძნული ეკლესიის პატრიარქისა და კულტურული მოღვაწის წინაშე; რაში გამოიხატებოდა პრობლემა ნომერი პირველი, რომლის გადასაჭრელადაც იღწვოდა იმ დროს ანთიმ ივერიელის მონობიდან გამომხსნელი პიროვნება? ეს პრობლემა ნომერი პირველი კი იყო სასტამბო საქმიანობის მოგვარება.¹⁸⁵

ასეთი ვითარების გათვალისწინების შემდეგ სინამდვილესთან უფრო ახლოს უნდა იყოს შემდეგი მოსაზრება: პატრიარქი დოსითეოსი უფრო მეტად იქნებოდა დაინტერესებული გამოეყენებინა ახალგაზრდა ანთიმ ივერიელის მხატვრობის, გრაფიკის და კალიგრაფობის ნიჭი სასტამბო საქმიანობაში, ვიდრე მისი ბერძნული და ქართული ენების ცოდნა თარჯიმნის მოვალეობის შესასრულებლად.

თუ კონსტანტინე ბრინკოვიანუმ მოიწვია ქართველი შემოქმედი ელახეთში ბეჭდვითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად, რატომღა უნდა გამოვრიცხოთ ის შესაძლებლობა, რომ პატრიარქ დოსითეოსსაც ჰქონოდა ანალოგიური მიზნები ბერძნულ სტამბასთან დაკავშირებით, სადაც დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ანთიმ ივერიელს, როგორც შესანიშნავ მხატვარს, გრაფიკოსსა და კალიგრაფს.

შემონახულია მეისტორიეს მიერ გადმოცემული ამბავი. თურმე. ღონად ყოფნის დროს, კონსტანტინოპოლის ბაზრის მოედანზე ანთიმ ივერიელი ხისგან კრიდა საოცარი სილამაზის ფიგურებს, რომლებიც მნახველთა საერთო აღტაცებას იწვევდნენ. ანთიმ ივერიელის ნახელავს იძენდნენ ხელოვნების მოყვარულნი და ქართველი მონა ამით მოულობდა ლუკმაპურს. ვინ იცის, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს კონსტანტინოპოლის¹⁸⁶ მონათა ბაზარზე შემთხვევით მყოფმა პატრიარქმა დოსითეოსმა მიაქცია ყურადღება ახალგაზრდა ქართველი ტყვის ნახელავს და ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ პატრიარქმა დოსითეოსმა, „უგანათლებულესმა ადამიანმა, მეცნიერებისა და ხელოვნების ამაგდარმა“¹⁸⁷ და იმ ხანებში ბერძნული სტამბის დამაარსებელმა¹⁸⁸, მონობიდან დაიხსნა ახალგაზრდა ნიჭიერი შემოქმედი.

არ შეესაბამება სინამდვილეს აგრეთვე ქართველ მკვლევართა შორის გავრცელებული აზრი, ვითომდა ანთიმ ივერიელი ერისკაცად ჩასულიყო ვლახეთში. უნდა ითქვას, რომ ამავე თვალსაზრისისაა ნაწილი რუმინელი მკვლევრებისა. მაგალითად, კარტოჯანი¹⁸⁹, ჭერ ერთი, როგორც ანთიმ ივერიელისადმი მიძღვნილ მიხაილ იშტვანოვიჩის წინასიტყვაობიდან ჩანს, კონსტანტინე ბრინკოვიანუსთვის ანთიმ ივერიელი, ვიდრე იგი ვლახეთში დამკვიდრდებოდა, ცნობილი ყოფილა როგორც პიროვნება, რომელსაც გააჩნდა „სიყვარული ღვთისადმი“¹⁹⁰. აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ანთიმ ივერიელს კონსტანტინე ბრინკოვიანუსთან შეხვედრამდე უკვე ჰქონდა მიღებული სასულიერო წოდება. გარდა ამისა, რიგი რუმინელი მკვლევრებისა, ბოგდანი¹⁹¹ და სხვები უფრო მართებულად თვლიან ანთიმ ივერიელის ვლახეთში ჩასვლამდე მის ბერად აღკვეცას. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს თვით ის ფაქტიც, რომ პირველსავე

¹⁸⁶ XVII საუკ. დასაწყისიდან დაწყებული XIX საუკ. შუა ნახევრამდე იერუსალიმის პატრიარქთა რეზიდენცია იმყოფება კონსტანტინოპოლში და არა იერუსალიმში. *История святого града Иерусалима от времен апостольских и до наших*, СПб, 1844, გვ. 298. მაგალითად, იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა მისი პატრიარქობის ოცდათვრამეტი წლიდან მხოლოდ ორი წელიწადი თუ გაატარა იერუსალიმში. (Сообщения Императорскаго православнаго палестинскаго общества, 1908, т. XIX, гл. 30.

¹⁸⁷ Сообщения Императорскаго православнаго палестинскаго общества, СПб. 1908, т. XIX, гл. 32.

¹⁸⁸ იხ. ამ წიგნის გვ. 66—67.

¹⁸⁹ N. Carotjan, *Istoria literaturii române vechi*, I, გვ. 219.

¹⁹⁰ *Biserica Ortodoxa Romîna*, № 8—9, 1956, გვ. 680.

¹⁹¹ იქვე.

წიგნს, რომელსაც ანთიმ ივერიელი ვლახეთში ჩასვლის¹⁹² შემდეგ ბეჭდავს, ხელს აწერს, როგორც „ანთიმ იერომონახი“¹⁹³.

როგორც ვნახეთ, ზემომოყვანილი ზოგიერთი საკითხის განხილვისა და დაზუსტების შედეგად ანთიმ ივერიელის შესახებ არსებულ ცნობებში შეტანილ იქნა კორექტივები, დადგინდა მცირე თუ დიდი მნიშვნელობის მქონე დეტალები ანთიმ ივერიელის ცხოვრებიდან და ზოღაწიობიდან. მაგრამ ის საკითხი, რომლის განხილვასაც ახლა შევუდგებით, ატარებს სულ სხვა პრინციპულ და საკამათო ხასიათს. ეს ეხება ზოგიერთი მკვლევრის დაბეჯითებით და უკომპრომისო განცხადებას, რომელიც გამოიხატება შემდეგში: ანთიმ ივერიელმა სასტამბო საქმიანობა შეისწავლა კონსტანტინოპოლში. მაგალითად, გ. ლეონიძე თავის გამოკვლევაში წერს: „სტამბოლშივე იგი (ანთიმ ივერიელი — ო. გ.) დაუფლებია სასტამბო ხელოვნებას“¹⁹⁴. ხოლო, ფ. ჯინჯინაშვილი წერს: „მეტად საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ სახელდობრ სად შეისწავლა ანთიმმა სასტამბო საქმე. ბევრს მიაჩნია, რომ იგი დახელოვნდა წიგნების ბეჭდვაში ჯერ კიდევ ვლახეთში ჩასვლამდე, როდესაც მბეჭდავად მუშაობდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში“¹⁹⁵. და შემდეგ დასძენს, რომ კონსტანტინოპოლში ანთიმ ივერიელს სახელი ჰქონდა მოხვეჭილი როგორც სასტამბო საქმეში დახელოვნებულ ოსტატს¹⁹⁶. ხოლო შ. კურდღელაშვილი თავის წიგნში „ქართული სტამბის ისტორიიდან“, რომელშიაც სპეციალური თავია „სად და ვისგან შეისწავლა სასტამბო საქმე ანთიმოზ ივერიელმა“, აღნიშნავს: „ცხადია, რომ სწორედ აქ, დოსითეოს პატრიარქის ინიციატივით დაარსებულ საპატრიარქო სტამბაში დაეუფლებოდა ანთიმოზ ივერიელი სასტამბო საქმიანობას“¹⁹⁷ თუ რომელ ადგილს გულისხმობს შ. კურდღელაშვი-

¹⁹² ანთიმ ივერიელის ვლახეთში ჩასვლის თარიღად ჩვენ უნდა ვივარაუდოთ დრო 1689 და 1691 წლებს შუა, დაახლოებით 1690 წელი, რადგან კონსტანტინე ბრინკოვიანუ ვლახეთის სამეფო ტახტზე ადის 1698 წლის 9 ნოემბერს, ხოლო ანთიმ ივერიელის მიერ ვლახეთში დაბეჭდილი პირველი წიგნი დათარიღებულია 1691 წლის ოქტომბრით N. Iorga, Istoria literaturii romanesti, II, Buc. 1928, გვ. 466.

¹⁹³ ანთიმ ივერიელმა ვლახეთში პირველი წიგნი გამოაცა შემდეგი სათაურით „ბა თავი ბერძენთა თვითმპყრობელის ბასილი მკედონელის შვიგნებათა“. ამავე დროს ეს წიგნი პირველი წყაროა, რომელიც მიუთითებს ანთიმ ივერიელს უფნაზე ვლახეთში. „66 თავი ბერძენთა თვითმპყრობელის ბასილი მკედონელის შვიგნებათა“ დაიბეჭდა არა სნაკოეში, როგორც ამას წერს გ. ლეონიძე (ეურნ. -დროშა“ 1951 წ. № 2, გვ. 17). არამედ ბუქარესტში N. Iorga, Istoria literaturii romanesti, II, Buc. 1928, გვ. 466

¹⁹⁴ „დროშა“, № 2, 1951, გვ. 17.

¹⁹⁵ Ф. Джинджинашвили, Антиmoz Ивериели, 1967, გვ. 103.

¹⁹⁶ იქვე.

¹⁹⁷ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან; 1959, გვ. 33.

ლი სიტყვებში „სწორედ აქ“, ეს ირკვევა მისივე წიგნიდან: „...XVII საუკუნეში, — წერს მკვლევარი, — კონსტანტინოპოლში დაარსებული ყოფილა საპატრიარქო სტამბები, სადაც წიგნები ბერძნულ ენაზე იბეჭდებოდა. განსაკუთრებით საყურადღებო ჩვენთვის ის არის, რომ ერთ-ერთი ასეთი სტამბის დამაარსებელი, სწორედ იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი ყოფილა“¹⁹⁸. ე. ი. შ. კურდღელაშვილის აზრითაც, ანთიმ ივერიელი მესტამბის ხელობას დაუფლებია კონსტანტინოპოლში. რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ეს დებულება?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად პირველ რიგში საჭირო იქნება დავადგინოთ, თუ რა მდგომარეობა იყო კონსტანტინოპოლში XVII საუკუნის მანძილზე ბერძნული სტამბების არსებობის მხრივ.

„შერბან კანტაკუზენის¹⁹⁹ თანამედროვე ელადიუსი გვაუწყებს — წერს ქსენოპოლი, — რომ იმ პერიოდში (იგულისხმება XVII საუკუნის 20-იანი წლები — ო. გ.) საბერძნეთში არ იყო სტამბები და მხოლოდ დიდი გაჭირვების შედეგად, რაც გამოწვეული იყო თურქ ხელისუფალთა დევნითა და ხელის შეშლით, ბერმა მეტაქსამ შესძლო 1627 წელს ინგლისიდან კონსტანტინოპოლში ჩამოეტანა სტამბა. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ სტამბას დიდხანს არ უმუშავია, რადგან ვასილი ლუპუს²⁰⁰ მეფობის პერიოდში მისთვის თხოვნით მიუმართავთ ბერძნებს, რათა მოლდავეთის მთავარს ბერძნებისათვის დაეარსებინა სტამბა იასში“²⁰¹. დამატებით ცნობებს კონსტანტინოპოლში ბერძნული სტამბის დაარსების შესახებ იძლევა ვ. არხანგელსკი, რომლის მიხედვით ბერი მეტაქსა ინგლისში კონსტანტინოპოლის პატრიარქის კირილე ლუკარისის ინიციატივით წასულა. „1627 წელს — წერს ვ. არხანგელსკი — ინგლისის ელჩის მხარდაჭერით კირილე ლუკარისი კონსტანტინოპოლში აარსებს სტამბას, რომელიც, მთლიანად გამართული, ლონდონიდან ჩამოიტანა განსწავლულმა ბერმა მეტაქსამ. ამ სტამბაში დაიბეჭდა ბერძენი მწერლების ნაშრომები, მიმართული კათოლიკეთა წინააღმდეგ, აგრეთვე თვით კირილე ლუკარისის დარიგებები და ტრაქტატები... კირილე ლუკარისი არც კი ფიქრობდა, რომ სტამბის გახსნას შეეძლო მისთვის უსიამოვნების მიყენება. მაგრამ საქმე შემდგენაირად წარიმართა. იეზუიტებს²⁰² ჯერ სურდათ მეტაქსას თავის მხარეზე გადაბირება, ხოლო, როდესაც ეს მათ ვერ შესძლეს,

¹⁹⁸ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, 1959. გვ. 31.

¹⁹⁹ ელახეთის მთავარი 1678—1688 წწ.

²⁰⁰ მოლდავეთის მთავარი 1633—1653 წწ.

²⁰¹ A. Xenopol, Istoria rominilor din Dacia Traiana, vol. VIII, Buc. გვ. 242.

²⁰² კათოლიკური და მართლმადიდებლური ბერძნულ ეკლესიებს შორის წარმოებული ბრძოლის შესახებ იხილეთ ამ წიგნის გვ. 113—116.

გაავრცელეს ხმა, რომ მეტაქსა თურქ ხელისუფალთ დაუძინებელი მტერია და მისი მოკვლაც კი განიზრახეს. ინგლისის ელჩმა, თომას რუმ, მფარველობა აღმოუჩინა მეტაქსას. მან მეტაქსას თავმესაფარი თავის საკუთარ ბინაში მიუჩინა. ამან კიდევ უფრო გაააფთხა იეზუიტები. ახლა ისინი ამხედრდნენ არა მარტო მეტაქსას, არამედ ლუკარისის წინააღმდეგაც. იეზუიტებმა დაასმინეს ლუკარისი დიდ ვეზირთან, ვითომ მან ინგლისში დაბეჭდა წიგნი მაჰმადის სწავლების საწინააღმდეგოდ და ამავე წიგნის გამოცემას აპირებდა იგი მეტაქსას სტამბაში. იეზუიტებმა ხელთ იგდეს ლუკარისის ნაშრომი, თვითნებურად გადაეცეთეს ეს ადგილები, რომლებიც მაჰმადიანობას ეხებოდა, იმ თვალსაზრისით, რომ თურქების უკმაყოფილება გამოეწვია და ასე შესწორებული სახით გადაუგზავნეს დიდ ვეზირს. გარდა ამისა; იეზუიტებმა აუწყეს დიდ ვეზირს, რომ ლუკარისი და მეტაქსა ბექდავდნენ ისეთ წიგნებს, რომლებიც მიმართული იყო ყურანის საწინააღმდეგოდ. ამ წიგნების შეშვეობით ფიქრობდნენ ისინი ბერძნების ამხედრებას და ატყობინებდნენ თურქებს, რომ ეს წიგნები უკვე გადაეგზავნა კაზაკებს²⁰³. იეზუიტების ცდა უნაყოფო არ აღმოჩნდა. მეტაქსამ ძლივ მოასწრო თავის შეფარება ინგლისის ელჩის რეზიდენციაში, ხოლო კირილე ლუკარისი შეიხიზნა პოლანდიის ელჩმა²⁰⁴. რაც შეეხება სტამბას, იგი მთლიანად იქნა განადგურებული²⁰⁵.

ამრიგად, როგორც ჩვენს მიერ მოყვანილი ცნობებიდან ირკვევა ბერ მეტაქსას მიერ 1627 წელს ინგლისიდან კონსტანტინოპოლში ჩა-

²⁰³ აქ აღწერილი პერიოდი ემთხვევა იმ დროს, როდესაც კაზაკებმა აიღეს აზოვი და აპირებდნენ კონსტანტინოპოლზე თავდასხმას. იეზუიტებმა ისარგებლეს შემთხვევით და დააჯერეს დიდი ვეზირი, რომ კაზაკებს აზოვის აღება პატრიარქმა ლუკარისმა ურჩია და მხოლოდ ელოდებოდა ერთმორწმუნე კაზაკების კონსტანტინოპოლში გამოჩენას, რათა ემხედრებინა ბერძნები თურქთა ბატონობის წინააღმდეგ.

²⁰⁴ კათოლიკური ეკლესიის შესვენურთა, იეზურთა წინააღმდეგ ბრძოლაში კირილე ლუკარისისა და ბერ მეტაქსას მხარდაჭერა ინგლისისა და პოლანდიის ელჩებს მიერ იმ გარემოებით უნდა იხსნას, რომ ინგლისისა და პოლანდიის ელჩები იმ ქვეყნების წარმომადგენლები იყვნენ, სადაც ფეხი ჰქონდა მოცილებული პროტესტანტობას. ხოლო თუ რა ინტაგონიზმი არსებობდა კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის, ამის შეაფოთ მაგალითია 1572 წელს საფრანგეთში მომხდარი ტრაგედია, რომელიც ძმთა შორის მომხდარ სისხლისმღერელ შეტაკებაში გამოიხატა. როდესაც ფრანგმა კათოლიკემ ხელი აღმართა ფრანგ პროტესტანტზე და რომელიც ისტორიამ შემოგვინახა „მართლმცოდნის“ სახელით. გარდა ამისა ინგლისისა და პოლანდიის ელჩები იმედოვნებდნენ, რომ პატრიარქ ლუკარისის შეშვეობით ისინი შესძლებდნენ პროტესტანტობის გავრცელებას აღმოსავლეთში.

²⁰⁵ В. А р х а н г е л ь с к и й, Очерки истории греческой церкви, М., 1885. გვ. 282.

მოტანილ ბერძნულ სტამბას თავის მოქმედება უნდა შეეწყვიტა 1633 წლამდე, რადგან, როგორც უკვე ნათქვამი იყო, აღნიშნული სტამბის დარბევის შემდეგ ბერძნებს თხოვნით მიუმართავთ მოლდავეთის მთავარ ვასილი ლუპუსათვის — დაეარსებინა მათთვის ბერძნული სტამბა იასში. ვასილი ლუპუ კი მოლდავეთის ტახტზე ავიდა 1633 წელს²⁰⁶.

ახლა ვნახოთ რა სურათია ბექვდითი საქმის განვითარების მხრივ კონსტანტინოპოლში, დაწყებული დღიდან პირველი ბერძნული სტამბის დარბევისა იმ დრომდე, ვიდრე ანთიმ ივერიელი ვლახეთში ჩავიდოდა (დაახლოებით 1690 წ.).

შ. კურდღელაშვილს თავის წიგნში მოჰყავს არაბი მეცნიერის იბრაჰიმ აბდუს ცნობა იმის შესახებ, რომ XV—XVII საუკუნეებში თურქეთში, სახელდობრ კონსტანტინოპოლში, სტამბები მარტოოდენ ებრაული სამღვდლოების წარმომადგენლებს ჰქონდათ²⁰⁷. შ. კურდღელაშვილს ეკვი შეაქვს იბრაჰიმ აბდუს ამ ცნობის სისწორეში და წერს: „ირაკვევა, რომ იბრაჰიმ აბდუს ცნობა იმდროინდელ თურქეთში არსებული სტამბების შესახებ არ არის სრული და ზუსტი; როგორც ჩანს იბრაჰიმ აბდუს XVIII საუკუნემდე თურქეთში არსებული ყველა არაბული (კურსივი ავტორისაა — ო. გ.) სტამბა ებრაული (კურსივი ჩვენია — ო. გ.) სტამბებად მიუჩნევია, რადგან არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურთა ინიციატივით XVII საუკუნეში კონსტანტინოპოლში (კურსივი ჩვენია — ო. გ.) დაარსებული ყოფილა საპატრიარქო სტამბები, სადაც წიგნები ბერძნულ ენაზე იბეჭდებოდა. განსაკუთრებით საყურადღებო ჩვენთვის ის არის, რომ ერთ-ერთი ასეთი სტამბის დამაარსებელი სწორედ იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი ყოფილა“²⁰⁸.

შ. კურდღელაშვილი ამ მოსაზრების წამოყენების დროს ეყრდნობა: „История святого града Иерусалима от времен апостольских и до наших“, ч. II, СПб., 1844 г.

ვნახოთ რა არის ნათქვამი ამ წიგნში ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით: „Патриарх Досифей видя также, что со времен Лукариса заведена была в Царьграде²⁰⁹ типография и печатались многие книги, поревновал сему полезному заведению ко благу своей паствы. Будучи в Яссах, не пощадил и

²⁰⁶ История Румынии, под редакцией М. Р о л л е р а, 1950, стр. 168.

²⁰⁷ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, 1959, გვ. 30.

²⁰⁸ იქვე, გვ. 31.

²⁰⁹ კონსტანტინოპოლი.

იძღვრეკ და პრიობრეტენია ვსეო ნუჟნოკო კ უსტროისტვუ ტიპოგრაფიი, პოდ ნადზორემ ოდნო ვალახსკოგო იერონოხა, პო იმენი მიტროფანა, ი პრეჟდე ვსეო ნაპეჩატალ კნიგუ პატრიარხა ნექტარია, პრотив ვლასტი პაპსკოი ი თვორენია სიმეონა ფესალონიკსკოგო. მეჟდუ თემ ფრანკი ვსაქესკი სტარალისი ოკლევატაჟი პატრიარხა, თობი თოლკო ოვლადეჟი სვ. მესტამი; ონი ობვინილი ეგო პერედ პრავიტელსტვომ პორტა, თო ბუდტო პეჩატაჟი ვრედნიაჟი პრотив ნიქ კნიგუ; ნო ბლავორაზუმნიჟი ვიზირიჟი ნე დალ ვერი იქ კლევატამ...»²¹⁰.

შ. კურდღელაშვილს თავის გამოკვლევაში ჩვენს მიერ აქ ციტირებული ადგილის შემდეგი თარგმანი მოჰყავს: „პატრიარქმა დოსათეოსმა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ლუკარისის დროიდან დაარსებული იყო კონსტანტინოპოლში სტამბა, გადასწყვიტა თავისი სამწყსოს საკეთილდღეოდაც შემოეღო ამგვარი სასარგებლო დაწესებულება. იასში ყოფნისას იგი არ დაერიდა ხარჯებს, შეიძინა ყოველივე, რაც კი საჭირო იყო სტამბის გასამართავად და სტამბის სათავეში ერთი ვლახელი იერომონახი, სახელად მიტროფანე დააყენა.

ამავე დროს წმ. სამარხთა ხელში ჩაგდების მიზნით კათოლიკენი ცდილობდნენ ყოველნაირი ცილი დაეწამებინათ პატრიარქისათვის. მათ ცილი დასწამეს დოსითეოსს თურქეთის მთავრობის წინაშე, რომ თითქოს იგი მთავრობის საწინააღმდეგო წიგნებს ბეჭდევდა, მაგრამ ჯონიერმა ვეზირმა არ დაუჭერა მათ ცილისწამებას“²¹¹.

როგორც ვხედავთ, შ. კურდღელაშვილის მიერ წიგნიდან „История святого града Иерусалима...“ ნათარგმნი ადგილი ძირითადადში (მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქართულ თარგმანში მკვლევარს გამოტოვებული აქვს წინადადება „...прежде всего напечатал книгу патриарха Нектария, против власти папской и творения Симеона Фесалоникского“) შეესაბამება იმას, რაც ნათქვამია ორიგინალში. მაგრამ, ჩვენის აზრით, წიგნიდან „История святого града Иерусалима...“ შ. კურდღელაშვილის მიერ აქ მოყვანილი ცნობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ დებულების დასასაბუთებლად, რომ პატრიარქ დოსითეოსს კონსტანტინოპოლში დაუარსებია სტამბა, ანდა იბრაჰიმ აბდუს თვალსაზრისის უარსაყოფად, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ XV—XVII საუკუნეებში თურქეთში, სახელდობრ, კონსტანტინოპოლში, სტამბები მართოდენ ებრაული სამღვდელთაების წადმომადგენლებს ჰქონდათ. მართალია, წიგნში „Исто-

²¹⁰ История святого града Иерусалима от времени апостольских и до наших. ч. II, СПб., 1814, стр. 342.

²¹¹ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, 1959, გვ. 31. 5. ო. გვინჩიძე

რქა სვთოგო გრადი იერუსალიმა...“ ნათქვამია, რომ სტამბის გასამართავად პატრიარქი დოსითეოსი არ დაერიდა ხარჯებს და მოაწყო კიდეც სტამბა, მაგრამ საიდან ჩანს, რომ პატრიარქ დოსითეოსის მიერ სტამბის დაარსების ადგილი სწორედ კონსტანტინოპოლი იყო? ამის შესახებ, როგორც ვხედავთ, ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებულ ადგალებში არაფერია ნათქვამი.

აჩუბობს თუ არა სხვა რაიმე ცნობა, რომელიც პირდაპირ მიუთითებს იმ კონკრეტულ ადგილზე, სადაც პატრიარქ დოსითეოსის მეცლადინეობის შემდეგ მოქმედებდა დაიწყო ბერძნულმა სტამბამ? ასეთი ცნობა არსებობს და მოცემულია კრებულში „Сообщения Императорскаго православнаго палестинскаго общества, т. XIX, 1908“, რომელიც ამომწურავ პასუხს იძლევა ჩვენს მიერ დასვლ კითხვაზე. კრებულში ნათქვამია: „... с целью дать возможность греческим писателям печатать свои научно-литературные труды, патриарх Досифей основал в Яссах (კურსივი ჩვენია—ო. გ.) типографию. Враги элементу патриарха были счесть истинным открытием греческой типографии, распускали ложные слухи о ее назначении и добивались перед турецким правительством распоряжения о закрытии ее. Но их усилия оказались напрасными. В 1682 году патриарх Досифей с великой радостью издал первую (კურსივი ჩვენია—ო. გ.) книгу, напечатанную в Ясской типографии. Это был полемический против папства труд бывшего иерусалимского патриарха Нектария.“²¹²

როგორც ვხედავთ, ისე როგორც წიგნიდან „История святого града Иерусалима...“ ასევე კრებულიდან „Сообщения Императорскаго православнаго палестинскаго общества“ ჩვენს მიერ აქ მოყვანილი ცნობები ერთსა და იმავე საკითხს ეხებიან და ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ ერთმეორეს და დამატებით მონაცემებს გვაწვდიან.

ასე მგალითად, თუ მივმართავთ წიგნს „История святого града Иерусалима...“, სადაც ნათქვამია, რომ პატრიარქმა დოსითეოსმა „...прежде всего напечатал книгу патриарха Нектария, против власти папской и творения Симеона Фесалоникского“,²¹³ და შემდეგ

²¹² Сообщения Императорскаго православнаго палестинскаго общества, т. XIX, 1908, гл. 23.

²¹³ История святого града Иерусалима от времени апостольских и до наших, ч. II, СПб., 1844, гл. 342.

მოვიშველეთ კრებულს „Сообщения Императорскаго православнаго палестинскаго общества“, ჩვენ ვნახეთ, რომ ამ კრებულში არა მარტო დადასტურებულია ფაქტი პატრიარქ დოსითეოსის მიერ პატრიარქ ნექტარიოსის წიგნის დაბეჭდვის შესახებ, არამედ კონკრეტულადცაა მითითებული თუ სად და როდის დაიბეჭდა ეს წიგნი. როგორც ვიცით, კრებულში ნათქვამია: „В 1882 году патриарх Досифей с великой радостью издал первую печатную в Ясской типографии. Это был полемический против папства труд бывшего иерусалимскаго патриарха Нектария“.²¹⁴

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ პატრიარქ დოსითეოსს დიდი მეცადინეობისა და გარჯის შემდეგ შესაძლებლობა მისცემია განეცორციელებინა თავისი ოცნება და დაეარსებინა ბერძნული სტამბა. მაგრამ იერუსალიმის პატრიარქს სტამბა დაუარსებია არა კონსტანტინოპოლში, როგორც ამას ფიქრობს შ. კურდღელაშვილი, არამედ იასში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პატრიარქ დოსითეოსის მიერ იასის სტამბაში გამოცემული პირველივე წიგნი მიმართული იყო რომანულ-კათოლიკური ეკლესიის დოგმების წინააღმდეგ. ეს გასაგებიცაა, რადგან მართლმადიდებლურ და რომანულ-კათოლიკურ ეკლესიებს შორის წარმოებულმა ბრძოლამ, რომელსაც დასაბამი ჰქონდა 1054 წლის 16 ივნისიდან მიეცა, ამ დროისათვის კულმინაციურ წერტილს მიაღწია. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის აუცილებლობა, რომ პატრიარქ დოსითეოსის მიერ იასის სტამბაში დაბეჭდილი პირველივე წიგნი პოლემიკურ ხასიათს ატარებდა. მაგრამ იასის სტამბაში პატრიარქ დოსითეოსის მიერ წიგნის დაბეჭდვის ფაქტი ჩვენ ამჟამად გვიანტერესებს არა მხოლოდ როგორც მართლმადიდებლური და რომანულ-კათოლიკურ ეკლესიებს შორის წარმოებული ბრძოლის ერთ-ერთი ეტაპი²¹⁵, არამედ სულ სხვა თვალსაზრისით, კერძოდ: რატომ სწორედ იასი და არა კონსტანტინოპოლი აირჩიეს მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი იერარქიის წარმომადგენლებმა თავიანთი ინტერესების დასაცავად? ვნახოთ რას წერს ი. რამურეანუ: „...XVII საუკუნის დამლევს და XVIII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთის ეკლესიის ცნობილი იერარქები და ნასწავლი ღვთისმეტყველნი ჩამოდიან რუმინულ სამთავროებში ვლახეთსა და მოლდავეთში და აქ ბეჭდავენ

²¹⁴ Сообщения Императорскаго православнаго палестинскаго общества, т. XIX, 1908, гл. 23. 113—116.

²¹⁵ მართლმადიდებლური და რომანულ-კათოლიკურ ეკლესიებს შორის წარმოებული ბრძოლის შესახებ იხილეთ ამ წიგნის გვ. 113—116.

წიგნებს მართლმადიდებლური დოგმების დასაცავად რომანულ-კათო-
ლიკური ეკლესიის შემოტევისაგან²¹⁶. ხოლო თუ რით იყო გამოწვე-
ული ასეთი ვითარება, ამაზე პასუხობს თვით ი. რამურეანუ. „მართლ-
მადიდებლური რწმენის დაცვა პირველ რიგში ხორციელდებოდა ბერ-
ძნულ ენაზე წიგნების ბეჭდვით ვლახეთსა და მოლდავეთში. მართლ-
მადიდებელ ბერძნებს, რომლებიც მუსლიმანთა მიერ დაკავებულ ტე-
რიტორიაზე ცხოვრობდნენ, არ გააჩნდათ არც საშუალება ებეჭდათ
წიგნები და ამის ნებას მათ არც თურქი ხელისუფალნი აძლევდნენ“²¹⁷.

ახლა ვცადოთ იმის დადგენა, თუ ასეთ ვითარებაში სად იბეჭ-
დებოდა ბერძნულ ენაზე რომანულ-კათოლიკური ეკლესიის წინააღმ-
დეგ მიმართული პოლემიკური ხასიათის ნაწარმოებები²¹⁸. მრავალ
სათანადო ლიტერატურისა და დოკუმენტის შესწავლა-შეჯერების შე-
დეგად მივიღეთ შემდეგი სურათი: 1682 წელს პატრიარქი დოსითეო-
სი იასის სტამბაში ბეჭდავს კათოლიკური დოგმების წინააღმდეგ მი-
მართულ წიგნს.

1690 წელს ბუქარესტის სტამბაში გამოდის „პასუხად კათოლიკე-
თა პრინციპებისა“. იმავე წელს იბეჭდება „კათოლიკეთა განხეთქი-
ლების წინააღმდეგ“: 1692 წელს ბუზუეუში გამოდის „წიგნი შეთან-
ხმებისა“, 1694 წელს იასის სტამბაში იბეჭდება „სახელმძღვანელო
იოანე კარიოფილის წინააღმდეგ“ და ა. შ.

როგორც ვნახეთ, ბერძნულ ენაზე წიგნების ბეჭდვა ხდება იასში,
ბუქარესტში და ბუზუეუში დაარსებულ სტამბებში და არა კონსტანტი-
ნოპოლში.

ჩვენ დაბეჭდვებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ 1627 წელს ინ-
გლისიდან კონსტანტინოპოლში ბერ მეტაქსას მიერ ჩამოტანილი სტამ-
ბის დარბევის შემდეგ კონსტანტინოპოლში თითქმის 90 წლის მანძილ-
ზე არც ერთ ბერძნულ სტამბას არ უმოქმედია. მხოლოდ 1713 წელს
ანთიმ ივერიელისა და იერუსალიმის პატრიარქ ქრიზანთეს²¹⁹ მიმოწე-
რიდან ირკვევა, რომ ამ უკანასკნელს გადაუწყვეტია კონსტანტინო-
პოლში ბერძნული სტამბის გამართვა, ხოლო ანთიმ ივერიელი, ამ

²¹⁶ I. Ramureanu, Atmosfera de aparare a Ortodoxiei din Tarile Ro-
mine în care s-a dezvoltat spiritul mitropolitului Antim Ivireanul, *ib. Biserica*
Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 834.

²¹⁷ იქვე, გვ. 832.

²¹⁸ ჩვენ განსაკუთრებით იმით ვაინტერესდებით ყურადღება პოლემიკური ხასიათის
ნაწარმოების ბერძნულ ენაზე ბუქარესტის სტამბებში, რადგან არსებულ ვითარებაში მართ-
ლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლები, ცხადია, შეუძლებოდნენ, რომ პირველ
რიგში სწორედ კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული წიგნები დაებეჭდათ.

²¹⁹ პატრიარქი დოსითეოსი გარდაიცვალა 1707 წელს, რის შემდეგ იერუსალიმის
პატრიარქად არჩეულ იქნა ქრიზანთე.

დროისათვის უკვე ვლახეთის მიტროპოლიტი და სახელმონვექილა მბექდავი, აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად, მას დაპირებია შრიფტის, სასტამბო მოწყობილობისა და ოსტატის გაგზავნას²²⁰. „ამ ქალაქისათვის (კონსტანტინოპოლისათვის — ო. გ.) — წერს რუმინელი მკვლევარი შერბინესკუ, — საიდანაც ჩვენთან შესაძლოა მოყვანილ იქნა ანთიმ ივერიელი — „ყველა ხელობათა ოსტატი“, იგი მზად იყო გაეკეთებინა ყველაფერი, რათა იქ დაარსებულიყო სტამბა“²²¹.

როგორი დასკვნის გამოტანა შეიძლება ყოველივე ზემოთქმულის შედეგად? ეს დასკვნაა: ანთიმ ივერიელს არ შეეძლო შეესწავლა წიგნის ბექდვის ხელობა კონსტანტინოპოლში თუნდაც იმ ერთადერთი, მაგრამ შეიძლება ითქვას მეტად დამაჯერებელი არგუმენტის გამო, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: დაახლოებით 1633 წლიდან (როდესაც ანთიმ ივერიელი ჭერ არც კი იყო დაბადებული) 1713 წლამდე (როდესაც ანთიმ ივერიელს უკვე თვითონ ჰქონდა დაარსებული რამდენიმე სტამბა) კონსტანტინოპოლში არ არსებობდა არც ერთი ბერძნული სტამბა²²².

ამრიგად, დღემდე არსებული ვერსიები იმის შესახებ, რომ ანთიმ ივერიელი სასტამბო ხელოვნებას დაუფლა ერთ შემთხვევაში ვლახეთში, ხოლო მეორე შემთხვევაში — კონსტანტინოპოლში, არ შეესაბამება სინამდვილეს.

ახლა განვიხილოთ კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც არსებობს მკვლევართა შორის ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით.

1962 წელს გამოქვეყნდა რუმინელ მკვლევრის მოლინის წერილი შემდეგი სათაურით: „ახალი წვლილი მართლმადიდებლურ აღმოსავლეთთან კულტურული ურთიერთობის ისტორიის შესწავლის საქმეში

²²⁰ E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par. III, გვ. 105—107, 112, 115

²²¹ N. Serbanescu, Antim Ivireanul tipograf, გვ. 698.

²²² როგორც ირკვევა, არაბი მკვლევარის იბრაჰიმ აბდუს ცნობა მდროინდელ თურქეთში არსებული სტამბების შესახებ არ ყოფილა მინცდამაინც მცდარი, როგორც ამას ფიქრობს შ. კურდღელაშვილი. პირიქით, როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, არსებული ფაქტები სრულიად გამორიცხავენ კონსტანტინოპოლში ბერძნული სტამბების არსებობას და ძირითადად ამართლებენ იბრაჰიმ აბდუს მურაჰის აყენებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ XV-XVII საუკუნეებში თურქეთში, სახელდობრ კონსტანტინოპოლში, სტამბები მართლმადიდებელი ებრაელი სამღვდლოების წარმომადგენლებს ჰქონდათ (რასაკვირველია, გამოთქმის წარმოადგენს ბერ მეტაქსას მიერ 1627 წელს კონსტანტინოპოლში დაარსებული ბერძნული სტამბა). ასეთ შემთხვევაში სასურველია დაუშვებელია ანთიმ ივერიელის რაზეც კავშირი არაბურძნულ სტამბებთან, რადგან, როგორც თვით შ. კურდღელაშვილი აღნიშნავს, ებრაელი სამღვდლო ებრაელებთან შემთხვევაში არ დაუშვებდა მართლმადიდებელ ქრისტიანს, ანთიმ ივერიელს, თავიანთ სტამბებში.

(1709—1712)²²⁴. მოლინი წერს: „საქართველოს მეფემ არჩილმა, ოცი წლით აღრე, ვიღრე ვახტანგ VI-და სტეფანიშვილი²²⁵ ხელს მოჰკიდებდნენ სტამბის გამარვას, დაამყარა კავშირი ამსტერდამში მცხოვრებ შრიფტის გაჰყეთებელთან, სახელდობრ, მათ შორის საუკეთესოსთან, ტოტფალუშთან. ჩვენ დავადგინეთ, რომ პირველი ქართული შრიფტი გაკეთდა ამსტერდამში და იქიდან გადაეგზავნა არჩილს თბილისში, რასაც ცხადყოფს არჩილ მეფის წერილი ამსტერდამის ქალაქისთავისადმი (ვიტცენისადმი — ო. გ.). ამასვე ამტკიცებს ტოტფალუში თავის წიგნში: „თავის გასამართლებლად“: „სად იმყოფება ამსტერდამი სომხეთთან შედარებით? მათ (სომხებს) მე კარგი სამსახური გაუწყე (იგულისხმება, რომ ტოტფალუშმა სომხებს ასოები გაუყეთა—შენიშვნა მოლინის). ხოლო რაც შეეხება ქართველებს, მათ არ გააჩნდათ საკუთარი სტამბა, სარგებლობდნენ მხოლოდ ხელნაწერებით, ისევე როგორც თურქები: ამიტომაც მათმა მეფემ გადაწყვიტა თვითონ დაეწერა ალფაბეტი, აგრეთვე რამდენიმე ტექსტი და ისინი მან გადმოგზავნა ამსტერდამში. მე კი, რადგან მათი ფორმა არ მომეწონა, გავუყეთე მათ (ქართველებს — შენიშვნა მოლინის) სხვა ასოები, უფრო სრულყოფილი, რამაც ისინი მეტად გაახარა...“²²⁴.

ტოტფალუშის სიტყვების გარდა მოლინს გამოკვლევაში მოჰყავს ბობ პეტერის მიერ 1757 წელს გამოთქმული მოსაზრება: „ქართველებს, რომლებიც ძველად იწოდებოდნენ ივერიელებად, ტოტფალუშმა დაუარსა საბეჭდი სახელოსნო“²²⁵.

ზემოთმოყვანილი ცნობების განზოგადების შემდეგ მოლინი დასკვნის: „ჩვენ არ გამოერიცხავთ შესაძლებლობას, და ეს ბუნებრივიც იქნება, რომ არჩილი ისარგებლებდა ტოტფალუშისგან (ამსტერდამიდან) მიღებული შრიფტითა და ხელნაწერებით იმ პერიოდში, რომელიც მოიცავს დროს 1684 წლიდან (შრიფტის დაკეთის დაახლოებით თარიღი)²²⁶ 1694 წლამდე (თარიღი, როდესაც გადაყენებულ იქნა არჩილი); აგრეთვე არაა გამორიცხული, რომ მისი შემკვიდრებები ვახტანგ VI-მდე სარგებლობდნენ ამ სტამბით“²²⁷. თუ არჩილის სტამბა მოქმედებდა თბილისში 1684—1690 წლებში — განაგრძობს მოლი-

²²³ მ ი ხ ა ი ლ ი შ ტ ვ ა ნ ო ე ი ჩ ი. იხ. ამ წიგნის გვ. 169—181.

²²⁴ Virgil Molin, Contributii noi la istoricul rel.itiilor culturale cu Orientul ortodox (1709—1712). იხ. ჟურნ. Biserica Ortodoxa Romina, an LXXIX, № 3—4, 1961, გვ. 330—331 (შემდეგ V. Molin...).

²²⁵ V. Molin... გვ. 331.

²²⁶ არჩილ მეფემ ტოტფალუშს ქართული შრიფტი დაუყეთა 1685 წელს.

²²⁷ V. Molin... გვ. 331.

ნი — საკითხი გადაჭრილი იქნებოდა. ანთიმ ივერიელს, რომელიც როგორც ფიქრობენ, ჩამოვიდა ჩვენთან დაახლოებით 1691 წელს, შევიწლო შეესწავლა მესტამბის ხელობა თბილისში, როდესაც იგი იმუშავებდა არჩილის მიერ ამსტერდამიდან ჩამოტანილ შრიფტზე და სასტამბო ხელსაწყოებზე²²⁸ და შემდეგ „ჩვენ იმიტომ შევჩერდით ტოტფალუმ კიშ შიკლოშზე, როგორც ასოების გამოქანდაკების დიდოსტატზე ამსტერდამიდან, რადგან მისი მოღვაწეობა დაკავშირებულია ბექდვის საქმის დაწყებასთან საქართველოში“²²⁹.

ე. ი. თუ მოკლედ ჩამოვყალიბებთ რისი დამტკიცებაც უნდოდა მოლინს, როდესაც იგი წერდა ჩვენს მიერ ციტირებულ სტრიქონებს, ეს გამოიხატება შემდეგში: 20 წლით ადრე, ვიდრე თბილისში გაიხსნებოდა პირველი ქართული სტამბა, არჩილს ტოტფალუმისათვის დაუყვეთია ქართული შრიფტი და სასტამბო მოწყობილობა და ჩამოუტანია ისინი თბილისში. მოლინს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ეს სტამბა მოქმედებდა თბილისში ჭერ კიდევ ვახტანგ VI-მდე და რომ ამ სტამბაში ანთიმ ივერიელი დაუფლებია მესტამბის ხელობას.

ამრიგად, იმ ორი თვალსაზრისის გარდა, რომელთა მიხედვითაც ანთიმ ივერიელს მესტამბეობა უნდა შეესწავლა ერთ შემთხვევაში ვლახეთში, ხოლო მეორე შემთხვევაში კონსტანტინოპოლში, გაჩნდა შესაძებ ვერსია: ანთიმ ივერიელის, როგორც მესტამბის მოღვაწეობის დასაწყისის უკავშირებენ თბილისს.

მივყვეთ ფაქტებს და ვნახოთ, თუ რამდენად შეესაბამება მოლინის ეს მოსაზრება სინამდვილეს. მაგრამ ვიდრე ამ მთავარ კითხვაზე გავცემდეთ პასუხს, გავარკვიოთ, თუ ვინ იყო ის „შესანიშნავი ასოთმოქანდაკე და ჩამომსხმელი“ ტოტფალუმი, რომლისთვისაც არჩილ მეფეს ამსტერდამში დაუყვეთია ქართული შრიფტი.

მას შემდეგ, რაც პოლანდია გათავისუფლდა ესპანელთა ბატონობისაგან, ეს ქვეყანა ეკონომიური და კულტურული აღორძინების გზა დაადგა. კერძოდ, პოლანდიაში ფართო გაქანება ჰპოვა წიგნების ბექდვის საქმემ. ამსტერდამი პოლიგრაფიის ცენტრად გადაიქცა და მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. საკმარისია გავიხსენოთ იოანე და კორნელი ბლაე, რომლებიც დახელოვდნენ ასოების მოქანდაკებისა და ჩამოსხმის დარგში. ბლაეს სახელოსნოში გაუმჯობესებულ იქნა საბეჭდი დაზგის კონსტრუქცია. საბეჭდი დაზგა უფრო მსუბუქი და პრაქტიკული გახდა. დაახლოებით 1620 წელს ბლაეს სახელოსნომ უკვე საყოველთაო აღიარება მოიპოვა და აქედან დაწყებული პოლანდია

²²⁸ V. Molin..., გვ. 332.

²²⁹ იქვე, გვ. 330.

მსოფლიოს ყველა კუთხიდან იღებს შეკვეთებს სასტამბო ხელსაწყო-ებზე და შრიფტზე. ასოები, რომლითაც სარგებლობდნენ რუსეთის სტამბებში პეტრე 1-ის დროს, განსაკუთრებით კი ალფაბეტის რეფორ-მების შემდეგ, აგრეთვე პოლანდიიდან იყო ჩამოტანილი²³⁰.

და, აი, სწორედ ამ სახელგანთქმულ იოანე და კორნელი ბლავს, 1680 წელს მიაკითხა ერთმა ახალგაზრდამ, სახელად მიკლოშ კიშმა, ან ნიკოლოზ კიშ ტოტვალუშმა²³¹, რომელიც ტრანსილვანიიდან, კლუ-ეიდან იყო ჩამოსული. ტოტვალუშს ხელთ 200 ტალერი ჰქონდა და ის მიზნად ისახავდა დაუფლებოდა მბექდავის ხელობას პოლანდია-ში²³². ტოტვალუშის და ბლავს შორის მოლაპარაკების შემდეგ ისინი შეთანხმდნენ, რომ ტოტვალუშს შეასწავლიდნენ „გუტენბერგის ხე-ლოვნებას“ და „ბექდავის ყველა პროფესიონალურ საიდუმლოებას“. იმ პირობით თუ ტოტვალუში ხელობის დაუფლებაში, ბინასა და კვე-ბისათვის გადაიხდიდა 200 ტალერს²³³.

ჩვენ აქ დაწვრილებით აღარ შევჩერდებით ტოტვალუშის მიერ ბლავს სახელოსნოში გატარებულ დღეებზე. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მან სრულყოფამდე შეისწავლა ასოების მოქანდაკების და შრიფტის ჩამოსხმის საქმე. ტოტვალუში წერდა კლუეში, რომ მას ძალუშს ყვე-ლა ასოს მოქანდაკება, რა ენაზეც არ უნდა იყოს ის დაწერილი²³⁴. მაგ-რამ ტოტვალუშის ბლავსთან ყოფნის მესამე წელს, 1683 წელს, მან კლუეიდან მიიღო არასასიამოვნო ცნობა. გარდაიცვალა მისი მეცენა-ტი, პრინცი ანაფი, რომლის წყალობითაც გამოემგზავრა ტოტვალუში ამსტერდამს სასწავლებლად და რომელიც მატერიალურად უზრუნველ-ყოფდა მის ყოფნას უცხო ქვეყანაში. პრინცი ანაფის მემკვიდრემ უარი განაცხადა შემდგომშიაც დაეფინანსებინა ტოტვალუში. ამის გამო; ტოტვალუში იძულებული შეიქნა მიეტოვებინა ბლავე. თუმცა იგი დარ-წმუნებული იყო, რომ დამოუკიდებლად შესძლებდა თავისი ხელობით სათანადო თანხის შოვნას. მან გადაწყვიტა საკუთარი სახელოსნოს და-არსება. მოკლე ხანში ამსტერდამში, Brokwey de Zwaan-ის მახლობ-ლად²³⁵ მუშაობას იწყებს ტოტვალუშის სახელოსნო. შედეგებმა ტოტვალუშის ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იგი იღებს შეკვე-თებს საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ინგლისიდან, იტალიიდან. ჰერცო-

²³⁰ V. Molin... გვ. 325.

²³¹ იქვე, გვ. 325.

²³² იქვე.

²³³ იქვე, გვ. 326.

²³⁴ იქვე.

²³⁵ იქვე.

გი კოზიმო მედიჩი III ტოტფალუშს თხოვეს იტალიაში ჩამოსვლას, რათა მან შეასწავლოს მის ხელოვნებს ამსტერდამში შექმნილ სასტამბო ხელსაწყოებზე მუშაობა. თვით პაპი ინოკენტი VII-ეც კი იწვევეს ტოტფალუშს რომში²³⁶.

ტოტფალუშის სახელი, როგორც უბადლო ასოთმოქანდაკისა და წრიფტის ჩამომსხმელის, ცნობილი გახდა აღმოსავლეთის ქვეყნებშიც, რომელთაც არ გააჩნდათ სტამბები, ზოლო კულტურული განვითარება მწვავედ სვამდა მათ წინაშე წიგნების ბეჭდვის აუცილებლობის საკითხს. „ამიერიდან — წერს მოლინი — ტოტფალუში იღებს შეკვეთებს „ეგზოტიკური ალფაბეტის“ დასამზადებლად. პირველი შეკვეთა მოვიდა სომხეთიდან, რომლისთვისაც ტოტფალუშმა ხელნაწერი ასოების ნიმუშის მოხედვით ჩამოასხა შრიფტი. ხელშეკრულების პირობები და დაკვეთის შესრულების ვადა ჩვენთვის უცნობია²³⁷. ჩვენ აღარ შეგჩერდებით სომხების დაკვეთით ამსტერდამში შრიფტის ჩამოსხმის საკითხზე, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ როგორც წერდა თვით ტოტფალუში, „სომხეთიდან აქ (ამსტერდამში — ო. გ.) თვით ეპისკოპოსი, დიდსახელოვანი კაცი მოვიდა ასეთივე საქმის (შრიფტის ჩამოსხმის — ო. გ.) თვალყურსადევნებლად“²³⁸. და რაოდენ მაღალ დონეზე იდგამისი ხელოვნება, ეს კარგად ჩანს თვით ტოტფალუშის ერთ-ერთ წერილიდან. „...თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ — მიმართავს იგი ერთ-ერთ შევედ მეცნიერს — რომ ევროპაში არ მოიძებნება არავინ (დაე, ეს სიტყვები ნუ იქნება ცარიელი ტრაბახი) ვინც პირველი ყინულის მტვრევის დასაწყისშივე შესძლებს ესოდენი ჭეოვანობით და ესოდენი ზედმიწევნილი მსგავსებით ასოების გაფორმებას... ამის მიღწევაში არამცირედი სარგებლობა გამიწია ჩემმა გაწაფულობამ (გამოცდილებამ) სხვადასხვა ხალხთა დამწერლობაში — ლათინურსა, გერმანულ-ებრაულში, რაბინულ ებრაულ-გერმანულში, ბერძნულში, სირიულში, სამარიტულ-კობტურში ანუ ეგვიპტურში... ისეთი კაციც კი მოიძებნა, რომელიც პირობით შემეკრა ჩინური ასოების დამზადებისათვის... ჩემი სახელგანთქმულობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა ენებისა და ხალხებისათვის სარგებლობა მომაქვს ამგვარი სამსახურით“²³⁹.

²³⁶ V. Molin..., გვ. 327.

²³⁷ იქვე.

²³⁸ ე. მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო საჭარო ბიბლიოთეკის შრომები, 1937 წ. გვ. 37 (შემდეგში შრომები...)

²³⁹ შრომები, გვ. 35.

სწორედ ამ სახელგანთქმულ ასოთმოქანდაკე და შრიფტის ჩამომ-
ცემელთან დაამყარა კავშირი არჩილ მეფემ. როგორ განსორციელდა ეს
კავშირი?

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ არჩილ მეფე, რო-
მელიც სამხედრო დახმარებას და პოლიტიკურ მფარველობას ეძებდა,
1685 წელს ჩასულა მოსკოვს, და რომ პოლიტიკური საქმიანობის გარ-
და არჩილს ამოქმედებდა თბილისში სტამბის მოწყობის აზრი, რაც
მას გადაუღებელ ამოცანად მიაჩნდა. ამიტომაც არჩილ მეფე მოსკოვში
უოფნის დროს შლის ფართო კულტურულ საქმიანობას, უახლოვდება
იმდროინდელ რუსეთის მოწინავე ადამიანებს, ასევე მოსკოვში მყოფ
უცხოელ მეცნიერებსაც. არჩილი კავშირს იკერს შვედ მეცნიერ შპარ-
ვენფელდთან. რომლის მეშვეობით იგი იღებს პრაქტიკულ ზომებს ქარ-
თული სტამბის მოწყობისათვის. შპარვენფელდი წერდა: „ჩემს დროს
ბაგრატიონთა გვარეულობა მეფობდა იმერეთში, გურჯისტანის ნაწილ-
ში და არჩილ მეფეს, რომელიც გამოძევებული იყო და იდევნებოდა
ოგორც ოსმალოების, აგრეთვე სპარსელებისაგან, ვიცნობდი მე
მოსკოვში. წასვლისას მან მაჩუქა ხალათი“²⁴⁰. ამავე წერილში შპარ-
ვენფელი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მან შეუკვეთა არჩილ მე-
ფის თხოვნით „ქართული სასტამბო შრიფტი ამსტერდამში კისს (ტოტ-
ფალუმს — ო. გ.)“²⁴¹.

ტოტფალუმის მიერ შპარვენფელდის სახელზე გაგზავნილ წერი-
ლებიდან ჩანს, რომ არჩილს ქართული შრიფტის ჩამოსასხმელად ამს-
ტერდამში გადაუგზავნია ქართული შრიფტის აღფაბეტის ხელნაწე-
რი ნიმუშები ორ ცალად, ტაბულის სახით. როგორც ტოტფალუმის
წერილები მოწმობენ, მას რამდენჯერმე დაუმზადებია ქართული ხელ-
ნაწერის მიხედვით ასოების ნიმუშები და გადაუგზავნია ისინი მოს-
კოვს. მაგრამ. როგორც ჩანს, პირველი ნამუშევრები სათანადო დონე-
ზე ვერ იყო შესრულებული და ეს გამხდარა მიზეზი იმისა, რომ ქარ-
თული შრიფტის დაკვეთთ საყვედური გამოუთქვამთ ტოტფალუმის
წინაშე, რასაც მოწმობს ამ უკანასკნელის სიტყვები: „იშვიათ ფრინ-
ველად ჩაითვლება ამ ქვეყნად ასოთმოქანდაკე, რომელიც ისეთ უზა-
დობამდის მისულიყოს ამ ხელოვნებაში, რომ ჩამოესხას საუკეთესო,
თუნდაც უბრალო ლათინური ასოები, რომელნიც ესოდენ ჩვეულებრი-
ვი არიან და რომელშიაც ის (ასოთჩამომსხმელი) თავიდანვე ნავარჯი-
შევა. როგორღა ვიმსჯელებთ უცხოურ ასოებზე, რომელთა ნაბეჭდი
ეგზემპლარის მიღებაც არ შეიძლება, არამედ (მოგვეპოვება) მხოლოდ

²⁴⁰ შრ.-მეგბი..., გვ. 34.

²⁴¹ იქვე.

ხელით ნაწერი, ისიც ერთმანეთის შორიშორი. რამდენადაც საქმე შეეხება პროპორციას, ან ასოების მოყვანილობას (ან ცალკეულ ნაწილებს)? და, ვინაიდან ზელნაწერი ასოები, ზოგიერთი ცვლილებების შეტანის გარეშე, ვერ დაიყვანება იმ მდგომარეობამდის და პროპორციამდის, რომ მბეჭდველს ემსახუროს, რანაირად უნდა მივიღოთ შესაძლებლობა მართლად მსჯელობისა და ამ საქმეში ყველაფრის ჭეშოვნად მოწესრიგებისა ან მე, ან ვინმემ სხვამ, რაც უნდა მოსაზრებული იყოს იგი, თუ ჩვენ ვერ ვიცნობთ ასოების ბუნებას და (არ ვიცი) ესა თუ ის გვევლინება ასოს შემთხვევით (ცვალებად) ანუ არსებით ნაწილად? ეს ყოველივე უნდა გაითვალისწინონ იმ ადამიანებმა და გვაპატიონ თუ იმ საქმეში, რომელსაც ისინი შორეული ინფორმაციის გზით ხელმძღვანელობენ. რაიმე გამოვიდეს ისე, რომ მათ სდომოდეთ უკეთ გამოსულიყო. ამასთანავე იმათ იციან, რომ ეს პირველ ცდას წარმოადგენს ამგვარ საქმეში და რომ ამ მიზეზის გამო საკმარისი საფუძველი არსებობს, რომ მეპატიოს ნამუშევრის უსრულობა²⁴². და შემდეგ დასძენს „...წინ აღარ წავალ მანამ, სანამ არ მივიღებ ჰქვენს აზრს წარმოდგენილი სინჯის შესახებ“²⁴³.

როგორც ჩანს, ეს „აზრი“, რომელიც შეიცავდა კრიტიკულ შენიშვნებს ქართული შრიფტის შესწორებისა და სრულყოფის თვალსაზრისით, უცნობებიან მოსკოვიდან ტოტფალუშისათვის, რომლის მიხედვითაც მას უკვე ბოლომდე მიუყვანია „ასოების დამზადება“. ტოტფალუშს არა მხოლოდ დაუმზადებია ასოების ნიმუშები „სრულიად უშეცდომოდ“ საბეჭდი შრიფტისათვის, არამედ კიდევაც ჩამოუსხამს ეს შრიფტი²⁴⁴.

ვინ იყვნენ ის „ადამიანები“, რომელთა „აზრი“ უნდა გაეთვალისწინებინა ტოტფალუშს ქართული ასოების დამზადების დროს? რასაკვირველია, პირველ რიგში თვით არჩილ მეფე. მაგრამ განა გამორიცხულია, რომ „ადამიანთა“ შორის, რომელთაც კრიტიკული შენიშვნები გამოუთქვამთ ტოტფალუშის მიერ შესრულებულ ქართული ასოების მიმართ, ყოფილიყო შესანიშნავი კალიგრაფი, მხატვარი და გრავიორი ახალგაზრდა ანთიმ ივერიელი? ვინ იცის, იქნებ გარკვეული წვლილი მიუძღოდა ანთიმ ივერიელს იმ „ქართული ალფაბეტის ხელნაწერი ნიმუშების“ შესრულებაში, რომლებიც გადაეგზავნა ტოტფალუშს ამსტერდამში. მაგრამ სათანადო საბუთების უქონლობის გამო ჩვენ ჭერჭერობით ამის შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა არ შეგვიძლია.

²⁴² შრომები... გვ. 37.

²⁴³ იქვე, გვ. 38.

²⁴⁴ იქვე, გვ. 29.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მოლინის მიერ წამოჭრილი მოსაზრება, რომ „საქართველოს მეფემ არჩილმა ოცი წლით ადრე, ვიდრე ვახტანგ VI და მიხეილ სტეფანიშვილი ხელს მოჰკიდებდნენ სტამბის გამართვას, დაამყარა კავშირი ამსტერდამში მცხოვრებ შრიფტის გამკეთებლებთან, კერძოდ კი მათ შორის საუკეთესოსთან — ტოტფალუშთან“²⁴⁵, საცებით შეესაბამება სინამდვილეს. ხოლო რაც შეეხება მის შემდეგ სიტყვებს: „ჩვენ დავადგინეთ, რომ პირველი ქართული შრიფტი გაკეთდა ამსტერდამში და იქიდან გადაიგზავნა თბილისში, რასაც ცხადყოფს არჩილ მეფის წერილი ამსტერდამის ქალაქისთავისადმი (ვიტცენისადმი — ო. გ.)“²⁴⁶, არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია მივიჩნიოთ სარწმუნოდ.

ჯერ ერთი „პირველი ქართული შრიფტი გაკეთდა“ არა ამსტერდამში და არც აქ აღნიშნულ პერიოდში, არამედ სულ სხვა ქალაქში. პირველი ქართული წიგნის ბეჭდვა წინ უსწრებს აქ აღწერილ დროს მთელი 57 წლით. ეს წიგნი, რომელიც წარმოადგენს ქართულ-იტალიურ ლექსიკონს, დაიბეჭდა რომში 1629 წელს ნიკიფორე ირბაქის იგივე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მიერ.

ახლა მოლინის იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ ამსტერდამში დაშხადებული შრიფტი გადაიგზავნა თბილისში, რასაც ასაბუთებს მკვლევარი არჩილ მეფის მიერ ამსტერდამის ქალაქისთავისადმი ვიტცენისადმი გაგზავნილ წერილზე დაყრდნობით. სამწუხაროდ, მოლინის თავის გამოკვლევაში არ მოჰყავს ამ წერილის შინაარსი, არამედ მხოლოდ ასახელებს მას. ამიტომაც ჩვენ აქ საჭიროდ ვცანით სრული სახით მოვიყვანოთ ეს წერილი, რათა მოგვეცეს საშუალება ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რამდენად გამოდგება იგი მოლინის მიერ წამოყენებული ვერსიის დასასაბუთებლად.

საქმე იმაშია, რომ შვედი მეცნიერის შპარვენფელდის გარდა ქართული შრიფტის დაშხადების თაოსნობაში არჩილ მეფეს დანმარებას უწევდა ამსტერდამის ქალაქისთავი ნიკოლოზ ვიტცენი. სწორედ ამით აიხსნება არჩილ მეფის მიერ ვიტცენისადმი მიწერილი ბარათის არსებობა, რომლის სრულ ტექსტსაც ჩვენ აქ ვაქვეყნებთ: „ქ. წყალობითა ღმრთისათა ჩვენ, ნათესავისაგან დავეითისა პანკრაციონი მეოთხმოცდაერთე მეფე არჩილ, მეფე იმერეთისა, კახეთისა, ყოვლითა ლიხთ იმერეთისა. ვმადლობ უფალსა ჩემსა იესოს ქრისტესა მწირობასა შინა ამას ჩემსა, ვითარცა ოდესმე მეფობისა ტახტსა მჭდომი. მოგიწერ წიგნსა ამას მოკითხვისასა სიბრძნისა და მეცნიერებისა კეთილისა გო-

²⁴⁵ V. Molin..., გვ. 330.

²⁴⁶ იქვე.

ნებისა შენისათვის საჩინოს ქალაქისა ამსტერდამისაგან თავად გამორჩეულსა ნიკოლოზ ვიტცენს და მოგვიკითხავ ვითარცა მეგობარსა შემეცნებულსა ჩემსა.

მერმე გავიგონეთ თქვენს ადგილზე მჭდომის პატრონის ბარონ ელარისაგან, რომე თქვენ გარჯილხართ ჩვენი გულისათვის და ჩვენი ენის წიგნის ბეჭედს გვიპრევინებთ, ჩვენ ამ საქმისათვის დიდათ გავიხარეთ, თქვენი მადლიერი შევიქენით. ამ საქმისათვის ვინებეთ შენთან ჩვენი სიყვარულისა და მადლის წიგნის მოწერა. ჩვენ შენგან შევიქენით მადლიერი, ღმერთი შენგან იქმნების მადლიერი. მოველით შენის სიკეთისაგან აღარ დაავიანოთ, რომ საღმრთო სჯმის ყოვნება არა ხამს. ღმერთმან წყალობით წაგიმართოს ნება შენი.

დაიწერა წიგნი ესე მოსკოვს, თუესა დეკემბერსა ჩვიდმეტსა. დასაბამითგან წელთა შეიდიათას ასოთხმოცდა თხუთმეტსა (1686 წ.).

ხელმწიფე პატრონი არჩილ ვამტკიცებ (ორი ბეჭედი)²⁴⁷.

ასეთია არჩილ მეფის მიერ ამსტერდამის ქალაქისთვისადმი ნიკოლოზ ვიტცენისადმი მიწერილი ბარათის შინაარსი.

ის რაც ჩვენ ამ წერილის შინაარსიდან შეგვიძლია დავასკვნათ გამოიხატება შემდეგში: ვიტცენი „გარჯილა“ დახელს უწყობდა ამსტერდამში ქართული შრიფტის გაკეთებას, რისთვისაც მას მადლობას უხდის არჩილ მეფე. მაგრამ სად არის ნათქვამი, რომ ეს შრიფტი გადაგზავნილი ყოფილა ამსტერდამიდან თბილისში?

ასევე არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ტოტფალუშის წიგნიდან „თავის გასამართლებლად“ აღებული ციტატა ამსტერდამიდან თბილისში ქართული შრიფტის გადაგზავნის ფაქტის დასადასტურებლად, როგორც ამას ფიქრობს მოლინი, ვინაიდან ტოტფალუშის სიტყვებიდან ირკვევა მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ მან ქართველებს დაუმზადა ქართული შრიფტი, რამაც „ისინი მეტად გაახარა“²⁴⁸.

თუმცა არც არჩილ მეფის მიერ ვიტცენისადმი მიწერილ ბარათში და არც ტოტფალუშის მიერ დაწერილ წიგნში „თავის გასამართლებლად“ ამსტერდამში დამზადებული შრიფტის თბილისში გადაგზავნის ფაქტის მოუხსენებლობა ჩვენ არ მიგვაჩნია მთავარ არგუმენტად მოლინის თვალსაზრისის უარსაყოფად.

როგორც უკვე ნათქვამი იყო, მთელი რიგი მიმოწერის შედეგად ტოტფალუშს არა მარტო დაუმზადებია „სრულიად უშეცდომოდ“ ქართული ასოების ნიმუშები საბეჭედი შრიფტისათვის, არამედ ჩამოუსხაპს კიდევაც ეს შრიფტი. მაგრამ მართლა გაიგზავნა ტოტფალუშის მიერ

²⁴⁷ შრომები... გვ. 27.

²⁴⁸ V. Molin.... გვ. 331.

დამზადებული ქართული შრიფტი მეფე არჩილთან მოსკოვს და იქიდან კი თბილისს, როგორც ეს პგონია მოლინს, თუ არა? ჩვენ შეგვიძლია დაბეჭდვით განვაცხადოთ, რომ ამსტერდამში დამზადებულ ქართულ შრიფტს არამც თუ თბილისამდე, არამედ მოსკოვამდისაც კი არ ჩაუღწევია. ეს შრიფტი სტოკჰოლმში აღმოჩნდა. და თუ რა გზით და როგორ, ამას ჩვენ ვგებულობთ ბიორკომის გამოკვლევიდან: „ამ-რიგად — წერს ბიორკომი — ტიპები უკვე 1687 წელს ყოფილა მზად. მაგრამ გასამჯელოსთან დაკავშირებული დაბრკოლებების გამო ვერ მოხერხდა მათი დაუყოვნებლივ გაგზავნა. სწორედ ამ (1687) წელს დასტოვა შპარვენფელდმა რუსეთი და შემდეგ 1688 წელს არჩილიც დაბრუნდა თავის სამშობლოში²⁴⁹. ამგვარად, სრულიად ნათელია რისთვის გაიგზავნა ტიპები სტოკჰოლმში და არა რუსეთში“²⁵⁰.

თუ რა ბედი ეწია შემდგომში სტოკჰოლმში მოხვედრილ ქართულ შრიფტს, ამის შესახებაც ამომწურავ პასუხს იძლევა ბიორკომის გამოკვლევა. ბიორკომი აღნიშნავს, რომ შპარვენფელდს შევდეთში ყოფნის დროს კავშირი დაუწყებია არჩილ მეფის ვაჟიშვილთან ალექსანდრესთან²⁵¹. ბიორკომის გამოკვლევიდან ჩვენ აგრეთვე ვგებულობთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს 1703 წელს წარუდგენია შევდეთის მთავრობისათვის ქართული შრიფტის „გადმონაბეჭდი — მოსკოვში გადაგზავნის ნებართვის მიღების სურვილით“²⁵². (1697 წელს მოსკოვიდან საქართველოში გამგზავრების შემდეგ არჩილ მეფე 1699 წელს ისევ ბრუნდება მოსკოვს, სადაც იგი სამუდამოდ სახლდება). „ჩემს მიერ მოტანილი ამონაწერები დოკუმენტებიდან — წერს ბიორკომი — ხსნიან ქართული ტიპების შევდეთში არსებობას. სად დაიკარგა ამ ტიპების ორგინალები — ამის თქმა არ შეგვიძლია. ალბათ მათი დაკარგვა მერმინდელი ამბავია, ვინაიდან პრინცი (ალექსანდრე ბატონიშვილის — ო. გ.) სიკვდილის შემდეგ ისინი აღარაღვის აინტერესებდა“²⁵³.

ტოტვალუშის მიერ ამსტერდამში ჩამოსხმული შრიფტი რომ უკვალოდ დაიკარგა სტოკჰოლმში გაგზავნის შემდეგ, ამას ცხადყოფს აგრეთვე შემდეგი გარემოება. ცნობილია, რომ არჩილ მეფე 1699 წელს მოსკოვში დაბრუნების შემდეგ ანახლებს შრიფტის შექმნისათვის ზრუნვას და დიდი გარჯის შემდეგ 1705 წელს მოსკოვში სინოდის სტამ-

²⁴⁹ არჩილ მეფე საქართველოში დაბრუნდა 1687 წელს.

²⁵⁰ შრომები... გვ. 23.

²⁵¹ უაქრე I უახლოესი თანამოღვაწე და რუსეთის არმიის პირველი კენერალ-ფელდ-ცემისტერი. 1700 წელს ნარვასთან ბრძოლის დროს ტყვედ ჩაუარდა შევდებს.

²⁵² შრომები, გვ. 24.

²⁵³ იქვე.

ბაში ბექდავს ქართულ წიგნს „დავითნს“. ქ. შარაშიძემ მეტად საყუ-
რადღებო კვლევა-ძიება ჩაატარა იმ თვალსაზრისით, თუ რა ურთიერ-
თობაში იმყოფებიან ერთმანეთთან სტოკჰოლმის ქართული შრიფტი.
რომლის „გადმონაბეჭდი“²⁵⁴ წარუდგინა ალექსანდრე ბატონიშვილმა
შვედეთის მთავრობას და მოსკოვში დაბეჭდილი „დავითნის“ შრიფ-
ტი. შედარებამ ნათელჰყო, რომ არჩილ მეფის დაკვეთით 1687 წელს
ამსტერდამში დამზადებული და შემდეგ სტოკჰოლმში გადაგზავნილი
შრიფტი გამოყენებული არ ყოფილა „დავითნის“ ბექდვის დროს და
რომ „დავითნი დაბეჭდილია სხვა შრიფტით“²⁵⁵.

რა იყო მიზეზი, რომ არჩილ მეფემ ტოტვალუშის მიერ დამზა-
დებული შრიფტი არ გამოიყენა „დავითნის“ დასაბეჭდად? ამას ქ. შა-
რაშიძე შემდეგი მოტივით ხსნის: „...არჩილს დატყვევებულ შვილთან
კავშირის დაქერისთანავე (1699 წელს მოსკოვში სამუდამოდ დაახ-
ლების შემდეგ არჩილ მეფეს შვედების მიერ დატყვევებულ შვილთან
ალექსანდრესთან განუწყვეტელი ურთიერთობა ჰქონდა წერილებისა
და აღამიანების მეშვეობით)²⁵⁶ მოუხდომებია 1686—1687 წლებში
დამზადებული შრიფტის მიღება. ეს გასაგებია — ახალი შრიფტის გა-
კეთებას წინ არაერთი დაბრკოლება ელობებოდა, როგორც ახალ ხარ-
ჯებთან დაკავშირებით, აგრეთვე იმის გამო, რომ იმდროინდელ მოს-
კოვში შრიფტის გაკეთებისათვის ტექნიკური შესაძლებლობა ჯერ
კიდევ მეტად მცირე უნდა ყოფილიყო. ამავე დროს უცხოეთში შრიფ-
ტის შეკვეთა და იქიდან მოსკოვს ჩამოტანა ომიანობის პერიოდში,
რომელშიაც მოსკოვის სახელმწიფო იმყოფებოდა, საკმარისად რთულ
პრობლემას წარმოადგენდა.

ამიტომ, არჩილი შეეცადა 1687 წელს ამსტერდამელი შრიფტის
ჩამოტანას სტოკჰოლმიდან... მას უწარმოებია მიმოწერა ალექსან-
დრესთან შრიფტის გამოგზავნისათვის, თან მიუღია ზომები სხვა შრი-
ფტის დამზადებისათვისაც და იმ დროს, როცა ალექსანდრე ტიპების
გამოგზავნისათვის სათანადო ნებართვის გამოთხოვნით იყო გართული,
(1703 წლის 29 ოქტომბრიდან ამავე 1703 წლის 8 დეკემბრამდე) არ-
ჩილს მზად ჰქონია ახალი, პირველზე უკეთესი შრიფტი (ამ შრიფტით
1705 წელს დაიბეჭდა „დავითნი“ — ო. გ.)²⁵⁷.

როგორც ვნახეთ, არჩილ მეფის მიერ ტოტვალუშისათვის დაკვე-

²⁵⁴ ამ „გადმონაბეჭდის“ ფოტოპირი ბიოკოპოზშია 1934 წელს გადმოუგზავნა
ქ. შარაშიძეს სტოკჰოლმიდან.

²⁵⁵ შრომები... გვ. 30.

²⁵⁶ იქვე, გვ. 31.

²⁵⁷ იქვე, გვ. 31.

თილი შრიფტი შევდეთის ფარგლებს არ გასცილებია. აქედან გამომდინარე კი ჩვენ შეგვიძლია დაბეჯითებით განვაცხადოთ: მოლინის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამსტერდამში დაშვადებული შრიფტი გადაეგზავნა არჩილს მოსკოვში, ანდა, რომ „ტოტფალუშის მოლვაწეობა დაკავშირებულია ბექდვითი საქმის დაწყებასთან საქართველოში“²⁵⁸ არ შეესაბამება სინამდვილეს.

ასევე საფუძველსაა მოკლებული ბობ პეტერის სიტყვები, თითქოს ტოტფალუშს ქართველებისათვის დაეარსებინა სტამბა²⁵⁹.

ჩვენ აქ საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ მოლინის მიერ წამოყენებული ვერსიის გარდა არსებობს რამდენიმე მოსაზრება და კატეგორიული მტკიცებაც კი, რომ მიხაილ იშტვანოვიჩის მიერ საქართველოში პირველი ქართული წიგნის დაბეჭდვამდე (1709 წელი) თბილისში უკვე არსებობდა ქართული სტამბა. მაგალითად, XIX საუკუნის ცნობილი მკვლევარი ფ. ფაულმანი 1888 წელს ვენაში დაბეჭდილ ფუნდამენტალურ ნაშრომში „წიგნის ბეჭდვის ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია“ წერდა, რომ 1701 წელს თბილისში ქართულ ენაზე დაბეჭდილი იყო „დავითნი“²⁶⁰. ჩვენ არ ვიცით, რა წყაროს ეყრდნობა ამ შემთხვევაში ფ. ფაულმანი, რადგან იგი მხოლოდ კმაყოფილდება აღნიშნული მოსაზრების გამოთქმით, ყოველგვარი წყაროს მითითების გარეშე. მაგრამ, ცხადია, აქ გაუგებრობას აქვს ადგილი. მით უმეტეს ფ. ფაულმანი სხვა საკითხთანაც დაკავშირებით, როგორცაა არჩილ

²⁵⁸ ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სწორი იყოს შ. კვასტვარე, რე დესაც იგ- წერდა: „როგორც ცნობილია, არჩილის სტამბიდან „დავითნი“, — ამსტერდამში ჩამოსტუმრებული შრიფტით, პირველად 1705 წელს გამოვიდა (შ. კვასტვარე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, თბილისი, 1952 წ. გვ. 227). ანდა ვ. გოგოლაძის თვალსაზრისი: „მოსკოვში დაბრუნებისთანავე მან (არჩილმა — თ. გ.) იხრუნა ამსტერდამიდან ქართული შრიფტის ჩამოტანისათვის, რაც მოხერხდა მხოლოდ 1705 წელს“. ამავე 1705 წელს არჩილმა შესძლო მოსკოვის სტამბაში ქართული წიგნის („დავითნი“) დაბეჭდვა (ვ. გოგოლაძე, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან, თბილისი 1963, გვ. 12.).

ჩვენ აქვე შევხებით ნ. ჩიქოვანის მიერ ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაწევებს ნამეტ ანდორის ისტორიულ რომანიდან „ასოების ოსტატი“. ამ რომანში გატარებულია არასწორი აზრი იმის შესახებ, თითქოს ამსტერდამში ტოტფალუშის მიერ დაშვადებული ქართული შრიფტი დანიშნულების ადგილზე მოხვედრილა. „ტოტფალუშმა — წერს ნამეტ ანდორი — ასოები ჩამოასხა და ბურგომისტრს მიუტანა, მან კი ისინი მოსკოვს გადაიყვანა“. ნამეტ ანდორის წიგნზე დაყრდნობით ნ. ჩიქოვანიც მკლარ დასკვნამდე მიდის. იგი წერს: „ეს ისაოები, როგორც ჩანს, არჩილ მეფეს მიუტანა და სათანადო გასამჭელოდ გაუგზავნია ტოტფალუშისათვის“. (ქურნ. „დროშა“, № 7, 1955, გვ. 17).

²⁵⁹ V. Molin... გვ. 331.

²⁶⁰ Fr. Faulmann, Illustrierte Geschichte des Buchdruckerkunst, Wien, 1888, გვ. 293.

მეფის მხრივ ტოტფალუშისათვის ქართული შრიფტის დაკვეთის საკითხი, უზუსტობას იჩენს. მაგალითად, იგი წერს: „ტოტფალუშმა ქართული ასოები ჩამოასხმევინა კლუეში“²⁶¹, მაშინ როდესაც დადგენილია, რომ ეს ქალაქი იყო არა კლუეი, არამედ ამსტერდამი.

გარდა ფ. ფაულმანისა, რუმინელი მკვლევარი დ. იონესკუ 1906 წელს ბუქარესტში გამოსულ წიგნში „ბეკედავის გზამკვლევი“ წერდა: „ფსალმუნის წიგნი, 1701 წელს თბილისში ქართულ ენაზე დაბეჭდილი, იმის დამადასტურებელია, რომ წიგნის ბეჭდვის ხელოვნება ამ ქვეყანაში არსებობდა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში“²⁶². ისევე, როგორც ფ. ფაულმანი, ასევე დ. იონესკუც თავის წიგნში არ მიუთითებს არავითარ წყაროზე თავისი მოსაზრების დასადასტურებლად. როგორც ჩანს, იგი ხელმძღვანელობდა ფ. ფაულმანის ნათქვამით.

ფ. ფაულმანისა და დ. იონესკუს შეხედულებათა მსგავს თვალსაზრისს გამოსთქვამს დ. კარიჭაშვილი. 1929 წელს თბილისში დაბეჭდილ წიგნში „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“ დ. კარიჭაშვილი წერს: „რომში ქართული საბეჭდავის გამართვის და ქართული წიგნების დაბეჭდვის შემდეგ უქცევლია, ქართველებში უნდა დაბადებულყოფი აზრი თვით საქართველოშიაც გაემართათ სტამბა და ებეჭდათ წიგნები. მაგრამ პოლიტიკურმა პირობებმა ხელი არ შეუწყვეს ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებას, თუმცა ყოფილა ცდა წიგნების ბეჭდვისა და კიდევ უბეჭდიათ პატარა-პატარა წიგნები თუ ფურცლები სულ უბრალო საბეჭდავზე. (კურსივი ჩვენია — ო. გ.). ამას გვაფიქრებინებს არჩილ მეფის 1703 წ. მინაწერი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ გოლოვინთან, სადაც პლოენის მოწმობით ნათქვამია, რომ საქართველოში წიგნების ბეჭდვა ძალიან ნაკლებია ასოების და მცოდნე კაცების ნაკლებობის გამო“²⁶³.

როგორც ჩვენს მიერ აქ მოყვანილი ციტატიდან ჩანს, დ. კარიჭაშვილი არ უარყოფს საქართველოში 1709 წლამდე ქართული წიგნის ბეჭდვის ფაქტს და ამ ფაქტის დასადასტურებლად იგი იმომწმობს პლოენს.

თუ სარწმუნოდ ჩავთვლით პლოენის სიტყვებს, მათი მიხედვით საქართველოში 1709 წლამდე მართლაც ადგილი უნდა ჰქონოდა წიგნების ბეჭდვას. პლოენი წერდა: „В другом месте (ივლისსხმება არჩილ მეფის მიერ გოლოვინისადმი 1703 წელს მიწერილი ბარათი—ო.გ.)

²⁶¹ Fr. Faullmann... გვ. 293.

²⁶² Calauza tipografului, Bucuresti, 1906, გვ. 71.

²⁶³ დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 44

Арчил просил Головина о исходатайствовании у Государя повеления напечатать в типографии несколько церковных книг на грузинском языке для всеобщего употребления в его отечестве. В Грузии же печатание ограничено по недостатку литер и людей». (კურსივი ჩენია—ო. გ.).²⁶⁴

მაგრამ საქმე იმაშია, რომ დ. კარიჭაშვილი თავის მოსაზრების წამოყენების დროს დაკმაყოფილდება მხოლოდ და მხოლოდ იმ საბუთით, რომ 1703 წელს არჩილის მიერ გოლოვინისადმი გაგზავნილ წერილში „პლოენის მოწმობით ნათქვამი“ ყოფილა საქართველოში წიგნების ბეჭდვისა და „საბეჭდადების“ არსებობის შესახებ. ხოლო მართლაც იყო თუ არა ყოველივე ეს „ნათქვამი“ არჩილის წერილში, ამაზე ამოწურავ პასუხს გავცემს თვით ეს საბუთი. მოგვყავს გოლოვინისადმი გაგზავნილი არჩილის წერილის სრული ტექსტი:

«1703 г. июля 2 письмо Арчила II боярину Феодору Алексеевичу Головину (нач-ку Посольского Приказа).

При сем Вашей милости доношу прошение мое прошедших лет повелелся нам от высочайшия державы печатать книги²⁶⁵ на нашем языке, ради церковныя и гражданския пользы нашему иверскому народу, а наипаче в тиранстве под турком и персом сушии, как зело великую скудость книг церковных имеют. И тогда начатое дело недостатком литер и людей, к делу приличных, остановилось. А ныне за божиею помощию, литеры нашего диалекта построились изрядно и художники к делу обретаются искусные. Прошу нашу любовь донести державнейшему, дабы повелел в своей царской типографии на нашем языке несколько книг церковных напечатать и своим богатодарным иждивенным недостатку нашему помощи ради вечныя славы его благочестивому царству и христианские общия пользы, прошу усердно.

Ваш Арчил и челом бью
в Москве 1703 июля 2»²⁶⁶.

აი, სრული შინაარსი იმ წერილისა, რომლის მიხედვითაც პლოენი და მასზე დაყრდნობით დ. კარიჭაშვილი ცდილობენ იმის დასაბუთებას, რომ საქართველოში 1709 წლამდე იბეჭდებოდა ქართული წიგნები.

რა ირკვევა არჩილის მიერ 1703 წელს გოლოვინისადმი გაგზავნილ წერილიდან? ირკვევა ის, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არჩილ მეფე ქართულ ენაზე წიგნების ბეჭდვის საქმეს მთელი

²⁶⁴ Переписка грузинских царей с российскими государями.

²⁶⁵ არჩილ მეფეს ჟერ კიდევ 1688 წელს ნება ჰქონდა დართული პეტრე I-საგან მოეწყო ქართული სტამბა.

²⁶⁶ ЦГАДА, ф. С.ошения России с Грузией, 1703, № 2, გვ. 10.

„ქართველი ერისათვის“. ირკვევა ისიც, რომ „წინეთ დაწყებული საქმე ლიტერების“ უქონლობის გამო შეჩერებულა. როგორც ჩანს, სწორედ არჩილის ამ სიტყვემბა საფუძველი მისცა პლოენს თავისი ვერსიის წამოსაყენებლად. მაგრამ, ჯერ ერთი, თუ ჩვენს მიერ აქ მოყვანილ არჩილის სიტყვებს „წინეთ დაწყებული საქმე“ ისე გავიგებთ, როგორც ქართული წიგნის ბექდვის ფაქტის დადასტურებას (როგორც ეს პლოენს ჰგონია) და არა მხოლოდ განზრახვას განხორციელებულიყო ქართული წიგნის დაბეჭდვა (რაც შეესაბამება სინამდვილეს) ამ შემთხვევაშიც კი პლოენის მიერ გამოთქმული მოსაზრება მოკლებული იქნება დამაჯერებლობას, ვინაიდან წერილში სიტყვითაც კი არაფერია ნათქვამი, იმის შესახებ, რომ „წინეთ დაწყებულ“ ბექდვით საქმიანობას ადგილი ჰქონდა სწორედ საქართველოში. აქ წამოკრილ საკითხში სრული გარკვეულობა შეაქვს ქ. შარაშიძეს და იგი საესებით სწორია როდესაც არჩილის მიერ მოხსენიებულ „წინეთ დაწყებულ საქმეს“ უკავშირებს და იდენტურს ხდის „1686—1687 წლებში ჩატარებულ მუშაობასთან“²⁶⁷. ე. ი. იმ პრაქტიკულ ნაბიჯებთან, რომლებიც გადადგა არჩილ მეფემ ამსტერდამში ქართული შრიფტის დაკვეთიანა და ამ შრიფტით ქართული წიგნის დაბეჭდვის განხორციელების თვალსაზრისით.

რაც მთავარია, 1709 წელს თბილისში დაბეჭდილ პირველ ქართულ წიგნში, „სახარებაში“ მოთავსებულ ამავე წიგნის რედაქტორის, ნიკოლოზ ორბელიანის ანდერძში ვკითხულობთ: „ოდეს განაგებდა საქართველოსა ძმისწული კეთილმორწმუნის მეფის არჩილისა და სახელოვანის მეფის გიორგისა და ძე ლევანისა ღვთისმოყვარე, განათლებული ვახტანგ. ივულსმოდგინა და მოილო სტამბა ვლახეთით, რომელ აროდეს ყოფილიყო საქართველოში (კურსივი ჩვენია — ო. გ.)“²⁶⁸.

იგივე აზრია გატარებული 1713 წელს თბილისში დაბეჭდილ „კურთხევეანში“ მოთავსებულ წიგნის რედაქტორის, კვიპრიანე სამთავნელის ანდერძში. „ოდეს სუფევდა უფალი ვახტანგ, ივულსმოდგინა და მოიყვანა ვლახეთით მესტამბე მიხაილ და გააკეთებინა სტამბა ფრიადითა წარსაგებელითა საფასეთათა... რომელ არაოდეს ყოფილიყო საქართველოს შინა სტამბა (კურსივი

²⁶⁷ შრომები.. გვ. 31.

²⁶⁸ „სახარება“, 1709. იმ ფაქტს, რომ 1709 წლამდე საქართველოში არ დაბეჭდილა ქართული წიგნი, განმეორებით აღნიშნავს ნიკოლოზ ორბელიანი 1709 წელს თბილისში დაბეჭდილ „სამოციქულოში“ და სხვ.

ჩვენია — ო. გ.) და ხელით წერიტა მწერალთაგან საღმთონი წერილნი ჩვენნი განრყუნლიყვენ²⁶⁹.

გარდა ამისა ვლახეთიდან ჩამოსული მიხაილ იშტვანოვიჩი, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული 1709 წელს საქართველოში პირველი ქართული წიგნის დაბეჭდვა, ამბობდა: „ვიტარცა მე ვიყავ ქართლისა უნახავი, ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი (მიხაილ იშტვანოვიჩის მიერ გაწვრთნილი ქართველი მესტამბეები — ო. გ.) სტამბისა“²⁷⁰.

ყოველივე ზემოთქმული ცხადჰყოფს, რომ ანთიმ ივერიელს არ შეეძლო საქართველოში მესტამბის ხელობის შესწავლა, ვინაიდან მისი საქართველოში ყოფნის პერიოდში იქ არ არსებობდა არავითარი სტამბა და რომ 1709 წელს თბილისში დაბეჭდილი „სახარება“ იყო „უწინარეს ყოვლისა“, როგორც ამას აღნიშნავდა თვით მიხაილ იშტვანოვიჩი.

ვფიქრობთ არ იქნება ინტერესს მოკლებული, თუ ჩვენ აქვე განვიზილავთ ერთს მეტად საყურადღებო და ამჟვე დროს საკამათო დებულებას. საქმე ეხება ნეიგებაუერის ცნობას²⁷¹, რომლის მიხედვით ანთიმ ივერიელს ქართული წიგნები დაუბეჭდავს სნაგოვოს მონასტერში. ამას გვაუწყებს ჩვენ ემილ პიკო თავის გამოკვლევაში: „ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ცნობა ვლახეთის მიტროპოლიტის, მესტამბე ანთიმ ივერიელის შესახებ“²⁷². გარდა ამისა გასტერს ვენის ჟურნალში გამოუქვეყნებია წერილი, რომლის მიხედვითაც ანთიმ ივერიელს დაუბეჭდია ქართულ ენაზე „კონდაკი“²⁷³.

რამდენად სარწმუნოდ ცნეს ქართველმა მკვლევრებმა ცნობა ანთიმ ივერიელის მიერ სნაგოვოს მონასტერში ქართული წიგნის დაბეჭდვის შესახებ?

ა. შანიძე წერს: „წერხანობით ღიად რჩება საკითხი იმის შესახებ, ბეჭდავდა თუ არა დაულალავი მოღვაწე და სისტამბო საქმისათვის თავდაღებული ანთიმოზ ქართველი, — პირველად მღვდელმონაზონი; შემდეგ რიმნიკის ეპისკოპოსი და ბოლოს ვლახეთის მიტროპოლიტი, — ბერძნულ-რუმინულ-სლაურ-არაბულ წიგნებს გარდა ქართულსაც და ღიად რჩება იგი მანამდის, სანამ არ აღმოჩნდება ამის უტყუარი საბუთი, თვით დაბეჭდილი წიგნი“²⁷⁴, რაც შეეხება გ. ლეონიძეს, იგი თავის

²⁶⁹ „კურთხეანი“, 1713.

²⁷⁰ „სახარება“, 1709.

²⁷¹ Beschreibung der Moldau und Walachel, Leipzig, 1848, გვ. 326.

²⁷² E. Picot ... გვ. 522.

²⁷³ Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, B. XI, Heft 4.

²⁷⁴ „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წიგნი I, თბილისი, 1935, გვ. 156—157.

წერილში უცხოელ მკვლევართა თვალსაზრისის ფიქსაციის შემდეგ დაასკვნის: „მართლაც, შესაძლო არი, საქართველოზე მეოცნებებს და ფიქრბელვარე ანთიმს დაებეჭდა ქართული წიგნი მაშინ, როცა იგი ბეჭდავდა რუმინულ, სლავურ, ბერძნულ, არაბულ ენებზე? განა იგი არ ეცდებოდა მბეჭდავობას მშობლიურ ენაზე?²75. შ. კურდღელა-შვილსაც შესაძლოდ მიაჩნია, რომ ანთიმ ივერიელს დაებეჭდა ქართული წიგნი ვლახეთში, რისი „დამადასტურებელი პირდაპირი და უტყუარი საბუთი უთუოდ მხოლოდ იქ, რუმინეთის წიგნსაცავებსა და არქივებში უნდა მოიპოვებოდეს“²76.

მაგრამ თუ ა. შანიძე ანთიმ ივერიელის მიერ ვლახეთში ქართული წიგნის დაბეჭდვის საკითხს ჭერჭერობით „ლიად ტოვებს“, ხოლო გ. ლუონიძეს და შ. კურდღელაშვილს კი ეს შესაძლოდ მიაჩნიათ, სამაგიეროდ რიგი მკვლევარებისა ყოველივე ამას კატეგორიულად უარყოფს. მაგალითად, ქ. შარაშიძე აღნიშნავს: „ეფიქრობთ, რომ რუმინეთში ქართული შრიფტი არ ჩამოსწმულა და არც ქართული წიგნი დაბეჭდილა, ზემოხსენებული ვარაუდის დამადასტურებელი საბუთი არსად გამოჩენილა და არც მოსალოდნელია მისი გამოჩენა“²77. შ. კვასხვაძე წერს: „მოსაზრება, რომელსაც ფრანგი მეცნიერი ემილ პიკო გამოთქვამს, თითქოს ანთიმოზმა ამოკრა და ჩამოასხა ქართული საეკლესიო ასოები, რომლებითაც აღბეჭდა ქართული „კონდაკი“²78 და გაგზავნა საქართველოში, ცხადია, მცდარია“²79 და შემდეგ: „ცხადია, რომ „კონდაკის“ რუმინეთში დაბეჭდვისა და მისი საქართველოში გაგზავნის ვერსია ლეგენდად უნდა ჩაეთვალოთ“²80. ე. ლორთქიფანიძე წერს: „თუმცა რუმინეთში იმ პერიოდში იბეჭდებოდა ლიტერატურა არაბულ, თურქულ, ბერძნულ და სხვა ენებზე, მაგრამ ამ მიმართულებით მათ სათანადო შეკვეთები ჰქონიათ, იქვე იმყოფებოდნენ ანთიმოზი და სხვა მესტამბეები, რომელნიც მრავალ ენათა დამწერლობას ფლობდნენ, მაგრამ რად დასკირდებოდა ანთიმოზ ივერიელს ქართულ-

²75 კურნ. „დროშა“, 1951, № 2, გვ. 16.

²76 შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბილისი, 1959, გვ. 54.

²77 ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), თბილისი, 1955, გვ. 94.

²78 მოსაზრება იმის შესახებ, რომ ანთიმ ივერიელმა თითქოს ამოკრა და ჩამოასხა ქართული საეკლესიო ასოები, რომლითაც აღბეჭდა ქართული „კონდაკი“ და გაგზავნა საქართველოში, ეკუთვნის არა ემილ პიკოს, არამედ გასტერს. Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, B. XI, Heft 4.

²79 შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სასტამბო წიგნი, თბილისი, 1952, გვ. 228.

²80 იქვე, გვ. 227.

ლი შრიფტის ჩამოსხმა, თუ იგი ვერ მოახერხებდა რუმინეთში მის პრაქტიკულ გამოყენებას?... ჯერჯერობით კი არც რუმინეთში, არც საქართველოში, არც ევროპის რომელიმე ქვეყანაში ქართულად დაბეჭდილი წიგნი არ აღმოჩენილა, უფრო ადრინდელი, ვიდრე 1705 წ. არჩილის სტამბის „დავითნი“, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იტალიაში დაბეჭდილ პირველ წიგნებს, რომელნიც 80 წლით უსწრებენ ამ ფაქტს“²⁸¹.

როგორც ვნახეთ, ნეიგებაუერისა და გასტერის მიერ მოწოდებულმა ცნობამ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. როგორია ჩვენი თვალსაზრისი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით?

რასაკვირველია, როდესაც კითხვა იმის ისეთ ასპექტში, დაბეჭდა თუ არა ანთიმ ივერიელმა ქართული წიგნი ვლახეთში, ამ კითხვაზე პირდაპირი და გარკვეული პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღმოჩნდება თვით დაბეჭდილი წიგნი. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ საკითხი თავიდანვე არა სწორადაა დასმული. ე. ი. ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ არაა სწორი, როდესაც მკვლევრები ნეიგებაუერისა და გასტერის მიერ მოტანილ ცნობას ძირითადში იხილვენ იმ კუთხით, რომელიც გამოიხატება მხოლოდ და მხოლოდ სნაგოვოს მონასტერში ქართული წიგნის დაბეჭდვასა თუ არ დაბეჭდვაში. რატომ არ უნდა განეხილათ ქართველ მკვლევრებს ნეიგებაუერისა და გასტერის ცნობა იმ კუთხით, რომლის მიზანი იქნებოდა არა მხოლოდ ქართული წიგნის დაბეჭდვის ფაქტის დადგენა ვლახეთში, არამედ იმის დაზუსტება, თუ იმ პერიოდში რა ისტორიული პირობები ან ფაქტორები არსებობდა, რომელთა გაანალიზების და ურთიერთდაპირისპირების შედეგად შესაძლებელი იქნებოდა მსჯელობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დაუებრუნდეთ ისევ არჩილ მეფის მოღვაწეობას მოსკოვში, როდესაც იგი ფიქრობდა ქართული სტამბის გამართვას. ჩვენ უკვე დაწვრილებით ვილაპარაკეთ იმის შესახებ, როგორ აწარმოებდა არჩილ მეფე მიმოწერას ტოტფალუშთან ქართული შრიფტის დამზადების თაობაზე და როგორ დაამზადა ტოტფალუშმა ეს შრიფტი, რომელმაც მოსკოვამდე ვერ მიაღწია. მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად. მოსკოვში ზელმეორედ დაბრუნების შემდეგ არჩილ მეფე 1703 წელს გოლოვინისაგან ითხოვს მის მიერ მოწყობილ სტამბაში წიგნების ბეჭდვის ნებართვას²⁸² და 1705 წელს ბეჭდავს კიდევ „დავითნს“. ჩვენ აქ კიდევ

²⁸¹ ე. ლორთქიფანიძე, ვახტაგ მეექვსე და ქართული სტამბის მოღვაწენი, თბილისი, 1962, გვ. 77.

²⁸² ЦГАДА, ф. Сношения России с Грузией, 1703, № 2, гл. 10.

ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო არჩილის დაკვეთით ამსტერდამში დამზადებული შრიფტისა და 1705 წელს დაბეჭდილი „დავითნის“ შრიფტის სრული სხვაობა, რაც მთლიანად აბათილებს ზოგიერთი მკვლევრის თვალსაზრისს, ვითომდა „დავითნი“ დაბეჭდილიყო ამსტერდამიდან ჩამოტანილი შრიფტით. რაც შეეხება დ. კარიკაშვილის განცხადებას, რომ „აქ (მოსკოვში — ო. გ.) მან (არჩილმა — ო. გ.) გააკეთებინა ხუცური ასოები, გამოითხოვა რუსეთის მთავრობისაგან ნებართვა და 1705 წელს სახელმწიფო სტამბაში დაბეჭდვინა „დავითნი“²⁸³ — ეს ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული.

მაშ რომელი შრიფტით დაბეჭდა არჩილ მეფემ „დავითნი“, ან საიდან მიიღო მან ეს შრიფტი? არჩილ მეფეს რომ მის მიერ გოლოვინისადმი 1703 წ. 2 ივლისამდე მიწერილ წერილამდე (წერილში ნათქვამია, რომ ქართული შრიფტის ლიტერები უკვე მზადაა²⁸⁴) ცოტა ხნით ადრე არა მხოლოდ გამართული ჰქონდა ქართული სტამბა, არამედ ალბათ არც კი იცოდა, თუ რა ელონა ამ საქმის მოსაკვარებლად, ამაზე ცხადად ლაპარაკობს შემდეგი გარემოება.

არჩილ მეფის ვაჟიშვილი ალექსანდრე შვედებს ტყვედ ჩაუვარდა ნარკასთან 1700 წელს. ნარვიდან ალექსანდრე გადაიყვანეს რეველში, შემდეგ კი სტოკჰოლმში. ეს უნდა ყოფილიყო დაახლოებით 1701—1702 წლებში. ბიორკბომის გამოკვლევიდან ირკვევა, რომ ამ წანებში ალექსანდრე ბატონიშვილს სტოკჰოლმში კავშირი დაუმყარებია შპარვენფელდთან, სწორედ იმ შვედ მეცნიერთან, ვისი მეშვეობითაც არჩილ მეფე მიმოწერას აწარმოებდა ტოტფალუშთან ქართული შრიფტის დამზადების მიზნით. „სტოკჰოლმში — წერს ბიორკბომი — ალექსანდრეს კავშირი ჰქონდა შპარვენფელდთან, რომელიც მრავალი ენის ცოდნის გამო ტყვეების დაბინავებას აწარმოებდა. შვედური სახელმწიფო არქივის საბუთებში ჩვენ ვპოულობთ წერილობით მოხსენებას „მელითელი პრინცის“ შესახებ, როგორც მას უწოდებდნენ. ეს მოხსენება დაწერილია შპარვენფელდის დამახასიათებელი ხელით. ამისდაგვარად ალექსანდრეს უნდა ჰქონოდა ცნობა ამ ტიპების (იგულისხმება ტოტფალუშის მიერ დამზადებული ქართული შრიფტი, რომელიც მოსკოვის მაგივრად სტოკჰოლმს გადაიგზავნა — ო. გ.) შესახებ“²⁸⁵. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ამავე პერიოდში არჩილს რო-

²⁸³ დ. კარიკაშვილი, ქართული წივნის ბეჭდვის ისტორია, თბილისი, 1929, გვ. 45.

²⁸⁴ ЦГАДА, ф. Сношения России с Грузией, 1703, № 2, ф. 10.

²⁸⁵ შრომები..., გვ. 23—24.

გორც კი დაუმყარებია კავშირი დატყვევებულ შვილთან, უზრუნია ტოტფალუშის მიერ დამზადებული და სტოკჰოლმში გადაგზავნილი ქართული შრიფტის მისაღებად. ე. ი. დაახლოებით 1701—1702 წლებში არჩილ მეფე ჯერ კიდევ ქართული სტამბის გამართვის საშუალებათა ძიებაშია. შემდეგ კი ხდება ერთი შეხედვით სრულიად გაუგებარი რამ. 1703 წლის 8 დეკემბერს ალექსანდრე წერს არჩილ მეფეს, რომ სტოკჰოლმში არსებულ ქართულ შრიფტს ჯერჯერობით იმ მოტივით ვერ გზავნის მოსკოვში, რადგან „ეშინია არ დაიკარგოს“²⁸⁶. ამავე დროს კი, როგორც ვიცით, არჩილი 1703 წლის 2 ივლისს აცნობებს გოლოვინს, რომ მას ქართული შრიფტის ლიტერები უკვე მზადა აქვს²⁸⁷. ე. ი. რა მივიღეთ ჩვენ საბოლოო ჯამში? მიუხედავად მამასა და შვილს შორის არსებული მიმოწერისა ქართული შრიფტის მოპოვების თაობაზე, ალექსანდრემ არაფერი იცის მოსკოვში ქართული სტამბის გამართვის შესახებ. უფრო მეტიც, როდესაც ალექსანდრე წერს მამას წერილს მოსკოვში ქართული შრიფტის გაგზავნის შესახებ, არჩილი უკვე ხუთი თვით ადრე ითხოვს წიგნების ბეჭდვის ნებართვას მის მიერ მოსკოვში მოწყობილ სტამბაში. ასეთი ვითარების ახსნა მხოლოდ შემდეგნაირად შეიძლება. მაშინ როდესაც არჩილ მეფე აწარმოებდა მიმოწერას ალექსანდრესთან სტოკჰოლმში ქართული შრიფტის მისაღებად, მას ერთდროულად მიუღია ზომები სხვა ადგილზე ქართული შრიფტის დასამზადებლად და იმ დროს, როდესაც ალექსანდრე უკვე ტიპების გამოგზავნას აპირებდა, „არჩილს მზად ჰქონია ახალი, პირველზე უკეთესი შრიფტი“.

ქ. შარაშიძე წერს: „1705 წლის „დავითნის“ და სტოკჰოლმის 1703 წლის სასინჯი შრიფტის შედარებამ არ გვიჩვენა მათი იგივეობა. ეს გარემოება უარყოფითად სწყვეტს არჩილის მიერ 1686—1687 წწ. დამზადებული შრიფტის „დავითნის“ დაბეჭდვის გამოყენების საკითხს. ხსენებული „დავითნი“ და ბეჭდილია სხვა შრიფტით და ამ შრიფტს უდავო უპირატესობა აქვს 1687 წლის ტიპებთან შედარებით — გარკვეულობითა და ასოების მოხაზულობის სრული სისწორით გადმოცემით“²⁸⁸.

ვისთვის უნდა დაეკეთა არჩილ მეფეს ეს ქართული შრიფტი, რომლითაც დაბეჭდა „დავითნი“ 1705 წელს. ისევ ტოტფალუშისათვის? მაგრამ ეს გამორიცხებულია, რადგან ტოტფალუში 1689 წელს ტოვებს ამსტერდამს და ბრუნდება თავის სამშობლო კლუქში, სადაც

²⁸⁶ შრომები..., გვ. 24.

²⁸⁷ ЦГАДА: ф. Сношения России с Грузией, 1703, № 2, т. 10.

²⁸⁸ შრომები..., გვ. 30.

იგი თითქმის სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე განიცდის მისი მოწინააღმდეგეების მხრივ დევნასა და შევიწროვებას²⁸⁹. იოანე ბატონიშვილი კი წერს — არჩილმა „გააკეთებინა სტამბა საფრანგეთში ქართულად და მოატანიდა საფასითა თავისითა“ მოსკოვს²⁹⁰. ე. ი. იოანე ბატონიშვილი ახალი ქართული შრიფტის დამზადებას უკავშირებს დასავლეთ ევროპას. თუ ასეა, ვინ უნდა ყოფილიყო ევროპაში ისეთი ოსტატი, რომელიც ტოტფალუშზე — საყოველთაოდ აღიარებულ ამ ოსტატზე უკეთესად შეძლებდა შრიფტის ჩამოსხმას. ჩვენ ვიცით, თუ რაოდენი წვალებისა და გარჯის ფასად, კონსულტაციებსა და მითითებების შედეგად შესძლო ტოტფალუშმა მისთვის უცხო ასოების დამზადება, რასაც იგი თითქმის ორ წელიწადს მოუწია. ამავე დროს ახალი შრიფტის გაკეთებას წინ არა ერთი დაბრკოლება ელოდებოდა. ჯერ ერთი, საჭირო იქნებოდა ევროპის ამა თუ იმ სახელმწიფოში უცხოელ მესტამბესთან კავშირის დამყარება და მის მხრივ თანხმობის მიღება შეკვეთის შესრულებაზე, რაც არც თუ ისე იოლად მოსაგვარებელი იყო. როგორც ვიცით, ამ მხრივ არჩილ მეფეს მეტად გაუადვილა საქმე მისმა ნაცნობობამ შპარვენფელდთან და ვიტცენტან. გარდა ამისა, უცხოეთში შრიფტის შეკვეთა და იქიდან მოსკოვს ჩამოტანა ომიანობის პირობებში, რომელშიაც რუსეთი იმყოფებოდა, საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენდა. ყოველივე ამას ზედ ერთვოდა დიდი ხარჯების გაღებაც.

ყოველივე ზემოთქმულმა ჩვენ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ როგორც ნეიგებაუერის, ასევე გასტერის მიერ მოწოდებული ცნობა მთლად „ლეგენდა“ არ უნდა იყოს. რასაკვირველია, არც ჩვენ მიგვაჩნია მართებულად ამ მკვლევართა თვალსაზრისი ანთიმ ივერიელის მიერ სნაგოვოს მონასტერში ქართული წიგნის დაბეჭდვის შესახებ. მაგრამ როგორც იტყვიან, ბოლი უცეცხლოდ არ ჩნდება. თუ ანთიმ ივერიელს არ დაუბეჭდავს ქართული წიგნი ვლახეთში, ვინ იცის, იქნებ მან სნაგოვოს მონასტერში მხოლოდ დაამზადა ქართული შრიფტი და სწორედ ეს შრიფტი იქნა გამოყენებული არა „კონდაკის“ დასაბეჭდად, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი, არამედ არჩილ მეფის მიერ მოსკოვში დაარსებულ სტამბისათვის „დავითნის“ გამოსაცემად. როგორც ჩანს, ნეიგებაუერსა და გასტერს ხელთ ჰქონიათ რაღაც სარწმუნო წყარო სნაგოვოს მონასტერში ქართული შრიფტის ჩამოსხმის შესახებ, მაგრამ მათ ამ ფაქტისათვის მიუყიათ არასწორი ინტერპრეტაცია. ეს, რასაკვირველია, მხოლოდ ვარაუდია, თუმცა ვა-

²⁸⁹ V. Molin... გვ. 329.

²⁹⁰ ძველი საქართველო, ტ. I, განყ. III, გვ. 27.; 1909.

ბაუდი გამოთქმული მთელი რიგი პირობების გათვალისწინებით. მართლაც და თუ არჩილ მეფე აწარმოებდა მიმოწერას ალექსანდრესთან ქართული შრიფტის თაობაზე (ე. ი. მას იმედი ჰქონდა, რომ ამ შრიფტს იგი ადრე თუ გვიან მიიღებდა სტოკჰოლმიდან, რადგან არსებულ ვითარებაში ევროპაში ახალი ქართული შრიფტის დამზადება დიდ დაბრკოლებებთან იყო დაკავშირებული), ხოლო ამავე პერიოდში იგი ახერხებს სულ სხვა გზით სტამბის დაარსებას მოსკოვში, ჩანს, ეს „სხვა გზა“ სრულიად შემთხვევით უნდა აღმოჩენილიყო და იგი გაცილებით ბელსაყრელი უნდა ყოფილიყო არჩილისათვის.

როდესაც არჩილი 1700—1703 წწ. ზრუნავს ქართული სტამბის გამართვისათვის მოსკოვში, ამ დროს ევროპაში, კერძოდ ვლახეთში, მოღვაწეობს უკვე სახელგანთქმული მბეჭდავი ანთიმ ივერიელი. რატომ უნდა გამოერიცხოთ ჩვენ ისეთი შესაძლებლობა, რომ რუსეთიდან ვლახეთს ჩამოსულ პირებს ჩამოეტანათ ამბავი არჩილ მეფის შესახებ, ანდა პირიქით, ვლახეთიდან რუსეთს გამგზავრებულ ვლახელებს ეთქვათ რაიმე რუსეთის სამეფო კარზე²⁹¹ ანთიმ ივერიელის, როგორც მესტამბის ღვაწლზე. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, რომ არჩილ მეფეს თავისი მიზნების განხორციელებისათვის კავშირი დაექირა ანთიმ ივერიელთან და ეთხოვა დახმარება სტამბის მოწყობის საქმეში.

ზოგიერთი მკვლევარი წერს: „რად დასჭირდებოდა ანთიმოზ ივერიელს ქართული შრიფტის ჩამოსხმა, თუ იგი ვერ მოახერხებდა რუმინეთში მის პრაქტიკულ გამოყენებას“²⁹². რასაკვირველია ეს ასეა. ვლახეთში დამზადებულ ქართულ შრიფტს მართლაც არავითარი პრაქტიკული გამოყენება არ შეიძლება ჰქონოდა ამ ქვეყანაში. მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ ეს შრიფტი გაკეთდა არჩილ მეფის სტამბისათვის, მაშინ მისი პრაქტიკული მნიშვნელობა უკვე აღარავითარ ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს.

საინტერესოა ზ. კიკინაძის თვალსაზრისი, რომელიც მას გამოთქმული აქვს არჩილ მეფისა და ანთიმ ივერიელის ურთიერთობასთან

²⁹¹ ჯერ კიდევ 1688 წელს ვლახეთის მთავარი შერბან კანტაკუზენი ს.განგებო მისიით ზვანის მოსკოვში თავის წარმომადგენელს ათონის წმ. პავლეს მონასტრის არქიმანდრიტს ისაის, P. C o n s t a n t i n e s c u - I a s i, Relatiile culturale romno-ruse din Irecut, Buc., 1954, გვ. 161. ეს იყო ვლახეთის საგარეო პოლიტიკის პირველი ნაბიჯი ძლიერი და საიმედო შეარეულის მოსაპოვებლად თურქეთის იმერიის აგრესიისგან თავდასაცავად. აქედან დაწყებული კონტაქტები ვლახეთსა და რუსეთს შორის თანდათანობით მტკიცდება და რ. გულარულ ხასიათს ატარებს.

²⁹² ე. ლ. ო. რ. თ. კ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე. ა. ხ. ა. გ. მ. ე. ე. ე. და ქართული სტამბის მოღვაწე. ნი, თბილისი, 1962, გვ. 77.

დაკავშირებით. ზ. კიკინაძე წერდა: „ჩვენ კარგად ვიცით, რომ ზემოსენებულ ეპისკოპოსს (ანთიმ ივერიელს — ო. გ.) ვახტანგ მეფეზე ბევრად აღრე ჰქონია საუბარი არჩილთან სტამბის გახსნის შესახებ“²⁹³. ჩვენ ვერაფერს ვიტყვით, საიდან აქვს ეს ცნობა მოპოვებული ზ. კიკინაძეს, რადგან ის თავის წიგნში არავითარ წყაროზე არ მიუთითებს და მხოლოდ აღნიშნული თვალსაზრისის გამოთქმით კმაყოფილდება. თუმცა, კატეგორიულობა „ჩვენ კარგად ვიცით“ ამ ცნობისა გვაფიქრებინებს, რომ ეს ცნობა არ უნდა იყოს ფანტასტიკური. მართლაც, თუ კი არჩილს ვრცელი მიმოწერა ჰქონდა ქართული შრიფტის შესახებ პოლანდიაში, რატომ არ შეიძლება მას მიემართა ვლახეთში მცხოვრებ ქართველი მესტამბისა და მოღვაწისათვის, ანთიმ ივერიელისათვის? გ. ლეონიძე წერს: „თუ მართლა აღმოჩნდა 1697 წელს სნაგოვოში დაბეჭდილი ქართული წიგნი, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ არჩილ მეფის მონაწილეობა, რადგან იგი მეცადინეობდა ევროპაში ქართული სტამბის საქმეებისათვის“²⁹⁴. გ. ლეონიძის ამ თვალსაზრისს უარყოფს შ. კვასხვაძე. იგი წერს: „ანთიმოზს „კონდაკი“ რომ მართლაც დაებეჭდა სნაგოვოში 1697 წელს და ისიც არჩილ მეფის თანამონაწილეობით, მაშინ რაღად უნდა დასკირებოდა არჩილს პოლანდიაში ზელნაწერი დედნის გაგზავნა, ანდა მთელი ის პროცედურა, რომელიც დღეს ცნობილია ისტორიიდან? მეორე მხრივ, ხომ ცნობილია, რომ არჩილი 1697 წელს საქართველოში იმყოფებოდა და მხოლოდ 1699 წელს წავიდა რუსეთში. ცნობილია ისიც, რომ 1675 წლიდან, ვიდრე იგი საქართველოდან რუსეთში გაემგზავრებოდა, აქ მეფეს საქმეები ისე ჰქონდა არეული, რომ საეჭვოა მას მოეცალა სნაგოვოში დაბეჭდილი „კონდაკისათვის“. არჩილს რომ ანთიმოზის ცნობა ჰქონოდა, მაშინ, როდესაც მეფე მოსკოვში ყოფნის დროს ქართული სტამბის შექმნაზე მუშაობდა, რატომ უნდა აექცია მას გვერდი ანთიმოზისათვის და რატომ უნდა დაეწყო მოლაპარაკება შრიფტის ჩამოსხმის შესახებ ამსტერდამში? სნაგოვოში „კონდაკის“ დაბეჭდვის ვერსია მართალია რომ იყოს ცხადია, არჩილს ამსტერდამში შრიფტის დაკვეთისას აღარ დასკირდებოდა ქართული შრიფტისათვის აუცილებელი, ახალი დედნების შექმნა“²⁹⁵.

ერთი შეხედვით ჩვენს მიერ ციტირებულ ადგილში მკვლევარი აღნიშნულ დასკვნამდე ლოგიკური მსჯელობის შედეგად მიდის. მაგრამ განვიხილოთ, თუ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს აქ მოყვანილი

²⁹³ ზ. კიკინაძე, ქართული სტამბები 1627—1916, გვ. 80.

²⁹⁴ „დროშა“, 1951, № 2, გვ. 16.

²⁹⁵ შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, 1952, გვ. 227.

ფაქტები. მიყვეთ თანმიმდევრობით. მართალია გ. ლეონიძე გამოს-
თქვამს ვარაუდს, რომ ქართული წიგნი შესაძლოა დაბეჭდა ანთიმ ივე-
რიელმა სნაგოვოში 1697 წელს, მაგრამ ეს არის მხოლოდ გ. ლეონი-
ძის მოსაზრება. ამიტომაც ბუნებრივი იქნებოდა, თუ მკვლევარს ამა
თუ იმ საკითხის საერთოდ გადაწყვეტა სურს, მან ანგარიში უნდა გა-
უწიოს არა ერთ რომელიმე ცნობას, არამედ ყოველგვარ მასალას არ-
სებულ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ კი ვიცით, რომ როგორც ნეი-
გებაუერის, ასევე გასტერს, ე. ი. იმ ავტორებს, რომლებმაც პირველად
აუწყეს საზოგადოებრიობას სნაგოვოში ანთიმ ივრიელის მიერ ქარ-
თული წიგნის დაბეჭდვის ამბავი, არაფერი აქვთ ნათქვამი თარიღისა
თუ დროის შესახებ. რაც შეეხება ანთიმ ივერიელის მოღვაწეობის პე-
რიოდს სნაგოვოს მონასტრის სტამბაში, იგი შემოიფარგლება არა
მარტო 1697 წლით, არამედ მოიცავს დროს 1694 წლიდან დაწყებულ
1702 წლამდე²⁹⁶.

აქედან გამომდინარე შ. კვასხვაძის მიერ თავის გამოკვლევაში მო-
ყვანილი ცნობილი ფაქტები, რომ არჩილ მეფე 1697 წელს საქართვე-
ლოში იმყოფებოდა და იგი მხოლოდ 1699 წელს ჩავიდა რუსეთში.
არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოვიყენოთ არჩილ მეფისა და
ანთიმ ივერიელის შესაძლებელი ურთიერთკავშირის უარსაყოფად. არ-
ჩილ მეფის მოსკოვში მეორედ ჩასვლის შემდგომი პერიოდი, როდეს-
საც მან შესძლო ქართული შრიფტის მოპოვება, მთელი ოთხი წლით
ემთხვევა ანთიმ ივერიელის სნაგოვოს მონასტრის სტამბაში მოღვა-
წეობის დროს. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შ. კვასხვაძე
წერდა: „არჩილს რომ ანთიმოზის ცნობა ჰქონოდა მაშინ, როდესაც
მეფე მოსკოვში ყოფნის დროს ქართული სტამბის შექმნაზე მუშაობ-
და, რატომ უნდა აეჭვია მას გვერდი ანთიმოზისათვის და რატომ უნდა
დაეწყო მოლაპარაკება შრიფტის ჩამოსხმის შესახებ ამსტერდამ-
ში?“²⁹⁷. ჩვენ გავცემთ პასუხს ამ კითხვაზე. ჯერ ერთი აქ საკითხი ძი-
რითადში არასწორადაა დაყენებული. არჩილ მეფეს ტოტვალუშთან
ამსტერდამში ქართული შრიფტის დამზადების თაობაზე მიმოწერის
პერიოდში, რაც თარიღდება 1686—1687 წლებით, არ შეიძლება ჰქო-
ნოდა რაიმე ცნობა ანთიმ ივერიელის მოღვაწეობის შესახებ სნაგოვოს
მონასტრის სტამბაში, ვინაიდან ანთიმმა ვლახეთის მიწაწყალზე პირ-
ველად ფეხი დაადგა მხოლოდ დახლოებით 1690 წელს²⁹⁸. თუ

²⁹⁶ N. Serbanescu, Istoria Minastirii Snagov, Bucuresti, 1944, გვ. 66,

112.

²⁹⁷ შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, 1952, გვ. 227.

²⁹⁸ იხ. ამ წიგნის გვ. 16—17.

რატომ აუქცია არჩილ მეფემ გვერდი ანთიმ ივერიელს და დაიწყო მოლაპარაკება შრიტვის ჩამოსხმის შესახებ ამსტერდამში, ამის მიზეზი არის ის, რომ აღნიშნულ პერიოდში ანთიმ ივერიელი არ იმყოფებოდა არა მხოლოდ სნაგოვოს მონასტრის სტამბაში, არამედ საერთოდ ვლახეთში.

მაგრამ ჩვენ აქ მეტად გაგვიგრძელდა სიტყვა და გადავუხვიეთ ძირითად საკითხს, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ დაგვედგინა ანთიმ ივერიელის მიერ მესტამბის ხელობის დაუფლების ადგილი. ამასთან დაკავშირებით კი ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ, როგორც ვნახეთ, ცხადპყო სხვადასხვა მკვლევართა მიერ გამოთქმული დებულებების უსაფუძვლობა. ასე, მაგალითად, დებულება ამის შესახებ, რომ ანთიმ ივერიელმა შეისწავლა მესტამბეობა ერთ შემთხვევაში ვლახეთში, ზოლო დანარჩენ შემთხვევებში კონსტანტინოპოლსა და საქართველოში, არ შეესაბამება სინამდვილეს. მიუხედავად ამისა ფაქტი რჩება ფაქტად. როდესაც კონსტანტინე ბრინკოვიანუმ ანთიმ ივერიელი მოიწვია ვლახეთს, ამ ქვეყანაში ანთიმ ივერიელის სახით ჩავიდა არა მხოლოდ შესანიშნავი მხატვარი, გრაფიკოსი და კალიგრაფი, არამედ თავის საქმეში გაწაფული მესტამბეც, რადგან წარმოუდგენელია, რომ კონსტანტინე ბრინკოვიანუს, რომელიც სახავდა „ბექდვითი საქმიანობის გაუმჯობესების ფართო გეგმებს ვლახეთში“²⁹⁹, ასეთი მისიის შესასრულებლად მოეზიდა ისეთი პიროვნება, რომლისთვისაც უცხო იქნებოდა მესტამბის ხელობა.

ჩვენ აქ კიდევ ერთხელ ვსვამთ კიხთვის: მაინც სად უნდა დაუფლებოდა ანთიმ ივერიელი მესტამბეობას? ანდა არსებობს თუ არა რაიმე საბუთი ამის შესახებ. ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჭერჯერობით არ არსებობს არავითარი საბუთი ანთიმ ივერიელის მესტამბის მოღვაწეობის დაწყებასთან დაკავშირებით. მაგრამ თუ ერთის მხრივ ჩვენ გავითვალისწინებთ ამ ნაშრომში სრულიად ახლებურად წარმოდგენილ და გაშუქებულ ანთიმ ივერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზას მის საქართველოდან ვლახეთში ჩასვლამდე, ხოლო მეორეს მხრივ მხედველობაში მივიღებთ აღნიშნულ პერიოდში ჩვენს მიერ განხილულ ბექდვითი საქმიანობის განვითარების ისტორიას, მაშინ საფიქრებელია, რომ ანთიმ ივერიელი მესტამბეობის „დიდს და რთულ საქმეს“ ეზიარა იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის მიერ იასში დაარსებულ სტამბაში ანდა რუსეთში. მართლაც, თუ დადგენილად ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარში (პერიოდი ანთიმ ივერიელის დაბადებიდან მისი

²⁹⁹ N. Serbanescu, Antim Ivireanul tipograf, გვ. 693.

ვლახეთში ჩასვლამდე) არავითარი სტამბები არ არსებობდა არც საქართველოში და არც კონსტანტინოპოლში (მხედველობაში გვაქვს ბერძნული სტამბები), არამედ წიგნების ბეჭდვა ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთსა და მოლდავეთში, იასის სტამბაში (ცხადია აქ ანგარიშში არ ვიღებთ ბუზუესა და ბუქარესტის სტამბებს ვლახეთში), ამ შემთხვევაში ის ერთადერთი ადგილი, სადაც შესძლებდა ანთიმ ივერიელი მესტამბის ხელობის დაუფლებას, უნდა ყოფილიყო იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის მიერ 1682 წელს იასში დაარსებული ბერძნული სტამბა, ანდა რუსეთი, სადაც ანთიმ ივერიელი იმყოფებოდა არჩილ მეფესთან ერთად.

რა პრინციპიალური განსხვავებაა იმ თვალსაზრისსა, რომელიც დღემდე არსებობდა ანთიმ ივერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ვიდრე იგი ვლახეთში დამკვიდრდებოდა და ჩვენს მიერ აქ ჩატარებული კვლევის შედეგებს შორის? გადმოვცემთ ძირითადი დებულებების სახით.

დღემდე თვლიდნენ, რომ ანთიმ ივერიელი მოიტაცეს თურქებმა სრულიად ყმაწვილი კაცი, 16 წლის ასაკში საქართველოდან, კერძოდ სამცხე-საათაბაგოდან. ანთიმ ივერიელი 1682 წელს კონსტანტინოპოლში მონობიდან დაიხსნა იერუსალიმის პატრიარქმა მისი თარჯიმნად გამოყენების მიზნით „იერუსალიმის პატრიარქთა და საქართველოს მეფე-კათალიკოსთა შორის არსებულ მიმოწერასა და ურთიერთობაში“. ანთიმ ივერიელი იერუსალიმის საპატრიარქო კარზე იმყოფებოდა 16 წლიდან დაწყებული, თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე, სადაც მან მიიღო „ენციკლოპედიური განათლება“ და დაეუფლა ხელოვნების სხვადასხვა დარგებს: მხატვრობას, მეჩუქურთმეობას, კალიგრაფიას, ხეროთომოდვრებას და სხვ. კონსტანტინოპოლში არსებულ ბერძნულ სტამბაში ანთიმ ივერიელმა შეისწავლა მესტამბეობა, კონსტანტინე პრინკოვიანუმ ვლახეთში სასტამბო საქმიანობის გასაუმჯობესებლად ანთიმ ივერიელი ჩამოიყვანა კონსტანტინოპოლიდან. ანთიმ ივერიელი ვლახეთში ჩასვლის შემდეგ დაეუფლა ძველ სლავურ ენას და სხვ.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად კი მივედით შემდეგ ვარაუდამდე: ანთიმ ივერიელი მოიტაცეს იმ ასაკში, როცა იგი სრულიად ჩამოყალიბებული „ინტელექტუალური ვინაობის“ მქონე ქართული ხელოვნების ტრადიციებზე აღზრდილი შემოქმედი იყო“, ანთიმ ივერიელი ტყვედ ჩაიგდეს ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებმა, მაშინ, როდესაც იგი არჩილ მეფესთან ერთად რუსეთში ყოფნის შემდეგ ადგა საქართველოსკენ მიმავალ გზას. ანთიმ ივერიელი კონსტანტინოპოლში მონობიდან გამოისყიდა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა იმ მიზნით, რომ გამოეყენებინა მისი მხატვრის, გრავეორის და

კალიგრაფის ნიჰი სასტამბო საქმიანობაში. ანთიმ ივერიელმა ის ბრწყინვალე განათლება, სახელდობრ კლასიკური ლიტერატურის შესანიშნავი ცოდნა, მოიპოვა უკვე ვლახეთში ჩასვლის შემდეგ. ანთიმ ივერიელს მესტამბეობა არ შეუსწავლია კონსტანტინოპოლში, რადგან ამ ქალაქში აღნიშნულ პერიოდში არ არსებობდა ბერძნული სტამბები. ანთიმ ივერიელი მესტამბეობას დაეუფლა ან რუსეთში, ან პატრიარქ დოსითეოსის მიერ ქ. იასში დაარსებულ სტამბაში. სწორედ ამ ქალაქიდან მოიწვია კონსტანტინე ბრინკოვიანუმ ანთიმ ივერიელი ვლახეთს. ანთიმ ივერიელმა ძველი სლავური ენა შეისწავლა რუსეთში ყოფნის დროს და სხვ.

გარდა ამისა, ამ ნაშრომში ჩვენ განვიხილეთ საკითხი, რომელსაც პირდაპირი კავშირი არ აქვს ანთიმ ივერიელის მოღვაწეობასთან ვიდრე იგი ვლახეთში ჩავიდოდა. მაგალითად, საწინააღმდეგოდ იმისა, რომ უმრავლესობა მკვლევრებისა მიუღებლად თელიან ნეიგებაუერისა და გასტერის ცნობას ანთიმ ივერიელის მიერ სნაგოვოს მონასტრის სტამბაში ქართული წიგნის დაბეჭდვის შესახებ, ასევე ანთიმ ივერიელსა და არჩილ მეფეს შორის არსებულ ურთიერთკავშირს მოსკოვში ქართული სტამბის დაარსების მიზნით, ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომ არაა მთლიანად გამორიცხული ანთიმ ივერიელს ჩამოესხა ქართული შრიფტი სნაგოვოს მონასტერში და ეს შრიფტი გამოყენებული ყოფილიყო 1705 წელს არჩილ მეფის მიერ მოსკოვში გამოცემულ „დავითის“ დაბეჭდვის დროს.

ანთიმ ივერიელის სასტამბო მოღვაწეობა ვლახეთში

კონსტანტინე ბრინკოვიანუს მეფობის პერიოდი (1688—1714 წწ.) ითვლება „ძველი რუმინული კულტურის აყვავების ხანად ვლახეთში“¹. ვლახეთის სამეფო ტახტზე ასვლის შემდეგ კონსტანტინე ბრინკოვიანუ აგრძელებს თავის წინამორბედის მთავარ შერბან კანტაკუზენის (1673—1688 წწ.) მიერ წამოწყებულ საქმიანობას, არ იშურებს თანხებს „კულტურული მოძრაობის“² გასაფართოებლად და „განსაკუთრებულ ბრწყინვალეობას“³ ანიჭებს მას. კონსტანტინე ბრინკოვიანუ აგებს ტაძრებს, აღადგენს მონასტრებსა და ეკლესიებს, აშენებს ახლებს არა მარტო ვლახეთის ტერიტორიაზე, არამედ სამთავროს ფარგლებს გარეთაც. ერთდროულად ამისა ვლახეთში შენდება დიდებული სასახლეები და ნაგებობანი. როგორც მონასტრები და ეკლესიები, ასევე

¹ C. Giurescu, Istoria Romnilor, III, Bucurcsti, 1944, გვ. 169.

² N. Serbanescu, Antim Ivireanul tipograf, გვ. 690.

³ იქვე.

სასახლეებიც აგებულია დიდი გემოვნებით და ორიგინალურ არქიტექტურულ სტილში⁴. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხურეზუს მონასტერი და ანთიმ ივერიელის მიერ აშენებული „ყოვლად წმიდათა“ მონასტერი⁵. სხვა ხასიათის ნაგებობებიდან ყურადღებას იმსახურებს მოგომას სასახლე, რომელიც ბუქარესტის მახლობლადაა აშენებული.

კონსტანტინე ბრინკოვიანუს სამეფო კარი აღმოსავლეთისა და დასავლეთის გავლენათა გზაჯვარედინად გადაიქცა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბერძნული ელემენტის გავლენა, რომელიც ვლახეთში მკვიდრად იკიდებს ფეხს XVI საუკუნის დამლევებიდან. ვლახეთში ბერძნული კულტურის დანერგვის საწყისები უნდა ვეძებოთ იმ პერიოდში, როდესაც ბერძნებმა დიდი რაოდენობით დაიწყეს დასახლება ღუნაისპირა სამთავროების — ვლახეთისა და მოლდავეთის მიწა-წყალზე. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბიზანტიის იმპერია დაეცა თურქ-ოსმალთა დარტყმებისაგან და მათი კონსტანტინოპოლში შემოჭრის შემდეგ განადგურდა ბერძნული ძლიერების ეს უკანასკნელი დასაყრდენი, ბოსფორის ქალაქების ბერძნულმა მოსახლეობამ თავი ღუნაისპირა სამთავროებს შეაფარა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ისინი როგორც ვლახეთში, ასევე მოლდავეთში იპოვებენ დიდ გავლენას, იქნება ეს ვაჭრობის, პოლიტიკის თუ რელიგიის სფეროები. უკვე XIV საუკუნეში ბერძნები ღუნაისპირა სამთავროებში ქმნიან საკუთარ კოლონიებს, სახლდებიან ჯერ ზღვისპირეთში, ხოლო შემდგომში ქვეყნის შიგნით — სავაჭრო გზებზე განლაგებულ ქალაქებში. XV და XVI საუკუნეების რუმინულ დოკუმენტებში მრავალი ცნობა მოიპოვება ამის შესახებ. XVII საუკუნეში ბერძნები აწარმოებენ გაცხოველებულ ვაჭრობას პირუტყვით, თაფლით, ხე-ტყით, მარილით, ყოველივე ეს მათ გაჰქონდათ ვლახეთიდან და მოლდავეთიდან და ყიდიდნენ კონსტანტინოპოლში, ხოლო ამ ქალაქიდან გამოჰქონდათ უცხოური საქონელი. თანდათანობით და თითქმის შეუმჩნევლად ღუნაისპირა სამთავროებში მთელი ვაჭრობა ხელთ იგდეს ბერძნებმა.

ბერძნების გავლენა ვლახეთსა და მოლდავეთში იზრდებოდა პოლიტიკური მიზეზებითაც. თურქები, თავიანთ ურთიერთობისას დაპყრობილ ქრისტიან ხალხებთან, სარგებლობდნენ ბერძენი დრაგომანების (თარჯიმანების) სამსახურით. ეს უკანასკნელნი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მთავრების დანიშვნის საქმეში რუმინულ სამ-

⁴ История Румынии, под редакцией М. Р о л л е р а, 1950, გვ. 176.

⁵ „ყოვლად წმიდათა“ მონასტრის შესახებ, რომელიც ანთიმ ივერიელმა ააშენა ბუქარესტში 1715 წელს იხ. ამ წიგნის გვ. 149—153.

თავროებში⁶. თავის მხრივ, ახალი მთავრები იძულებული ხდებოდნენ მიეცათ ბერძნებისათვის სხვადასხვა თანამდებობები სამეფო კარზე. დროთა ვითარებაში ბერძნები უნათესავდებოდნენ ადგილობრივ ბოიართა ოჯახებს და ახლადშექმნილი ეს ოჯახები ადგილს იჭერდნენ ვლახელ თუ მოლდაველ დიდგვაროვანთა იერარქიაში. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ახალი ბოიარები ისაკუთრებდნენ იმ თანამდებობებს. რომლებიც ადრე მკვიდრ ბოიარებს ეკავათ.

რაც შეეხება ბერძნული ელემენტის შექრას რელიგიის სფეროში, ეს უნდა დავეუკავშიროთ პირველი ბერძენი მიტროპოლიტების ჩამოსვლას, რომლებიც გამოგზავნილ იქნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ ღუნაისპირა სამთავროებში. ბერძენთა გავლენა თანდათანობით თვალსაჩინო ხდება და განსაკუთრებით იზრდება მას შემდეგ, რაც ვლახეთისა და მოლდავეთის მონასტრებსა თუ ეკლესიებში მკვიდროდ მოიკიდეს ტყეხი ათონიდან და პალესტინიდან მოსულმა ბერძენმა ბერებმა. სწორედ ბერძენთა იმ გარემოებით, რომ ვლახელები და მოლდაველები ქრისტიანულ მართლმადიდებლურ რელიგიას აღიარებდნენ, ბერძნები ძალზე მოხერხებულად აძევებდნენ მონასტრებიდან და ეკლესიებიდან რუმინელ სასულიერო პირთ და მათ ბერძენი ბერებით და მღვდლებით ცვლიდნენ. ასე, ამრიგად, ღუნაისპირა სამთავროებში მთელი სასულიერო იერარქია ძირითადად ბერძენთაგან ჩამოყალიბდა. უკვე მიხეილ მამაციის მეფობის პერიოდში (1593—1601 წწ.) ვლახეთში საეკლესიო ტერმინოლოგია თითქმის მთლიანად ბერძნული სიტყვებისაგან შედგებოდა⁷. ვლახეთსა და მოლდავეთში ბერძნული ელემენტი უმთავრესად რელიგიის მეშვეობით იჭრებოდა, რომელიც იმ დროისათვის კულტურის გავრცელების მძლავრ ბერკეტს წარმოადგენდა. ბერძნული მონასტრები და ეკლესიები გადაიქცნენ იმ კერებად, სადაც ბერძნული ელემენტი ძალღონეს იკრებდა საზოგადოებაში შემდგომი გავრცელების მიზნით. ეს ასეც მოხდა. კერძო მასწავლებლები, რომლებიც ვლახელ და მოლდაველ ბოიარებს შეჰყავდათ ოჯახში შვილებისათვის განათლების მისაღებად, მონასტრებიდან გამოსული ბერძენი სასულიერო პირები იყვნენ. შედეგი ყოველივე ზემოთქმულისა ის იყო, რომ ბერძნულმა ენამ სავსებით განდევნა ძველი სლავური ენა ღუნაისპირა სამთავროების ეკლესიებიდან და მონასტრებიდან, სადაც ის გაბატონებული იყო თითქმის რვა საუკუნის მანძილზე.

კონსტანტინე ბრინკოვიანუს დროს ბოლომდე იქნა მიყვანილი ძველი სლავური სკოლების რეორგანიზაცია ბერძნულ სკოლებად. ბუ-

⁶ ამის შესახებ იხ. ამ წიგნის. გვ. 295—299.

⁷ Н. Боредки и Бергфельд, История Румынии, გვ. 99.

ქარესტში მხოლოდ ერთად-ერთი სკოლა დარჩა და ისიც იმ მოსაზრებით, რომ მოემზადებინა ძველ სლავურ ენაზე არსებული სასულიერო წიგნებისა და დოკუმენტების მთარგმნელები⁹. ხოლო რაც შეეხება ბერძნულ სკოლებს, კონსტანტინე ბრინკოვიანუ მათ ყოველ მხრივ უწყობს ხელს. 1689 წელს იგი ვლახეთში იწვევს და წმიდა საბას მონასტერში არსებულ ბერძნული სკოლის სათავეში აყენებს სევასტი კიმენიტს. სევასტი კიმენიტი წარმოშობით ტრაპეზუნდიდან იყო. სწავლა-განათლება მან იტალიის უნივერსიტეტში მიიღო. ვლახეთში ჩამოსვლამდე ხელმძღვანელობდა ბერძნულ სკოლას კონსტანტინოპოლში. კონსტანტინე ბრინკოვიანუ, რომელიც შესანიშნავი მცოდნე იყო ბერძნული ლიტერატურისა და კულტურის და თავის დროისათვის ერთ-ერთ ფრიად განათლებულ ადამიანად ითვლებოდა, მეტად აფასებდა განსწავლულ ხალხს. სევასტი კიმენიტს მან გასამრჩელოდ მეტად დიდი თანხა დაუნიშნა და ბოიარის წოდებაც კი მისცა¹⁰. ხოლო ბოიართა სხდომის დროს, მიუხედავად თავისი მცირე რანგისა (სევასტი კიმენიტს მხოლოდ სტოლნიკის წოდება ჰქონდა), მის უფლებაში იყო მჭდარიყო სხვა ბოიარებზე უფრო მაღლა¹⁰.

რაც შეეხება ბერძნულ სკოლას, რომელსაც სათავეში სევასტი კიმენიტი ედგა, კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიერ გამოცემული სიგელით ირკვევა, რომ მასში სწავლა მრავალმხრივ ხასიათს ატარებდა. აქ ისწავლებოდა ლოგიკა, რიტორიკა, ფსიქოლოგია, მეტაფიზიკა. მსმენელებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ სოფოკლეს, თუკიდიდეს. პლუტარქეს, დემოკრიტეს და სხვათა ნაწარმოებებს. გარდა ამისა ამ სკოლაში ასწავლიდნენ—ასტრონომიას, ფიზიკას, მათემატიკასა და თეოლოგიას¹¹. ერთ-ერთი თანამედროვე, რომელიც თავის მოგონებებში აღწერდა წმიდა საბას მონასტერში არსებულ სკოლას, აღნიშნავდა: „სრულებითაც არ იქნებოდა გასაკვირი, რომ ამ სკოლისათვის აკადემია ეწოდებინათ“¹², იმდენად კვალიფიციური და განსწავლული პედაგოგები ასწავლიდნენ ამ სკოლაში. რაც შეეხება მოსწავლეთა რიცხვს, ისინი 200-მდე ყოფილან¹³. კონსტანტინე ბრინკოვიანუს ბრძანებით სკოლის შენობის კედელზე შემდეგი წარწერა გაუკეთებიათ: მთავარმა „ააგო კიდევ სხვა შენობები, რომლებშიაც მოთავსებული იყო სკო-

⁹ C. Giurescu, Istoria romnilor, III, Buc., 1944, გვ. 183.

¹⁰ A. Xenopol, Istoria romnilor din Dacia Traiana, vol. VIII, Buc. გვ.

¹⁰ იქვე, გვ. 240

¹¹ D. Murarasu, Istoria literaturii romne, ed. III, Buc. გვ. 72.

¹² A. Xenopol, Istoria romnilor din Dacia Traiana, vol. VIII, Buc.

ლები წერა-კითხვის სასწავლებლად და მისი სახელის უკვდავსაყოფად¹⁴.

კონსტანტინე ბრინკოვიანუმ მის მიერ დაარსებული კულტურული დაწესებულებების მხარდაჭერის მიზნით „სპეციალური სიგელით გამოჰყო 30.000 ლქრო“¹⁵.

ვლახეთის მთავარმა თავის გარშემო შემოიკრიბა იმდროისათვის ისეთი განათლებული და თვალსაჩინო მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ: გიორგი მაიოტა¹⁶ — მას განათლება მიღებული ჰქონდა რომსა და ვენეციაში, ჯოვანი. აბრამი¹⁷ — ცნობილი მთარგმნელი, ანტონ მარია დელ კიარო¹⁸ — მრჩეველი ბრინკოვიანუს სამეფო კარზე დასავლეთის ქვეყნების კულტურისა და განათლების საქმეში. მიტროფანე გრიგორაში¹⁹ — ცნობილი მეისტორიე, იოანე კარიოფილი²⁰ — ფილოსოფოსი. დოსითეოსი²¹ — იერუსალიმის პატრიარქი, ქრიზანთე — იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსის შემდეგ, ათანასე²² — ანტიოქიის პატრიარქი, გერასიმე²³ — ალექსანდრიის პატრიარქი და სხვები²⁴.

კონსტანტინე ბრინკოვიანუ თავისი მეფობის პირველი წლებიდან-

¹⁴ A. Xenopol, Istoria rominilor din Dacia Traiana, vol. VIII, Buc. 243.

¹⁵ იქვე, გვ. 243.

¹⁶ N. Cartoian, Istoria literaturii romine vechi, III, Buc, 1945, გვ. 205

¹⁷ E. Hurmaraki, Documente, vol. XIX, p. r. IV, გვ. 685, იხ. აგრეთვე ამ წიგნის გვ. 310.

¹⁸ N. Iorga, Istoria literaturii romanesti, II, Buc. 1928, გვ. 46—47.

¹⁹ იქვე, გვ. 56—57.

²⁰ იხ. ამ წიგნის გვ. 65—67.

²¹ Сообщения Императорскаго православнаго палестинскаго общества 1908, т. XIX, გვ. 1—32.

²² D. Simonescu si E. Muracada, Tipar rominesc pentru arabi in secolul al XVIII-lea, Buc 1939, გვ. 2—5.

²³ D. Ionescu, Relatiile Tarilor romine cu Patriarhia de Alexandria, Buc. 1935, გვ. 26—33.

²⁴ დოსითეოსი, ქრიზანთე, ათანასე, გერასიმე — ეს არა მხოლოდ სახელებია მართლმადიდებლური ბერძნული ეკლესიის იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მყოფ სასულიერო პირთა, არამედ ს ახელების ზღაპრებელი ეკლესიის მცენერ ლიტერატორთა და კულტურულ მოღვაწეთა იმდროინდელ შესანიშნავ პლეადას. ჩვენ აქ დაწერილებით აღარ შევჩერდებით თვითეულ მათგანის დახატვაზე. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ XIX საუკუნის 40 წლებში რუსეთის გენერალური კონსული სირიასა და პალესტინაში კონსტანტინე ბაზილი შემდეგს წერდა: „მართლმადიდებლური ეკლესია არ გამოთიშვია წინაპართა მცენერულ მემკვიდრეობას. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეთა მანძილზე იტანდა ყოველგვარ გასაჭირს, მაშინ როდესაც პოლიტიკური ძვრები აღმოსავლეთის ყოველ კუთხეში ანგრევდნენ საპატრიარქო კათედრას, მცენერებამ მიაშურა ეკლესიას, რომელიც

ვე სახავს ფართო გეგმას ბექდვითი საქმიანობის გასანვითარებლად. რომელიც მიზნად ისახავდა არა მარტო ვლახეთის, არამედ. მთელი ქრისტიანული აღმოსავლეთის“ მომარაგებას წიგნებით. მაგრამ ასეთი ფართო გეგმის განხორციელება, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო იმ ერთადერთი სტამბის მეშვეობით, რომელიც ჭერ კიდევ კონსტანტინე ბრინკოვიანუს სამეფო ტახტზე ასვლამდე ათი წლით ადრე, 1678 წელს, დაარსებულ იყო ვლახეთში მიტროპოლიტ ვარლამის მიერ²⁴. ვლახეთში საფუძველი ეყრება და დროის სხვადასხვა მონაკვეთში ფუნქციონირებას იწყებს ოთხი კიდევ ახალი სტამბა, სადაც წიგნები იბეჭდება რუმინულ, ბერძნულ, ძველ სლავურ, არაბულ და თურქულ ენებზე²⁵. ბექდვითმა საქმიანობამ მთელს ქვეყანაში არნახული გაქანება ჰპოვა და იმდროისათვის უმაღლეს დონემდე იქნა აყვანილი. და ყოველივე ამის სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი და ამაგდარი იყო საქართველოდან გადმოხვეწილი ქართველი ოსტატი ანთიმ (ანდრია) ივერიელი, რომელსაც ჩვენ ვლახეთში დაახლოებით 1690 წლიდან ვხედავთ. „მთელი ბექდვითი საქმიანობა ვლახეთში — წერს ქსენოპოლი — დაკავშირებული იყო ერთადერთ სახელთან — მბეჭდავ ანთიმ ივერიელის სახელთან, რომელიც შემდეგ დანიშნეს სნაგოვოს მონასტრის წინამძღვრად. რიმნიკის ეპისკოპოსად და ბოლოს უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად. ანთიმ ივერიელის დაწინაურებამ სხვადასხვა საეკლესიო თანამდებობებზე ხელი კი არ შეუშალა მას და მიატოვებინა ადრინდელი საქმიანობა, არამედ, რაც უფრო მაღალ საფეხურზე აღიოდა ის სასულიერო იერარქიის კიბეზე, მით უფრო მეტი თავდადებით და გულმოდგინებით ეკიდებოდა წიგნების ბექდვის საქმეს“²⁶. როლეირის სიტყვებით: „კონსტანტინე ბრინკოვიანუს მხარდაჭერით ანთიმ ივერიელმა შესძლო გადაეჭტია ვლახეთი მართლმადიდებლობის ცენტრად, რომელიც მთელ ქრისტიანულ აღმოსავლეთს წიგნებით კვებავდა“²⁷. გასტერი კი ანთიმ

მის კანონზომიერ თავშესაფარს წარმოადგენდა. სწორედ ამ მწერალთა, მქალაქებელთა და განსწავლულ პატრიარქთა წრიდან მოგვცა იერუსალიმმა დოსითეოსი, ქრიზანთე და სხვ.; რომელთა ენციკლოპედიური ცოდნა უსაზღვრო გაოცებას იწვევს, თუ მხედველობაში მივიღებთ სლავრიებს იმ კერისა, სადაც დაეუფლენ ისინი მეცნიერებას“. К. Б а з и л и, Сирия и Палестина под турецким правительством, СПб, 1875, გვ 221—222.

²⁴ N. Serbanescu, Anlim Ivircanul tipograf, გვ. 693.

²⁵ ი. ნუნორმაცია ანთიმ ივერიელის მიერ ვლახეთში თურქული წიგნის დაბეჭდვის შესახებ. გააკეთა პროფ. ე. ჭურჯესკუმ 1945 წელს ბუქარესტში, ისტორიის ინსტიტუტში. G. B e z v i c o n i, Calatori rusi in Moldova si Muntenia, Buc: 1947, გვ. 92.

²⁶ A. Желопол, Istoria romnilor din Dacia Traiana, vol. VIII, გვ. 247.

²⁷ История Румынии, под редакцией М. Роллера, 1950, гв. 184.

ივერიელის ვლახეთში მოღვაწეობის შესახებ წერდა: „პირველყოვლისა მან დაუღალაჲ მუშაობა გაშალა სალიტერატურო ასპარეზზე და სადაც კი შესაძლებლობა გააჩნდა, სტამბებს აარსებდა. ამ სტამბებიდან გამოვიდა მრავალი წიგნი, დაბეჭდილი ყველა ზემოხსენებულ ენაზე; (რუმინულზე, ბერძნულზე, არაბულზე, ძველ სლავურზე — ო. გ.)... მაგრამ ანთიმი იყო არა მარტო სტამბების დამაარსებელი, იგი თვითონვე ამზადებდა შრიფტს და ქრიდა ნაბეჭდი წიგნების ორნამენტებსაც, რომლებიც მისთვის დამახასიათებელ ხელწერას ატარებენ. ანთიმი სხვებსაც ასწავლიდა წიგნების აწეობის ხელოვნებას და ამით, აიხსნება, რომ იმ დროს ბუქარესტი წიგნების ბეჭდვის ცენტრი გახდა აღმოსავლეთში“²⁸.

ჩვენ აქ დაწვრილებით აღარ შევჩერდებით იმ საკითხზე თუ რა გზით და გარემოებით აღმოჩნდა ანთიმ ივერიელი ვლახეთში, რადგან ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ამ წიგნში. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სამკვიდრო მოკლებულმა ქართველმა კაცმა შემთხვევით კი არ დაადგა ფეხი ვლახეთის მიწა-წყალზე, დაახლოებით 1690 წელს, არამედ, საგანგებოდ იქნა მიწვეული ვლახეთში კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიერ როგორც შესანიშნავი გრაფიკოსი, კალიგრაფი, მოქანდაკე, მხატვარი²⁹. ერთი სიტყვით, კონსტანტინე ბრინკოვიანუმ ვლახეთში მოიყვანა ოსტატი დაჯილდოებული მრავალმხრივი ნიჭით, რაც „საბოლოო ერთობლიობაში მას სწორუპოვარ მბეჭდავად ხდიდა“³⁰.

ანთიმ ივერიელის, როგორც მბეჭდავის მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები ვლახეთში დაკავშირებულია ბუქარესტში 1678 წელს დაარსებულ სტამბასთან. ანთიმ ივერიელის მოსვლამდე ამ სტამბას სათავეში ედგა მიტროფანე, შემდგომში გადაყვანილი ხუმის ეპისკოპოსად³¹. ბუქარესტის სტამბაში, მისი დაარსებიდან 13 წლის მანძილზე, 1691 წლამდე დაიბეჭდა 8 წიგნი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 1688 წელს გამოქვეყნებული ბიბლია „*Эту библію — წერს მ. როლერი, — переводил с преческого языка сначала спафарий Николой Милеску, затем перевод был возобновлен и завершен по приказу воеводы Шербана Кантакузино... Благодаря красоте стиля, выбору слов, понятных для всех румын, а также особенно тщательному типографическому оформлению, библия Шербана Канта-*

²⁸ Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes B. XI, Heft. 4.

²⁹ Del Chiaro ... გვ. 142; I. B. Adulescu, Mitropolitul Ungro-Vlahiei Antim Ivireanul (1708—1716), Buc. 1893, გვ. 16.

³⁰ Del Chiaro... გვ. 142.

³¹ G. Strempele, Antim Ivireanul, Predici, 1962, გვ. 10.

კუზინო пользовалась широким признанием и была распространена не только в Валахии и Молдавии, но и в Трансильвании»³².

ხოლო 1691 წელს ბუქარესტის სტამბაში გამოცემული წიგნით „66 თავი ბერძენთა თვითმპყრობელის ბასილი მაკედონელის შეგონებათა“³³, რომელსაც ხელს აწერს მბეჭდავი „ანთიმ მღვდელ-მონაზონა“ ელახეთში იწყება ახალი ხანა ბეკდელით საქმის განვითარებაში³⁴ და ამ ხანას ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვუწოდოთ ანთიმ ივერიელის ხანა რუმინელი ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ანთიმ ივერიელმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ელახეთში ბეკდელით საქმის ხელოვნებას, რომ კონსტანტინე ბრინკოვიანუს მეფობის პერიოდში იგი იყო წიგნების ბეჭდვის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი „და რომ ანთიმ ივერიელის ხელმძღვანელობით ამ „კეთილშობილმა საქმიანობამ არნახული გაქანება და წარმატება მოიპოვა“³⁵.

წიგნს „66 თავი ბერძენთა თვითმპყრობელობის ბასილი მაკედონელის შეგონებათა“ დართული აქვს აკროსტიხი. ეს წიგნი, მიძღვნილი იმპერატორ ბასილის მიერ თავისი საყვარელი მემკვიდრის ლეონისადმი. უბრწყინვალესი და უძლიერესი მთავრის კონსტანტინე ბრინ-

³² История Румынии, под редакцией М. Роллера, 1950, стр. 184.

³³ წიგნი „66 თავი ბერძენთა თვითმპყრობელის ბასილი მაკედონელის შეგონებათა“, დაიბეჭდა არა სწოფოვოში, როგორც ამას ვაჩუქდებენ (ეურ. „დროშა“, 1952, გვ. 16), არამედ ბუქარესტში.

³⁴ პირველი სტამბა ელახეთში დაარსებულ იქნა 1507 წელს ბერი მაკარის მიერ. თუ სად ამოქმედდა ეს სტამბა, არაა ცნობილი. გამოსთქვავენ ვარაუდს, რომ სტამბის ჩამოყალიბების ადგილარაჩვენ. უნდა ყოფილაყო, სადაც იმ დროს იმყოფებოდ ა ელახეთის მიტროპოლიტის რეზიდენცია. ცნობილია მხოლოდ, რომ ელახეთის პირველ სტამბაში დაიბეჭდა წიგნები შემდეგი ქრონოლოგიის მიხედვით: 1507 წელს, 1510 წელს, 1512 წელს და 1514 წელს. 1534 წლიდან 1561 წლამდე ელახეთში წიგნები იბეჭდება უკვე ტირგოვიმტეს სტამბაში, ხოლო ამ დროიდან დაწყებული თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში არავითარი ცნობა არ არის ელახეთში ბეკდელით საქმიანობის შესახებ. XVII საუკუნის პირველ ნახევარში ელახეთში კვლავ ამოქმედდა სტამბა, ამჟერად უკვე დელის მონასტერში (1634 — 1647 წწ.) თითქმის ერთდროულად საფუძველი ეყრება ორ ახალ სტამბას ჩიბულუნგისა და გოვორის მონასტრებში, სადაც წიგნები იბეჭდება 1635 — 1650 წლებში (ჩიბულუნგის მონასტერი) და 1632 — 1642 წლებში (გოვორის მონასტერი.) იმ ხანმოკლე პერიოდში, რომელიც მოიცავს 1652 — 1653 წლებს, ბეკდელით საქმიანობა ელახეთში ხორციელდება ტირგოვიმტეს სტამბის მეშვეობით. გამოდის წიგნები აგრეთვე ბუხარესტის სტამბაში. 1678 წელს კი ბუქარესტში ამოქმედებას იწყებს ახალი სტამბა, რომელშიაც ანთიმ ივერიელმა 1691 წელს დაიბეჭდა თავისი პირველი წიგნი. ანთიმ ივერიელამდე ბუქარესტის სტამბაში 1678—1690 წლების მანძილზე დაიბეჭდა ხუთი წიგნი.

³⁵ A. Xenopol, Istoria romnilor din Dacia Traiana, vol. VIII, Buc. gg. 243; V. Molin... გვ. 320; N. Iorga, Istoria literaturii romanesti, II, გვ. 467—468.

N. Dobrescu, Antim Ivreanul Mitropolitul Ungro-Vlahiei, 1910, გვ. 47.

კოვიანუს დავალებით თანამედროვე ბერძნულ ენაზე პირველად თარგმნა არქიმანდრიტმა ქრიზანთე ნოტრამ და 1691 წლის ოქტომბერში ბუქარესტში დაბეჭდა ანთიმ მღვდელ-მონაზონმა³⁶.

„66 თავი ბერძენთა თვითმპყრობელის ბასილი მაკედონელის შეგონებათა“ პირველი წყაროა, სადაც მოიხსენიება ანთიმ ივერიელის სახელი და რითაც დასტურდება მისი ყოფნა ვლახეთში.

წიგნი მოიცავს 104 გვერდს. სატიტულო ფურცელზე გამოსახულია ვლახეთის ღერბი. ღერბის ორივე მხარეზე მთავარ კონსტანტინე ბრინკოვიანუს ინიციალებია. შემდეგ მოსდევს ლექსები მიძღვნილი იმპერატორ ბასილისადმი და მისი მემკვდრე ლეონისადმი. შემდეგ გვერდებზე კი ორ სვეტად დაბეჭდილია იმპერატორ ბასილის რჩევების ტექსტი. მარცხენა სვეტში — ძველი ბერძნული ტექსტი, მარჯვენა სვეტში — თანამედროვე ბერძნული ტექსტი. რუმინელი მკვლევარის შერბინესკუს აზრით „66 თავი ბერძენთა თვითმპყრობლის ბასილი მაკედონელის შეგონებათა“ დაბეჭდვა იმით იყო გამოწვეული, რომ კონსტანტინე ბრინკოვიანუს არ ჰქონდა დაწერილი რჩევა-დარიგებანი თავისი შვილებისათვის, როგორც ეს ადრე გააკეთა ვლახეთის მთავარმა ნეგოე ბესარაბმა და ამიტომ დაავალა ანთიმ ივერიელს დაებეჭდა უკვე მზა ნაწარმოები, რათა იგი გამოეყენებინა თავისი შვილების აღსაზრდელად“³⁷.

ამრიგად, 1691 წელს დაბეჭდილი წიგნით, „66 თავი ბერძენთა თვითმპყრობელის ბასილი მაკედონელის შეგონებათა“, იწყება ანთიმ ივერიელის, როგორც მბეჭდავის მოღვაწეობა ვლახეთში და დასაბამი ეძლევა ბეჭდვითი საქმის აღორძინებას მთელს ქვეყანაში. თუ ეს პირველი წიგნი აღმზრდლობითი დანიშნულებისა იყო, ანთიმ ივერიელის მიერ შემდგომში გამოქვეყნებული წიგნები სხვადასხვა ხასიათს ატარებდა. სკოლების საჭიროებისათვის იბეჭდება წიგნები მეცნიერების სხვადასხვა დარგებში: ისტორიაში, ლიტერატურაში, ფილოსოფიაში; ეკლესიისათვის — საღვთისმეტყველო წიგნები; ხოლო ხალხში ინტერესი და სიყვარული რომ გაეძლიერებინა კითხვისადმი, ანთიმ ივერიელი ბეჭდავს ფანტასტიკურ რომანს ალექსანდრე მაკედონელის შესახებ — „ალექსანდრიას“ და სხვ.

თუ როგორ უყურებდა ანთიმ ივერიელი მესტამბის მოვალეობას და ბეჭდვითი საქმიანობას და, საერთოდ, რა დანიშნულებას ანიჭებდა მათ, ეს კარგად ჩანს მისი სიტყვებიდან. „...ვბრძანებ, — წერდა ანთიმ ივერიელი — რომ მესტამბე ვალდებულია შეასწავლოს თავისი ხელო-

³⁶ Biserica Ortodoxa Romîna, № 8—9, 1956, გვ. 701.

³⁷ N. Serbanescu, Antim Ivireanul tipograf. გვ. 701.

ბა სხვას, რადგან არ მოიშალოს და გაჰქრეს ეს ხელოვნება, და რომ არ შეწყდეს მუშაობა წიგნების ბეჭდვაზე ამა ქვეყნის საკეთილდღეოდ³⁸. აღებული ჰქონდა რა თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დევიზად აქ მოყვანილი სიტყვები, ანთიმ ივერიელმა, როგორც ბუქარესტში, ისე შემდეგ სნაგოვოში, რიმნიკში, ტირგოვიშტეში აღზარდა და დაოსტატა საუკეთესო მესტამბედ მრავალი ვლახელი მოწაფე. დელ კიარო აღნიშნავდა, რომ იმ პერიოდში ვლახეთში მუშაობდა მრავალი დახელოვნებული ვლახელი ოსტატი, რომლებიც მესტამბეობას ანთიმ ივერიელის წყალობით იყვნენ დაუფლებულნი³⁹.

მეოთხედი საუკუნეზე მეტი ანთიმ ივერიელი დაუღალავად და გატაცებით ემსახურებოდა „ამ კეთილშობილ ხელოვნებას“. ანთიმს — „ყველა ხელოვნებათა ოსტატს“⁴⁰, არ დაუზოგავს „არც ხელები და არც თავისი ბრწყინვალე ნიჭი“⁴¹, რათა განსაკუთრებული წვლილი შეეტანა ძველი რუმინული ლიტერატურის განვითარების საქმეში და გაემდიდრებინა ის სხვადასხვა მოცულობისა და შინაარსის რამდენიმე ათეული წიგნით.

ამ წიგნების გამოცემის მთავარ მიზნად ანთიმ ივერიელი თვლიდა ადამიანისათვის — „მოყვასისათვის“ დახმარების გაწევას. ერთ-ერთი წიგნის წინასიტყვაობაში იგი წერდა: „რადგან მბეჭდავის ხელობის გარდა მე არ გამაჩნია სხვა ძალა დახმარება აღმოუჩინო მოყვასს, ამიტომაც მე უარს არ ვამბობ და არც არასოდეს ვიტყვი უარს იმაზე, რომ ჩემი შესაძლებლობის მიხედვით სარგებლობა მოუტანო ჩემს ძმებს — ე. ი. ვბეჭდო წიგნები...“⁴² და შემდეგ: „...მოყვასისადმი ზრუნვა და საყვარული მაშინ იქნება ჰეშმარითი, თუ ჩვენ ერთმანეთს დავეხმარებით შესაძლებლობისდაგვარად კეთილი საქმით, რომელიც სასარგებლო იქნება როგორც ზორცისა, ასევე სულისათვის განსაკუთრებით...“⁴³.

და ამ „კეთილი საქმის“ ერთ-ერთ წყაროდ, რომელიც „სალ გონებასა და კეთილ სულს“ შემატებდა ადამიანს, ანთიმ ივერიელი ყოველთვის თვლიდა ბეჭდვით საქმიანობას.

რაც შეეხება ანთიმ ივერიელის მიერ დაბეჭდილი წიგნების ტექნიკურ მხარეს, შერბინესკუ მას ასეთ შეფასებას აძლევს. „უნდა განსაკუთრებით აღინიშნოს — წერს მკვლევარი — რომ ანთიმ ივერიელის

³⁸ Academia R.P.R., manuscrisul romtnesc nr. 3342.

³⁹ Del Chiaro... გვ. 29.

⁴⁰ N. Serbanescu, Antim Ivireanul tipograf, გვ. 698.

⁴¹ იქვე გვ. 700.

⁴² D. Murarasu, Istoria literaturii romine ed. III, Buc. გვ. 73.

⁴³ N. Dobrescu, Antim Ivireanul Mitropolitul Ungro—Vlahiei, 1910,

მიერ დაბეჭდილი წიგნები ტექნიკურად ბრწყინვალედ არის შესრულებული და თამამად შეიძლება დაეყენოთ იმდროინდელ დასავლეთ ევროპის ქვეყნების სტამბებში დაბეჭდილ საუკეთესო ნაშრომების გვერდით. შრიფტი მკაფიო და დახვეწილი, სტრიქონები სწორი, საღებავი ერთი ტონის, წიგნების დასათაურება შესანიშნავი მოკაზმულობით არის შემოფარგლული. ტექსტის თავსამკავეები და ბოლოსამკავეები დიდი გეგმონებითაა შესრულებული. წმიდანთა რამდენიმე გამოსახულება დაბეჭდილი ამ წიგნში, სანიმუშოდ შეიძლება გამოდგეს თვით საუკეთესო მხატვრებისათვის“⁴⁴.

1691 წელს წიგნის, „66 თავი ბერძენთა თვითმპყრობელის ბასილი მაკედონელის შეგონებათა“, გამოცემის ერთი წლის შემდეგ, 1692 წელს, ანთიმ ივერიელი ბუქარესტის სტამბაში ბეჭდავს წიგნს „ღვთისმსახურება ახალი მონასტრის წმიდისა დედის ჩვენისა პარასკევასი და წმიდისა მამის ჩვენისა გრიგორი დეკაპოლიტისა“. ეს წიგნი, რომელიც ბერძნულ ენაზეა დაბეჭდილი და მოიცავს 128 გვერდს, იმით არის აღსანიშნავი, რომ მასში ჩვენ პირველად ვხვდებით ანთიმის სახელის გვერდით მისი სამშობლოს საქართველოს — „ივერიის“ სახელწოდებას. აქედან დაწყებული ანთიმი უკვე აღარასოდეს აშორებს თავის სახელს „ივერიელს“ და ყველა წიგნს, იქნება ის რუმინულ, ბერძნულ, ანუ სლავურ თუ არაბულ ენებზე დაბეჭდილი, აწერს ხელს: „ანთიმ ივერიელი“.

1693 წელს ბუქარესტში გამოდის ანთიმ ივერიელის მიერ ორ ენაზე, ბერძნულსა და რუმინულზე დაბეჭდილი „ღვთაებრივი და წმიდა სახარება“, რომელიც შედგება 382 გვერდისაგან. წიგნის დასახელება დაბეჭდილი ორ ენაზე, ორ ფერში, ორ რიგად და ერთიმეორისაგან გამოყოფილი ორნამენტით. წიგნში აგრეთვე დაბეჭდილია ელახეთის სამთავეროს ღერბი. „ანთიმ ივერიელმა, ამ კეშმარიტად სწორუპოვარმა ხელოვანმა, შეამკო მთელი „სახარება“ საუცხოვო ორნამენტებით“⁴⁵. ტექსტი დაბეჭდილია ორ ფერში, წითელსა — ბერძნული ტექსტი და შავში — რუმინული ტექსტი.

რაც შეეხება „ღვთაებრივი და წმიდა სახარების“ გამოცემას ბერძნულ და რუმინულ ენებზე, ამით ანთიმ ივერიელი გარკვეულ მიზანს ისახავდა. ეს მიზანი შემდეგში გამოიხატებოდა: გაქარწყლებულიყო ის ჰცდარი შეხედულება, თითქოს რუმინული ენის სიღარიბის გამო შეუძლებელი ღებოდა ბერძნული „სახარების“ ტექსტის ზუსტი გადმო-

⁴⁴ N. Serbanescu, Antim Ivireanul tipograf, გვ. 700—701.

⁴⁵ Ghenadie, Episcopul Rimnicului, Evanghehiile, Studii istorico literaire, Buc 1895, გვ. 25—49.

ემა. გარდა ამისა, რომ ყველას საშუალება მისცემოდა ბერძნული და რუმინული ტექსტების შედარების საფუძველზე დარწმუნებულყო მათ იდენტურობაში და საერთოდ კიდევ ერთხელ დადასტურებულყო ის ფაქტი, რომ რუმინულ ენას ძალუძს თავისი სიმდიდრისა და გამომსახველობის წყალობით მთელი სიზუსტითა და ნიუანსებით ასახოს ბერძნულ ენაზე დაბეჭდილი ტექსტი.

ცხადია, რუმინული ლიტერატურული ენის განვითარება მკვიდროდ იყო დაკავშირებული ვლახეთში, მოლდავეთსა და ტრანსილვანიაში (ქვეყნები, სადაც რუმინულ ენაზე ლაპარაკობდნენ) არსებულ ნაბეჭდ პროდუქციასთან. თვითეთლი ახალი წიგნის გამოცემას რუმინულ ენაზე თან სდევდა ამ ენის სრულყოფა, დახვეწა და ჩამოყალიბება. XVI საუკუნის 60-იან წლებში დიაკვანმა და მბეჭდავმა კორესიმ პირველმა დააყენა საკითხი ეკლესიებში რუმინული ენის შემოღების შესახებ. მის მიერ რუმინულ ენაზე შესრულებულ სასულიერო წიგნების დაბეჭდვამ „საფუძველი ჩაუყარეს ჩვენს ლიტერატურულ ენას“ — წერს რუმინული მკვლევარი როსეტი. 1648 წელს სიმეონ შტეფანმა რუმინულ ენაზე გამოსცა „ახალი აღთქმა“, რომლის წინასიტყვაობაში იგი გამოთქვამდა თვალსაზრისს, რომ უკვე მომწიფებული იყო ყველა პირობა ერთიანი რუმინული ენის შესაქმნელად. მიუხედავად ამისა, მან მაინც ვერ შესძლო შეექმნა ისეთი ტექსტი, რომელიც მისაწვდომი იქნებოდა მკითხველთა ფართო მასებისათვის. იგი აღიარებდა: „შესაძლებლობისდაგვარად ჩვენ ვცდილობდით გვეწერა ისე, რომ დაწერილი ყველას გაეგო. თუ ის გასაგები არ იქნება ყველასათვის, ეს უკვე ჩვენი ბრალი აღარაა, ამის მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ რუმინელები მიმოფანტნენ სხვადასხვა ქვეყნებში, აურიეს თავიანთი სიტყვები უცხო ენებში და ისინი სულ სხვადასხვაგვარად ლაპარაკობენ“⁴⁶.

რუმინული ლიტერატურული ენის განვითარების საქმეში დიდად ამსახურება მიუძღვით ვარლამსა და დოსითეოსს, რომლებიც მოღვაწეობდნენ მოლდავეთში XVII საუკუნის მეორე ნახევარში. დოსითეოსმა თარგმნა და გამოსცა რუმინულ ენაზე „ლიტურგია“, „დავითნი“, „წმიდანთა ცხოვრება“. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ თარგმანების სტილისა და ენის მიხედვით, დოსითეოსი მთლიანად დაზღვეული არ იყო იმ ენის გავლენისაგან, რომლიდანაც თარგმანი ხორციელდებოდა იქნებოდა ის ბერძნული, ლათინური, საეკლესიო სლავური თუ პოლონური. ეს გავლენა ვლინდებოდა წინადადებათა წყობაში, ლექსიკურ შენაცვლებაში და სხვ.⁴⁷

⁴⁶ Ф. Джинджихашвили. Антимоз Ивернели, 1967, стр. 51—52.

⁴⁷ იქვე, გვ. 50—51.

1688 წელს ბერძნულ ენიდან რუმინულ ენაზე ითარგმნა „ბი-
ბლია“. ამ წიგნის გამოცემა იყო შემდგომი ახალი ეტაპი რუმინული
სალიტერატურო ენის განვითარების საქმეში, თუმცა, მასში ჯერ კიდევ
მრავლად იყო ხარვეზები რუმინული მკითხველისათვის ტექსტის გა-
გების თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ რუმინული სალიტერატურო ენის ჩამოყა-
ლიბებისა და დახვეწის პროცესი სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა,
თვით რამდენიმე წლით ადრე ანთიმ ივერიელის ვლახეთში მოღვაწეო-
ბის დაწყებამდეც კი რუმინული ენა მაინც ითვლებოდა „ღარიბად“ და
„ჩამოუყალიბებლად“; რათა მისი მეშვეობით გადმოცემულიყო საეკლე-
სიო წიგნების ტექსტები მთელი სიზუსტითა და სილამაზით. მაგალი-
თად, თვით ვლახეთის მიტროპოლიტი თეოდოსე, რომელიც შემდეგ შე-
სცვალა ანთიმ ივერიელმა, წერდა⁴⁸: „მთელი ლიტერატურის გადმოტა-
ნა ჩვენს ენაზე, მისი შეცვლა მე ვერ შევძელი და ვერც გავებდე: სი-
მართლე რომ ითქვას, ერთ-ერთი იმ მრავალ მიზეზთაგანი, რომელმაც
მე თავი შემაკავებინა ამ განზრახვისაგან, იმაში გამოიხატებოდა, რომ
ჩვენი ენა არასაკმარისადაა განვითარებული. მე კი მტერი არ ვარ ჩემი
ხალხისა და არც მსურს, რომ ხალხისთვის გაუგებარი იყოს რა არის
„სერობა“ და რას წარმოადგენს იგი. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ
ასეთი რამ ჩვენი ეკლესიისათვის უჩვეულოა. დღემდე ამგვარი თარგმა-
ნები არ გავაჩნდა“⁴⁹.

ასეთი იყო საერთო შეხედულება რუმინულ ენაზე, როდესაც ან-
თიმ ივერიელმა 1693 წ. ბერძნულ-რუმინული „სახარების“ გამოცემით
დაანახა ყველას, რომ რუმინულ ენას ძალუძდა მთელი სიზუსტით,
ნოჟანსებით და სიღრმით გადმოეცა უცხოურ ენაზე შესრულებული
ტექსტი⁵⁰. „ანთიმ ივერიელმა ცხადყო, — წერს ნ. დობრესკუ, — რომ

⁴⁸ საყურადღებოა, რომ მიტროპოლიტი თეოდოსე ეინზე უწიგნური ან კოსმოპოლი-
ტი ლეთისსახური კი არ იყო, არამედ მას საყოველთაოდ ჰქონდა მოხვეჭილი სახელი, რო-
გორც თავისი დროის ერთ-ერთ უვანათლებულეს ადამიანს, და რომელსაც „რუმინელები
უნდა უმაღლოდნენ მათი ეროვნული ენის ხმარებას ლიტურგიაში“. E. Picot...
გვ. 518.

⁴⁹ I. B i a n u, N. H o d o s, Bibliografia Romîneasca Veche, 1508—1830,
t. I, (1508—1716) Buc. 1903, გვ. 234.

⁵⁰ N. I o r g a, Istoria literaturii romanesti, II, გვ. 83. ჩვენ აქ აღარ შეიჩერდებო-
ბით ანთიმ ივერიელზე, როგორც მწერალსა, განმანათლებელსა, რუმინული ენის რეფორ-
მატორზე, რადგან ამ საკითხების განხილვა ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს. აქ
მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ანთიმ ივერიელს უდიდესი დეაწლი მიუძღვის რუმინული
კულტურის განვითარების საქმეში, რადგან მან შესწოლ დაეზღვია რუმინული ენა ყო-
ველგვარი უცხოური დამახინჩებისაგან, გაეწმინდა იგი უცხოური სიტყვებისა და გამოთ-
ქმებისაგან, დაეცვა ენის სიწმინდე, დაეახლოვებინა იგი სალაპარაკო, ხალხური ენისადა.

რუმინულ ენას თავმად შეუძლია დაიკავოს ადგილი იმ ენის გვერდით. რომელზედაც ორიგინალში დაწერილია სახარება“⁵¹.

„1693 წელს ბერძნულ-რუმინულ ენაზე იბეჭდება შესანიშნავი „სახარება“, — დასძენს ნ. იორგა — რომელიც ნათლად ლაპარაკობს უცხოეთიდან მოსული ადამიანის ფიქრებზე და აზრებზე“⁵².

ანთიმ ივერიელის ეს „ფიქრები და აზრები“, შეიძლება ითქვას. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯთაგანი იყო იმ დიდ სარბიელზე, რომელმაც მას ვლახელი ხალხის ქეშმარიტი პატრიოტის სახელი დაუმკვიდრა. ყველა მღვდელმთავართ შორის, — წერს ვ. პიკო — რომელთაც ვლახეთის სამიტროპოლიტო ტახტი სჭერიათ, არავინ არის ისეთი, რომელსაც შთამომავლობის თვალში ესოდენ დიდი ღვაწლი მიუძღოდეს, როგორც ანთიმ ივერიელს. მისი ცოდნა, მისი გემოვნება ხელოვანისა, მისი ღრმა სიყვარული წიგნებისადმი საკმარისი იქნებოდა, რომ იგი უბადლოდ მიგვაჩნია, მაგრამ მას მეტი აქვს გაკეთებული. მან, უცხოელმა, საქართველოს წიაღიდან მოსულმა, გვიჩვენა იშვიათი მაგალითი რუმინული პატრიოტიზმისა“⁵³.

რასაკვირველია, ჩვენ სრულებითაც არ გვინდა ისე გაგვიგოს მკითხველმა, რომ მხოლოდ რუმინული ენის ინტერესების დაცვაში გამოიხატებოდა ანთიმ ივერიელის პატრიოტიზმი. განსაკუთრებულ კვლევის საგანს წარმოადგენს ამ საოცრად მრავალმხრივი მოღვაწის, თავისი დროის დიდი მწერლის, განმანათლებლის, ჰუმანისტისა და ხელოვანის პოლიტიკური საქმიანობა, კერძოდ კი მისი თავდადებული ბრძოლა, თურქთა და ფანარიოტთა ბატონობისაგან ვლახეთის გასანთავისუფლებლად⁵⁴.

1694 წელს ანთიმ ივერიელი ბეჭდავს თავის პირველ წიგნს რუმინულ ენაზე ეს წიგნი — „დავითნია“, რომელიც მოიცავს 279 გვერდს. ამ წიგნის გამოცემა უკვე წარმოადგენს შემდგომ ეტაპს ვლახეთის კულტურული ცხოვრების იმ დიდ მოძრაობაში, რომელსაც აღნიშნულ პერიოდში სათავეში ჩაუდგა ანთიმ ივერიელი და რომელიც მიზნად

ვის და გასაგები გაეხადა ფართო მასებისათვის. Melhisedec, Episcopul, Didachiele sau predicele Mitropolitului Antim Ivireanul, t. II, nr. «Analele Academiei Romane», Seria II, t. X, Buc. 1889.

⁵¹ N. Dobrescu, Antim Ivireanul Mitropolitul Ungro-Vlahiei, 1910, გვ. 59.

⁵² N. Iorga, Istoria Bisericii romanesti, ed. II, Buc 1930, გვ. 11.

⁵³ E. Picot... გვ. 515.

⁵⁴ იხ. ამავე წიგნში გამოქვეყნებული თავები: „პეტრე პირველის პრუტოლასქრობა და ანთიმ ივერიელი“ და „ფანარიოტები ვლახეთში. ანთიმ ივერიელის ბრძოლა ფანარიოტთა ბატონობის წინააღმდეგ“.

გსახავდა ბრძოლას ბერძნული ენის ჰეგემონიის წინააღმდეგ ეკლესი-
ებსა და მონასტრებში. ამ მოძრაობის ლოგიკური შედეგი კი იყო ის-
ტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენა: რუმინული ენა იქცა ოფი-
ციალურ ენად, როგორც ეკლესიებში, ასევე სახელმწიფო დაწესებუ-
ლებებში. ბერძნული ენა, რომელიც ბატონობდა ვლახეთის ეკლესიებ-
ში, არ ესმოდა ვლახელ უბრალო ადამიანს. იგი მექანიკურად ამბობდა
წირვა-ლოცვას იმ ენაზე, რომელიც მისთვის უცხო და გაუგებარი იყო.
უფრო მეტიც. ბერძნული ენა უცხო და გაუგებარი იყო არა მარტო
მოსახლეობის ფართო მასებისათვის, არამედ იმ მცირეოდენ ვლახელ
სასულიერო პირთათვისაც, რომლებიც ბერძენ მღვდლებთან ერთად
წირავდნენ ეკლესიებში. ვლახელი ადამიანი კანონიერად მოითხოვდა,
რომ ღვთისმსახურება მის მშობლიურ მიწა-წყალზე წარმოებულყო
მის მშობლიურ-რუმინულ ენაზე და არა სხვა რომელიმე მისთვის
უცხო ენაზე⁵⁵.

— 1694 წელს მთავრდება ანთიმ ივერიელის მოღვაწეობა ბუქარესტის
სტამბაში. ამავე წელს იგი ტოვებს ბუქარესტს და გადადის სნაგო-
ვოს მონასტერში, რომელიც აშენებულია სნაგოვოს ტბაში მდებარე
თვალწარმტაც კუნძულზე, ბუქარესტიდან 34 კილომეტრის დაშორე-
ბით. ზუსტად არაა ცნობილი თუ სად და როდის დაინიშნა ანთიმ ივე-
რიელი სნაგოვოს მონასტრის წინამძღვრად: ჭერ კიდევ ბუქარესტში,
სნაგოვოში ჩასვლამდე თუ ჩასვლის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში არ-
სებულნი დოკუმენტები გვაძეცობენ, რომ ანთიმ ივერიელი 1696 წელს
სათავეში უდგას სნაგოვოს მონასტერს⁵⁶. უმრავლესობა ამ საბუთებისა
დაწერილია თვით ანთიმ ივერიელის ხელით⁵⁷. მათ შორის საყურად-
ღებოა კ. ერბიჩიანუს მიერ გამოვლენილი ერთ-ერთი საბუთი, რომე-
ლიც ცხადყოფს თუ რაოდენ მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჭილდოე-
ბული ანთიმ ივერიელი. ეს საბუთია, წერს კ. ერბიჩიანუ, „რაპოიას მა-
ნულის დაგეგმვისა და აზომვის ჩანახაზი, შესრულებული თვით ანთიმ
ივერიელის მიერ და დათარიღებული 1696 წლით, საიდანაც ჩანს, რომ
ანთიმ ივერიელი სნაგოვოს მონასტრის წინამძღვარი ყოფილა და მას გა-
ნუზრახავს თავისივე ხელით მონასტრის რამდენიმე მამულის აზომ-
ვა და მათი გეგმის შედგენა; ყოველივე ეს მაჩვენებელია იმისა, რომ
ანთიმ ივერიელი საინჟინერო საქმეშიაც კარგად ერკვეოდა. ასე, მაგა-
ლითად, ჩვენ ვნახეთ ურსოიასა და ვალია კელუგერულუსის მხრიდან

⁵⁵ იხ. ამ წიგნის გვ. 33.

⁵⁶ C. Erbicéanu, Descrierea manuscriptelor Mitropolitului Antim Ivi-
reanul, იხ. Biserica Ortodoxa Romîna, anul XI, № 12, გვ. 1029.

⁵⁷ იქვე.

სასაზღვრო პუნქტირებით გამოყოფილი ნეგორანის მამულის გეგმა, რომელიც შესრულებულია ანთიმ ივერიელის მიერ. გეგმას სამ ადგილზე ხელს აწერს თვით ანთიმ ივერიელი⁵⁸. ანთიმ ივერიელმა დიდი შრომა გასწია მონასტრის კეთილმოწყობაზე და განაახლა თითქმის მთლად დანგრეული შენობები.

ანთიმ ივერიელი სნაგოვის მონასტერში საფუძველს უყრის ახალ სტამბას და ფართოდ შლის ბეჭდვით საქმიანობას. „სნაგოვო იწყებს ცხოვრებას ახალი ცხოვრებით და თანდათანობით იგი გადაიქცა წიგნების ბეჭდვის ცენტრად მთელს ვლახეთში“⁵⁹ — წერს ნ. შერბინესკუ.

1696 წელს 6 თებერვალს სნაგოვოს მონასტრის სტამბაში გამოდის „ღვთისმსახურების წესი 21 მაისს, დღესა წმიდანთა განდიდებისა“. წიგნი, რომელიც დაბეჭდილია ორ ენაზე: რუმინულსა და ძველ სლავურზე, მოიცავს 115 გვერდს. მას ხელს აწერს იპოდიაკონი მიხაილ. ეს იპოდიაკონი მიხაილ შემდგომში ცნობილი პირველი ქართული სტამბის გამმართველი მიხაილ იშტვანოვიჩია, რომელიც თავის მხრივ სნაგოვოს მონასტერში პირველად ბეჭდავს წიგნს ანთიმ ივერიელის უშუალო ხელმძღვანელობით. სათანადო საბუთების უქონლობის გამო ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად ვთქვათ, თუ როდის აიყვანა ანთიმ ივერიელმა მოწაფედ მიხაილ იშტვანოვიჩი (შესაძლოა ეს მოხდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ანთიმ ივერიელი ბუქარესტის სტამბაში მოღვაწეობდა). მაგრამ, ჩანს, 1696 წლისათვის ანთიმ ივერიელი იმდენად ახლოს იცნობს მიხაილს და თვლის მას საკმაოდ გაწაფულ ოსტატად მესტამბის საქმიანობაში, რომ წიგნის დამოუკიდებელ ბეჭდვასაც კი ანდობს. წინასიტყვაობაში, რომელიც „ღვთისმსახურების წესს“ აქვს დართული, მიხაილ იშტვანოვიჩი წერს, რომ ეს წიგნი „პირველი ნაყოფი და მოსავალია მესტამბეობას ახლად დაუფლებულ ოსტატისა“ და რომ „ღმერთმა მე მარჯუნა ეს წყალობა თავისი სიყვარულისა და პატივისცემის გამო, რომელიც მას აქვს უპატიოსნესი ჩემი მამისა და მასწავლებლის და უმოწყალესი ღვთისმსახურის ანთიმ ივერიელის მიმართ“⁶⁰.

1697 წლის იანვარში ანთიმ ივერიელი ბერძნულ ენაზე ბეჭდავს „ანთოლოგიონს“, რომელიც მოიცავს 1217 გვერდს. ხოლო იმავე წელს სნაგოვოს მონასტრის სტამბაში გამოდის „სახარება“ რუმინულ ენაზე, რომელსაც ანთიმ ივერიელი პირველად აწერს ხელს რუმინულად. წიგნი მოიცავს 186 გვერდს. 1697 წელს სნაგოვოს მონასტერში გამოუც-

⁵⁸ C. Erbicéanu, Descrierea manuscriptelor Mitropolitului Antim Ivi-reanu!, გვ. 1028.

⁵⁹ N. Serbanescu, Istoria Mănăstirii Snagov, București, 1944, გვ. 66.

⁶⁰ Biserica Ortodoxa Romîna, № 8—9, 1956, გვ. 706.

მულ „სახარებაში“ მოთავსებული მოციქულთა გამოსახულებანი და ორნამენტები ილენტურია 1693 წელს ანთიმ ივერიელის მიერ დაბეჭდილ ბერძნულ-რუმინული ბიბლიის გაფორმებისა. „სახარების“ მე-180 გვერდზე ჩვენ ვკითხულობთ ანთიმ ივერიელის მინაწერს. იგი შენდობას თხოვს მკითხველს დაშვებული შეცდომებისათვის, „რადგან ისევე როგორც ადამიანი არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან, ასევე მბეჭდავს არ ძალუძს გვერდი აუაროს შეცდომების დაშვებას“⁶¹. შემდეგ დაბეჭდილია ლექსი რუმინულ ენაზე, რომელიც სიტყვასიტყვით აქვს ასახული მიხაილ იშტვანოვიჩს 1710 წელს თბილისში გამოცემულ „კონდაკში“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს ექვს სტრიქონიანი რუმინული ლექსი ქართული ასოებით აქვს გადმოცემული. მოგვყავს სიტყვა-სიტყვითი თარგმანი: „ისევე, როგორც სხვა მხარეში დიდხანს მყოფ უცხოელს სურს თავისი სამშობლოს ხილვა და ვითარცა ქარიშხლისაგან დატანჯულნი ღმერთს ემუდარებიან მყუდროებას, ასევე მბეჭდავს სურს და ახარებს თავისი წიგნის დამთავრება“⁶².

ამავე წელს სნაგოვოს მონასტრის სტამბაში ანთიმ ივერიელი ბეჭდავს ბერძნულ ენაზე ორ წიგნს: „სახელმძღვანელო ზოგიერთ გაუგებრობათა და ხსნათა შესახებ“ 50 გვერდის მოცულობით და „შესხმა ღმრთივეგვირგვინოსანი მეფისა და მოციქულთა სწორის დიდი კონსტანტინესი“, 20 გვერდის მოცულობით⁶³.

1697 წელს ანთიმ ივერიელის მიერ სნაგოვოს მონასტერში გამოცემული მეოთხე წიგნია „სლავეური გრამატიკა“⁶⁴. ამ წიგნის სატიტულო ფურცლის მოკაზმულობანი შესრულებულია ანთიმ ივერიელის ხელით. მასვე ეკუთვნის ამ წიგნში მოთავსებული წინასიტყვაობა და ლექსი სლავეურ ენაზე.

როგორც ვხედავთ, მხოლოდ ერთი წლის მანძილზე, სნაგოვოს მონასტრის სტამბაში იბეჭდება 4 წიგნი სხვადასხვა ენაზე, რაც ცხადად მოწმობს იმ ინტენსიურ მუშაობას ბეჭდვითი საქმის დარგში, რომელიც გაჩაღებული იყო სნაგოვოს სტამბაში ანთიმ ივერიელის ხელმძღვანელობით. მაგრამ მომავალ 1698 წელს ამ სტამბაში არ დაბეჭდილა არც ერთი წიგნი. სათანადო საბუთების უქონლობის გამო ჩვენ არ გვაქვს საშუალება მოვიყვანოთ კონკრეტული მიზეზი ბეჭდვითი საქმიანობის შეწყვეტისა დასახელებულ წელს. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს გამოწვეული იყოს ანთიმ ივერიელის ავადმყოფობით. მაგრამ ეს მხოლოდ

⁶¹ Biserica Ortodoxa Romîna, № 8—9, 1956, გვ. 709.

⁶² იქვე.

⁶³ იქვე, გვ. 709—710.

⁶⁴ იხ. ამ წიგნის გვ. 50.

ჯარაუღია. 1698 წელსვე სნაგოვოს მონასტრის სტამბას ტოვებს ანთიმ ივერიელის საუკეთესო მოწაფე მიხაილ იშტვანოვიჩი. კონსტანტინე ბრინკოვიანუს დავალებით იგი მიემგზავრება ტრანსილვანიაში.

1699 წელს ანთიმ ივერიელი ბექდავს ბერძნულ ენაზე წიგნს „*ორთოდოქსალური აღსარება... წინასწარი გადმოცემა სამი უდიდესი სიკეთის შესახებ*“ (374 გვერდის მოცულობით). ამ წიგნს დართული აქვს კონსტანტინე ბრინკოვიანუსადმი მიძღვნილი წინასიტყვაობა, შედგენილი იმდროინდელი ცნობილი მეცნიერის, სევასტი კიმენეტის მიერ. მასში ნათქვამია: „ადრე თავს იქებდა დასავლეთი თავისი განსწავლულობით და წიგნების ბექდვით. დღეს კი, ქრისტიანთ ელირსათ ბედნიერება, როგორც განათლების, ასევე სტამბების მოპოვების მხრივ და ეს არის შედეგი შენი მოწადინებისა და ზრუნვისა. დიდო კონსტანტინე, გამგებელო ვლახეთისა! იცოცხლე დიდხანს, ჩვენი დღეების პტოლომეოსო, ღირსო ზეციური გვირგვინებისა“⁶⁵.

ცხადია, სევასტი კიმენეტს კარგად ესმოდა წიგნების ბექდვის მნიშვნელობა ერის კულტურის განვითარების საქმეში, მით უმეტეს როდესაც იმ პერიოდში დასავლეთ ევროპასთან შედარებით აღმოსავლეთში ამ მიმართულებით მხოლოდ პირველი ნაბიჯები იდგმებოდა. სევასტი კიმენეტის სიტყვები მიმართული კონსტანტინე ბრინკოვიანუსადმი, ეს სიხარულისა და აღტაცების გამოხატევაა განათლებული ადამიანისა, რომელმაც იცის წიგნის ბექდვის ფასი. რასაკვირველია, ექვს არ იწვევს ის გარემოება, რომ სევასტი კიმენეტის მიერ კონსტანტინე ბრინკოვიანუსადმი შესწმული ხოტბა, ძირითადად ეკუთვნოდა სასტამბო საქმიანობის კეშმარიტ სულისჩამდგმელს, ანთიმ ივერიელს.

იმავე წელს ანთიმ ივერიელი სნაგოვოს მონასტრის სტამბაში ბექდავს რუმინულ ენაზე „აღმოსავლეთის ეკლესიის დოგმების შესახებ“ 112 გვერდის მოცულობით. როგორც წიგნის: „*ორთოდოქსალური აღსარება... წინასწარი გადმოცემა სამი უდიდესი სიკეთის შესახებ*“, ასევე „*აღმოსავლეთის ეკლესიის დოგმების შესახებ*“⁶⁶ გამოცემის მთავარი დანიშნულება იმაში მდგომარეობდა, რომ დაემტკიცებინა კირილე ლუკარისის⁶⁷ ორთოდოქსალობა, დაეცვა და გაემართლებინა ის იეზუ-

⁶⁵ I. Ramurcanu, Atmosfera de aparare a Ortodoxiei din Tarile Române în care s-a dezvoltat spiritul mitropolitului Antim Ivireanul, გვ. 835.

⁶⁶ ამ წიგნებში დაბეჭდილი იყო ალექსანდრიის პატრიარქის მელეთი პივას, იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის და სხვათა ნაწარმოებები.

⁶⁷ კონსტანტინოპოლის პატრიარქი, დაიბადა 1572 წელს კუნძულ კრიტზე. პირველადწყებითი განათლება მან მიიღო ბიძამისის, თავის დროისათვის ფრიად განსწავლული ადამიანის, ისტორიკოსისა და მეცნიერის, ალექსანდრიის პატრიარქის, მელეთი პივას კარზე. შემდეგ, მან სწავლა განაგრძო ვენეციის ბერძნულ კოლეგიუმში და პადუას უწა-

იტების ბრალდებისაგან, რომლებიც ლუკარის მართლმადიდებლური რწმენის ღალატს აწერდნენ. გარდა ამისა, ზემოთ დასახელებული წიგნების დაბეჭდვის მიზანი ის იყო, რომ დაეცვათ აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესია რომანულ-კათოლიკური ეკლესიის შემოტევისაგან და დაეცვათ ორთოდოქსები, როგორც კათოლიკეთა, ასევე პროტესტანტთა გავლენისაგან. ზედმეტი არ იქნება თუ ჩვენ ორიოდ სიტყვით შევჩერდებით ამ საკითხზე.

ჯერ კიდევ რომის პაპმა კალისტ III ტახტზე ასვლის დროს წარმოთქმულ სიტყვაში საყოველთაოდ დასდო ფიცი, რომ არ დაიშურებდა ძალღონეს, რათა თურქებისაგან გაენთავისუფლებინა კონსტანტინოპოლი. ასეთივე პოლიტიკურ ხაზს ატარებდნენ შემდგომში რომის პაპები: პიი II, პავლე II, იული II, ლეო X, კლიმენტი VII, პავლე III, პიი V და სხვები⁶⁸. თუმცა რომის პაპები მოუწოდებდნენ ჯვაროსნული ომებისაკენ და აცხადებდნენ, რომ ამ ლაშქრობის მიზანია აღმოსავლეთის ქრისტიანთა განთავისუფლება ურჯულოთა ბატონობისაგან, მიუხედავად ამისა, მათ სხვა გეგმების განხორციელებაც ჰქონდათ განზრახული. რაში გამოიხატებოდა ეს გეგმები? ჯერ ერთი — გაეფართოებინათ „თავიანთი სამწყსოს ტერიტორია“ თურქეთის იმპერიისათვის წართმეული მიწების ხარჯზე, ხოლო მეორეს მხრივ — გაეკათოლიკებინათ აღმოსავლეთის ქრისტიანები. ასე. მაგალითად, რომის პაპმა კალისტ III კათოლიკური რწმენის დაქანონება აღმოსავლეთში აშკარად და კატეგორიულად გამოაცხადა თურქების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის მთავარ ამოცანად⁶⁹. მაგრამ პეტრე ამიენელის დროსამუდამოდ წასული იყო. ევროპის სახელმწიფოების გამგებელნი ახლა უკვე მეტად ფიქრობდნენ თავიანთ სამფლობელოებში საშინაო საქმეების მოწესრიგებაზე, ვიდრე თურქების განდევნაზე კონსტანტინოპოლიდან. ამის შედეგი იყო ის, რომ რომის პაპებმა ვერ შეძლეს ჯვაროსანთა ლაშქრობების ორგანიზება ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ.

ვერსიტეტში. განათლების მიღების შემდეგ იგი ეუნძულ კრიტზე მონასტრის წინამძღვარაა, ბერძნული ენის მასწავლებელი და სასწავლებლის რექტორი. 1621 წლიდან კირილე ლუკარისი კონსტანტინოპოლის პატრიარქია. 1627 წელს კირილე ლუკარისი კონსტანტინოპოლში აარსებს პირველ ბერძნულ სტამბას. 1638 წელს სულთან მურად IV-ის ბრძანებით კირილე ლუკარისი სიკვდილით დასაჯეს.

⁶⁸ Pichler, Geschichte der kirchlichen trennung zwischen dem Orient und Occident, b I, გვ. 500—505 (შემდეგში Pichler...)

⁶⁹ В. А р х а н г е л ь с к и й, Очерки истории греческой церкви со времени падения Константинополя до наших дней, М. 1885, გვ. 260. (შემდეგში В. Архангельский...)

მაგრამ ბერძნულ ეკლესიაზე კათოლიკების ზეგავლენის პირველი ცდა თუ უნაყოფო აღმოჩნდა, სამავიეროდ მეტად დიდი შედეგი გამოიღო სხვა ღონისძიებებმა. იეზუიტები ყოველთვის იყვნენ რომის პაპის კურიაის და კათოლიკური ეკლესიის ერთგული მსახურნი. და აი, სწორედ მათ დახმარებას მიმართეს კათოლიკური ეკლესიის მესვეურებმა⁷⁰.

იეზუიტები, რომლებიც აღმოსავლეთში პირველად 1583 წელს გამოჩნდნენ⁷¹, შემდგომში მტკიცედ იკიდებენ ფეხს ამ მხარეში. 1615 წლის ვენის ხელშეკრულების საფუძველზე კათოლიკური სასულიერო წოდების წარმომადგენელთ და მათ შორის, რასაკვირველია, იეზუიტებს უფლება მიეცათ თურქეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე აეგოთ ეკლესიები, და თავისუფლად ეწარმოებინათ ღვთისმსახურება⁷². ამ გვარემოებამ გამოიწვია იეზუიტების რაოდენობის გაზრდა და კათოლიკური პროპაგანდის გაძლიერება აღმოსავლეთში.

რა საშუალებებს მიმართავენ იეზუიტები თავიანთი მიზნების განსახორციელებლად და რა ხერხებს იყენებდნენ ისინი ბერძენთა კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასაყვანად? იგნატი ლოიოლას მიმდევართა დევიზი „მიზანი ამართლებს საშუალებებს“, ამ შემთხვევაში მთლიანად იქნა გამოყენებული. ისინი ცდილობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ მართლმადიდებლებზე ტყბილი საუბრით, მოფერებით, რჩევა-დარიგების მიცემით. იეზუიტები აშენებდნენ საავადმყოფოებს, თავშესაფრებს მგზავრებისათვის და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებებს. იეზუიტები ბეკდავდნენ და ავრცელებდნენ ნაწარმოებებს ბერძნული ეკლესიის საწინააღმდეგოდ⁷³. მაგრამ იეზუიტების მთავარ იარაღს მართლმადიდებლების კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასაყვანად წარმოადგენდა სკოლები⁷⁴. სკოლები დააარსეს ყველგან, სადაც კი ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ იეზუიტები. მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ბერძნები ეკონომიურ-კულტურულად მეტად მძიმე და სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მათში საბოლოოდ მინც არ ჩაკლულა წყურვილი სწავლაგანათლების მიღებისა. ბერძენ მოსახლეობას, რომელსაც არ გააჩნდა საშუალება და სახსრები თავიანთი შეილებსათვის ცოდნის მისაცემად, სიამოვნებით

⁷⁰ В. Архангельский... გვ. 260.

⁷¹ Pichler... გვ. 506.

⁷² იქვე, გვ. 508.

⁷³ В. Архангельский... გვ. 262.

⁷⁴ А. Бряцев, Патриарх Кирилл Лукарис и его заслуги для православной церкви, СПб. 1870, из журн. „Странник“, გვ. 26.

შეჰყავდათ ისინი იეზუიტების სკოლაში, მით უმეტეს, რომ ამ სკოლებში სწავლება უფასო იყო. უნდა ითქვას, რომ იეზუიტთა ამგვარმა ცდამ გარკვეული შედეგი გამოიღო. ბერძენი ისტორიკოსების ფილიპე კიპროსელის, დოსითეოსის, მელეთი პიგას და სხვათა ცნობებით იეზუიტებს მრავალი მომხრე და თაყვანისმცემელი გაუჩნდა, რომელთა რიცხვში იყვნენ როგორც ერისკაცები, ასევე სასულიერო წოდების წარმომადგენლები⁷⁵.

ანალოგიურ შემთხვევას ჩვენ ვხვდებით არა მარტო თურქეთის იმპერიის ფარგლებში. ცნობილია, რომ 1699 წელს კარლოვიცის ზავის შედეგად ვლახეთის ერთ-ერთი პროვინცია, რომელშიც ავსტრია-თურქეთის ომის დროს ავტორიის ჯარები შეიჭრნენ, ავსტრიელთა გამგებლობის ქვეშ აღმოჩნდა. ამ მდგომარეობით ისარგებლა რომის პაპის კურია და პაბსბურგების დახმარებით და შემწეობით კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადაიყვანა მართლმადიდებელ ვლახელთა ნაწილი. ეს ამბავი მალე მთელს ვლახეთს მოედო. კონსტანტინე ბრინკოვიანუმ 1701 წლის 6 ივლისს წერილით მიმართა ტრანსილვანიის ერთ-ერთი ქალაქის, ბრაშოვოს მცხოვრებლებს და სიხარული გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ჭიუხედავად ტრანსილვანიის ეპისკოპოსის ათანასე ანგელის მხრივ კათოლიკური ეკლესიის დოგმების აღიარებისა, ბრაშოვოს მოსახლეობამ „არ უღალატა თავის რწმენას... მართლმადიდებელთა რწმენას, რომელიც მამა-პაპათაგან მოდიოდა“⁷⁶, „ის ვინც უარს იტყვის თავის რწმენაზე — განაგრძობდა კონსტანტინე ბრინკოვიანუ თავის წერილში — და პატივს აღარ სცემს მას, მალე დადგება მისი განკითხვის დღე. მე არ მინახავს არავინ, ვისაც უარი უთქვამს და გაუყიდა თავისი რწმენა, რომ მას დაუყოვნებლივ არ მიეღო საკადრისი საზღაური სამართლიანი მსაჯულისაგან — მაღალი ღმერთისაგან“⁷⁷.

ქალაქ ბრაშოვოს მცხოვრებლებთან ინტენსიურ მიმოწერას აწარმოებდა ანთიმ ივერიელიც, რომელსაც ისინი „რჩევას და დახმარებას თხოვდნენ“⁷⁸. მაგალითად, ერთ-ერთ წერილში ანთიმ ივერიელი შემდეგი სიტყვებით მიმართავდა ბრაშოველებს: „რაც შეეხება იმ შეეპროვებებსა და ძალდატანებას, რომელსაც თქვენ განიცდით თქვენი მღვდელმთავრისაგან (ანთიმ ივერიელს მხედველობაში ყავს ტრანსილ-

⁷⁵ А. Брюев გვ. 26—29.

⁷⁶ S. Stinghe, Documente privitoare la trecutul Românilor din Scheiu, t. I, 1901, გვ. 15.

⁷⁷ იქვე, გვ. 16.

⁷⁸ I. Ramureanu, Mitropolitul Antim Ivireanul aparator al Românilor ortodocși din Transilvania, в. Biserica Ortodoxa Română, № 8—9, 1956, გვ. 838.

ვანიის ეპისკოპოსი ათანასე ანგელი, რომელიც ძალას ატანდა ბრძოლაში მუხობრებ მართლმადიდებელ ვლახელებს მიეღოთ კათოლიკობა — ო. გ.) და აგრეთვე ყველა კათოლიკესაგან, იქონიეთ ცოტაოდენი მოთმინება. რამდენიმე დღის შემდეგ თქვენ მიიღებთ სხვა წერილს, რომლითაც დაწვრილებით გაცნობებთ, თუ რა უნდა მოიმოქმედოთ. გარდა ამისა, გამოგიგზავნით წიგნს, რომელსაც დაბეჭდვად აქ ჩემი ბრძანებით და რომელიც თქვენ ხელს შეგიწყობთ დაიცვათ თავი⁷⁹. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრანსილვანიაში ავსტრიელთა ფეხის მოკიდებამ მეტად გაუადვილა კათოლიკურ ეკლესიას თავისი მიზნების განხორციელება. ამის შემდეგ რომის პაპის მისიონერები ცდილობენ კათოლიკობის გავრცელებას თვით ვლახეთშიაც. მათ მოახერხეს თავიანთი პროპაგანდის ქსელში გაეხვიათ რიმნიკის ეპისკოპოსი ილარიონი, რომელიც კათოლიკობის მხარდაჭერისათვის გადაყენებულ იქნა⁸⁰.

ასეთი იყო XVII საუკუნის დამლევს და XVIII საუკუნის დასაწყისში ვლახეთში კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა ურთიერთდამოკიდებულების სურათი, რომელიც ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი ფაქტის კონსტატირებით გადმოვეცით, რადგან ამ საკითხის ფართო გაშუქება ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს.

მართლმადიდებლურ და რომანულ-კათოლიკურ ეკლესიებს შორის დიდი ხნის ბრძოლის ამსახველ ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენდა ანთიმ ივერიელის მიერ სნაგოვოს მონასტერში ბერძნულ და რუმინულ ენებზე ისეთი წიგნების დაბეჭდვა, როგორცაა „ორთოდოქსალური აღსარება... წინასწარი გადმოცემა სამი უღიდესი სიკეთის შესახებ“, „აღნოსაველეთის ეკლესიის დოგმების შესახებ“, „სიყვარულის ყვაილი“ და სხვ.⁸¹.

1700 წელს სნაგოვოს მონასტრის სტამბაში ანთიმ ივერიელის ხელმძღვანელობით მისი მოწაფე გიორგი რადოვიჩი რუმინულ ენაზე

⁷⁹ S. Stinghe, Documente privitoare la trecutul Românilor din Scheiu t. I, 1901, გვ. 49—50.

⁸⁰ იქვე, გვ. 42.

⁸¹ დაახლოებით ამ პერიოდში წარმოებდა მწვავე დისკუსია იოანე კარიოფილის წინააღმდეგ, რომელსაც პატრიარქ დოსითეოსის მოთხოვნით მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ბრალი დასდო კათოლიკური დოგმების გაზიარებაში. ანთიმ ივერიელის სიტყვებით იოანე კარიოფილი იყო „გამოჩენილი მეცნიერი, პატრიოსანი ადამიანი, სიბრძნითა და დიდი ერუდციით სახელგანთქმული“; ხოლო მოლდავეთის მთავრის დიმიტრი კანტემირის თქმით „თელსაჩინო ფილოსოფოსი და თეოლოგი“ (D. Russo, Studii greco române, I, 1939, გვ. 185) დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს კონსტანტინე ბრინკოვიანემ და ანთიმ ივერიელმა. ანთიმ ივერიელმა მხარი დაუჭირა იოანე კარიოფილს და დაიცვა იგი წამოყენებული ბრალდებებისაგან. N. Chitescu, O disputa dogmatica din veacul XVII... Buc. 1945.

ბექდავს წიგნს „ქრისტიანული სწავლებანი“. წიგნი მოიცავს 217 გვერდს. წინასიტყვაობაში, რომელსაც გიორგი რადოვიჩი უძღვნის კონსტანტინე ბრინკოვიანუს, ნათქვამია: „რათა დაეუფლებოდი მბექდავის ხელობას, ვითარცა წყალს მოწყურებული ირემი, მივიჭერ უკეთილშობილეს იერემონახთა შორის სნაგოვოს მონასტრის წინამძღვართან, ანთიმ ივერიელთან, რომელმაც დიდი შრომისა და მეცადინეობის შემდეგ შემასწავლა წიგნის ბექდავის ხელოვნება“⁸². ამავე წელს ანთიმ ივერიელი ბექდავს წიგნს ბერძნულ ენაზე — „ფსალმუნი წინასწარმეტყველისა და მეფისა დავითისა“, 85 გვერდის მოცულობით.

1701 წელს სნაგოვოს მონასტრის სტამბაში ანთიმ ივერიელი ბექდავს „კონდაკს“, რომელიც პირველად გამოიცა ბერძნულ და არაბულ ენებზე ანტიოქიის პატრიარქის ათანასეს თხოვნით და ვლახეთის მთავრის კონსტანტინე ბრინკოვიანუს ხარჯით⁸³. ხოლო ამ წიგნის გამოცემის თაობაზე ანტიოქიის პატრიარქი ათანასე შემდეგს წერდა: „...მისმა უდიდებულესობამ მთავარმა კონსტანტინე ბრინკოვიანუმ დაუყოვნებლივ შეისმინა რა ჩვენი თხოვნა, უხვად გაიღო სახსრები და დაავალა დახელოვნებულ მესტამბეს, უკეთილშობილეს იერარქთა შორის, ანთიმ ივერიელს... მოწადინებით ჩამოესხა არაბული შრიფტი და დაბექდა „წიგნი წმიდათა სამთა ჟამისწირვათა“ (კონდაკი — ო. გ.), ორ ენაზე, ბერძნულზე და არაბულზე“⁸⁴, „კონდაკი მოიცავს 267 გვერდს და დაბექდილია ორ ფერში და ორ სვეტად. ბერძნული ტექსტი შავ ფერში, ხოლო არაბული, წითელ ფერში. წიგნში მოთავსებულია წმიდანთა გამოსახულებანი, რომელთა მსგავსს ანთიმ ივერიელის მიერ გამოცემულ სხვა წიგნებშიაც ვხვდებით.

ჩვენ აქ განსაკუთრებით შევჩერდებით როგორც „კონდაკის“, ასევე 1702 წელს უკვე ბუქარესტის სტამბაში ანთიმ ივერიელისავე მიერ ბერძნულ-არაბულ ენაზე „ჟამნის“ დაბექდავას ისტორიაზე, რადგან ვლახეთში დასახელებული წიგნების გამოცემა უშუალო კავშირში იმყოფება 1706 წელს არაბეთში (პალაბში) პირველ ეროვნულ სტამბის დაარსების საკითხთან.

ანტიოქიის პატრიარქი ათანასე; ბუქარესტში ჩასულა 1700 წლის მარტში და იქ დაუყვია თითქმის ოთხი წელიწადი⁸⁵. პატრიარქი ათანა-

⁸² Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 714.

⁸³ D. Simonescu, E. Muracade, Tipar rominesc pentru arabi in secolul al XVIII—lea, Buc, 1939, გვ. 214.

⁸⁴ I. Ramureanu, Luptator pentru ortodoxie, გვ. 841.

⁸⁵ A t a n a s i e D a b b a s, Istoria Palriarhilor de Antiohia. ობ. Biserica Ortodoxa Romina, XLVIII; № 9, გვ. 851—853.

სე შევლდვი სიტყვებით აღწერს იმდროინდელ ბუქარესტს. „მხარე შემკული მრავალი წმიდა და მართლაც რომ მეფური ეკლესიებითა და მონასტრებით და სხვა მრავალრიცხოვანი დიდებული შენობებით, განსაკუთრებით კი სემინარიებითა და სკოლებით, მეცნიერების სხვადასხვა დარგების დასაუფლებლად. გარდა ამისა, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სტამბა, სადაც იბეჭდება წიგნები ბერძნულ, რუმინულ სლავურ ენებზე“⁸⁶. ამიტომაც, განაგრძობს პატრიარქი ათანასე ჩვენს შორეულ მხარეში, ანტიოქიაში, შევიტყვეთ რა შენი (კონსტანტინე ბრინკოვიანუს — ო. გ.) ქველმოქმედების შესახებ, გამოვეშურეთ დაუყოვნებლივ ამ ბედნიერი ქალაქისაკენ, რათა ჩვენი თვალთ გვენახა და შეგვესწავლა ყოველივე. ისევე, როგორც უძველეს დროს სამხრეთის შორეულ მხრიდან გამოემგზავრა დედოფალი, რათა შეეცნო სიბრძნე სოლომონისა“⁸⁷. მაგრამ მთავარი მიზეზი ათანასეს ვლახეთში ჩამოსვლისა იმაში მდგომარეობდა, რომ ანტიოქიის საპატრიარქოს არ გააჩნდა საეკლესიო წიგნები

„ათანასე პატრიარქმა 1698 წელს⁸⁸ იმოგზაურა ვლახეთში — წერს ლიბანელი მეცნიერი ლუი შეიხო — ეწვია ვლახეთის მთავარს, კონსტანტინე ბრინკოვიანუს და სთხოვა, რომ დაეხმარებოდა პატრიარქს არაბულ და ბერძნულ ენებზე სალიტურგიო წიგნების გამოცემაში.

⁸⁶ I. Ramureanu, Lupator pentru ortodoxie, გვ. 840. იხ. Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956.

⁸⁷ იქვე.

⁸⁸ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანტიოქიის პატრიარქი ათანასე ვლახეთში ჩასულა 1700 წელს მარტში, ამ ცნობის მოყვანის დროს ჩვენ ვეყრდნობოდით თვით პატრიარქ ათანასეს მიერ დაწერულ „ანტიოქიის პატრიარქთა ისტორიას“. აქედან ვიპოვნარე პატრიარქ ათანასეს ვლახეთში ჩასვლის თარიღი, 1700 წლის მარტი, უფრო სარწმუნოა, ვიდრე ლუი შეიხოს მიერ მოყვანილი თარიღი 1698 წელს. ლუი შეიხოს მიერ მოყვანილი ანტიოქიის პატრიარქის ვლახეთში ჩასვლის თარიღზე (1698 წელი) დაყრდნობით შ. კურდღლელაშვილი არასწორ დასკვნამდე მიდის. იგი წერს: „როგორც ამ ნაშრომიდან ჩანს (იგულისხმება ლუი შეიხოს გამოკვლევა „ბექდეთი ხელოვნების ისტორია ახლო აღმოსავლეთში. ბექდეთი ხელოვნება სირიაში, პალაბში“ — ო. გ.) ანტიოქიის პატრიარქი ათანასე IV უფრო ვლახეთში ჩასულა და მთავარ ე. ბრინკოვიანესათვის არაბული წიგნების ბექდეთის შემოღებაში შემწეობის თხოვნით მიუპარათავს 1698 წელს, ხოლო ათანასე პატრიარქის აღნიშნული თხოვნის განხორციელება კი მოხერხებულა მხოლოდ 1701 წელს, როდესაც ანთიმ ივერიელმა მოათავსა არაბული შრაუტის დამზადება და სწავლის საშინაო სტამბაში არაბულ-ბერძნული „კონდაკი“ დაბეჭდა. ამრიგად, გამოცდილ და დახელოვნებულ მესტრებთან ივერიელს ახლა, არაბული შრაუტის დამზადებისათვის და მხოლოდ ერთი არაბული წიგნის გამოკუთხატვის დაახლოებით სამი წელიწადი დასჭირვებია“. სინამდვილეში კი თუ ანტიოქიის პატრიარქი ვლახეთში ჩასულა 1700 წლის მარტში, ხოლო „კონდაკი“ გამოცემულა 1701 წ. იანვარში, ანთიმ ივერიელის არაბული შრიფტის დასამზადებლად და წიგნის დასაბეჭდად მოუწოდებია დაახლოებით 8—9 თვე Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 716.

ვლახეთის მთავარმა შეისმინა პატრიარქის თხოვნა, მიუჩინა პატრიარქს ქართველი მღვდელ-მონაზონი ანთიმო და დაავალა პატრიარქის თხოვნის თანახმად დაემზადებია არაბული შრიფტი. ანთიმო დაამზადა არაბული შრიფტი და მესამე წელიწადს, 1701 წელს ბუქარესტში დაბეჭდა არაბულ და ბერძნულ ენებზე სალიტურჯიო წიგნები. შემდეგ დაბეჭდა აგრეთვე „კონდაკი“⁸⁹ და ორივე წიგნი უსასყიდლოდ გაავრცელა ქრისტიან მღვდელმთავართა შორის⁹⁰.

ანთიმ ივერიელის მოწაფე მიხაილ იშტვანოვიჩი, მის მიერ 1706 წელს რიმნიკში გამოცემულ წიგნის წინასიტყვაობაში ქება-დიდებათ იხსენიებს თავის მასწავლებელს, არა მარტო ბერძნულ და რუმინულ ენებზე წიგნების ბეჭდვისათვის, არამედ არაბულ ენაზეც. „როგორც ბრძენმა იოსებმა—წერს მიხაილ იშტვანოვიჩი—აღავსო ეგვიპტის ბელლები სანოვაგით, ასევე შენმა სიყვარულმა ღვთისადმი აღავსო ჩვენი ქვეყნის წმიდა ეკლესიები სულიერი სარჩოთი. რას ვამბობ — მხოლოდ ჩვენი ქვეყნისა? სხვა ქვეყნებისაც. მართმადიდებელ არაბებს შენ აგემე სიხარული სანატრელი სასტამბო ხელოვნებისა, დაუბეჭდე მათ საკუთარ ენაზე საეკლესიო წიგნები, რისი ბედნიერებაც მათ ღღემდე წილად არ ხდომიათ“⁹¹. ხოლო თავის მკრივ ანტიოქიის პატრიარქი ათანასე არაბულ ენაზე დაბეჭდილ წიგნებისათვის მადლობას უხდის კონსტანტინე ბრინიოვიანუს და აღნიშნავს, რომ „საწყალი ხალხი აღმოსავლეთისა, არაბი მოსახლეობა და წმიდა სამღვდელთა“ ლოცვა-კურთხევით იხსენიებს მის სახელს და უსურვებს ღიძხანს სიციოცხლეს, რადგან კონსტანტინე ბრინიოვიანუმ, შეისმინა რა თხოვნა, დაუყოვნებლივ „გაიღო მოწყალეობა და აღმოუჩინა დახმარება ანტიოქიის საპატრიარქოს, ჰქონოდა არაბულ ენაზე დაბეჭდილი წიგნები, რომლებიც ხალხისათვის მეტად სასარგებლოა“⁹².

თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პატრიარქი ათანასე არაბულ ენაზე წიგნების დაბეჭდვას და თუ რაოდენ აფასებდა იგი კონსტანტინე ბრინიოვიანუსა და ანთიმ ივერიელის ღვაწლს ამ საქმეში, ეს კარგად ჩანს თვით ანტიოქიის პატრიარქის სიტყვებიდან: „რა გვძა-

⁸⁸ ლ უ ი შ ე ი ხ ო ამ შემთხვევაში სცდება. 1701 წელს ანთიმ ივერიელმა დაბეჭდა ბერძნულ-არაბულ ენებზე სალიტურჯიო წიგნი არა ბუქარესტში არამედ სნაგოვოში. ხოლო „კონდაკი“ გამოცემულ იქნა არა „შემდეგ“ — როგორც წერს ლუი შეიხო, არამედ პირველი წიგნი რომელიც ანთიმ ივერიელმა ბერძნულ-არაბულ ენაზე გამოსცა სწორედ „კონდაკი“ იყო.

⁹⁰ შ. კ უ რ დ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სტამბის ისტორიად, 1959, გვ. 113

⁹¹ I. R a m u r e a n u, Anlim Ivireanul si lezaturile sale cu credinciosii din Patriarhia Antiohiei. in. Biserica Ortodoxa Romina № 8—9, 1956, გვ. 842.

⁹² A t a n a s i e D a b b a s, Istoria Patriarhilor de Antiohia, გვ. 860—862

ლუქს ჩვენ მივცეთ მას ასეთი დიდი წყალობის ნაცვლად? როგორც შევქლოთ ჩვენ სათანადოდ დავაფასოთ მის მიერ გაწეული ამაგი? ჩვენ, ლატაკმა და ლარიბებმა რა რიგ მივუზღოთ მას სამაგიერო ასეთი განძისათვის“⁹³.

ამრიგად, არაბულ ენაზე წიგნის პირველ მბეჭდავად ვლახეთში ჩვენ გვევლინება ანთიმ ივერიელი⁹⁴; ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ანთიმ ივერიელი მართლაც რომ „სწორუპოვარი“ და „უველა ხელოვნებათა ოსტატი“⁹⁵ ყოფილა, რადგან არაბული სასტამბო შრიფტის დამზადება კალიგრაფიული ხელნაწერების მიხედვით, შესაფერისი არაბული ასოების შერჩევა, სათანადო ნახაზების შედგენა, მათი მიხედვით ლითონის⁹⁶ არაბული შრიფტის ჩამოსხმა — არაბული დამწერლობის სპეციფიკის სირთულის გამო მეტად რთულ მუშაობასა და ოსტატობას მოითხოვდა.

1701—1702 წლებში ვლახეთში არაბულ-ბერძნული წიგნების „კონდაქსა“ და „ჟამნის“ დაბეჭდვის შემდეგ სირიაში, ქ. ჰალაბში საფუძველი ეყრება პირველ ეროვნულ სტამბას არაბეთში. ანტიოქიის პატრიარქი ათანასე, 1702 წ. ბუქარესტში ბერძნულ ენაზე დაწერილ თავის ნაშრომში, „ანტიოქიის პატრიარქთა ისტორია“, აღნიშნავს, რომ „დღემდე არაბული სტამბა, სადაც დაიბეჭდებოდა საეკლესიო წიგნები, მართლმადიდებლებს არ გააჩნდათ“⁹⁷.

ჰალაბის სტამბაში პირველი დაბეჭდილი არაბული წიგნია „დავითნი“, რომელიც ითარგმნა ბერძნულიდან არაბულ ენაზე. „დავითნის“ სატიტულო ფურცლის მეორე მხარეზე გამოსახულია ვლახეთის სამთავროს ღერბი, მის ირგვლივ დაბეჭდილია კონსტანტინე ბრინკოვიანუს ინიციალები⁹⁸. ამრიგად, სირიაში, ჰალაბში დაბეჭდილ არაბულ წიგნზე ჩვენ ვხედავთ ვლახეთის სამთავროს ღერბს. არაბეთში პირველი ეროვნული სტამბის დაარსებას ი. რამურეანუ შემდეგნაირად ხსნის:

⁹³ Atanasie Dabbas, Istoria Patriarhilor de Antiohia, გვ. 852.

⁹⁴ პირველი არაბული წიგნი გამოცა იტალიაში ქ. ფრონოში 1514 წ.

⁹⁵ Biserica Ortodoxa Romîna, № 8—9, 1956, გვ. 698.

⁹⁶ ანთიმ ივერიელის მიერ დამზადებული არაბული შრიფტი რომ ლითონის იყო, ეს ნათლად ჩანს ათანასე პატრიარქის სიტყვებიდან. იგი წერდა: „შეისმინა რა ჩვენი თხოვნა, მისმა ბრწყინვალემა კონსტანტინე ბრინკოვიანუმ დააეღა განსწავლულ მბეჭდავს ანთიმ ივერიელს, რათა მას ჩ ა მ ო ე ს ხ ა (კურსივი ჩვენია — ო. გ.) არაბული ასოები...“ Atanasie Dabbas, Istoria Patriarhilor de Antiohia. in, Biserica Ortodoxa Romîna, an XLIX № 2—3, გვ. 160.

⁹⁷ Atanasie Dabbas, Istoria Patriarhilor de Antiohia, გვ. 860.

⁹⁸ I. R a m u r e a n u, Antim Ivireanul si legaluril sale cu credinciosii din Patriarhia Antiohiei, გვ. 841—842.

„როდესაც ანტიოქიის პატრიარქი ათანასე 1704 წელს ვლახეთიდან გაემგზავრა, კონსტანტინე ბრინკოვიანუმ მას საჩუქრად მისცა სტამბის მოწყობილობანი და არაბული შრიფტი, რომელიც ანთიმ ივერიელმა სნაგოვოში ჩამოასხა. ყოველივე ეს პატრიარქმა ათანასემ ჩამოიტანა სირიის ქალაქ ჰალაბში“⁹⁹. ამავე საკითხის თაობაზე გასტერი წერდა: „...ანთიმის მიერ დამზადებული შრიფტი, ისე როგორც სტამბის მოწყობილობანი, მთავარმა ბრინკოვიანუმ საჩუქრად მიართვა პატრიარქს და ჰალაბში იქნა მიტანილი. ამით საფუძველი დაედო ქრისტიანული წიგნების ბეჭდვას აღმოსავლეთში. მადლობის ნიშნად მთავარს უძღვნეს პირველივე წიგნი, რომელიც ამ სტამბიდან გამოვიდა ჰალაბში, სახელდობრ „დავითნი“, იმავე ათანასე პატრიარქის მიერ 1706 წელს ჰალაბში დაბეჭდილი“¹⁰⁰. მ. შნურერი კი აღნიშნავდა: „ანტიოქიის პატრიარქმა ათანასემ არაბული შრიფტი, რომელიც გამოყენებულ იქნა ვლახეთში „უამნის“ დასაბეჭდად, ჰალაბში გადაიტანა, სადაც ის 1706 წლიდან იხმარება სხვადასხვა არაბული წიგნების დასაბეჭდად“¹⁰¹.

ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ეგვიპტელი მკვლევარი იბრაჰიმ აბდუ: „XVIII საუკუნის დასაწყისში, — წერს იგი — დაახლოვებით 1706 წელს, ერთმა პატრიარქმა დააარსა არაბული სტამბა ჰალაბში, რომლის შრიფტი, როგორც ამბობენ, ჩამოტანილი იყო ბუქარესტიდან. ეს იყო პირველი არაბული სტამბა მთელს ახლო აღმოსავლეთში“¹⁰². ი. კრაჩკოვსკი კი აღნიშნავდა, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში ჰალაბში იწყება არაბული წიგნების ბეჭდვა, რომელიც ამ ქალაქში რუმინეთიდან გადმონერგა პატრიარქმა ათანასემ¹⁰³.

ლუი შეიხო თავის ნაშრომში „ახლო აღმოსავლეთში პირველ ეროვნულ სტამბათა დაარსების ისტორიის შესახებ“, საგანგებოდ ჩერდება ანტიოქიის პატრიარქის ათანასეს მიერ 1705—1706 წლებში ქ. ჰალაბში მოწყობილი პირველი არაბული ეროვნული სტამბის ისტორიის საკითხზე.

ვლახეთში ყოფნის შემდეგ, წერს ლუი შეიხო „...ათანასე პატრიარქი ჰალაბში დაბრუნდა“ და მიზნად დაისახა ამ ქალაქში ახალი სა-

⁹⁹ I. Ramureanu... გვ. 841.

¹⁰⁰ Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, B. XI, Heft. 4.

¹⁰¹ S h n u r r e r, Bibliotheca arabica, Halle, 1811, გვ. 371.

¹⁰² შ. კ უ რ დ ე ლ ა შ ე ი ლ ი, ქართული სტამბის ისტორიიდან, 1959, გვ. 107.

¹⁰³ И. Ю. Крачковский, Избранные сочинения, т. II, М.-Л. 1956, გვ. 279.

* ათანასე პატრიარქი ვლახეთიდან ჰალაბში დაბრუნდა დაახლოვებით 1704 წლის დამლევს (A t a n a s i e D a b b a s, Istoria Patriarhilor de Antiohia, გვ. 853.

ლიტურგიო წიგნი დაებეჭდა. ჩვენ არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხა ათანასემ ჰალაბში არაბული შრიფტის ჩამოსხმა („სუქიბა“), შესაძლებელია ათანასე პატრიარქმა თან ჩამოიყვანა ბუქარესტიდან ხსენებული მღვდელ-მონაზონი ანთიმი, რომელმაც დაუმზადა ათანასეს ახალი არაბული შრიფტი; ანდა შესაძლებელია, რომ თვით ათანასე პატრიარქი ვლახეთში ყოფნისას დაეუფლა შრიფტის ვაკეთების ხელოვნებას და შემდეგ ეს საქმე ზოგიერთ ჰალაბელს შეასწავლა. უდავო ის არის, რომ პატრიარქმა ათანასემ მიაღწია თავის მიზანს და ჰალაბში სტამბური წესით გამოსცა რამდენიმე საეკლესიო წიგნი...“¹⁰⁴. ამრიგად, როგორც ჩვენს მიერ აქ მოყვანილი ციტატიდან ირკვევა, ლუი შეიხო „ჰალაბში სტამბური წესით“ არაბული საეკლესიო წიგნების გამოცემის საქმესთან დაკავშირებით გამოთქვამს ორ ვარაუდს. შ. კურდღელაშვილს უფრო დამაჯერებლად მიაჩნია ლ. შეიხოს მეორე ვერსია. იგი აღნიშნავს: „ანტიოქიის პატრიარქის ათანასე IV უნგრო-ვლახეთში ოთხი წლის განმავლობაში (1698—1702)¹⁰⁵ ყოფნის მანძილზე ანთიმოზ ივერიელმა შეასწავლა მას სასტამბო საქმე, კერძოდ, კი, ანთიმოზის მიერვე დამზადებული ფოლადის არაბული პუნსონების საშუალებით სათანადო მატრიცების დამზადებისა და ტყვიის ლიტერების ჩამოსხმის ტექნიკა, აგრეთვე წიგნების აწყობის ხელოვნება. სამშობლოში დაბრუნებისას ათანასე პატრიარქს ჰალაბში ეროვნული სტამბის მოსაწყობად რუმინეთიდან თან გამოატანეს სტამბის მოწყობილობანი და ანთიმოზ ივერიელის მიერ დამზადებული ფოლადის არაბული პუნსონები. ჰალაბში ეროვნული სტამბის მოწყობისას ათანასე პატრიარქმა ანთიმოზ ივერიელის მიერ რუმინეთიდან გატანებული არაბული პუნსონების საშუალებით თვითონვე დაამზადა სათანადო მატრიცები და თვითონვე ჩამოსხმა არაბული ტყვიის ლიტერები“¹⁰⁶.

სილვესტრ დე სასი და ემილ პიკო თავიანთ გამოკვლევებში საგანგებოდ ჩერდებიან ვლახეთში ბეჭდვითი საქმიანობისა და ჰალაბში დაარსებული არაბული სტამბის ურთიერთკავშირის საკითხზე. მაგალი-

აქედან გამოძიარე ჩვენ ჰალაბის სტამბის დაარსების საორგანიზაციო პერიოდად კი არ უნდა ვივარაუდოთ 1702—1706 წლები, როგორც ამას წერს შ. კურდღელაშვილი (შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, 1959, გვ. 117) არამედ 1705—1706 წლები.

¹⁰⁴ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, 1959, გვ. 113.

¹⁰⁵ ათანასე პატრიარქი ვლახეთში იმყოფებოდა 1700 წლის მარტიდან 1704 წლის დამლევამდე. Alanasie Dabbas, Istoria Patriarhilor de Antiohia, გვ. 853.

¹⁰⁶ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან 1959, გვ. 122—123.

თად, სილვესტრ დე სასი არ თვლის სარწმუნოდ ანთიმ ივერიელის მიერ დამზადებული შრიფტის გადატანას ჰალაბში, რადგან, მისი ვარაუდით, ანთიმ ივერიელის მიერ გამოცემული წიგნები ტყვიის შრიფტით იყო ნაბეჭდი, ჰალაბში გამოცემული წიგნები კი ხის შრიფტით¹⁰⁷. ზოლო ემილ პიკო წერდა „ბ. შნურერმა... წამოაყენა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ანთიმის მიერ დამზადებული შრიფტი გადატანილ იქნა ჰალაბში. ეს შრიფტი შემდგომში გამოიყენეს საბეჭდად, სახელდობრ, 1705 წელს¹⁰⁸, კონსტანტინე ბესარაბ ბრინკოვიანუს ხარჯით გამოცემული „დავითნის“. მაგრამ სილვესტრ დე სასიმ უარყო ეს ჰიპოთეზა და, მართლაც, მას არღვევს ორივე ნაბეჭდი წიგნის ასოების შედარება: მაშინ, როდესაც ანთიმის მიერ გამოყენებული ასოები ლითონისაგან იყო ჩამოსხმული, ჰალაბისა უბრალოდ ხისგან იყო გამოჭრილი“¹⁰⁹.

ამრიგად, როგორც ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, XVIII საუკუნის დასაწყისში არაბეთში პირველი ეროვნული სტამბის დაარსებასთან დაკავშირებით გამოთქმული ყოფილა რამდენიმე მოსაზრება.

1. შნურერს, გასტერს, იბრაჰიმ აბდუს, რამურეანუს, შ. კურდღელაშვილს შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ანთიმ ივერიელის მიერ ვლახეთში დამზადებული არაბული შრიფტი ანდა პუნსონები გამოყენებულ იქნა ჰალაბის სტამბაში წიგნების დასაბეჭდად.

2. ლუი შეიხომ წამოაყენა ორი ვერსია. პირველი: პატრიარქმა ათანასემ ბუქარესტიდან ჰალაბში ჩაიყვანა ანთიმ ივერიელი, რომელმაც იქ დაამზადა არაბული შრიფტი. მეორე: პატრიარქი ათანასე ვლახეთში ყოფნისას დაეუფლა შრიფტის ჩამოსხმის ხელოვნებას და შემდეგ ეს საქმე ზოგიერთ ჰალაბელსაც შეასწავლა.

3. სილვესტრ დე სასი და ემილ პიკო კატეგორიულად უარყოფენ ანთიმ ივერიელის ვლახეთში დამზადებული შრიფტის, რომლითაც დაიბეჭდა „კოდნაკი“ და „ყამნი“ — და ჰალაბში გამოცემული არაბული წიგნების შრიფტის ადეკვატობას.

რომელია ყველაზე უფრო მისაღები აქ მოყვანილ სხვადასხვა ვერსიიდან? მაგრამ ვიდრე ჩვენ ამ კითხვაზე გავცემდეთ პასუხს, საჭიროდ ვთვლით გავამახვილოთ ყურადღება სილვესტრ დე სასისა და

¹⁰⁷ Sylvestre de Sacy, *Magazin encyclopedique*, I, Paris, 1814, გვ. 198—203.

¹⁰⁸ ემილ პიკო აქ ქრონოლოგიურ შეცდომას უშუებს. ჰალაბში გამოცემული „დავითნი“ დაიბეჭდა არა 1705 წელს, არამედ 1706 წელს. მაგრამ, ჩანს, ეს კორექტურის ბრალია, რადგან ამავე ნაშრომის სხვა ადგილზე იგი „დავითნის“ გამოცემის თარიღს სწორედ მიუთითებს.

¹⁰⁹ E. Picot... გვ. 538—539.

ემილ პიკოს მიერ წამოჭრილ საკითხზე, კერძოდ, იმაზე, რომ ანთიმ ივერიელის მიერ ვლახეთში დამზადებული შრიფტი ლითონისაგან იყო ჩამოსხმული, ზოლო ჰალაბის სტამბაში ხმარებული შრიფტი კი ზისაგან იყო გამოჭრილი. შ. კურდღელაშვილი, რომელიც საგანგებოდ იხილავს ამ საკითხს, აღნიშნავს: „ჩვენის აზრით, ის გარემოება, რომ ათანასე პატრიარქს რუმინეთიდან ჰალაბში ჩამოუტანია არა ანთიმოზ ივერიელის მიერ უნგროვლახეთში ჩამოსხმული არაბული ტყეის ლიტერები, არამედ მხოლოდ ამ ლიტერების ჩამოსასხმელად საჭირო, ანთიმოზ ივერიელის მიერვე დამზადებული არაბული ფოლადის პუნსონები, სავსებით გავსაგებს ზღის აგრეთვე იმ ერთგვკვარ სხვაობას, ანთიმოზ ივერიელის მიერ რუმინეთში გამოცემული არაბული წიგნებისა და ათანასე პატრიარქის მიერ ჰალაბში დასტამებული წიგნების ანაბეჭდებს შორის, რაზედაც გასულ საუკუნეში ფრანგი მკვლევრები სილვესტერ დე სასი და ემილ პიკო მიუთითებდნენ და რის გამოც ისინი იმ სავსებით მცდარ ვარაუდს გამოსთქვამდნენ, თითქოს ჰალაბის სტამბაში ხმარებული შრიფტი, ზის შრიფტი იყო და არა ლითონისა“¹¹⁰ 111.

რასაკვირველია, იმის დადგენას, თუ რისგან იყო გაკეთებული ჰალაბის სტამბის შრიფტი — ლითონისაგან თუ ხისგან, დიდი მნიშვნელობა გააჩნია. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, ეს გარემოება არ იძლევა იმის საფუძველს სავსებით უგულვებელყოფილ იქნას სილვესტერ დე სასი და, განსაკუთრებით, ემილ პიკოს მიერ კვლევა-ძიების შედეგად მიღებული სხვა დასკვნები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითად, ემილ პიკოს ჩატარებული აქვს მეტად საყურადღებო დაკვირვება: „მ. შნურერმა — წერს ემილ პიკო — გამოსთქვა ვარაუდი, რომ ის შრიფტი, რომლითაც 1701 წელს ვლახეთში დაიბეჭდა „კონდაკი“, გადაეცა ანტიოქიის პატრიარქს ათანასეს ჰალაბში წასაღებად, სადაც აღნიშნული შრიფტი გამოყენებულ იქნა არაბული წიგნების და-

¹¹⁰ შ. კურდღელაშვილი თავის თვალსაზრისს, რომ ჰალაბის სტამბაში ხმარებულ შრიფტი ლითონის იყო და არა ხისაგან გამოჭრილი, ასაბუთებს შემდეგნაირად: „ის ფაქტი, რომ ლიბანელი პროფესორი ლ. შეიხო ჰალაბში ათანასე პატრიარქის მიერ XVII საუკუნის დამლევს პირველი არაბული ეროვნული სტამბის ისტორიის გ. შუქებისას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი აზრით, ჰალაბის სტამბის შრიფტი ჰალაბშივე იყო დამზადებული და ჩამოსხმული („სუქიბა“), აშკარად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მიუხედავად სილვესტერ დე სასის მიერ გამოთქმული ეჭვებისა, არაბ პროფესორს ჰალაბის სტამბის შრიფტი უდავოდ მიაჩნია ლითონისაგან ჩამოსხმულ შრიფტად“ (შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბილისი, 1959, გვ. 117).

¹¹¹ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბილისი, 1959, გვ. 121.

საბეჭდად. ამ ვარაუდში ბევრი რამ არის დასაჯერებელი. მაგრამ საჭირო იყო ჭეშმარიტების დადგენა. ჩვენ აუცილებლად ჩავთვალეთ შეგვედარებინა ბუქარესტში დაბეჭდილი „ჟამნი“ (ანთიმ ივერიელის მიერ 1702 წელს ბუქარესტში დაბეჭდილი ბერძნულ-არაბული წიგნი — ო. გ.) ჰალაბში გამოცემულ წიგნებისათვის, რისი განხორციელებაც ვერ შესძლო ვერც მ. შნურერმა და ვერც სხვამ, რადგან ეს წიგნები ზეტად იშვიათია ევროპაში. მე ბედნიერება მხვდა წილად ბიბლიოთეკაში მიმეკვლია ბუქარესტში დაბეჭდილ ბერძნულ-არაბულ „ჟამნისათვის“, რომლის შრიფტი, ექვსგარეშეა, სრულიად იმავე შრიფტს წარმოადგენს, რომლითაც დაბეჭდილია „კონდაკი“. მე აგრეთვე შევეძელი მიმეღო ალეპოდან (ჰალაბი — ო. გ.) საფრანგეთის გენერალური კონსულის მ. რუსოს წყალობით ორი არაბული წიგნი, რომლებიც ამ ქალაქში იყო დაბეჭდილი: „დავითნი“ (№ 341), გამოცემული 1706 წელს და „საზარება“ (№ 268) გამოცემული 1708 წელს. ამრიგად, მე საშუალება მომეცა დავრწმუნებულიყავი იმაში, რომ ჰალაბში დაბეჭდილი წიგნების შრიფტი მთლიანად განსხვავდება (ხაზი ჩვენია — ო. გ.) ბუქარესტში დაბეჭდილი წიგნის შრიფტისაგან¹¹². როგორც ჩვენს მიერ ციტირებულ ადგილიდან ჩანს, ემილ პიკო ვლახეთში და ჰალაბში გამოცემული წიგნების შედარებისას არა მარტო იმაში პოულობს სხვაობას, რომ ერთი შრიფტი ლითონისაგან იყო ჩამოსხმული, ხოლო მეორე ზისგან გამოკრილი, არამედ აღნიშნავს ამ შრიფტებს შორის არსებულ „მთლიან განსხვავებას“. თუ რატომ ვცანით საჭიროდ ამ გარემოებისათვის განსაკუთრებულად ზაზის გასმა, ამის თაობაზე ჩვენ შემდეგ გვექნება საუბარი.

ახლა დაევბრუნდეთ ჩვენს მიერ დასმულ კითხვას, რომელიც ეხება XVIII საუკუნის დასაწყისში არაბეთში პირველი ეროვნული სტამბის დაარსებასთან დაკავშირებით გამოთქმულ სხვადასხვა ვერსიებს.

როგორც აღვნიშნეთ, შნურერს, გასტერს, იბრაჰიმ აბდუს და რამურეანუს შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ანთიმ ივერიელის მიერ ვლახეთში ჩამოსხმული არაბული შრიფტი, რომლითაც დაიბეჭდა „კონდაკი“ და „ჟამნი“, გამოყენებული იყო ჰალაბში არაბული წიგნების გამოსაცემად („დავითნი“ და სხვ.). როდესაც გასარკვევი და დასადგენი ზღედა სხვადასხვა ადგილებში დაბეჭდილი წიგნების შრიფტების ადეკვატობის საკითხი, ცხადია, ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ კვლევით მუშაობას, რომელიც ამ სხვადასხვა გამოცემათა ურთიერთ შედარებაში გამოიხატება. ამგვარი ხასიათის კვლევითი მუშაობა კი, ვლახეთსა და არაბეთში ბეჭდვითი საქმიანობის

¹¹² E. Picot... გვ. 543—544.

ურთიერთკავშირის დადგენის თვალსაზრისით, ჩატარებული აქვს მხოლოდ ემილ პიკოს (ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ დანარჩენი მკვლევარები არაფერს ამბობენ). ჩვენ კი ვიცი, თუ რა დასკვნამდე მივიდა ემილ პიკო ფაქტიური მასალის შედარების საფუძველზე. ეს დასკვნაა: ანთიმ ივერიელის მიერ დამზადებული არაბული შრიფტი, რომლითაც ვლახეთში დაიბეჭდა „კონდაკი“ და „ქაშნი“, „მთლიანად განსხვავდება“ ჰალაბში გამოცემული წიგნების შრიფტისაგან. აქედან გამომდინარე, შნუჟერის, გასტერის, იბრაჰიმ აბდუს და რამურეანუს თვალსაზრისი არ შეესაბამება სინამდვილეს.

შემდეგ. ლუი შეიხოს ერთ-ერთი ვერსია გამოიხატება იმაში, რომ თვით ანტიოქიის პატრიარქმა ათანასემ ვლახეთში ყოფნის დროს შეისწავლა ანთიმოზ ივერიელისაგან შრიფტის ჩამოსხმის ხელოვნება და შემდგომში ეს საქმე სხვა ჰალაბელსაც შეასწავლა. შ. კურდღელაშვილიც გამოსთქვამს ანალოგიურ თვალსაზრისს და ჰალაბში პირველი არაბული წიგნის ბეჭდვას უშუალოდ პატრიარქ ათანასეს სახელს უკავშირებს. ამასთანავე იგი აყენებს დამატებით ახალ დებულებას. მკვლევარი წერს: „რადგან ანთიმოზ ივერიელის მიერ სასტამბო საქმეში გაწაფული ანტიოქიის პატრიარქი ათანასე, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა თავის მასწავლებელივით დახელოვნებული და გამოცდილი პუნსონების საშუალებით მატრიცების დამზადებისა და ტყვიის ლიტერების ჩამოსხმის ტექნიკაში, ამიტომ ანთიმოზ ივერიელის მიერ გატანებული პუნსონების საშუალებით ათანასე პატრიარქს ვერ მოუხერხებია ისეთივე სრულყოფილი არაბული ლიტერების ჩამოსხმა ჰალაბში, როგორც თვით ანთიმოზ ივერიელმა ამავე პუნსონების საშუალებით რუმინეთში ადრევე ჩამოასხა“¹¹³. და შემდეგ: „ზემოთ აღნიშნული გარემოების გამო ანთიმოზის მიერ რუმინეთში დაბეჭდილი არაბული წიგნებისა და ათანასე პატრიარქის მიერ ჰალაბში გამოცემული წიგნების ანაბეჭდებს შორის შეინიშნება ერთგვარი სხვაობა, რაზედაც გასული საუკუნის დამდგს ფრანგი მკვლევარი სილვესტრ დე სასი მიუთითებდა“¹¹⁴.

რა შეიძლება ითქვას ჩვენს მიერ აქ მოყვანილი ციტირებული ადგილის შესახებ? უპირველეს ყოვლისა ის, რომ შ. კურდღელაშვილი დარწმუნებული ყოფილა შემდეგში: ჰალაბში გამოცემულ „დავითნის“ დასაბეჭდად ჩამოსხმული არაბული ლიტერები არ ყოფილა „სრულყოფილი“ და ამას მკვლევარი უკავშირებს იმ გარემოებას, რომ

¹¹³ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბილისი, 1959, გვ. 123.

¹¹⁴ იქვე.

სილვესტრ დე სასის გამოუთქვამს მოსაზრება ანთიმ ივერიელის მიერ ვლახეთში დაბეჭდილ წიგნებისა და პატრიარქ ათანასეს მიერ ჰალაბში გამოცემულ წიგნების შრიფტებს შორის არსებულ „ერთგვარი სხვაობის“ შესახებ. ე. ი. ვფიქრობთ არ შეეცდებით, თუ შ. კურდღელაშვილის მიერ გამოთქმულ ვარაუდს ჩვენ ჩამოვყალიბებთ შემდეგნაირად. რადგან ვლახეთსა და ჰალაბში დაბეჭდილ წიგნების შრიფტებს შორის სილვესტრ დე სასი ნახულობს ერთგვარ სხვაობას (უფრო მეტიც, ჩვენს მიერ გამოვლენილი მასალის მიხედვით ემილ პიკომ ფაქტიური მასალის შეჭერების შედეგად დაადასტურა არა მხოლოდ ერთგვარი სხვაობა დასახელებული წიგნების შრიფტებს შორის, არამედ „მთლიანი მათი სხვაობა“), ამიტომაც ჰალაბში დაბეჭდილი არაბული წიგნების შრიფტი არ შეიძლება ყოფილიყო სრულყოფილი. ეს დებულება ჩვენ მიგვაჩნია საკამათოდ და აი რატომ:

როგორც ვიცით, როდესაც ემილ პიკომ ერთმანეთს შეადარა (მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთადერთა მკვლევართა შორის) ვლახეთში და ჰალაბში დაბეჭდილი არაბული წიგნების შრიფტები, მივიდა მხოლოდ იმ დასკვნამდე, რომ ეს შრიფტები „მთლიანად განსხვავდებოდნენ“ ერთიმეორისაგან. ტექნიკურად რომ დაბალ დონეზე იყო დამზადებული ჰალაბის წიგნების შრიფტი, მას ამის შესახებ სიტყვაც არა აქვს ნათქვამი. და ეს როდია შემთხვევითი. ჩანს, მას არავითარი საფუძველი არ გააჩნდა ელიარებინა ჰალაბის არაბული შრიფტი „არასრულყოფილად“. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო დამაჯერებლად და სარწმუნოდ ხდის ჩვენს მიერ გამოვლენილი მასალა, სადაც ანალოგიური შემთხვევის დროს ემილ პიკო უკვე დუმილით არ უვლის გვერდს შრიფტის დამზადების ტექნიკურ დონეს. ასე, მაგალითად, ემილ პიკომ ჩაატარა დაკვირვება ანთიმ ივერიელის მიერ 1701—1702 წლებში ვლახეთში დაბეჭდილი „კონდაკისა“ და „ჟამნის“ შრიფტზე, თუმცა ამ შემთხვევაში არა ჰალაბში დაბეჭდილი „დავითნის“, არამედ ვლახეთშივე ორმოციოდე წლის შემდეგ დაბეჭდილ სხვა არაბული წიგნის შრიფტთან დაკავშირებით. ემილ პიკო წერდა: „შემდგომში „კონდაკისა“ და „ჟამნის“ შრიფტი რომ მოისპო და აღარ არსებობდა, ამას ნათელყოფს ის ფაქტი, რომ სწორედ ამ ქალაქში (ბუქარესტში — ო. გ.) XVIII საუკუნის შუა ხანებში ჩამოსხმულ იქნა სხვა შრიფტი, არა ისეთი სრულყოფილი და ხარისხიანი (ხაზი ჩვენია — ო. გ.). ამ შრიფტით 1747 წელს დაიბეჭდა „დავითნი“, რომელიც მეხელთ მაქვს...“¹¹⁵.

¹¹⁵ E. Picot... გვ. 544.

ამრიგად, როდესაც ემილ პიკო ერთიმეორეს აღარებს ანთიმ ივერიელის მიერ 1701—1702 წლებში ვლახეთში დაბეჭდილ არაბული წიგნების და პალაბში გამოცემულ წიგნების ანაბეჭდებს, აღნიშნავს ამ შრიფტებს შორის არსებულ მხოლოდ „მთლიან განსხვავებას“, ე. ი. სწორი იქნება ვიფიქროთ, რომ ეს შრიფტები ერთიმეორისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ ფორმის მიხედვით და არა შესრულების ტექნიკური დონის თვალსაზრისით, რადგან ანალოგიურ შემთხვევაში (ანთიმ ივერიელის მიერ 1701—1702 წლებში დამზადებული შრიფტის შედარება 1747 წელს ვლახეთში გამოცემული „დავითნის“ შრიფტთან), როდესაც მკვლევარი ნახულობს შრიფტებს შორის განსხვავებას ტექნიკური შესრულების მხრივ, იგი უკვე ამ განსხვავების ძირითად ნიშნად პირდაპირ მიუთითებს ერთ-ერთი შრიფტის დამზადების დაბალ ხარისხზე.

შემდეგი: როგორც აღვნიშნეთ, შ. კურდღელაშვილი XVIII საუკუნის დამდეგს პალაბში პირველი არაბული სტამბის დაარსების საკითხის გაშუქებისას იზიარებს ლუი შეიხოს ერთ-ერთ ვერსიას, რომლის მიხედვითაც პალაბში არაბული წიგნების ბეჭდვა უკავშირდება ათანასე პატრიარქის სახელს. მაგრამ, მკვლევარი დასძენს, რომ პატრიარქ ათანასესათვის არაბეთში სტამბის დასაარსებლად არ გაუტანებიათ „ანთიმოზ ივერიელის მიერ ჩამოსხმული მთელი არაბული შრიფტ-კასა“... არამედ, მართოდენ „დამზადებული არაბული პუნსონები“¹¹⁶.

ამ მოსაზრების დასასაბუთებლად შ. კურდღელაშვილი საფუძვლად იღებს იმ გარემოებას, რომ რუმინელი მკვლევარის აურიელ დეჩის მიერ გამოვლენილ იქნა ბოლო დრომდე უცნობი ანთიმ ივერიელის მიერ 1709 წელს ბუქარესტში დაბეჭდილი ბერძნულ-არაბული „ჟამნი“. „ის ფაქტი — წერს შ. კურდღელაშვილი, — რომ ამ ბოლო დროს მიკვლევულ იქნა ანთიმოზ ივერიელის მიერ ბუქარესტში 1709 წელს გამოცემული არაბულ-ბერძნული „ჟამნი“, თავისთავად ცხად-ჰყოფს, რომ ანთიმოზ ივერიელს მის მიერვე რუმინეთში დამზადებული შრიფტ-კასა რუმინეთშივე დაუტოვებია თავისთვის; ხოლო ის გარემოება, რომ ათანასე პატრიარქი პალაბში არაბული წიგნების ბეჭდვას ამაზე უფრო ადრე, სახელდობრ, 1706 წელს იწყებს, მხოლოდ იმის დამადასტურებელია, რომ უგნროვლახეთიდან მისთვის არაბული შრიფტ-კასა კი არ გაუტანებიათ სირიაში, არამედ მართოდენ ანთიმოზის მიერ რუმინეთში დამზადებული არაბული პუნსონები“¹¹⁷.

რასაკვირველია, შ. კურდღელაშვილის მიერ გამოთქმული ასეთი

¹¹⁶ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, 1959, გვ. 121

¹¹⁷ იქვე, გვ. 120—121

მოსაზრება დასაშვებია. მაგრამ მარტოოდენ 1709 წელს ბუქარესტში დაბეჭდილი არაბული წიგნის აღმოჩენით მისი დასაბუთება ძნელია. 1714 წელს, პარალელურად ტირგოვიშტეს სტამბისა, წიგნების ბეჭდვა იწყება ბუქარესტის სტამბაშიც. ამ მიზნით ანთიმ ივერიელი ტირგოვიშტეს სტამბიდან გზავნის ბერძნულ შრიფტს ბუქარესტში. სწორედ აწ შრიფტით დაიბეჭდა ბერძნულ ენაზე 1715 წელს ბუქარესტის სტამბაში პატრიარქ დოსითეოსის წიგნი „იერუსალიმის პატრიარქთა ისტორია“¹¹⁸. 1715 წელს ანთიმ ივერიელი ტირგოვიშტედან¹¹⁹ კონსტანტინოპოლში წერდა პატრიარქ ქრიზანთეს, რომელმაც სთხოვა ვლახეთის მიტროპოლიტს აღნიშნული წიგნის გამოცემა: „წიგნი იბეჭდება დიდი ინტერვალებით“¹²⁰, ვიდრე ჩვენ ამას ვფიქრობდით, მაგრამ არა შესტამბეთა ბრალთ, არამედ იმ მიზეზით, რომ განიცდიან გრავალი ასოს ნაკლებობას. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ორმოცდაათ ასოზე მეტი ხელახლა გახდა ჩამოსასხმელი (ნაკლები ასოები ხელმეორედ ჩამოსასთვით ანთიმ ივერიელმა ტირგოვიშტეს სტამბაში — ო. გ.), რადგან რსინი დაზიანდნენ გზაში გადატანის დროს მეთვალყურეთა უყურადღებობის გამო“¹²¹.

მიუხედავად იმისა, რომ ანთიმ ივერიელმა ტირგოვიშტედან ბუქარესტში გაგზავნა არა მხოლოდ პუნსონები, არამედ ბერძნული შრიფტ-კასა, ტირგოვიშტეში წიგნების ბეჭდვა ბერძნულ ენაზე არ შეწყვეტილა. სწორედ 1715 წელს ტირგოვიშტეს სტამბაში ანთიმ ივერიელი ბერძნულ ენაზე ბეჭდავს პატრიარქ ქრიზანთეს ნაშრომს: „ქრისტეს წმიდა ეკლესიის კლერიკალური და უმაღლეს თანამდებობათა მსახურებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ“¹²². ★

¹¹⁸ I. B i a n u, N. H o d o s, Bibliografia Romîneasca Veche, 1508—1830 I. I (1508—1716) Buc. 1903, გვ. 501—508.

¹¹⁹ იმ ხანებში ვლახეთის დედაქალაქი, სადაც ანთიმ ივერიელმა 1706 წელს დააარსა სტამბა.

¹²⁰ რუმინეთის სტამბაში გამოცემულ „იერუსალიმის პატრიარქთა ისტორიაში“ მოხსენიებული არიან წიგნის რედაქტორი სტოიკა იაკოვიჩი და კორექტორი გრიგორაშვი. ვის მიერაა დაბეჭდილი წიგნი, არ ჩანს. არ ჩანს, აგრეთვე ანთიმ ივერიელის მონაწილეობის კვალი ამ წიგნის გამოცემაში. I. B i a n u, N. H o d o s, Bibliografia... გვ. 501—508. როგორც ეტყობა „იერუსალიმის პატრიარქთა ისტორიის“ ბუქარესტის სტამბაში ბეჭდვის დროს ანთიმ ივერიელი ტირგოვიშტეს სტამბაში იმყოფებოდა და მას უშუალო მონაწილეობა წიგნის გამოცემაში არ მიუღია.

¹²¹ E. H u r m u z a k i, Documente; vol. XIV, par. III, გვ. 115; N. I o r g a, Mitropolitul Antim Ivireanul în cupla cu Ierusalimul pentri drepturile Bisericii sale; 1934, გვ. 724.

¹²² D. B o g d a n, Despre Antim Ivireanul, „Studii Teologice“, an. VII, (1955) გვ. 241.

გამ რატომღა უნდა იყოს 1709 წელს ბუქარესტში არაბული წიგნის გამოცემის ფაქტი იმის დამადასტურებელი, რომ ანთიმ ივერიელს მხოლოდ „არაბული პუნსონები“ გაუგზავნია ჰალაბში, ხოლო მის მიერ დამზადებული „არაბული შრიფტ-კასა რუმინეთშივე დაუტოვებია თავისთვის“¹²³? განა. შესაძლებელი არაა, რომ ტირგოვიშტედან ბუქარესტში ბერძნული შრიფტის გაგზავნის ანალოგიურ შემთხვევას ადგილი ჰქონოდა ჰალაბში არსებულ სტამბის დაარსების დროსაც? თუ ტირგოვიშტედან ბერძნული შრიფტ-კასის გაგზავნის შემთხვევაში იქ მაინც გრძელდებოდა წიგნების ბეჭდვა ბერძნულ ენაზე, რატომღა უნდა გამოორიციხავდეს არაბული შრიფტ-კასის გაგზავნა რუმინეთის ფარგლებს გარეთ, ამ ქვეყანაში, არაბულ ენაზე წიგნების ბეჭდვის ყოველგვარ შესაძლებლობას?

ახლა განვიხილოთ ლუი შეიხოს მეორე მოსაზრება ჰალაბში პირველი არაბული სტამბის დაარსებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით ანტიოქიის პატრიარქს, ათანასეს ვლახეთიდან ჰალაბში ჩაუყვანია ანთიმ ივერიელი, სადაც მას არაბული შრიფტი დაუმზადებია. შ. კურდღელაშვილი იხილავს რა ამ თვალსაზრისს, შემდეგ დასკვნებამდე მიდის.

პროფ. ლ. შეიხოს კარიანტი—წერს შ. კურდღელაშვილი— თითქოს ანტიოქიის პატრიარქმა ათანასემ რუმინეთიდან სამშობლოში დაბრუნებისას თან წამოიყვანა სირიაში ანთიმოზ ივერიელი და ჰალაბში სტამბის მოსაწყობად ჰალაბშივე ანთიმ ივერიელს ახალი არაბული შრიფტი დაამზადებინა, ყოველგვარ საფუძველს და დამაჯერებლობას მოკლებულად უნდა ჩაითვალოს. ჩანს ამ საკითხის გაშუქებისას არაბ პროფესორს ხელთ არ ჰქონია ანთიმოზ ივერიელის ბიოგრაფიული მონაცემები და არ სცოდნია ის ფაქტი, რომ ჰალაბის სტამბის დაარსების საორგანიზაციო პერიოდში, ე. ი. 1702—1706 წლებში¹²⁴, ანთიმოზ ივერიელი არსად არ წასულა რუმინეთიდან და კვლავინდებურად განაგრძობდა იქ ნაყოფიერ საგამომცემლო საქმიანობას, რაზედაც აშკარად მიუთითებს თუნდაც ის მკერმეტყველი ფაქტი, რომ სწორედ 1702—1706 წლების განმავლობაში ანთიმმა უნგრეთის ტერიტორიაში გამოსცა 11 სახელწოდების სხვადასხვა წიგნი“¹²⁵.

პირველ რიგში 1702—1706 წლებში ანთიმ ივერიელის მიერ გა-

¹²³ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, 1959, გვ. 120.

¹²⁴ ჰალაბის სტამბის დაარსების საორგანიზაციო პერიოდად ჩვენ უნდა ჩავთვალოთ არა 1702—1706 წლები, არამედ 1704—1706 წლები.

¹²⁵ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, 1959, გვ. 117—118.

მოცემული წიგნების რაოდენობის შესახებ, რასაც შ. კურდღელაშვილი საზღვრავს 11 სახელწოდებით. ამ ცნობის მოყვანისას შ. კურდღელაშვილი ეყრდნობა პ. კონსტანტინესკუ-იაშისა და ემილ პიკოს ნაშრომებს. სინამდვილეში ანთიმ ივერიელმა 1702—1706 წლებში გაზარდა არა 11, არამედ 17 სახელწოდების წიგნი¹²⁶. საერთოდ კი, ამ პერიოდში ანთიმ ივერიელის მიერ დაარსებულ სტამბებში დაიბეჭდა სულ 22 წიგნი¹²⁷. რაც შეეხება იმ ხუთ წიგნს, რომელთაც ზელს არ აწერს ანთიმ ივერიელი და გამოიცა მისი მოსწავლის მიხაილ იშტვანოვიჩის მიერ, ყველა ეს ხუთი წიგნი დაიბეჭდა ერთი წლის განმავლობაში და ეს წელი — 1706 წელია¹²⁸.

ამრიგად, ის ფაქტი, რომ 1706 წელს ანთიმ ივერიელის ხელი არ ჩანს დასახელებულ წელს წიგნების გამოცემის საქმეში, უკვე ეპქიკტეუმ აყენებს შ. კურდღელაშვილის მტკიცებას იმის შესახებ, რომ „ჰალაბის სტამბის დაარსების საორგანიზაციო პერიოდში, ე. ი. 1702—1706 წლებში, ანთიმ ივერიელი არსად წასულა რუმინეთიდან და კვლავინდებურად განაგრძობდა იქ ნაყოფიერ საგამომცემლო საქმიანობას“. ასეთ ვითარებაში სავსებით ბუნებრივი იქნება დაისვას კითხვა, რატომ სწორედ 1706 წელს, როდესაც ჰალაბში ანტიოქიის პატრიარქის ათანასეს ინიციატივით იბეჭდება „დავითნი“, ვლახეთის საგამომცემლო საქმიანობაში ვერ ვხედავთ ანთიმ ივერიელის უშუალო მონაწილეობის კვალს? ხომ არ შეიძლება აიხსნას ყოველივე ეს იმით, რომ ამ პერიოდში ანთიმ ივერიელს, უკვე რიმნიკის ეპისკოპოსს და საეკლესიო საქმიანობით დატვირთულს, არ გააჩნდა საშუალება გამოენახა სათანადო დრო სასტამბო საქმიანობისათვის. მაგრამ ანთიმ ივერიელი რიმნიკის ეპისკოპოსი გახდა ჯერ კიდევ 1705 წელს¹²⁹. ამ წელს კი ანთიმ ივერიელი ბეჭდავს ხუთ წიგნს¹³⁰, მაშინ როდესაც 1706 წელს მისი მონაწილეობით არ დაბეჭდილა არცერთი წიგნი¹³¹. რა იყო ამის მიზეზი? შეიძლება მართლაც სწორი იყოს ლუი შეიხო, როდესაც იგი ჰალაბში არაბული შრიფტის ჩამოსხმას უკავშირებს ანთიმ ივერიელის სახელზე, რომ ანთიმ ივერიელმა 1706 წელს დასტოვა ვლახეთი და ანტიოქიის პატრიარქის ათანასეს მიწვევით ჩავიდა ჰალაბს, რათა საფუძველი ჩაეყარა არაბული წიგნების ბეჭდვისათვის. სამწუხაროდ, ჯერჯერობით

¹²⁶ Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 720—734

¹²⁷ იქვე, გვ. 719—734.

¹²⁸ იქვე, გვ. 730—734.

¹²⁹ E. Hurmuzaki, Documente, vol XIV, par II, გვ. 401. -

¹³⁰ Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 726—730.

¹³¹ იქვე, გვ. 730—734.

არ არსებობს ამის დამამტკიცებელი რაიმე კონკრეტული საბუთი. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ანთიმ ივერიელი 1706 წელს არ ბეჭდავს წიგნებს ვლახეთში. მეტად საყურადღებოა. ამიტომაც არ შეიძლება კატეგორიულად მტკიცება იმისა, რომ ანთიმ ივერიელს არ დაუტოვებია ვლახეთი აღნიშნულ პერიოდში, და აქედან გამომდინარე, მას არ შეეძლო ჰალაბში არაბული შრიფტის დამზადება.

ამრიგად, როგორც ჩვენ ვნახეთ, არაბეთში პირველი არაბული სტამბის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით მთელ რიგ მკვლევრებს გამოთქმული აქვთ მეტად თუ ნაკლებად დასაბუთებული შეხედულებები და ამ შეხედულებათა შორის არსებობს სხვაობა.

მაგრამ ის, რაც არავითარ ეჭვს არ იწვევს და რაზედაც არ შეიძლება გამოითქვას ორი აზრი, მდგომარეობს შემდეგში: ვიდრე ანტიოქიის პატრიარქი ათანასე ეწვეოდა ვლახეთს, არაბეთში არ არსებობდა ეროვნული სტამბა. ანთიმ ივერიელმა ათანასე პატრიარქის მოთხოვნით 1701—1702 წლებში პირველმა დაბეჭდა ვლახეთში ბერძნულ-არაბულ ენებზე სალიტურგო წიგნები, რომლებიც უსასყიდლოდ გადაეცა ანტიოქიის საპატრიარქოს მართლმადიდებელ არაბებს. ანტიოქიის პატრიარქის ათანასეს ვლახეთიდან სირიაში დაბრუნების შემდეგ ჰალაბში საფუძველი ეყრება პირველ ეროვნულ არაბულ სტამბას, სადაც 1706 წელს დაიბეჭდა „დავითნი“, რომლის სატიტულო ფურცლის მეორე გვერდზე გამოსახულია ვლახეთის სამთავროს ღერბი¹³². ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ არაბეთში წიგნების ბეჭდვა გადმოინერგა ვლახეთიდან; ხოლო გამომდინარე იმ გარემოებრიდან, რომ ქლახეთში მთელი ბეჭდვითი საქმიანობა დაკავშირებული იყო ერთადერთ სახელთან — ანთიმ ივერიელის სახელთან¹³³, რომელმაც ვლახეთში გადააქცია წიგნების ბეჭდვის ცენტრად მთელ აღმოსავლეთისათვის¹³⁴; ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჰალაბში პირველი არაბული ეროვნული სტამბის დაარსება და ამ სტამბაში დაბეჭდილი წიგნების შრიფტის დამზადება უშუალოდ ანთიმ ივერიელის მონაწილეობით განხორციელდა.

ახლა კი დავუბრუნდეთ ანთიმ ივერიელის მოღვაწეობას სწავლის მონასტრის სტამბაში.

1701 წელს ანთიმ ივერიელი ბერძნულ ენაზე ბეჭდავს წიგნს

¹³² I. Ramureanu, Antim Ivireanul si legalurile sele cu credinciosii din Patriarhia Antiochiei, გვ. 841—842.

¹³³ A. Xenopol, Istoria romnilor din Dacia Traiana, vol. VIII, Buc. 1929, გვ. 247.

¹³⁴ Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, B. XI, Heft 4.

„ლოცვანი“ 359 გვერდის მოცულობით. აღსანიშნავია, რომ ამ წიგნს, წინასიტყვაობაში, რომელსაც ანთიმ ივერიელი მთავარ კონსტანტინე ბრინკოვიანუს უძღვნის, შემდეგია ნათქვამი: „იგი (ანთიმ ივერიელი — ო. გ.) თავის სიყვარულსა და პატივისცემას მთავრისადმი გამოხატავს იმით, რომ ბექდავს წიგნებს“¹³⁵. როგორც ჩანს, „ლოცვანის“ გამოცემა ანთიმ ივერიელს განზრახული ჰქონია ბუქარესტში არსებული სკოლის მსმენელთათვისაც. „ის ვინც ამ წიგნს გაეცნობა — წერდა ანთიმ ივერიელი — ჩემის აზრით მიიჩნევს მას საჭიროდ და აუცილებლად ყველა მართლმადიდებლისათვის, პირველ რიგში ღვთისმსახურთა, ხოლო შემდეგ მეცნიერების ყველა მოყვარულისა და თვით სწავლულთათვის“¹³⁶. ამ სიტყვებიდან ჩანს, თუ რა მიზნით და ბექდა ამთიმ ივერიელმა „ლოცვანი“:

1701 წელს ანთიმ ივერიელმა გამოსცა ბერძნულ ენაზე „ათონის წმიდა მთის სამლოცველო“ 146 გვერდის მოცულობით და ამით ამთავრებს თავის, როგორც ბექდავის საქმიანობას სნაგოვოს მონასტერში, იმავე წელს ანთიმ ივერიელი აგრძელებს წიგნების ბექდავას უკვე ბუქარესტის სტამბაში.

1701 წელს ბუქარესტის სტამბაში გამოდის „სახობო სიტყვა მოციქულთა სწორის დიდი კონსტანტინეს შესახებ“. ეს იყო პატარა წიგნაკი, სულ 14 გვერდის მოცულობით. წიგნაკი იმითაა საყურადღებო, რომ მისი ორი გვერდი დაბეჭდილია ლათინურ ენაზე¹³⁷, რაც იმის მჩვენებელია, რომ ბუქარესტის სტამბას გააჩნდა ლათინური შრიფტიც.

იმავე 1701 წელს ანთიმ ივერიელი ბექდავს ბერძნულ ენაზე პატარა ფორმატის ოთხ წიგნაკს: „შესხმა ქრისტესათვის პირველწამებულის სტეფანესი“, „ღვთისმსახურება წმიდისა დედის ჩვენისა მატრუნე ხიოპოლელისა“ და სხვ.

1702 წელი ანთიმ ივერიელის, როგორც მესტამბის, საქმიანობაში აღინიშნება მხოლოდ ერთი წიგნის გამოცემით. ეს წიგნია ბერძნულ-არაბულ ენებზე დაბეჭდილი „ეამნი“, რომლის შესახებ ჩვენ უკვე აღრეგქონდა საუბარი. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ წიგნის 732-ე გვერდზე არაბულად შემდეგია დაბეჭდილი: „გვედრები და გაფიცებ, ძმანო პატიოსანნო, რომელნი იკითხვიდეთ წიგნსა ამას, რათა შემინდოთ მბეჭდველსა ამისსა ცთომილებანი და სიმრუდენი, რომელ მექნას, ვინაითგან არაბული ენა უცხოა ჩემთვის და მე, ვითარცა კაცი, ცოდვილ ვარ და ვცთები, რამეთუ არავინ არს სრული, გარნა ღმერთი მხოლოდ და

¹³⁵ Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 717.

¹³⁶ იქვე.

¹³⁷ იქვე. გვ. 719.

იბეჭდა ბუქარესტსა უნგროვლახეთისასა, ხელითა ანთიმოზ მღვდელ-
ჭონაზენისათა, ძირად ქართველისა, წელსა 1702 ქრისტესით, თვესა პა-
ზირანსა (ივნისსა)“¹³⁸.

1703 წელს ანთიმ ივერიელმა გამოსცა „ბიბლია“ 209 გვერდის
მოცულობით, რომელიც წარმოადგენდა 1688 წელს ბერძნულ ენაზე
დაბეჭდილი ბიბლიის¹³⁹ თარგმანს რუმინულ ენაზე. ამრიგად, ბიბლია
პირველად იქნა გამოცემული ვლახეთში რუმინულ ენაზე.

ამავე წელს ანთიმ ივერიელმა ბერძნულ ენაზე გამოსცა წიგნი „დოგ-
მატიკური სწავლებანი“. ეს წიგნი მან მიუძღვნა იერუსალიმის პატრი-
არქს დოსითეოსს. „დოგმატიკური სწავლებანი“, ისევე როგორც ადრე
გამოცემული წიგნები „ორთოდოქსალური აღსარება... წინასწარი გა-
დამოცემა სამი უდიდესი სიკეთის შესახებ“ და „აღმოსავლეთის ეკლესი-
ის დოგმების შესახებ“, მიმართული იყო რომანულ-კათოლიკური ეკ-
ლესიის წინააღმდეგ და იცავდა ორთოდოქსალური მართლმადიდებლუ-
რი ეკლესიის დოგმებს.

1703 წელსვე ანთიმ ივერიელი ბეჭდავს კიდევ ოთხ წიგნს: ორ
წიგნს ბერძნულ ენაზე („განმარტება და ღვთისმსახურება ტაძრის კურ-
ბნევისა“ 25 გვერდის მოცულობით და „შესხმა მარადქალწული
ღვთისმშობლის დიდებული მიძინებისა“ 18 გვერდის მოცულობით),
ერთ წიგნს სლავურ-რუმინულ ენებზე („ჟამნი“ 732 გვერდის მოცუ-
ლობით), და ერთ წიგნს რუმინულ ენაზე („ლოცვანი“ 88 გვერდის მო-
ცულობით).

1704 წელს ბუქარესტის სტამბაში ანთიმ ივერიელმა გამოსცა ბერ-
ძნულ ენაზე „მცირე სიტყვა ქვეყნისმხსნელი ვნების შესახებ ღმერთ-
ჯაცის სიტყვისა“ 16 გვერდის მოცულობით და „პლუტარქოს ხერონე-
ლის ბერძნულ-რომაული პარალელები“ 88 გვერდის მოცულობით.

1705 წელს ივერიელი ბეჭდავს ბერძნულ ენაზე მცირე მოცულო-
ბის წიგნს „ღვთისმსახურება წმიდისა მამისა ჩვენისა ბესარიონის, არ-
ჩიებისკოპოსისა საკვირველმოქმედი ლარისისა“. ამ წიგნის გამოცემით
წყდება ანთიმ ივერიელის მოღვაწეობა ბუქარესტის სტამბაში, ვინაი-
დან მას ირჩევენ რიმნიკის ეპისკოპოსად, როგორც „რჩეულს ვლახე-
თის რჩეულ წინამძღვართა შორის“¹⁴⁰. ანთიმ ივერიელი რიმნიკის
ეპისკოპოსად აირჩიეს ნაცვლად ეპისკოპოს ნილარიონისა, რომელიც გა-

¹³⁸ ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935, გვ. 176.

¹³⁹ იხ. ამ წიგნის გვ. 101—102.

¹⁴⁰ E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par. II, გვ. 401.

დაყენებულ იქნა რომანულ-კათოლიკურ ეკლესიის მხარდაჭერისათვის¹⁴¹.

რომნიკის ეპისკოპოსად დანიშვნის შემდეგ ამ ქალაქში ანთიმ ივერიელი აარსებს პირველ სტამბას¹⁴². მან სწავლიდან ჩამოიტანა¹⁴³ რუმინული და ბერძნული შრიფტ-კასა, სასტამბო მოწყობილობანი და ფართოდ გაშალა ბეჭდვითი საქმიანობა.

პირველი წიგნი, რომელიც ანთიმ ივერიელმა რომნიკის სტამბაში დაბეჭდა, იყო ბერძნულ ენაზე გამოცემული „ღღესასწაულთა წიგნი“ (40 გვერდის მოცულობით. წიგნი ტექნიკურად იმდენად შესანიშნავად იყო შესრულებული, რომ სპეციალისტთა ერთსულოვანი აღიარებით, იგი შეიძლება ჩაითვალოს ბეჭდვითი ხელოვნების ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშად.

1705 წელს რომნიკის სტამბაში დაბეჭდა რუმინულ ენაზე სამი წიგნი: „ანთოლოგონი“ 406 გვერდის მოცულობით, „მკირე სწავლებანი“ აღსარების საიდუმლოების შესახებ“ 25 გვერდის მოცულობით და „ბიბლია“ 406 გვერდის მოცულობით.

1706 წელს, მიხაილ იშტვანოვიჩი, რომელიც კონსტანტინე ბრინკოვიანუს განკარგულებით ტრანსილვანიას იმყოფებოდა¹⁴⁴, ჩანს, ისევე უბრუნდება თავის მასწავლებელს—ანთიმ ივერიელს. 1706 წელს რომნიკის სტამბაში გამოცემული ყველა წიგნი მიხაილ იშტვანოვიჩის მიერაა დაბეჭდილი. აღნიშნულ წელს რომნიკის სტამბაში გამოიცა რუმი-

¹⁴¹ ილარიონის ეპისკოპოსობიდან ვადაყენების თაობაზე საეკლესიო სიგელში შემდეგია ნათქვამი: „რადგან ილარიონმა, ყოვილა რომაეის ეპისკოპოსმა, დაუშვა მრავალი შეცდომა, იგი წარსდგა მისი უღირებულებობის კონსტანტინე ბრინკოვიანუს განკარგულებით მოწვეულ საეკლესიო კრებას წინაშე. ერთ-ერთი ბრალდება, რომელიც ილარიონს წარუყენეს, იმაში მდგომარეობდა, რომ მან ნება დართო რომის პაპის კურთხის მომხრეებს აეშენებიათ თავისი ეკლესია რომში“... *Cordica Sfînta a Mitropoliei Ungro-Vlahiei*, ed. G. E n a c e a n u, Buc. 1886, გვ. 95.

¹⁴² ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით ანთიმ ივერიელს სახელთანა დაკავშირებული რომნიკის საეპისკოპოსო ეკლესიის მოხატვა: „ანთიმ ივერიელი იყო არა მხოლოდ შესანიშნავი მბეჭდავი — წერდა იორგა — არამედ ვანუქორებული კალიგრაფი. იგი იყო აგრეთვე ჩინებული ხეზე ამოჭრელი და გრაფიორი. ანთიმ ივერიელი შესანიშნავი მხატვარი იყო. ტრადიცია მას მიაწერს რომაეის საეპისკოპოსო ეკლესიის მოვატვას“... *N. Iorga, Istoria literaturii romanesti*, II, გვ. 465, იხ. აგრეთვე *Cordica Sfînta...* გვ. 187 გვ. 116, E. Picot... გვ. 520, A. I. Mironescu, *Istoria Eparhiei Rîmnicului-Noul Severin*, Buc. 1906, გვ. 93, I. Bedulscu, *Mitropolitul Ungro-Vlahiei Antim Ivireanul (1708—1716)* Buc. 1893, გვ. 16.

¹⁴³ A. I. Mironescu, *Istoria Eparhiei Rîmnicului-Noul Severin*, Buc. 1906, გვ. 91.

¹⁴⁴ I. R a m u r e a n u, *Mitropolitul Antim Ivireanul aparator al Romînilor ortodocsi din Transilvania*, გვ. 836.

ნულ, ბერძნულ და სლავურ ენებზე დაბეჭდილი ხუთი დასახელების წიგნი¹⁴⁵. ეს წიგნებია: „ღვთისმსახურება ღვთისმშობლისა“ — 114 გვერდის მოცულობით, რუმინულ და სლავურ ენებზე; „ლოცვანი“ — 461 გვერდის მოცულობით, რუმინულ ენაზე; „ოქტოხი“ — 86 გვერდის მოცულობით, რუმინულსა და სლავურ ენებზე; „სიტყვა ღმერთ-კაცის მსწრელ ვნებაზე“ — 51 გვერდის მოცულობით, ბერძნულ ენაზე და „შესხმა იერარქებში საკვირველმოქმედი დიდი ნიკოლაისისა“ — 23 გვერდის მოცულობით, ბერძნულ ენაზე.¹⁴⁶

1707 წელს მიხაილ იშტვანოვიჩი რიმნიკის სტამბაში ბერძნულ ენაზე ბეჭდავს მცირე მოცულობის წიგნს „სიტყვა წარმოთქმული იესო ქრისტეს სადიდებლად“, წიგნაკი მოიცავს 44 გვერდს.

1708 წლის 27 იანვარს გარდაიცვალა მიტროპოლიტი თეოდოსე, რომელიც 40 წლის მანძილზე სათავეში ედგა სასულიერო იერარქიას ვლახეთში¹⁴⁷. თეოდოსე დაკრძალეს დიდის ამბით. დაკრძალვას დაესწრნენ ალექსანდრიისა და იერუსალიმის პატრიარქები, ვლახეთის მთელი სამღვდელთა, კონსტანტინე ბრინკოვიანუ თავისი სამეფო კარით, წარჩინებული ბოიარები და უამრავი ხალხი. მიტროპოლიტმა თეოდოსემ დასტოვა ანდერძი, რომლის მიხედვითაც ვლახეთის მიტროპოლიტობას უტოვებდა რიმნიკის ეპისკოპოსს ანთიმ ივერიელს. აი, როგორ აღწერს მემბტიანე რადუ გრეჩანუ ანთიმ ივერიელის ვლახეთის მიტროპოლიტად არჩევას: მიტროპოლიტ თეოდოსეს დაკრძალვის შემდეგ მისი ბრწყინვალეობა კონსტანტინე ბრინკოვიანუ წმიდა პატრიარქებთან, არქიელებთან და თავის ბოიარებთან ერთად შევიდა მეუფის პალატებში (ვლახეთის მიტროპოლიტის სასახლე — ო. გ.) სადაც დაიწყეს თათბირი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მეუფედ, რომელიც შესძლებდა ქრისტეს სამწყსოს მოვლა-პატრონობას და სახელის გათქმას. აწ განსვენებული წმიდა მამის მიტროპოლიტ თეოდოსეს ანდერძის მიხედვით მისი გარდაცვალების შემდეგ მრევლის მწყემსად უნდა ყოფილიყო რიმნიკის ეპისკოპოსი ანთიმი. ამიტომაც, მოიტანეს ეს ანდერძი და წაუკითხეს ყველა იქ დამსწრეს. ამის შემდეგ პატრიარქებმა, არქიელებმა და ბოიარებმა ერთხმად განუცხადეს მის ბრწყინვალეობას: ვინაიდან განსვენებულ მიტროპოლიტს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ მისი ადგილი შემდგომში დაეკავებია რიმნიკის ეპისკოპოსს, დაე აღსრულდეს მისი სურვილი და არ იქნეს სხვა ვინმე არჩე-

¹⁴⁵ Biserica Ortodoxa Romîna, № 8—9, 1950, გვ. 730—734.

¹⁴⁶ იხ. ამ წიგნის გვ. 179—181.

¹⁴⁷ C. Engel, Geschichte des Ungarischen Reichs und seiner Nebenländer, Band II, 1804, გვ. 219.

ული მეუფედ თუ არა წმიდა მამა ანთიმი. როდესაც მისმა ბრწყინვალებამ დაინახა რა, რომ ეს ყველას სურვილია და ყველა ასე თვლის საქიროდ, დაიბარა იგი (ანთიმი — ო. გ.) მეუფის სახლში, სადაც გადასცეს მას მიტროპოლიტის კვერთხი. სასახლეში დაბრუნების შემდეგ მისმა ბრწყინვალებამ გაგზავნა ჩიოხოდარი (მსახური — ო. გ.) გლიგორაშკო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მსოფლიო საყდარში თხოვნით, რათა თანახმად საეკლესიო წესებისა, ნება დაერთოთ მისი (ანთიმის — ო. გ.) გადაყვანისა და გადაადგილებისა. დავალების შესრულების შემდეგ ჩიოხოდარი გლიგორაშკო დაბრუნდა უკან 19 თებერვალს და თან ჩამოიტანა პატრიარქის, კონსტანტინოპოლის ეგზარქოსის წერილი, რომლითაც იგი უფლებით მოსავდა მამა კლიმენტი ოდრისელს მოეხდინა რიმნიკის ეპისკოპოსის ანთიმის გადაყვანა. ამრიგად, 21 თებერვალს იგი გადაყვანილ იქნა რიმნიკის საეპისკოპოსოდან სამიტროპოლიტოში. მეორე დღეს, 22 თებერვალს, ლიტურგიის შემდეგ, რომელსაც წირავდა ალექსანდრიის პატრიარქი, მისმა ბრწყინვალებამ გაგზავნა დიდი პოსტელნიკი (ბოიარის წოდება — ო. გ.) სტეფანე კანტაკუზენი მთავრის დიდებული კარეტით სამიტროპოლიტოში, რათა ეთხოვათ მისთვის (ანთიმისათვის — ო. გ.) მთავრის სასახლეში მოზრძანება. სტეფანე კანტაკუზენს თან ახლდა დიდებული ამაღა. სასახლეში მოსვლის შემდეგ მიტროპოლიტი ანთიმი სადარბაზო კიბით შეიყვანეს სახელმწიფო საბუკოს სხდომის ოთახში. აქ მას დახვდა მისი ბრწყინვალება კონსტანტინე ბრინკოვიანუ, რომელიც ხელზე ეამბორა მიტროპოლიტს და გულწრფელი სიტყვებით უსურვა ბედნიერი მწყემსობა, რომელიც მას წილად ჰვდა.

მცირე ხნის საუბრის შემდეგ მისმა ბრწყინვალებამ მიიპატიოა ყველანი მეორე ოთახში, სადაც გაუმასპინძლდა მათ. ბოიარები ულოცავდნენ და ხელზე ეამბორებოდნენ მიტროპოლიტს, რის შემდეგ მისი უწმიდესობა დიდი პოსტელნიკის თანხლებით ისევ დაბრუნდა სამიტროპოლიტოში¹⁴⁸.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აქტში, რომელიც ეხება რიმნიკის ეპისკოპოსის ანთიმ ივერიელის დანიშვნას უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად, შემდეგია ნათქვამი: „იყო არჩეული სხვათაგან განსხვავებით, როგორც ყველაზე შესაბამი ღვთისმოყვარე ეპისკოპოსი რიმნიკიდან ანთიმი, რათა მიეღო სამღვდელმთავრო და სამწყსო გამგეობა ამ

¹⁴⁸ Radu vel logofal Grecianu, Viata lui Constantin Brincoveanu, Bucuresti, 1906, გვ. 181—182.

სამიტროპოლიტოსი, როგორც კაცს, პატიოსანსა და ღვთისმოსავს, რაც ზედმიწევნით საჭიროა სამღვდელმთავრო ხარისხისათვის“¹⁴⁹.

ხოლო წინამძღვარი ნიკიფორე მარტალისი წერდა: „მოვიდა დიდი ადამიანი ვლახეთის მიწაზე, მოიტანა სინათლე ღვთაებრივმა ანთიმმა, უნგრო-ვლახეთის იერარქმა, შვილმან ბრძენ ივერთა პოდგმისა. ღმერთმა იგი დააჯილდოვა სიბრძნის უშრეტი წყაროთი, რათა მას მოემოქმედა კეთილი საქმენი და თავისი სტამბით მოეტანა სარგებლობა ხალხისათვის ამ ქვეყნად“¹⁵⁰.

ანთიმ ივერიელმა შეიყვარა ქვეყანა, რომელიც მის მეორე სამშობლოდ იქცა. მან შეისისწლხორცა ხალხი, რომელმაც სამკვიდრომოკლებული ადამიანი პირმშო შვილივით მიიღო და შეიფარა. ვლახელი ხალხის ბედნიერება თუ გასაჭირი ანთიმ ივერიელის პირად ბედნიერებად და გასაჭირად გადაიქცა. თუ მიტროპოლიტად არჩევამდე ანთიმ ივერიელი მხოლოდ წიგნების ბეჭდვით ემსახურებოდა ვლახელ ხალხს და შეჰქონდა „სინათლე“ ვლახეთის ცხოვრებაში, უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად გახდომის შემდეგ, მისი საქმიანობა საგრძნობლად სცილდება კულტურული მოღვაწეობის ფარგლებს. ერთ დროს თურქთა ხელში მონად ნამყოფი ანთიმ ივერიელი, რომელსაც თვალწინ ედგა უცხოელ დამპყრობელთაგან დარბეული და აწიოკებული საქართველო, ვლახეთში ჩასვლის შემდეგ მოწმე ხდება არანაკლები ძალმომრეობისა, რომელსაც განიცდიდა სულთნის თურქეთის ბატონობის ქვეშ მყოფი ვლახელი ხალხი. მიტროპოლიტად არჩევის შემდეგ ანთიმ ივერიელი არ უშვებს შემთხვევას, ერთის მხრივ, საჯაროდ ამხილოს თურქი მოძალადეები, რომლებიც უსირცხვილოდ ძარცვავდნენ ქვეყანას, ხოლო, მეორეს მხრივ, შთაუწერგოს ვლახელებს სიძულვილი უცხოელი დამპყრობლებისადმი. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მოვიყვანოთ ნაწყვეტი სიტყვიდან, რომელიც წარმოთქვა ანთიმ ივერიელმა მისი მიტროპოლიტად არჩევის დღეს: „ამიტომაც არ არის სასწაული ~~ფირფხოსო-მსმენელებო~~ და პატიოსანხო და კჳთილშობილხო ბოიარებო, რომ მე მცირე და მორჩილი ადამიანი ამორჩია ღმერთმა და დამაყენა პატარა მწყემსად პატარა ფარისა, თქვენთან, რომელსაც ჩემის მხრივ მე ვთვლი არა მცირე ფარად, არამედ მაღალ და დიდად... მართლმადიდებლობა თქვენ შეინარჩუნეთ წმიდად და შეუბღალავად, მიუხედავად იმისა, რომ გარშემორტყმულნი, შებოქილნი ხართ უცხო ხალხთა ძალმომრეობით და განიცდით აურაცხელ გასაჭირსა და უბედულ-

¹⁴⁹ E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par II.

¹⁵⁰ Biserica Ortodoxă Română, № 8—9, 1953, pag. 738.

რებას, რაც ყოველთვის გამომდინარეობს იმათგან, ვინც თვითნებურად ბატონობს ამ მიწა-წყალზე... თუმცა მე ვიყავი უღირსი და უმცროსი სხვათა შორის, ვითარცა დავითი იყო უმცროსი თავის ძმებს შორის, ღმერთმა არ შეხედა ჩემს სიღარიბეს და უცხოელობას, არა-რად ჩათვალა ჩემი უბრალოება... დაე, თქვენთან ერთად მე თავს გადამხდეს ყოველგვარი გასაქირი, რასაც გვარგუნებს ჩვენ დრო და ეამი“¹⁵¹.

თუმცა ჩვენს მიერ აქ მოყვანილ ციტატაში ანთიმ ივერიელი უშუალოდ არ ასახელებს თურქებს, მაგრამ მისი მხრივ ისიც დიდი გამბედაობა იყო, რომ ვლახეთში თურქთა სრული ბატონობისა და თვითნებობის პერიოდში საჯაროდ ლაპარაკობდა ვლახელი ხალხის მიმე მდგომარეობის შესახებ და ვლახელების გაქირვებისა და ტანჯვა-ვაების მიზეზად ასახელებდა „უცხო ხალხის ძალმომრეობას“. რასაკვირველია, ერთი იოტიტაც არავის ეპარებოდა ეკვი, რომ ამ „უცხო ხალხში“ ანთიმ ივერიელი თურქებს გულისხმობდა.

ფუქი არ აღმოჩნდა ანთიმ ივერიელის სიტყვები, რომლითაც მან ვლახელ ხალხს მიმართა მიტროპოლიტად არჩევის დროს. ანთიმ ივერიელმა ვლახელ ხალხთან ერთად გადაიტანა არა მხოლოდ გასაქირი, რომელიც მათ „დრო და ეამმა არგუნა“, არამედ მან თავისი სიცოცხლე შესწირა ვლახელი ხალხის განთავისუფლების საქმეს უცხოელ დამპყრობთა მონობის უღლისაგან.

როგორც უკვე ზევით იყო ნათქვამი, 1708 წელს ანთიმ ივერიელი აირჩიეს უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად¹⁵². მიუხედავად იმისა, რომ ამ თანამდებობაზე ანთიმ ივერიელი მეტად დატვირთული იყო როგორც სასულიერო, ასევე სახელმწიფოებრივი საქმიანობით, „მან მაინც არ დაივიწყა თავისი საყვარელი ხელობა, რომელიც მისთვის ესოდენ ძვირფასი იყო და რომლის მწვერვალზედაც იგი თავისი საოცარი ნიჭის წყალობით ავიდა“¹⁵³. მიტროპოლიტად არჩევის შემდეგ ანთიმ ივერიელი თავის რეზიდენციაში, ტირგოვიშტეში (იმდროინდელი ვლახეთის დედაქალაქი) აარსებს ახალ სტამბას.

ტირგოვიშტეს სტამბაში ანთიმ ივერიელმა 1709 წელს ბერძნულ ენაზე დაბეჭდა „ყოველწლიური წიგნი ყველა საეკლესიო ღვთისმსახურებათა შესახებ“. წიგნის მოცულობა 973 გვერდი.

1710 წელს ტირგოვიშტეს სტამბაში გამოიცა: „მეფე ალექსი კონსტანტინის სამხედრო დოგმატიკა“ 194 გვერდის მოცულობით, ბერძნულ ენაზე, „წიგნი შემცველი მღვდელმსახურებისა წმიდა ეკატერინეს და

¹⁵¹ N. I o r g a, Istoria literaturii românești în secolul al XVIII—lea, გვ. 422.

¹⁵² E. H u r m u z a k i, Documente, vol. XIV, par. I, გვ. 629.

¹⁵³ Biserica Ortodoxa Română, № 8—9, 1956, გვ. 731.

წმიდა სინას მთის სამლოცველოსი“ 50 გვერდის მოცულობით, ბერ-
ინულ ენაზე, „საეკლესიო სწავლებანი“ 45 გვერდის მოცულობით რუ-
მინულ ენაზე. ამ უკანასკნელი წიგნით ანთიმ ივერიელი კიდევ ერთხელ
იმაღლებს ხმას სასულიერო პირთა შორის არსებული „უეციკობისა და
სიბნელის“ წინააღმდეგ. წიგნის წინასიტყვაობაში იგი ხაზგასმით აღ-
ნიშნავს, რომ „მთელ რიგ უბედურებათა შორის, რაც ადამიანის
სულსა და გულს სასტიკად ანადგურებს და ამახინჯებს, ყველაზე
უფრო საშიშელია გაუნათლებლობა, უცოდინარობა და აზრის შეზღუ-
დულობა“¹⁵⁴.

ამავე 1710 წელს ტრავოვიშტეს სტამბაში ანთიმ ივერიელი რუ-
მინულ ენაზე ბეჭდავს „დავითნს“ 462 გვერდის მოცულობით.

1711 წელს ვლახეთში პოლიტიკური მდგომარეობის გართულე-
ბასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, ანთიმ ივერიელს არ ეძლევა სა-
შუალება სათანადო ყურადღება დაუთმოს წიგნების ბეჭდვას. ამ წელს
ვლახეთში არ გამოდის არც ერთი წიგნი. საქმე იმაშია, რომ 1711 წელს
დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, რომლის უშუალო მონაწილე ვლახეთი
გახდა. ასეთ ვითარებაში კი ვლახეთის მიტროპოლიტი ანთიმ ივერი-
ელი, რომელიც თანამდებობის მიხედვით ვლახეთის სამთავროში კონს-
ტანტინე ბრინკოვიანუს შემდეგ პირველ პირად ითვლებოდა¹⁵⁵, ცხა-
დია, მთლიანად დაკავებული იქნებოდა სახელმწიფოებრივი საქმიანო-
ბით. რუსეთ-თურქეთის ომის საკითხებს, კერძოდ, კი, პეტრე პირველის
პრუტის ლაშქრობას და ამ ლაშქრობასთან დაკავშირებით ანთიმ ივერი-
ელის როლს, ჩვენ სპეციალური თავი მიუძღვენით¹⁵⁶. აქ მხოლოდ
რჩიოდე სიტყვით აღვნიშნავთ.

რუსეთ-თურქეთის ომის დასაწყისში კონსტანტინე ბრინკოვიანუს
ორიენტაცია აშკარად პირდაპირ რუსეთზე ჰქონდა აღებული. მაგ-
რამ საომარ მოქმედებათა მსვლელობაში კონსტანტინე ბრინკოვიანუმ
დაიწყო ყოყმანი, აირჩია ლოდინისა და ლავირების პოლიტიკა: ვის-
კენ გადაიხრებოდა გამარჯვების სასწორი — რუსებისა თუ თურქე-
ბისაკენ, რომ საბოლოოდ მიმხრობოდა გამარჯვებულს. ბრინკოვი-
ანუს ასეთმა პოლიტიკამ უკმაყოფილება გამოიწვია ვლახელ ბოიარ-
თა გარკვეულ წრეებში, რომლებიც ვლახეთის კეთილდღეობას რუსუ-
ლი იარაღის გამარჯვებას უკავშირებდნენ. ანთიმ ივერიელმა, რომე-
ლიც სათავეში ჩაუდგა „რუსული ორიენტაციის“ ჯგუფს, ბუქარესტის

¹⁵⁴ C. Eribiceanu, *Invatatura bisericeasca a Vladicai Antim*, იხილეთ
Biserica Ortodoxa Romina, an. XIV (1052—1893) გვ. 775.

¹⁵⁵ N. Iorga, *Istoria Bisericii Romancsti*, ed. II, 1930, გვ. 55.

¹⁵⁶ „პეტრე პირველის პრუტის ლაშქრობა და ანთიმ ივერიელი“ იხ. ამ წიგნის გვ.
250—288.

მახლობლად ჰურა-ურლაცილორეში, ბრინკოვიანუს ფარულად შეკრიბა თავისი თანამოაზრე ბოიარები. ამ სხდომაზე გადაწყდა, მიუხედავად კონსტანტინე ბრინკოვიანუს პოლიტიკური კურსისა, ყოველმხრივი და-
ხმარება აღმოეჩინათ რუსებისათვის. კერძოდ, ანთიმ ივერიელის მითა-
თებით მათ გაგზავნეს ვლახთა ჯარების სპატარი (მხედართმთავარი)
თომა კანტაქუზენი პეტრე პირველთან მოსალაპარაკებლად, რომელიც
ამ დროს იასში იმყოფებოდა და აღუთქვეს მას ყოველმხრივი ხელის-
შეწყობა. როგორც ცნობილია, რუსეთ-თურქეთის ომი დამთავრდა
თურქების გამარჯვებით სტანილეშტთან, რაც გამოწვეული იყო იმ გა-
რემოებით, რომ თურქებს რუსებთან შედარებით გაცილებით მეტი
ჯარი ჰყავდათ.

ომის დამთავრების შემდეგ კონსტანტინე ბრინკოვიანუსათვის, რა-
საკვირველია, ფარული არ დაჩებოდა ანთიმ ივერიელის როლი „ჰუ-
რა-ურლაცილორეს შეთქმულების“ საქმეში. სწორედ ამიტომ უსაყვე-
დურებდა იგი ანთიმ ივერიელს „პოლიტიკურ საქმეებში“ ჩარევას. ამ-
ტომ იყო. რომ პროთურქული ორიენტაციის მეისტორიე რადუ გრე-
ჩანუ ვლახეთის სამეფო კარის ქრონიკის აღწერის დროს, ანთიმ ივერი-
ელის შესახებ გულისწყრომით ამბობდა: „ოო!.. როგორი უგუნურობაა
და როგორ არ შეფერის სასულიერო პირს ჩაერიოს პოლიტიკურ საქ-
მიანობაში და გამოავლინოს თავისი თავი, როგორც მემამბოხე; მოუ-
ტანოს უბედურება თავის სამწყსოს და თავის კეთილისმყოფელს (კონ-
სტანტინე ბრინკოვიანუს — ო. გ.), რომელმაც აღამალლა და განადი-
და იგი, როგორც მეუფე. ასეთი მოქმედება ხომ მტრული და შეუწყნა-
რებელია და არაა სასურველი არც ადამიანისა და არც ღმერთისა-
თვის“¹⁵⁷. ასე წერდა რადუ გრეჩანუ. მაგრამ მიუხედავად თავისი უკმა-
ყოფილებისა, როგორც ჩანს, ბრინკოვიანუს მაინც არ გაუცია მიტ-
როპოლიტი ანთიმ ივერიელი თურქებისათვის. ეს გასაგებობაა. თუ
ბრინკოვიანუს ორჭოფულმა მოქმედებამ საბოლოო ანგარიშში იგი
ვლახელი ხალხის ინტერესების მოღალატედ გამოიყვანა და ვლახეთი
ისევ თურქეთის ბატონობის ქვეშ დასტოვა, ეს შედეგი იყო მისი გაუ-
ბედავი და ლავირების პოლიტიკისა და არა სურვილისა. ამიტომ იყო,
რომ კონსტანტინე ბრინკოვიანუს, მიუხედავად ზემოთქმულისა, მაინც
არ უნდოდა კონფლიქტის გამწვავება ანთიმ ივერიელთან. მაგრამ ოტო-
ნანთა იმპერიის გამარჯვების შემდეგ თურქული ორიენტაციის მქონე
ვლახელი ზოიარები თუ სასულიერო პირნი, სარგებლობდნენ რა შექმ-
ნილი სიტუაციით, ყოველმხრივ ცდილობდნენ ანგარიშის გასწორებას

¹⁵⁷ Radu vel logofat Grecianu, Viala lui Conslantin Brincoveanu, Bucuresti, 1906, გვ. 205—206.

რუსეთის მოპქრეებისათვის და პირველ რიგში ანთიმ ივერიელისათვის.

ასე, მაგალითად, 1712 წლის 13 იანვარს ანთიმ ივერიელთან მივიღა კონსტანტინე ბრინკოვიანუს სულიერი მამა მიტროფანე ნისელი და გადასცა ვლახეთის მთავრის მოთხოვნა, რომ თუ ანთიმ ივერიელი 15 დღის განმავლობაში თავისი ნებით უარს არ იტყოდა მიტროპოლიტობაზე, მაშინ ბრინკოვიანუ მიმართავდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საყდარს თხოვნით, რათა ჩამოერთვათ მისთვის სასულიერო წოდება¹⁵⁸.

მიტროფანე ნისელთან საუბრის მესამე დღეს, 15 იანვარს საღამოთი, ანთიმ ივერიელმა ინახულა კონსტანტინე ბრინკოვიანუ და ჰქონდა მასთან „საიდუმლო“¹⁵⁹ მოლაპარაკება, რის შემდეგ ანთიმ ივერიელმა განუცხადა ვლახეთის მთავარს, რომ იგი თავის ნებით სტოვეებს მიტროპოლიტობას. მაგრამ ამასთანავე მან დაუტოვა კონსტანტინე ბრინკოვიანუს მოხსენებითი ბარათი, რომ ამ ბარათს გასცნობოდა ის პირი, ვინც მის ადგილს დაიკავებდა შემდგომში, „რათა დარწმუნებულიყო ვლახეთის მიტროპოლიტის სიმართლეში“¹⁶⁰.

ამ ბარათიდან ჩვენ ვგებულობთ, თუ რაში დებდნენ ბრალს ანთიმ ივერიელს მისი არაკეთილისმსურველები — გამსკვეალულნი მისდამი „შურითა და სიძულვილით“¹⁶¹. ეს ბრალდებები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახით: ანთიმ ივერიელმა უღალატა ვლახეთის მთავარს, ანთიმ ივერიელი იყო უცხოელი და მან ვალებში ჩააგდო სამიტროპოლიტო.

თავის წერილში ანთიმ ივერიელი შემდეგი სიტყვებით მიმართავს კონსტანტინე ბრინკოვიანუს: „წაიკითხე ეს წერილი თავისუფალ დროს და ყოველივე მასში აღნიშნული განსაჯე გულდასმით, სამართლიანად. მაშინ დარწმუნდები ჩემს სიმართლეში. ამოიღე შენი გულიდან ეკალი, რადგან ღმერთმა უწყის მე არ ვარ ისეთი, როგორსაც მე წარმომსახავენ ჩემი მტრები... მე მჯერა, რომ ჩემს სიმართლეში შენ საბოლოოდ დარწმუნდები, მე ვიცი, რომ ჩემმა მტრებმა ცილი დამწამეს ჩემი კეთილისმყოფელის — თქვენი უდიდებულესობის წინაშე“.

შემდეგ თავის წერილში ანთიმ ივერიელი არწმუნებს კონსტანტინე ბრინკოვიანუს, რომ მას გულში არასოდეს არ ჰქონია ბოროტი ზრახვები მის მიმართ, ხოლო იმათ, ვინც „მისი უდიდებულესობის წინაშე

¹⁵⁸ D. Bogdan, *Viata lui Antim Ivireanul*, იხილე Biserica Ortodoxa Romana, № 8—9, 1956, გვ. 682.

¹⁵⁹ D. Bogdan, *Viata lui Antim Ivireanul*, გვ. 683.

¹⁶⁰ იქვე.

¹⁶¹ *Didahiile... editia C. Erbiceanu*, გვ. 97.

ის ყოველგვარ საფუძველს გარეშე დაასმინეს¹⁶², ამთიმ ივერიელი წყევლით იხსენიებს. „და თუ თქვენი უდიდებულესობის ფარულად და დაუკითხავად მე რაიმე ვთქვი ან მოვიმოქმედე — ამაყად აცხადებს ანთიმ ივერიელი — რაც შეიძლება არ მოსწონებოდა თქვენს უდიდებულესობას, ეს მე მოვიმოქმედე მხოლოდ ჩემი — ზოგორც ერის სულიერი მწყემსის მოვალეობის და ვალდებულების გამო და არა იმიტომ, რომ შენთვის მომეყენებინა სულიერი, ან ხორციელი ტანჯვა“¹⁶³.

ცხადია, ამ სიტყვებში ანთიმ ივერიელი გულისხმობს 1711 წლის ამბებს, როდესაც ანთიმ ივერიელმა კონსტანტინე ბრინკოვიანუს ფარულად შეკრიბა ჰურა-ურლაცილორეში „რუსული ორიენტაციის“ ვლახელი ბოიარები და მისი რჩევით ვლახელი ჯარების მხედართმთავარი თომა კანტაკუზენი გადავიდა რუსების მხარეზე. მაგრამ, როგორც ჩვენს მიერ ციტირებული ადგილიდან ჩანს, ანთიმ ივერიელს ეს სრულებით არ მიაჩნია კონსტანტინე ბრინკოვიანუს და ვლახელი ხალხის ღალატად. პირობით, ასეთ მოქმედებას იგი თვლის სამართლიანად და აუცილებლად, „ერის სულიერი მწყემსის“ მოვალეობად და ვალდებულებად.

შემდეგ ანთიმ ივერიელი წერილში აღწერს თავის ცხოვრებას, გატარებულს ვლახეთში: „მე ამ ქვეყანაში არ მოვსულეარ არც სილარაბისა და არც გაკირვების გამო — წერს იგი. — სნაგოვოს მონასტერი მე ძალით არ ჩამიგდია ხელთ და იქ გატარებული შვიდი წლის მანძილზე რაც მე შევიძინე, ყოველივე ეს მოპოვებული იყო ჩემი ოფლითა და შრომით და არა მონასტრის შემოსავლის ხარჯზე. ამას მე ყველას წინაშე ვაცხადებ... რომ მე სახელი არ შემირცხვენია და არც შემიბღალავს, ეს ჩანს იქიდან, რაც მე ჩემი შრომით შევიძინე და შევემატე მონასტერს, რომელიც არ გამიღატაკებია და არც ვალეებით დამიმძიმებია. მე სიზმრადაც კი არ მინახავს გაემხდარიყავი რიმნიკის ეპისკოპოსი, რადგან ჩემს თავს ვთვლიდი უღირსად და არა საკადრისად... მაგრამ თუ ღმერთმა, რომელიც ყველაფერს განაგებს... განიზრახა აღემალეებინა საწყალი ადამიანი... რათა დაეკავებინა ადგილი შენს ბოიარების გვერდით... რა უნდა მექნა მე?.. დავმორჩილდი ზეციერს და ვლოცულობ მასზე... დავყავი მე რიმნიკში სამი წელი ორი თვის გამოკლებით, და აქაც რაც შევიძინე... მე მოვიპოვე ისევე ჩემის ოფლითა და მძიმე შრომით და არა თანამდებობით... ეს ცხადია ყველასათვის... რიმნიკი-

¹⁶² Didahiile... editia C. Er biceanu, გვ. 98.

¹⁶³ იქვე, გვ. 98—99.

დან წასვლა არ მომხდარა ჩემის ნებით. მე კმაყოფილი ვიყავი იმითაც, რაც გამაჩნდა და საკმარისი მქონდა საზრუნავი...

მიტროპოლიტობაც მე ძალით არ მომიპოვებია, არც ქრთამებით და არც თხოვნა-მუდართით. გამკიცხოს მამაზეციერმა, თუ მე მელონოს თუნდაც ერთ-ერთი რომელიმე ამ საშუალებათაგანი. მაგრამ ასე სურდა ღმერთს და მან შთაგავონა შენ და გავხადა შემწედ ჩემს გადაყვანაში ერთი კათედრიდან მეორეზე... მე ვშრომობდი დღისითა და ღამით, რათა განმემდიდრებია ღვთის მიერ ნაბოძი ნიჭი და არ დაემსგავსებოდი ზარმაც და უღირს მონას. მე ვშრომობდი მთელი ჩემი ძალღონის დაუზოგავად და არ დამიშურებია აზრი და გონება... და თუ ვინმე დაინტერესდება გაიგოს, რა გამიკეთებია მე ჩემი ხელებითა და გონებით, ის ვერ ნახავს ვერაფერს, რაც კი ღმერთის სასახელოდ, თქვენი უდიდებულესობის პატივსაცემად და ქვეყნის სასარგებლოდ არ იყოს ნამოღვაწარი¹⁶⁴.

შემდეგ თავის წერილში ანთიმ ივერიელი ლაპარაკობდა იმის შესახებ, თუ რა იყო მიზეზი მისი დასმენისა. „ბოროტება და შური — წერდა იგი — ყოველთვის არსებობდა ამ ქვეყნად და ყოველთვის იარსებებს. სწორედ ამის მიზეზია ის, რომ ადამიანი ყოველთვის გამსჭვალულია შურის გრძნობით სხვა ადამიანის კეთილდღეობის მიმართ. ანტიომაც მე ვიცი, რომ არა ერთი და ორი ცდილობს თავისი შხამიანი ენით მოგიწამლოს, თქვენო უდიდებულესობავ, კეთილი სული და თავისი ცბიერებით ჩაგადენინოს ის, რასაც მოიმოქმედებდი შენ, მხოლოდ შენი ახალგაზრდობისა და გამოუცდელლობის დროს“¹⁶⁵. მას რომ მისცემოდა საშუალება კონსტანტინე ბრინკოვიანუსა და „მთელი ხალხის“ დასწრებით საჯაროდ ეკამათა თავის მტრებთან, განაგრძობდა ანთიმ ივერიელი, მაშინ იგი ადვილად შესძლებდა გამოეაშკარაებინა ცილისწამება, ისე რომ „არავინ არ გაელანძლა და არც არავინ დაესმინა“, რადგან ყოველივე ეს არავითარ შემთხვევაში არ შეფერის არქიელის თანამდებობაზე მყოფ ადამიანს.

ანთიმ ივერიელი თავის წერილში, აგრეთვე, იხსენიებდა იმ ბრალდებას, ვითომ მას დაეწეროს 24 მუხლისაგან შემდგარი დოკუმენტი, რომელშიაც იგი ლანძღავდა კონსტანტინე ბრინკოვიანუს. ანთიმ ივერიელი დაბეჭდვებით ამტკიცებდა, რომ მან ეს დოკუმენტი წაუკითხა მასთან მისულ ვლახეთის მთავრის სულიერ მამას, მიტროფანე ნისელს

¹⁶⁴ Predice... editia I. B i a n u, გვ. XXXIV-XXXVI.

¹⁶⁵ Didahiile... editia C. E r b i c e a n u, გვ. 99.

ადრიანოპოლის მიტროპოლიტის თანდასწრებით. ანთიმ ივერიელი მოითხოვდა, რომ ამ 24 მუხლს გასცნობოდა თვით კონსტანტინე ბრინკოვიანუ და აგრეთვე აუწყებდა მას, რომ განზრახული ჰქონდა „შეეჩვენებინა“ ყველა ის, „ვინც ეს მოიგონა“. მაგრამ ზოგიერთმა მეგობარმა გადაათქმევინა მას ეს განზრახვა. „და თუ თქვენს უდიდებულესობას სურს გაეცნოს ამ მუხლებს, — წერდა ანთიმ ივერიელი, — წაიკითხოს ისინი და მაშინ დარწმუნდება, თუ როგორ პატივს მცემენ მე ჩემი სულიერნი შვილნი და რას ლაპარაკობენ ჩემს შესახებ“¹⁶⁶.

თავის გადაყენებაზე ანთიმ ივერიელი უარს ამბობს, რადგან ამით „იგი დაარღვევდა კანონსა და აღთქმას“. მაგრამ იგი თავის ნებით წავა, რათა ბრინკოვიანუს არ მისცეს საბაბი იმის სათქმელად, რომ იგი ვითომდა ილაშქრებდა ვლახეთის ინტერესების წინააღმდეგ. ამავე დროს ანთიმ ივერიელი აწვავს კონსტანტინე ბრინკოვიანუს განსაჯოს მან ყოველივე ეს სამართლიანად და „ღვთის შიშით“. „განსაჯეთ. თქვენო უდიდებულესობავ, როგორც მართლმადიდებელმა ხელმწიფემ, — მიმართავდა ანთიმ ივერიელი ვლახეთის მთავარს—განა შესაძლოა დასამართლიანი, ჩამომართვა მე სამწყსო, ღვთის მიერ ჩემთვის მანდობილი ახლა, მოწუებულობის წლებში“, და ხაზი გადაუსვა „ჩემს შრომას გაწეულს ახალგაზრდობის დროს“.

ანთიმ ივერიელი აღიარებს, რომ სამიტროპოლიტოს აქვს ვალები, მაგრამ იგი ზრუნავდა მასზე. როგორც საკუთარ კერაზე „და არა როგორც ვილაყ დაქირავებული გადამთიელი, რომელიც ყველაფერს ამტკრევს და აფუქებს“. მაგრამ „ჩვენს დროს — წერდა ანთიმ ივერიელი — ვის არ აქვს ვალები, თუ კი იგი ამ უბედურ ქვეყანაში ცხოვრობს. თქვენი უდიდებულესობიდან არა ერთხელ მსმენია, რომ ვლახეთს ორასზე მეტი ქისა ოქრო აწევს ვალად. და მე გეკითხები, ეს ვალი პირადად თქვენი უდიდებულესობის მიზეზით დაედო სამთავროს, თუ ცხოვრების ბედუქუღმართობის გამო“¹⁶⁷.

„სხვათაშორის, ასეც ლაპარაკობენ, რომ უცხოელი ვარ — განაგრძობდა ანთიმ ივერიელი თავის წერილში — ამიტომაც, მე არ უნდა ვყოფილიყავი მიტროპოლიტად. მაგრამ ქრისტეს წინაშე ჩვენ ყველანი ერთნი ვართ. ამასთან, არა მართო მე ვიყავი უცხოელთაგან ვლახეთის მიწაზე მიტროპოლიტად და ეპისკოპოსად, არამედ იყვენ სხვებიც, როგორც ეს შეიძლება შეიტყოს კაცმა ძველი ჩანაწერებიდან... ასევე

¹⁶⁶ Predice... editia I. B i a n u, გვ. XXVII

¹⁶⁷ Didahiile... editia C. E r b i c e a n u, გვ. 102

როგორც აქ ყოფილან მთავრებად უცხოელნიც... ღმერთმა ხომ ქვეყანა თავისუფალი შექმნა ყველასათვის“¹⁶⁸.

ამ თავის მართლების წერილზე, რომელშიაც, როგორც ვნახეთ, ანთიმ ივერიელი გვევლინება სიბრძნითა და კეთილშობილებით აღსავსე ადამიანად, კონსტანტინე ბრინკოვიანუმ არავითარი პასუხი არ გასცა ვლახეთის მიტროპოლიტს. აქ აღწერილი ამბის თითქმის ორი კვირის შემდეგ, 3 თებერვალს, ანთიმ ივერიელმა მეორე წერალი მისწერა ვლახეთის მთავარს. ამ წერილიდან ირკვევა, რომ საფუძველს მოკლებული ყოფილა ანთიმ ივერიელის წინააღმდეგ წამოყენებული კიდევ ერთი ბრალდება, ვითომდა მას მითვისებული ჰქონდა 7 ქისა ოქრო. წერილიდან ჩანს, რომ ეს 7 ქისა ოქრო ანთიმ ივერიელს დაუხარჯავს სამიტროპოლიტოს საჭიროებისათვის. „და როგორც მაღალმა ღმერთმა მიგითითა — მიმართავდა ანთიმ ივერიელი კონსტანტინე ბრიკოვიანუს — და ამით მან შეაძლებლობა მოგცა დაგედგინა თუ რაზე დაიხარჯა 3 ქისა ოქრო... ასევე მონახე დანარჩენი 4 ქისა ოქრო და ჩამოართვი ზელწერილი ჩემს მოვალეებს და გადმომეცი მე“¹⁶⁹.

ამავე წერილით ანთიმ ივერიელი აცნობებდა ვლახეთის მთავარს, რომ იგი თანახმა იყო თავის ნებით დაეთმო მიტროპოლიტობა, რათა ბოლო მოღებოდა „უსიამოვნებას... ამით შენც თავიდან აიცილებ ცოდვის ჩადენას და მეც, ჩემის მხრივ, დავრჩები კმაყოფილი და დაწყყნარებული“¹⁷⁰. ზოლო იმ შემთხვევაში, თუ მას ძალით ჩამოართმევდნენ სასულიერო წოდებას, ეს იქნებოდა მხოლოდ „წმიდა ეკლესიის აწუხად აგდება და შეურაცხყოფა“¹⁷¹. საბოლოოდ ანთიმ ივერიელი კიდევ ერთხელ თხოვდა კონსტანტინე ბრინკოვიანუს, ვიდრე, იგი მიიღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას, კარგად გაეთვალისწინებინა ყოველივე, „რადგან ბოროტების ჩადენა ძალზე ადვილია, ხოლო მისი გამოსწორება კი ძალზე ძნელი“¹⁷², — დასძენდა იგი.

ანთიმ ივერიელის ამ ორმა წერილმა, გადმოცემულმა ნათელი აზროვნებით, ზუსტი არგუმენტების მოყვანით, გულწრფელობით, გამოთქმათა სიძლიერით და გამომსახველობით, რომლებიც ეკუთვნის ადამიანს, სიამაყით აღსავსეს და დარწმუნებულს, როგორც თავის სიმართლეში, ასევე თავის უპირატესობაში სხვათა მიმართ¹⁷³, გული მოუღ-

¹⁶⁸ Didahiile... ed. C. Erbiceanu, გვ. 102.

¹⁶⁹ Predice, editia I. B i a n u, გვ. XXIX-XXX. -

¹⁷⁰ იქვე, გვ. XXX.

¹⁷¹ იქვე.

¹⁷² იქვე.

¹⁷³ S. P u s c a r i u, Istoria literaturii romine epoca veche, Sibiu, 1930,

ბო კონსტანტინე ბრინკოვიანუს, რომელიც დარწმუნდა იმაში, რომ არ შეეძლო დარჩენილიყო ბრძენი ანთიმის რჩევის გარეშე და დასტოვა იგი თავის ადგილზე¹⁷⁴.

ამრიგად, ანთიმ ივერიელი ისევ აგრძელებს თავის მოღვაწეობას, როგორც უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტი. საეკლესიო და სახელმწიფოებრივ საქმიანობასთან ერთად იგი დაუცხრომელი ენერგიით და მოწადინებით ეწევა წიგნების ბეჭდვას.

1712 წელს ანთიმ ივერიელის ზელმძღვანელობით მისი მოწაფე გიორგი რადოვიჩი ბეჭდავს რუმინულ ენაზე „ოქტოიხს“ 463 გვერდის მოცულობით. „ოქტოიხის“ გამოცემა რუმინულ ენაზე ისევ და ისევ მიზნად ისახავდა რუმინული ენის განმტკიცებას არა მარტო ეკლესიაში, არამედ, როგორც ამ წიგნის წინასიტყვაობიდან ჩანს, განკუთვნილი ყოფილა „მორწმუნეთა ბავშვებისათვის“, რომლებსაც ეს წიგნი უნდა ეკითხათ როგორც სკოლებში, ასევე ოჯახებში¹⁷⁵. „ოქტოიხის“ წინასიტყვაობაში ნათქვამია, თუ რა ზრუნვას იჩენდა ანთიმ ივერიელი ვლახეთში სწავლა-განათლების გავრცელებისათვის. „მისი უწმიდესობა ანთიმა — წერდა გიორგი რადოვიჩი — დაუღალავად იღწვის კადაგებს და დღედაღამ ასწავლის და ანათლებს თავის სამწყსოს“¹⁷⁶.

ამავე წელს გიორგი რადოვიჩი ბეჭდავს რუმინულ ენაზე ანთიმ ივერიელის მიერ შედგენილ „ლოცვანს“.

1713 წელს ანთიმ ივერიელი ხალხში წიგნისადმი სიყვარულის აღძვრისათვის ბეჭდავს „ალექსანდრიას“ — ფანტასტიკურ რომანს ალექსანდრე მაკედონელზე. რუმინელი მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ალექსანდრე მაკედონელის საგმირო საქმეებისადმი სიყვარული ანთიმ ივერიელს საქართველოდან მოჰყვა. „დასახელებული წიგნის პოპულარობაში ჩვენ შეიძლება დავრწმუნდეთ იმ ფაქტითაც, — წერს დ. სიმონესკუ, — რომ „ალექსანდრია“ სხვადასხვა პერიოდში გამოცემულ იქნა მრავალჯერ. ყველაზე ადრინდელი გამოცემა განახორციელა ანთიმ ივერიელმა 1713 წელს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არაა მოპოვებული ამ გამოცემის არცერთი ეგზემპლარი. რომ ეს წიგნი გამოცემულ იქნა ანთიმ ივერიელის მიერ, ამის შესახებ ნათქვამია ანთიმ ივერიელის დროინდელ ერთ-ერთ წყაროში¹⁷⁷. ანთიმ ივერიელს, ალბად, თავის სამშობლო საქართველოდან მოჰყვა სიყვარული ალექ-

¹⁷⁴ D. Bogdan, Viata lui Antim Ivireanul, გვ. 685.

¹⁷⁵ Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 740.

¹⁷⁶ იქვე.

¹⁷⁷ რომ „ალექსანდრია“ დაბეჭდილ იქნა ანთიმ ივერიელის მიერ, ამის შესახებ პიუთითებს დელ კიარო.

გსანდრე მაკედონელის საგმირო საქმეებისადმი. „ალექსანდრია“ წარმოადგენს პირველ პოპულარულ წიგნს დაბეჭდილს ჩვენს ქვეყანაში და ეს მაშინ, როდესაც ბეჭდვითი საქმიანობის მთავარი და საბოლოო მიზანი საეკლესიო წიგნების გამოცემა იყო“¹⁷⁸.

1713 წელს ანთიმ ივერიელი ტირგოვიშტეს სტამბაში ბეჭდავს თავისივე მიერ ბერძნულიდან რუმინულ ენაზე ნათარგმნს „კონდაკს“ 210 გვერდის მოცულობით, ხოლო, გიორგი რადოვიჩი ბეჭდავს ანთიმ ივერიელის მიერ ბერძნულიდან რუმინულ ენაზე ნათარგმნს „ფილოსოფიურ მაგალითებს“, 114 გვერდის მოცულობით. ეს უკანასკნელი განკუთვნილი იყო „სკოლებისათვის, მაღალ საზოგადოებისა და ხალხისათვის“¹⁷⁹.

ამავე წელს რუმინულ ენაზე გამოდის „ზოგიერთ ძველ ფილოსოფოსთა შეგონებანი“. ეს ნაშრომი თავის დროზე დაწერილი იყო ფრანგულ ენაზე, საიდანაც იტალიურ ენაზე თარგმნა დელ კიარომ, ხოლო ჯოვანი აბრაამი¹⁸⁰ თავის მხრივ იგი თარგმნა იტალიურიდან ბერძნულ ენაზე. 1713 წელს ტირგოვიშტეში რუმინულ ენაზე დაბეჭდილი „ზოგიერთ ძველ ფილოსოფოსთა შეგონებანი“ წარმოადგენდა თარგმანს ბერძნულიდან რუმინულზე, რომელიც შესრულებული იყო ანთიმ ივერიელის მიერ.

1713 წელს, გარდა დასახელებული წიგნებისა, ტირგოვიშტეს სტამბაში იბეჭდება „საგალობელი“ 210 გვერდის მოცულობით ბერძნულ-სლავურ-რუმინულ ენებზე და „ლოცვანი“ რუმინულ ენაზე 496 გვერდის მოცულობით.

საყურადღებოა, რომ ამ პერიოდში ანთიმ ივერიელი თავს ართმევს და ხელმძღვანელობს ბეჭდვით საქმიანობას არა მარტო ვლახეთის მასშტაბით, არამედ მას დახმარებას სთხოვს თვით იერუსალიმის პატრიარქი ქრიზანთე, რათა კონსტანტინოპოლში დაარსებულ იქნას სტამბა. როგორც ჩანს, ანთიმსა და ქრიზანთეს შორის მოლაპარაკება ამ საკითხის თაობაზე ადრეც სწარმოებდა, რადგან 1712 წლის 21 ივნისს იერუსალიმის პატრიარქის სახელზე მიწერილ წერილში უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტი პირდებოდა მას, რომ ახალი სტამბის დასაარსებ-

¹⁷⁸ Biserica Ortodoxa Romîna, № 8—9, 1956, გვ. 742.

¹⁷⁹ იქვე, გვ. 742.

¹⁸⁰ ჯოვანი აბრაამი 1710 წლის 1 ივნისს იერუსალიმის პატრიარქს ქრიზანთეს წერდა, რომ მან მიიღო სამსახური მიტროპოლიტ ანთიმის კარზე. ჯოვანი აბრაამი იყო იმ შეთქმულების მონაწილე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ანთიმ ივერიელი 1716 წელს ვლახეთის გასანთავისუფლებლად, როგორც სულთნის, ასევე მისი დამქაშების ფანარიოტთა პატრონისაგან. E. Hurmuzaki, Documente, vol. XIX; par. IV, გვ. 685.

ლად კონსტანტინოპოლში გაგზავნის ბერძნული შრიფტის სექციას. ტირგოვიშტეს სტამბიდან, ხოლო სტამბის ორგანიზაციას იგი ანდობს თავის ერთგულ მოწაფეს მიხაილ იშტევანოვიჩს: „თუ ღმერთმა ინება — წერს ანთიმი ქრიზანთეს — და ამ დროისათვის ჯანმრთელად: ვიქენი, თქვენთანაც თავს გამოიჩენს ჩემი მოწაფე მიხაილ. მე არაერთარ შემთხვევაში არ დავარღვევ ჩემს მიერ მოცემულ სიტყვას...“¹⁸¹.

1713 წელს ანთიმ ივერიელი, პარალელურად სასტამბო მოღვაწეობისა, ბუქარესტში იწყებს „ყოვლად წმიდათა მონასტრის“ მშენებლობას. ამის შესახებ ემილ პიკოს თავის გამოკვლევაში შემდეგი აქვს ნათქვამი: „თუმცა ტირგოვიშტე ჯერ კიდევ ვლახეთის სატახტო ქალაქი იყო, მაგრამ წინანდელი ბრწყინვალეობა მან ვერ შეინარჩუნა. მთავრები მას სისტემატურად სტოვებენ ყოველ წელს რამდენიმე თვით და ამ დროს ბუქარესტში ატარებდნენ. ვლახეთის სასულიერო იერარქიის მეთაური ვალდებული იყო გაჰყოლოდა მთავრის კარს. ამრიგად, იგი იძულებული გახდა გარკვეული პერიოდი ეცხოვრა ბუქარესტში და სწორედ აქ არჩია მან სასულიერო დაწესებულებათა დაარსება, რომელთაც დღემდე შერჩა მისი სახელი“¹⁸².

„ყოვლად წმიდათა“ მონასტრის აშენების შესახებ ბუქარესტში ჩვენ შემდეგს ვკითხულობთ „იერუსალიმის ხელნაწერში № 605“: „რადა თქმა უნდა, უწმიდესი მიტროპოლიტი უნგროვლახეთისა უფალი ანთიმ, უადრესად პატივცემული ეგზარხოსი პლაგინთა, იყო სასურველი ჩვენთვის ძმა სულითა წმიდითა და თანაემისმწირველი, რომელიც ეძიებდა არა მარტო საკუთარ სარგებლობას, არამედ ახლობელის სარგებლობასაც... მან არა მცირედი დროის წინ განიზრახა ნამდვილვე აღმართა მონასტერი და წმიდა საყანე, რათა ხოტბა შეესახა და უბიწოდ ემსახურა სამად მანათობელი ერთი ღვთაების ძალისათვის... საკუთარი ოფლით მოპოვებული დანახარჯებით იწყებს აღმართვას და აღაშენა საძირკველიდან წმიდა და ღირსსაყოფი მონასტერი ბუქარესტის შიგნით (სადაც არის სამყოფელი საუფლო კათედრისა) სახელად ყოვლად წმიდად წოდებული, სიმშვენიერით და სიდიდით გამორჩეული, დიდი ხელოვნებით და რჩეული მასალით ნაგები... მიაშენა ქვის სენაკი, შესაფერი საცხოვრებლად და დასასვენებლად ქვეყნისაგან განდგომილ კაცთა და მონასტერში სიწმინდესა და სამართლიანობაში ღვთის სამსახურად და მორჩილად მოღვაწეობის მოსურნეთათვის. და მშვენიერი მონასტერი შიგნით და გარეთ, საჩუქარი უძვირფასესი, უხვად დაასაჩუქრა, როგორც ღვთის სამყოფელი, ოქრო-ვერცხლის გან-

¹⁸¹ E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par. III, გვ. 115.

¹⁸² E. Picot... გვ. 522.

ძთა და სამღვდლო ტანსაცმელით, მოძრავი და უძრავი ქონებით¹⁸³, რაც შესაფერი იყო მისი ღირსებისათვის, აუცილებელი საქმეების მართვისათვის და მონასტრის ბრწყინვალეებისათვის¹⁸⁴. მონასტრის შესასვლელ კარებს ზევით იკითხება ბერძნული წარწერა. იგი წარმოადგენს რვა სტრიქონიან იამბიკოს. მოგვყავს სიტყვასიტყვითი თარგმანი:

რტაძარი ესე ყოველთა ღმერთთა სამყოფელი
ალიმართა ღმერთისა ყოველთა შეწევნითა და ბუნებით
ვლახელთა მიწის ბრწყინვალე წინამძღვრის
სტეფანე კანტაკუზენის¹⁸⁵ კანონის ძალით,
უნგრო-ვლახელთა მღვდელმთავრის ანთიმის მიერ,
რომელიც არის ქართველთაგან. ალიმართა, როგორც
იხილვება საძირკველთაგან,
როგორც სადიდებელი. ღმერთთაგან ღმერთისა შუამავლისა,
როგორც დავითი არს ღმერთების ტაძრის შუამავალი.
ქრისტესით წელსა 1715-ს¹⁸⁶.

ხოლო „ყოვლად წმიდათა“ მონასტრის ერთ-ერთს, ოთხ სვეტთაგანს შემდეგი წარწერა აქვს, მოგვყავს სიტყვასიტყვით თარგმანი:

თუმცა მე სული არ გამაჩნია
ვარ გამაგრებული ქვის სვეტი,
შენ, ადამიანო, ჩემგან
შეგიძლია შეიტყო, თუ გსურს სიკეთე.
მე სამი ძმა მყავს,
ერთდროულად აქვე ჩადგმული;
ორი — მარცხნივ, — ერთი — მარჯვნივ.

.
ანთიმ მიტროპოლიტმა,

¹⁸³ საქწუხაროდ, არც ამ დოკუმენტში და არც „ყოვლად წმიდათა“ მონასტრის ტაიკონში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა მამულები შეუწირავს ანთიმ იერარქს მონასტრისათვის. ამით ჩვენ საშუალება მოგვეუქმოდა დაგვედგინა, თუ რა მამულებს ფლობდა ანთიმ იერარქი ვლახეთში. სწორედ გრაგოლ ბაქურაიანის ძის მიერ შედგენილ პეტრიწონის მონასტრის ტაიკონში აღნუსხული შეწირულობის შედეგად ცნობილი ვახდა, თუ რა მამულებს ფლობდა გრაგოლ ბაქურაიანისძე ბულგარეში, კერძოდ კი ფილიპოპოლის თემში.

¹⁸⁴ Recueil de documents Grecs, Paris, 1895, გვ. 186.

¹⁸⁵ სტეფანე კანტაკუზენმა ვლახეთის სამეფო ტახტზე შესეკალა 1714 წელს კონსტანტინოპოლში თურქების მიერ სიკვდილით დასჯილი კონსტანტინე ბრინკოვიანუ. იხ. ამ. წიგნის გვ. 294.

¹⁸⁶ N. Iorga, Inscriptiile din bisericile României, Bucuresti, 1905, I, გვ. 280.

სახელგანთქმულმა ქართველმა,
ჩვენ აქ მოგვათავსა
და დაგვაკავშირა კედელთან,
რათა ჩვენ ჩვენს მხრებზე
აგვეზიდა ტაძრის სიმძიმე,
ყველა წმიდანთა სადგომი.
მან პირველმა ააშენა იგი
და შემდეგ განაახლა¹⁸⁷.

„ყოვლად წმიდათა“ მონასტის მშენებლობის დაწყების თარიღი 1713 წლის 24 აპრილია. „ყოვლად წმიდათა“ მონასტრის, ამ ერთ-ერთი უღამაზესი არქიტექტურული ნაგებობის შესახებ რუმინელი მკვლევარი იონ ნანუ შემდეგს წერდა: „ამ ძეგლის როგორც არქიტექტურა, ისე ქანდაკება და ფერწერა მდიდარ მხატვრულ მასალას წარმოადგენს ხელოვნების ისტორიკოსისათვის. იგი იშვიათი მოვლენაა ჩვენი წარსული ხელოვნების ნაწარმოებთა შორის. ანთიმის მიერ აგებული მონასტერი ეპოქის ხელოვნების კლასიკური ნიმუშია...“¹⁸⁸. „ანთიმის მონასტერი და ეკლესია, — წერს ნ. ბუდეშტი, — ბუქარესტის ყველაზე ძვირფასი და საინტერესო ისტორიული ძეგლებია, ყველაზე ღირსშესანიშნავი ძეგლები ეპოქისა“¹⁸⁹. „რაც შეეხება მონასტრის მორთულობათა შესრულების ტექნიკას, იგი ყველაზე უკეთესია რუმინეთის ხელოვნების ისტორიაში. ანთიმის დროის ხელოვნება გადაიღეს და გადაამუშავეს შემდგომმა თაობებმა, მაგრამ მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შესძლეს ამ თაობებმა, ანთიმის დროის რელიგიური ხელოვნების მიღწევათა უფრო დიდ სიმაღლეზე ასვლა XVIII, XIX და თვით XX საუკუნეებში“¹⁹⁰. „ხელოვნების ამ ნაწარმოებმა ახალი გზები გახსნა თავისი დახვეწილი პროპორციებით, მასების წონასწორობით და გარეგნული ეფექტის უკუგდებით“¹⁹¹. „ენით აუწერელია ის აღტაცება, რასაც მხატვრული ფასეულობანი იწვევს არქიტექტურული და სკულპტურული ნაწარმოებების სახით, რომლებიც, ძირითადად, ჩვენამდე კარგადაა მოღწეული (ძალზე სამწუხაროა, რომ ფერწერული ნაწარმოებების ორიგინალები არ არის დღემდე შემონახული)“¹⁹².

¹⁸⁷ Arhivele Statului, Dosar Minist. Cultelor, nr. 1103/1862,

¹⁸⁸ Ion N an u... გვ. 223.

¹⁸⁹ N. Ghika Budesti, L'ancienne architecture religieuse de la Valachie, Buc. 1942, გვ. 48.

¹⁹⁰ Ion N an u, ... გვ. 315.

¹⁹¹ იქვე, გვ. 316.

¹⁹² იქვე.

„ყოვლად წმიდათა“ მონასტრის მშენებლობის გეგმა შედგენილია თვით ანთიმ ივერიელის მიერ. ამ გეგმის ჩანახაზი მოთავსებულია ანთიმ ივერიელის ხელნაწერში, რომელიც დღეს ინახება რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის ფონდში¹⁹³. ერთ-ერთი გადმოცემით, ანთიმ ივერიელს, რომელშიაც გაერთიანებული იყო „არქიტექტორის, მოქანდაკის, ფერმწერის, გრაფიკოსის ტალანტი“, თვითონვე შეუსრულებია მხატვრობის გარკვეული ნაწილი. დაუხატავს წინასწარმეტყველები იმავე სახით, როგორც რიმნიკში¹⁹⁴. ეკლესიის მთავარი ხატი მისსავე ფუნჯს მიეკუთვნება და მასზე გამოხატულნი არიან წმინდანები: ნიკოლოზი, ალექსი, აგატა, ანთიმი. ანთიმ ივერიელის ნახელავს მიაწერენ აგრეთვე ქანდაკებებსაც. ამ ქანდაკებებში ხშირად მეორდება ერთი მოტივი, რომელიც უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტის ემბლემას წარმოადგენდა: ლოკოკინა — თავმდაბლობისა და ერთგულების სიმბოლო.

ანთიმ ივერიელისავე ნახელავია ეკლესიის მთავარი კარი. იგი მუზისაა და შორთულია ხისგან ნაკვეთი ოსტატურად შესრულებული ქანდაკებებით¹⁹⁵. „ამ კარის ყველა ნაწილი — ჩარჩო, პანო, პორიზონტალური ამიები, ვერტიკალური ლენტები შორთულია ჩუქურთმებით, რომლებიც იშვიათი სილამაზის მცენარეულს გამოხატავს. კარის თვითეული ნაწილის ჩარჩო მცენარეული ჩუქურთმითაა შორთული. გამოსახულია ღერო, რომელიც მთელ ზედაპირზეა მიხვეულ-მოხვეული, ამ ხვეულებს შუა არე შემკულია სხვადასხვა ზომის ფოთლებითა და ყვავილებით. კუთხეებში ოთხი ფოთოლია. პორიზონტალური ამია, რომელიც პანოს გამოყოფს, იმავე სტილის ორნამენტითაა შემკული, შუაში დიდი სტილიზებული ფოთოლია და ორნამენტებს შორის მოთავსებულია გველის თავები¹⁹⁶.

„ყოვლად წმიდათა“ მონასტრის ეკლესიის მონუმენტური სკულპტურის ანსამბლი, კარი და პორტალი, — წერს — რუმინელი მკვლევარი ი. ნანუ, — ამ დარგში ყველა სხვა მხატვრულ მიღწევასზე მალლა დგას ჩვენს ქვეყანაში“ და შემდეგ დასძენს: „ჩვენს მოვალეობად ვრაცხთ ჩვენი უდიდესი პატივისცემა გამოვხატოთ ხელოვნების ძეგლის დამაარსებლისა და მშენებლისადმი — XVIII საუკუნის რუმინული პროგრესული კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლის, მიტროპოლიტ

¹⁹³ I. Nanu... გვ. 226. Academia R. P. R. manuscriscul romînesc, nr. 3342.

¹⁹⁴ E. Picol... გვ. 522.

¹⁹⁵ I. Nanu... გვ. 274.

¹⁹⁶ იქვე. გვ. 274—275.

ანთიმ ივერიელის მიმართ, რომელიც პირადად მუშაობდა და ხელმძღვანელობდა ყველა სამუშაოს რუმინული ფეოდალური ხელოვნების ამ განძის („ყოვლად წმიდათა“ მონასტრის — ო. გ.) აგებისას“¹⁹⁷.

„ყოვლად წმიდათა“ მონასტერი ეგრეთწოდებულ „კტიტორულ“ მონასტრებს განეკუთვნებოდა, რომლისთვისაც ანთიმ ივერიელს ტიპიკონი შეუდგენია. ტიპიკონის შედგენის დრო დათარიღებულია 1713 წლის 24 აპრილით. ტიპიკონის ხელნაწერი ტექსტი ჩასმულია ტყავის ყდაში, რომელიც შემკულია ოქროში გამოყვანილი ქართული ორნამენტებითა და გეომეტრიული მოტივებით¹⁹⁸. ხელნაწერის ტექსტი კი სავსეა სხვადასხვა ფერებში შესრულებული მინიატურებით. ყოველივე ეს ნახელავია თვით ანთიმ ივერიელისა და „განსაკუთრებულ მხატვრულ საფასურს წარმოადგენს რუმინულ ხელოვნებაში“¹⁹⁹.

„ყოვლად წმიდათა“ მონასტრის ტიპიკონი, რომელიც აგრეთვე ცნობილია ანთიმ ივერიელის ანდერძის სახელწოდებით, შედგება 32 თავისაგან. ჩვენ აქ დეტალურად არ შეეუდგებით ამ ტიპიკონის განხილვას, რადგან ეს ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს. შევჩერდებით მხოლოდ მის ზოგიერთ მხარეზე.

ტიპიკონის შესავალში ანთიმ ივერიელი წერდა: „მაღალ ღმერთს მიაჩნია, რომ ამ ქვეყნად მხოლოდ კეთილი საქმე უნდა მოიმოქმედო ღარიბებისა და ეკლესიისათვის... შეიბრალო ღარიბნი, დააპურო მშაერნი, წყალი გაუწოდო მწყურვალთ, შემოსო შიშველნი, მოუარო ავადმყოფთ... და მე მორჩილმა მიტროპოლიტმა უნგრო-ვლახეთისა — ანთიმ ივერიელმა, რათა მცირედი სიმშვიდე მომეტანა ჩემი სულისათვის და რათა მოეგონებინათ სახელი ჩემი სიცოცხლეშივე და სიკვდილის შემდეგ, დანაზოგითა, მძიმე შრომითა და ღვთის ნებით ავაშენე წმიდა ესე სავანე ყოვლად წმიდათა სასახელოდ.

უპირველეს ყოვლისა ვცდილობდი მე, რათა ღმერთის სავანეს ჰქონოდა შესაფერი მორთულობა და ხარკები საარსებოდ;

მეორე ის, რომ ღარიბებს ჰქონოდათ მცირედი დახმარება და ნუგეში;

მესამე ის, რომ ჩემთან ერთად საუკუნეების მანძილზე მოეგონებინათ ისინი, ვინც შეწირულება გაიღო ამ სავანესათვის, მაგრამ რადგან სიკეთე სიკეთეთ არ ჩაითვლება, თუ კეთილ საქმეს ადამიანი არ მოიმოქმედებს მუდამ, მე გადავწყვიტე განმესაზღვრა ეს ვალდებულებანი... (შემედგინა ტიპიკონი)“²⁰⁰.

¹⁹⁷ Ion N an u... გვ. 316.

¹⁹⁸ იქვე, გვ. 315.

¹⁹⁹ იქვე.

²⁰⁰ Academia R. P. R., manuscrisul romînesc nr. 3342.

ანთიმ ივერიელის მიერ შედგენილი ტიპიკონის მიხედვით „ყოველად წმიდათა“ მონასტრის ორგანიზაცია შემდეგი იყო. მონასტერი უნდა „დამორჩილებოდა და მართული ყოფილიყო მხოლოდ წინამძღვრისა“²⁰¹ და ხუთი ეპიტროპის მიერ, რომლებსაც თავის დროზე აღმსარებლებლად და მეთვალყურედ დააყენებდა უშუალოდ თვითონ წინამძღვარი“²⁰². წესდებაში განსაზღვრული იყო წინამძღვრის მოვალეობანი, თუ როგორ და რა გზით უნდა ემართა მას მონასტერი. წინამძღვარი განაგებდა მონასტრის ყოველგვარ შემოსავალს, გასაქვალსა და ქონებას. მაგრამ წინამძღვრის ძალაუფლება მთლიანად განუსაზღვრელი როდი იყო. მას რაიმე გადაწყვეტილების მიღების დროს ევალებოდა მოთათბირებოდა ეპიტროპებს, ვინაიდან, როგორც აღნიშნავდა ანთიმ ივერიელი, „ორი თავი უკეთესია, ვიდრე ერთი“²⁰³. თავის მხრივ ეპიტროპებს ეძლეოდათ უფლება წინამძღვრის კონტროლისა. მათ თვალყური უნდა ედევნებინათ მოაქვს თუ არა სარგებლობა მონასტრისათვის წინამძღვრის მოღვაწეობას. ზომ არ აქვს წინამძღვრის მხრივ ადგილი კანონის დარღვევას, შემოსავლის მითვისებასა და გაფლანგვას. ასეთ შემთხვევაში, წერდა ანთიმ ივერიელი, წინამძღვარმა „ქერ გაფლანგული უნდა აანაზღაუროს და შემდეგ სასტიკად დაისაჯოს, როგორც ქურდი, მტაცებელი და ღატაკთა მჩაგვრელი. და რომ ეს თვალნათლივ ყველამ ნახოს, რადგან ჩემი გადაწყვეტილებით მონასტრის შემოსავალი განკუთვნილია ღატაკთათვის...“²⁰⁴.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ღატაკთა შებრალება და მფარველობა, მათდამი ზრუნვისა და შემწეობის გამოჩენა წითელ ზოლად გასდევს ანთიმ ივერიელის მიერ „ყოველად წმიდათა“ მონასტრისათვის შედგენილ ტიპიკონს. მოგვყავს ნაწყვეტები ტიპიკონიდან: „ყოველ დიდ ხუთშაბათ დღეს მიეცეს სამ ღატაკ ვაჟს ხიფთნები და სამ ღატაკ გოგონას კაბები“. „წმიდა დიმიტრის დღესასწაულის ყოველ მეორე დღეს მიეცეს ერთ ღატაკ გოგონას, რომელიც გათხოვებას აპირებს, 15 ოქროს მონეტა...“ „ყოველ ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთ-

²⁰¹ 1716 წლის 15 მარტს ანთიმ ივერიელმა, მის მიერ შედგენილ „ყოველად წმიდათა“ მონასტრის ტიპიკონს დაურთო დამატება. მასში ნათქვამია: „წინამძღვარმა არაფერი არ უნდა დაიმუროს მონასტრის სანოვავიდან ღარიბ-ღატაკთა და უცხოთათვის, იქნება ეს ხორცი, პური თუ ღვინო, რათა მონასტრის სახელი არ გაუტყდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გადაყენებულ უნდა იქნეს...“ Academia R. P. R., manuscrisul romines r.r 3342.

²⁰² Academia R.P.R., manuscrisul romfnesc nr. 3342.

²⁰³ იქვე.

²⁰⁴ იქვე.

შაბათს და პარასკევს ღატაკთ დაურიგდეთ 40-40 მონეტა“..²⁰⁵ და სხვ. ანთიმ ივერიელი აგრეთვე ავალებდა მონასტრის მსახურთ ყოველმხრივი დახმარება აღმოეჩინათ ავადმყოფებისათვის და არ მოეკლოთ მათთვის მზრუნველობა.

როგორც ტიპიკონიდან ჩანს, ანთიმ ივერიელი ღატაკთა ზრუნვისა და მფარველობის გარდა დიდ ყურადღებას უთმობდა მათი ბავშვების აღზრდისა და სწავლა-განათლების საქმეს. ტიპიკონის VI თავში, რომელიც დასათაურებულია „ბავშვების სწავლის შესახებ“, ჩვენ ვეითხულობთ: „ღარიბთა სამ ბავშვს, რომელთაც სურთ სწავლა, ყოველწლიურად გამოეყოს ექვსი ოქროს მონეტა, აღდგომას საჩუქრად მიეცეს სამოსელი, ბეწვიანი ქუდი და ერთი წყვილი ჩექმა. ეს ხარჯები და საჩუქრები გაღებულ იქნას ოთხი წლის მანძილზე, რადგან ამ დროის განმავლობაში ისინი შესძლებენ შეისწავლონ რუმინული და სლავური ენები“²⁰⁶. ბავშვებისათვის წიგნების შეძენა მონასტრის ხარჯზე უნდა მომხდარიყო. მასწავლებლად კი მათთვის უნდა დაენიშნათ „ყველაზე უფრო განათლებული ბერი“, რომელიც „წერა კითხვასა და საეკლესიო წესებს“ შეასწავლიდა ბავშვებს. მაგრამ ანთიმ ივერიელი, ცხადია, ითვალისწინებდა იმ გარემოებასაც, რომ მხოლოდ დავალებით მასწავლებელს შეეძლო მთელი გულისყურით და მონდომებით არ მოკიდებოდა ბავშვების აღზრდის საქმეს. ამიტომაც, იგი „ბავშვების აღზრდელს“ წასახალისებლად სპეციალურ გასამრჯელოსაც კი უნიშნავს. ეს გასამრჯელო შეადგენდა 15 ოქროს მონეტას. საყურადღებოა შემდეგი გარემოება. განათლების მიღების შემდეგ ბავშვებს შეეძლოთ თვითონვე გადაეწყვიტათ თავისი მომავალი. როგორც ანთიმ ივერიელი წერდა, „ენახათ თავისი ადგილი“. „თუ ვინმე მათგანი მოისურვებს ბერად აღკვეცას და გადასწყვეტს მონასტერში დარჩენას, მიღებულ იქნეს ის...“ ამ სიტყვებიდან ცხადი ხდება, რომ ანთიმ ივერიელი, რომელიც მონასტრის ხარჯზე სწავლა-განათლებას აძლევდა ღარიბთა ბავშვებს, სრულიადაც არ უზღუდავდა მათ მომავალი ცხოვრების გზის არჩევის უფლებას. მონასტერში სწავლა-განათლება მიღებული ბავშვი ვალდებული არ იყო აუცილებლად ბერად აღკვეცილიყო. „ორი წლის სწავლების შემდეგ, — წერს ანთიმ ივერიელი, — ბერი უნდა შეეკითხოს ბავშვებს, სურს თუ არა რომელიმე მათგანს სასულიერო წოდების მიღება. ამ შემთხვევაში მას უნდა შეასწავლონ საეკლესიო წესები..“²⁰⁷. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ანთიმ ივერიელის

²⁰⁵ Academia R. P. R., manuscrisul romînesc nr. 3342.

²⁰⁶ იქვე.

²⁰⁷ იქვე.

ზრუნვის საგანი არა მარტო სასულიერო კადრების მომზადება იყო, არამედ ის, რომ სწავლა-განათლება მოეპოვებინა უბრალო ვლახელ ხალხს და თავი დაეღწია უეიკობისა და სიბნელისაგან. თუ ანთიმ ივერიელი, ერთის მხრივ, ყოველგვარ პირობას უქმნიდა ბავშვებს სწავლა-განათლების მისაღებად, მეორეს მხრივ, თვით ბავშვებისაგან იგი მკაცრად მოითხოვდა სწავლაში ბეჭითობასა და მუყაითობას. ხოლო ის მოწაფე, რომელიც აღარ მონდომებდა სწავლის გაგრძელებას და ოთხ წელზე აღრე შეწყვეტდა მეცადინეობას, აღარ მიიღებდა აღარც ფულს საარსებოდ, აღარც საჩუქრებსა და ტანისამოსს და გავდებულ იქნებოდა მონასტრიდან. მის მაგივრად კი აიყვანდნენ სხვა მოსწავლეს.

ტაპიკონის IX თავის მიხედვით მონასტრის მსახურთ პატივისცემა და სტუმართმოყვარეობა უნდა გამოეჩინათ იმ უცხოელთა მიმართ. ვინც გაქირვებისა და ხელმოკლეობის გამო თავშესაფარს მოსთხოვდა მათ. „თუ სამ უცხოელს, — წერდა ანთიმ ივერიელი, — მოუხდება ამ ქვეყანაში ყოფნა, მათ მონასტრის ხარჯზე სამი დღის მანძილზე მიეცეს საკმელ-სასმელი, ზოლო მესამე დღეს დასაჩუქრდნენ 30 მონეტით, რათა საშუალება ჰქონდეთ განაგრძონ თავიანთი გზა. ეს ხარჯები წლიურად უნდა შეადგენდეს 78 ოქროს მონეტას“²⁰⁸. ის გარემოება, რომ ანთიმ ივერიელი აწესებს სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულებზე „გაეცეს ფული ღარიბებს“, დასაჩუქრდნენ ფულით გასათხოვარი გოგონები თუ უცხოელები, რეგულარულად მიეცეს ჯამაგირი მონასტრის მსახურთ თუ დაქირავებულ მუშახელს, ყოველივე ეს, ჯერ ერთი, იმის მაჩვენებელია, რომ „ყოვლად წმიდათა“ მონასტერი შეძლებული და მდიდარი ყოფილა, ხოლო მეორეს მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ მონასტრის ეკონომიურ ცხოვრებაში მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული ფულად რენტას. საყურადღებოა, რომ მონასტრის სალაროში დაგროვებული ფული, სხვათა შორის, თავის გამოყენებას პოულობდა შემდეგ ფულად ოპერაციაში. „ფული რომ სალაროში ყოველგვარი სარგებლობის გარეშე არ იდევს, — ვკითხულობთ ჩვენ ტაპიკონის დამატებაში, — ამისათვის საჭიროა, თუ ვინმე მონდომებს მის სესხად აღებას; ხელწერილის ქვეშ მიეცეს მას სესხი, ხოლო იმ პირობით, რომ დააბრუნებს წაღებულ თანხას ერთი წლის შემდეგ. ამასთანავე, ყოველ ას მონეტაზე მოიტანს 7 მონეტით მეტს“²⁰⁹. მონასტრის მეურნეობაში ფულადი რენტის გვერდით, როგორც ჩანს, ძალაშია ნატურალური რენტაც, რადგან გადასახადებში ჩვენ ვხვდებით

²⁰⁸ Academia R. P. R., manuscrisul romînesc nr. 3342.

²⁰⁹ იქვე.

„ერთ ოყა თაფლს და ღვინოს“²¹⁰. საერთოდ თაფლი და ღვინო, მონასტრის შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო ყოფილა, განსაკუთრებით კი ღვინო, რადგან ტიპიკონში ნათქვამია, რომ მონასტერი ფლობდა დიდძალ ვენახებს. მონასტრის სამეურნეო ცხოვრებაზე ჩვენ რომ უფრო სრული სურათი გვქონდეს, შემდეგ აღვნიშნავთ: ანთიმ ივერიელის ტიპიკონით მონასტერში შემოღებული ყოფილა „სარეესტრო წიგნები“²¹¹, რომლებშიაც დეტალურად იყო აღწესხული მონასტრის ყოველგვარი შემოსავალი თუ გასავალი.

„ყოვლად წმიდათა“ მონასტერს გააჩნდა საკუთარი მდიდარი ბიბლიოთეკა. ანთიმ ივერიელი წესდების XVIII თავში, რომელიც ეხება სამონასტრო ბიბლიოთეკას, წერდა: „ვწყველი ყველა იმათგანს, ვინც გაბედავს თუნდაც ერთი წიგნის წაღებას იმ წიგნებიდან, რომელიც მე დავეუტოვე ჩვენს ბიბლიოთეკას; სულერთია იქნება ეს წიგნი რუმინული თუ ბერძნული. ხოლო თუ ვინმეს დასჭირდება რომელიმე წიგნის წაღება იმ მიზნით, რომ ის წაიკითხოს ან მონახოს მასში რაიმე მისთვის საჭირო, იგი ვალდებულია წერილობითი სახით მოითხოვოს წიგნი და აგრეთვე აღნიშნოს ვადა მისი უკან დაბრუნებისა. ხოლო ისინი, ვინც გასცემენ ამა თუ იმ წიგნს, ვალდებული არიან დროზე მოითხოვონ წიგნის დაბრუნება“²¹².

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტიპიკონის XVIII პარაგრაფი, რომელიც დასათაურებულია „სტამბის შესახებ“. ამ პარაგრაფში განსაზღვრულია, თუ რა ვალდებულებები ეკისრებოდა მესტამბეს, რაში გამოიხატებოდა მისი საქმიანობა, რა გასამრჯელო უნდა მიეღო მას და სხვ. მაგალითად, ანთიმ ივერიელი წერდა, რომ მესტამბისათვის წიგნის თვითოეული ფურცლის დაბეჭდვაში მონასტერს თავისი სალაროდან უნდა გადაეხადა 6 მონეტა. გარდა ამისა, თუ სასტამბო დაზგის რაიმე ნაწილი და სხვა საჭირო საგანი ამა თუ იმ მიზეზის გამო დაზიანდებოდა და უვარგისი გახდებოდა, მონასტერი ვალდებული იყო თავისი ხარჯებით აღედგინა და განეახლებინა ისინი. ანთიმ ივერიელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მესტამბეების კადრების მომზადებას და საერთოდ ბეჭდვითი საქმიანობის განვითარებას. იგი ტიპიკონში ხაზგასმით აღნიშნავდა: „...მესტამბე ვალდებულია შეასწავლოს თავისი ხელობა სხვას, რათა არ მოიშალოს და გაჰქრეს ეს ხელოვნება და რომ არ შეწყდეს მუშაობა წიგნების ბეჭდვაზე ამა ქვეყნის საკეთილდღეოდ“²¹³.

²¹⁰ Academia R. P. R., manuscrisul romînesc nr. 3342.

²¹¹ იქვე.

²¹² იქვე.

²¹³ იქვე.

ანთიმ ივერიელის მიერ „ყოვლად წმიდათა“ მონასტრის ტიპიკონში პარაგრაფი „სტამბის შესახებ“ საგანგებოდ იქნა შეტანილი. საქმე იმაშია, რომ „ყოვლად წმიდათა“ მონასტრის აშენებასთან ერთად ანთიმ ივერიელმა იქვე დააარსა სტამბაც. სწორედ ამ სტამბაში, რამდენიმე წლის შემდეგ, 1716 წელს დაიბეჭდა უკანასკნელი წიგნი, რომელიც დაკავშირებული იყო ანთიმ ივერიელის სახელთან. ეს წიგნია „წმიდა ისტორია ანუ იუდაიკა“.

მაგრამ ახლა დაუბრუნდეთ ისევ 1714 წელს, როდესაც ანთიმ ივერიელი განაგრძობს წიგნების ბეჭდვას ტირგოვიშტეში. ამ წელს გამოცემული წიგნები შემდეგია: „ეკლესიის მსახურთა წესები“ რუმინულ ენაზე, 17 გვერდის მოცულობით, „ჟამნი“ სლავურ-რუმინულ ენებზე, 155 გვერდის მოცულობით და „საგალობელი“, რუმინულ ენაზე 140 გვერდის მოცულობით.

რაც შეეხება „ეკლესიის მსახურთა წესებს“, ამ წიგნის გამოცემა იმით იყო გამოწვეული, რომ 1710 წელს ანთიმ ივერიელის მიერ დაბეჭდილი წესები და დარიგებანი, რომლებიც მიზნად ისახავდნენ აღმოეფხვრა სამღვდელოებაში უვიცობა და უცოდინარობა, არ სრულდებოდა. „ამ უბედურებასთან ერთად“, თუ რა დაბლა იყო დაცემული სამღვდელოებაში პატიოსნების, წესრიგის და მორალის შეგნება, ნათლად შეტყველებს ანთიმ ივერიელის მიერ გამოცემული ბრძანებები, რომელთა საილუსტრაციოდ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტი უკრძალავდა სამღვდელოებას სამიკიტნოებსა და დუქნებში სიარულს და ღვინით ვაჭრობას²¹⁴.

1714 წელს გამოცემული წიგნების დასახელების დროს საჭიროდ კთვლით გაუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ ეს წიგნები დაიბეჭდა აგვისტომდე, და ამას თავისი მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, 1714 წლის მანძილზე აგვისტოს შემდეგ ვლახეთში არ გამოცემულა არც ერთი წიგნი, ხოლო, რაც მთავარია, 1714 წლის აგვისტოს თვე დაკავშირებულია ვლახეთის პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტთან. ამ პერიოდში თურქებმა კონსტანტინოპოლში თავი მოჰკვეთეს კონსტანტინე ბრინკოვიანუს^{*}.

მისი სიკვდილით დასჯის შემდეგ ვლახეთის სამეფო ტახტზე ადის სტეფანე კანტაკუზენი. საყურადღებოა, რომ პირველივე წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც ანთიმ ივერიელი ახლადდანიშნულ მთავარს მიმართავს, პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. საქმე იმაშია, რომ პრუტის ლაშქრობის მარცხი, რომელიც ოტომანთა იმპერიის ტერიტორია-

²¹⁴ C. E r b i c e a n u. Invalatura bisericească a Vlădicai Antim. *ib.* Biserica Ortodoxă Română, an XVI, გვ. 769—758.

* *ib.* ამ წიგნის გვ. 292—293.

ზე მცხოვრებ ქრისტიანთა განთავისუფლების დროშით დაიწყო, საბედისწერო აღმოჩნდა არა მარტო კონსტანტინე ბრინკოვიანუსათვის, არამედ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ თურქების მიერ დაზოჩილებულ ქრისტიანი ხალხებისათვისაც. ვლახელების, მოლდაველების, სერბების და სხვათა მიერ რუსებისადმი გამოვლენილი სიმპათიებით გააფთრებული პორტა მთელი თავისი სისასტიკით უსწორდება მათ. გადასახადების ზრდა, დაკაბალება, რელიგიური ფანატიზმი კიდევ უფრო აუტანელს ხდის უბრალო ხალხის ისედაც მძიმე მდგომარეობას. „ხალხი, რომელიც ღმერთს არ უყვარს და რომელსაც ჩვენი დამონება უნდა“, — ამბობდა ანთიმ ივერიელი თურქ დამპყრობლების მიმართ და ყოველმხრივ ცდილობდა შეემსუბუქებინა ვლახელი ხალხის მძიმე ხვედრი და ეჭსნა ის „ბაბილონური მონობიდან“. მაგრამ ანთიმ ივერიელი მხოლოდ ვლახელი ხალხის ბედ-იღბალზე როდი ზრუნავს. მას ასევე აფიქრებს სულთნის ძალაუფლების ქვეშ მყოფი ყველა ქრისტიანის მდგომარეობა. ამიტომ იყო, რომ სტეფანე კანტაკუზენის სამეფო ტახტზე ასვლის დროს ანთიმ ივერიელი მიესალმა მას არა მარტო როგორც ვლახეთის ახალ მთავარს, არამედ მოუწოდა სტეფანე კანტაკუზენს, ყოფილიყო თურქთა ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხების მოსარჩლედ და ინტერესების დამცველად. „განსაკუთრებით დაეხმარე ღარიბებსა და გაჭირვებულებს, რათა მათ ყველგან სიყვარულით და მაღლობით მოიხსენიონ შენი გვარის კეთილშობილება, ყოველთვის კარგი სტქედან შენზე და ისწრაფვოდნენ შენსკენ თვით შორეული, ვლახეთის სამთავროს ფარგლებს გარეთ მდებარე ადგილებიდანაც კი, რადგან აურაცხელი გადასახადებისაგან და აუტანელი შრომისაგან ილუპებიან ეს უბედურნი ურჯულოთა მიწაწყალზე. შეხედე, თუ როგორ იტანჯებიან ისინი და შეიბრალე ვითარცა უპატრონოდ დარჩენილი ბავშვები, იყავ კეთილი და მომთმენი მათ მიმართ, ისევე როგორც საკუთარი შვილების მიმართ“²¹⁵.

სტეფანე კანტაკუზენის მეფობის პერიოდში ანთიმ ივერიელი აგრძელებს თავის ნაყოფიერ მოღვაწეობას. 1715 წელს ბერძნულიდან რუმინულ ენაზე თარგმნის „ჟამნს“. ამ წიგნს 531 გვერდის მოცულობით ბექდავს გიორგი რადოვიჩი ანთიმ ივერიელის ქეთვალყურეობის ქვეშ.

იმავე წელს ანთიმ ივერიელმა ბერძნულ ენაზე გამოსცა იერუსალიმის პატრიარქის ქრიზანთეს წიგნი „ქრისტეს წმიდა ეკლესიის კლერიკალური და უმაღლეს თანამდებობათა მსახურებისა და მათი მნი-

²¹⁵ Biserica Ortodoxa Romina, an. XXX, (1906—1907) გვ. 1208.

შენელობის შესახებ“. ამის შემდეგ მან შეკრიბა და შემდეგ გალექსა „ძველ ბერძენ მასწავლებელთა გამოთქმები, ყველაზე უფრო მოხდენილი და სასარგებლო, რომლებიც დახმარებას აღმოუჩინენ ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში“²¹⁶. ეს წიგნი ბერძნულ ენაზე გამოიცა ბუქარესტის სტამბაში და მოიცავს 40 გვერდს. წიგნი დაბეჭდა დიონისე ფლორუმ. „იერომონაზი დიონისე ფლორუ — წერს იორგა — რომელიც ბუქარესტის სტამბაში მუშაობდა 1715—1716 წწ., აგრეთვე ითვლება დიდი ანთიმის მოწაფედ“²¹⁷.

სწორედ ამ დიონისე ფლორუს მიუძღვის წვლილი იმ უკანასკნელი წიგნის დაბეჭდვის საქმეში, რომელიც გამოიცა 1716 წელს აგვისტოში ანთიმ ივერიელის მიერ „ყოვლად წმიდათა“ მონასტერთან დაარსებულ სტამბაში. წიგნის დასახელებაა „წმიდა ისტორია, ანუ იუდაიკა“, 384 გვერდის მოცულობით.

1716 წელს სტეფანე კანტაკუზენის ნაცვლად, რომელიც მსგავსად ბრინკოვიანუსი სიკვდილით დასაჯეს თურქებმა კონსტანტინოპოლში, ვლახეთის სამეფო ტახტზე „ბრწყინვალე პორტა“ სვამს ნიკოლო მავროკორდატს — პირველ ფნაროტ მთვარს²¹⁸. ანთიმ ივერიელი იძულებული ხდება შეწყვიტოს თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა და ამიერიდან მისი ერთადერთი მიზანია იხსნას ვლახეთი და ვლახელი ხალხი როგორც თურქთა ბატონობისაგან, ასევე მათი „ერთგული მსახურების“ ფნაროტთა თვითნებობისაგან. ამ ბრძოლას შესწირა კიდევ ანთიმ ივერიელმა თავისი სიცოცხლე²¹⁹.

ამრიგად, 26 წლის მანძილზე, რომელიც ანთიმ ივერიელმა ვლახეთში გაატარა, მან გამოსცა სხვადასხვა ხასიათისა და მოცულობის 64 წიგნი. აქედან 39 წიგნი უშუალოდ ანთიმ ივერიელის დაბეჭდილია, დანარჩენები მისი ხელმძღვანელობით და მეთვალყურეობით. 7 წიგნი დაბეჭდა მიხაილ იშტევანოვიჩმა, 12 წიგნი — გიორგი რადოვიჩმა, 2 წიგნი — დიონისე ფლორუმ. რაც შეეხება დანარჩენ ოთხ წიგნს, ჭერ-ჭერობით არაფრის თქმა არ შეიძლება იმის შესახებ, თუ რომელი მესტამბის მიერ არიან ისინი დაბეჭდილი, რადგან ერთი წიგნის არც ერთი ეგზემპლიარი არაა ჭერ-ჭერობით ნაპოვნი, ხოლო დანარჩენ 3 წიგნს არ გააჩნიათ სატიტულო ფურცლები²²⁰.

²¹⁶ Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 748.

²¹⁷ N. I o r g a, Istoria literaturii romanesti, II, გვ. 466—467.

²¹⁸ იხ. ამ წიგნის გვ. 299—300.

²¹⁹ იხ. ამ წიგნის გვ. 306—348.

²²⁰ Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 750.

გამოცემის ადგილის თვალსაზრისით დაბეჭდილი წიგნები შემდეგნაირად შეიძლება დანაწილდეს: ბუქარესტში დაიბეჭდა 20 წიგნი, სნაგოვოში — 14, რიმნიკში — 10, ტირგოვიშტეში — 19, „ყოვლად წმიდათა“ მონასტერთან არსებულ სტამბაში — 1 წიგნი.

30 წიგნი დაიბეჭდა ბერძნულ ენაზე, 24 — რუმინულზე, 1 — ძველ სლავურზე, 2 — ბერძნულ-არაბულზე, 1 — ბერძნულ-რუმინულ-ძველ სლავურზე, 2 — ბერძნულ-არაბულზე, 1 — ბერძნულ რუმინულზე. ერთი წიგნი დაიბეჭდა სამ ენაზე: ბერძნულ-ძველ სლავურ-რუმინულზე.

ანთიმ ივერიელის მიერ გამოცემული ყველა წიგნიდან 4 წიგნი თვით ანთიმ ივერიელის მიერაა დაწერილი, 10 წიგნს მან დაუწერა წინასიტყვაობა, ხუთი წიგნისათვის მან შეთხზა ლექსები, ექვს წიგნს გაუკეთა შენიშვნები, ხოლო ექვსი წიგნი მის მიერაა ნათარგმნი ბერძნულიდან რუმინულ ენაზე.

ანთიმ ივერიელი, მიხაილ იშტვანოვიჩი და პირველი ქართული სტამბა

ცნობილია, რომ პირველი ქართული წიგნი გამოიცა რომში 1629 წელს. ეს წიგნი ქართულ-იტალიური ლექსიკონია. იმავე წელს რომში იბეჭდება მეორე ქართული წიგნი: ქართული ანბანი ლოკვებითურთ. (XVII საუკუნის განმავლობაში რომში დაბეჭდილი წიგნებიდან სულ ცნობილია ხუთიოდე სახელწოდების წიგნი). ჩვენ აქ აღარ შევჩერდებით თბილისში პირველი სტამბის დაარსებამდე ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაზე, რადგან ეს საკითხი ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იმ მოღვაწეთა შორის, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში ზრუნავდნენ ეროვნული კულტურის ამაღლებისათვის, კერძოდ კი ბეჭდვითი საქმიანობის დანერგვისათვის საქართველოში, პირველ რიგში უნდა დასახელდეს არჩილ მეფე. თუმცა, ტრაგიკული ბედის წყალობით, მან ვერ შესძლო თავისი მიზნების განხორციელება, რადგან იმ დროისათვის საქართველო „მტრისაგან შევიწროებული და მრავლის ქირისაგან დამძიმებული ქვეყანა იყო“. მაგრამ სამშობლოს გარეთაც ფიქრობდა არჩილ მეფე ქართულ სტამბაზე და, როგორც ვიცით, მან მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, მოკოვეში გამართა კიდევ ქართული სტამბა, სადაც 1705 წელს დაიბეჭდა ქართული წიგნი „დავითნი“.

ამრიგად, ვიდრე საკუთრივ საქართველოში პირველი ქართული სტამბა ამოქმედდებოდა, ქართული წიგნის ბეჭდვის ფაქტებს ჩვენ ვხე-

დავთ საქართველოს ფარგლებს გარეთ: რომსა და მოსკოვში. (პირველ შემთხვევაში 80 წლით, ხოლო მეორე შემთხვევაში 4 წლით ადრე, ვიდრე თბილისის სტამბაში 1709 წელს გამოიცემოდა „სახარება“). რასაკვირველია, ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოში ქართული წიგნის ბეჭდვის იდეა გაცილებით ადრე იყო მომწიფებული, ვიდრე თბილისში პირველი ქართული წიგნი დაიბეჭდებოდა. ცხადია, თუ არა სპარსთა და თურქთა აგრესია, ასევე საქართველოს შიგნით არსებული ფეოდალური დაქსაქსულობა, „მთავრებისა და დიდგვაროვან აზნაურების თავგასულობა, უგუნური ქცევა და ქვეყნისა და ხალხის ღალატი“, რამაც ქვეყანას არანაკლები ზიანი მიაყენა, ვიდრე უცხოელ დამპყრობელთა შემოსევამ, საქართველოში ქართული სტამბის დაარსება XVII საუკუნის 80-იან წლებში უნდა განხორციელებულიყო. გავიხსენოთ არჩილ მეფის მოსკოვში პირველ ჩასვლისთანავე მის მიერ გადადგმული ნაბიჯები ქართული შრიფტისა და სასტამბო მოწყობილობის შესაძენად. სამწუხაროდ, არჩილის მიერ 1705 წელს მოსკოვში დაარსებულმა ქართულმა სტამბამ ვერ მისცა დასაბამი ბეჭდვითი სიტყვის დანერგვას საქართველოში. მაგრამ რისი განხორციელებაც არჩილმა ვერ შესძლო, იგი სისრულეში მოიყვანა მისმა ძმისწულმა ვახტანგ VI, შესანიშნავმა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ, განმანათლებელმა, მწერალმა და მეცნიერმა, რომლის შესახებაც ვახუშტი შემდეგს წერდა: „...ვახტანგი იყო ღვთისმოშიში და მოყვარე და ფრიად მოღვაწე, სამღვდელთა პატივისმცემელი, ქვრივ-ობოლთა, გლახაკთა მომცემელი, შემბრალე, ეკლესიათა მაშენებელი, ხატთა და ჯვართა შემამკობელი, მოწყალე, ცოდნის-მოყვარე, ბრძენი, მხნე და აზოვანი, მშვენიერ-ჰაეროვანი, მუშაკი უსჯი და მშვიდი“¹. მიუხედავად თავისი ხანმოკლე მეფობისა, მეტად მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში, როდესაც ნარიყალაშიც კი სპარსთა გარნიზონი იდგა², ვახტანგი მხნედ შეუდგა სახელმწიფოებრივ და კულტურულ მოღვაწეობას.

უპირველესად მან ბელი მიჰყო ქართლის სოფლის მეურნეობის აყვავებას, ჩაატარა დიდი საირიგაციო სამუშაოები, გასჭრა ახალი სარწყავი არხები, აღადგინა ძველი რუხსმულები³ და ამით გააფართოვა რწყვის სისტემის ქსელი. „ხელახლა დაასახლა გლეხები დიდი ხნის

¹ ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება 1469 — 1800 წლამდე, ზაქარია კიკინაძის მეორე გამოცემა, გვ. 108—109.

² იქვე, გვ. 113.

³ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), 1941, გვ. 37, 45, 51, 61.

წინ დაცლილ სოფლებსა და მთელ მხარეებში“⁴. ქართლის გაუდაბურებული ადგილები მან ხელახლა დააშენა და დაასახლა. ყოველნაირად შეუწყო ხელი არა მარტო სოფლის მეურნეობის, კერძოდ, კი ხვნა-თესვის და მებაღეობა-მევენახეობის ინტენსიურ განვითარებას⁵, არამედ ძალად ღონეზე დააყენა ქვეყნის შინამრეწველობაც. გასაქანი მისცა ისეთ ახალ წამოწყებებს, როგორცაა ნავთობის ამოღება, გვარჯილისა და მარმარილოს დამუშავება, რკინის, სპილენძისა და სხვა მადნეულის მოპოვება⁶.

ვახტანგის დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა ვაჭრობა-ხელოსნობა. თბილისი ვაჭრობის დიდ ცენტრად გადაიქცა. თბილისელი ვაჭრები დადიან სპარსეთში, თურქეთში, ინდოეთში, ვლახეთში და საქართველოდან უცხოეთში გააქვეთ ქართული ღვინო, ბეწვეული, აბრეშუმი, ენდრო და სხვა საქონელი⁷.

აგრეთვე აღსანიშნავია ვახტანგის მშენებლობითი საქმიანობა. მან „ააგო სასახლეები“⁸ — ვკითხულობთ ჩვენ „საქართველოს ისტორიის“ ფურცლებზე. საყურადღებოა თბილისში აგებული სასახლე, რომლის შესახებაც სეხნია ჩხეიძე წერდა: „ამის უმშვენიერესი სახლი არც ერანს შიგან მინახავსო“. თბილისშივე აშენებულ იქნა სამი ახალი ქარვასლა⁹.

ვახტანგის დროს განსაკუთრებული ინტენსიურობით გაიშალა სარესტავრაციო და მშენებლობითი მუშაობა. ვახუშტის ცნობით „დარღვევას მიხდილი“ თბილისის სიონი ვახტანგმა „განაახლა და აღაშენა ძირიდან გუმბათითურთ“¹⁰. მანვე განაახლა ნათლისმცემლის ეკლესია, აღადგინა ნანგრევებიდან ურბნისის ეკლესია და სხვ.

ცენტრალური ხელისუფლების და ქართლის, როგორც ქართული ფეოდალურ-მონარქიული სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა ვახტანგის მიერ „მცველთა რაზმის“ შექმნამ. მანვე

⁴ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1, 1948, გვ. 362.

⁵ იქვე.

⁶ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), 1941, გვ. 35, 38, 48, 78.

⁷ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1, 1948, გვ. 363.

⁸ იქვე, გვ. 362.

⁹ ვ. ბერიძე, XVIII ს. თბილისი ვახუშტის გეგმით, „ანალები“, 1, 1942, გვ. 134, 135.

¹⁰ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), 1941, გვ. 53.

სასტიკად აკრძალა ქართლის ფარგლებში ტყვის ყიდვა-გაყიდვა, რაც ძირს უთხრიდა მოქალაქეობრივ ცხოვრებას.

ამრიგად, ვახტანგის დროინდელ ქართლის პოლიტიკურსა და ეკონომიურ ცხოვრებაში გარკვეული პროგრესული მოძრაობა შეინიშნებოდა, რომელიც კანონზომიერი გაგრძელება იყო ჯერ კიდევ XVII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში ჩასატული საღი ტენდენციებისა. თუმცა „მრავალი ხელისშემშლელი გარემოების გამო ეს მოძრაობა არ შეიძლება ყოფილიყო იმდენად მძლავრი, რომ ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში ძირითადი გარდატეხა გამოეწვია. მიუხედავად ამისა, ახალ მოვლენათა გავლენა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ საკმარისი სიცხადით გამომედიანდა XVII—XVIII სს. მოწინავე ადამიანების აზროვნებასა და კულტურულ საქმიანობაში. მეჩვიდმეტე საუკუნის ფარგლებში მომხდარ ძვრათა ნიადაგზე აღმოცენებულმა ამ გონებრივმა მოძრაობამ სრული გასაქანი მეთვრამეტე საუკუნის პირველ ათეულ წლებში ჰპოვა და ვახტანგის დროინდელ ქართლში (1703—1724) ახალი ქართული მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარების ბრწყინვალე ფურცლებად გადაიშალა¹¹.

ჩვენ აქ დაწვრილებით აღარ შევჩერდებით იმ საკითხზე, თუ რაოდენ დიდი გაქანება ჰპოვა ქართლში აღნიშნულ პერიოდში მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარებამ და საერთოდ კულტურული ცხოვრების აღორძინებამ, რადგან ამის შესახებ არაერთი გამოკვლევა არსებობს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ვახტანგმა სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგების მიზნით დაწერა „სამართლის წიგნი“, რისთვისაც მან „რჯულ-მღებლის“ სახელი მოიპოვა. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი თუმცა მხოლოდ ქართლის სამეფოსთვის იყო შედგენილი, მაგრამ მთელ საქართველოში იყო მიღებული. იგი ქართული საკანონმდებლო შემოქმედების მნიშვნელოვანი ძეგლია“¹². ხოლო ვახტანგის მიერ შედგენილ წიგნის „დასტურლამალის“ (დასტური მოქმედებისა, მოწესრიგება მოხელეთა საქმიანობისა) თაობაზე ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ვახტანგმა თავისი დასტურლამალის შექმნით მართლმსაჯულება და მართვა-გამგეობა კვლავ ერთი ერთმანეთისაგან განსაზღვრა და სახელმწიფო სამართალსაც ისევ მტკიცე საფუძველი დაუდვა: ამიერითგან სახელმწიფო მართვა-გამგეობის გარკვეული წესრიგი იყო დამყარებული და მისი რყევა დამარღვევა ისე ადვილი აღარ იქნებოდა“¹³.

¹¹ ივ. ჯავახიშვილი, პირველი სტაბილური საქართველო (1709—1722), 1955, გვ. 32

¹² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 122.

¹³ იქვე, გვ. 79.

ვახტანგს, არეთვე, განსაკუთრებული როლი მიუძღვის ქართული ორიგინალური საისტორიო მეცნიერების განვითარების საქმეში. ვახტანგის ინიციატივით შემდგარმა „სწავლულ კაცთა“ კომისიამ შეკრიბა და წესრიგში მოიყვანა არსებული საისტორიო თხზულებები და წყაროები, კერძოდ „ქართლის ცხოვრების“ არსებული ხელნაწერები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ XIV—XVIII საუკუნეების ისტორია, რომელიც ხელნაწერებში არსად ჩანდა, კომისიას ახლად შეუდგენია სხვადასხვა სიგელ-გუჯრების, წარწერებისა და ქრონიკების მიხედვით. ამრიგად, როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, — „ვახტანგის მოწვევით „სწავლულ კაცთ“ განუზრახავთ და შეუდგენიათ კიდევ მთელი სრულიად საქართველოს ისტორია“¹⁴.

ვახტანგისავე სამეცნიერო სკოლაში იყო აღზრდილი ქართული საისტორიო მწერლობის და გეოგრაფიული მეცნიერების დიდი წარმომადგენელი ვაზუშტი, რომლის კაპიტალური ნაშრომი „საქართველოს ცხოვრება“ წარმოადგენს ქართველი ხალხის ისტორიის კრიტიკული განხილვის პირველ ცდას. ივ. ჯავახიშვილი შემდეგი სიტყვებით აფასებდა ამ ნაშრომს: „ვახუშტის შრომა წყაროების ესოდენ საფუძვლიანი შესწავლისა და იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა და მდგომარეობის ღრმა დაკვირვების ნაყოფია, რომ შემდეგშია იგი მუდამ უკვდავების შარავანდელით იქნება მოსილი და არას დროს მნიშვნელობა არ დაეკარგება“¹⁵.

იმ დროის დიდი ჰუმანისტი სულხან-საბა ორბელიანი ადგენს ივ. ავ-არაკთა კრებულს („სიბრძნე სიცრუისა“), რითაც მას განსაკუთრებული წვლილი შეაქვს სწავლა-აღზრდის საქმეში. აგრეთვე, ცნობილია, რომ აღნიშნული კრებულის დაწერით სულხან-საბა ორბელიანმა ქართული მხატვრული პროზის ოსტატის სახელი მოიხვეჭა.

ამ მრავალმხრივი მოღვაწის კალამსვე ეკუთვნის დიდი მეცნიერული, ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი: „სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი“. ლიტერატურული ინტერესების გაფართოებასთან ერთად ჩაისახა ქართული კრიტიკა, შედგა ქართული პოეტიკა („ქაშნიკი“) და სხვ.

ვახტანგის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მიმობნეულ ძველი ხელნაწერი წიგნების შეგროვებას, აღდგენასა და დაცვას. მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანი აღორძინების პერიოდის პირველი მეცნიერია, რომელმაც ქართული კლასიკური ფილოსოფიის

¹⁴ ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი და წყაროები, 1945, გვ. 321.

¹⁵ იქვე, გვ. 351.

ქვეყნებს 500 წლის მტვერი მოაცალა და ძვირფასი ფრაგმენტების გამოფლებასა და შესწავლას შეუდგა¹⁶.

სულხან-საბა ორბელიანის ძმამ, ნიკოლოზ ორბელიანმა წესრიგში მოიყვანა XIII საუკუნის ხელნაწერი ე. წ. „კათელორია“ (ფილოსოფიურ ნაშრომთა კრებული), ხოლო თვით ვახტანგმა თავის მხრივ აღადგინა XV საუკუნის ძეგლი — ზაზა ფანასკერტელის 1368 გვერდიანი ლექსი მოწიგნი.

სათანადო ყურადღება ექცეოდა აგრეთვე თარგმნის საქმეს. ჟუცხო ენებიდან ქართულზე ითარგმნებოდა არა მარტო მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლები („ქილილა და დამანა“), არამედ დიდი მეცნიერული ღირებულების მქონე შრომებიც. მაგალითად, ვახტანგმა სპარსულიდან თარგმნა ასტრონომიული ხასიათის ნაშრომი, რომელიც ეკუთვნოდა თემურ-ლენგის მწიგნობარ შვილიშვილს ულულ-ბეგს. ეს ნაშრომი წარმოადგენს, როგორც აქას წერდა ბარტოლდი, „შუა საუკუნეებში ასტრონომიის უკანასკნელ სიტყვას და უმაღლეს საფეხურს, რომელსაც მიაღწია ასტრონომიამ ტელესკოპის გამოყენებამდე“¹⁷.

ამ შესანიშნავი მოძრაობის პირშემა პირველი ეროვნული ქართული სტამბაც, როგორც ერთ-ერთი მუხლი ვახტანგისა და მისი დროინდელი ქართველების კულტურული საქმიანობისა.



ვახტანგ VI-ეს სტამბისათვის თბილისში საგანგებოდ აუგია შენობა. ერთ-ერთ საბუთში, რომელსაც ხელს აწერს მეფე ერეკლე, ნათქვამია: „ჩვენ კახთა მპყრობელმან და განმგებელმან ქართლისამან მეფე ერეკლემ შევწირეთ წმინდის ნათლისმცემლის მონასტერს უდაბნოსა გარეჯისასა ერთის ოთახის ადგილი ოთახითვე ქალაქს, რომ პაპასა ჩვენსა, ვახტანგ მეფეს შეეწირა იმ სახლის გვერდით ყოის ადგილი, სტამბის სახლებისა ყოფილიყო“¹⁸. (კურსივი ჩვენია — ო. გ.). „სტამბის სახლები“ ათ ოთახიან შენობას წარმოადგენდა¹⁹. იგი აშენებული ყოფილა მტკვრის შარჩვენა ნაპირას დღევანდელი რესპუბლიკის მილიციის სამმართვე-

¹⁶ ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), 1955, გვ. 34.

¹⁷ Культура мусульманства, II, 1918, стр. 94.

¹⁸ თ. გორდანი, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, 1903, გვ. 98.

¹⁹ Пл. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, 1866, стр. 247.

ლოს შენობის გვერდით. საინტერესოა პ. კარბელაშვილის ცნობა, რომლის მიხედვითაც სტამბის შენობის ასაშენებელი ხე-ტყე საგარეჯოს ტყეში მოუჭრიათ.

რუმინეთში ყოფნის დროს გ. ლეონიძემ გამოავლინა ქართული „სახარება“, რომელშიაც ცალკე ფურცელის სახით ჩაქრულია ხუცური შრიფტით ნაბეჭდი ცამეტ ტაეპოვანი რუსთველური შაირით დაწერილი პოემა. ეს პოემა მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის. თბილისში პირველი სტამბის დაარსებასთან დაკავშირებით. მოგვეყავს პომის ტექსტი.

- 1 „უფლისა მიმართ ვილოცოთ, ვინც ჩვენთვის ქვეყნად დარევადა ვისგანცა მოსე ძლიერსა ბრძოლოთ ფარას დარევადა, დასცა ძლიერი ერთურთ, ზღვასა ქვიშასა დარევადა, და სიყრპითგან ქრისტე ცნობილი თვით უენებელად დარევადა.
- 2 თვით ვახტანგ ბრძანებს: „იესო ღმრთად ქეშმარიტად მე მყოფა, პირველ იესეს ძირი ვარ, არცა ძმად, დათა მეყოფა, შემწეუდ მყავს წმინდა სამება, სამოთხეს მინდა მე ყოფა, და სტამბას მოვიხვეწე, შევაქმებ, ჩემთვის ეს ლხინად მეყოფა“.
- 3 პატრიარქსა წიგნი ჰკადრა, საქებელი, არ უწესო: „უძმობესო მოციქულო, ქრისტეანეთ მამა, მწყემსო, მისო მსგავსო, ქრისტეს ძალით ვინც რომ ცეცხლით ვერ დასწევსო, ერთსა სტამბის ხელოვნასა გთხოვთ, აქ მინდა დავაწესო“.
- 4 თქვა პატრიარქმა ხრისანთემ „თუმცა უცნია მესია, ქრისტეს მცნება და დიდება მის გულსა დანათესია, სწადიან მოციქულობა, ნინოსგან უკეთესია“, და ელახეთს გაგზავნა ჩაფარი, როგორც რიგი და წესია.
- 5 ელახთა მეფეს შეუთვალა: „მადლო და კარგად ზრდილო, ქრისტეს სჯულის დამჭირველო, სულიერი ჩემო შვილო, თქვენცა ნახეთ წიგნი ესე, მართალი და უსაცილო, და სჯულისათვის შესამატი, განა საქმე სათაქილო?“
- 6 ვახტანგს უხშია მესტამბე, მეფეა ქართლის მპყრობელი, ქრისტეს ქადაგი მორწმუნე, მტერთაგან შეუპყრობელი, მიბოძე ერთი ოსტატი, ჭკვიანი, მისანდობელი, და გავგზავნო, საქმე შეემატო ქვეყნისა შესაქმობელი“.
- 7 მან მეფემან წიგნი ნახა, ყველა ტყბილად მოიგონა, კაცი იხმო ხელოვანი, თავი არას დაილონა, რაც პატრიარქს ქება უთქომს, ისრე ღირსი არ მევონა, — და სწრაფად წადი, ემსახურე, თქვა, მეცა ვარ ქრისტეს მონა.
- 8 უბრძანა ერთსა ოსტატსა, მუნ ჰყვანდა თანამზრახველად, გონიერი და ჭკვიანი, მიხაილ ერქვა სახელად:

- „წადი, პატრიარქს ვახელ, თვით კარგად გიცნობს ელახელად.“
- და გზასა ნუ შეუზარდები, მამაცად იყავ და ხელად“.
- 9 პატრიარქმა გამოგზავნა აქ მიხაილ კარგად ზრდილი, კარგად სტამბის გამომღები, ჭკვიანი და გამოცდილი, რა მოვიდა, მეფემ ნახა, შეიყვარა, ვითა შვილი,
- და თქვა: „შემომკობს ქვეყანასა, გაანათლებს, ვითა ცვილი“.
- 10 რა მიხაილ მეფე ნახა, ჰკადრა: დიდად გავიხარე, ვიცი გფარავს ძალი ღმრთისა, მისთვის ნათობ, ვითა მთევარე, რასაც ბრძანებ, ყველა ძალ-მიც, მე ვარ თქვენი მოსახმარე,
- და გავმარავლებ საღმრთოს წიგნსა, აიესების ყოელი არე.
- 11 „მე ოსტატი რა აქ მოველ და ხელმწიფე ვახტანგ ვნახე, რაცა ბრძანა, აგრეცა ვეწე, არ ვისეედე, არც ვიახე, ჭრისტეს დიდი სასწაული ყველა ბეჭდით გამოვსახე,
- და ჩემი აქეთ გამოგზავნა არც ელახთ მეფეს დაუბრახე.
- 12 სტამბა გასრულდა, გათავდა, რაც იყო მისი წესები, ნება მიეცა ქართველთა სულთაგან უამესები, რიგი შეიქმნა სჯულისა, მეორედ დანათესები,
- და სხეც გარდაცვლილან მეფენი, რომ ვერ უქნიათ ესები“!
- 13 მეფეს ტკბილად გაეცინა, რა მიხაილ ესე ჰკადრა, „საქართველოს შესამატი ამისთანა ეპოვე სად რა? საქმე ძნელად საშოვნელი ღმერთმან ასრე გამიადრა,
- და მისი ტკბილი მოწყალეობა საფარველად გამიჩადრა“*.

ამ პოემის მიხედვით ვახტანგ VI-ეს, რომელსაც განუზრახავს საქართველოში სტამბის ორგანიზაციას, უთხოვია იერუსალიმის პატრიარქ ქრიზანთესათვის ამ საქმის მოსაგვარებლად „სტამბის ხელოვანი კაცი“. ქრიზანთეს თავის მხრივ დახმარებისათვის მიუმართავს ელახეთის მთავარ კონსტანტინე ბრინჯოვიანუსათვის. ამ უკანასკნელს უბრძანებია ოსტატ მიხაილისათვის, რომელიც იყო „კარგად სტამბის გამომღები, ჭკვიანი და გამოცდილი“, ზღებოდა პატრიარქს. ამის შემდეგ მიხაილი ჩასულა საქართველოში, სადაც იგი ვახტანგ VI-ეს მიუღია „ვითა შვილი“. მიხაილს აღუქვამს ვახტანგ VI-სთვის, რომ იგი არ დაზოგავდა ძალ-ღონეს და გაამრავლებდა „საღმრთო წიგნსა“. მიხაილს პირნათლად შეუსრულებია თავისი სიტყვა. პოემის ბოლოში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ თბილისში „სტამბა გასრულდა, გათავდა, რაც იყო მისი წესები“.

ვიდრე ჩვენ დავიწყებდეთ თბილისში პირველი ქართული სტამბის დაარსების ისტორიის განხილვას, გავარკვიოთ თუ ვინ იყო მიხაილ იშ-

* „დროშა“, № 2, 1951 წ., გვ. 17—18.

ტვანოვიჩი²⁰, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული პირველი ქართული წიგნის დაბეჭდვა, როგორც ეს ზემოთ მოყვანილი პოემიდან ჩანს და რასაც ადასტურებს 1709 წელს თბილისში გამოცემული წიგნები. როგორ მიმდინარეობდა ქართული კულტურის ამ ერთ-ერთი დიდი მოამაგის ცხოვრება და მოღვაწეობა, ვიდრე იგი ვლახეთიდან საქართველოში ჩამოვიდოდა?

შეიძლება დაბეჭივებით ითქვას, რომ ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის მკვლევართ, თუმც გამოაქვეყნეს ცნობები მიხაილ იშტვანოვიჩის შესახებ, მაგრამ ეს ცნობები მეტად მცირეა და ისინი ვარაუდისა და ურთიერთ საწინააღმდეგო ჩასიათს ატარებენ. მაგალითად, დ. კარიჭაშვილი წერდა: „საკითხავია, ვინ იყო მესტამბე მიხაილ სტეფანეშვილი (ხან სტეფანეს შვილი, ხანაც სტეფანეს ძე) უნგროვლახელი. უეჭველია იგი სტამბის საქმის დახელოვნებული ოსტატი უნდა ყოფილიყო, რადგან ის იყო ერთადერთი ადამიანი, რომელმაც გამართა სტამბა... უნდა ყოფილიყო საკმაოდ შეგნებული და ნაკითხი, როგორც ეს მოსჩანს იმ შენიშვნებიდან და მიმართვებიდან, რომელთაც ის ურთავდა ხან თავში, ხან ბოლოში მის მიერ დაბეჭდილ წიგნებს. ერთი სიტყვით, ის უნდა ყოფილიყო განვითარებული და შეგნებული სტამბის მოხელე ყოველნაირს მის დარგში“²¹. თ. ჟორდანიას გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მიხაილ იშტვანოვიჩი სასულიერო პირი იყო²². მაგრამ ამ მოსაზრების წინააღმდეგ ილაშქრებს დ. კარიჭაშვილი. იგი წერს: „...ამის თქმისათვის მას (თ. ჟორდანიას — ო. გ.) არავითარი საფუძველი არა აქვს. მიხაილ უნგროვლახელი მღვდელი რომ ყოფილიყო, ის თავის თავს უთუოდ საღმრთო მოიხსენიებდა ასეთად, ან სხვები მოიხსენიებდნენ, მაგრამ არსად ის თავის თავს მღვდლად არ იხსენიებს და არც სხვები იხსენიებენ ასეთად“²³.

ზ. კიკინაძე კატეგორიულად აცხადებს, რომ მიხაილ იშტვანოვიჩი უნგრელი იყო: „ჩვენ კარგად ვიცით, — წერს ზ. კიკინაძე, — რომ ვლახეთიდან საქართველოში მოსული მესტამბე მიქაელი უნგრელი ყოფილა. ხოლო ვლახეთში მყოფი და აქედან... საქართველოში მოსულა“²⁴. ზ. კიკინაძის წამოყენებულ ამ თვალსაზრისს უპირისპირდება დ. კარიჭაშვილი. იგი აღნიშნავდა: „არ ვიცით ნამდვილად მისი (მიხაილ იშტვანოვიჩის — ო. გ.) გვარი. უნგროვლახელს უწოდებს თავის

²⁰ მიხაილ იშტვანოვიჩი ანუ მიხაილ უნგროვლახელი, მიხაილ სტეფანეშვილი, როგორც იხსენიება ვლახელი მესტამბე ქართულ წყაროებსა და ლიტერატურაში.

²¹ დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 104.

²² „ივერია“, 1885 წ., № 10, გვ. 104.

²³ დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 69—70.

²⁴ ზ. კიკინაძე, ქართული სტამბები 1627—1916 წწ., გვ. 85.

თავს არა როგორც გვარს, არამედ თავის სადაურობის საცნობლად, რადგან მაშინ ვლახიას უნგროვლახიას უძახდნენ. ეს სახელი, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, ვითომ ის ყოფილიყვეს უნგრელი ტომით, როგორც ეს კიკინაძეს ჰგონია²⁵.

ხოლო რაც შეეხება ა. ხაზანაშვილს და თ. ჟორდანიას, მათ მიხაილ იშტვანოვიჩი გადააქციეს მიხაილ სტეფანოვად. „მიხაილ სტეფანოვმა უეჭველად თან ჩამოიტანა უუსაჭიროესი მასალა“²⁶. — წერდა თ. ჟორდანია; „Устройством типографии грузины обязали мастера из Вахтану Муханту Стефанову“.²⁷ — ეს სიტყვები კი გეჟოვანის ა. ხაზანაშვილს. აქ გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით დ. კარიჭაშვილი წერდა: „ჟორდანიას და ხაზანაშვილს ჰგონებიათ, რომ სტეფანეშვილი (სტეფანეს შვილი ან სტეფანეს ძე) მისი გვარის ქართულ ფორმას წარმოადგენს და ამიტომ აღუდგინეს მას კიდევ „ნამდვილი“ გვარი დაბოლოების რუსულად გადაკეთებით. ისინი მას ეძახიან სტეფანოვს, თითქო რუსი ან რუსის ქვეშევრდომი ყოფილიყვეს... ამ უცხო ტომის კაცს ისევე გაურუსულეს გვარი, როგორც თავიანთ ნაწერებში ურუსულებენ გვარს მეთვრამეტე და მეჩვიდმეტე საუკუნის და ხანდახან უფრო ძველი დროის ქართველებს ხსენებული მკვლევარები და ბევრი სხვანი“²⁸. უარყოფს რა თ. ჟორდანიასა და ა. ხაზანაშვილის მოსაზრებებს, დ. კარიჭაშვილი აყენებს საკუთარ ვერსიას. იგი წერს: „სტეფანეშვილი, სტეფანეს შვილი ან სტეფანეს ძე ჩვენ უნდა ისე გავიგოთ, რომ მის მამას რქმევია სტეფანე. შესაძლებელია, ვალახიაში იმ დროს არც კი ყოფილიყვენ გვარები და ყველას არჩევდნენ მამის სახელით და სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვებით...“²⁹.

ა. შანიძე თავის შესანიშნავ გამოკვლევაში „ქართული სტამბის ისტორიისათვის“ წერს: „ჯერ-ჯერობით არ ვიცი თუ რა იმის შესახებ, თუ რა თანამდებობის კაცი იყო ეს სტეფანეშვილი წინააღმდეგ, ჩვენში მოსვლამდე... უნდა ვიფიქროთ, კი, რომ იგი ის მიხაილ სტეფანოვიჩია, რომელსაც ანთიმოზ ქართველის მიერ დაარსებულ რიმნიკის საეპისკოპოსო სტამბაში ორი ბერძნული წიგნი დაუბეჭდავს 1706 წელს“³⁰. ხოლო გ. ლეონიძე მიხაილ იშტვანოვიჩის ვინაობის თაობაზე წერდა: „მიხაილ უნგრო-ვლახელი ანთიმის მოწაფე ყოფილა და მის მიერ საქართველოში გამოგზავნილი. როცა რუმინეთის მეცნიერებათა აკადემ-

²⁵ დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 70.

²⁶ „ივერია“, 1885 წ., № 10. გვ. 104.

²⁷ А. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, вып. III,

²⁸ დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 70,

²⁹ იქვე.

³⁰ ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935, გვ. 160.

მის ბიბლიოთეკაში ანთიმის მიერ დაბეჭდილ წიგნებს ვათვალისწინებ-
 დი, ყურადღება მივაქციე ანთიმის მიერ 1696 წ. 21 მაისს სნაგოვოში
 დაბეჭდილ რუმინულ ტიპიკონს, რომლის წინასიტყვაობაში ვინმე „ტი-
 პოგრაფი მიხაი“ მოწაფური მოკრძალებით მიმართავს ანთიმს და დას-
 ლენს, რომ „სტამბის ხელობა შენგან ვისწავლეო“. აი, სწორედ ეს მი-
 ხაი, რომელიც ჭერ კიდევ სნაგოვოს პერიოდში ანთიმის მოწაფედ
 ითვლებოდა, უნდა იყოს ის ცნობილი მესტამბე, მიხაილ უნგროვლახე-
 ლი, რომელმაც მხურვალე გულით იმუშავა თბილისის პირველ ქარ-
 თულ ეროვნულ სტამბაში³¹. ქ. შარაშიძე 1955 წელს დაბეჭდილ
 გამოკვლევაში ა. შანიძისა და გ. ლეონიძის მიერ გამოქვეყნებული
 ცნობების დამატებით იძლევა ახალ მონაცემებს მიხაილ იშტვანოვიჩის
 შესახებ. ეს მონაცემები, რომლებიც მას აღებული აქვს კონსტანტი-
 ნესკუ იაშის წერილიდან³², გვამცნობენ, რომ მიხაილ იშტვანოვიჩი
 1699 წელს³³ გაგზავნილი ყოფილა კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიერ
 ტრანსილვანიაში, როგორც სტამბის დახელოვნებული ოსტატი. იქვე
 დაუბეჭდია მას პედაგოგიური შინაარსის წიგნი. შემდეგ ქ. შარაშიძე
 წერს: „მიხაილის მოღვაწეობა 1697—1706 წწ. ჭერჭერობით გარკვე-
 ული არ არის. 1706 წელს იგი თავისი ოსტატის ხელმძღვანელობით
 რიშნიკში მუშაობს. აქ ბეჭდავს რუმინულსა და ბერძნულ წიგნებს. ამ
 (1706) წელზე წყდება მიხაილ იშტვანოვიჩის სასტამბო საქმიანობა
 უნგროვლახეთში. 1707 წელს მას თავის სამშობლოში გზავნის მისი
 მასწავლებელი ანთიმოზ ქართველი“³⁴.

ასეთია ძირითადში ქართველ მკვლევართა მიერ გამოქვეყნებული
 ცნობები მიხაილ იშტვანოვიჩის შესახებ, ვიდრე იგი საქართველოში
 ჩამოვიდოდა. ჩვენ, რასაკვირველია, პრეტენზიას არ ვაცხადებთ, რომ
 სრული სახით შევძლებთ აღნიშნულ პერიოდში მიხაილ იშტვანოვიჩის
 ცხოვრებისა და მოღვაწეობის წარმოდგენას, მაგრამ ვეცდებით შეძ-
 ლებისდაგვარად გავაშუქოთ ურთიერთსაწინააღმდეგო ან ვარაუდით
 გამოთქმული მოსაზრება.

მიხაილი წარმოშობით ტრანსილვანიიდან, არდიალიდან იყო, იმ
 მრავალრიცხოვან ვლახელი გლეხების წრიდან, რომლებიც ყმად ეღვ-

³¹ „დროშა“, 1951, № 2, გვ. 18.

³² P. Constantinescu-Iași, Legaturile Tarilor Române cu Georgia, «Studiile», 1951, № 4.

³³ მიხაილ იშტვანოვიჩი ტრანსილვანიაში გაგზავნეს 1698 წელს. Biserica Ortodoxa Română, № 8—9, 1956, გვ. 711. I. Ramureanu, Mitropolitul Artim Ivireanul aparator al Romînilor ortodocsi din Transilvania, გვ. 837.

³⁴ ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), თბილისი, 1955, გვ. 96—97.

ნენ უნგრელ მებატონეებს. უნგრელი მებატონის კარზე მყოფი ვლახელ ყმათა სახელები გაუნგრულებას განიცდიდა და ისინი აღარ წარმოიქმებოდნენ ისე, როგორც ეს ხდებოდა მათ მშობლიურ ენაზე. მაგალითისათვის ავიღოთ სახელები სტეფანე ან იოვანე. ამ სახელების მქონე პირნი უნგრელი მებატონის კარზე უკვე იწოდებიან არა სტეფანედ, ან იოვანედ, არამედ იშტვანად და იანოშად. ასე გადაიქცა მიხაილი — ვაჟი სტეფანესი, ვაჟად იშტვანისა. მაგრამ, საიდან გახდა იგი მიხაილ იშტვანოვიჩი? რატომ მოემატა უნგრულ სახელს სლავური ენის სუფიქსი „ვიჩ“? საქმე იმაშია, რომ როდესაც ესა თუ ის პიროვნება აღმოჩნდებოდა იმდროინდელ უნგრო-ვლახეთის ეპარქიის სასულიერო-საეკლესიო გარემოცვაში, ხშირი იყო შემთხვევები ამ პიროვნებათა სახელების სლავიზაციისა. სახელდობრ, მათი წარმოქმნის დროს კი აღარ იტყოდნენ, მაგალითისათვის რომ ავიღოთ, „იშტვანფი“, უნგრული ენის სუფიქსი „ფი“-ს გამოყენებით, რაც „მის შვილს“ ან „მის ძეს“ ნიშნავს, არამედ ხმარობდნენ სლავური ენის სუფიქსს „ვიჩ“-ს და გამოდიოდა „იშტვანო-ვიჩი“. შეიძლება მოვიყვანოთ არაერთი მაგალითი ასეთი შემთხვევებისა. სასულიერო პირი, როდესაც იგი მესტამზე ხდებოდა (იმ პერიოდში მესტამბენი თითქმის გამონაკლისის გარეშე მთლიანად სასულიერო პირნი იყვნენ) და ხელს აწერდა მის მიერ გამოშვებულ წიგნს, იგი თავის სახელს ხშირად სუფიქსს „ვიჩ“-ს უმატებდა. მაგალითად: აფანასიევიჩი, ვლად გიორგიევიჩი, პეტრუ პაპაიჩი, კონსტანტინე მიხაილოვიჩი და სხვ.³⁵

ასე გახდა მიხაილი ვაჟი იშტვანის (სტეფანესი) მიხაილ იშტვანოვიჩი. მიხაილ იშტვანოვიჩი წარმოშობით რომ ტრანსილვანიიდან იყო, ამის შესახებ ჩვენ აგრეთვე ვგებულობთ ცნობილი ტრანსილვანელი ბუნებისმეტყველისა და არქეოლოგის ფრიდრიხ ბაიერნის (წარმოშობით საქსი, არდეალიდან) წერილიდან. ამ წერილში, რომელიც 1883 წლის 7 ივნისით დათარიღებული გაეგზავნა რუმინეთის გეოგრაფიულ საზოგადოებას ბუქარესტში, აღნიშნულია საქართველოში მიხაილ იშტვანოვიჩის მიერ „ქართულ ენაზე და ქართული შრიფტით“³⁶ წიგნის დაბეჭდვის ფაქტი. ფრიდრიხ ბაიერნი წერს: „დიდი ინტერესი ამ უძველესი დოკუმენტის აღმოჩენის მიმართ იმითაა გამოწვეული, რომ საქართველოში წიგნების ბეჭდვა განხორციელებულა უცხოელის

³⁵ V. Molin..., გვ. 319.

³⁶ P. Constantinescu-Iasi. Din relatiile culturale româno-gruzine, 1957, გვ. 31.

წყალობით, რასაც ადასტურებს მბეჭდავის ეროვნება — იგი რუმინელია. წიგნი აღმოჩენილ იქნა დ. ბაქრაძის მიერ ქუთაისში, იმერეთში, თუმცა კი იგი დაუბეჭდავს თბილისში 1710 წელს³⁷ რუმინელ მიხაილ სტეფანეს შვილს.... მან სუვენირიც კი დასტოვა წიგნში მოთავსებული რუმინული ლექსის სახით, რომელიც ქართული ასოებითაა დაბეჭდილი. ამ აღმოჩენას ჩემთვის ორგვარი მნიშვნელობა აქვს: პირველი ის, რომ დგინდება საქართველოში წიგნების ბეჭდვის დაწყების პერიოდი³⁸. მეორეც ის, რომ პირველი მბეჭდავი საქართველოში ყოფილა ჩემი თანამემამულე, ვამბობ ჩემი, რადგან მე თვითონ ტრანსილვანიიდან ვარ და 15 წელი გავატარე ბუქარესტში...“³⁹. რაც შეეხება დ. ბაქრაძის მიერ ქუთაისში მიკვლეულ მიხაილ იშტევანოვიჩის მიერ დაბეჭდილ წიგნს, ამის თაობაზე ა. შანიძე წერს: „...სახელდობრ 1873 წელს დ. ბაქრაძემ სამეცნიერო მიზნით შემოიარა გურია და აჭარა. ტფილისიდან ქუთაისში გავლისას მან სვიმონ აბაშიძის ოჯახში ნახა 1710 წელს დაბეჭდილი კონდაკი და თავის მოგზაურობის წიგნში, რომელიც გამოვიდა ხუთი წლის შემდეგ... დაბეჭდა მისი ანდერძები და, სხვათა შორის, რუმინული ლექსიც, რომლის შესახებ იგი შენიშნავს: Язык приеденного здесь шестистишния, как оказывается, есть язык трансильвакских Ромаи:цев. Они именуют себя Венгро-Ватухами, как и наш Михаил Степаков. Значит, последний был родом Трансильваец“⁴⁰.

მიხაილ იშტევანოვიჩის ბავშვობის წლების შესახებ არაფერია ცნობილი. ალბათ, ეს წლები მან გაატარა ისეთივე მძიმე და აუტანელ პირობებში, როგორშიც იმყოფებოდა მებატონის უღელქვეშ მყოფი ყველა გლეხის შვილი. სად მიიღო პირველდაწყებითი განათლება მიხაილ იშტევანოვიჩმა? თუ გავითვალისწინებთ იმ გამძაფრებულ ბრძოლას, რომელიც იმ პერიოდში მიმდინარეობდა მართლმადიდებლურ და რომანულ-კათოლიკურ ეკლესიებს შორის⁴¹, რასაკვირველია, ტრანსილვანიის სკოლებსა და კოლეჯებში, სადაც გაბატონებული იყო კათოლიკური რელიგია, მართლმადიდებელი ვლახელი გლეხის სწავლაზე ლაპა-

³⁷ 1710 წელს თბილისში დაბეჭდილი „კონდაკი“.

³⁸ საქართველოში წიგნების ბეჭდვის დაწყების პერიოდი მიეკუთვნება, როგორც ცნობილია, 1709 წელს, ხოლო 1710 წელს დაბეჭდილი „კონდაკი“ არის საქართველოში დაბეჭდილ წიგნთა შორის რიგით მეოთხე.

³⁹ P. Constantinescu - Iasi, Din relatiile culturale rumino-gruzino, 1957, გვ. 31—32.

⁴⁰ ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგ. I, 1935, გვ. 163.

⁴¹ იხ. ამ წიგნის გვ. 113—116.

რაკიც კი ზედმეტი იქნებოდა. ერთადერთი კუთხე მთელს ტრანსილვანიაში, სადაც მართლმადიდებელთ შეეძლოთ წერა-კითხვის შესწავლა, ეს ბელგრადში (ალბა იულია) არსებული ეკლესია იყო. აქ თავისი რეზიდენცია ჰქონდა მართლმადიდებელ ტრანსილვანელ ეპისკოპოსს⁴². უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ბელგრადის ეკლესიის კედლებს შეაფარა თავი ახალგაზრდა მიხაილ იშტვანოვიჩმა, სადაც ვინმე მართლმადიდებელმა ღვთის მსახურმა პირველად ჩაუტარა მას წერა-კითხვის შესწავლის გაკვეთილი.

XVII საუკუნის დასასრულს ტრანსილვანიაში მართლმადიდებელი მოსახლეობა დიდ შევიწროებას განიცდიდა კათოლიკური ეკლესიის მომქალაქრების მხრივ. მიუხედავად ამისა, მართლმადიდებლები მძლავრ წინააღმდეგობას უწევდნენ კათოლიკეთა შემოტევას და ამ ბრძოლაში თავის ძირითად დასაყრდენს პოულობდნენ ვლახეთის სამთავროს სახით. ვლახეთმა, რომელიც კონსტანტინე ბრინკოვიანუს მეფობის პერიოდში „გადააქცა მართლმადიდებლობის ერთ-ერთ მთავარ კერად მთელს აღმოსავლეთში“⁴³, მფარველის ხელი გაუწოდა ტრანსილვანელ მართლმადიდებლებს და მტკიცე კავშირი დაამყარა მათთან. ტრანსილვანელი მართლმადიდებლები ისწრაფვიან ვლახეთისაკენ ისევე, როგორც მაჰმადიანები მექასაკენ. ტრანსილვანიიდან ვლახეთში ჩამოდიან არა მართო ეპისკოპოსნი და მღვდელმთავარნი რჩევებისა და დარიგების მისაღებად, არამედ ეკლესიის რიგითი მსახურნიც „კურთხევის მისაღებად“. ასე, მაგალითად, ანთიმ ივერიელი წერდა ტრანსილვანელ მართლმადიდებლებს, რომ „ორ ახალგაზრდას, რომლებიც მასთან გამოგზავნეს, მან სასულიერო წოდება მიანიჭა. დიაკონი მან მღვდლად აკურთხა, ხოლო გადამწერი — დიაკვნად“⁴⁴. როგორც ჩანს, სწორედ ასეთი ხედრი ხვდა წილად მიხაილ იშტვანოვიჩსაც. „ტრანსილვანიიდან ვლახეთისაკენ უკვე მრავალჯერ გატორილ გზას გაპყვა მიხაილ იშტვანოვიჩი, — წერს მოლინი, — რომელიც აქ (ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ სწორედ ვლახეთში) აკურთხეს „იპოლიაკვნად“. „იპოლიაკვნობა“ ყველაზე უფრო პატარა თანამდებობაა ბერძნული ეკლესიის იერარქიაში და ცნობილი არაა არღეალის სასულიერო სამყაროში (რომანულ-კათოლიკური ეკლესია — ო. გ.)⁴⁵.

ცოდნასმოწყურებული და, როგორც ჩვენ ამას შემდეგში ვნახავთ, ლიტერატურული ნიჭით დაჭილდოებული ისეთი ადამიანი, როგორიც

⁴² V. Molin... გვ. 320.

⁴³ История Румынии, под редакцией М. Поллера, 1950, стр. 184.

⁴⁴ Sterie Stinghe, Documente privitoare la trecutul Romnilor din Scheiu, t. I, Brasov, 1901, გვ. 49—50.

⁴⁵ V. Molin... გვ. 320.

მიხაილ იშტვანოვიჩი იყო, ცხადია, დაინტერესდებოდა იმ „საიდუმლოებით მოცული ხელოვნებით“, როგორც მაშინ წიგნების ბექლევას უწოდებდნენ. მიხაილ იშტვანოვიჩის ვლახეთში ჩასვლა დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც დროის სხვადასხვა მონაკვეთში ბუქარესტში და შემდეგ სნაგოვოში გაცხოველებით სჩქეფდა ბექლევითი საქმიანობა. ხოლო ამ საქმიანობის სულისჩამდგმელი და მამამთავარი იყო ანთიმ ივერიელი, რომლის წყალობითაც მომავალში, გარდა ბუქარესტისა და სნაგოვოსი, სახელი მოიხვეჭეს აგრეთვე რიმნიკმა და ტირგოვიშტემ, როგორც წიგნების ბექლვის დიდმა კერებმა⁴⁶. „ჩერ ბუქარესტში — წერს მოლინი, — შემდეგ სნაგოვოში, მოგვიანებით რიმნიკში და ტირგოვიშტეში, შემდეგ ისევ ბუქარესტში, კონსტანტინე ბრინკოვიანუს მეფობის მთელ პერიოდში, ბექლევითი მოღვაწეობა დაკავშირებული იყო მისი ფუძემდებლის და ორგანიზატორის ანთიმ ივერიელის სახელთან, დაკავშირებული იყო მის მიერ განვლილი სასულიერო იერარქიის ყველა საფეხურთან: ეკავა მას იერომონახის, მონასტრის წინამძღვრის, ეპისკოპოსის თუ უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტის თანამდებობანი“⁴⁷.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ანთიმ ივერიელს, რომელიც არა მარტო ბრწყინვალე ხელოვანი იყო, არამედ შესანიშნავი მასწავლებელიც, რომელმაც აღზარდა მთელი პლეადა შესანიშნავი მესტამბეებისა⁴⁸, ყურადღება არ მიექცია ნიჭიერი ახალგაზრდისათვის, მიხაილ იშტვანოვიჩისათვის, რომელიც „გამსქვალული იყო სურვილით დაუფლებოდა გუტენბერგის ხელოვნებას“ და დაემარება არ აღმოეჩინა მისთვის. მართლაც, მიხაილ იშტვანოვიჩს ჩვენ ვხედავთ ანთიმ ივერიელის გვერდით 1696 წელს⁴⁹, როდესაც ანთიმის სნაგოვოს მონასტრის წინამძღვარია და ამ მონასტერში საფუძველს უყრის სტამბას⁵⁰. მაგრამ 1696 წ. მიხაილ იშტვანოვიჩი ჩვენ უკვე გვევლინება დახელოვნებულ ოსტატად, რომელიც დამოუკიდებლად ბექლევს წიგნება.

სად უნდა დაუფლებოდა პირველად მიხაილ იშტვანოვიჩი ბექლევით საქმიანობას? მოლინის აზრით, ეს უნდა მომხდარიყო ჩერ კიდევ ბუქარესტში, „იმ სტამბაში (სადაც ანთიმ ივერიელმა 1691 წელს დაბექლავათვისი პირველი წიგნი — ო. გ.), რომელიც წარმოადგენდა სახელგანთქმულ ოსტატ-მბექლავთა კერას, სადაც ამზადდებდნენ შრიფტს და ხი-

⁴⁶ A. t. Mironescu, Istoria Eparhiei Rimnicului — Noul Severin, Buc. 1906, გვ. 91; Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 727—748.

⁴⁷ V. Molin... გვ. 320.

⁴⁸ Del Chiaro... გვ. 27.

⁴⁹ Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 706.

⁵⁰ N. Serbanescu, Istoria Minastirii Snagov, Buc, 1944, გვ. 66.

ღან კრიდნენ გრავიურებს ისეთი ოსტატები, როგორც იყვნენ მიტრო-
ფანე — მბეჭდავი და ეპისკოპოსი, იოანიკე — გრავიორი, კირიაკე —
ერომონახი და მბეჭდავი, დამასკინ გერბესტი — გრავიორი და მბეჭ-
დავი. აქ, ამ სტამბაში, რომელმაც სახელი გაუთქვა შერბან კანტაკუზე-
ნს „ბიბლიის“ დაბეჭდვით⁵¹ და რომელსაც ბოლო ხანებში მეურვეო-
ბას უწევდა ანთიმ ივერიელი — კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიერ მო-
წვეული სასტამბო საქმის სპეციალისტი—ჩამოყალიბდა მიხაილ იშტვან-
ოვიჩი როგორც მბეჭდავი⁵². და ეს, რასაკვირველია, სავსებით ბუნე-
ზრივია, რომ მიხაილ იშტვანოვიჩის მიერ მესტამბის ასპარეზზე გადა-
დგმული პირველი ნაბიჯები სწორედ ანთიმ ივერიელის სტამბასთანაა
დაკავშირებული. ბუნებრივია, რადგან ანთიმ ივერიელი როდი ეკუთ-
ვნოდა იმ ოსტატთა რიცხვს, რომლებიც ეგოისტური მიზნით გამსჭვალ-
ულნი მხოლოდ თავისთვის ინახავდნენ და სხვებს არ უზიარებდნენ
„მესტამბე-ოსტატთა საიდუმლოებას“. პირიქით, ის, რასაც ანთიმ ივე-
რიელი თავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად ამო-
ცანად თვლიდა, ეს იყო „მესტამბე-ოსტატთა საიდუმლოების“ საყო-
ველთაოდ გავრცელება და ახალგაზრდა მბეჭდავთა კადრების მომზა-
დება⁵³.

ასე უყურებდა ანთიმ ივერიელი თავის, როგორც მესტამბის მო-
ვალეობას, ასეთი რწმენით ზრდიდა იგი არა მარტო თავის საუკეთესო
მოწაფეს მიხაილ იშტვანოვიჩს, არამედ მომავალში სახელგანთქმულ
წიგნების სხვა მბეჭდავებსაც: გიორგი რადოვიჩს⁵⁴, დიონისე ფლო-
რუსს⁵⁵ და სხვ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1694 წელს ანთიმ ივერიელი ბუქარეს-
ტიდან გადადის სნაგოვოს მონასტერში და აქ აარსებს სტამბას. ანთიმ
ივერიელს ბუქარესტიდან სნაგოვოში თან მიჰყავს მიხაილ იშტვანოვი-
ჩიც. საყურადღებოა, რომ პირველივე წიგნი, რომელიც სნაგოვოს მო-
ნასტრის სტამბაში გამოდის, ეს არის მიხაილ იშტვანოვიჩის მიერ 1696
წლის 6 თებერვალს დაბეჭდილი წიგნი „ღვთისმსახურების წესი
წმიდანების კონსტანტინესი და ელენეს განდიდების დღეს“. წიგნი,
რომლის სათაური შესრულებულია ორ ფერში — წითლად და შავად,
შეიცავს 4 დაუნომრავ და 42 დანომრილ გვერდს. წინასიტყვაობაში მი-
ხაილ იშტვანოვიჩი აღნიშნავს, რომ ეს წიგნი „პირველი ნაყოფია და

⁵¹ იხ. ამ. წიგნის გვ. 101—102.

⁵² V. Molit... გვ. 321.

⁵³ Academia R. P. R., manuscrisul romnănesc nr. 3342.

⁵⁴ N. Iorga, Istoria literaturii românești, II, გვ. 466—467.

⁵⁵ N. Dobrescu, Antim Ivireanul Mitropolitul Urگو-Vlahiei, გვ. 47.

პირველი მოსავეალი მესტამბისა“ და რომ მან ეს მოიპოვა თავისი „სულიერი მამის ანთიმ ივერიელის ზრუნვის წყალობით“. წიგნი დაბეჭდილია ორ ენაზე: რუმინულსა და ძველ სლავურზე⁵⁶.

ასე, ამრიგად, მიხაილ იშტვანოვიჩმა თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა მკიდროდ დაუკავშირა ანთიმ ივერიელს. ანთიმ ივერიელის მეცადინეობითა და ზედამხედველობით მიხაილ იშტვანოვიჩი იმდენად დაეუფლა „საიღუმლოებით მოცულ ზელობას“, რომ ბეჭდვითი საქმიანობის ასპარეზზე მან შალე გაითქვა სახელი, როგორც შესანიშნავმა ხელოვანმა. სწორედ ასეთი საყოველთაო აღიარების, ანდა ვინ იცის, იქნებ თვით ანთიმ ივერიელის რჩევის შედეგად, კონსტანტინე ბრინკოვიანუ 1698 წელს საგანგებო მისიით გზავნის მიხაილ იშტვანოვიჩს ტრანსილვანიაში, ბელგრადში⁵⁷. ეს მისია გამოიხატებოდა შემდეგში: მიხაილ იშტვანოვიჩს ბელგრადში ჩასვლის შემდეგ საფუძველი უნდა ჩაეყარა ისეთი წიგნების ბეჭვისათვის, რაც გამოადგებოდა ტრანსილვანიის მართლმადიდებელ ქრისტიანებს კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო, როგორც კონსტანტინე ბრინკოვიანუს სიტყვებიდან ჩანს, ტრანსილვანელ მართლმადიდებელ ქრისტიანებს არ ჰქონიათ საშუალება თავისი ძალით განეხორციელებინათ ასეთი ღონისძიება. „ამჟერად, — წერდა კონსტანტინე ბრინკოვიანუ. — ჩვენს ვლახელ ხალხს იქ, არდეალში, არ ჰყავს ოსტატი სასტამბო საქმისათვის“⁵⁸. თვით მიხაილ იშტვანოვიჩი კი ტრანსილვანიაში ჩასვლასთან დაკავშირებით შემდეგს წერდა: „უბრწყინვალესი მთავარი კონსტანტინე ბრინკოვიანუ ბესარაბი, რომელიც ჰეშმარიტ მზრუნველობასა და მფარველობას უწევს აქაურ, არდეალის წმიდა მიტროპოლიას (ტრანსილვანიაში მოქმედი მართლმადიდებელ ქრისტიანთა ეკლესია — ო. გ.) და აგრეთვე ყველას, ვინც კი ეძებს მის მფარველობასა და წყალობას, ყურად იღო თქვენი (ტრანსილვანელი მართლმადიდებლების — ო. გ.) თხოვნა და რადგან აქ, არდეალში, არ მოიძებნება არავინ, ვინც კი ფლობს მესტამბის ზელობას, გამომგზავნა მე წმიდა ეკლესიის სამსახურის გასაწევად“...⁵⁹.

1699 წელს მიხაილ იშტვანოვიჩი ბელგრადში ბეჭდავს რუმინულ ენაზე „ანბანის წიგნს“ (35 გვერდის მოცულობით), რომელშიც მოთავსებული იყო რამდენიმე ლოცვის ტექსტი. ანბანის წიგნის ბელგრადში

⁵⁶ Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 706—707.

⁵⁷ I. R a m u r e a n u, Mitropolitul Antim Ivireanul aparator al Romnilor ortodocsi din Transilvania, გვ. 836—837.

⁵⁸ V. Molin... გვ. 322.

⁵⁹ იქვე, გვ. 321—322.

დაბეჭდვა მიზნად ისახავდა ესწავლებინა ტრანსილვანელ ბავშვებისათვის ანბანი და გაელვიძებინა მათში სურვილი წერა-კითხვის დასაუფლებლად.

იმავე 1699 წელს მიხაილ იშტვანოვიჩი ბელგრადში ბეკდავს, აგრეთვე, რუმინულ ენაზე, „სახარებას“, რომელიც მოიცავს 480 გვერდს. „სახარების“ წინასიტყვაობაში, რომელიც მიხაილ იშტვანოვიჩის მიერაა დაწერილი, იგი ტრანსილვანიაში მცხოვრებ ვლახელებს აუწყებს, რომ კონსტანტინე ბრინკოვიანუ არის „ქეშმარიტი მფარველი არდელის მართლმადიდებელთა წმიდა მიტროპოლიტისა“⁶⁰ და რომ ის „ყოველთვის იყო ლამპარი მართლმადიდებლური რწმენისა, რომელსაც მუდამ განამტკიცებდა წიგნების გამოცემით“⁶¹.

მიხაილ იშტვანოვიჩის მიერ ბელგრადში დაბეჭდილი წიგნები ტექნიკურად არ დგას მაინცადამაინც მაღალ დონეზე⁶². ამის მიზეზი ჩვენ ბელგრადში არსებული სტამბის უვარგისობაში უნდა ვეძებოთ. როგორც აღნიშნავდა თვით მიხაილ იშტვანოვიჩი, ბელგრადში „საბეჭდი დაზგა ძალიან ძველი და გაცვეთილი იყო“⁶³. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადად შეტყვევებს იმაზე, რომ მიხაილ იშტვანოვიჩი ბელგრადში „ხელცარიელი ჩამოსულა“, მაგრამ „აღჭურვილი თავისი ოსტატობის ავტორიტეტით“ და მას ბუქარესტიდან ტრანსილვანიაში არ ჩამოუტანია კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიერ ნაბოძები სასტამბო მოწყობილობანი და შრიფტი, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს⁶⁴.

საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ კონსტანტინე ბრინკოვიანუმ მიხაილ იშტვანოვიჩის სახით არდელში გაგზავნა არა მხოლოდ მესტამბე, არამედ მართლმადიდებლებსა და კათოლიკებს შორის წამოჭრილ საღისკუსიო საკითხებში გაათვითცნობიერებული ადამიანი⁶⁵. გარდა ამისა, მიხაილ იშტვანოვიჩის მიერ „სახარებისათვის“ დართული წინასიტყვაობის საფუძველზე ჩვენ თამამად შეგვიძლია ვუწო-

⁶⁰ V. Molin... გვ. 322.

⁶¹ იქვე.

⁶² იქვე. გვ. 321.

⁶³ იქვე.

⁶⁴ იქვე.

⁶⁵ ისევე როგორც მესტამბის ხელობის შესწავლას, თეოლოგიის საკითხებში ღრმად გაათვითცნობიერებას მიხაილ იშტვანოვიჩი, რასაკვირველია, უნდა უმაღლოდეს ანთიმ ივერიელს. ეს ყოველმხრივ დაჭილდობული და ფართო განათლები: შქონე ადამიანი თეოლოგიის საღისკუსიო საკითხების ვადაჭრის დროსაც ითვლებოდა იმდენად კომპეტენტურ პირად, რომ როდესაც „იმ პერიოდის ერთ-ერთ დიდ მეცნიერს“ თანე კარიოფილს იერუსალაიმის პატრიარქმა დოსითეოსმა ბრალი დასდო „ლუთერანულ-

დოთ მის ავტორს „მბეჭდავი-ლიტერატორი“⁶⁶, რადგან წინასიტყვაობის ტექსტი, რომელშიც აღწერილია არდელში შექმნილი ვითარება, მოკლებული არაა ლიტერატურულ ღირებულებას.

მაგრამ მიხაილ იშტვანოვიჩის მოღვაწეობა ბელგრადში დიდხანს არ გაგრძელებულა. მან მხოლოდ მოასწრო ზემოდასახელებული წიგნების დაბეჭდვა. გარდა ამისა, არის ცნობა იმის შესახებ, რომ მას „ანბანის წიგნისა“ და „სახარების“ გამოცემის შემდეგ ხელი მოუქიდა „დავითნის“ აწყობისათვის⁶⁷. დასწორედ ამ დროს მიხაილ იშტვანოვიჩი იძულებული გამხდარა დაეტოვებინა ბელგრადი, რადგან ამ პერიოდში ტრანსილვანიის მართლმადიდებელთა ეპისკოპოსმა ათანასე ანგელმა კათოლიკური ეკლესიის დოგმები აღიარა⁶⁸, ხოლო ტრანსილვანიის მართლმადიდებელთა მიტროპოლიაში დამკვიდრდა ვინმე პალი, რომელიც წარმოგზავნილი იყო ბელგრადში „იეზუიტთა სრულუფლებიან ცენზორად“⁶⁹.

საბუთების უქონლობის გამო ცნობილი არაა, თუ როგორ და სად მიმდინარეობდა მიხაილ იშტვანოვიჩის ცხოვრება და მოღვაწეობა 1700—1705 წლებში. მაგრამ 1706 წელს მიხაილ იშტვანოვიჩი ისევ თავის „სახელგანთქმულ მასწავლებელთან“, ანთიმ ივერიელთანაა, რომელიც 1705 წელს სნაგოვოს მონასტრის წინამძღვრობიდან გადაყვანილ იქნა რიმნიკის ეპისკოპოსად⁷⁰.

1706 წლის განმავლობაში მიხაილ იშტვანოვიჩი რიმნიკის სტამბაში, რომელიც დაარსებულ იქნა ანთიმ ივერიელის მიერ, ბეჭდავს ხუთი სახელწოდების წიგნს⁷¹.

პირველი წიგნი — რუმინულ და ძველ სლავურ ენებზე დაბეჭდვლი „ღვთისმსახურება ღვთისმშობლისა“, შეიცავს 114 გვერდს. წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ „ღვთისმსახურება ღვთისმშობლისა“ „პირველად გამოიცა იოანე კონსტანტინე ბრინკოვიანუს ბესარაბის მეფობის დროს, რიმნიკის ეპისკოპოსის ანთიმ ივერიელის ლოცვა-კურთხევით და წმ. მონასტრის ხურეზის არქიმანდრიტის იოანეს ხარჯით,

კალენისტურ“ იდეების გატარებაში, ანთიმ ივერიელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო წამოწყებულ კამათში და მან ხმა აღიმალა იოანე კარიოფილის დასაცავად. N. Iorga, *Istoria rominilor*, VI, გვ. 438.

⁶⁶ „Tribuna“, Sibiu, anul 1899, № 191, 192.

⁶⁷ V. Molin... გვ. 322.

⁶⁸ I. Ramureanu, *Mitropolitul Antim Ivireanul aparator al Rominilor ortodocsi din Transilvania*, გვ. 838.

⁶⁹ V. Molin... გვ. 322.

⁷⁰ A. Mironescu, *Istoria Eparhiei Rîmnicului — Noul Severin*, Buc. 1906, გვ. 91.

⁷¹ *Biserica Ortodoxa Romîna*, № 8—9, 1956, გვ. 730—734.

იპოდიაკონის იშტევანოვიჩის მიერ რიმნიკში 1706 წელს“. წიგნი დაბეჭდილია ორ ფერში — წითელსა და შავში⁷². 1706 წელსვე მიხა-
ლ იშტევანოვიჩი რუმინულ ენაზე ბეჭდავს „ლოცვანს“, რომელიც 7
დაუნომრავ და 454 დანომრილ გვერდს შეიცავს. „ლოცვანი“ ბერძნუ-
ლი ენიდან რუმინულზე თარგმნა ანთიმ ივერიელმა.

საყურადღებოა ამ წიგნის შესავალში დაბეჭდილი სიტყვები: „ეკ-
ლესიაში უკეთესია ითქვას ხუთი სიტყვა ყველასათვის გასაგებ მშობ-
ლიურ ენაზე. ვიდრე ათი ათასი სიტყვა უცხო ენაზე“. მსგავსად 1693—
1694 წლებში ანთიმ ივერიელის მიერ დაბეჭდილი „დავითნისა“,
„ლოცვანის“ გამოცემაც მიზნად ისახავდა ვლახეთის ეკლესიებში რუ-
მინული ენის დამკვიდრებას და ბრძოლას ბერძნული ენის ჰეგემონიის
წინააღმდეგ⁷³.

„ლოცვანს“ დათული აქვს მიხაილ იშტევანოვიჩის წინასიტყ-
ვაობა. მიძღვნილი ანთიმ ივერიელისადმი, წინასიტყვაობაში მო-
თხრობილია ანთიმ ივერიელის ერთ დროს მონად ყოფნის შესახებ, აგ-
რეთვე იმის თაობაზე, თუ როგორ მიიწვია იგი კონსტანტინე ბრინკო-
ვიანუმ ვლახეთს. აქვეა მოყვანილი შესანიშნავი მხატვრული შედარება
ანთიმ ივერიელსა და ეგვიპტეში მონად გაყიდულ ბიბლიურ იოსებს
შორის.

წიგნი დაბეჭდილია შავსა და წითელ ფერებში. წიგნის გამოცემის
ხარჯი გაიღო ანთიმ ივერიელმა. „ლოცვანს“, ისევე როგორც წინა
გამოცემულ წიგნს, ჩელს აწერს იპოდიაკონი მიხაილ იშტევანოვიჩი⁷⁴.

მესამე წიგნი, რომელიც მიხაილ იშტევანოვიჩმა 1706 წელს დაბეჭ-
და რიმნიკის სტამბაში, იყო „ოქტოიხი“. „ოქტოიხი“ დაიბეჭდა ორ
ენაზე — რუმინულზე, სლავურზე და მოიცავს 2 გვერდს დაუნომ-
რავს და 84 გვერდს დანომრილს⁷⁵. ხოლო ამავე წელს მიხაილ იშტე-
ვანოვიჩის მიერ რიმნიკის სტამბაში გამოცემული მეოთხე და მეხუთე
წიგნები დაბეჭდილია ბერძნულ ენაზე. ეს წიგნებია: „სიტყვა ღმერთ-
კაცის მხსნელ ვენებაზე“ (მოცულობით 51 გვერდი) და „შესხმა იერარ-
ქებში საკვირველმოქმედი დიდი ნიკოლასისისა“ (მოცულობით 23 გვერ-
დი). ისევე როგორც 1706 წელს მიხაილ იშტევანოვიჩის მიერ რიმნიკის
სტამბაში გამოცემულ პირველ ორ წიგნში, ასევე ბოლო სამ წიგნ-
შიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ეს წიგნები დაბეჭდილია იპოდია-
კონის მიხაილ იშტევანოვიჩის მიერ⁷⁶.

⁷² Biserica Ortodoxa Romina. № 8—9, 1956, გვ. 730.

⁷³ იხ. ამ წიგნის გვ. 108—109.

⁷⁴ Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 731—732.

⁷⁵ იქვე, გვ. 732.

⁷⁶ იქვე, გვ. 733.

რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში ინახება ერთადერთი ეგზემპლარი წიგნისა „სიტყვა წარმოთქმული იესო ქრისტეს სადიდებლად“, რომელიც დაბეჭდილია რუმინულ ენაზე. წიგნში აღნიშნული არ არის გამოცემის თარიღი. მაგრამ სავარაუდოა, რომ მიხაილ იშტევანოვიჩმა „სიტყვა წარმოთქმული იესო ქრისტეს სადიდებლად“ დაბეჭდა რიმნიკის სტამბაში, დაახლოებით 1707 წელს⁷⁷.

1708 წლის 28 იანვარს, ანთიმ ივერიელს ირჩევენ უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად⁷⁸. ამასთან დაკავშირებით, იგი ტოვებს რიმნიკს და მისი რეზიდენცია გარკვეულ პერიოდში ზღბა ტირგოვიშტე, ვლახეთის ძველი დედაქალაქი. აქაც აარსებს ანთიმ ივერიელი სტამბას და ფართოდ შლის ბეჭდვით საქმიანობას. მაგრამ ანთიმ ივერიელის გვერდით უკვე აღარ არის მისი საუკეთესო მოწაფე მიხაილ იშტევანოვიჩი. ანთიმისგან მიხაილ იშტევანოვიჩის მოღვაწეობა სარგებლობას მოუტანს „მისი ბრძენი მასწავლებლის“ სამშობლოს. და მართლაც, თუ ერთის მხრივ ქართველმა ანთიმ ივერიელმა „ბეჭდვითი ხელოვნება სრულყოფამდე აიყვანა“⁷⁹ და მისი წყალობითვე ვლახეთი გადაიქცა იმ დროისათვის პოლიგრაფიული საქმიანობით სახელგანთქმულ ქვეყნად⁸⁰, მეორეს მხრივ, ვლახელმა მიხაილ იშტევანოვიჩმა, საქართველოს კულტურის ბალავარში დასდო საძირკვლის ქვა, საქართველოში პირველი წიგნის დაბეჭდვით.

ასეთია მოკლედ მიხაილ იშტევანოვიჩის ცხოვრება და მოღვაწეობა, მის ვლახეთიდან საქართველოში ჩამოსვლამდე.

ახლა დავუბრუნდეთ უშუალოდ თბილისში პირველი ქართული სტამბის ორგანიზაციის საკითხს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მტკიცედ აქვს ფეხი მოკიდებული იმ მოსაზრებას, რომ თითქოს საქართველოში სტამბის მოწყობის იდეა აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებთან პირადი ურთიერთობის შედეგად არის აღმოცენებული. ჯერ კიდევ 1885 წელს თ. ჟორდანიას წერდა: „მცირეოდენი საფუძველი ნებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ვახტანგს, როდესაც იგი უსაქმოდ იმერეთში იმყოფებოდა, მოლაპარაკება ჰქონდა იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსთან, რომელიც 1696—1697 წლებში საქართველოში მოგზა-

⁷⁷ იხ აშ წიგნის გვ. 213.

⁷⁸ Radu vel logofat Grecianau, Viata lui Constantin Brincoveanu. Buc. 1906, გვ. 181.

⁷⁹ Del Chiaro... გვ. 142.

⁸⁰ История Румынии, под редакцией М. Поллера, 1950, стр. 184. Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, B. XI, Heft 4.

ფრობდა⁸¹. ხოლო ქ. შარაშიძე დასძენს: — სასტამბო დაზვის მოწყობის აზრი არჩილს, გიორგი XI-სა და მათ ძმისწულს — ვახტანგს, საქართველოში მოსულ ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქებთან ურთიერთობის შედეგად უნდა დაბადებოდეთ⁸². შ. კურდღელაშვილი საგანგებოდ იხილავს თავის წიგნში ზემოთ დასახელებულ მკვლევართა თვალსაზრისს და არ ეთანხმება მათ, რადგან ისინი უშვებენ შეცდომას აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელთა საქართველოში მოგზაურობის თარიღების დადგენაში. შ. კურდღელაშვილი აზუსტებს, რომ იერუსალიმის პატრიარქების პაისიოსისა და დოსითეოსის პირველი მოგზაურობა საქართველოში, კერძოდ დასავლეთ საქართველოში, დაკავშირებულია 1658—1659 წლებთან. აქედან გამომდინარე, იგი გამორიცხავს პაისიოსთან და დოსითეოსთან კონტაქტების დამყარების შესაძლებლობას „როგორც არჩილ მეფის მხრივ, რომელიც იმერეთში იმყოფებოდა 1664—1675 წლებში, ისე განსაკუთრებით, ვახტანგ VI მხრივაც, რადგან ეს უკანასკნელი პაისიოსის და დოსითეოსის ქუთაისში ყოფნიდან მხოლოდ 16 წლის (1675 წ.) შემდეგ დაიბადა“⁸³.

შ. კურდღელაშვილს, აგრეთვე, არ მიაჩნია შესაძლებლად დოსითეოსისა და ვახტანგ VI შორის ურთიერთობის დამყარება იერუსალიმის პატრიარქის 1681 წელს საქართველოში, ამჯერად უკვე თბილისში, ჩასვლის დროსაც, ვინაიდან ვახტანგი ამ პერიოდში მხოლოდ ექვსი წლისა იყო⁸⁴.

მაგრამ თუ შ. კურდღელაშვილს კორექტივები შეაქვს იერუსალიმის პატრიარქთა და საქართველოს მეფეთა შეხვედრის შესაძლებელ თარიღების დადგენაში, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იგი საერთოდ უარყოფს იდეას, რომლის მიხედვითაც თბილისში პირველი სტამბა დაარსდა საქართველოს მეფეებსა და აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა უშუალო მოლაპარაკების შედეგად. შ. კურდღელაშვილი იმოწმებს რა წერილს პლ. იოსელიანის წიგნიდან „Послания иерусалимского патриарха Досифея в Грузию“⁸⁵

⁸¹ თ. გ. ო. რ. დ. ა. ნ. ი. ა., მოკლე ისტორიული გამოკვლევა ქართული სტამბის დაარსებისა და მოქმედებისა XVIII ს., ტ. „იურია“, 1895, № 10, გვ. 103—104.

⁸² ქ. შ. ა. რ. ა. შ. ი. ძ. ე., პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), 1955, გვ. 79.

⁸³ შ. კ. უ. რ. დ. ლ. ე. ა. შ. ი. ლ. ი., ქართული სტამბის ისტორიიდან, 1959, გვ. 14.

⁸⁴ იქვე, გვ. 15.

⁸⁵ იმ წერილში, რომელსაც იმოწმებს შ. კურდღელაშვილი, ლაპარაკია მხოლოდ იმის შესახებ, რომ დოსითეოსის თბილისში ყოფნის დროს მას მოლაპარაკება უწარმოებდა გიორგი XI-სთან და მის ძმა ლევანთან. ამ უკანასკნელთ გაუღიათ „საფასური“ რისი მუშეობითაც დაუხსნიათ და შეუქვთებიათ იერუსალიმში არსებული ქართველთა მონასტრები.

ასენის: „ამრიგად, საქართველოში მეორედ ყოფნისას დოსითეოს პატრიარქს პირადი კონტაქტი დაუმყარებია ქართლის მეფე გიორგი XI-სთან და მის ძმასთან, ვახტანგ VI-ის მამასთან, ბატონიშვილ ლევანთან. ცხადია, რომ საქართველოში სტამბის მოწყობის იდეაც სწორედ გიორგი XI-ეს და მის ძმა ლევანს უნდა წარმოშობოდათ დოსითეოს პატრიარქთან და მის თანმზღებ პირებთან ურთიერთობის შედეგად“⁸⁶.

ე. ი. რა მივიღეთ საბოლოო ჯამში? შ. კურდღელაშვილმა უარყო იერუსალიმის პატრიარქების პაისიოსისა და დოსითეოსის, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, არჩილ მეფისა და ვახტანგ VI-ის შორის დამყარებული პირადი კონტაქტის შედეგად თბილისში პირველი სტამბის დაარსების იდეის წარმოშობის შესაძლებლობა. ამავე დროს კი ეს იდეა მან წარმოგვიდგინა, როგორც ნაყოფი იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსისა, გიორგი XI-სა და მისი ძმის ლევანის ურთიერთმოლაპარაკებისა.

როგორც ვხედავთ, თ. ყორღანიასა და ქ. შარაშიძის თვალსაზრისისაგან განსხვავებით, შ. კურდღელაშვილს მხოლოდ სხვა პიროვნებები ჰყავს დასახელებული. საერთო დებულებას კი ისევ ძალაში ტოვებს. რამდენად შეესაბამება სინამდვილეს პრინციპში საკითხის ასე გადაქრა?

ჯერ გავარკვიოთ, თუ რას უნდა გულისხმობდნენ თ. ყორღანია, ქ. შარაშიძე და შ. კურდღელაშვილი სიტყვებში — „ჰქონდათ მოლაპარაკება“, „ურთიერთობის“ ანდა „პირადი კონტაქტების შედეგად“. რასაკვირველია, გამორიცხულია ამ სიტყვების იმ ასპექტში გაგება, თითქოს „მოლაპარაკებისა“ ან „ურთიერთკონტაქტების“ დროს აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურებმა მხოლოდ ურჩიეს ქართველ მეფეებს დაეარსებინათ საქართველოში სტამბა და ებეჭდათ წიგნები.

ქართველებმა, აღნიშნულ პერიოდთან შედარებით, თითქმის ნახევარი საუკუნით ადრე დაბეჭდეს პირველი ქართული წიგნი რომში და სახელმწიფოს მძიმე პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა თუ არა, თავიანთ სამშობლოშიაც უკვე კარგა ხანია ექნებოდათ საკუთარი სტამბა. მაშასადამე, თუ ქართველები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ და კონტაქტებს ამყარებდნენ ბერძენ პატრიარქებთან, ე. ი. მათ ესაქირობოდათ არა ლოცვა-კურთხევა ან ნებართვის მიღება სტამბის დასაარსებლად, არამედ ხელისშეწყობა და ქმედითი დახმარება ამ საქ-

⁸⁶ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, 1959, გვ. 16.

მის მოსაგვარებლად. ძალუძდათ კი ამის გაკეთება ბერძენ პატრიარქებს? მოვიშველიოთ ფაქტები.

1627 წელს თურქების მიერ კონსტანტინოპოლში პირველი ბერძნული სტამბის დარბევის შემდეგ⁸⁷ აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესია მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. დაახლოებით 1633 წელს ბერძნები თხოვნით მიმართავენ მოლდავეთის მთავარს ვასილი ლუპუს დაუარსოს მათ ბერძნული სტამბა. მომდევნო წლებში თუ ისინი ატერხებენ წიგნების ბეჭდვას, ისიც მოლდავეთში ან ვლახეთში არსებულ სტამბებში⁸⁸. თვით კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის და ანტიოქიის საპატრიარქოებს არ გააჩნდათ ამის საშუალება. გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს დოსითეოსის მიერ თავისი ხარჯითა და წვალებით იასში დაარსებული ბერძნული სტამბა, ისიც საბეჭდო დაზგა და სხვა საჭირო ხელსაწყოები მან მოლდავეთის მთავრისგან შეიძინა⁸⁹.

უფრო მეტიც, როდესაც იერუსალიმის პატრიარქს ქრიზანთეს სურს საპატრიარქოსათვის კონსტანტინოპოლში ჩამოაყალიბოს სტამბა, იგი ამის თაობაზე თხოვნით მიმართავს ვლახეთის მიტროპოლიტს ანთიმ ივერიელს. როგორც 1712 წელს ანთიმ ივერიელსა და ქრიზანთეს შორის არსებული მიმოწერიდან ირკვევა⁹⁰, ანთიმ დაპირებია იერუსალიმის პატრიარქს მისი მიზნების განსახორციელებლად შრიფტის, სასტამბო მოწყობილობისა და თვით ოსტატის გაგზავნასაც კი კონსტანტინოპოლში⁹¹.

⁸⁷ A. Xenopol, Istoria romnilor din Dacia Traiana, vol VIII. გვ. 249.

⁸⁸ I. Rămureanu, Atmosfera de aparare a Ortodoxiei din Tarile Române în care s-a dezvoltat spiritul mitropolitului Antim Ivireanul, გვ. 834.

⁸⁹ История святого града Иерусалима от времени апостольских и до наших ч. II, СПб. 1844, გვ. 342.

⁹⁰ ა. შანიძე წერს: „რამდენიმე წერილი ანთიმოზისა ხრისანთ ნოტარას (იერუსალიმის პატრიარქი ქრიზანთე — ო. გ.) მიმართ ინახებოდა, რამდენიმე წლის წინედ, კონსტანტინოპოლში წმინდა საფლავის მეტოქის ბიბლიოთეკაში. ეს წერილები, ბერძნულად დაწერილი, დათარიღებული იყო 1707 წ. 22 ოქტომბრით, 1712 წ. 20 სექტემბრით და 15 ნოემბრით, 1713 წ. 21 იანვრით და 6 აპრილით, 1714 წ. 24 ივლისით და 9 აგვისტოთი, 1716 წ. 14 მარტით. (Sathas, Bibliotheca graeca medii aevi, III, 521) სამწუხაროდ, ჩვენი სწავლული კოლეგა ბ. ემილ ლეგრანი. (Legrand) გვაუწყებს, რომ კონსტანტინოპოლის კრებული, დროებით წაღებული ყოფილა ბიბლიოთეკარ განსვენებულ ბ. პაჩი-კონსტანტინდის მიერ და გადაცემული ვიღაც უცნობ პირზე, უკვე აღარ მოიპოვება“ (ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგ. 1, 1935, გვ. 172). ამასთან დაკავშირებით ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ აქ აღნიშნული ანთიმ ივერიელის ყველა წერილი პატრიარქ ქრიზანთესადმი გამოქვეყნებულია E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par. II და E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par. III.

⁹¹ E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par. III, გვ. 106, 107, 115.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, თუ რა ქმედითი დაჭმარების აღმოჩენა შეეძლოთ საერთოდ ბერძენ პატრიარქებს ქართველებისათვის სტამბის ორგანიზაციის საქმეში.

საქართველოში ეროვნული სტამბის დაარსება შედეგი იყო იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურსა და ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი პროგრესული ძვრებისა და კულტურული აღმავლობისა და არა ქართველი მეფეების აღმოსავლეთ მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურებთან ურთიერთობისა და მათ შორის არსებული მოლაპარაკებისა.

საქართველოში პირველი ეროვნული სტამბის დაარსებას მრავალი დოკუმენტური წყარო ვლახეთთან აკავშირებს.

1709 წელს თბილისში დაბეჭდილ „სახარებაში“ ვკითხულობთ: „ოდეს განაგებდა საქართველოსა ძმისწული კეთილმორწმუნის მეფის არჩილისა და სახელოვანი მეფის გიორგისა, და ძე ლევანისა, ლეთის-მოყვარე, განათლებული ვახტანგ, იგულსმოდგინა და მოილო სტამბავლახეთით, რომელ აროდეს ყოფილიყო საქართველოში...“⁹².

1711 წელს დაბეჭდილ გერმანე მღვდელ-მონაზონის წიგნში ნათქვამია: „...უამსა მას, ოდეს მეფობდა ქართველთა ზედა ძირითგან დავითისათა აღმოცენებული მეფე ქაიხოსრო და მის წილ განაგებდა სამეფოსა მისსა ძმა მისი, მამულის რჯულის განმადლიერებელი და ქრისტეს სარწმუნოებისათვის ცეცხლებრ მოტკინარე ბატონიშვილი ვახტანგ, საუკუნოდ ყოს უფალმან ხსენება მისი, ამან მოიხვნა სტამბა ქვეყნით ვლახეთით...“⁹³. და სხვ.

საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ სწორედ ვლახეთიდან „მოიხვნა სტამბა“ ვახტანგ VI-მ და არა მოსკოვიდან, ან რომელიმე სხვა ქალაქიდან, მრავალი მკვლევრის საკამათო საგანს წარმოადგენდა. მაგ., ა. ცაგარელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ამის მიზეზი მოსკოვის სიშორე იყო, რის გამოც სტამბა ვლახეთიდან იქნა მოტანილი⁹⁴. მ. გასტერი არ ეთანხმება ა. ცაგარელს. მისი აზრით, ქართველების მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი გამოწვეული იყო არა მოსკოვის სიშორით, არამედ იმ გარემოებით, რომ იმ ხანებში ვლახეთში ცხოვრობდა მათი თანამემამულე ანთიმ ივერიელი, უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტი და სასტამბო საქმიანობაში შეტად დახელოვნებული ოსტატი⁹⁵.

საკითხის იმ კუთხით დაყენება, თუ რატომ არ დაამყარა ვახტანგ

⁹² სახარება, 1709.

⁹³ სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა, 1711.

⁹⁴ Труды V-го археол. съезда в Тифлисе, 1881, Москва, 1887, გვ. 106.

⁹⁵ Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, B. XI, Heft. 4.

VI-მ კავშირი რუსეთთან ბეკდვითი საქმიანობის მოსაგვარებლად თავის სამშობლოში, ყურადღებას იმსახურებს. ვახტანგ VI-სათვის, ცხადია, ცნობილი იყო, რომ ჯერ კიდევ XVI საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსეთში უკვე არსებობდა წიგნების ბეკდვის ბაზა. უფრო მეტიც, სწორედ მის დროს მოსკოვში იმყოფებოდა არჩილ მეფე, რომელმაც ღიადი სიძნელეების მიუხედავად მაინც განახორციელა თავისი სანუკვარი ოცნება, 1705 წელს მოსკოვში დაბეჭდა ქართული წიგნი. აგრეთვე, ისიც ცნობილია, რომ არჩილ მეფესა და ვახტანგ VI-ს შორის იმ დროს არსებობდა ურთიერთკონტაქტები. ვახტანგმა არჩილისათვის მოსკოვში გაგზავნა „ბიბლიის ის წიგნები, რაც საქართველოში მოიძებნებოდა“⁹⁶. მამ რატომღა უგულებელყო ვახტანგ VI-მ ასეთი შესაძლებლობა და თავისი მიზნების განსახორციელებლად სხვა ქვეყანას მიაკერო მზერა. როგორც ჩანს, მაშინდელმა ქართველებმა კარგად იცოდნენ, თუ რა მდგომარეობა იყო ბეკდვითი საქმიანობის განვითარების მხრივ არა მარტო რუსეთში, არამედ დანარჩენ სახელმწიფოებშიც. იმდროინდელი თბილისი წარმოადგენდა მნიშვნელოვან საეპარო ცენტრს, რომელიც ჩართული იყო მსოფლიო ვაჭრობის ქსელში. „საქართველოს ისტორიაში“ ჩვენ ვკითხულობთ — „შემოქმონდათ თბილისში უმთავრესად მზა საქონელი ირანიდან, ოსმალეთიდან. ამ ქვეყნებზე გამოვლით შემოდითოდა ევროპული საქონელიც...“⁹⁷. ცხადია, ევროპულ საქონელთან ერთად უცხოელი, თუ ქართველი ვაჭრები თბილისში მოიტანდნენ ამა თუ იმ ქვეყნიდან რაიმე საინტერესო და მნიშვნელოვან ამბავსაც. ეს „საინტერესო და მნიშვნელოვანი ამბავი“ კი ის იყო, რომ

⁹⁶ 1743 წელს მოსკოვში დაბეჭდილ „ბიბლიას“ დართული აქვს ვახუშტის ანდერძი, როგორც ამ წიგნის რედაქტორის. ანდერძში ნათქვამია, რომ მოსკოვში ყოფნის დროს არჩილ მეფე შეუდგა ბიბლიის ტექსტების შეგროვებას გამოსაცემად. მას მიუმართავს თავისი მძიმე ვახტანგ VI-სათვის და საქართველოდან ამ ტექსტების გამოგზავნა უთხოვია. ვახუშტისავე ცნობით, ვახტანგ VI არჩილისათვის გაუგზავნია ბიბლიის ტექსტები. თუ, სახელდობრ, როდის მოსწია ეს, ამის შესახებ წერს ქ. შარაშიძე: „ვახუშტის ცნობით არჩილისათვის ბიბლიის „წიგნების“ გაგზავნა იმ წლების ამბავია, როდესაც ვახტანგი იყო ქართლის გამგებლად, გიორგი მეფის მოადგილედ („რომელ იყო მას ეამსა შინა მოადგილედ ბიძისა თვისისა, მეფისა გიორგისა, ქართლის გამგედ“). როგორც ვიცით, გიორგი მეფე აღიარებულია 1709 წლის გაზაფხულზე მოკლეს. მაშასადამე, 1709 წელზე გვიან არ შეგვიძლია ვივარაუდოთ ბიბლიის გაგზავნა მოსკოვს. მეორე მხრივ, ვახტანგი ქართლის გამგებლად ოფიციალურად 1703 წლიდან დაინიშნა. აქედან ცხადია, რომ ბიბლიის ტექსტები ვახტანგს არჩილისათვის 1703—1709 წწ. შუა გადაუგზავნია“, ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), 1955, გვ. 170.

⁹⁷ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია., საქართველოს ისტორია, 1, 1948, გვ. 363.

იმ ხანებში ვლახეთი წიგნების ბეჭდვის კერა გახდა მთელს აღმოსავლეთში⁹⁸.

როგორც ვხედავთ, ქართველებს ორი შესაძლებლობიდან ერთისათვის მიუციათ უპირატესობა. მათი არჩევანი სტამბის ორგანიზაციის საქმის მოსავარებლად ვლახეთზე შეჩერებულა. რას უნდა განეპირობებინა ასეთი გადაწყვეტილება? სავარაუდოა, რომ ქართველებისათვის ვლახეთში არსებული პოლიგრაფიული ბაზის მაღალი დონის გარდა ცნობილი გამხდარა ისეთი რამ, შეიძლება ითქვას ისეთი ფაქტი, რამაც უკარნახა მათ ასეთი ნაბიჯის გადადგმა. ვინ იცის, იქნებ მართლაც სწორია მ. ჭასტერი, რომელიც ამ „ფაქტად“ ანთიმ ივერიელის, საყოველთაოდ სახელგანთქმული ქართველი მბეჭდავის, ვლახეთში ყოფნას ასახელებს. არ უნდა იყოს მოკლებული საფუძველს ის თვალსაზრისი, რომ თუ ანალოგიურ ვითარებაში (რუსეთშიაც შექმნილია პოლიგრაფიული ბაზა და ვლახეთშიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რუსეთთან საქართველოს აკავშირებს ადრინდელი ურთიერთობა და იმეამდ იქ იმყოფება მეფე არჩილი, ხოლო საქართველოს ვლახეთთან არაფერი აქვს საერთო) ქართველების არჩევანი ვლახეთის სასარგებლოდ იხრება, ჩანს, მათ ამ პერიოდში ვლახეთში მართლაც ეგულებოდათ ისეთი სტამბის ოსტატი, რომელიც შეძლების გარდა მოინდომებდა კიდევ ქმედითი და საჭირო დახმარების გაწევას ქართველთათვის სტამბის დაარსების საქმეში⁹⁹.

რაც შეეხება პ. კარებლაშვილს¹⁰⁰, ა. ხახანაშვილს¹⁰¹, ზ. ჭიჭინაძეს¹⁰² — ისინი ქართული სტამბის დაარსებას თბილისში, ანთიმ ივერიელსა და ქართველებს შორის არსებული მოლაპარაკების შედეგად თვლიან.

ზ. ჭიჭინაძე ქართული ეროვნული სტამბის ორგანიზაციის ინიციატივას ანთიმ ივერიელს მიაკუთვნებს. „ანთიმოზ მღვდელ-მონაზონს, — წერს ზ. ჭიჭინაძე—XVII საუკუნის დამლევს დაუწყია წერილების

⁹⁸ Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, B XI, Heft 4.

⁹⁹ ჩვენ კარგად ვიცით, თუ რაოდენი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა არჩილ მეფე მოსკოვში ყოფნის დროს, როდესაც იგი ცდილობდა კავშირის დაწყარებას უცხოეთში მცხოვრებ რომელიმე სტამბის ოსტატთან, როქელსაც ქართულ შრიფტს დაუკეთავდა. ისიც ცნობილია, რომ თუ არა არჩილ მეუის ნაცნობობა ვიტყვნათ და შპარკუნჯულდთან, რომლებიც თავის მხრივ ურთიერთობაში იყვნენ ტოტვალუშთან, ეს საქმე მეტად გაკვირვებულა.

¹⁰⁰ მ. კ. ე. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და პ. ელელთ მთავარი, 1900, გვ. 132.

¹⁰¹ А. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, вып. III, гл. 367—368.

¹⁰² ზ. ჭიჭინაძე, ქართული სტამბები 1627—1916 წწ. გვ. 56—60, 80—81.

წერა საქართველოში სტამბის გახსნის საკიროებაზე... ვახტანგ მეფეს-
თან გაუმართავს მიწერ-მოწერა...“¹⁰³, შემდეგ, განაგრძობს ზ. ჭიჭინა-
ძე, ანთიმ ივერიელს ვლახეთში ჩამოუსხამს ქართული ასოები და ამ
ასოების ნიმუშები საქართველოში გამოუგზავნია, თან შემოუთვლია:
„ნახეთ ეს ასოები და თუ მოგეწონებათ, თანხმობა მაცნობეთო“. ქარ-
თველებს ღიდად მოსწონებიათ ასოები, ანთიმ ივერიელისათვის თან-
ხმობის წერილი მიუწერიათ; აგრეთვე დაუვალეზაით შრომის მიღება,
იარაღის მოპოვება და მცოდნე ოსტატების გამოგზავნა. ანთიმ ივერი-
ელს ვახტანგის ბრძანება უმაღლვე შეუსრულებია. უშოვნია ოსტატები,
მოუპოვებია ყველა სასტამბო იარაღი და ჩამოუსხამს ქართული ასოები.
ყოველივე ეს ანთიმ ივერიელს ბუქარესტიდან საქართველოში გამო-
უგზავნია¹⁰⁴. „ქართული სტამბის გახსნის საქმე პირდაპირ ანთიმოზს
ეკუთვნის და არა სხვას ვინმეს...“¹⁰⁵ — დასძენს ზ. ჭიჭინაძე.

საიდან აქვს ზ. ჭიჭინაძეს ეს ცნობები? „ამ ცნობებს მიხ. თამა-
რაშვილი მწერს, მეც აქედან ვსარგებლობ“¹⁰⁶ — აცხადებს იგი. ხო-
ლო მიხ. თამარაშვილისათვის კი მასალები გაუგზავნია რუმინეთის
აკადემიას¹⁰⁷.

მაგრამ არ იქნებოდა სწორი, რომ ჩვენს მიერ ზ. ჭიჭინაძის წიგნი
დამოწმება მკიხთველმა ისე გაგვიგოს, თითქოს ციტირებულ ად-
გილში გატარებული თვალსაზრისი ჩვენ მიგვაჩნდეს უცილობელ ჭეშ-
მარიტებად. ეს გასაგებიცაა, რადგან ზ. ჭიჭინაძე, სამწუხაროდ, ამათუ
იმ დებულების ან მოსაზრების წამოყენების დროს არასოდეს არ იმო-
წმებს დოკუმენტურ მასალას. ამტომაც, მეტად ძნელია იმის გაგე-
ბა, თუ რაშია იგი მართალი და რაში არა. თუმცა აქვე უნდა ითქვას,
რომ ზ. ჭიჭინაძის მიერ ყოველივე ნათქვამის ხელაღებით უარყოფა არ
იქნებოდა მართებული. ამაში ჩვენ დავრწმუნდით კონკრეტულ მაგა-
ლითებზე. შევჩერდებით მხოლოდ ერთ-ორ მათგანზე.

ზ. ჭიჭინაძე თავის წიგნში წერს, რომ ცნობები ანთიმ ივერიელის
შესახებ მისთვის მიუწოდებია მიხ. თამარაშვილს, რომელსაც თავის
მხრივ, ისინი მიუღია რუმინეთის აკადემიიდან. ეს ფაქტი შემოწმდა.
რუმინეთში ყოფნის დროს გ. ლეონიძე დაინტერესდა ამ საკითხით და
მას ბუქარესტში უთხრეს, რომ მეცნიერებათა აკადემიის იმდროინდელ
თანამშრომელს, ვინმე იონუსს, მართლაც გადაუგზავნია მასალები ანთიმ

¹⁰³ ზ. ჭიჭინაძე, ქართული სტამბები 1627—1916 წწ. გვ. 58—59.

¹⁰⁴ იქვე, გვ. 80—81.

¹⁰⁵ იქვე, გვ. 59.

¹⁰⁶ იქვე, გვ. 56.

¹⁰⁷ იქვე.

ივერიელის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებით მიხ. თამარაშვილისათვის.

გარდა ამისა, კიკინაძე აღნიშნავს, რომ იმ ცნობებში, რომელიც მას მიხ. თამარაშვილისაგან ჰქონდა, შემდეგი იყო ნათქვამი: ანთიმ ივერიელს სასტამბო მოწყობილობანი მესტამბეებთან ერთად გაუგზავნია ვლახეთიდან საქართველოში. შეეძლო თუ არა მიხ. თამარაშვილს რუმინეთის აკადემიიდან მიეღო ამ შინაარსის ცნობა, რომელიც შემდეგ თავის წიგნში დაბეჭდა ზ. კიკინაძემ? შეეძლო. ზოგიერთი რუმინელი მკვლევარის თვალსაზრისით, „სტამბის ოსტატების გარდა, საბეჭდი დაზგა და სხვა სასტამბო მეურნეობა წარმოადგენდა იმ წელიწადს, რომელიც შეიტანა ვლახეთმა თბილისის პირველი სტამბის ორგანიზაციის საქმეში“¹⁰⁸. სხვა საკითხია, მართლა გამოიგზავნა ვლახეთიდან საქართველოში სტამბა, თუ არა. ამის შესახებ ჩვენ შემდეგ გვექნება საუბარი. აქ კი ჩვენ მხოლოდ შევამოწმეთ, რამდენად დამაჯერებელი იყო, რომ რუმინეთიდან ასეთი ხასიათის ინფორმაცია მიეწოდებინათ მიხ. თამარაშვილისათვის. როგორც ვნახეთ. ეს საკვებით სარწმუნო აღმოჩნდა.

მესამე. ზ. კიკინაძემ გამოაქვეყნა ცნობა, რომლის მიხედვითაც ვითომ რუმინეთის აკადემიას მოუწერია მიხ. თამარაშვილისათვის: ვლახელი ოსტატის მიერ საქართველოში დაბეჭდილი წიგნებიდან ბუქარესტში მხოლოდ ორი წიგნი გვაქვსო¹⁰⁹. სინამდვილეში რა აღმოჩნდა? იმ წიგნებიდან, რომლებიც მიხაილ იშტვანოვიჩმა თბილისის პირველ სტამბაში გამოსცა, დღესდღეობით მართლაც მხოლოდ ორი წიგნი მოიპოვება რუმინეთში¹¹⁰.

საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება. ზ. კიკინაძეს თავის წიგნში ანთიმ ივერიელის ცხოვრებისა და საქმიანობის ძირითადი მომენტები საკვებით სწორად აქვს გადმოცემული. იგი წერს: „XVII საუკუნის დამლევს ბუქარესტში მოსულა ერთი ქართველი მღვდელ-მონაზონი, ანთიმოზი. ეს მღვდელ-მონაზონი დასახლებულა იქ, შეუსწავლია კარგად მათი ენა, მერე გაუშენებია ერთი მონასტერი. ამ მონასტერში შეუკრებია მოწესე ძმები. იგი ისე დაწინაურებულა, რომ მათს ენაზე თამამად ქადაგებანიც კი დაუწერია. ამ ანთიმოზ მღვდელ-მონაზონს ბუქარესტში უცხოვრია და იქვე თავის მონასტერში გარდაცვლილა. ამას

¹⁰⁸ Dan Dumitrescu, Activitatea tipografica a lui Mihai Stefan in Gruzia, «Studii», Anul XI, 4 გვ. 135.

¹⁰⁹ ზ. კიკინაძე, ქართული სტამბები 1627—1916 წწ. გვ. 59.

¹¹⁰ I. B i a n u, Din cartile vechi ale Prinos lui D. A. S t u r d z a, Buc, 1903, გვ. 193.

დარჩენია იზოდენა ქადაგებანი, საიდანაც თურმე ორი ტომი გამოსულა. დღესაც თურმე რუმინიაში ამ ქადაგებების წიგნს პირველი ადგილი უკავია სასულიერო მწერლობაში¹¹¹. ეს წიგნები პირველ სამქადაგებლო წიგნებად ითვლებიან. ასე იწერებიან თურმე. მეც ასე მწერს მიხ. თამარაშვილი¹¹².

თითქოს სრული სიზუსტეა დაცული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ანთიმ ივერიელის მიერ დაარსებულ მონასტერში მისი გარდაცვალების ცნობას და სხვ. რაც შეეხება ანთიმ ივერიელის ქადაგებების ორ ტომად გამოცემას, თვით ეს დეტალიც კი სავსებით სწორად არის გადმოცემული¹¹³. სხვა მაგალითების მოტანა კიდევ მრავლად შეიძლება.

ამრიგად, ზ. ჭიჭინაძის წიგნში მოცემული ზოგიერთი ცნობა, რომლებიც აღრე ჩვენ შეგვეძლო სარწმუნოდ არ ჩაგვეთვალა, რადგან ატარებდნენ დეკლარაციულ ხასიათს და არ იყვნენ დამოწმებული ფაქტობრივი მასალით, სათანადო შემოწმების შედეგად სავსებით დადასტურებული აღმოჩნდა. რატომაა აუცილებელი, რომ ზ. ჭიჭინაძის დანარჩენი ცნობებიც ანთიმ ივერიელის ან ქართული სტამბის შესახებ ჩვენ ჩავთვალოთ სრულიად უსაფუძვლოდ? ვინ იცის, იქნებ მომავალში კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩნდეს ისეთი დოკუმენტური წყაროები, რომლებიც რეალურ საფუძველს შეუქმნიან დღესდღეობით ჰიპოთეზად აღიარებულ ამა თუ იმ თვალსაზრისს.

მაგრამ თუ ჩვენ დროებით დავუშვებთ, რომ ქართველებმა უშუალოდ ანთიმ ივერიელთან მოლაპარაკებით საფუძველი ჩაუყარეს ეროვნული სტამბის ორგანიზაციის საქმეს, მაშინ ბუნებრივია დაისმის კითხვა: თუ ეს ასეა, მაშინ როგორღა უნდა გაეიგოთ გ. ლეონიძის მიერ რუმინეთში გამოვლენილ ლექსში მოცემული ცნობა, რომლის მიხედ-

¹¹¹ ლიტერატურული ნიჭის წყალობით ანთიმ ივერიელი სამართლიანად შეიძლება მიჩნეულ იქნეს რუმინული ენის ხუროთმოძღვრად და სასულიერო მკერამეუცველების ერთ ერთ ფუძემდებლად რუმინეთში «Al. Rosetti, B. Cazacu, Istoria limbii române literare, I, Buc., 1961, გვ. 172. ანთიმ ივერიელის სიტყვა, ეს სიტყვაა ადამიანისა, რომელზედაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის თქმა, რომ მან შერე შეისწავლა რუმინული ენა, იმდენად კარგად ფლობს იგი ამ ენას. ქადაგებების ცოცხალი ენა და ამ ქადაგებებში გამოყენებული მხატვრული ხერხები ანთიმ ივერიელის ნაწარმოებებს აქცევენ რუმინული ენის ძვირფას ძეგლად. და დღესაც, როდესაც განელო უკვე საუკუნეზე მეტმა, ისინი იკითხებიან სიამოვნებით.» G. Strempel, Antim Ivireanul, Predici, 1962, გვ. 62—63.

¹¹² ზ. ჭიჭინაძე, ქართული სტამბები 1627—1916 წწ. გვ. 56—57.

¹¹³ ჯერ კიდევ 1889 წელს ანთიმ ივერიელის ქადაგებანი, ბუქარესტში გამოიცა ორ ტომად. Melhisedec, Episcopul, Didachiele sau predicele Mitropolitului Antim Ivireanul, t. II, იხ. «Analele Academiei Romane», seria II, t. X, Buc. 1889.

ვითაც ვახტანგ VI-ს არა ანთიმ ივერიელისათვის, არამედ იერუსალიმის პატრიარქ ქრიზანთესათვის უთხოვია „სტამბის ხელოვანი კაცი“¹¹⁴. რასაკვირველია, ჩვენ ეს უნდა გავიგოთ არა ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით, რასაც ადგილი აქვს ზოგიერთი ქართველი მკვლევრის ნაშრომში. მაგ. შ. კურდღელაშვილი წერს: რატომ თვით იერუსალიმის პატრიარქმა არ ითავა ვახტანგ VI-ს თხოვნის განხორციელება? ზომ შეეძლო მას თვითონ გამოეგზავნა საქართველოში ი ე რ უ ს ა ლ ი მ ი ს ს ა პ ა ტ რ ი ა რ ქ ო ს ტ ა მ ბ ა შ ი“¹¹⁵, (კურსივი ჩვენია—ო. გ.) მომუშავე ერთ-ერთი ოსტატი...“¹¹⁶. და ამას მკვლევარი ხსნის იმ გარემოებით, რომ „...იერუსალიმის პატრიარქისათვის ვახტანგ მეფეს მარტოოდენ სტამბის ოსტატის გამოგზავნა კი არ უთხოვია..., არამედ საკუთრივ სტამბისაც“¹¹⁷.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ საქართველოსა და იერუსალიმის საპატრიარქოს შორის ურთიერთობა და მჭიდრო კავშირი ოდითგანვე არსებობდა¹¹⁸. თუ ამ ვითარებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ექვს გარეშეა, ქართველებისათვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი იერუსალიმის საპატრიარქოს საშინაო ამბებიც, კერძოდ, გააჩნდა თუ არა ამ საპატრიარქოს წიგნების ბეჭდვის საშუალება. ეს საშუალება კი იერუსალიმის საპატრიარქოს არ შეიძლება ჰქონოდა, რადგან, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ამ პერიოდში სტამბის უქონლობის გამო იერუსალიმის პატრიარქები წიგნებს მოლდავეთსა და ვლახეთში ბეჭდავენ¹¹⁹. უფრო მეტიც, იერუსალიმის პატრიარქი, ქრიზანთე, თვითონ თხოვს ანთიმ ივერიელს დაეხმაროს მას სტამბის ორგანიზაციის საქმეში და გაუგზავნოს მესტამბე¹²⁰. და თუ სინამდვილეში ასეთი იყო მდგომარეობა, როგორღა მოსთხოვდა ვახტანგ VI იერუსალიმის პატრიარქს ქრიზანთეს, „სტამბის ხელოვან კაცს“, როდესაც ეს უკანასკნელი ანალოგიურ შემთხვევაში შემწეობისათვის სხვას მიმართავდა?

¹¹⁴ „დროშა“, № 2, 1951, გვ. 18.

¹¹⁵ იერუსალიმის საპატრიარქოს რომ აღნიშნულ პერიოდში გააჩნდა სტამბა, ეს რეალობად მაიჩნია ე. ლორთქიფანიძესაც. მისი სიტყვებით, ეს „სტამბა ემსახურებოდა ძირითადად მხოლოდ საპატრიარქო მოთხოვნას“. (ე. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ე ქ ე ს ე და ქ ა რ თ უ ლ ი ს ტ ა მ ბ ი ს მ ო ლ დ ა ვ ე ნ ი, 1969, გვ. 79).

¹¹⁶ შ. კ უ რ დ ლ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქ ა რ თ უ ლ ი ს ტ ა მ ბ ი ს ო ს ტ რ ა ტ ი დ ა ნ, 1959, გვ. 34.

¹¹⁷ იქვე.

¹¹⁸ А. Ц а г а р е л и, Памятники грузинской старины в святой земле на Синае. Православный Палестинский сборник, т. IV, вып. 1, СПб, 1888; Пл. Иоселиани, Послания иерусалимского патриарха Досифея в Грузию, 1866.

¹¹⁹ А. Х е н о р ი, Istoria românilor din Dacia Traiana, vol. V III, Buc. 1929, გვ. 242; I. R a m u r e a n u, Atmosfera de aparare a Ortodoxiei din Tarile Române in care s-a dezvoltat spiritul mitropolitului Antim Ivireanul, გვ. 834.

¹²⁰ H u r m u z a k i, Documente, vol XIV par. III, გვ. 105—106, 115.

აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ვახტანგ VI-ს იმიტომ კი არ მიუმატავს იერუსალიმის პატრიარქისათვის, რომ იგი იმედოვნებდა ქრიზანთეს მხრივ საპატრიარქო სტამბიდან ოსტატის გაგზავნას საქართველოში, არამედ, ალბათ, თხოვდა მას დახმარებას ვლახეთში მცხოვრებ „ხელოვან კაცთან“ კონტაქტის დასამყარებლად.

ჩვენი აზრით, გ. ლეონიდის მიერ გამოვლენილ ლექსში იერუსალიმის პატრიარქის ქრიზანთეს როლი პირველი ქართული სტამბის დაარსების საქმეში მეტად გაზვიადებულად არის წარმოდგენილი. „პატრიარქმა გამოგზავნა აქ (საქართველოში — ო. გ.) მიხაილ კარგად ზრდილი“¹²¹ — ვკითხულობთ ჩვენ ლექსში. თუმცა თვით მიხაილ იშტევანოვიჩი იმავე ლექსში ამბობს — „ჩემი აქეთ (საქართველოში — ო. გ.) გამოგზავნა არც ვლახთ შეფეს დაუძრახე“¹²². ეს ბოლო ვარიანტი გაცილებით ახლოა სინამდვილესთან. ბერძენი პატრიარქები თუმცა კი სარგებლობდნენ პატივისცემით და გავლენით ვლახეთის მთავრის კარზე, მაგრამ არა ისეთ ფარგლებში, რომ მათ შეეთვალათ და დაევალებინათ ვლახეთის მთავრისათვის მისი ქვეშევრდომის უცხო ქვეყანაში გაგზავნა, ისიც სხვისი თხოვნის დასაკმაყოფილებლად. როდესაც ანტიოქიის პატრიარქმა ათანასემ გადაწყვიტა ქალაქში სტამბის დაარსება, იგი თვით ეახლა კონსტანტინე ბრინკოვიანუს ვლახეთში და დიდი მოწიწებით სთხოვა დახმარება¹²³.

ჩვენ არ მიგვაჩნია სწორად არც შ. კვასხეაძის მოსაზრება, თითქოს მიხაილ იშტევანოვიჩი საქართველოში ჩამოსულიყო იერუსალიმის პატრიარქის ქრიზანთეს „განკარგულებისა და სურვილის შესაბამისად“¹²⁴. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მკვლევარს მოჰყავს გ. ლეონიდის მიერ გამოქვეყნებული ანთიმ ივერიელის წერილი ქრიზანთესადმი: „ჩემო ხელმწიფეო, — ვკითხულობთ ამ წერილში, — შენი ლოცვა-კურთხევით ივერიაში წარგზავნილი მოწაფე ჩემი მიხაილი ერთი წელიწადია რაც ივერიიდან წამოვიდა და ძალიან დიდხანს მოუნდა გზას სატახტო ქალაქამდე. შენი ლოცვით ჯანმრთელად ჩავიდა...“¹²⁵. ვინაიდან გ. ლეონიდეს ეს წერილი ზუსტად არა აქვს გადმოცემული, ჩვენ მოვიყვანთ მის ტექსტს. 1713 წლის 6 აპრილს ანთიმ ივერიელი წერდა ქრიზანთეს: „ჩვენი მოწაფე მიხაილი, დღეს შესრულდება ერთი წელი, რაც ივერი-

¹²¹ „ღროშა“, № 2, 1951, გვ. 18

¹²² იქვე.

¹²³ A t a n a s i e D a b b a s, „Istoria Patriarhilor de Antiohia, გვ. 260—862, 851—853.

¹²⁴ შ. კვასხეაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, 1952, გვ. 231.

¹²⁵ „ღროშა“, № 2, 1951, გვ.

იდან წამოვიდა, და როგორც შევიტყვე, მეტად ძნელი გზა განვლო დედაქალაქამდე. მაგრამ ღვთის წყალობით და თქვენი ლოცვით ჩანმრთელად ჩავიდა..."¹²⁶.

რა განსხვავებაა გ. ლეონიძისა და ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ წერილებს შორის? პირველ წერილში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მიხაილ იმტვანოვიჩი საქართველოში წარგზავნილი ყოფილა ქრიზანთეს ლოცვა-კურთხევით, ხოლო მეორეში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. მხოლოდ აღნიშნულია მიხაილ იმტვანოვიჩის საქართველოდან დაბრუნება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ანთიმ ივერიელის ქრიზანთესადმი მიწერილ წერილს, არაფერი აქვს საერთო ვლახეთიდან საქართველოში შესტამბის გაგზავნასთან. თუ ანთიმ ივერიელი ამ წერილით აცნობებს ქრიზანთეს მიხაილ იმტვანოვიჩის ბედს, ეს სულ სხვა მიზეზით არის გამოწვეული და სხვა გარემოებით განპირობებული, რაზედაც ჩვენ ქვევით შევჩერდებით.

ქრიზანთეს წვლილი ქართული სტამბის ორგანიზაციის საკითხში შეიძლება შემდეგ ჩარჩოებში განისაზღვროს: ვინაიდან ქართველები იმ პერიოდში მოკლებული იყვნენ საშუალებას უშუალო კონტაქტი დაემყარებინათ ვლახეთის სამთავროსთან, ამ მისიის შესრულება სთხოვეს იერუსალიმის პატრიარქს, ვაკონკრეტებთ, კონტაქტი შემდეგი გაგებით: იცოდნენ რა ქართველებმა, რომ იერუსალიმის საპატრიარქოს არ ქალუდა რეალური დახმარების გაწევა სტამბის დაარსების საქმეში, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ ქართველებს იმედი ჰქონდათ ასეთი დახმარების მიღებისა ვლახეთიდან, მათ ქრიზანთე მოიშველიეს როგორც თხოვნის გადამცემი ადრესატისათვის ვლახეთში.

ე. ი. გამოდის რომ ქართველებს მართლა უნდა სცოდნოდათ რაიმე ანთიმ ივერიელის არსებობისა და მისი მოღვაწეობის შესახებ ვლახეთში? ჩვენ აქ აღარ შევჩერდებით არჩილ მეფესა და ანთიმ ივერიელს შორის შესაძლებელ ურთიერთობაზე და ამ უკანასკნელის წვლილზე ქართული შრიფტის დამზადების საქმეში, რომლითაც მოსკოვში დაიბეჭდა „დავითნი“ 1705 წელს. ეს მხოლოდ ჩვენი ვარაუდია. აღარაფერს ვიტყვით არც მ. გასტერის ინფორმაციაზე და არც ზ. კიჭინაძის დაბეჭდვებით მტკიცებაზე, რომ ვახტანგ VI-ს და ანთიმ ივერიელს ერთმანეთთან მიმოწერა ჰქონდათ. ყოველივე ეს ამა თუ იმ მკვლევარის მხოლოდ გამოთქმული თეალსაზრისია. მაგრამ პირდაპირი საბუთი, დოკუმენტი? სამწუხაროდ, ჯერ ამ მხრივ არაფერია მიკვლეული. თუმცა მთელი რივი

¹²⁶ I. Bianu, N. Hodos, Bibliografia Romîneasca Veche, 1508-1830, t. I, (1508-1716), Buc, 1903, გვ. 392.

ფაქტობრივი მასალის გათვალისწინებისა და გაანალიზების საფუძველზე დგინდება, რომ კავშირი ქართველებსა და ელახეთში მცხოვრებ ანთიმ ივერიელს შორის რეალობას არ უნდა იყოს მოკლებული. როგორ უნდა განხორციელებულიყო ეს ურთიერთობა?

მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის პ. კარბელაშვილი. მისი სიტყვით, ვახტანგ VI-ის ძმა, დომენტი, 1689 წელს იერუსალიმში ყოფნისას იეროდიაკონად უკუერთებია პატრიარქ დოსითეოსს. იერუსალიმში დომენტი დაახლოვებია „სტამბის გამგეებს“ და შეუსწავლია წიგნის ბეჭდვის საქმე. მისი სანუკვარი ოცნება ყოფილა „სამშობლოში სტამბის გახსნა“. „1699 წელს — განაგრძობს პ. კარბელაშვილი — არჩილ მეფე მოვიდა მოსკოვში და მაშინვე შეუდგა სტამბის გახსნას და 1705 წ. დაბეჭდა კიდევ „დავითნი“. არჩილს მღვდელ-მონაზონი დომენტი თან ჰყვანდა. ეკვი არ გვაქვს, რომ დომენტი სამშობლოში მოსვლის უმალ (1704 წ.) შეუჩნდა თავის ძმას ვახტანგ VI და გაახსენებინა სტამბა. რომ დომენტიმ გაიცნო ანთიმოზ მღვდელ-მთავარი იერუსალიმში ყოფნის დროს, არც ეს მიგვაჩნია საეჭვოდ. იმ დროს ქართველთათვის შეუძლებელი იყო უნგრო-ვლახიაში სიარული სტამბის საქმეზე. რომ დომენტიმ და ანთიმოზმა მოილაპარაკეს და დაწყეს თავდარიგე საქართველოში სტამბის გახსნისათვის იერუსალიმშივე, და გამობრუნებულთ იერუსალიმიდან ერთად უნდა ემგზავრათ კონსტანტინოპოლამდე — ჩვენ ქეშმარიტებად მიგვაჩნია“¹²⁷.

რა არის მართალი და რაა მოტანილი პ. კარბელაშვილის ცნობაში? ის, რომ დომენტი XVII საუკუნის დამლევს მართლაც იერუსალიმში ყოფილა, ეს დოკუმენტურად დადგინდა. იერუსალიმში ჩასულ ნ. მარს უნახავს ქართული ხელნაწერი, რომელსაც შემდეგი შინაარსის ამონაწერი აქვს გაკეთებული „ეპა, შენ, წმიდაო დავით წინასწარმეტყველო. შემწე მეყავ ტომსა შენსა ქართველთ ბატონიშვილს დომენტი კოფილს დამიანეს. ოდეს მოველ, თაყვანი ვეც, ჭეც ცოდვილმა წმიდას ქალაქს...“¹²⁸, მეორე ქართულ ხელნაწერში იკითხება: „...შეიწყალე ბატონიშვილი დომენტი ყოფილი დამიანე, აცხოვნე, უსჯულოს ხელისაგან მამა გამოუხსენ, და დედა ჩემი გურიელის ქალი თუთა აცხოვნე“¹²⁹. დომენტის იერუსალიმში ყოფნის შესახებ ჩვენ ვგებულობთ აგრეთვე

¹²⁷ პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, 1900, გვ. 131—132.

¹²⁸ ნ. მარსი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, 1955, გვ. 10—11.

¹²⁹ იქვე, გვ. 50.

„კათალიკოს-ბაქარიანიდან“, სადაც თვით დომენტი ამბობს „იერუსალიმს ვილოცე, ცრემლი დავთხიე ბევრანი“¹³⁰.

შემდეგ დასტურდება ისიც, რომ რუსეთიდან ახლადდამბრუნებული დომენტი 1704 წელს კათალიკოსად აურჩევიათ. ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „...შეთქვენეს ეპისკოპოსნი და არქიმანდრიტნი და არა-რა ინებეს ნიკოლაოზ, რამეთუ არს სოფლიერი და ევდომოს დაუდევს უმეცრობა და გამორჩევით დაადგინეს ნებითა ვახტანგისათა კათალიკოზ დომენტი ძე ლევანისა და ძმა ვახტანგისა, ეხლად მოსული რუსეთილამ და აკურთხეს ქს. ჩლე ქრ. ტუგ“¹³¹.

პ. კარბელაშვილი წერს, რომ დომენტის, ჯერ კიდევ იპოდიაკონს, იერუსალიმში ყოფნის დროს შეუსწავლია წიგნის ბეჭდვის საქმე, გაუცვნია ანთიმ ივერიელი და მათ ერთად დაუსახავთ გეგმა საქართველოში სტამბის დასაარსებლად. ეს პ. კარბელაშვილის ქეშმარიტებად მიაჩნია. მაგრამ აქ პ. კარბელაშვილი ნაწილობრივ ცდება. 1669 წლის შემდეგ დომენტი ვერაქითარ შემთხვევაში ვერ შეხვდებოდა ანთიმ ივერიელს იერუსალიმში, რადგან ამ დროისათვის ანთიმ იუკვე ვლახეთშია. გარდა ამისა, დომენტი იერუსალიმში ვერც წიგნის ბეჭდვის საქმეს შეისწავლიდა, რადგან, როგორც ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, ამ პერიოდში არა მარტო იერუსალიმის საპატრიარქოს, არამედ არც დანარჩენ სამსაპატრიარქოს — კონსტანტინოპოლისა, ალექსანდრიისა და ანტიოქიისას არ გააჩნდათ სტამბები. ე. ი. გამოდის რომ დომენტისა და ანთიმ ივერიელის ურთიერთგაცნობა პ. კარბელაშვილის მოგონილი ამბავია და შეიძლება ჩავთვალოთ შეუძლებლად. თუ ჩვენ ანთიმ ივერიელისა და დომენტის შეხვედრის ადგილად ავიღებთ იერუსალიმს — რასაკვირველია! მაგრამ როგორც ირკვევა, XVII საუკუნის დამლევს დომენტი მარტო იერუსალიმში როდი ყოფილა. „კათალიკოს-ბაქარიანის“ ავტორი, დომენტის ახლობელი და მრავალ მოგზაურობაში მისი თანმზღები პირი, იესე ტლაშაძე, დომენტის ათქმევინებს:

„სულ მოვიარე ქვეყანა: რუსი, ოსმალ, ერანი.
ვლახი, ბულდანი... (მოლდავეთი — ო. გ.)“...¹³²

ასე გამოდის, დომენტი ვლახეთშიაც ყოფილა და სწორედ იმ დროს, როდესაც იქ მოღვაწეობს ანთიმ ივერიელი — ქართველი ადამიანი, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ბეჭდვითი საქმიანობის განვითარება მთელს ქვეყანაში და რომლის წყალობითაც ვლახეთი გა-

¹³⁰ ი ე ს ე ტ ლ ა შ ა ძ ე, ბაქარიანი, 1963, გვ. 19.

¹³¹ ქართლის ცხოვრება, 1854, გვ. 71.

¹³² ი ე ს ე ტ ლ ა შ ა ძ ე, ბაქარიანი, 1963, გვ. 19.

დაიქცა ერთ-ერთ მოწინავე სახელმწიფოდ წიგნების ბექდვის თვალსაზრისით¹³³.

საინტერესოა, თუ რას ამბობს თვით დომენტი თავის თავზე ახალგაზრდობის პერიოდთან დაკავშირებით, როდესაც იგი მოგზაურობს სხვადასხვა ქვეყნებში:

„ყმაწვილობასვე მინდოდა სულა ქვეყნისა დაეღაო, ქართლში დამედოა სჟულის წესი, რიგი და სწავლაო, მესწავლებინა ყველასთჳინ შიში ღვთისა და კრძალვაო, ქვეყნის მოელისთჳინ არა მზარს შორისა გზისა წავლაო“.¹³⁴

გარდა ამისა, დომენტი ამბობს ერთ-ერთ მგზავრობის მიზანთან დაკავშირებით: „ჩვენის მამულის და საყდრის მოსაეღელად წავედით“-ო. სიტყვა „მამულში“ იგი, ცხადია, თავის სამშობლოს, საქართველოს გულისხმობს.

ამრიგად, ვლახეთში ჩასულა ქართველი მოღვაწე და მწიგნობარი, რომელიც ზრუნავს თავისი სამშობლოს ბედ-იღბალზე და კულტურულ აღორძინებაზე. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ დომენტი დაინტერესდებოდა ვლახეთში გაშლილი ბექდვითი საქმიანობით, რომლის განხორციელებაზე თავის მხრივ კარგა ხანია ოცნებობდნენ ქართველები და რასაც უკვე მყარო ნიადაგი ჰქონდა მომზადებული საქართველოში დასაწერად. ასეთ ვითარებაში რატომღაც გამოიჩინა, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დომენტის მოეხსენებინა თავის ძმის ვახტანგ VI-თვის, ვლახეთში არსებული მდგომარეობა, კერძოდ ამ ქვეყანაში „წიგნების ბექდვის სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის“, ანთიმ ივერიელის შესახებ, რომელთანაც იგი, ექვს გარეშეა, კონტაქტს დაამყარებდა და რომელიც, ალბათ, დაპირდა კიდევ თავის თანამემამულეს დახმარების გაწევას თბილისში სტამბის დასაარსებლად.

როგორც ვხედავთ, ბ. კარბელაშვილის ცნობა ანთიმ ივერიელისა და დომენტის შეხვედრისა და მოლაპარაკების შესახებ მხოლოდ მკვლევრის ფანტაზიის ნაყოფი არ უნდა იყოს, თუ რასაკვირველია, ამ შეხვედრის ადგილად ჩვენ გამოვიჩინებთ იერუსალიმს. ყოველ შემთხვევაში, ყველა რუმინელი მკვლევარი, გამონაკლისის გარეშე, თბილისში პირველი ეროვნული სტამბის დაარსებას განიხილავს, როგორც ვახტანგ VI-ისა და ანთიმ ივერიელის უშუალო კონტაქტის (ანდა ანთიმ ივერიელის ინიციატივის) შედეგს. თუმცა საკითხს, თუ ვისი მეშვეო-

¹³³. История Румынии, под редакцией М. Роллера, 1950, гл. 184; Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, B XI, Heft 4, A. Xenopol, Istoria rominilor, vol. VIII, гл. 247.

¹³⁴ იესე ტლაშაძე. ბაქარანი, 1963, გვ. 19.

ბით იყო განხორციელებული ეს ურთიერთობა, ისინი, ჩანს, საბუთების უქონლობის გამო გვერდს უვლიან. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

ი. რამურეანუ წერს: „ამბავმა ვლახეთის სტამბების პროდუქტიულობის შესახებ, რომელთაც თავის მფარველობას არ აკლებდა მთავარი კონსტანტინე ბრინკოვიანუ, მიიღწია შორს აღმოსავლეთამდე, — კავკასიის მთებამდე, სადაც ცხოვრობდნენ იბერიელები ანუ ქართველები. ანთიმ ივერიელს, არ გაუწყვეტია კავშირი თავისიანებთან, თავის საყვარელ თანამემამულეებთან, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. როდესაც ვახტანგმა, საქართველოს გამგებელმა 1703—1709 წლებში და შემდეგ მეფემ საქართველოსი ვახტანგ VI-ის სახელით, აცნობა ანთიმ ივერიელს, რომ ქართველებს სურს ჰქონდეთ თავისი საკუთარი სტამბა. ანთიმმა თხოვნით მიმართა კონსტანტინე ბრინკოვიანუს, რომ მას დახმარება აღმოეჩინა ქართველებისათვის. ამ მიზნით ანთიმმა გაგზავნა საქართველოში იპოლიაკონი მიხაილ იშტევანოვიჩი — ყველაზე უფრო ერთგული და დახელოვებული თავისი მოწაფეთაგანი“¹³⁵.

ვ. მოლინი აღნიშნავს: „რიმნიკიდან ბუქარესტში ანთიმ ივერიელის. ახლა უკვე ქვეყნის მიტროპოლიტის (1708 წ.), დაბრუნების შემდეგ, მიხაის დაუყოვნებლივ გზავნიან ივერიაში, საქართველოში. ანთიმმა, მცუხედავად იმისა, რომ მან შეისისხლხორცა თავისი მეორე სამშობლო. ერთი წუთითაც არ ივიწყებდა ივერიის მიწას, სადაც იგი დაიბადა... ანთიმს მუდმივი კავშირი ჰქონდა დამყარებული ქართველებთან...“¹³⁶.

ქსენოპოლი გვაცნობებს: „საქართველოს მამულიშვილი ანთიმ ივერიელი, მიტროპოლიტად გახდომის შემდეგ გზავნის თავის ყველაზე უფრო მოწინავე მოწაფეს მიხაი იშტევანოვიჩს...“¹³⁷.

ანალოგიურ თვალსაზრისს გამოთქვამენ ნ. კარტოჯანი, დ. ბოგდანი, ნ. შერბინესკუ¹³⁸. ეს მკვლევარნი წერენ, რომ ანთიმ ივერიელს დაუარსებია სტამბები ვლახეთის ფარგლებს გარეთაც. ასე, მაგალითად, 1709 წლამდე ვახტანგ VI-ის თხოვნით მან იშუამდგომლა კონსტანტინე ბრინკოვიანუს წინაშე და მიიღწია თბილისში სტამბის დაარსებას. სტამბის ორგანიზაციისათვის ანთიმმა საქართველოში გაგზავნა თავისი საუ-

¹³⁵ I. R a m u r e a n u, Ajutorul dat de mitropolitul Antim Ivireanul credinciosilor ortodocsi din Georgia, patria sa natala, გვ. 844.

¹³⁶ V. M o l i n... გვ. 322.

¹³⁷ A. X e n o p o l, Istoria rominilor din Dacia Traiana, vol V III, Buc 1929, გვ. 248.

¹³⁸ N. C a r t o j a n, Istoria literaturii române vechi, III, Buc, 1945, გვ. 212 D. B o g d a n, Legaturile Tarilor Române cu Georgia. «Studii» (Revista de Istorie si Filosofie) anul IV, 1951, გვ. 157, 259—260. N. S e r b a n e s c u, Antim Ivireanul tipograf, გვ. 698.

კეთესო მოწაფეთაგანი, მიხაილ იშტვანოვიჩი, რომელმაც აქ დაბეჭდა რამდენიმე წიგნი ქართულ ენაზე.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ თბილისში პირველი ქართული სტამბის ორგანიზაციის წინა პერიოდი ჩვენ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ. XVIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც რეალური საფუძველი შეიქმნა საქართველოში სტამბის დაარსებისა, ვახტანგ VI იერუსალიმის პატრიარქის ქრიზანტეს მეშვეობით კონტაქტს ამყარებს ანთიმ ივერიელთან (მისი ვლახეთში ყოფნა, მოსალოდნელია, რომ ვახტანგისათვის სხვადასხვა წყაროებით უკვე ცნობილი იყო). ანთიმის თავის მხრივ სარგებლობს რა თავისი შესაძლებლობითა და მდომარეობით (ამ დროს იგი რიმნიკის ეპისკოპოსია) შემწეობას თხოვს ვლახეთის მთავარს კონსტანტინე ბრინკოვიანუს. როგორც ირკვევა, ვლახეთის მთავარს ყოველმხრივ შეუწყვია ხელი ანთიმ ივერიელისათვის, რათა ეს დიადი წამოწყება კეთილად დაგვირგვინებულყო¹³⁸. ერთ-ერთი დო-

¹³⁸ საქართველოში პირველი სტამბის დაარსების საქმეში ვლახეთის მთავრის კონსტანტინე ბრინკოვიანუს წვლალზე მიუთითებს 1711 წელს თბილისში გამოცემული წიგნის „ანდრძი“, რომელშიაც ნათქვამია: ვახტანგ VI „მოიხენა სტამბა ქვეყანით ვლახეთით, რაჟამს უფლებდა ვლახეთს იოანე კონსტანტინე ბრინკოვიანე ბასარაბა“ („სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღუარსა სწავლება მოწაფისა“, 1711). თბილისში დაბეჭდილ ქართულ წიგნებში კონსტანტინე ბრინკოვიანუს სახელის მოხსენიებასთან დაკავშირებით საინტერესოა რუმინელი მეკლეურის ი. ბიანუს გამოთქმული მოსაზრება: „ალბათ, არსებობდა რაიმე მიზეზები, — წერს ი. ბიანუ. — რომ თბილისში გამოცემულ წიგნებში, ყოველ შემთხვევაში „სახარებაში“, ერთადერთ ნაშრომში, რომელიც ჩვენ ხელთ გვაქვს არ მოიხსენიება სახელიც კი გულუხეი მშობებისა, რომლის ხარჯებითაც ჩამოყალიბებულ იქნა სტამბა...“). I. B i a n u, *Din cartile vechi*, ib. *Prinos lui D. A. S t u r d z a*, Buc. 1903, გვ. 193. ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს „მიზეზი“ მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ი. ბიანუს ხელთ არ ჰქონია 1711 წელს თბილისში დაბეჭდილი წიგნი.

გარდა ამისა, ზოგიერთმა ქართველმა მეკლეურმა თბილისში 1711 წელს გამოცემულ წიგნს კონსტანტინე ბრინკოვიანუს მოხსენიების ფაქტს მეტად გაზვიადებული ინტერპრეტაცია მისცა. მათი სიტყვებით ვლახეთის მთავრის სრული ტიტულატურით მოხსენიება მოწმობს, რომ ვახტანგის დროინდელი მოწინავე საზოგადოება ღრმა ინტერესით ადევნებდა თვალს უნგროვლახეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნის დასაწყისში დამყარებულ კულტურულ კავშირს და რომ იმ დროის განათლებული ქართველები გაუცნობილი ყოფილან თურქეთის ბატონობის რეალში მოქცეული პატარა ხალხის პოლიტიკურ ვითარებასთან. (ქ. შარაშიძე, *პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722)*, 1955, გვ. 88). თბილისში 1711 წელს მიხაილ იშტვანოვიჩის მიერ დაბეჭდილ წიგნში ვლახეთის მთავრის კონსტანტინე ბრინკოვიანუს სრული ტიტულატურით მოხსენიება განიმარტება გაიცულებით მართლად. ვლახეთში გამოცემულ წიგნებში მიხაილ იშტვანოვიჩი ოფიუ ტიტულატურით მოიხსენიებდა ვლახეთის მთავარს: „იოანე კონსტანტინე ბრინკოვიანე ბასარაბი“. *Biserica Ortodoxa Romina*, № 8—9, 1956, გვ. 730—739. ცხადია, ქართველებისათვის ვლახეთის მთავრის სრული ტიტულატურა ცნობილი გახდებოდა მიხაილ იშტვანოვიჩის მეშვეობით.

ეპენტი პირდაპირ ლაპარაკობს ამის შესახებ. თბილისში დაბეჭდილი პირველი ქართული წიგნი „სახარება“ ქართველებს ანთიმ ივერიელისათვის გადაუგზავნიათ. მას კი თავის მხრივ, ეს წიგნი კონსტანტინე ბრინკოვიანუსათვის მიურთმევია შემდეგი წარწერით: „ღვთაებრივი სახარების ეს წმიდა წიგნი პატივისცემით ეძღვნება შენს ბრწყინვალებას, უგანათლებულეს ბატონს. ეს არის ახალი ნაყოფი, რომელიც წარმოშვა ივერიის მიწამ განოციერებულმა შენი მეფური საჩუქრების მდინარისაგან და შენი შეწევნით. გაბედნიერდა ეს ქვეყანაც, გამდიდრდა თავის ენაზე ბეჭდური სიტყვით, ისევე როგორც გამდიდრდა არაბულ ენაზე წიგნების ბეჭდვით არაბეთი, ბერძნულზე — ელადა, რუმინულზე — უნგროვლახეთი. და ახლა მადლიერი გიძღვნის ამ წიგნს, ისევე როგორც დანარჩენი სამი ეპარქია. ქეშმარიტი ქრისტიანობის უდიდესი აღმაფრენა იქცა იმ ოქროს მდინარედ, რომელმაც წარმოშვა ოთხი ნაკადი — ბეჭდური სიტყვა რუმინელებისა, ბერძნებისა, არაბებისა და ივერიელებისა. ისევე როგორც პირველყოფილ ნეტარების წალკოტიდან წარმოედინა ოთხი მდინარე: ფისონი, გეონი; ტიგროსი და ეფრათი. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ მდინარეთა წყალმა ახარა ქვეყნად ბილწი და წარმავალნი ნაყოფნი, შენი ძლიერა ნების წყალობით კი გაიფურჩქნა წიგნთმკვდავობა. რომელიც იძლევა მარადიულ და ნაყოფიერ მოსავალს. ამიტომაც შენს ბრწყინვალებას დარჩება საუკუნოდ დიდება და უკვდავება, ვინაიდან შენ ხარ წყარო და მყარი ნიადაგი ამ სიკეთისა.

უაღრესად შენი ერთგული და მუდამ შენზე მლოცველი ანთიმ, მიტროპოლიტი უნგროვლახეთისა.

მასი 21.1710¹³⁹.

როგორც ჩვენს მიერ ციტირებულ ადგილიდან ჩანს, ანთიმ ივერიელი სხვადასხვა ქვეყნებში პოლიგრაფიული მუშაობის გაშლას მთლიანად კონსტანტინე ბრინკოვიანუს დამსახურებას მიაწერს. მაგრამ, ეს მხოლოდ თავმდაბლობის ნიშანია, ვინაიდან, როგორც ქსენოპოლი წერდა, იმ პერიოდში მთელი ბეჭდვითი საქმიანობა ელახეთში, საიდანაც წიგნების ბეჭდვა გადაინერგა მთელ რიგ ქვეყნებში, დაკავშირებული იყო მხოლოდ და მხოლოდ — ანთიმ ივერიელის სახელთან¹⁴⁰. გარდა ამისა, ანთიმ ივერიელის სიტყვები, რომ კონსტანტინე ბრინკოვიანუს „შეწევნით“ „გამდიდრდა“ წიგნით „ივერიის მიწა“, რასაკვირველია უნდა გავიგოთ, როგორც ქართველი ადამიანის მხრივ მაღლობის

¹³⁹ I. B i a n u, N. H o d o s, Bibliografia Romînesca Veche, 1508—1830^{t. 1, (1508—1716) Buc. 1903, გვ. 544.}

¹⁴⁰ A. X e n o p o l, Istoria romînilor, vol. VIII, Buc, 1929, გვ. 247.

გამოხატვა ვლახეთის მთავრისადმი, რომლის თანხმობისა და ზელისშეწყობის გარეშე, ცხადია, ანთიმ ივერიელი თავის სამშობლოში ვერ გაგზავნიდა ვერც ვლახელ მესტამბესა და ვერც სასტამბო მოწყობილობას¹⁴¹. უნდა ვივარაუდოთ, რომ კონსტანტინე ბრინკოვიანუ „შეეწია“ ერთგულ თანამოდგაწეს ანთიმ ივერიელს, რომელმაც თავის მხრივ „წიგნით აავსო“ ვლახეთი.

ქ. შარაშიძეს, თუმცა სარწმუნოდ მიაჩნია, რომ ვლახეთიდან „საქართველოში მესტამბის გამოგზავნა (მკვლევარი უარყოფს ვერსიას ვლახეთიდან სტამბის ჩამოტანის შესახებ¹⁴² — ო. გ.) ანთიმოსის მხურვალე მონაწილეობით“ განხორციელებულა, მიუხედავად ამისა, მას აოცებს ამა თუ იმ წყაროში ანთიმ ივერიელის სახელის მოუხსენებლობა. ქ. შარაშიძე წერს: „...არც ჩვენ დრომდე მოღწეული ოფიციალური დოკუმენტები, არც ახლახან აღმოჩენილი „ქების ლექსი“ (გ. ლეონიძის მიერ რუმინეთში გამოვლენილი ლექსი — ო. გ.) არ გვაძლევენ პირდაპირსა და სრულ ცნობებს ამ საქმეში (თბილისში სტამბის დაარსება — ო. გ.) ანთიმოს ქართველის როლის შესახებ. საოცარია, რომ ანთიმოსის სახელს ვერც ვახტანგის სტამბის წიგნების ანდერძებში ვპოულობთ. თვით მიხაილ უნგროვლახელი, რომელიც პირველნაბეჭდი სახარების, (1709) და 1710 წ. „კონდაკის“ ანდერძში ვრცლად გვამცნობს თავის პირად დამსახურებას, თავის დიდ მასწავლებელს ერთხელაც არ ახსენებს“¹⁴³. ეს ფაქტია. მართლაც, ჩვენამდე მოღწეულ არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში და თბილისის სტამბაში გამოცემულ არც ერთ პირველნაბეჭდ წიგნში არ არის მოხსენიებული ანთიმ ივერიელის სახელი. მაგრამ საკითხის ამ კუთხით დაყენება, რასაკვირველია, სრულებითაც არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ექვი შევიტანოთ ანთიმ ივერიელის წვლილზე პირველი ქართული სტამბის ორგანიზაციის საქმეში. ქ. შარაშიძე ახდენს მხოლოდ არსებული ფაქტის კონსტატაციას.

ვიდრე ჩვენ შევეცდებით შეძლებისდაგვარად იმის გარკვევას, თუ რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ანთიმ ივერიელის სახელის მოუხსენებლობა სათანადო დოკუმენტებში, მოვიყვანოთ კიდევ ერთი მკვლევრის თვალსაზრისი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

შ. კვასხვაძე წერს: „ნუთუ საქართველოში ჩამოსულ მიხეილ უნგროვლახელს არ უნდა აღენიშნა, ვინ იყო მისი მასწავლებელი ოსტატი?“

¹⁴¹ გაიგზავნა თუ არა ვლახეთიდან სტამბა საქართველოში, ამის შესახებ იხ. ამ წიგნის გვ. 219—224.

¹⁴² იხ. ამ წიგნის გვ. 219—220.

¹⁴³ ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), 1955, გვ. 89.

რა წოდება ჰქონდა მას უნგროვლახეთში? დათუ აღნიშნა, მაშინ ვახტანგის წიგნთა ანდერძში, ბრინკოვიანუს სახელის გვერდით, რატომ არ გვხვდება ხოლმე სახელი ძირით ქართველისა, უნგროვლახეთის მიტროპოლიტისა ანთიმ ივერიელისა (1708) ან და „რიმნიკის ეპისკოპოსისა“ (1705)? ამას შეიძლება მოენახოს მხოლოდ ერთი ახსნა. — უნგროვლახელის საქართველოში გამომგზავრების დროისათვის, ცხადია, ანთიმოზი ჯერ კიდევ არ ყოფილა დადგენილი ისეთ საპატიო წოდებაში, რომ მისი მოხსენიება იმ დროის წესის მიხედვით შესაძლებელი ყოფილიყო მთავრის სახელთან ერთად. უნდა ვიფიქროთ, რომ უნგროვლახელის საქართველოში გამომგზავრების დროისათვის ანთიმოზი ჯერ კიდევ, ალბათ, რიმნიკის ეპისკოპოსის (1705) წოდებაში არც იყო დამტკიცებული, არამც თუ უნგროვლახეთის მიტროპოლიტისა (1708). მაშასადამე, საფიქრებელია, რომ მ. უნგროვლახელის საქართველოში გამომგზავრების დროისათვის, ანთიმოზი უბრალო იერომონახად ითვლებოდა... მისთვის ალბათ არ იყო ცნობილი ის გარემოება, რომ ანთიმს უნგროვლახეთის სამღვდელოებამ რიმნიკის ეპისკოპოსობა მიუბოძა (1705), ხოლო შემდეგ ბესარაბამ იგი უნგროვლახეთის მიტროპოლიტობის წოდებაში დამტკიცა (1708). შეუძლოა, რომ მიხაილ უნგროვლახელს ამაზე არაფერი ეთქვა საქართველოში და წიგნებშიაც¹⁴⁴.

„რატომ არსად იხსენიება ანთიმი ოფიციალურად, როგორც თბილისის სტამბის გამმართველი?“ — კითხულობს გ. ლეონიძე და იქვე იძლევა პასუხს, „ცხადია, თურქების შიშით“. გ. ლეონიძე დასძენს: „მათი მორიდებით თვით რუმინეთის მატიანეები ან მხოლოდ ზელნაწერების სახით გადადიოდა ზელიდან ზელში, ან იბეჭდებოდა დიდი ხნის შემდეგ“-ო, გადმოგვცემს მეისტორიე მ. როლერი. ცხადია, თურქებთან რუმინეთის მღვდელმთავარი უფრო ფრთხილი და მორიდებული უნდა ყოფილიყო. იგი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გაამბელდა თავის კავშირს საქართველოს მეფე ვახტანგთან, რომელიც რუსეთის ორიენტაციის მიმღევი იყო ანთიმის მსგავსად“¹⁴⁵.

ეს მოტივი, მოყვანილი გ. ლეონიძის მიერ, არაა მაინცდამაინც დამაჯერებელი. მაშ, რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ანთიმ ივერიელის სახელის მოუხსენიებლობისა ვახტანგის დროს თბილისში გამოცემულ წიგნებში, მიუხედავად მისი ღვაწლისა თბილისში პირველი ეროვნული სტამბის დაარსების საქმეში?

ამის დასადგენად, რასაკვირველია, არამცირედი მნიშვნელობა ენიჭება ანალოგიური შემთხვევის გამოვლენას და გათვალისწინებას, თუ

144 შ. კვასხვიძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, 1962, გვ. 229—230.

145 „დროშა“, 1951, № 2, გვ. 18.

კი ასეთი რამ მოიძებნება იმ პერიოდში წიგნების ბეჭდვის ისტორიაში ააერთოდ.

ჩვენ ისევ დაუებრუნდებით ჰალაბში პირველი სტამბის დაარსებისა და ამ სტამბაში დაბეჭდილი წიგნის საკითხს. როგორც აღნიშნული ვუქონდა, ანტიოქიის პატრიარქმა ათანასემ, რომელიც საგანგებოდ ჩაწვიდა ვლახეთში, სთხოვა კონსტანტინე ბრინკოვიანუსს, რათა მას გაელო მოწყალეობა და აღმოეჩინა დახმარება, რათა ანტიოქიის საპატრიარქოს ჰქონოდა არაბულ ენაზე დაბეჭდილი წიგნები. ჩვენ აქ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას ჰალაბში პირველი არაბული სტამბის დაარსების შესახებ, რის თაობაზეც ამ წიგნის წინა ნაწილში უკვე გვქონდა საუბარი, მხოლოდ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მთელი სასტამბო მოწყობილობა, რომელიც კონსტანტინე ბრინკოვიანუსს განკარგულებით გადაეცა პატრიარქ ათანასეს, დამზადებული იყო ანთიმ ივერიელის მიერ რიმიში და თვით შრიფტიც, რომლითაც ჰალაბის სტამბაში დაბეჭდა პირველი არაბული წიგნი სირიაში — „დავითნი“, თვით ანთიმ ივერიელის ნახელავი იყო¹⁴⁶. მიხაილ იშტვანოვიჩი 1706 წელს რიმიში გამოცემული ერთ-ერთი წიგნის წინასიტყვაობაში წერდა: „როგორც ბრძენმა იოსებმა აღავსო ეგვიპტის ბელლები სანოვავით, ასევე შენმა სიყვარულმა ღვთისადმი აღავსო ჩვენი ქვეყნის წმიდა ეკლესიები სულიერი სარჩოთი. რას ვამბობ — მხოლოდ ჩვენი ქვეყნისა? სხვა ქვეყნებისაც. მართლმადიდებელ არაბებს შენ აგემე სიხარული სანატრელი სასტამბო ზელოვნებისა...“¹⁴⁷.

ჩვენ ვიცით, რომ ათანასემ ჰალაბის სტამბაში გამოცემული პირველივე არაბული წიგნები მადლობის ნიშნად გაუგზავნა ვლახეთის მთავარს, კონსტანტინე ბრინკოვიანუსს და ანთიმ ივერიელს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც ჩვენ ისეთ მომენტებთან გვაქვს საქმე, როგორც საქართველოში პირველი ეროვნული სტამბის დაარსებისას. თუ კონსტანტინე ბრინკოვიანუსს განკარგულებით გადაეცა ანთიმ ივერიელის მიერ დამზადებული სტამბა ათანასე პატრიარქს ჰალაბში პოლიგრაფიული ბაზის შესაქმნელად, ჩვენ შემდგომში დავინახავთ, რომ სწორედ ანთიმ ივერიელის მიერ გაკეთებული სასტამბო მოწყობილობანი გაიგზავნა საქართველოში ქართული ეროვნული სტამბის გასამართავად¹⁴⁸. ისევე როგორც დახმარებისათვის მადლობის ნიშნად ქართველებმა გაუგზავნეს თბილისის სტამბაში დაბეჭ-

¹⁴⁶ იხ. ამ წიგნის გვ. 120—132.

¹⁴⁷ I. R a m u r e a n u, Antim Ivireanul si legaturile sale cu credinciosii din Patriarhia Antiohiei, გვ. 842.

¹⁴⁸ იხ. ამ წიგნის გვ. 210—224.

დღი პირველი წიგნი „სახარება“ კონსტანტინე ბრინკოვიანუს და ანთიმ ივერიელს, ამავე მიზნით მიაზთვა ანტიოქიის პატრიარქმა ვლახეთის მთავარსა და ანთიმ ივერიელს ჰალაბში დაბეჭდილი პირველი წიგნი „დავითნი“.

და კიდევ ერთ გარემოებას უნდა გავსვას ხაზი. მიუხედავად იმისა, რომ ჰალაბის სტამბის დაარსების საქმეში ანთიმ ივერიელის ღვაწლის შესახებ არ შეიძლება არსებობდეს ორი აზრი, ამ სტამბაში დაბეჭდილ წიგნებში არაა მოხსენიებული ანთიმ ივერიელის სახელი. სრულ ანალოგიას ვხედავთ პირველ ქართულ სტამბაში გამოცემული წიგნების მავალითზე.

რასაკვირველია, ის ახსნა-განმარტება, რომელსაც იძლევა შ. კვასტვაძე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საფუძველსაა მოკლებული. მისი სიტყვებიდან გამომდინარე ანთიმ ივერიელის სახელი იმ მიზეზით არ ყოფილა მოხსენიებული ქართულ წიგნებში, კერძოდ ვლახეთის მთავრის კონსტანტინე ბრინკოვიანუს გვერდით, რადგან მიხაილ იშტევანოვიჩის საქართველოში გამომგზავრების დროს ანთიმ ივერიელი ჯერ არ ყოფილა დამტკიცებული რომნიკის ეპისკოპოსად ან სხვა მაღალ წოდებაში, ანდა მიხაილ იშტევანოვიჩმა არაფერი იცოდა ამის შესახებო.

ანთიმ ივერიელი რომ მიხაილ იშტევანოვიჩის საქართველოში გამოგზავრებამდე თითქმის ორი წლით ადრე, 1705 წელს, არჩეულ იქნა რომნიკის ეპისკოპოსად, ამაზე ცხადად მიუთითებენ პირველადი წყაროები¹⁴⁹. ხოლო მიხაილ იშტევანოვიჩს რომ უნდა ცოდნოდა საქართველოში გამომგზავრებამდე ანთიმ ივერიელის რომნიკის ეპისკოპოსად უანიშნის ამბავი, ესეც არ იწვევს არავითარ ეჭვს. მთელი 1706 წლის მანძილზე, მაშინ როდესაც რომნიკის ეპარქიას უკვე ერთი წელია რაც სათავეში ედგა ანთიმ ივერიელი, რომნიკის საეპისკოპო სტამბაში წიგნებს ბეჭდავს მიხაილ იშტევანოვიჩი¹⁵⁰. არც ანტიოქიის პატრიარქ ათანასესათვის იყო უცნობი 1706 წელს „დავითნის“ გამოცემის დროისათვის ანთიმ ივერიელის მაღალ სასულიერო იერარქიის საფეხურზე ყოფნა. 1705 წელს ანტიოქიის საპატრიარქოს წარმომადგენელი ესწროებოდა საეკლესიო კრებას, სადაც აირჩიეს ანთიმ ივერიელი რომნიკის ეპარქიის მეთაურად.

ე. ი. რა მივიღეთ საბოლოო ჯამში? კონსტანტინე ბრინკოვიანუს ნება-სურვილით, როგორც საქართველოში, ასევე სირიაში იგზავნება ანთიმ ივერიელის მიერ დამზადებული სტამბები, ამ სტამბებში დაბეჭ-

¹⁴⁹ At. Mironescu, Istoria Eparhiei Rîmnîcului-Noul Severin, Buc. 1906, 83. 21.

¹⁵⁰ Biserica Ortodoxa Romîna, № 6—9, 1956, გვ. 730—734.

დილ „სახარებასა“ და „დავითს“ უგზავნიან ვლახეთის მთავარს. და ანთიმ ივერიელს, თბილისსა და პალაბში გამოცემულ წიგნებში¹⁵¹ მოხსენიებულია მხოლოდ ვლახეთის მთავრის კონსტანტინე ბრინკოვიანუს სახელი და არაფერია ნათქვამი ანთიმ ივერიელის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე რიმნიკის ეპისკოპოსის მაღალ წოდებაშია დამტკიცებული.

როგორც ვნახეთ, ქართულ პირველნაბეჭდულ წიგნებში ანთიმ ივერიელის სახელის მოუხსენიებლობა არ წარმოადენს გამონაკლისს. აქედან გამომდინარე, სხვა დოკუმენტურად დადასტურებული მასალიდან მოწყვეტით, მხოლოდ ამ კონკრეტული ფაქტის მიჩნევა ამოსავალ წყაროდ, რომელზედაც აგებული იქნება ესა თუ ის დებულება ან თვალსაზრისი, არ იქნებოდა დამაჯერებელი.

ჩვენ საჭიროდ ვცანით გავცნობოდით არა მართო ვახტანგ VI-ის დროს დაბეჭდილ ქართული წიგნების „ანდერძებსა“ თუ წინასიტყვაობებს, არამედ ვლახეთში ამ პერიოდში გამოცემული წიგნების შინაარსსაც. ამჯერად ჩვენ გვინტერესებდა, თუ რომელი პიროვნებები მოიხსენიებოდნენ ამ წიგნების „ანდერძებსა“ და წინასიტყვაობებში, და თუ მოიხსენიებოდნენ ისინი, დაგვეზუსტებინა რა შემთხვევებში და რა პრინციპით. შეჯერების შემდეგ აღმოჩნდა: მიხაილ იშტევანოვიჩის მიერ თბილისში დაბეჭდილ წიგნებში მოხსენიებულნი არიან: ვახტანგ VI „...განათლებული და გამგებელი საქართველოსა, ბატონიშვილი და ავით პატრონი ვახტანგ“; წიგნის რედაქტორი ნიკოლოზ ორბელიანი — „...მე მოსამართლეთუხუცის ორბელისძეს, ცოდვილს მღვდელ-მონაზონს ნიკოლოზს შიბრძანა წიგნების გასწორება და ვერ ურჩევქმენ“; ნაწარმოების ავტორი გერმანე — „... მე სუცესმონაზონმა... გერმანე. ვილვაწე მცირე რამ საღვაწი და აღვსწერე სარწმუნოება“... მესტამზე ნიხაილ იშტევანოვიჩი — „აწ ახალი დაბეჭდილი ქართულ ენაზედა.. ხელითა მესტამზე მიხაილ სტეფანეშვილისა უნგროვლახელის“¹⁵².

ახლა მივმართოთ ვლახეთში გამოცემულ წიგნებს. მათი დიდი რაოდენობის გამო, ჩვენ ნიმუშად მხოლოდ რამდენიმე გამოცემას ავიღებთ, რომლებშიაც მოხსენიებულნი არიან: კონსტანტინე ბრინკოვიანუ — „მისი უბრწყინვალესობა და უგანათლებულესობა პატრონი უნგროვლახეთისა იოანე კონსტანტინე ბრინკოვიანუ ბასარაბი“; ნაწარმოების ავტორი იოანე კარიოვილი — „სახელმძღვანელო ზოგიერთ გა-

¹⁵¹ I. R a m u r e a n u, Antim Ivireanul si legaturile sale cu credinciosii din Patriarhia Antiohiei, გვ. 842.

¹⁵² „სახარება“, 1709; „სამოციქულო“, 1709; „ეჰანი“, 1710; „დავითნი“, 1710 „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“, 1711.

უგებრობათა და სხნათა შესახებ შედგენილი იოანე კარიოფილის მიერ“; წიგნის კორექტორი მიტროფანე გრიგორაში¹⁵³ და მესტაშვე მიხაილ იშტვანოვიჩი.

ამრიგად, როგორც საქართველოში, ასევე ვლახეთში გამოცემულ წიგნებში დასახელებულნი არიან სახელმწიფოთა გამგებელნი და ის პირნი, რომელთაც გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი ამა თუ იმ საქმიანობით. ჩვენ შეიძლება გვითხრან, თუ ეს ასეა, მაშინ ამაო და ზედმეტი ყოფილა ანალოგიების მოტანა თბილისში და ჰალაბში გამოცემული წიგნების მაგალითზე, ვინაიდან ზემომოყვანილი დასკვნიდან გამომდინარე, თუ ამ წიგნებში არ არის ნახსენები ანთიმ ივერიელის სახელი, მაშასადამე, მას არც არავითარი დამსახურება არ მიუძღვის.

მაგრამ ჩვენ კიდევ შევჩერდებით ერთ საგულისხმო ფაქტზე. 1706 წელს რიმნიკის სტამბაში დაბეჭდილი ყველა ხუთი წიგნი მიხაილ იშტვანოვიჩს ეკუთვნის. და ამ ხუთ წიგნში, შეიძლება ითქვას ერთის გამოკლებით (სადაც ლაპარაკია კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიერ ანთიმ ივერიელის ვლახეთში მოწვევის შესახებ)¹⁵⁴, არაფერია ნათქვამი ანთიმ ივერიელის მოღვაწეობაზე, რიმნიკის სტამბასთან დაკავშირებით. სინამდვილეში კი დოკუმენტურადაა დადასტურებული, რომ ვიდრე ანთიმ ივერიელს რიმნიკის ეპისკოპოსად აირჩეოდნენ, ამ ქალაქში არ არსებობდა არავითარი სტამბა, რომ ანთიმ ივერიელმა რიმნიკში ჩამოიტანა მის მიერ დამზადებული ყველა სასტამბო მოწყობილობა და რუმინულ-ბერძნულ-ძველ სლავური შრიფტი, რომ ანთიმ ივერიელი იყო

¹⁵³ „წიგნი შემცველ მღვდელმსახურებისა წმიდა ეკატერინეს და წმიდა სინას მთის სამლოცველოსი“—წერს ნ. შერბინესკუ, დაიბეჭდა იოანე კონსტანტინე ბრინკოვიანუ ბასარაბის მბრძანებლობის პერიოდში, მიტროპოლიტ ანთიმ ივერიელის მიერ ტირგოვიშტეს სამიტროპოლიტოში, მიტროფანე გრიგორიშის კორექტორობით 1710 წელს. N. Serbanescu, Antim Ivireanul tipograf, გვ. 737. უნდა ითქვას, რომ ეს იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ნ. შერბინესკუ ანთიმ ივერიელის მიერ ვლახეთში გამოცემული წიგნების აღწერის დროს ასახელებს კორექტორს. რაც შეეხება ამა თუ იმ წიგნის რედაქტორებს, მათი ვინაობა გაურკვეველია. ნ. შერბინესკუ ასახელებს მხოლოდ რამდენიმე წიგნს, რომელთაც დართული აქვთ წინასიტყვაობები ამა თუ იმ პირების ავტორობით, მაგრამ იყენებს ეს პირები ამავე დროს წიგნის რედაქტორებიც თუ არა? ვინაიდან, უმრავლესობა ვლახეთში გამოცემული წიგნების წინასიტყვაობებისა ეკუთვნის თვით ანთიმ ივერიელს, ხოლო ამ წიგნებში ცალკე დასახელებული არაა სხვა პირი, როგორც რედაქტორი, უნდა ვიფიქროთ, რომ წიგნის დაბეჭდვისას ანთიმ ივერიელი თვით ანხორციელებდა რედაქტორის ფუნქციებსაც.

¹⁵⁴ Biserica Ortodoxa Romîna № 8—9 1956. ჩვენ აქ, რასაკვირველია, აღარაფერს ვლაპარაკობთ ანთიმ ივერიელზე, როგორც მბეჭდავზე, ვინაიდან ვლახეთში მის მიერ დარსებულ სტამბებში გამოსული 64 წიგნიდან დიდი უმეტესობა მისი დაბეჭდილია.

ფუძემდებელი და ორგანიზატორი რიმნიკში პირველი სტამბის დაარსებისა¹⁵⁵. ამის შესახებ მიხაილ იშტვანოვიჩის მიერ, და, საერთოდ, რიმნიკში გამოცემული წიგნები სდუმან¹⁵⁶. ე. ი. რახან ამ წიგნებში არაფერია ნათქვამი ანთიმ ივერიელზე, როგორც რიმნიკში სტამბის დამაარსებელზე, ამიტომ ჩვენ გვეძლევა საფუძველი უგულებელვყოთ და კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ ანთიმ ივერიელის როლი და დავაწლი რიმნიკის სტამბის ორგანიზაციის საქმეში? რასაკვირველია, საკითხის ასე გადაჭრა არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა სწორი.

თუ ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ქართული და რუმინული წიგნების წინასიტყვაობებში მხოლოდ ის პირნი არიან დასახელებულნი, რომელთაც გარკვეული დამსახურება მიუძღვით, ჩვენ ამ სიტყვებში ვგულისხმობთ ამა თუ იმ წიგნის გამოცემაში შეტანილ კონკრეტულ წვლილს. ვახტანგ VI-მ, გარდა იმისა, რომ იგი სახელმწიფოს განაგებდა და მისი სახელი, ცხადია, უნდა ყოფილიყო მოხსენიებული მის სტამბაში დაბეჭდილ წიგნებში, „გააკეთებინა სტამბა ფრიადითა წარსაგებელითა საფასეთათა“¹⁵⁷, ანდა როგორც ნიკოლოზ ორბელიანი აღნიშნავს, „ფრიადისა ქირითა და მრავალთა საფასეთა წარგებითა მოილო სტამბაო“¹⁵⁸; კონსტანტინე ბრინკოვიანუმ უბოძა სტამბის მოწყობილობანი ანტიოქიის პატრიარქს ათანასეს და ამიტომაც მას დიდებით მოახსენიებენ „ანტიოქიის პატრიარქთა ისტორიაში“¹⁵⁹. ნიკოლოზ ორბელიანი რედაქციას უწევდა გამოცემულ წიგნებს, გერმანე და იოანე კარიოფილი დაბეჭდილ სახელმძღვანელოთა ავტორები იყვნენ, მიტროფანე გრიგორიში კორექტურას აკეთებდა, მიხაილ იშტვანოვიჩი ბეჭდავდა.

ანთიმ ივერიელის კი არ დაუბეჭდავს თავის ხელით არც ჰალაბში, არც თბილისში არც ერთი წიგნი, არ ყოფილა ამ წიგნების არც რედატორი და არც ავტორი. ამიტომაც არ ჩანს ამ გამოცემებში მისი სახელი. თუმცა აქვე შეიძლება დაისვას კითხვა: დავუშვათ, რომ ეს ასეა. მაგრამ განა ნაკლები მნიშვნელობისა იყო სხვა ქვეყნებში სტამბების დასაარსებლად ანთიმ ივერიელის მიერ ჩატარებული ორგანიზაციული თუ პრაქტიკული მუშაობა, რომ შემდგომში ამ სტამბებში გამოცემულ წიგნებსა ან სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში თავისი ასახვა არ ეპოვა ანთიმ ივერიელის ამ ღირსშესანიშნავ მოღვაწეობას? საქმეც

¹⁵⁵ At. Mironescu, Istoria Eparhiei Rîmnîcului — Noul Severin, Buc, 1906, გვ. 91, N. Serbanescu, Istoria Mînastirii Snagov, Buc. 1944, გვ. 68.

¹⁵⁶ Biserica Ortodoxa Romîna, № 8—9, 1956, გვ. 726—734.

¹⁵⁷ „კურთხევანი“, 1713.

¹⁵⁸ „ლოცვანი“, 1710.

¹⁵⁹ A t a n a s i e D a b b a s, Istoria Patriarhilor de Antiohia, გვ. 860—862.

სწორედ იმაშია, რომ ანთიმ ივერიელის ეს მოღვაწეობა ასახულია. მაგრამ ფორმალურად სხვის სახელთანაა დაკავშირებული. ახლავც ვხვდებით.

როგორც ვიცით, ანთიმ ივერიელის მიერ დამზადებული მთელი სასტამბო მოწყობილობა კონსტანტინე ბრინკოვიანუმ გადასცა ანტიოქიის პატრიარქს ათანასეს, რის შედეგადაც ჰალაბში დაარსდა პირველი არაბული სტამბა. „ანტიოქიის პატრიარქთა ისტორიაში“ და ჰალაბში გამოცემულ „დავითნში“ ათანასე ქება-დიდებათ და ლოცვა-ქურთხევით იხსენიებს... მაგრამ ვის? კონსტანტინე ბრინკოვიანუს და არა ანთიმ ივერიელს. და ეს ბუნებრივიც იყო, ვინაიდან ანტიოქიის პატრიარქი, ცხადია, მოიხსენიებდა იმ ქვეყნის მბრძანებლის სახელს, საიდანაც მან მბეჭდაობა გადმონერგა. მით უმეტეს, რომ ეს მბრძანებელი იყო კონსტანტინე ბრინკოვიანუ, რომლის კარზედაც ანტიოქიის პატრიარქი ყოველთვის პოულობდა მორალურსა და მატერიალურ მხარდაჭერას¹⁶⁰. რაც შეეხება ანთიმ ივერიელს, იგი მხოლოდ ქვეშევრდომი იყო ვლახეთის მთავრისა, რომელმაც, თუმცა თავის ხელით დაამზადა სასტამბო მოწყობილობანი, მაგრამ დაამზადა კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიერ გაღებული ხარჯით¹⁶¹. ანთიმ ივერიელი მხოლოდ გამკეთებელი იყო სტამბისა, განმკარგულბელი კი კონსტანტინე ბრინკოვიანუ, რომლის ბრძანებითაც გადაეცა სწორედ ეს სტამბა ანტიოქიის პატრიარქს. ამიტომაც იხსენიებს ანტიოქიის პატრიარქი მხოლოდ კონსტანტინე ბრინკოვიანუს ოფიციალურ დოკუმენტებში, თუმცა მან არანაკლებ თვით ვლახეთის მთავრისა, კარგად იცოდა, თუ ქეშმარიტად ვის უნდა უმადლოდნენ არაბები პირველი სტამბის ამოქმედებას ჰალაბში.

შემდეგ. ალბათ, სავსებით ბუნებრივი იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ საქართველოში სტამბის გასამართავად მესტამბის კანდიდატურას თვით ანთიმ ივერიელი შეარჩევდა. ეს იყო მისი საუკეთესო მოწაფე მიხაილ იშტვანოვიჩი. ცხადია, მეტად დიდი მეცადინეობა და თავისი გავლენის გამოყენება დასჭირდებოდა ანთიმ ივერიელს დასახული მიზნის განსახორციელებლად. ჯერ ერთი, საჭირო იყო თვით მიხაილ იშტვანოვიჩისაგან თანხმობის მიღება, რადგან არავისათვის არ წარმოადგენდა საიდუმლოებას, თუ რაოდენ სიძნელეებთან და საფრთხესთან იყო დაკავშირებული იმ დროს თურქთა სამფლობელოზე გავლით

¹⁶⁰ N. I o r g a, Istoria literaturii romanesti, II, 1928, გვ. 52. D. S i m o n e s c u, E. M u r a c a d e, Tipar romînesc pentru arabi în secolul al XVII-lea, Buc., 1939, გვ. 2—5.

¹⁶¹ N. C a r t o j a n, Istoria literaturii romîne vechi, III, Buc., 1945, გვ. 212.

მეზავრობა. მაგრამ ჩანს, მიხაილ იშტვანოვიჩმა უარი ვერ უთხრა თავის „დიდ მასწავლებელს“. გარდა ამისა, ნებართვის აღება ვლახეთის მთავრისაგან არც ისე ადვილი იქნებოდა, ვინაიდან მაშინ, როდესაც თვით ვლახეთშიაც კი კარგი მბეჭდავები თითზე ჩამოსათვლელად თუ მოიძებნებოდნენ¹⁶², ერთ-ერთი მათგანი უნდა მოეწყვიტათ სტამბისათვის და გაეგზავნათ შორეულ საქართველოში. როგორც ეტყობა, ამ შემთხვევაშიც კონსტანტინე ბრინკოვიანუს მხრივ დასტურის მიღებას ქართველები მხოლოდდამხოლოდ ანთიმ ივერიელს უნდა უმადლოდნენ. გ. ლეონიძის მიერ რუმინეთში გამოვლენილ ლექსში კი შემდეგია ნათქვამი. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მიხაილ იშტვანოვიჩი აცხადებს: „ჩემი აქეთ გამოგზავნა არც ვლახთ მეფეს დაეუძრახე“¹⁶³. როგორც ვხედავთ, ამ სიტყვებიდანაც არ ჩანს ანთიმ ივერიელის როლი ვლახეთიდან მესტამბის გამოგზავნის საქმეში. მაგრამ მიხაილ იშტვანოვიჩის ეს განცხადებაც ბუნებრივია და ფორმალურად სწორი. მისთვის, როგორც ვლახეთის მკვიდრისათვის, საქართველოში გამგზავრების ნებართვის მიცემა შეეძლო მხოლოდ კონსტანტინე ბრინკოვიანუს და ამას აღნიშნავს კიდევ ოფიციალურად მიხაილ იშტვანოვიჩი, მაშინ როდესაც ამ მოსიის ორგანიზატორი სინამდვილეში ანთიმ ივერიელი იყო.

ქართულ პირველნაბეჭდ წიგნებში ნათქვამია: ვახტანგ VI-მ „მოიხენა სტამბა ვლახეთით“, ან „მოიღო სტამბა ვლახეთით“. თუმცა, არა გვგონია საკამათო იყოს ის ფაქტი, რომ არც ვლახეთში დამზადებული სასტამბო მოწყობილობანი და არც მესტამბე მიხაილ იშტვანოვიჩი შეიძლება არასოდეს მოხვედრილიყვნენ საქართველოს მიწაზე, თუ არა ანთიმ ივერიელი. ჩვენ სრულებითაც არ გვინდა ისე გაგვიგონ, რომ ამით ჩვენ ვამცირებთ ვახტანგ VI-ის დამსახურებას თბილისში პირველი სტამბის დაარსების საქმეში. ცხადია, სწორედ ვახტანგ VI-ს ეკუთვნის ამ დიდებული წამოწყების ინიციატივა. მაგრამ თბილისში სტამბის დაარსება, ვიმეორებთ, ეს იყო სურვილი და მიზანი ვახტანგ VI-სა, ხოლო იმ პიროვნებას, რომლის მეშვეობითაც სისხლი და ხორცი შეესხა ამ მეტად ძნელი იდეის განხორციელებას, სწორედ ანთიმ ივერიელი წარმოადგენდა. ძნელი — ვამბობთ იმიტომ, რადგან ამ სტამბის გამართვის სირთულე კარგად ესმოდა თვით ვახტანგს, „საქმე ძნე-

¹⁶² ანთიმ ივერიელისა და მიხაილ იშტვანოვიჩის გარდა იმ პერიოდში ვლახეთში ცნობილი იყვნენ მხოლოდ შემდეგი მესტამბეები: გიორგიე რადოვიჩი და დიონისე ფლორუ N. I o r g a, Istoria literaturii romanesti, II, გვ. 466—468.

¹⁶³ „დროშა“, 1951, № 2, გვ. 18.

ლად საშოვნელი ღმერთმან ასე გამიადრა“¹⁶⁴, ამბობს იგი. ნუ გვიწყენს ღმერთი და ეს დახმარება, რომელმაც გაუადვილა ვახტანგ VI-ს სტამბცის დაარსება, ზეციდან კი არ იყო მიღებული, არამედ ვლახეთში მცხოვრებ ქართველი ადამიანისაგან. მიუხედავად ამისა, ანთიმ ივერიელი არსად ფიგურირებს ქართულ პირველნაბეჭდ წიგნებსა და ოფიციალურ დოკუმენტებში. ეს გარემოებაც ბუნებრივია. ვახტანგ VI იყო „მპყრობელი საქართველოსა“, სადაც მისი ინიციატივით შეიქმნა სტამბა, მანვე გაიღო ამისათვის ხარჯები. ცხადია, ასეთ ვითარებაში საქართველოში გამოცემულ წიგნებსა და ოფიციალურ დოკუმენტებში მოიხსენიებდნენ მხოლოდ ვახტანგის სახელს. რაც შეეხება ანთიმ ივერიელის მიერ ქართული სტამბისათვის საბეჭდი დაზგისა და სხვა იარაღების დამზადებისა და მესტამბის გამოგზავნის ფაქტის ფიქსირებას, ვახტანგის თანამედროვენი ოფიციალურ დოკუმენტებში კმაყოფილდებიან მხოლოდ შემდეგი სიტყვებით: სტამბა „მოიხვნეს ვლახეთიდან“, „რაჟამს უფლებდა ვლახეთს იოანე კონსტანტინე ბრინკოვიანუ ბასარაბა“¹⁶⁵.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ სხვაგანაც, ოფიციალურ დოკუმენტებში სტამბების დაარსება, შეიძლება ითქვას, აღინუსხება „მეფეების დონეზე“. ეს ღვაწლი მთლიანად მიეწერება „მპყრობელს საქართველოსა“, და „უგანათლებულეს ბზრძანებელს ვლახეთისას“. თვით ანთიმ ივერიელიც, რომელიც მიმართავს ვლახეთის მთავარს კონსტანტინე ბრინკოვიანუს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მხოლოდ მისი წყალობით და შემწეობით გამდიდრდა თავის ენაზე ბეჭდური სიტყვით ვლახეთი, არაბეთი და საქართველო, რომ ის იყო წყარო, რომელმაც წარმოშვა წიგნთმბეჭდაობა ამ ქვეყნებში¹⁶⁶.

ჩვენ აქ კიდევ ერთხელ გვინდა განვაცხადოთ: თუ ქართული პირველნაბეჭდი წიგნები და ოფიციალური დოკუმენტები სდუმან ანთიმ ივერიელის დამსახურებაზე ქართული სტამბის დაარსების საქმეში. ეს გარემოება სრულებითაც არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ეპვი შევიტანოთ ანთიმ ივერიელის ღვაწლში. ჩვენ აღარას ვიტყვით მთელ რიგ ფაქტებზე, რომლებიც ამის ნათელი ილუსტრაციაა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქართველებმა ძალზე კარგად იცოდნენ ანთიმ ივერიელის ამავი და მის მიერ გაწეული დახმარების ფასი, ვინაიდან თბილი-

¹⁶⁴ „დროშა“, 1951, № 2, გვ. 18.

¹⁶⁵ „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მონაფისა“, 1711.

¹⁶⁶ I. B i a n u, N. H o d o s, Bibliografia Romîneasca Veche, 1508—1830, t. I, (1508—1716) Buc. 1903, გვ. 544.

სის-სტამბაში დაბეჭდილი პირველი ქართული წიგნი ქართველმა ერმა ნიშნად მადლობისა და მისი დამსახურების აღიარებისა, სწორედ ან-თიმ ივერიელს გაუგზავნა ვლახეთში¹⁶⁷.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ საქართველოში გასაგზავნი მე-სტამბის კანდიდატურის შერჩევის დროს ანთიმ ივერიელმა თავისი არჩევანი შეაჩერა მიხაილ იშტვანოვიჩზე. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან, მიხაილ იშტვანოვიჩი ითვლებოდა ანთიმ ივერიელის საუკეთესო მო-წაფედ. გარდა ამისა, როგორც ჩანს, როდესაც საჭიროება მოითხოვდა ვლახეთის ფარგლებს გარეთ სტამბის ორგანიზაციას, ამ მისიის შესას-რულებლად სწორედ მიხაილ იშტვანოვიჩს იყენებდნენ. ასე მაგალი-თად, 1698 წელს ამ მიზნით ტრანსილვანიაში ავლენენ მიხაილ იშტვა-ნოვიჩს, ხოლო როდესაც იერუსალიმის პატრიარქმა ქრიზანთემ 1712 წელს გადაწყვიტა კონსტანტინოპოლში სტამბის დაარსება, ან-თიმ ივერიელმა მას აღუთქვა, რომ გაუგზავნიდა მესტამბე მიხაილ იშ-ტვანოვიჩს¹⁶⁸.

აქვე საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ ა. ერიცოვი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სრულიად დაუსაბუთებელ ვერსიას გვთავა-ზობს. ვახტანგ VI-ის მიერ მესტამბის ვლახეთიდან ჩამოყვანას იგი ხსნის ვახტანგის მიდრეკილებით კათოლიკე მისიონერთადმი და საერ-თოდ კათოლიკურ სარწმუნოებისადმი; რომ მიხაილ იშტვანოვიჩი კა-თოლიკე ბერების შუამავლობის წყალობით დათანხმდა ვახტანგ VI-ს გაეწია უკანასკნელისათვის სამსახური თბილისში სტამბის დაარსების საქმეში¹⁶⁹. ჩვენი აზრით, ეს თვალსაზრისი კომენტარს არ საჭიროებს, რადგან ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ საცესებით ნათელია მისი სი-ყალბე.

ახლა შევეცადოთ იმის დადგენას, თუ როდის ჩამოვიდა მიხაილ იშტვანოვიჩი საქართველოში, ანდა როდის გამოემგზავრა იგი ვლახე-თიდან? ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გასაცემად არ არსებობს არა-ვითარი დოკუმენტური ცნობა. მხოლოდ რამდენიმე მკვლევარს აქვს გამოთქმული სხვადასხვა თვალსაზრისი. დ. კარიჭაშვილი წერს: „მხო-ლოდ მოსაზრებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტამბის მოქმედების და-წყებამდე (თბილისში 1709 წელს პირველი ქართული წიგნის დაბეჭ-დვამდე — თ. გ.) რამდენიმე წლით ადრე უნდა მოსულიყო მიხაილ

¹⁶⁷ A. Xenopol, Istoria romnilor din Dacia Traiana, vol. VIII, 1929, pag. 248.

¹⁶⁸ I. Ramureanu, Mitropolitul Ivireamul aparator al Romnilor ortodocsi din Transilvania, pag. 836—837, V. Moli n... pag. 521—522. E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par III, pag. 106—105, 112, 115.

¹⁶⁹ პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი 1629—1929 წწ., 1929, pag. 45.

უნგროვლახელი საქართველოში, დაახლოვებით 1706 წელს¹⁷⁰. აქ. შანიძე თავის წერილში „ქართული სტამბის ისტორიისათვის“ აღნიშნავს, რომ მიხაილ იშტვანოვიჩს „რიმნიკის საეპისკოპოსო სტამბაში ორი ბერძნული წიგნი¹⁷¹ დაუბეჭდავს 1706 წელს“¹⁷². ბ. ორდეზიანი იმოწეებს აღნიშნულ წერილს და დაასკვნის: „უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის (მიხაილ იშტვანოვიჩი — ო. გ.) უნდა ჩამოსულიყო არა უგვიანეს 1707 წლისა, რადგან სტამბის გამართვას, ასოების ამოკრა-ჩამოსხმას და დიდტანიანი „სახარების“ დაბეჭდვას... ორი წელი უეჭველად დასჭირდებოდა“¹⁷³. შ. კვასხვაძე თბილისში „ქართული სტამბის დაარსებისა და მისი მუშაობის დაწყების თარიღად“ მიიჩნევს 1701—1702 წლებს¹⁷⁴. რადგან როგორც წერს მკვლევარი, „სამშობლოდან იერუსალიმზე გამოვლით საქართველოში ჩამოსვლისათვის მ. უნგროვლახელს დაახლოვებით სამი წელი ზომ მიიღო დასჭირდებოდა“¹⁷⁵, მითუმეტეს, „თუ მსედველობაში მივიღებთ იმ დროის მონაკვეთის ფარგლებს, რაც აუცილებელია წიგნის ბეჭდვისათვის, კერძოდ მისი შრიფტის, სამკაულების, გრაფიურების, საბეჭდი მასალის, ტექსტებისა და სხვათა შემზადებისათვის“¹⁷⁶... კონსტანტინესკუ-იაში თავის გამოკვლევაში „რუმინული ქვეყნების კავშირი საქართველოსთან“, აღნიშნავს, რომ 1706 წელს წყდება მიხაილ იშტვანოვიჩის სასტამბო საქმიანობა ვლახეთში და იგი მიემგზავრება საქართველოში¹⁷⁷. თუ როდის გამოემგზავრა მიხაილ იშტვანოვიჩი ვლახეთიდან საქართველოში, ამ თარიღის დასადგენად შ. კურდღელაშვილი იმოწმებს გ. ლეონიძის მიერ გამოვლენილი ლექსის ტექსტს; რომლიდანაც ჩანს, რომ ვახტანგ VI-ს იერუსალიმის პატრიარქ ქრიზანთესათვის მიუმართავს თხოვნით თბილისში პირველი სტამბის დაარსების საქმეში დახმარების აღმოსაჩენად. ამიტომაც „საკითხის გარკვევა მოითხოვს, — წერს შ. კურდღელაშვილი, — იერუსალიმის პატრიარქების დოსითეოსის გადადგომისა და ხრიზანთეს გაპატრიარქების უფრო ზუსტი თარიღის, არა მარტო წლის, არამედ თვის

170 დ. კ ა რ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 68.

171 მიხაილ იშტვანოვიჩმა რიმნიკის საეპისკოპოსოს სტამბაში დაბეჭდა არა ორი წიგნი, არამედ ხუთი. Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 730—734 იხ. აგრეთვე ამ წიგნის.

172 ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი, I, 1935, გვ. 160.

173 „მნათობი“, № 1, 1950, გვ. 161.

174 შ. კ ვ ა ს ხ ვ ა ძ ე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, 1952 გვ. 236.

175 იქვე, გვ. 235—236.

176 იქვე, გვ. 232—233.

177 P. Constantinescu-Iasi, Legaturile Tarilor Romine cu Georgia, «Studi», 1951, № 4.

ცოდნასაც. როგორც ირკვევა, იერუსალიმის კატრიარქს დოსითეოსს 1708 წლამდე უმოღვაწნია. მძიმე ავადმყოფობის გამო პატრიარქობიდან გადამდგარა და 1709 წლის თებერვალში გარდაცვლილა. აღნიშნული გარემოება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პატრიარქის თანამდებობაზე ხრიზანთეს შეუცვლია დოსითეოსი 1707 წლის ბოლოს, დაახლოებით ოქტომბერში, ან ნოემბერში. მაშასადამე, ხრიზანთე პატრიარქს ვახტანგის წერილი მიუღია დაახლოებით 1707 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის თვეების მიჯნაზე¹⁷⁸.

შ. კურდღელაშვილის საბოლოო დასკვნა ის არის, რომ მიხაილ იშტვანოვიჩი ვლახეთიდან საქართველოს უნდა გამომგზავრებულიყო არა უადრეს 1708 წლის დასაწყისისა¹⁷⁹.

ვ. მოლინი, როდესაც იხილავს აღნიშნულ საკითხს, წერს: „ანთიმ ივერიელის, ახლა უკვე უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტის ამაღლასთან ერთად რიმნიკიდან ბუქარესტში დაბრუნების შემდეგ, მიხაილ იშტვანოვიჩს დაუყოვნებლივ გზავნიან ივერიაში, საქართველოში“¹⁸⁰.

როგორც ვნახეთ, ზემოთ დასახელებულ მკვლევრებს, ამა თუ იმ პირობებისა და ფაქტების გათვალისწინების შედეგად, მიხაილ იშტვანოვიჩის ვლახეთიდან გამომგზავრებისა და მისი საქართველოში ჩასვლის სხვადასხვა თარიღები აქვთ მოცემული. რომელი მათგანი შეესაბამება სინამდვილეს? ჯერ გავერკვიოთ, თუ როდის უნდა წამოსულიყო მიხაილ იშტვანოვიჩი ვლახეთიდან. პირდაპირი ცნობის უქონლობის გამო ჩვენ მივმართავთ სხვა დოკუმენტურად დადასტურებულ საბუთებს. ეს საბუთებია 1706 წელს რიმნიკის სტამბაში გამოცემული

¹⁷⁸ გ. ლონიძის მიერ გამოყენილი ლექსის ტექსტიდან გამომდინარე, იმ საკითხის გარკვევას, თუ როდის გამოემგზავრა მიხაილ იშტვანოვიჩი ვლახეთიდან საქართველოს, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქრიზანთეს იერუსალიმის პატრიარქად არჩევის „ზუსტი თარიღის“ ცოდნას. სამწუხაროდ, ეს „ზუსტი თარიღი“ შ. კურდღელაშვილს არა აქვს სწორად მოცემული: 1. პატრიარქი დოსითეოსი გარდაიცვალა არა 1709 წლის თებერვალში, არამედ 1707 წლის 7 თებერვალს. Сообщению Императорскаго православнаго палестинскаго общества, 1908, т. XIX, გვ. 29. 2. იერუსალიმის პატრიარქის თანამდებობაზე ქრიზანთემ შეცვალა დოსითეოსი არა 1707 წლის ბოლოს, არამედ 1707 წლის 8 თებერვალს. ერთ-ერთ საბუთში ჩვენ ეკითხულობთ, რომ დოსითეოსის გარდაცვალების მეორე დღეს კონსტანტინოპოლში შეკრებილმა საეკლესიო კრებამ აირჩია იერუსალიმის პატრიარქად ქრიზანთე.

¹⁷⁹ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, 1959, გვ. 43.

¹⁸⁰ V. Molin... გვ. 323. ვ. მოლინი აქ მხედველობაში აქვს ანთიმ ივერიელის უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად არჩევის შემდეგ მისი რიმნიკიდან ბუქარესტში გადასვლა. ანთიმ ივერიელი უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად აირჩიეს 1708 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში. Radu vel logofat Grecianu, Viala lui Constantiu Brincoveanu, Buc. 1906, გვ. 181. ამრიგად, ვ. მოლინის აზრით, მიხაილ იშტვანოვიჩს ვლახეთი დაუტოვებია 1708 წლის თებერვალში.

წიგნები, რომელთაც ხელს აწერს მიხაილ იშტვანოვიჩი, როგორც ამ წიგნების მბეჭდავი¹⁸¹. წიგნების რაოდენობა ხუთია¹⁸². ერთ-ერთი მათგანი 461 გვერდს მოიცავს¹⁸³. აქედან გამომდინარე, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ დროს წიგნების ბეჭდვის სირთულეს და გამოსაცემად საჯირო დროს, უნდა ვიფიქროთ, რომ 1706 წლის დამლევამდე მიხაილ იშტვანოვიჩი ჯერ კიდევ ვლახეთში იმყოფება.

მეტად საყურადღებოა ერთი გარემოება. რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის წიგნსაცავში ინახება წიგნის ერთადერთი ეგზემპლარი. ეს წიგნია რუმინულ ენაზე დაბეჭდილი „სიტყვა წარმოთქმული იესო ქრისტეს სადიდებლად“. წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ „სიტყვა იესო ქრისტეს სადიდებლად, წარმოთქმული წმიდა მამის, ბერძნული და ლათინური ენების მასწავლებლის, გიორგი მათოტას მიერ დაბეჭდა მიხაილ იშტვანოვიჩმა, იეროდიაკონმა“¹⁸⁴. წიგნში ნახვენები არ არის დაბეჭდვის თარიღი, მხოლოდ მითითებულია ადგილი—რიმნიკი. ხოლო „ძველ რუმინულ ბიბლიოგრაფიაში“ აღნიშნულია, რომ წიგნი „სიტყვა წარმოთქმული იესო ქრისტეს სადიდებლად“ დაბეჭდილი უნდა ყოფილიყო 1707 წელს¹⁸⁵. ჩვენი აზრით, ეს ვარაუდი სავსებით შეესაბამება სინამდვილეს, მითუმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მიხაილ იშტვანოვიჩს წინა წლის (1706 წ.) მანძილზე უკვე ჰქონდა დაბეჭდილი ხუთი წიგნი, რაც იმ ხანებში წიგნის გამოცემის სირთულის გათვალისწინებით რეკორდულ რიცხვს წარმოადგენდა¹⁸⁶.

და თუ მიხაილ იშტვანოვიჩმა წიგნი „სიტყვა წარმოთქმული იესო ქრისტეს სადიდებლად“ მართლაც დაბეჭდა 1707 წელს, ბუნებრივია, რომ იგი 1707 წლის პირველ თვეებში მაინც, ჯერ კიდევ ვლახეთში იმყოფებოდა.

აქედან გამომდინარე დ. კარიკაშვილის მოსაზრება მიხაილ იშტვანოვიჩის 1706 წელს საქართველოში ჩამოსვლის შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს. არც კონსტანტინესკუ-იანი უნდა იყოს მთლად ზუსტი, როდესაც იგი წერს, რომ 1706 წელს წყდება მიხაილ იშტვანოვი-

¹⁸¹ Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 730—734.

¹⁸² იქვე.

¹⁸³ იქვე, გვ. 731.

¹⁸⁴ იქვე, გვ. 734.

¹⁸⁵ I. B i a n u, N. H o d o s, Bibliografia Romîneasca veche, 1508—1830, t. I, (1508—1716) Buc 478.

¹⁸⁶ ანთიმ ივერიელის მიერ ვლახეთში დაარსებულ ოთხ სხვადასხვა სტამბაში 25 წლის მანძილზე დაიბეჭდა სულ 59 წიგნი (ანგარიშში არ შედის მიხაილ იშტვანოვიჩის მიერ რიმნიკში გამოცემული ხუთი წიგნი).

ჩის მოღვაწეობა ვლახეთში. არ არის სწორი შ. კვასხვაძის მიერ გამოქმული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მას „პირველი ქართული სტამბის დაარსებისა და წიგნის ბეჭდვის შემზადების დასაწყისის ქვედა თარიღად“ აღებული აქვს „არა უადრესი ხანა 1701 წლისა, ხოლო ზედათარიღად არაუგვიანესი 1702 წლისა“¹⁸⁷. აღნიშნულ დებულებას, სხვათა შორის, მკვლევრის სიტყვებით, „ზურგს უმაგრებს“ „მაშინდელი პირობების მიხედვით სხვა ხალხთა წიგნების შემზადებისა და ბეჭდვისათვის აუცილებლად საჭირო დროის ვარაუდიც“. „ასე, მაგალითად, — განაგრძობს შ. კვასხვაძე, — ცნობილია, რომ რუსეთში წიგნების ბეჭდვის საქმე დაიწყო იოანე IV დროს 1556 წელს ივანე ფეოდოროვის ხელმძღვანელობით, მზაროდუქცია კი გამოვიდა წარმოებიდან მხოლოდ 1564 წელს“¹⁸⁸. მაგრამ არა გვეგონია, რომ აღნიშნული მაგალითის გამოკლებით „სხვა ხალხთა წიგნების შემზადებისა და ბეჭდვისათვის აუცილებლად საჭირო დრო“ ლაპარაკობდეს შ. კვასხვაძის დებულების სასარგებლოდ. თუ ივანე ფეოდოროვის ხელმძღვანელობით წიგნის დასაბეჭდად გამზადებას და მის გამოცემას დასჭირდა დაახლოებით რვა-ცხრა წელიწადი, „სხვა ხალხების“ ცხოვრებაში აღნიშნული პროცედურა გაცილებით ნაკლებ დროს მოითხოვდა. მივმართოთ ისევ ანთიმ ივერიელს. 1700 წლის მარტის თვეში ვლახეთში ჩასული ანტიოქიის პატრიარქის ათანასეს თხოვნით, 1701 წლის იანვარში, სნაგოვოს მონასტრის სტამბაში უკვე გამოდის ბერძნულ-არაბულ ენებზე დაბეჭდილი „კონდაკი“. ამრიგად, დაახლოებით 8-9 თვის მანძილზე ანთიმ ივერიელმა შესძლო როგორც შრიფტის დამზადება, ასევე წიგნის დაბეჭდვა და ისიც არაბულ ენაზე. ჩვენ აქ განსაკუთრებით აღვნიშნავთ სიტყვა არაბულს, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული ამ ენაზე შრიფტის დამზადება; მითუმეტეს, რომ არაბული შრიფტი პირველად იქნა ჩამოსხმული ვლახეთში¹⁸⁹.

რა იქნება საბოლოო დასკვნა?

თუ ივანე ფეოდოროვის წიგნის გამოცემისათვის მოუნდომებია რვა-ცხრა წელიწადი, სხვა შემთხვევაში, კერძოდ „კონდაკის“, გამოცემისათვის თავი გაურთმევიათ რვა-ცხრა თვეში. აქედან გამომდინარე, „რუსეთში წიგნის ბეჭდვის საქმის“ მაგალითი არ შეიძლება განვიხი-

¹⁸⁷ შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, 1952, გვ. 232.

¹⁸⁸ იქვე.

¹⁸⁹ A l a n a s i e D a b b a s, Istoria Patriarhilor de Antiohia, გვ. 351—353; D. Simonescu, E. Muracade, Tipar rominesc pentru arabi In secolul al XVIII—lea, Buc, 1939, გვ. 2, 14.

ლოთ როგორც რაიმე ზოგადად დაკანონებული აუცილებელი პირობა. და თუ ეს ასეა, მაშ როგორღა უნდა გამოვიყენოთ ეს „მაგალითი“ — როგორც საზომი საქართველოში პირველი სტამბის ორგანიზაციის თაბილისის გასარკვევად, სახელდობრ კი მისი მიხედვით დაუდგინოთ თბილისში პირველი „წიგნის ბეჭდვის შემზადების დასაწყისად“ სწორედ 1701—1702 წლები?!

რაც შეეხება შ. კურდღელაშვილის და ვ. მოლინის, ეს მკვლევრები მიხაილ იშტვანოვიჩის ვლახეთიდან გამომგზავრების თარიღად 1708 წლის დასაწყისს მიიჩნევენ. მაგრამ, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, შ. კურდღელაშვილს არასწორად აქვს დადგენილი თვით ის თარიღები ამა თუ იმ ისტორიულ პიროვნებათა ცხოვრებიდან, რომლებზედაც დაყრდნობით იგი თავის დასკვნამდე მიდის¹⁹⁰. ხოლო ვ. მოლინი კი ყოველგვარი წყაროს, საბუთის ან ფაქტების გაანალიზების შედეგად გამოთქვამს მოსაზრებას. ამიტომაც, მისი დებულება საექვოდ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ჭერ-ჭერობით არ არსებობს არავითარი დოკუმენტი იმისა, რომელიც მიუთითებდეს მიხაილ იშტვანოვიჩის ყოფნაზე ვლახეთში 1708 წელს. 1707 წლის პირველი ნახევრიდან დაწყებული კი რამდენიმე წლის მანძილზე მიხაილ იშტვანოვიჩის კვალი ვლახეთში არსად ჩანს.

რომელი გზით უნდა ჩამოსულიყო მიხაილ იშტვანოვიჩი თბილისში და რამდენი დრო უნდა მოენდომებია მას ამ მგზავრობისათვის? ცნობილია, რომ იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი საქართველოში იყო ნამყოფი. „წმიდა ქალაქის იერუსალიმის ისტორიაში“ აღწერილია დოსითეოსის კონსტანტინოპოლიდან თბილისში მგზავრობის მარშრუტი. იერუსალიმის პატრიარქი კონსტანტინოპოლიდან ზღვით ჩამოსულა ტრაპეზუნტში, შემდეგ გზა გაუგრძელებია ხმელეთით და ერზერუმისა და ყარსის გავლით მიულწევია თბილისამდე¹⁹¹.

თბილისიდან კონსტანტინოპოლამდე არსებული გზის შესახებ გაცილებით ზუსტ ცნობებს გვაწვდის იესე ტლაშაძის პოემა „კათალიკონ-ბაქარიანი“. როგორც ვიცით, დომენტი კათალიკოსი, მისი ძმის ვახტანგ VI-ის რუსეთში წასვლის შემდეგ, თბილისიდან კონსტანტინოპოლში გამგზავრებულა. დომენტი კათალიკოსის სიტყვით —

„მე რომ ქალაქით (თბილისი — ო. გ.) წამოველ, აპრილი იყო ოცია, გზაზე დაპიცხა, მრავალჯერ მე ოული მომიხოცია.

¹⁹⁰ იხ. ამ წიგნის გვ. 212.

¹⁹¹ История святого града Иерусалима от времени апостольских и до наших, т. II, СПб., 1844, стр. 338.

ამისმა ჯერმა დაშვარვა, ვისაც გადაყვა ცოცა,
შერალად წაველი სტამბოლსა, ვიარე დღე ორმოცოა.“¹⁹²

ე. ი. დომენტის გზა თბილისიდან კონსტანტინოპოლამდე დაუფარავს ორმოც დღეში. გარდა ამისა „კათალიკოზ-ბაქარიანიში“ დეტალურადაა აღწერილი, თუ რა ქალაქებისა და ადგილების გავლით ჩავიდა დომენტი კონსტანტინოპოლში. მას თბილისიდან ერზერუმამდე მოუნდომებია თორმეტი დღე, იქ დაუყვია 7 დღე, აქედან გადასულა მახლობელ სოფელში კუკუსოში და 5 დღე იქ გაჩერებულა. შემდეგ ამასიას და იზმითის გავლით მისულა უსკუდარამდე, იქიდან კი კონსტანტინოპოლამდე. ამრიგად, დომენტის მგზავრობის მარშრუტი ასეთი ყოფილა: თბილისი-ერზერუმი-ამასია-იზმითი-უსკუდარა-კონსტანტინოპოლი¹⁹³.

არსებობდა მესამე გზაც.

ცნობილია, რომ გიორგი XI-ემ 1685 წელს დაიხსნა იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერი მოვალეებისაგან¹⁹⁴. მას ქართველთა მონასტრის დავალიანება თბილისელი ვაჭრების მეშვეობით დაუფარავს. „...გაეგზავნეთ ჩვენი კაცები გილანს: აბრეშუმში უნდა იყიდონ და ცხრა თვეში უნდა იზმირს მივიდნენ და როდესაც გაყიდონ აბრეშუმში, ფასი ბატონმა პატრიარქმა უნდა გამოართვას. ან ბურსას და ანდა სტამბოლს... უნდა პატრიარქმა ამით მონასტრები დაიხსნასო“¹⁹⁵.

ამ საბუთიდან გამომდინარე მარშრუტი შემდეგია: თბილისი-გილანი-იზმირი-ბურსა-კონსტანტინოპოლი.

მოსალოდნელია, რომ მიხაილ იშტევანოვიჩი თბილისამდე ერთ-ერთი ზემოდასახელებული მარშრუტით ჩამოვიდა, უფრო სწორად, დოსითეოსის ან დომენტის მიერ განვლილი გზით¹⁹⁶.

რამდენ დროს მოანდომებდა მიხაილ იშტევანოვიჩი ამ მგზავრობას. რასაკვირველია, მეტად გაზვიადებულაა შ. კვასხვიძის ვარაუდი ამ საკითხთან დაკავშირებით. იგი წერს: „სამშობლოდან იერუსალიმზე გა-

¹⁹² ი ე ს ე ტ ლ ა შ ა ძ ე, „ბაქარიანი“, 1963, გვ. 40.

¹⁹³ იქვე, გვ. 40—42.

¹⁹⁴ ოდეს ჭვარ (იერუსალიმის ჯვრის მონასტერი — ო. გ.) დატყვევებული ტფილის ქალაქს ტახტსა ზედან მძღომმა მეფემ გიორგიმ დაიხსნა ჯვარი ტყვეობისაგან მას ეამსა აქ დავესწარ მეცა“ ნ. მარი, იერუსალიმის ქართული ხელნაწერების აღწერილობა, გვ. 8.

¹⁹⁵ Акты Кавказской Археографической Комиссии, т. I, стр. 26—27.

¹⁹⁶ მარშრუტი თბილისი, გილანი-იზმირი-ბურსა-სტამბოლი, არ იყო უმოკლესი გზა კონსტანტინოპოლიდან თბილისამდე. ეს იყო ტრასა, რომელიც აკავშირებდა სამი ქვეყნის — საქართველოს, თურქეთის და სპარსეთის სავაჭრო ცენტრებს (გილანის პროვინცია მდებარეობს სპარსეთის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში).

მოვლით¹⁹⁷, საქართველოში ჩამოსვლისათვის მ. უნგროვლახელს და-
ახლოვებით სამი წელი ხომ მიანიც დასჭირდებოდა“¹⁹⁸.

ჩვენ ხელთ გვაქვს ორი დოკუმენტური საბუთი, რომლებიც
ზუსტად მიუთითებენ, თუ რამდენ დროს ანდომებდნენ მგზავრები ამა
თუ იმ გზის გავლას¹⁹⁹. პირველ შემთხვევაში დომენტი თბილისიდან
კონსტანტინოპოლამდე მისულა 40 დღეში, ხოლო მეორე შემთხვევა-
ში თბილისიდან გამოსულ ქართველ ვაჭრებს სპარსეთზე გავლით (გი-
ლანში აბრეშუმის შექენაზე დახარჯული დროის გათვალისწინებით)
რზირამდე უნდა მიეღწიათ 9 თვეში. თუ მხედველობაში მივიღებთ
აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ბუქარესტიდან კონსტანტინოპოლამდე
ბანძილის დაფარვა საჭიროებდა 10 დღეს,²⁰⁰ ყოველივე ზემოთქმული-
დან გამომდინარე, ვფიქრობთ, სიპართლესთან ახლოს იქნება შემდეგი
მოსაზრება: მიხაილ იშტევანოვიჩი ბუქარესტიდან თბილისამდე მგზავ-
რობას მოანდომებდა მაქსიმუმ 4—5 თვეს.

მარტო ჩამოვიდა მიხაილ იშტევანოვიჩი საქართველოში, თუ მან
თან მოიყვანა „რამდენიმე მესტამბე“. როგორც ამას წერენ ა. ხახანა-
შვილი²⁰¹, თ. ყორდანი²⁰², კ. კეკელაძე²⁰³. ზ. ჭიჭინაძე რაოდენობასაც კი
ასახელებს ვლახეთიდან თბილისში ჩამოსული მესტამბეებისას: „ამათ
შორის ოთხი კაცი ყოფილა ხელოსანი, — აღნიშნავს ზ. ჭიჭინაძე, —
ერთი მბეჭდავი და სამივე ამომწყობი, ერთი მათგანი მიხაილი უფრო-
სი ყოფილა“²⁰⁴. სხვათა შორის, რუმინელი მკვლევარი კონსტანტინე-
სკუ-იაშიც ანალოგიურ თვალსაზრისზე დგას. 1959 წელს საქართვე-
ლოში ყოფნის შემდეგ რუმინეთში დაბრუნებისას ჰან გამოაქვეყნა გა-

¹⁹⁷ ამ მოსაზრების გამოთქმის დროს შ. ევასხვაძე ეუბნობა გ. ლეონიძის მიერ გ-
მოყვანილ ლექსს, საიდანაც ჩანს, რომ ბუქარესტიდან წამოსული მიხაილ იშტევანო-
ვიჩი ჯერ იერუსალიმის პატრიარქ ქრიზანთეს სწევია და შემდეგ თბილისში გამოგზავ-
რებულა. მაგრამ შ. ევასხვაძე არაა სწორი. როგორც აღვნიშნული, იერუ-
სალიმის პატრიარქებს იქამდე ადგილსამყოფელი ჰქონდათ არა იერუსალიმში, არამედ-
კონსტანტინოპოლში. *История святого града Иерусалима от времени апостольских
и до наших*, т. II, СПб., 1844, стр. 298.

¹⁹⁸ ნ. კ ვ ა ს ხ ე ა ძ ე, *ვახტანგ VI სტამბის წიგნი*, 1952, გვ. 235—236.

¹⁹⁹ სულხან-საბა ორბელიანმა, რომელიც 1716 წლის 13 მაისს კონსტანტინოპოლი-
დან გამოვიდა, ზღვით იმგზავრა ხოფამდე, შემდეგ ხმელეთით არტანუჯისა და არტანის
გავლით სამშობლოს მთაღწია 1716 წლის იელასში. *სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაუ-
რობა ევროპაში*, 1940, გვ. 148—152.

²⁰⁰ C. Engel, *Geschichte des Ungarischen Reichs und seiner Nebenländer*,
Band II, 1804, გვ. 359.

²⁰¹ A. X a x a n o v, *Очерки по истории грузинской словесности*, III, გვ. 366.

²⁰² „ივერია“, 1885, № 10.

²⁰³ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, *ქართული ლიტ-ის ისტორია*, ტ. I, გვ. 362.

²⁰⁴ ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, *ქართული სტამბები 1627—1916*, გვ. 81.

მოკლევად, რომელშიც ნათქვამია: „...XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ VI-მ, რომელსაც განზრახული ჰქონდა კულტურული რეფორმების გატარება საქართველოში, სთხოვა კონსტანტინე ბრიკოვიანუს გაეკეთებინა მისთვის მესტამბეები (კურსივი ავტორისაა — ო. გ.) თბილისში სტამბის დასაარსებლად“²⁰⁵; და რომ მიხაილ იშტვანოვიჩთან ერთად თბილისის სტამბაში მოღვაწეობდნენ მისი ვლახელი მოწაფეები²⁰⁶.

ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე უარყოფილია ვლახეთიდან თბილისში მესტამბეთა ჩგუფის ჩამოსვლის ვერსია²⁰⁷. მაგრამ ჩვენ მანც მოკლედ შევიჩერდებით მასზე.

1709—1722 წლებში თბილისში გამოცემულ რამდენიმე წიგნს დართული აქვს ვახტანგ VI „ანდერძი“, რომელშიაც ვკითხულობთ: „...ბატონიშვილმან ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა...“¹⁰⁸. ამასვე იმეორებენ ბაქარი და კვიპრიანე სამთავნელი: „ნეტარხსენებულმან მამამ ჩემმან მეფემან ვახტანგ მოიყვანა მესტამბე ვლახეთით და გააკეთა სტამბა“²⁰⁹. „ოდეს სუფევდა... საქართველოსა მეფე, უფალი ვახტანგ, იგულსმოდგინა და მოიყვანა ვლახეთით მესტამბე მიხაილ და გააკეთებინა სტამბა...“²¹⁰.

მასასადამე, აშკარად ნათქვამია, რომ ვახტანგ VI-ემ მესტამბეების ჩგუფი კი არ მოიყვანა ვლახეთიდან. არამედ ერთი მესტამბე და ისიც მიხაილ იშტვანოვიჩი. რომ ეს ასეა, ამას თვით მიხაილი გვიმომწმებს მის მიერ დაბეჭდილ „სახარების“ „ანდერძში“: „...უცხო ვიყავ ქვეყნისა ამის (საქართველოსი — ო. გ.) და უსმენელი სიტყუათა თქვენთა (ქართველების — ო. გ.) და რომელნი ჩემნი მოწაფე იყვნენ, ეგრეთვე გამოუტდენელნი საქმისა ამის ჩემისა, ვითარცა მე ვიყავ ქართლის უნახავი, ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტამბისა“²¹¹. ე. ი. როგორც მიხაილ იშტვანოვიჩი ყოფილა ქართლის უნახავი, ასევე უცხო ყოფილა მისი მოწაფეებისათვის სასტამბო საქმიანობა. ანალოგიური საბუთების

205 «Studii» 1959, № 5.

206 «Studii» 1951, № 4.

207 დ. კ ა რ ი ჰ ა შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 67. 68; პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნი 1629—1929, 1929, გვ. 47—48; ქ. შ ა რ ა თ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), 1955, გვ. 98.

208 „სახარება“, 1709; „სამოციქულო“, 1709, „კონდაკი“, 1710 და სხვ.

209 1743 წელს მოსკოვში გამოცემული „დაბადების“ წინასიტყვაობა.

210 „ქურთხეანი“, 1713.

211 „სახარება“, თბ., 1709.

მოყვანა კიდევ მრავლის შეიძლება²¹², რომლებიც ცხადყოფენ, რომ მიზანილი მარტო ჩამოსულა საქართველოში. თუ გავითვალისწინებთ მიზანილ იშტვანოვიჩის ადრინდელ მოღვაწეობას, მაშინაც, როდესაც საქმე ეხებოდა ვლახეთის ფარგლებს გარეთ სტამბის დაარსებას, ანდა წიგნების ბეჭდვას, ჩვენ ვხედავთ, რომ მიზანილს ანთიმ ივერიელი მარტოს გზავნის ამ დავალების შესასრულებლად და არა მესტამბეთა მთელ ჯგუფთან²¹³.

მოიტანა თუ არა მიზანილ იშტვანოვიჩმა ვლახეთიდან სტამბა და სტამბის მოწყობილობანი, თუ იგი ხელცარიელი ჩამოვიდა თბილისში?

ვახტანგ VI-ის თანამედროვე პირთა გადმოცემით საქართველოში ჩამოსულა არა მარტო მესტამბე, არამედ ჩამოუტანიათ სტამბაუ. ნ. ორბელიანის „ანდერძი“ გვამცნობს: ვახტანგმა „...იგულსმოდგინა და მოიღო სტამბა ვლახეთით, რომელ აროდეს ყოფილიყო საქართველოში...“²¹⁴. ასეთივე ხასიათის ცნობა მოიპოვება 1711 წელს დაბეჭდილ სახელმძღვანელოს ავტორის გერმანე მღვდელმონაზონის „ანდერძში“, „...ბატონიშვილი ვახტანგ, საუკუნოდ ყოს უფალმან ხსენება მისი, ამან მოიხვნა სტამბა ქვეყანით ვლახეთით... და მომართა ქვეყანასა ქართლისასა... და აღაესო და განანათლა ქვეყანა ჩვენი წიგნებითა...“²¹⁵. მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი გამოთქვამს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც თბილისში მარტო სტამბის ოსტატი ყოფილა მოსული, ხოლო სტამბა და სტამბის მოწყობილობანი ადგილობრივ დამზადებულა. მაგ. ქ. შარაშიძე ამ დებულებას იმით ასაბუთებს, რომ ვახტანგ VI-ს თავის „ანდერძში“, რომელიც დღემდე მოღწეულ პირველნაბეჭდი წიგნების ყოველ სრულ გამოცემას ახლავს, მხოლოდ მესტამბის მოყვანაზეა ლაპარაკი. „მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა“. „ამრიგად, — დასძენს ქ. შარაშიძე, — ვახტანგის საკუთარი ანდერძის მიხედვით ვლახეთიდან მოუყვანია მხოლოდ მესტამბე. რაც შეეხება სტამბის გაკეთებას, ანუ მოწყობას, ამ საქმეს ვახტანგის ანდერძი თბილისში შესრულებულად გვაულისხმებინებს“²¹⁶.

ქ. შარაშიძე თავისი თვალსაზრისის განსამტკიცებლად იშველიებს

²¹² 1802 წელს პეტერბურგში გამოცემულ წიგნში არქიპანდოვი ევგენი წერდა: «Для сего (Вахтанг) призвал из Валахии типографшица и употребил великое иждивение для заведения грузинской типографии в Тифлисе (А. Евгени, Историческое изображение Грузии. СПб., 1802, стр. 6).

²¹³ V. Molini... გვ. 321.. Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 699, 711.; E. Hurmuzaki, Documente. vol. XIV, par. III, გვ. 107.

²¹⁴ „სახარება“, 1709; „სამოციქულო“, 1709.

²¹⁵ „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“. 1711.

²¹⁶ ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), 1955, გვ. 91.

სხვა არგუმენტებსაც. ეს არგუმენტებია: კვიპრიანე სამთავენლის, ვახტანგის ძის ბაქარის და სხვათა გამონათქვამები, რომელთა მიხედვით „ვახტანგმა მოიყვანა მესტამბე ვლახეთით და გააკეთა სტამბა“. ქ. შარაშიძე იმოწმებს აგრეთვე გ. ლეონიძის მიერ გამოვლენილ ლექსს, რომელშიც, მკვლევრის თქმით, „ვახტანგი თხოულობს მხოლოდ მესტამბის გამოგზავნას და სტამბის მოწყობილობის შესახებ ერთ სიტყვასაც არ ამბობს“²¹⁷. ხოლო თვით მიხაილ იშტვანოვიჩის სიტყვებიდან გამომდინარე, რომ „...ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხილვებიან—ასონი, ორღანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისა, დაწყებით სრულყოფამდე, მოქმედი და წინამძღოლი მე ვარ...“ ქ. შარაშიძე ასკვნის: მიხაილ იშტვანოვიჩს სტამბის მთელი მოწყობილობა გაუყეთებია თბილისში საკუთარი ზელით და ადგილობრივი ოსტატების მოშველიებით²¹⁸.

აქვე გვინდა დავსძინოთ, ქ. შარაშიძეს მეტად არადამაჯერებელი საბუთი მოჰყავს იმისა, რომ ვახტანგ VI-ს მხოლოდ მესტამბე მოუყვანია ვლახეთიდან და არ მიუღია სტამბა. ამ საბუთს, რომელსაც ქ. შარაშიძის სიტყვებით, „გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს“, წარმოადგენს მიხაილ იშტვანოვიჩის „ანდერძი“, სადაც იგი ამბობს: „პირველად მიზეზი უცხოსა ამის საქმისა და... უცონელად შემასრულებელი სტამბისა ამის სამკვიდრებელსა თქვენსა (ქართველების — ო. გ.) იქმნა... განათლებული და გამგებელი საქართველოსა ბატონიშვილი და თვით პატრონი ვახტანგ“. აქედან გამომდინარე ქ. შარაშიძე აცხადებს: „როგორც ეხედავთ, მ. უნგროვლახელი, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს ვახტანგის ინიციატივას სტამბის მოწყობის საქმეში“.

რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე? რომ ვახტანგ VI-ს მიეკუთვნება ინიციატორის როლი პირველი ეროვნული პოლიგრაფიული ბაზის შექმნაში, ამას საკამათოდ არავინ არ ხდის და არც არავის შეაქვს ეჭვი მიხაილ იშტვანოვიჩის სიტყვებში. ჩვენ ამ წიგნის წინა ნაწილში საკმაოდ შევჩერდით ამ თემაზე. მაგრამ აქ საქმე ეხება არა საერთოდ თბილისში პირველი სტამბის დაარსების საკითხს, არამედ შემდეგის გარკვევას: საბეჭდი დაზგა ან დანარჩენი სასტამბო მოწყობილობანი (აქ ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს ქართული შრიფტი) თბილისში იქნა მთლიანად დამზადებული თუ ჩამოიტანეს ვლახეთიდან? მიხაილ იშტვანოვიჩის „ანდერძიდან“ გამომდინარე კი („უცონელად შემასრულებელი სტამბისა ამის სამკვიდრობელსა თქვენსა (ქართველებისა — ო. გ.) იქმნა... პატრონი ვახტანგ“), ამ კითხვაზე არც დადებითი და არც უარ-

²¹⁷ ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), 1955, გვ. 92.

²¹⁸ იქვე, გვ. 92—93.

ყოფითი პასუხის გაცემა არ შეიძლება. მიხაილ იშტვანოვიჩის სიტყვებში გვამცნობენ საერთოდ ვახტანგ VI-ის ღვაწლს და მის მიერ უცონელად (დაუზარებლად) გაწეულ გარჯაზე პირველი ეროვნული სტამბის გასრულებისათვის. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ აღნიშნული სტამბის მთელი მოწყობილობა აუცილებლად თბილისში უნდა დამზადებულიყო, ანდა მიუთითებდეს იმავე ვახტანგ VI-ის დამსახურებაზე სტამბის უცხოეთიდან ჩამოტანის საქმეში.

შეიძლება ანალოგიური შემთხვევა მოვიყვანოთ. 1699 წელს ანთიმ ივერიელი რუმინულ ენაზე ბეჭდავს ვლახეთში წიგნს: „ორთოდოქსალური აღსარება... წინასწარი გადმოცემა სამი უდიდესი სიკეთის შესახებ“. ამ წიგნის წინასიტყვაობაში ნათქვამია: თუ ადრე თავს ექებდა დასავლეთი თავისი განსწავლულობითა და წიგნების ბეჭდვით, დღეს ვლახელებს ელირსათ ბედნიერება როგორც განათლების, ასევე სტამბის მოპოვების მხრივ, რასაც ვლახელები უნდა უმადლოდნენ კონსტანტინე ბრინკოვიანუს მოწადინებასა და ზრუნვას²¹⁹. როგორც ვხედავთ, ისევე როგორც მიხაილ იშტვანოვიჩის „ანდერძში“, აქაც ლაპარაკია ქვეყნის გამგებლის ღვაწლზე: ვლახეთში პოლიგრაფიული ბაზა შექმნილი ყოფილა კონსტანტინე ბრინკოვიანუს მოწადინებითა და ზრუნვით. მაგრამ განა გვაძლევს „ორთოდოქსალური აღსარების...“ წინასიტყვაობა ჩვენ საფუძველს იმის დასადგენად, თუ კონკრეტულად როგორ და რა გზით უნდა განხორციელებულიყო იმ სტამბის ორგანიზაცია. სადაც ეს წიგნი დაიბეჭდა? თუცა ჩვენ შეიძლება შემოგვეყვამათონ და გვითხრან: კი მაგრამ, მიხაილ იშტვანოვიჩი ხომ თვითონ ამბობს „...ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხილვებიან — ასონი, ორლანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისა, დაწყებით სრულყოფამდე, მოქმედი და წინამძღოლი მე ვარ...“ აქედან გამომდინარე კი, ბუნებრივია, რომ სტამბა მთლიანად თბილისში უნდა დამზადებულიყო²²⁰. ჩვენის ფიქრით, მიხაილ იშტვანოვიჩის აღნიშნული სიტყვების ასეთი ინტერპრეტაცია არ იქნებოდა მართებული. სავსებით სწორია ბ. გორდეზიანი²²¹, რომელსაც საფუძველიანი არგუმენტაციის შემდეგ აქ ციტირებული ადგილი გაგებული აქვს, როგორც ჩატარებული დიდი შრომატევადი მუშაობა მხოლოდ შრიფტის დამზადების თვალსაზრისით. ჩვენ კი საკითხს განვიხილავთ, როგორც უკვე ზევით გვქონდა

²¹⁹ I. R a m u r e a n u, Atmosfera de aparare a Ortodoxiei din Tarile Române în care s-a dezvoltat spiritul mitropolitului Antim Ivireanul. გვ. 835.

²²⁰ ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), 1955, გვ. 92—93.

²²¹ ბ. გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი, ქართული მხედრული შრიფტი, 1955, გვ. 40—41.

აღნიშნული, სტამბის მთელი მოწყობილობის (შრიფტის გამოკლებით) ვლახეთიდან ჩამოტანის თუ არჩამოტანის ასპექტში.

ბ. გორდეზიანი წერს: „...ვახტანგი ვლახეთიდან უთუოდ გაუმჯობესებულ დაზგებსა და იარაღებს მოატანინებდა...: ამ საბეჭდავ დაზგებთან ერთად უნგროვლახელს უნდა მოეტანა ყველა ის მასალა და იარაღი, რომელიც საჭირო იყო სტამბის გასამართავად. უმთავრესად ანეთი იყო ასოების ამოსაჭრელი და ჩამოსასხმელი იარაღები, ფოლადისა და თითბერის ჩხირები, დამუშავებული ქილოგრაფიული დაფები, საამკინძაო იარაღები და სხვ. უნგროვლახელს ამ იარაღების საშუალებით უნდა ეწარმოებინა მუშაობა თბილისის სტამბაში...“²²². ანალოგიურ თვალსაზრისს გამოთქვამს შ. კურდღელაშვილი²²³. მიხაილ იშტვანოვიჩის მიერ ვლახეთიდან გამართული სტამბის ჩამოტანის ვერსიის მომხრეა რუმინელი მკვლევარი დ. დუმიტრესკუცუ. მისი სიტყვებით საბეჭდი დაზგა და სხვა სასტამბო მეურნეობა გამოგზავნილი ყოფილა ვლახეთიდან²²⁴.

როგორც ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, არსებობს ვლახეთიდან სტამბის ჩამოტანის თუ არჩამოტანის ორი სხვადასხვა ვერსია. ამას ცხადყოფს, როგორც პირველნაბეჭდ ქართულ წიგნებში მოცემული თანამედროვეთა „ანდერძები“, ასევე სხვადასხვა მკვლევართა მიერ გამოთქმული დიამეტრალურად საწინააღმდეგო თვალსაზრისები.

სინამდვილის დასადგენად, როგორც ვნახეთ, საკმარისი არ აღმოჩნდა არც „ანდერძებში“ და არც სხვა წყაროებში ასახული ცნობების დამოწმება, ვინაიდან ისინი რიგ შემთხვევებში ერთიმეორეს უპირისპირდებიან, რაც სამართლიან საფუძველს აძლევს მკვლევართ გამოთქვან ესა თუ ის ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებანი.

ამიტომაც, ჩვენ, საკითხის გადასაჭრელად, სხვა დოკუმენტურად დადასტურებულ საბუთებს მივმართავთ. პირველ რიგში, რასაკვირველია, არა მცირედი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ იმ პერიოდში როგორ ხორციელდებოდა საერთოდ, ანალოგიურ ვითარებაში, ახალი სტამბების ჩამოყალიბება.

1704 წელს ვლახეთიდან გამგზავრების შემდეგ პატრიარქი ათანასე აარსებს სტამბას ჰალაბში. ჰალაბის სტამბის მთელი მოწყობილობა

²²² ბ. გორდეზიანი, ქართული მხედრული შრიფტი, 1955, გვ. 40.

²²³ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, 1959, გვ.

²²⁴ Dan Dumitrescu, Activitatea tipografică a lui Mihai Ștefan în Gruzia, «Studii», Anul XI, nr. 4, გვ. 135.

ადგილობრივი კი არ იყო. ვაკეთებული, არამედ გამზადებული სა-
ხით თან ჩაიტანა ანტიოქიის პატრიარქმა ვლახეთიდან²²⁵.

ქ. შარაშიძის აზრით, „სტამბის მზამზარეული იარაღების შორი და საჩიფათო გზით მოტანას არავითარი აზრი არ უნდა ჰქონოდა“, „რაკი უნგროვლახელ მესტამბეს საკუთარი ზელით, ადგილობრივი ისტატების მიშველიებით შეეძლო სტამბის მთელი მოწყობილობის ვაკეთება“. ჯერ ერთი, როგორც ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითიდან ჩანს, გზის სიშორის ფაქტორი სხვა სიძნელებთან შედარებით არ ყოფილა პირველმნიშვნელოვანი, რადგან ანტიოქიის პატრიარქს მიუხედავად გზის სიშორისა სწორედ გამზადებული სტამბის ჩატანისათვის მიუცია უპირატესობა. გზა ბუქარესტიდან ჰალაბამდე კი არანაკლებ შორი იყო, ვიდრე მანძილი ბუქარესტიდან თბილისამდე.

რაც შეეხება ქ. შარაშიძის იმ დებულებას, რომ მიხაილ იშტვანოვიჩს საკუთარი ზელით შეეძლო სტამბის მთელი მოწყობილობის ვაკეთება. მიემართოთ ისევ ფაქტებს. 1698 წელს მიხაილ იშტვანოვიჩს ვლახეთიდან ტრანსილვანიაში გზავნიან საგანგებო და საპასუხისმგებლო მისიით. საქმე შემდეგში იყო. ტრანსილვანიაში მცხოვრები ნაწილი ვლახელებისა, რომლებიც მართლმადიდებლობას აღიარებდნენ, მთელი რიგი აგიტაციისა და ზეგავლენის შედეგად კათოლიკეებმა შესძლეს გადაეყვანათ თავიანთ სარწმუნოებაზე. უნგრო-ვლახეთის ეპარქია, რომელშიც ტრანსილვანიის მიტროპოლია შედიოდა, მეტად მძიმე დილემის წინაშე აღმოჩნდა. მდგომარეობას განსაკუთრებით ის აძნელებდა, რომ ტრანსილვანელ ვლახელებს არ გააჩნდათ საეკლესიო წიგნები. ამ მხრივ ისინი მოითხოვდნენ ვლახეთიდან დაუყოვნებლივ დახმარების აღმოჩენას. და, აი, სწორედ წიგნების ბეჭდვის საქმის მოსაგვარებლად კონსტანტინე ბრინკოვიანუს ბრძანებით ტრანსილვანიის მთავლინეს მიხაილ იშტვანოვიჩი, რომლის კანდიდატურაც, მოსალოდნელია, წამოაყენა ანთიმ ივერიელმა. ითვალისწინებდა რა იმ საპასუხისმგებლო ამოცანას, რომელიც მესტამბის წინაშე იდგა, მიხაილ იშტვანოვიჩი მთელი გულმოდგინებით, ცოდნისა და ენერჯიის დაუზოგავად შეუდგა წიგნის გამზადებას დასაბეჭდად ტრანსილვანიის სტამბაში. მიუხედავად ამისა, იშტვანოვიჩის მიერ ტრანსილვანიაში გამოცემული წიგნები არ იდგნენ მაღალ დონეზე პოლიგრაფიული თვალსაზრისით²²⁶. მიხაილ იშტვანოვიჩი წიგნის არასახარბიელო გა-

²²⁵ D. Simonescu, E. Muracade, Tipar rominesc pentru arabi în secolul al XVIII-lea, Buc., 1939, გვ. 2—3. N. Cartoian, Istoria literaturii romine vechi, III, გვ. 212; A. Mironescu, Istoria Eparhiei Rimnicului, გვ. 88.

²²⁶ V. Molin... გვ. 321.

პოცემის გამო პატიებასაც კი თხოვს მკითხველებს. და ამის მთავარი მიზეზი, თვით მიხაილ იშტვანოვიჩის სიტყვებით იმაში მდგომარეობდა, რომ „საბეჭდი დაზგა და სასტამბო მოწყობილობანი მეტად ძველი ჯა გაცვეთილი იყო“²²⁷. ე. ი. რა გამოდის? მიხაილ იშტვანოვიჩი, რომელიც საქართველოში ჩასვლის შემდეგ საკუთარი ხელით აკეთებს სასტამბო მოწყობილობებს, ტრანსილვანიაში ყოფნისას, მიუხედავად იმისა, რომ იცის საბეჭდი დაზგისა და სხვა სასტამბო მოწყობილობების უვარგისობის ამბავი, მაინც განაგრძობს მოძველებული საშუალებებით წიგნების ბეჭდვას? (მიხაილ იშტვანოვიჩმა რამდენიმე წიგნი გამოსცა ტრანსილვანიაში). რატომ არ გააკეთა მან ახალი საბეჭდი დაზგა ან სხვა საჭირო ხელსაწყოები, მსგავსად თბილისის სტამბისა? აქედან გამომდინარე ზოგიერთი მკვლევარს უკომპრომისო განცხადება, რომ თბილისში სტამბის მთელი მოწყობილობა მიხაილ იშტვანოვიჩის მიერ უნდა ყოფილიყო დამზადებული, არაა დამაჯერებელი.

თუ მხედველობაში მივიღებთ ყოველივე ზემოთქმულს, სამართლესთან უფრო ახლოს უნდა იყოს დებულება, რომ ვახტანგ VI-მ მართლაც „ვლახეთიდან მოიხვნა სტამბა“.

როგორც კვლევამ ცხადყო, მიხაილ იშტვანოვიჩს საბეჭდი ქაღალდიც ვლახეთიდან ჩამოუტანია. ვახტანგის სტამბაში გამოცემული წიგნები კვირნიშნიან ქაღალდზეა დაბეჭდილი²²⁸. აღმოსავლეთის ქვეყნებში დამზადებული ქაღალდი კი, როგორც ცნობილია, კვირნიშნიანი არაა.

რაც შეეხება სტამბის მოწყობისათვის გაწეულ ხარჯებს. ვახტანგ VI-ის თანამედროვენი აცხადებენ, რომ მას სტამბის გასამართავად დიდი თანხა დაუხარჯავს. ნიკოლოზ ორბელიანი ამბობს: ვახტანგმა „ფრიადისა ჭირითა და მრავალთა საფასეთა წარგებითა მოილო სტამბა“²²⁹. კვიპრიანე სამთავნელის სიტყვებით, ვახტანგმა „გააკეთებინა სტამბა ფრიადითა წარსაგებელითა საფასეთათა“²³⁰; ხოლო ევგენის ცნობით: Вахтанг употребил великое иждивение для заведения грузинской типографии в Тифлисе“.²³¹

რასაკვირველია, ვახტანგ VI-ს დიდი ხარჯის გაწევა დასჭირდებოდა თბილისში სტამბისათვის საგანგებოდ „სტამბის სახლების“ ასაშე-

²²⁷ V. Molin... გვ. 321.

²²⁸ ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), 1955,

გვ. 94.

²²⁹ „ლოცვანი“, 1710.

²³⁰ „კურთხევაი“, 1713.

²³¹ А. Е в г е н и й, Историческое изображение Грузии, 1802, стр. 61.

ნებლად, სტამბის ზოგიერთი „სახმარის“ ადგილობრივ დასამზადებლად და სხვ. მაგრამ, ჩვენ გვინტერესებს, ვახტანგმა ვლახეთიდან ჩამოტანილი სტამბის მთელ მოწყობილობაში ან საბეჭდ ქალაღღშია²²⁵: გაიღო საფასური თუ არა? ცხადია, კატეგორიულად ამომწურავი პასუხის გაცემა ამ კითხვაზე ძნელია. თუმცა მეტად საყურადღებოა, რომ ახლოგიურ ვითარებაში, როდესაც საკითხი დაისვა კონსტანტინე ბრინკოვიანუს წინაშე ანტიოქიის პატრიარქ ათანასეასათვის სტამბის გადაცემის შესახებ, ვლახეთის მთავარმა ყოველგვარი საფასურის გარეშე საჩუქრად მისცა მას სტამბის მთელი მოწყობილობა²²⁶. რაც შეეხება ქალაღღს, ამასთან დაკავშირებითაც უნდა აღინიშნოს, რომ ანთიმ ივერიელის მიერ სნაგოვოსა და ბუქარესტში არაბულ ენაზე დაბეჭდილი „კონდაკი“-სა და „ეამნი“-ს მთელი ტირაჟი კონსტანტინე ბრინკოვიანუმ უსასყიდლოდ გადასცა ანტიოქიის პატრიარქს სირიის მოსახლეობაში გასავრცელებლად²²⁷.

რასაკვირველია, აქედან გამომდინარე, ჩვენ იმის დამტკიცება კი არ გვსურს, რომ კონსტანტინე ბრინკოვიანუს აუცილებლად ყოველგვარი საფასურის გარეშე უნდა გადაეცა ვახტანგ VI-თვის როგორც სტამბა, ასევე საბეჭდი ქალაღღიც. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ანთიმ ივერიელის ავტორიტეტსა და გავლენას, რითაც იგი სარგებლობდა ვლახეთის მთავრის კარზე, გამორიცხული არაა, რომ ანთიმ ივერიელი ყოველმხრივ ეცდებოდა თავისი თანამემამულეთათვის ხელის შეწყობას. ამ მხრივ ანგარიშ გასაწევა ი. ბიანუს მიერ გამოთქმული თვალსაზრისი, რომელიც კონსტანტინე ბრინკოვიანუს უწოდებს „გულუხვ მბოძებელს“, რომლის „ხარჭებითაც დამზადებულ იქნა თბილისის სტამბის მოწყობილობანი...“²²⁸.

ახლა რაც შეეხება თბილისის პირველ სტამბაში ხმარებული შრიფტის საკითხს. სად იყო დამზადებული ეს შრიფტი: თბილისში თუ ვლახეთში და ვის მიერ? რაიმე პირდაპირი ცნობა შრიფტის დამზადების ადგილისა და მისი ჩამომსხმელის შესახებ ჯერ არაა მოპოვებული, რამაც სპეციალურ ლიტერატურაში განაპირობა სხვადასხვა მოსაზრებათა წამოყენება.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში გ. გასტერი წერდა,

²²⁵ ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), 1955, გვ. 96.

²²⁶ I. R a m u r e a n u, Antim Ivireanul si legaturile sale cu credinciosii din Patriarhia Antiohiei, გვ. 841.

²²⁷ A t a n a s i e D a b b a s, Istoria Patriarhilor de Antiohia, გვ. 860—862.

²²⁸ I. B l i a n u, Din cartile vechi, ob. Prinso lui D. A. Sturdza, Buc. 1903. გვ. 193.

რომ ქართული ასოები გამოქრილი და ჩამოსხმული ყოფილა ანთიმ ივერიელის მიერ ვლახეთში²³⁶. ე. პიკოს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ანთიმ ივერიელმა მონაწილეობა მიიღო მიხაილ იშტვანოვიჩის მიერ ქართული წიგნების დასაბეჭდად ხმარებული შრიფტის დამზადებაში²³⁷. ა. ხახანაშვილის სიტყვებით, ანთიმ ივერიელს გამოუგზავნია ვახტანგ VI-სათვის სტამბის მოწყობილობა და ჩამოსხმული ასოები²³⁸. ზ. კიკინაძის თქმით ვლახეთიდან იქნა მოტანილი ქართული შრიფტის ყალიბები²³⁹. თბილისის პირველ სტამბაში ხმარებული მხედრული შრიფტის შესახებ ა. შანიძე წერს: „ამ შრიფტს ვახტანგურს ვეძახით, მაგრამ წარმოშობით იგი შეიძლება გამოჩენილი მოღვაწის ანთიმოზ ქართველისა იყოს“²⁴⁰. ანთიმ ივერიელის მიერ ვლახეთში დამზადებული ქართული შრიფტით პირველი ქართული წიგნების ბეჭდვას ვარაუდობენ: კ. კეკელიძე²⁴¹, გ. ლეონიძე²⁴², ნ. ვართაგავა²⁴³ და სხვ.

უკანასკნელ წლებში აღნიშნული საკითხი მთელ რიგ მკვლევართა საგანგებოდ შესწავლის საგანი გახდა. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ რამდენიმეზე.

ქ. შარაშიძის სიტყვებით, შრიფტის ჩამოხსმა მოძრავი ასოების, ლიტერების სახით მიხაილ იშტვანოვიჩის მიეკუთვნება და რომ მან ეს შრიფტი დაამზადა თბილისში ჩამოსვლის შემდეგ: „...უნგროვლახეთიდან გამოგზავნილმა ოსტატმა, — წერს მკვლევარი, — მისი საკუთარი განცხადების თანახმად, სტამბის მთელი მოწყობილობა და, უპირველეს ყოვლისა, შრიფტიც საქართველოში, სახელდობრ, თბილისში გააკეთა“²⁴⁴. ქ. შარაშიძეს თავისი თვალსაზრისის დასაბამებლად მოჰყავს მიხაილ იშტვანოვიჩის „ანდერძი“: „...ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხილვებიან — ასონი, ორღანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისა, დაწყებით სრულყოფამდე, მოქმედი და წინამძღოლი მე ვარ...“

შ. კურდღელაშვილს სრულიად მოუღებლად მიაჩნია მიხაილ იშტვანოვიჩის „ანდერძზე“ დაყრდნობით ქ. შარაშიძის მიერ წამოყენე-

²³⁶ Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, B. XI, Heft 4.

²³⁷ E. Picot... გვ. 522.

²³⁸ A. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, III, стр. 367—368.

²³⁹ ზ. კიკინაძე, ქართული სტამბა და მეფე ვახტანგ შეექმნა, გვ. 36.

²⁴⁰ „ვეფხისტყაოსანი“, ვახტანგის გამოცემა აღდგენილი ა. შანიძის მიერ, გვ. 409.

²⁴¹ К. К е х е л и д з е, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, 1908, стр. XXX.

²⁴² „დროშა“, 1951, № 2, გვ. 19.

²⁴³ Н. В а р т а г а в а, Грузинская духовная переводная и оригинальная литература, стр. 61.

²⁴⁴ ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), 1955, გვ. 111

ბული დებულება, ვინაიდან ამ „ანდერშში“ არავითარი პირდაპირი ცნობა არ მოიპოვება იმისა, თუ საკუთრივ სად დამზადდა ვახტანგ VI-ის სტამბის შრიფტი²⁴⁵. შ. კურდღელაშვილის მტკიცებით, აღნიშნული შრიფტი არ შეიძლება დამზადებულიყო თბილისში. თავის მხრივ მას საბუთად მოაქვს შემდეგი გარემოება: მესტამბე ვლახეთიდან არ ჩამოსულა არც 1701—1702 და არც 1706—1707 წლებში, არამედ 1708 წლის შუა დროში. აქედან გამომდინარე, მკვლევარი, დაასკვნის, რომ ღარჩენილ 6—7 თვეში ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოესწრებოდა თბილისში შრიფტის დამზადება და დიდტანიანი „სახარების“ რედაქტირება, აწყობა და დაბეჭდვა²⁴⁶.

რა შეიძლება ითქვას აქ გამოთქმულ ორ ვერსიასთან დაკავშირებით, ცხადია, მხოლოდ მიხაილ იშტვანოვიჩის ანდერძის დამოწმებით, ვინაიდან, „ასონი, ორღანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისა“ მისი ნახელავი ყოფილა, ამიტომაც ქართული პირველნაბეჭდი წიგნების შრიფტიც აუცილებლად თბილისში უნდა დამზადებულიყო, არაა დამაჯერებელი. თუმცა მიხაილ იშტვანოვიჩმა ასეთი განცხადება თბილისში ყოფნის დროს გააკეთა, მაგრამ მასში ლაპარაკია მხოლოდ შრიფტის დამზადების და არა შრიფტის დამზადების ადგილის შესახებ. ეს კი უკვე საბაბს იძლევა იმისას, რომ ამ ფაქტის აღნიშნული ინტერპრეტაცია არადამაჯერებლად ჩავთვალოთ, მით უმეტეს, როდესაც მთელი რიგი მკვლევრებისა შრიფტის დამზადების ადგილად ვლახეთზე მიუთითებენ.

რაც შეეხება შ. კურდღელაშვილის მიერ მოტანილ არგუმენტაციას, რომლის საფუძველზე მკვლევარი უარყოფს ვახტანგ VI-ის სტამბაში ხმარებული შრიფტის დამზადების შესაძლებლობას თბილისში: ჯერ ერთი, ჩვენის აზრით, მიხაილ იშტვანოვიჩი 1708 წლის შუა დროში კი არ ჩამოსულა საქართველოში, არამედ 1707 წლის შუა რიცხვებში²⁴⁷. გარდა ამისა, შ. კურდღელაშვილის კატეგორიული განცხადება, რომ 6—7 თვეში (დრო გამოანგარიშებულია თვით შ. კურდღელაშვილის მიერ) ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოესწრებოდა დიდტანიანი „სახარების“ აწყობაც და დაბეჭდვაც, არც ეს მიიჩნევა სარწმუნოდ. შეიძლება ითქვას 6—7 თვე მართლაც იმ პერიოდისათვის მცირე იყო წიგნის გამოსაცემად, მაგრამ ხომ უცილობელ ფაქტს წარმოადგენს, რომ „სახარებაზე“ არანაკლებ დიდტანიანი წიგნი, „კონდაკი“, 269 გვერდის მოცულობით, არაბულ ენაზე დაბეჭდა ანთიმ ივე-

²⁴⁵ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, 1959, გვ. 48.

²⁴⁶ იქვე, გვ. 49.

²⁴⁷ იხ. ამ წიგნის გვ. 215—217.

რიელმა 8—9 თვის განმავლობაში²⁴⁸. აქედან გამომდინარე, არც შ. კურდღელაშვილის მიერ მოყვანილი მოტივი შეიძლება ჩაითვალოს სარწმუნოდ ქართული პირველნაბეჭდი წიგნების შრიფტის თბილისში დამზადების უარსაყოფად.

რუმინელი მკვლევარი ვ. მოლინი საერთოდ უარყოფს მიხაილ იშტევანოვიჩის მიერ ქართული შრიფტის დამზადებას არა მარტო ვლახეთში, არამედ თბილისშიც. და არა მარტო შრიფტის. მისი სიტყვებიდან გამომდინარე, მიხაილ იშტევანოვიჩს არც სასტამბო მოწყობილობის დამზადებასთან ჰქონდა რაიმე საერთო, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული მის მიერ ზოგიერთი სტამბის იარაღის გაკეთება და განახლება. რის საფუძველზე მივიღა ვ. მოლინი ამ დასკვნამდე? იმის საფუძველზე, რომ, როგორც ვარაუდობს მკვლევარი, ვახტანგ VI-ს ვლახეთიდან არ მოუტანია არც საბეჭდი დაზგა, არც სასტამბო იარაღები და არც შრიფტი, რადგანაც ყოველივე ეს უკვე ჰქონდა ვახტანგ VI-ს მიღებული არჩილ მეფისაგან. „ეს სტამბა — წერს ვ. მოლინი — მემკვიდრეობად დარჩა ვახტანგს არჩილისაგან, რომლის სახელსაც იხსენიებს იგი თბილისში დაბეჭდილ წიგნებში. მთელი სასტამბო მოწყობილობა და შრიფტი, ალბათ, ამსტერდამიდან იყო მიღებული (სხვ. ადგილზე ვ. მოლინი კატეგორიულად აცხადებს, რომ საბეჭდი დაზგა, სასტამბო იარაღები და შრიფტი, როგორც მემკვიდრეობა არჩილისა, ვახტანგს მიღებული ჰქონდა ამსტერდამიდან)²⁴⁹. ყოველივე ეს უმოქმედოდ იდგა თბილისში. მაგრამ ვინმეს ხომ უნდა მოეყვანა ისინი მოქმედებაში? ეს შესძლო ვლახეთიდან ჩამოსულმა დახელოვნებულმა ოსტატმა და ორგანიზატორმა მესტამბე მიხაილ იშტევანოვიჩმა.“²⁵⁰

ამრიგად, ვ. მოლინი მიხაილ იშტევანოვიჩის როლს ფარგლავს როგორც როლს მესტამბისა, რომელმაც მხოლოდ აამოქმედა უკვე მზამზარეული, არჩილისაგან მემკვიდრეობად მიღებული სტამბა. რასაკვირველია, ფაქტია, რომ თბილისში დაბეჭდილ პირველ წიგნში, „სახარებაში“, ვახტანგს თავის „ანდერძში“ მოხსენიებული ჰყავს არჩილ მეფე: „სადიდებლად წმიდისა სამებისა, მე, გვარტომობით, ძირმოღმობით დავეითიანმა, ძის ძემან სახელგანთქმულის მეფის ვახტანგისამ, ძმისწულმან ქებულის მეფის არჩილისამან...“²⁵¹, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ვახტანგ VI-ს არ შეიძლება ჰქონოდა სტამ-

²⁴⁸ იხ. ამ წიგნის გვ. 118.

²⁴⁹ V. Molin... გვ. 332.

²⁵⁰ იქვე, გვ. 333.

²⁵¹ „სახარება“, 1709.

ბა, მით უმეტეს მიღებული არჩილისაგან, რადგან ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, თვით ვერ შესძლო ვერც სასტამბო მოწყობილობის და ვერც შრიფტის მოპოვება ამსტერდამიდან. ჩვენ აქ სიტყვას აღარ ვავაგრძელებთ, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაო მსჯელობა გვქონდა ამ წიგნის წინა თავში²⁵².

ვ. მოლინი თავისი დებულების განსამტკიცებლად ცდილობს შემდეგი არგუმენტის მოშველებას. მისი სიტყვებით: „ვახტანგი იმასაც კი არ ამბობს, რომ ეს სტამბა პირველი იყო მის ქვეყანაში, როგორც იმ დროს ჩვეულებისამებრ მოიხსენიებოდა ხოლმე ესა თუ ის ნამოღვაწარი“. და შემდეგ დასძენს, „ნახეთ მსგავსი ტექსტები მათე ბასარაბის²⁵³ პირველნაბეჭდ წიგნებში“²⁵⁴. ცხადია, ვ. მოლინს აქ მხედველობაში აქვს ვახტანგ VI-ის „ანდერძი“, დაბეჭდილი 1709 წელს თბილისში გამოცემულ „სახარებაში“. ამ წიგნის მიხედვით მსჯელობის საშუალება ვ. მოლინს, რასაკვირველია, გააჩნდა, რადგან საქართველოდან ანთიმ ივერიელისათვის ვლახეთში გაგზავნილი „სახარების“ ორი ცალი დღესაც ინახება რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში. ვახტანგის „ანდერძში“ შეიძლება მართლაც კონკრეტულად არ არის ნათქვამი, რომ ის სტამბა, სადაც დაიბეჭდა „სახარება“, პირველი იყო საქართველოში, მაგრამ ამავე „სახარებაში“ დაბეჭდილ ნიკოლოზ ორბელიანის „ანდერძში“ კი უკვე გარკვევითაა ნათქვამი: „ოდეს განაგებდა საქართველოსა... განათლებული ვახტანგ, იგულსმოდგინა და მოილო სტამბა ვლახეთით, რომელ აროდეს ყოფილიყო საქართველოში“²⁵⁵. ჩანს, ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია ვ. მოლინს. ჩვენ აღარას ვიტყვით მომდევნო წლებში გამოცემულ წიგნებზე, სადაც ხაზგასმითაა აღინშნული: „აროდეს ყოფილიყო საქართველოსა შინა სტამბა“²⁵⁶.

ბ. გორდენიანი სთვლის, რომ ქართული პირველნაბეჭდი წიგნების შრიფტი არ ჩამოსხმულა ვლახეთში და არც შეიძლება დამზადებულიყო ანთიმ ივერიელის მიერ. ამას მკვლევარი ხსნის იმ გარემოებით, რომ შრიფტებს მესტამბეები აკეთებდნენ საუკეთესო ხელნაწერების მიხედვით და არჩეულ ხელნაწერს ამუშავებდნენ კალიგრაფიულად, ასოთა ჩამოსხმის ტექნიკის მიხედვით. ანთიმ ივერიელს კი, წერს ბ. გორდენიანი, „არ შეიძლება ჰქონოდა საუკეთესო ხელნაწერები,

²⁵² იხ. ამ წიგნის გვ. 77—80, 86—88.

²⁵³ ვლახეთის მთავარი 1632—1654 წწ.

²⁵⁴ V. Molin... გვ. 332.

²⁵⁵ „სახარება“, 1709.

²⁵⁶ „კურთხევაი“, 1713.

როგორც ხუცურის, აგრეთვე მხედრულისა, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ იგი ამ შრიფტების პუნსონებს, მატრიცებს და მით უფრო ლიტერებს ვერ დაამზადებდა. ვეჭვობთ, რომ უნგროვლახეთში ასეთი ხელნაწერები ყოფილიყოს²⁵⁷.

არავინ საკამათოს არ ხდის იმას, რომ საერთოდ მესტამბენი შრიფტს საუკეთესო ხელნაწერების მიხედვით აკეთებდნენ. მარამ დავეუშვათ და ანთიმ ივერიელს მართლაც არ შეიძლება ჰქონოდა ვლახეთში ხუცური და მხედრული ქართული ხელნაწერები. ასეთ შემთხვევაში რატომ უნდა დავხუჭოთ თვალები იმ ფაქტზე, რომ ანთიმ ივერიელი არა მარტო ბრწყინვალე მესტამბე იყო, არამედ შესანიშნავი კალიგრაფიც²⁵⁸. განა გამორიცხულია, რომ ქართული ხელოვნების ტრადიციებზე ჩამოყალიბებული არამც თუ მარტო მხატვარი, გრაფიკორი და ხელოვნობის მკვლევარი, არამედ კალიგრაფიც, თავის დროზე თვით ყოფილიყო დამწერი დღემდე ჩვენთვის უცნობი ან დაკარგული რომელიმე ქართული ხელნაწერისა. აქედან გამომდინარე, მესტამბე ანთიმ ივერიელისათვის, რომელმაც 8-9 თვის განმავლობაში შესძლო ურთულესი არაბული შრიფტის არა მარტო დამზადება, არამედ წიგნის დაბეჭდვაც ამ ენაზე, ვფიქრობთ შეუძლებელი როდი უნდა ყოფილიყო მშობლიურ ენაზე შრიფტის დამზადება.

მაგრამ ჩვენ აქ კითხვას ვსვამთ არა იმ გაგებით, შეძლებდა თუ არა ანთიმ ივერიელი ქართული შრიფტის დამზადებას, არამედ იმ კუთხით, რამდენად მიზანშეწონილი იყო საქართველოში წიგნის დასაბეჭდად გამიზნული შრიფტის დამზადება ვლახეთში?

ცხადია, როდესაც ვლახეთში გადაწყვიტეს დახმარება აღმოეჩინათ ქართველებისათვის პირველი ეროვნული სტამბის დაარსების საქმეში, ბუნებრივია, ანთიმ ივერიელის წინაშე წამოიჭრებოდა საკითხი, თუ სახელდობრ მესტამბე მიხაილ იშტევანოვიჩთან ერთად რა უნდა გაეგზავნათ საქართველოში. სასტამბო დაზგისა და იარაღების ადგილობრივ დამზადების აუცილებლობას მოითხოვდა მიხაილ იშტევანოვიჩის მიერ ტრანსილვანიაში წიგნების ბეჭდვის გამოცდილების მაგალითი. როგორც ვიცით, სწორედ საბეჭდი დაზგის უვარჯისობის მიზეზით მიხაილ იშტევანოვიჩის მიერ ტრანსილვანიაში გამოცემული წიგნების პოლიგრაფიული მხარე უხარისხო იყო²⁵⁹. მიუხედავად იმისა, რომ თვით კონსტანტინე ბრინკოვიანუ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა

²⁵⁷ ბ. გორდეზიანი, ქართული მხედრული შრიფტი, 1955, გვ. 43.

²⁵⁸ V. Bratulescu, Antim Ivireanul miniaturist si sculptor, გვ. 766—774.

²⁵⁹ V. Molin... გვ. 321.

მიხაილ იშტვანოვიჩის ამ მისიამ²⁰, ცნობილმა მესტამბემ, ჩანს, ადგილობრივ ვერ შესძლო საბეჭდი დაზგის განახლება და აქედან გამომდინარე წიგნის პოლიგრაფიული დონის გაუმჯობესება. ამ ფაქტის გათვალისწინების შემდეგ, ცხადია, ანთიმ ივერიელი ხელცარიელს აღარ გაუშვებდა მესტამბეს, მითუმეტეს იმ ქვეყანაში, სადაც საერთოდ არ არსებობდა წიგნის ბეჭდვის ტრადიციები. ვლახეთშივე უზრუნველყოფდა იგი საბეჭდი დაზგისა და სხვა სასტამბო იარაღების დამზადებას, რითაც აღჭურვავედა საქართველოში მიმავალ მიხაილ იშტვანოვიჩს.

მაგრამ არსებობდა თუ არა ამ თვალსაზრისით ქართული სტამბისათვის შრიფტის დამზადების აუცილებლობა თვით ვლახეთში?

ანთიმ ივერიელი, ბუნებრივია, დაინტერესებული იქნებოდა საქართველოში არა მარტო წიგნების გამოცემის საკითხით, არამედ იმითაც, რომ ეს წიგნები დაბეჭდილი ყოფილიყო ლამაზი და სრულყოფილი შრიფტით. სრულყოფილი შრიფტის დამზადებაში კი თვით დახელოვნებული მესტამბის ავტორობის შემთხვევაშიც, არა მცირე როლს თამაშობდა ის გარემოება, თუ რომელ ხელნაწერიდან, რომელი შრიფტის დედნიდან იქნებოდა დამზადებული ასოები. შრიფტის დამზადების ეს აუცილებელი პირობა, ექვს გარეშეა, პირველ რიგში კარგად იყო ცნობილი თვით ანთიმ ივერიელისათვის. გარდა ამისა, რასაკვირველია, მან იცოდა, რომ სწორედ საქართველოში, სადაც უნდა დაბეჭდილიყო ქართული წიგნი, მოიძებნებოდა მრავალი ნიმუში ბრწყინვალე ქართული ხელნაწერისა, რომელთაგან ვახტანგ VI-ს თავისუფლად შეეძლო აერჩია საუკეთესო და მისი მიხედვით დაეკეთა შრიფტი.

თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოთქმულს, ცხადია, არც არავითარი აზრი და არც აუცილებლობა არ არსებობდა იმისა, რომ ანთიმ ივერიელს თბილისის სტამბისათვის გამიზნული შრიფტი დაემზადებინა ადგილობრივ, ვლახეთში, მითუმეტეს, იგი თბილისში გზავნიდა საყოველთაოდ სახელმძოვნილ მესტამბეს, რომელიც ხელნაწერების მიხედვით სხვადასხვა შრიფტის დამზადების საქმეში ახალბედა არ ყოფილა.

ამრიგად, თუ საჭიროება მოითხოვდა, რომ თბილისის პირველი სტამბისათვის განკუთვნილი საბეჭდი დაზგა და სხვა სასტამბო იარაღები ვლახეთში უნდა დამზადებულიყო, ამის არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა შრიფტის გაკეთების მხრივ. ამიტომაც იყო, რომ

²⁰⁰ I. R a m u r e a n u. Mitropolitul Antim Ivireanul aparator al Romnilor ortodocsi din Transilvania. გვ. 836—837.

მიხაილ იშტვანოვიჩი მის მიერ თბილისის სტამბის გამართვაში შეტანილი წვლილის შესახებ შემდეგს ამბობდა: „ხოლო ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხილვებიან — ასონი, ორღანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისა, დაწყებით სრულყოფამდე, მოქმედი და წინამძღოლი მე ვარ...“²⁶¹.

აღნიშნულ საკითხში მეტი გარკვეულობის შესატანად ჩვენ საქიროდ ვთვლით მოვიყვანოთ ციტატა ბ. გორდეზიანის ნაშრომიდან, რომელშიაც იგი ეკამათება, შ. კვასხვაძეს. ბ. გორდეზიანი წერს: შ. კვასხვაძე „იზიარებს რა იმ აზრს, რომ დედნები (თბილისის სტამბის შრიფტის — ო გ.) უნდა იყოს შექმნილი ქართველი კალიგრაფის მიერ, იგი გაკვირვებით კითხულობს: „თუკი ქართველი მხატვრები ასრულებდნენ დედნებს, მაშინ როგორღა უნდა მიეწეროს „დაწყებით სრულყოფამდე ყოველნი სახმარნის შექმნა“ უნგროვლახელს, როგორც ამას ფიქრობს ბ. გორდეზიანი და მასთან ერთად სხვა მკვლევრებიცო“. ამხ. შ. კვასხვაძეს ჰგონია, რომ მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში შრიფტის შექმნა მხოლოდ „ტექნიკური ხასიათის სამუშაო იყო“. მას ავიწყლება, რომ იმ ხანებში შრიფტის შექმნა ორ შემოქმედებით პროცესს შეიცავდა: ერთი იყო დედნის დამზადება (მხატვრული მხარე), მეორე მისი პოლიგრაფიული განსახიერება (მოძრავი ასოს შექმნა). როდესაც შრიფტების მექანიზებული წარმოება არ არსებობდა, ყველაფერი ხელით კეთდებოდა და არანაკლებ იყო დამოკიდებული შრიფტის ხარისხი მის ამოჭრა-ჩამოსხმაზე, ვიდრე დედანზე. შრიფტის კეთების დროს იწყებოდა მეორე შემოქმედებითი პროცესი სუფთა პოლიგრაფიული ხასიათის (შრიფტის ხაზის დადგენა, შტრიხის დაზუსტება, აპროშების გამოანგარიშება, სერიფების თანაბრობა და სხვ.) აი, ამ მეორე შემოქმედებით მოღვაწეობას ვგულისხმობდით, როდესაც ზემოთ მოტანილ აზრს გამოვთქვამდით და აქ, როგორც ვხედავთ, არავითარ წინააღმდეგობას არა აქვს ადგილი. ამ წინააღმდეგობას არ ხედავდნენ არც ვახტანგი და არც მისი თანამედროვენი, როდესაც უნგროვლახელს უდასტურებდნენ შრიფტების „დაწყებით სრულყოფამდე შექმნას“²⁶².

ორიოდე სიტყვით შევეზოთ იმ საკითხს, თუ ვისი ნახელავი უნდა ყოფილიყო პირველ ქართულ ეროვნულ სტამბაში დაბეჭდილი წიგნების შემკულობანი.

დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული შ. კვასხვაძეს პირველნაბეჭდი

²⁶¹ „სახარება“, 1709.

²⁶² ბ. გორდეზიანი, ქართული მხედრული შრიფტი, 1955, გვ. 53—54.

ქართული წიგნების გაფორმება-კაზმულობის შესასწავლად²⁶³. მკვლევარი თავის ნაშრომში ნაწილობრივ ეხება აგრეთვე იმ საკითხსაც, თუ რა შეფარდებაშია თბილისის პირველ სტამბაში დაბეჭდილი წიგნების ილუსტრაციები, თავბოლოკაზმულობანი და სხვა შემკულობანი ანთიმ ივერიელის მიერ ვლახეთში დაბეჭდილ წიგნების მხატვრულ გაფორმებასთან. შაგრამ საბოლოო და კომპეტენტური დასკვნის გამოსატანად საკმარისი არაა თითო-ორი ნიმუშის მიხედვით მსჯელობა, საჭიროა მთლიანად შედარებულ იქნას ქართული პირველნაბეჭდი ყველა 10 წიგნი ვლახეთში დაბეჭდილ თითქმის 64 წიგნთან. ეს კი, რასაკვირველია, სპეციალური კვლევის საგანია და ამიტომაც ჩვენ აქ აღარ შევჩერდებით მასზე. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ რუმინეთში ყოფნის დროს ნ. ბერძენიშვილისათვის ორი წიგნი უჩვენებიათ, „...ერთი ანთიმოზის ზელითაა ნაწერი და მის მიერვეა მოხატული (ლოცვანი?)“²⁶⁴ — წერს ნ. ბერძენიშვილი, — მეორე არაბულ ენაზე ნაბეჭდი სახარებაა. ორივე ამ წიგნის მოკაზმულობა ისეთივე ხასიათისაა, როგორც ქართული სახარებისა, ხოლო ზოგიერთი სამკაული არაბული სახარებისა სრულიად იგივეა, რაც ქართული სახარებისა. ასე რომ, შეიძლება უექვოდ აღვნიშნოს საერთო წარმომავლობა არაბულ-ქართული სტამბური სახარებისა და ანთიმოზის ხელნაწერი წიგნის მოხატულობისა²⁶⁵. ხოლო გ. ლეონიძის თვალსაზრისით: „...ხსენებულ წიგნთა (რუმინულ წიგნთა — ო. გ.) ზოგი სამკაული ვახტანგისეულ ნაბეჭდ წიგნების მოკაზმულობას დეტალებში უნდა წაავადეს. აქაც ანთიმის ხელი უნდა ერიოს“²⁶⁶.

რასაკვირველია, ეჭვი არავის ეპარება, რომ პირველნაბეჭდ ქართული წიგნების გაფორმებაში ქართველი მხატვრები და ოსტატები იღებდნენ მონაწილეობას. შ. კვასხვაძემ ერთ-ერთი მათგანის გვარიც ამოიკითხა „სამოციქულოში“ მოთავსებულ პავლე მოციქულის გრაფიურაზე²⁶⁷, ხოლო ბ. გორდეზიანის დაკვირვებით ზოგიერთ სურათზე

²⁶³ შ. კ ვ ა ს ხ ვ ა ძ ე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, 1952.

²⁶⁴ აღნიშნული ხელნაწერი არ შეიძლება ყოფილიყო „ლოცვანი“, როგორც ამას ფიქრობს ნ. ბერძენიშვილი. ანთიმ ივერიელის ხელნაწერებიდან ცნობილია ექვსი ხელნაწერი: 1. ე. წ. ანთიმის რეესტრი, რომელშიაც აღწერილია ტირაგოვიშტეს სამიტროპოლიტოს ქონება, წიგნები, დოკუმენტები და სხვა. 2. ვლახეთის ისტორია დაწყებული ქრისტიანობიდან, 3. ძველი და ახალი აღთქმა. 4. სწავლებანი. 5. ლეთისმსახურება წმ. ანთიმისა, ეპისკოპოსისა ნიკომიდისა. 6. „ყოვლად წმიდათა“ მონასტრის წესდება.

²⁶⁵ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ძლევაჲ, რუმინია-ბულგარეთში მოგზაურობიდან 1949, გვ. 63.

²⁶⁶ „დროშა“, 1951, № 2, გვ. 17.

²⁶⁷ შ. კ ვ ა ს ხ ვ ა ძ ე, ვახტანგ VI სტამბის წიგნები, 1952, გვ. 72.

წარწერების შემსრულებლეს არ ეხერხება ასომთავრული წერა, უამრავ შეცდომებს უშვებს, რომ „ამ სურათებს ოსტატობის მხრივ საერთო არაფერი აქვთ ქართულ წარწერებთან“²⁶⁸. რასაკვირველია, საესებით სწორია ქ. შარაშიძე, როდესაც იგი წერს: „ვახტანგის სტამბის წიგნის შემკულობა, საერთოდ, სპეციალურსა და დიჩქ კვლევას მოითხოვს. სახიფათოა როგორც ყველა შემკულობის ქართულად გამოცხადება, აგრეთვე ხელალებით ყველაფრის გარედან მოტანილად ცნობა“²⁶⁹.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ მხოლოდ ერთ საკითხზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. ეს არის ღერბის საკითხი, რისთვისაც შ. კვასხვაძეს თავის წიგნში სპეციალური თავი აქვს დათმობილი. მკვლევარს საშუალება ჰქონდა გასცნობოდა გ. ლეონიძის მიერ რუმინეთიდან ჩამოტანილ ფოტომასალას. ამ ფოტოკოლექციაში დაცულია ერთი ფოტოპირი, რომელიც წარმოადგენს უგნრო-ვლახეთის მიტროპოლიტის ანთიმ ივერიელის ღერბს. ღერბი შესრულებულია თვით ანთიმ ივერიელის მიერ. შ. კვასხვაძეს რატომღაც ჰგონებია, რომ ღერბის ფოტოპირი გადმოღებული ყოფილა 1713 წელს ანთიმ ივერიელის მიერ ვლახეთში დაბეჭდილი წიგნიდან. სინამდვილეში ამ ღერბის ფოტოპირი გაკეთებულია ანთიმ ივერიელის ხელნაწერიდან²⁷⁰. ამიტომ მსჯელობა იმის შესახებ, იყენებდა თუ არა ანთიმ ივერიელი ვლახეთში გამოცემულ წიგნებში თავის ღერბს, ანდა აქედან გამომდინარე, ზოგიერთი პარალელის გატარება, ყოველგვარ საფუძველსა მოკლებული²⁷¹. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ანთიმ ივერიელის დროს ვლახეთში დაბეჭდილ არც ერთ წიგნში არაა დართული უგნრო-ვლახეთის მიტროპოლიტის ანთიმ ივერიელის ღერბი²⁷².

²⁶⁸ „მნათობი“, 1953, № 7, გვ. 174.

²⁶⁹ ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), 1955, გვ. 106.

²⁷⁰ ანთიმ ივერიელმა მის მიერ დაარსებულ „ყოვლად წმიდათა“ მონასტრისათვის შეადგინა წესდება. წესდება დაწერილია თვით ანთიმ ივერიელის ხელით, ხოლო ამ წესდების მეორე გვერდზე მოთავსებულია ანთიმ ივერიელის ხელითვე შესრულებული უგნრო-ვლახეთის მიტროპოლიტის ღერბი. Academia R.P.R. manuscrisul rominesc nr. 3342.

²⁷¹ ანთიმ ივერიელის „ღერბის ფოტოპირი, — წერს შ. კვასხვაძე, — გადმოღებულია 1713 წელს გამოცემული წიგნიდან. თარიღის მიხედვით (1713) ჩანს, რომ ვახტანგის სტამბის წიგნში, ღერბის წიგნში გამოყენების შემთხვევა (1709) გ. ლეონიძის კოლექციაში დაცულ ღერბის მიხედვით მითითებულ მაგალითს ქრონოლოგიურად წინ უსწრებს... შაშასადაძე, ლაპარაკი გველანაზე აქ შეუსაბამოა“. (შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, 1952, გვ. 211).

²⁷² Biserica Ortodoxa, Romina, № 8—9, 1956, გვ. 701—702.

რაც შეეხება წიგნებში, საერთოდ, ღერბის გამოყენების საკითხს, შ. კვასხვაძე წერს: „...ა. შანიძის პუბლიკაციით ცნობილია, რომ თითქოს: „ანთიმოზ ქართველის მიერ დაბეჭდილ წიგნებზე, თანახმად პიკოს აღწერილობისა, ხშირად მოიპოვება ვლახეთის მთავრის ღერბი. მაგრამ ასეთი ღერბის არსებობაზე არც გ. ლეონიძე უთითებს და არც ფოტომასალა იძლევა ამის მტკიცების საშუალებას... თუ გამოირკვა ღერბის არსებობა, მაშინ გასარკვევი იქნება, თუ რას წარმოადგენს იგი ვახტანგის წიგნის ღერბთან შედარებით? კერძოდ კი, ვისია ეს ღერბი? ანთიმოზ ივერიელისა, როგორც ამაზე მიუთითებს გ. ლეონიძის კოლექციაში დაცული ფოტოპირი, თუ ვლახეთის მთავრისა, როგორც ამას ამბობს ა. შანიძე პიკოს დამოწმებით... მხოლოდ ამ საკითხების გარკვევის შემდეგ შეიძლება გადაწყდეს საქმე ქართულ წიგნებში ღერბის გამოყენების ტრადიციის გენეზისისა და მისი ორიგინალობის საკითხიც“²⁷³. მაგრამ, ჩანს, შ. კვასხვაძეს გადაწყვეტილად მიაჩნია, რომ სწორედ საქართველოს ეკუთვნის პრიორიტეტი წიგნებში სახელმწიფოს ღერბის გამოყენებისა, რადგან, მისი სიტყვებით, უპრეცედენტოა ქართულ წიგნში სამეფო ღერბის მოთავსების ტრადიცია²⁷⁴.

შევეცდებით შეძლებისდაგვარად გავცეთ პასუხი შ. კვასხვაძის მიერ დასმულ კითხვებს. პირველსავე წიგნში — „ნა თავი ბერძენთა თეითმპყრობელის ბასილი მაკედონელის შეგნებათა“, რომელიც დაბეჭდა ანთიმ ივერიელმა ვლახეთში, მოთავსებულია ღერბი. ეს სამეფო ღერბია. ღერბი მოთავსებულია ფოთლოვანი ორნამენტის ოთხკუთხოვან ჩარჩოში. ჩარჩოს ოთხივე კუთხეში ჩახატულია ანგელოზების თავები. ჩარჩოს შიგნით, ღერბის კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია ფრთებგაშლილი არწივი. მას ნისკარტში ჯვარი უკავია. არწივის გამოსახულების ოდნავ ზევით, მარცხნივ და მარჯვნივ არე შევსებულია მზითა და მთვარით. არწივი, მზე და მთვარე მოთავსებულია მედალიონისებურ ოვალურ წრეში, რომელიც შემოფარგლულია სადასახეებიანი ორნამენტებით. მას კი, თავის მხრივ, შემოვლებული აქვს ფოთლოვანი ორნამენტი. მედალიონისებური ოვალური წრე ზემოთ იხსნება და ფოთლოვანი ორნამენტული ღეროთი უკავშირდება გადაჯვარედინებულ ხმალსა და სამეფო სკიპტრას. ხმალსა და სამეფო სკიპტრას შორის არე შევსებულია სამეფო გვირგვინით. მედალიონი დაყრდნობილია ფრთებგაშლილ ანგელოზზე. მედალიონისებურ ოვალური წრის მარცხნივ და მარჯვნივ ორი ანგელოზია გამოსახული, რო-

²⁷³ შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, გვ. 212.

²⁷⁴ იქვე, გვ. 218.

მლებიც შერწყმულნი არიან ფოთლოვან ორნამენტის წრეში. არე ოთხკუთხოვან ჩარჩოსა და მედალიონისებურ ოვალურ წრეს შორის შევსებულია კონსტანტინე ბრინკოვიანუს ინიციალებით²⁷⁵. სამეფო ღერბი კონსტანტინე ბრინკოვიანუს ინიციალებით დართული აქვს ანთიმ ივერიელის დროს ვლახეთში დაბეჭდილ ყველა წიგნს²⁷⁶.

როგორც ვხედავთ, ვიდრე თბილისის პირველ სტამბაში დაიბეჭდებოდა წიგნები, სამეფო ღერბის წიგნებში გამოყენების ტრადიციას ადგილი ჰქონებია ვლახეთში, და, ცხადია, რომ სწორედ ამ ტრადიციის გავლენით, რომელსაც საქართველოში, ექვს გარეშეა, შემოიტანდა მიხაილ იშტვანოვიჩი, შემოღებულ იქნა ქართულ წიგნებში სამეფო ღერბის მოთავსების წესი.

კიდევ ღერბთან დაკავშირებით. შ. კვასხვაძე აღნიშნავს: „ვახტანგის წიგნის ღერბი გრავიურებულია ხეზე და დაბეჭდილია წიგნის ბეჭდვის ერთდროულად, იგი არაა ხელით ჩაბეჭდილი, ტექსტის ბეჭდვის დამთავრების შემდეგ. ასე რომ ვახტანგის წიგნის ღერბი ანაწყობი გვერდის მთლიანი ორგანული შემადგენელი ელემენტია, წიგნის არქიტექტონიკის განუყოფელი ნაწილია. რაც შეეხება ანთიმოზის ბერძნულ-არაბულ „უამნის“ კლიშედან აღბეჭდილ სურათს, წარმოადგენილს ა. შანიძის წერილში მოთავსებული ანაბეჭდის მიხედვით, იგი არაა წიგნის ბეჭდვის ერთდროული, იგი ხელითაა აღბეჭდილი... ამის დამტკიცების უფლებას ყოველ შემთხვევაში გვაძლევს „ლიტერატურულ მეგვიდრობაში“ მოთავსებული ანაბეჭდის ის ცინკოგრაფიული ესტამპი, რომელიც წიგნში ალბათ დებულების დასასაბუთებლადაა მოტანილი“²⁷⁷.

ახლავე ავხსნით რას ეხება შ. კვასხვაძის წიგნიდან ჩვენს მიერ მოტანილი ციტატა. 1935 წელს ა. შანიძემ „ლიტერატურულ მეგვიდრობაში“ გამოქვეყნებულ წერილს დაურთო ფოტოაბრი, რომელიც წარმოადგენს ანთიმ ივერიელის მიერ 1702 წელს ვლახეთში გამოცემულ ბერძნულ-არაბული „უამნის“ თავფურცელს. ამ ფოტოაბრიზე მართლაც დასმულია, როგორც საეხებით სწორად აღნიშნავს შ. კვასხვაძე, რაღაც ბეჭედი ან შტამპი²⁷⁸. ამაში ეჭვი არავის არ ეპარება. მაგრამ ვინ სთქვა, რომ ეს ბეჭედი ან შტამპი თითქოს ყოფილიყოს ვლახეთის სამეფო ღერბი? ჩვენ უკვე აღწერეთ, თუ რას წარმოადგენდა

²⁷⁵ V. Bratulescu, Antim Ivireanul miniaturist si sculptor, გვ. 768—770; Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 722.

²⁷⁶ Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 701—756.

²⁷⁷ შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამპის წიგნი, 1952, გვ. 193—194.

²⁷⁸ იქვე, გვ. 194.

ვლახეთის სამეფო ღერბი კონსტანტინე ბრინკოვიანუს ინიციალებით. რაც შეეხება ბერძნულ-არაბულ „ჟამნზე“ დასმულ ბეჭედს, მისი საერთოდ შედარებაც კი არ შეიძლება ვლახეთის სამეფო ღერბთან. შ. კვასტვაძის აზრით, ა. შანიძემ იმიტომ გამოაქვეყნა „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“ ბეჭდიანი თუ შტამპიანი „ჟამნის“ თავფურცელი, რათა დაესაბუთებინა დებულება პირველი ქართული წიგნების ბეჭდვის პრაქტიკაში ღერბის გამოყენების წესის ვლახეთიდან გადმოტანის შესახებ. ჯერ ერთი, ა. შანიძე არასდროს არ ცდილა, რომ ბერძნულ-არაბულ „ჟამნზე“ დასმული ბეჭედი გაეიგივებინა ვლახეთის სამეფო ღერბთან და აქედან გამომდინარე წარმოეყენებინა ზემოაღნიშნული დებულება. მეორეც, ის რომ ა. შანიძე თავისი თვალსაზრისის გამოთქმის დროს ეყრდნობოდა პიკოს, რომელიც მიუთითებს ანთიმ ივერიელის მიერ 1702 წელს დაბეჭდილ ბერძნულ-არაბულ „ჟამნში“ ვლახეთის სამეფო ღერბის გამოყენების ფაქტზე. მაგრამ რომელ ღერბს გულისხმობს თავის მხრივ პიკო: „ჟამნის“ თავფურცელზე დასმულ ბეჭედს ანუ შტამპს? რასაკვირველია, არა²⁷⁹. პიკოს მხედველობაში აქვს „ჟამნის“ თავფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებული ღერბი, რომელიც წარმოადგენს ყვავილოვან ორნამენტის ჩარჩოში ჩასმულ მედალიონისებურ ოვალურ წრეს, ცენტრში ფრთებგაშლილი არწივით და ა. შ.

რაც შეეხება შ. კვასტვაძის სიტყვებს, რომ ვახტანგის წიგნის ღერბი „დაბეჭდილია წიგნის ბეჭდვის ერთდროულად“ და წარმოადგენს ანაწყობი გვერდის მთლიან ორგანულ შემადგენელ ელემენტს, უნდა ითქვას, რომ სწორედ ასეთი წესით იბეჭდებოდა ვლახეთის წიგნებში სამეფო ღერბი. მაგალითისათვის ავიღოთ ანთიმ ივერიელის მიერ 1693 წელს ბუქარესტში გამოცემული „სახარება“ ბერძნულ-რუმინულ ენებზე. წიგნის თავფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებულია ვლახეთის სამეფო ღერბი. ღერბის ქვეშ დაბეჭდილია სიტყვები: „წყალობითა ღვთისა იოანე კონსტანტინე ბრინკოვიანუ ბესარაბი მთავარი და მბრძანებელი ყოვლისა ვლახეთისა“²⁸⁰. ამ სტრიქონების ქვეშ კი, დაბეჭდილია რვასტრიქონიანი ლექსი, მიძღვნილი კონსტანტინე ბრინკოვიან-

²⁷⁹ E. Picot... გვ. 542 ე. პიკოს, თავის მხრივ, ცნობა ვლახეთის ღერბის „ჟამნში“ მოთავსების შესახებ, რომელსაც ქვეით მიბეჭდილი აქვს ლექსი ბერძნულ ენაზე, აღებული აქვს სილვესტრ დე სასის ნაშრომიდან. E. Picot... გვ. 542.

²⁸⁰ 1709 წელს თბილისში დაბეჭდილი სამოციქულოში მოთავსებულ ღერბს შემდეგი წარწერა აქვს გაკეთებული ასომთავრულით: წლდამგვს, რაც მ. ბროსეს განმარტებით უნდა ნიშნავდეს: „წყალობითა ღმრთისათა დაითიან პანკრატონი მეფე გიორგი ყოვლისა საქართველოსი“. (ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722) 1955, გვ. 117).

ნუსადმი²⁸¹. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ვლახეთში ანთიმ ივე-რიელის დროს გამოცემულ ყველა წიგნში, ღერბი დაბეჭდილია წიგნის ტექსტთან ერთად. (როგორც წესი, ვლახეთში გამოცემულ წიგნში ღერბი თავსდებოდა წიგნის თავფურცლის მეორე გვერდზე), ასევე — 1709 წელს თბილისში დაბეჭდილ „სამოციქულოდან“ დაწყებული 1722 წლის „ქამნით“ დამთავრებული ყველა გამოცემის თავფურცლის მეორე გვერდზე ვხედავთ ბაგრატიონთა სამეფო ღერბს.

ამრიგად, დებულება იმის შესახებ, რომ უპრეცედენტოა პირველ ქართულ წიგნებში სამეფო ღერბის მოთავსების ტრადიცია, არ შეესაბამება სიმართლეს.

ბოლოს კიდევ ერთი საკითხის ირგვლივ. ეს ეხება 1711 წელს თბილისში დაბეჭდილ „დავითნში“ მოთავსებულ გრავეურის ესტამპს „დავით წინასწარმეტყველის“ გამოსახულებით. შ. კვასხვაძე წერს: „...კომპოზიციის ცენტრი დავით მეფის გამოსახულებას უკავია, ფიგურის ტორსი დიდი ბუნებრივობითა და ანატომიის ცოდნითაა აგებული. იგი კომპოზიციის ცენტრის ვერტიკალურ ღერძიდან გადაწეულია ოდნავ მარცხნივ, ისე, რომ მხატვრისეული გამოსახვის კომპოზიციის სიმეტრიული ღერძი გატარებულია ფიგურის გვირგვინით შემოსაღ თავზე. უკანა პლანზე სურათისა, ნალისებრ კამარიანი (ნიშანდობლივი და დამახასიათებელი ქართული არქიტექტურისათვის) მარმარილოს სვეტებზე დაყრდნობილი თაღია გამოსახული. თაღის ცენტრზე ზემოდან ჰაღია დაშვებული, რითაც მხატვრის მიერ მიღწეულია თაღის კომპოზიციური, სიმეტრიული დაყოფა. კამარის მოხატულობა, მისი არშიის მოტივი, — ნახატში, ქართულ ფრესკებსა თუ მინიატურებში საკმაოდ გავრცელებულ ნოხისებრ ორნამენტს იძლევა... მარჯვნივ სურათზე გამოსახულია არქიტექტურული პეიზაჟი, მარცხნივ კი დავითის ქნარი. წინ ფონი სურათისა პარკეტისებური მოტივითაა მოხატული, ამ არეში დგას სუფრა გადაფარებული მაგიდა. დავითს ფეხები ულაგია ერთგვარ პლინტის მაგვარ გამოსახულებაზე, რომლის ორნამენტული ნახატის არშია დამახასიათებელია როგორც ქართული კედლის მხატვრობის ძეგლებისათვის, ისე საქანდაკო ჩუქურთმისათვისაც... ოსტატურადაა გადმოცემული დავითის შესამოსელი. მხატვრის ცოდნას აჩვენებს ასევე და მისი ხელის გაწაფულობას მოწმობს კომპოზიციისაში მოცემული ფიგურის დაყენების გადაწყვეტა და მისი ნახატი. დავითს მარცხენა ხელში უჭირავს წიგნი, მარჯვენაში კი ბატისფრთის საწერკალამი და წერს. „დავითნში“ ამ გრავეურის მიხედვით

²⁸¹ Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 704.

აღბეჭდილი ესტამპი ვახტანგის სტამბის საერთო სტილში დგას, მაგრამ მისთვის უფრო მეტად მაინც ქართული მინიატურის სტილისტიკური ნიშნები და მანერაა დამახასიათებელი. ამ ესტამპს, გრავიურადან, მეტად აქვს საერთო ქართული ხელნაწერი წიგნების ტრადიციებთან, ვიდრე მონუმენტური მხატვრობის ნიმუშებთან. მთლიანი სასურთო კომპოზიციის კუთხეები შევსებულია სამკუთხედის სქემაში ჩაწერილი ყვავილთა ორნამენტებით²⁸².

გარდა ამისა შ. კვასხვაძე თავის წიგნში განსაკუთრებით უსვამს ხაზს ილუსტრაციისა და მისი ორნამენტული სამკაულის — ჩარჩოს — ერთდროულად გრავირების საკითხს „დავით წინასწარმეტყველის“ ესტამპის მაგალითზე. იგი წერს: „დავითში“ ჩვენ აგრეთვე გვხვდება არა ნაწყობი, არამედ საგრავეიურო დაფაზე ნაკვეთი ჩარჩოებიც, რაც დღემდე არავის არ შეუნიშნავს და არც აღუნიშნავს. ესაა ის ჩარჩო, რომელიც... წარმოდგენილია ოვალური წრის ზემოთ, ირგვლივ „ოთხკუთხედი წრის სახით“ და რომლის კუთხეები ამოვსებულია ყვავილოვანი შემკულობით. ეს ჩარჩო საინტერესოა არა მარტო ქართული გრავეიურის ისტორიის თვალსაზრისით, არამედ მხატვრულადაც. იგი აქ, მხატვრის მიერ საგრავეიურო დაფაზე, — სურათის მთლიანი წიგნის გვერდის კომპოზიციასთან — საგრავეიურო დაფასთან და მის სქემასთან ამოცანის მხატვრულად შეთანხმებული გადაწყვეტის ნიმუშია“²⁸³.

შ. კვასხვაძე აქ აღნიშნული დაკვირვების შედეგად მიდის იმ დასკვნამდე, რომ „დავითში“ აღბეჭდილი გრავეიურის ესტამპი „დავით წინასწარმეტყველის“ გამოსახულებით „უდავოდ ადასტურებს ამ გრავეიურის ადგილობრივს, თბილისურ — განსაკუთრებით კი მის ქართულ წარმოშობას“²⁸⁴.

მკითხველი, ცხადია, დაინტერესდება, თუ რატომ ვცანით ჩვენ საპიროდ ასე დეტალურად გადმოგვეცა შ. კვასხვაძის მიერ აღწერილი და შეფასებული „დავით წინასწარმეტყველის“ გრავეიურის ესტამპი. რა საერთო უნდა ჰქონდეს მას ვლახეთში გამოცემული წიგნების მხატვრულ გაფორმებასთან? შეგვიძლია ვუპასუხოთ. ჩვენ იმიტომ ვცანით საპიროდ ასე დეტალურად გადმოგვეცა 1711 წელს თბილისში დაბეჭდილ „დავითში“ მოთავსებული „დავით წინასწარმეტყველის“ გრავეიურის აღწერილობა, რადგან ამაზე ხელმეორედ აღარ დაგვენარჩა დრო და ადგილი, ვლახეთში დაბეჭდილ წიგნში მოთავ-

²⁸² შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, 1959, გვ. 150—151.

²⁸³ იქვე, გვ. 146.

²⁸⁴ იქვე, გვ. 148.

სებული „დავით წინასწარმეტყველის“ გრავეურის აღწერილობის გადმოცემაზე. თბილისის „დავითში“ ასახული „დავით წინასწარმეტყველის“ გრავეურა იდენტურია 1694 წელს ანთიმ ივერიელს მიერ სნაგოვოში გამოცემული „დავითში“ მოთავსებული „დავით წინასწარმეტყველის“ გრავეურისა. ჩვენ აქ არ გვაქვს საშუალება ფოტომასალით მოვახდინოთ ამ ფაქტის დემონსტრირება. დაინტერესებულ პირთ კი შეუძლიათ მიმართონ რუმინულ წყაროს²⁸⁵. გრავეურებს შორის არსებული განსხვავება მხოლოდ შემდეგში გამოიხატება. მედალიონისებურ ორმაგ წრეში, რომელშიაც ჩასმულია 1711 წლის „დავითის“ „დავით წინასწარმეტყველის“ გრავეურა, ასომთავრული ასოებითაა ჩაწერილი „წმიდაო დავით მეოხ ცყავ ვახტანგს ხელთა ჩემთა ქმნეს საგალობელი და თითთა ჩემთა საქებელი“, 1694 წელს სნაგოვოში დაბეჭდილ „დავითში“ კი იკითხება რუმინულ ენაზე ჩაწერილი: „ხელთა ჩემთა ქმნეს ორღანონი“²⁸⁶, თითთა ჩემთა განასრულეს დავითნი“. აქედან გამომდინარე თბილისის 1711 წლის „დავითში“ მოთავსებული „დავით წინასწარმეტყველის“ გრავეურის დამზადების პირველადი წყარო ვლახეთიდან მომდინარეობს. მაგრამ ჩვენ სავსებით ვეთანხმებით შ. კვასხვაძეს, რომელიც 1711 წლის „დავითის“ „დავით წინასწარმეტყველის“ გრავეურის წარმოშობას ქართველ ხელოვანს უკავშირებს და განიხილავს აღნიშნულ გრავეურას, როგორც ქართული მინიატურის სტილისტიკური ნიშნებისა და მანერის მქონეს, რომელსაც ბევრი რამ აქვს საერთო ქართული ხელნაწერი წიგნების ტრადიციებთან. ეს ბუნებრივიცაა, რადგან 1694 წლის „დავითში“ მოთავსებულ გრავეურაზე არსებული რუმინული წარწერის მიხედვით გრავეორი და მბეჭდავი ერთიდაიგივე პიროვნებაა. ჩვენ კი ვიციტ, რომ „დავითში“ დაბეჭდა ანთიმ ივერიელმა, აქედან გამომდინარე, გრავეურის ავტორიც ანთიმ ივერიელი ყოფილა — ბრწყინვალე მინიატურისტი²⁸⁷ და შესანიშნავი ქართველი ხელოვანი.

²⁸⁵ Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 706.

²⁸⁶ რუმინულიდან «organe» ქართულად თარგმნება, სხვადასხვა მნიშვნელობასთან ერთად, როგორც მანქანის ნაწილები. უნდა ვიფიქროთ, რომ XVIII. დასასრულს ეს სიტყვა ვლახეთში იხმარებოდა როგორც სასტამბო იარაღის, ნაწილის, ანდა კლიშეს გაგებით, მსგავსად ქართული „ორღანონი“-სა. ამიტომაც ჩვენ რუმინული სიტყვა «organe» ვთარგმნეთ „ორღანონის“ გაგებით.

²⁸⁷ V. Bratulescu, Antim Ivireanul miniaturist si sculptor. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ანთიმ ივერიელის მიერ შესრულებულ ხელნაწერში «სახეები ძველსა და

1709 წელს თბილისში ამოქმედდა პირველი ეროვნული სტამბა. „მართალია, — წერს ა. შანიძე, — ქართული წიგნი თავის ბექდვის ისტორიას 1629 წლიდან იწყებს რომში, მაგრამ არსებითად რომ ვიძს-ჯელოთ, ქართულ ლიტერატურას ტექნიკური ბაზა ვახტანგ მეექვსემ შეუქმნა ტფილისში სტამბის დაარსებით“²⁸⁸. ამ სტამბაში ელახელი მესტამბე მიხაილ იშტევანოვიჩი „მხურვალთა გულითა“ შრომობდა²⁸⁹. მან შეასრულა ვახტანგ VI-თვის მიცემული სიტყვა, რომ გაამრავლებდა „საღმრთოს წიგნსა, აივსების ყოვლი არე“²⁹⁰.

მიხაილ იშტევანოვიჩმა 1709—1711 წლების განმავლობაში თბილისის სტამბაში დაბეჭდა ათი დასახელების წიგნი. ეს წიგნებია: „სახარება“, 1709; „დავითნი“, 1709; „სამოციქულო“, 1709; „კონდაკი“, 1710, „ჟამნი“, 1710; „ჟამნი“, 1710; „ლოცვანი“, 1710, „ბიბლია“, 1711; „დავითნი“, 1711; „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“, 1711; ჩვენ აქ აღარ შეეჩერდებით მიხაილ იშტევანოვიჩის მიერ თბილისის სტამბაში დაბეჭდილ წიგნების აღწერილობაზე და მხატვრულ-ტექნიკურ გაფორმებაზე, რადგან ეს საკითხები დეტალურად აქვთ განხილული თავიანთ ნაშრომებში პ. გუგუშვილს²⁹¹, ქ. შარაშიძეს²⁹², ბ. გორდეზიანსა²⁹³ და შ. კვასხვიძეს²⁹⁴. მოვიყვანთ მხოლოდ რუმინელი მკვლევარის ვ. მოლინის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც „სახარების“ ბექდვის ტექნიკა სატიტულო ფურცლიდან დაწყებული ბოლო გვერდამდე მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული: შრიფტი, შეკმულობა, საღებავი და სხვ.²⁹⁵.

1712 წლიდან მიხაილ იშტევანოვიჩის კვალი აღარ ჩანს საქართვე-

ხალ ალექსანდრეში“, რომელიც წარმოადგენს ბიბლიის ილუსტრირებულ ისტორიას, მოთავსებულია ხუთას ხუთი მინიატურა. მინიატურები, შესრულებული ანთიმ ივერიელის ხელით, ცხადყოფენ, მხატვრის შესანიშნავ ისტატობას. G. Stempel, Antim Ivi-reanul, Predici, 1962, გვ. 35.

²⁸⁸ ლიტერატურული შემკვიდრება, წიგ. 1, 1935, გვ. 156.

²⁸⁹ „ჟამნი“, 1710.

²⁹⁰ „ღროშა“, 1951, № 2, გვ. 18.

²⁹¹ პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი 1629—1929, 1929.

²⁹² ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), 1955.

²⁹³ ბ. გორდეზიანი, ქართული მხედრული შრიფტი, 1955.

²⁹⁴ შ. კვასხვიძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, 1952.

²⁹⁵ V. Molin... გვ. 334.

ლოში, თუმცა ქ. რაქველიშვილი²⁹⁶ და ზ. კიკინაძე ამტკიცებენ, რომ ელახელი მესტამბე საქართველოში დარჩენილა. „ამ მესტამბის შრომა — წერს ზ. კიკინაძე — ქართველ მეფეთაგანაც დიდად პატივცემულ და ღვაწლდებულ იქმნა, მიხაილი აზნაურისშვილობით იქმნა დაჯილდოვებული 1710 წელსვე²⁹⁷ ვახტანგ მეფისაგან. იგი საქართველოში დასახლდა, აქვე გარდაიცვალა“²⁹⁸. დ. კარიჭაშვილი წერს: „1712 წლიდან უკვე აღარ იხსენიება წიგნებში მიზეილ უნგროვლახელი და მის აღვილს სხვა იქერს სტამბაში. რასაკვირველია, შეიძლება მომკვდარიყო, მაგრამ უფრო დამაჯერებლად მიგვაჩნია, რომ ის წასულიყვეს საქართველოდან და რომ მისი წასვლის მიზეზი ყოფილიყვეს უსიამოვნება მას და ვახტანგს შორის და ამ უკანასკნელის წყრომა, ამას გვაფიქრებინებს ის მოსაზრება, რომ მისი სიკვდილი ან მშვიდობიანი წასვლა საქართველოდან არ შეიძლება არ ყოფილიყო სადმე მოხსენებული“²⁹⁹.

აღნიშნულ მოსაზრებებს მიხაილ იშტევანოვიჩის საქართველოში დარჩენისა და გარდაცვალების შესახებ უარყოფს შემდეგი დოკუმენტი. 1713 წლის 6 აპრილს ანთიმ ივერიელი წერდა იერუსალიმის პატრიარქს ქრიზანთეს: „ჩვენი მოწაფე მიხაილ, დღეს შესრულდება ერთი წელი, რაც ივერიიდან წამოვიდა, და როგორც შევიტყე მეტად ძნელი გზა განვლო დედაქალაქამდე, მაგრამ ღვთის წყალობითა და თქვენი ლოცვით ჯანმრთელად ჩასულა. მოისურვა რა დიდი ცოდნის შეძენა, იგი პოლანდიას გაემგზავრა. მაგრამ ჩვენ არ ვიცით რამდენ ხანს დარჩება იქ“³⁰⁰.

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, მიხაილ იშტევანოვიჩი საქართველოდან გამომგზავრებულა 1712 წლის აპრილში. მაგრამ ვიდრე გავაგრძელებდეთ ამ საკითხზე მსჯელობას, საჭიროდ ვთვლით მას ოდნავ გადავუხვიოთ.

ჩვენ ადრე გვეჩონდა აღნიშნული, რომ ანთიმ ივერიელის მიერ

²⁹⁶ ქ. რ ა ქ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სტამბის წიგნი, 1934.

²⁹⁷ ჯერჯერობით არავითარი სარწმუნო წყარო არ არსებობს იმისა, რომ მიხაილ იშტევანოვიჩისათვის აზნაურობა ებოძათ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ელახელი მესტამბის თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ვახტანგ VI-მ იგი „შეიყვარა, ვითა შვილი“ („დროშა“, 1951, № 2, გვ. 18) ადვილი შესაძლებელია, ეს განცხადება მთლად საფუძველს არ იყოს მოკლებული.

²⁹⁸ ზ. კ ი კ ი ნ ა ძ ე, ქართული სტამბები 1627—1916. გვ. 86.

²⁹⁹ დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 71.

³⁰⁰ I. B i a n u, N. H o d o s, Bibliografia Romîneasca Veche, (1508—1850) t. I, (1508—1716), Buc. 1903, გვ. 342.

იერუსალიმის პატრიარქ ქრიზანთესადმი გაგზავნილი წერილი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმის საბუთად, რომ ანთიმ ივერიელს მიხაილ იშტვანოვიჩი საქართველოში გაუგზავნია ქრიზანთეს განკარგულებისა და სურვილის შესაბამისად, როგორც ამას წერს შ. კვასხვაძე³⁰¹. მკვლევარი შესაძლოა ფიქრობს, რადგან ანთიმ ივერიელმა აცნობა იერუსალიმის პატრიარქს მიხაილ იშტვანოვიჩის საქართველოდან გამომგზავრების ამბავი, ალბათ ქრიზანთე დაინტერესებული უნდა ყოფილიყო იმ შესტამბის ბედილობით, რომელიც მისი განკარგულებით გაიგზავნა თბილისში. ერთი შეხედვით ამ დოკუმენტიდან მართლაც შეიძლება მსგავსი დასკვნის გამოტანა. თუმცა, როგორც რომელიმე ტექსტიდან ამოგლეჯილი ცალკეული წინადადების მიხედვით არ იქნებოდა სწორი მთელი ტექსტის შინაარსის შესახებ მსჯელობა, ასევე, ხშირად, მხოლოდ რომელიმე, ცალკეულ დოკუმენტში მოცემულ ცნობაზე დაყრდნობით არ შეიძლება დამაჯერებელი და ამომწურავი პასუხის გაცემა, თუ გათვალისწინებული არ იქნება საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული ყველა ფაქტობრივი მასალა.

ამჯერადაც შეიძლება ითქვას, რომ ანთიმ ივერიელის მიერ იერუსალიმის პატრიარქ ქრიზანთესადმი მიწერილი წერილი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია იმ ვრცელი მიმოწერისა, რომელიც ამ პერიოდში არსებობდა ანთიმ ივერიელსა და ქრიზანთეს შორის³⁰². ეს მიმოწერა კი ეხებოდა არა საქართველოში დაარსებული სტამბის საქმიანობას, არამედ კონსტანტინოპოლში ახალი ბერძნული სტამბის ორგანიზაციის საკითხს, რომლის მოგვარება სურდა იერუსალიმის პატრიარქს და რაშიაც ანთიმ ივერიელმა მას თავისი დახმარება აღუთქვა. თუ იერუსალიმის პატრიარქს ქრიზანთეს აინტერესებდა მიხაილ იშტვანოვიჩის ბედ-იღბალი, ეს მას აინტერესებდა მხოლოდ კონსტანტინოპოლის სტამბის დაარსებასთან დაკავშირებით. ამაზე პირდაპირ მიუთითებს ერთ-ერთი დოკუმენტი. 1713 წლის 6 აპრილს, ანთიმ ივერიელის მიერ ქრიზანთეს სახელზე წერილის გაგზავნიდან თითქმის ოთხი თვით ადრე, 1713 წლის 21 იანვარს, ანთიმ ივერიელს იერუსალიმის პატრიარქს და პირდება მას, რომ კონსტანტინოპოლის ბერძნული სტამბის მოსაწყობად ტირგოვიშტეს სტამბიდან გაგზავნის ყველა საჭირო მოწყობილობას, ხოლო ამ სტამბის ორგანიზაციის საქმესა და ხელმძღვანელობას დააკისრებს მიხაილ იშტვანოვიჩს: „...თუ ღმერთმა ინება და მოგვცა ჯანმრთელობა — წერს ანთიმ ივერიელი — ამ დროს

³⁰¹ შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, 1952, გვ. 231.

³⁰² E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par. III, გვ. 105, 106, 107;

აქ იქნება ჩვენი მოწათე მიხაილ და თავს გამოიჩინს. მე არ დავარ-
ღვევ ჩემს სიტყვას და შევასრულებ რასაც დაგპირდი³⁰³. როგორც
1713 წლის 21 იანვრის წერილში, ასევე 1713 წლის 6 აპრილის წე-
რილში ლაპარაკია კონსტანტინოპოლის მომავალ ბერძნული სტამბის
საორგანიზაციო საქმიანობაში მიხაილ იმტვანოვიჩის მონაწილეობა-
ზე. ეს წერილები ერთი-მეორეს გაგრძელებას წარმოადგენენ და ერ-
თმანეთს ავსებენ. თუ პირველი წერილით ანთიმ ივერიელი აცნო-
ბებდა იერუსალიმის პატრიარქს, რომ მიხაილ იმტვანოვიჩი მალე იქ-
ნებოდა ვლახეთში და ხელმძღვანელობას გაუწყვედა კონსტანტინოპო-
ლის სტამბის გამართვას, მეორე წერილით იგი აუწყებდა ქრიზანთეს,
რომ მიხაილ იმტვანოვიჩი ამ მისიას ველარ შეასრულებდა, რადგანაც
იგი გამგზავრა პოლანდიაში. შესაძლოა, მართლაც, მიხაილ იმტვანო-
ვიჩის პოლანდიაში გამგზავრება გახდა მიზეზი იმისა, რომ იერუსა-
ლიმის პატრიარქსა და ანთიმ ივერიელს შორის წამოწყებული მოლა-
პარაკება კონსტანტინოპოლში სტამბის დაარსების თაობაზე რეალო-
ბად არ იქცა. ყოველ შემთხვევაში, ანთიმ ივერიელის გარდაცვალე-
ბამდე ეს სტამბა არ ამოქმედებულა. რაც შეეხება შემდეგ პერიოდს,
ჩვენ ამ მიმართულებით კვლევა აღარ გვიწარმოვბია.

ახლა დაუვბრუნდეთ 1713 წლის 6 აპრილის წერილში მოცემულ
ცნობას მიხაილ იმტვანოვიჩის „დედაქალაქამდე ძნელი გზის გავლის“
შემდეგ პოლანდიაში გამგზავრების შესახებ. რუმინელი მკვლევრების
თვალსაზრისით, სიტყვა „დედაქალაქში“ იგულისხმება მოსკოვი³⁰⁴. ამ-
რიგად, მოსკოვის გავლით მიხაილ იმტვანოვიჩი ჩასულა პოლანდიაში.

³⁰³ E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par. III, pag. 107.

³⁰⁴ P. Constantinescu-Iasi, Legaturile Tarilor Romîne cu Georgia, «Studii»,
1951, № 4, pag. 169—170. V. Molin... pag. 337; D. Bogdan, Legaturile Tarilor Romî-
ne cu Georgia, «Studii», anul, 1951, nr. 4, pag. 160. საინტერესოა აქვე მოვიყვანოთ
ცნობა, რომელსაც ვეაწვდის ზ. ჭიკინაძე. იგი გაუაუწყებს: მიხაილ იმტვანოვიჩის ცხოვ-
რების შესახებ საქართველოში 1730 წლიდან არაფერია ისმის. ვფიქრობ, რომ მიხაილი
გადაწყვა ვახტანგ მეფეს მოსკოვში და იქ მონაწილეობა მიიღო 1730 წელს მოსკოვის
ქართული სტამბის განახლებასა და მოწყობაში (ზ. ჭიკინაძე, ქართული სტამბები
1627—1916, pag. 106). ჩვენ აქ რასაკვირველია, აღარ გამოუვლდებით იმის შტკიცებას, თუ
რატომ არაა სწორი ზ. ჭიკინაძე, როდესაც იგი მიხაილ იმტვანოვიჩის საქართველოში
ყოფნას უკავშირებს 1730 წელს და სხვ. მაგრამ მეტად საინტერესოა, რომ მკვლევარი
თავის ნაშრომში ვეაწვდის ცნობას მიხაილ იმტვანოვიჩის მოსკოვში გამგზავრების შესა-
ხებ. ასეთი ხასიათის ცნობა კი ჩვენთვის მისაწვდომი გახდა მხოლოდ ახლანან, ისიც რუ-
მინელი მკვლევარების წყალობით, რომელიც სათანადო დოკუმენტებს აღვილობობრივ არ-
ქივებში მიაკვლიეს. ზ. ჭიკინაძეს კი ხელთ ჰქონდა რაიმე ქართული წყარო, თუ ისევ
ქ. თამარაშვილის მასალით სარგებლობდა, ვერაფერს ვიტყვით. მხოლოდ ცხადი ისაა,
რომ ზ. ჭიკინაძემ პირველმა ქართველ მკვლევართა შორის აღნიშნა მიხაილ იმტვანოვი-
ჩის მოსკოვში გამგზავრების ფაქტი, რაც შემდეგ კვლევის შედეგად დადასტურდა.

დ. დუმიტრესკუს თქმით, ეს მგზავრობა გამოწვეული ყოფილა „სტამბის საკითხებთან დაკავშირებით“³⁰⁵.

ცხადია, მკვლევარს ამ თვალსაზრისის წამოყენების დროს მხედველობაში აქვს ანთიმ ივერიელის სიტყვები: მიხაილ იშტვანოვიჩმა „მოისურვა რა დიდი ცოდნის შეძენა იგი პოლანდიას გაემგზავრა“. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მიხაილ იშტვანოვიჩის პოლანდიაში წასვლასთან დაკავშირებით მთელი რიგი ჰიპოთეზებია წამოყენებული. პ. კონსტანტინესკუ-იაშის სიტყვებით, მიხაილ იშტვანოვიჩის პოლანდიაში გამგზავრების მიზანი ყოფილა არა მარტო ბეჭდვითი საქმის უკანასკნელი მიღწევების გაცნობა, არამედ თბილისის სტამბისათვის გაუმჯობესებული საბეჭდავისა და შრიფტის შექმნა და ჩამოტანა³⁰⁶. ვ. მოლინის ვერსიით, მიხაილ იშტვანოვიჩი იმიტომ იმყოფებოდა პოლანდიაში, რომ მოეპოვებინა შრიფტი და სასტამბო მოწყობილობანი კონსტანტინოპოლის სტამბის გასამართავად, რადგან ანთიმ ივერიელი დაპირდა იერუსალიმის პატრიარქს ქრიზანთეს ყოველმხრივ ხელის შეწყობას³⁰⁷ და სხვ. მაგრამ ვინაიდან არავითარი პირდაპირი წყარო ჭერჭერობით არ არსებობს ამ საკითხის გასაშუქებლად, ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა.

ჩვენ მაინც საჭიროდ ვთვლით გვერდი არ ავუხვიოთ ერთ ცნობას „ბერძნული სტამბის პოლანდიიდან საქართველოში ჩამოტანის შესახებ“. ეს ცნობა ეკუთვნის დ. კანტემირს, რომელიც 1715 წელს დაბეჭდილ თავის წიგნში წერდა: „...დაახლოვებით სამი წლის წინ პოლანდიიდან ჩამოიტანეს (ქართველებმა) ბერძნული სტამბა და დაბეჭდეს წიგნი, რომელიც შეიცავს „შესხმას წმიდა ღვთისმშობლის მარიამისას“ და როგორც ჩანს, გადაწყვიტეს სერიოზულად ხელი მოეკიდათ ლიტერატურის ბერძნულ ენაზე გამოცემისათვის³⁰⁸. ამ სიტყვებიდან გამომდინარეობს, რომ მიხაილ იშტვანოვიჩს ერთი წლის განმავლობაში კიდევაც მოუსწრია საქართველოდან პოლანდიაში გამგზავრება. აქედან ბერძნული სტამბის ჩამოტანაც და წიგნის დაბეჭდვაც, რაც, ექვს გარეშეა, სინამდვილიდან შორსაა. (1712 წლიდან მიხაილ იშტვანოვიჩი აღარ ჩანს საქართველოში, ხოლო თუ ვიმსჯელებთ 1715 წელს გამოცემული დ. კანტემირის წიგნის ტექსტის მიხედვით, „დაახლოვებით სამი წლის წინ“, გამოდის, რომ ჩვენი დასკვნა სწორია). თუმცა

³⁰⁵ Dan Dumitrescu, *Activitatea tipografica a lui Mihai Stefan in Gruzia*, «Studii», anul XI, 4 (1959) გვ. 135—138, იხ. აგრეთვე D. Bogdan, *Legaturile Tarilor Romine cu Georgia*, «studii», anul IV, 1951, 4, გვ. 160.

³⁰⁶ P. Constantinescu-Iasi, *Legaturile Tarilor Romine cu Georgia* «Studii», 1951, № 4, გვ. 169—170.

³⁰⁷ V. Molin... გვ. 336.

³⁰⁸ D. Bogdan, *Legaturile Tarilor Romine cu Georgia*, «Studii», anul IV, 1951, nr. 4. გვ. 160.

რუმინელი მკვლევარი დ. ბოგდანი თავის მხრივ იზიარებს დ. კანტემირის თეალსაზრისს. იგი წერს: „იმტვანოვიჩი ბრუნდება საქართველოში, პოლანდიაში შექმნილი შრიფტით და საქართველოშივე ბეჭდავს იგი ზემოაღნიშნულ წიგნს და აგრეთვე სხვა ნაშრომებსაც“³⁰⁹.

დ. კანტემირის, დ. ბოგდანისა და პ. კონსტანტინესკუ-იანუსის ვარაუდი არ დასტურდება ვახტანგ VI-ის დროს თბილისის სტამბაში გამოცემული წიგნებით. ჯერ-ჯერობით არავითარი ცნობა არ არსებობს მიხაილ იმტვანოვიჩის მიერ 1712 წლის შემდეგ დაბეჭდილ წიგნების შესახებ. ამ წლიდან დაწყებული თბილისის სტამბაში ილწვიან მიხაილ იმტვანოვიჩის მოწაფეები „ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მაქელი“, ანუ „მესტამზე მიქელი“, რომელმაც 1712 წელს დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“, გიორგი მხატვარი, მღვდელი გაბრიელი³¹⁰ და სსგ.³¹¹. რასაკვირველია, მხოლოდ იმ გარემოებით, რომ ჯერხანობით მიკვლევული არაა მიხაილ იმტვანოვიჩის მიერ თბილისში დაბეჭდილი ბერძნული წიგნი, ეს სრულებითაც არ გამორიცხავს ასეთი წიგნის არსებობას. მაგ., 1716 წელს თბილისის სტამბაში დაბეჭდილი „დავითნის“ არსებობა 1941 წლამდე ცნობილი არ იყო ქართველ მკვლევართათვის³¹². ეყრდნობოდა რა ამ ფაქტს, დ. კარიქაშვილი წერდა: „1714, 1715, 1716 წლებში შეჩერდა სტამბის მუშაობა“³¹³, ხოლო პ. გუგუშვილის ვარაუდით, „1713 წლიდან ვიდრე 1717 წლამდე გვეგონია ტფილისში წიგნები არ დაბეჭდილა...“³¹⁴, დღეს-დღეობით კი მიკვლევული 1716 წლის „დავითნი“ დატულია ლენინგრადში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის სააზიო მუზეუმისეულ კოლექციაში³¹⁵.

³⁰⁹ D. Bogdan, *Legalurile Tarilor Romine cu Georgia „Sudii“*, anul IV 1951, nr. 4, გვ. 160.

³¹⁰ თბილისის პირველ სტამბაში მომუშავე დასახელებული პირნი რომ მიხაილ იმტვანოვიჩის ხელმძღვანელობა იყენენ გაჟერანალო და ვათიოტნობიერებულნი მესტამბის ხელოვნებაში, ცხადი ხდება თვით მიხაილის „ანდრძიდან“ : „...რომელნი ჩემნი მოწაფე იყენენ, ვგრთვე გამოუტყდელნი საქმისა ამის ჩემისა. ვითარცა მე ვიყავ ქართლის უნახავი, აგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტამბისა“. („სახარება“, 1709).

³¹¹ მიხაილ იმტვანოვიჩის ერთ-ერთ მოწაფედ ა. ხახანაშვილი ასახელებს ქუთაისის სტამბის მოღვაწეს რომანოზ ზუბაშვილს. «В 1785 г. имеретинский царь Соломон II, при содействии Романа Заубашвили, изувашшего у Михаила, уроженца Валахии, типографское дело, устроил в Кутаиси типографию для печатания церковно-богослужебных книг», А. Хаханов, *Очерки по истории Грузинской словесности*, вып. III, გვ. 369.

³¹² ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722) გვ. 160.

³¹³ დ. კარიქაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 75.

³¹⁴ პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი 1629—1929, 1929, გვ. 58.

³¹⁵ ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), გვ. 160.

მაგრამ 1712 წლის შემდეგ მიხაილ იშტვანოვიჩის მიერ ჰოლანდიიდან ბერძნული შრიფტის ჩამოტანის შესაძლებლობას უარყოფს შემდეგი ფაქტი. ჯერ კიდევ 1710 წელს თბილისის სტამბაში დაბეჭდილ „კონდაკში“ გამოყენებულია ბერძნული შრიფტის ნიმუშები³¹⁶, ხოლო 1711 წელს ამავე სტამბაში გამოცემულ „დავითნი“ ბერძნული შრიფტით დაბეჭდილია ათსტრიქონიანი ლექსი³¹⁷. ე. ი. ვიდრე მიხაილ იშტვანოვიჩი ჰოლანდიაში გაემგზავრებოდა, იგი უკვე თითქმის ორი წლით ადრე თბილისში წიგნების ბეჭდვის დროს იყენებს ბერძნულ შრიფტს. აქედან გამომდინარე ვერსია 1712 წლის შემდეგ მიხაილ იშტვანოვიჩის მიერ ჰოლანდიიდან საქართველოში ბერძნული შრიფტის ჩამოტანის შესახებ, უსაფუძვლო ხდება.

სხვა საკითხია, თუ სად იქნა დამზადებული 1710 წლის „კონდაკში“ და 1711 წლის „დავითნი“ ხმარებული ბერძნული შრიფტა. ქ. შარაშიძე ბერძნული შრიფტის გაკეთებას მიაწერს მიხაილ იშტვანოვიჩს მისი თბილისის სტამბაში მუშაობის დროს³¹⁸, ხოლო შ. კურდღელაშვილი უარყოფს ამას და აცხადებს, რომ აღნიშნული შრიფტი დამზადებულ იქნა ვლახეთში ანთიმ ივერიელის მიერ და შემდეგ ჩამოტანილი საქართველოში³¹⁹. რასაკვირველია, თუ გაითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ბერძნული შრიფტის ნიმუშებს ჩვენ ვხვდებით უკვე 1710 წელს გამოცემულ „კონდაკში“ და გარდა ამისა ისეთი შრიფტის სახეობასაც, რომელიც გამოყენებული არ ყოფილა 1709 წელს დაბეჭდილ წიგნებში (1709 წელს გამოცემული ყველა სამი წიგნი — „სახარება“, „დავითნი“ და „სამოციქულო“ — დაბეჭდილია ერთიანი მსხვილი ნუსხა-ხუტური შრიფტით, 1710 წელს დაბეჭდილ „კონდაკში“ კი ნახშირია მსხვილი, საშუალო ზომისა და წვრილი ნუსხური შრიფტი, გარდა ამისა, მხედრული შრიფტის ნიმუშიც), უნდა ვიფიქროთ, რომ ერთი წლის განმავლობაში შეუძლებელი იქნებოდა

³¹⁶ „კონდაკი“, 1710.

³¹⁷ „დავითნი“, 1711. ბერძნული შრიფტით დაბეჭდილი ათსტრიქონიანი ლექსის გარდა 1710 წელს გამოცემულ „კონდაკში“ შოთავსებულა ექვსტრიქონიანი რუმინული ლექსი ქართული ასოებით. რუმინული ტექსტის ზემოთ ოთხსტრიქონად დაბეჭდილია „ქ. ვითარცა უცხონი იხარებენ ხილვასა ზედა თვისთა სამკვიდრებელთა და ზღუათა შინა მავალნი ხილვასა ზედა ნათსაყუდელთასა, ეგრეთა მესტამბენი იხარებენ განსრულებასა ზედა წიგნთასა“. „კონდაკში“ დაბეჭდილი რუმინული ლექსის რუმინული ტექსტი დაბეჭდილია ანთიმ ივერიელის მიერ სწავლავის მონასტერში 1697 წ. გამოცემულ „სახარებაში“.

³¹⁸ ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), გვ. 139.

³¹⁹ შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, 1959, გვ. 60—61.

სხვადასხვა ზომის ქართული შრიფტის დამზადების პარალელურად ერთ მესტამბეს გაეკეთებინა ბერძნული შრიფტიც. მართლაც, ანთიმ ივერიელის მიერ იყო დამზადებული თბილისის სტამბაში გამოყენებული ბერძნული შრიფტი თუ არა, ამას ცხადყოფს აღნიშნული შრიფტის შედარება ანთიმ ივერიელის მიერ ვლახეთში ბერძნულ ენაზე დაბეჭდილი წიგნების შრიფტთან.

საბოლოოდ გვინდა აღნიშნოთ, რომ მართლაც დიდია ის ამაგი, რომელიც მიხაილ იშტვანოვიჩმა ქართულ კულტურას დასდო. მან ტექნიკურად გამართა თბილისში პირველი სტამბა, დაბეჭდა ჩინებული გემოვნებით და მაღალხარისხოვანი ოსტატობით შესრულებული ათი წიგნი³⁰, რომლებიც თამამად შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ იმდრო-

³⁰ ბ. გორდუზიანი თავს იცავს რა შ. კვასხვაძის კრიტიკისაგან, წერს: „...წერილში ჩვენი გამოთქვით საყოველთაოდ ცნობილი აზრი, რომ „ქვეყნის შიმში მდგომარეობის გამო ვახტანგის სტამბის საშრიფტო მეურნეობა აყვანილი დიდ სიმაღლეზე, 1712 წლიდან დაბლა ეშვება“, ამხ. შ. კვასხვაძე ამ მოსაზრებასაც არ იზიარებს და ამბობს, რომ ვახტანგისა და უნგროვლახელის სასტამბო საქმისაგან ჩამოშორების შემდეგ „ვახტანგის წიგნთა შრიფტი „დეგრადაციის“ გზით არ შიიძარება“ და ამ აზრს ასე ასაბუთებს: „ამის მიზეზები (ე. ი. შრიფტის წარმოების დაქვეითებისა — ბ. გ.) საძიებელია თვით ჩვენი ქვეყნის საოცარ შიმში და გართულებულ სახელმწიფოებრივი ცხოვრების პირობებში, მტერთა შემოსევაში, შინაგან უთანხმოებაში...“ ჩვენც ამის მეტი არაფერი გვითქვამს. სწორედ ამ შიმში პირობების გამო მოხდა სასტამბო საქმის უმაგალითო ჩამორჩენა. განა მიზეზების გამოძებნა უარყოფს ამ ჩამორჩენის საშუალო ფაქტს?“ (ბ. გორდუზიანი, ქართული მხედრული შრიფტი, 1955, გვ. 53). რასაკვირველია, არაეინ არ ხდის საკამათოდ, რომ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობის გართულება უარყოფითად იმოქმედებდა სტამბის მუშაობაზე. მაგრამ რამდენად მართალია შ. კვასხვაძე, რომ „მხრე იგი სავსებით უგულვებელყოფს სხვა მიზეზსაც, ეგრძოდ მიხაილ იშტვანოვიჩის წასვლას საქართველოდან, მის „უკვალოდ გაქრობას“ (შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, 1952, გვ. 241—242). ჩვენი მხოლოდ ანალოგიურ მაგალითს მოვიყვანთ. სპეცილისტებმა შეადარეს ანთიმ ივერიელის მიერ 1701—1702 წლებში არაბულ ენაზე დაბეჭდილი „კონდაკისა“ და „უამნის“ შრიფტი მომდევნო წლებში, 1747 წელს, ვლახეთში სხვა მესტამბის მიერ დაბეჭდილ არაბული წიგნის შრიფტს. აღმოჩნდა, რომ ეს უკანასკნელი თავისი ხარისხით გაკლებით დაბლა იდგა ვიდრე ანთიმ ივერიელის მიერ დამზადებული შრიფტი (E. Picot... გვ. 544). 1747 წელს პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა ვლახეთში ანთიმ ივერიელის პერიოდთან შედარებით არ გაუარესებულა, თუ არ ვიტყვით, რომ გაუმჯობესდა. მაგრამ შრიფტის დამზადების ტექნიკამ დეგრადაცია განიცადა, ვინ იცის, იქნებ 1747 წელს ვლახეთში არაბული შრიფტის ჩამომსხმელი თვით ანთიმ ივერიელის მოწაფეც კი იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, იმ დროში, როდესაც გამოირიცხული იყო მექანიზებული წარმოება და შრიფტის ამოკრა-ჩამოსხმა მხოლოდ ხელით ხორციელდებოდა, შრიფტის ხარისხი დიდად იყო დამოკიდებული თვით მესტამბის დახელოვნებაზე. აქედან გამომდინარე მტიკება იმისა, რომ მხოლოდ საქართველოში შექმნილია შიმში პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა იყო მიზეზი თბილისის სტამბის მუშაობის დონის დადაბლებისა და მიხაილ იშტვანოვიჩის თბილისის სტამბიდან ჩამოშორე-

რნდელი პოლიგრაფიული პროდუქციის საუკეთესო ნიმუშებს, აღზარდა ქართველ მესტამბეთა კადრები; მიუხედავად ამისა, პირველი ქართული ეროვნული სტამბის ქეშმარიტ ორგანიზატორად და სულისჩამდგმელად ვახტანგ VI-სთან ერთად ჩვენ გვევლინება მიხაილ იშტვანოვიჩის „დიდი მასწავლებელი“, გარექართველი ანთიმ ივერიელი.

ბას არაერთარი გავლენა არ შეეძლო მოეხდინა შრიფტის დამზადების ხარისხზე, არ იქნებოდა სწორი.

ანთიმ ივერიელის პოლიტიკური მოღვაწეობა

პეტრე პირველის პრუტის ლაშქრობა და ანთიმ ივერიელი

XIV საუკუნის 90-იანი წლებიდან ვლახეთი ოტომანთა იმპერიის აგრესიის ობიექტი ხდება. 1339 წლის 15 ივნისს ცნობილი კოსოვო პოლემზე მომხდარი ბრძოლის შემდეგ, რის შედეგადაც სერბეთი თურქების მიერ იქნა დაპყრობილი, ოტომანთა იმპერია ვლახეთის უშუალოდ მოსაზღვრე სახელმწიფო გახდა, 1391 წელს თურქთა არმია შეიჭრა ვლახეთის ტერიტორიაზე და დაამარცხა ვლახთა ჯარი მთავარ მირჩოს მეთაურობით. ვლახეთი იძულებული გახდა ყოველწლიურად ხარკი ეძლია სულთნისათვის¹, მაგრამ აქედანვე დაწყებული ვლახელები სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევიან თურქთა ბატონობის წინააღმდეგ. მალე ისინი უარს ამბობენ ხარკის გადახდაზე, ზოლო მათი სამხედრო რაზმები თავს ესხმიან ციხე-სიმაგრეებში განლაგებულ თურქთა გარნიზონებს. ახალი ლაშქრობის შედეგად ვლახელები ისევ დამარცხდნენ და მთავარი მირჩო იძულებული აღმოჩნდა შეხიზნოდა უნგრეთს, სადაც მან დახმარება სთხოვა უნგრეთის მეფეს სიგიზმუნდს². თურქთა შემოსევის საფრთხის წინაშე აღმოჩენილი სიგიზმუნდი სათანადო ზომებს იღებს. მან მოუწოდა ინგლოსელ, ფრანგ და გერმანელ რაინდებს მონაწილეობა მიეღოთ „ბრწყინვალე პორტას“ წინააღმდეგ „ჯვაროსნულ ომში“. 1396 წელს ნიკოპოლთან მომხდარი ბრძოლა ჯვაროსანთა სრული დამარცხებით დამთავრდა. თურქები სულთან ბაიაზედის მეთაურობით შეიჭრნენ ვლახეთში და ცეცხლსა და მახვილს მისცეს ქვეყანა. 1402 წლის 20 ივნისს ანკარასთან მომხდარმა ბრძოლამ, რომლის დროსაც ბაიაზედის არმია განადგურებულ

¹ J. H. Uzunçarsili, Osmanlı tarihinin ilk devrelerine âid bazı yanlışliklerin tashihi — «Belleten», 1957, № 81, გვ. 176.

² E. Hurmuzaki, Documente privitoare la istoria romanilor, vol. I, p. II. Bucuresti, 1876, გვ. 359.

იქნა თემურ ლენგის მიერ, შეაფერხა თურქთა შემდგომი ექსპანსია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მაგრამ მუჰამედ I-ის გამეფების შემდეგ თურქთა დამპყრობლური მისწრაფებები ბალკანეთის ქვეყნების მიმართ გაცილებით ფართო ხასიათს იღებს. ამ დროისათვის თურქეთის ძირითად მეტოქეს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე წარმოადგენდა უნგრეთი, რომელიც, თავის მხრივ, ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვლახეთს უყურებდა, როგორც მთავარ ბარიერს. ვლახეთი თურქეთსა და უნგრეთს შორის წარმოებული ბრძოლის არენად გადაიქცა. 1423—32 წლებში თურქთა შემოსევებმა თითქმის განადგურების პირამდე მიიყვანეს სამთავრო³, ხოლო 1453 წელს კონსტანტინოპოლის აღებამ „ბრწყინვალე პორტას“ საშუალება მისცა მთელი თავისი ძლიერება მიემართა ბალკანეთის ქვეყნების დასაპყრობად. მიუხედავად აშკარად უთანასწორო ბრძოლისა, ოტომანთა იმპერია კიდევ დიდხანს, თითქმის ასი წლის მანძილზე, ვერ ახერხებს დაუმორჩილოს თავის ძალაუფლებას ვლახეთი. მხოლოდ 1526 წელს მოგაჩთან უნგრელების დამარცხებისა და თითქმის მთელი უნგრეთის დაპყრობის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ოტომანთა იმპერიის ძალაუფლების დამყარებაზე ვლახეთში⁴. ამრიგად, თუ XIV საუკუნის დამლევდიან XVI საუკუნის პირველ ნახევრამდე ვლახეთის სამთავროს საგარეო პოლიტიკის მთავარ საკითხს წარმოადგენდა ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლა ვლახეთის სამთავროს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, 1526 წლიდან ვლახეთ-თურქეთის ურთიერთობაში თავს იჩენს ახალი ეტაპი: ვლახეთი იწყებს ბრძოლას დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად. მაგრამ რას განდებოდა პატარა სამთავრო უზარმაზარი იმპერიის წინაშე, თუ მას ძლიერი მხარდამჭერი და მფარველი არ ეყოლებოდა. ამ პერიოდში ოტომანთა იმპერიის შემდგომი ექსპანსიური მიზნებით შეშფოთებული ევროპის სახელმწიფოები ერთიანდებიან „წმინდა ლიგაში“. 1683 წელს ერთმანეთთან სამხედრო კავშირს დებენ ავსტრია და პოლონეთი, რომლებსაც რამდენიმე ხნის შემდეგ შეუერთდა ვენეცია. იმავე წელს ვენასთან მომხდარ ბრძოლაში მოკავშირეებმა სასტიკად დაამარცხეს თურქების არმია. ვლახეთმა იმედის თვალი მიაპყრო ავსტრიას, რომელიც თავის მხრივ დაპირდა ვლახეთის მთავარს შერბან II კანტაკუზენს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას. მაგრამ ამ დახმარების საფასურად ავსტრიის იმპერატორი ლეოპოლდი მოითხოვდა ვლახეთის დამორჩილებას ავსტრიისადმი, უფრო ზუსტად რომ

³ N. I o r g a, Geschichte des Osmanischen Reichs, B. I, Gotha, 1908, გვ. 413.

⁴ Краткие сообщения института народов Азии, XXX, 1961, стр. 178.

ეწევათ, ვლახეთში თურქთა ბატონობის შეცვლას ავსტრიელთა ბატონობით. ხოლო 1686—1687 წლებში თურქებზე მთელი რიგი გამარჯვების შემდეგ ავსტრიელები უკვე აშკარად აცხადებენ პრეტენზიებს ვლახეთის სამთავროზე. როდესაც შერბან კანტაკუზენი საბოლოოდ დარწმუნდა, თუ რა მიზნებს ისახავდნენ ავსტრიელები „თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების“ საფარველქვეშ, მან შველისათვის „ერთმორწმუნე რუსეთს“ მიმართა. 1688 წელს ვლახეთის მთავარი გზავნის მოსკოვში (რასაკვირველია თურქებისაგან ფარულად) თავის წარმომადგენელს ათონის წმ. პავლეს მონასტრის არქიმანდრიტს ისაის⁵. არქიმანდრიტმა ისაიმ ვლახეთის მთავრისა და მთელი ვლახელი ხალხის სახელით განუცხადა რუსეთის მეფეს, რომ იგი წარგზავნილია მისიით „შეევედროს დიდ ხელმწიფეს, რათა მან ისარგებლოს ხელსაყრელი შემთხვევით თურქებზე თავდასასხმელად“⁶. რუსეთის მხრივ თურქეთისათვის ომის გამოცხადებით „ვლახელები აგრეთვე იმედოვნებდნენ, რომ ისინი თავიდან აიცილებდნენ ავსტრიელთა ბატონობის შუქარას, რომელსაც ვლახელები თურქთა ბატონობაზე უარესად თვლიდნენ“ „ეს (თურქებისათვის ომის გამოცხადება — ო. გ.) საპიროა მოხდეს აგრეთვე იმისათვის, — ამბობდა ისაი. — რომ მართლმადიდებლები ურჯულოთა მონობის უღლიდან კიდევ უფრო უარეს მონობის უღელქვეშ არ მოექცნენ. მართლმადიდებელთა ეკლესია სძულთ პაპისტებს (კათოლიკებს — ო. გ.) იმ ქალაქებში, რომლებიც საიმპერატორო (ავსტრიელთა — ო. გ.) და ვენეციელთა ჯარებმა წაართვეს თურქებს, პაპისტებმა მართლმადიდებელთა ეკლესიები გადააქციეს... კასტელებად (კათოლიკური ეკლესია — ო. გ.)“ რუსეთის მეფეს ისაიმ ამცნო არა მარტო ვლახელი ხალხის, არამედ მთელი მართლმადიდებლური სამყაროს შემფოთება, იმ შემთხვევაში თუ ავსტრიელები „დაიპყრობენ ქრისტიანთა მიწებს“ და „აიღებენ ცარგრადს (კონსტანტინოპოლს — ო. გ.), — ამბობდა ვლახეთის ელჩი, — მაშინ მართლმადიდებელ ქრისტიანებს დიდი უბედურება დაატყდებათ თავს და მართლმადიდებელთა რწმენა აღმოიფხვრება“. „მართლმადიდებელთა მთელი იმედები მხოლოდ რუსეთზეა დამყარებული.

⁵ P. Constantinescu - Iasi, *Relatiile culturale romino-ruse din trecut*, Ed. Ac. R.P.R. Buc., 1954, გვ. 161.

⁶ А. Кочубинский, *Сношения России при Петре Первом с южными славянами и румынами. Чтения в обществе истории и древностей российской при Московском университете*, М., 1872, стр. 7 (შემდეგ А. Кочубинский и др.).

? А. Кочубинский..., стр. 7.

ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი სიხარულით მოელის მეფის ჯარებს⁸.

ასეთი იყო, ორიოდ სიტყვით, ვლახეთის საგარეო პოლიტიკის ბირველი ნაბიჯები ძლიერი და საიმედო მფარველის მოსაპოვებლად. ასე დამყარდა ბირველი კონტაქტი რუსეთსა და ვლახეთს შორის, რომელიც დროთა ვითარებაში თანდათან მტკიცდებოდა.

დადგა 1709 წელი. თურქების ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში ვლახეთი აშკარად და საბოლოოდ იღებს ორიენტაციას რუსეთზე. ვლახეთის მთავარი კონსტანტინე ბრინკოვიანუ გზაუნის თავის ელჩს, დაეიდს, რუსეთის სამეფო კარზე პეტრე I-თან მოსალაპარაკებლად⁹. ბრინკოვიანუს ასეთი მოქმედება, უბირველეს ყოვლისა. განაპირობა იმ გარემოებამ, რომ 1709 წელს პეტრე I-მა სასტიკად დაამარცხა შვედები პოლტავასთან ბრძოლაში. ამ გამარჯვებამ, რომელმაც რუსეთის ოპერია პირველხარისხოვან სახელმწიფოთა რიგებში წამოსწია, აჩვენა მთელ მსოფლიოს რუსული იარაღის ძლიერება. გარდა ამისა, ბრინკოვიანუს მხრივ ასეთი პოლიტიკური ზაზის გატარებაზე, ცხადია, ზეგავლენას მოახდენდა რუსული ორიენტაციის მქონე ბოიართა ჯგუფი, რომელიც ამ დროისათვის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელს ვლახეთში და რომელსაც უნგრო-ვლახეთის შიტროპოლიტი ანთიმ ივერიელი ედგა სათავეში. სამწუხაროდ, დოკუმენტებში არსად ჩანს 1709 წელს რუსეთ-ვლახეთის ურთიერთობის განმტკიცების საქმეში ანთიმ ივერიელის მონაწილეობის კვალი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გადაამკრელ ზომებს, რომელთაც ანთიმ ივერიელი აქ აღწერილი ამბის ორი წლის შემდეგ იღებს, რათა რუსები და ვლახელები ერთიანი ძალით გამოსულიყვნენ სულთნის თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, ანთიმ ივერიელი, ვლახეთისათვის ამ ისტორიული მომენტის შორიდან მაყურებელი არ იქნებოდა და ვერც დარჩებოდა. საზოგადო მოღვაწე, რომელიც აერ კიდევ 1697 წელს ბალკანეთის ისტორიაში პირველად ბექდავს სლავურ გრამატიკას¹⁰, ცხადია ასეთ ვითარებაში გარკვეულ წვლილს შეიტანდა რუსეთ-ვლახეთის დაახლოვების საქმეში. და ეს წვლილი ანთიმ ივერიელისა, როგორც სრულიად უნგრო-ვლახეთის შიტროპო-

⁸ A. Кочубинский.... стр. 7.

⁹ M. K o g a l n i c e a n, Fragments tirés des chroniques moldaves et valaques pour servir à l'histoire de Pierre-la-Grand, Charles XII, St. Leszczynski, Démentre Cantemir et Constantin Brancovan, v. I, Iassi, 1845, გვ. 182. (შემდეგ Fragments...)

¹⁰ Biserica Ortodoxa Romina, anul LXXIV, Buc. 1956, გვ. 693. იხ. აგრეთვე ამ წიგნის გვ. 47—50.

ლიტისა, რომელიც ვლახეთის მთავრის შემდეგ მეორე პირად ითვლებოდა სახელმწიფოში (ვლახეთში არსებული იმდროინდელი წესის მიხედვით თუ მთავარი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა, მთელი ძალაუფლება სამთავროს მართვა-გამგებლობისა მიტროპოლიტის ხელში გადადიოდა¹¹), რასაკვირველია, მცირედი არ იქნებოდა.

ამრიგად, კონსტანტინე ბრინკოვიანუს ელჩი დავიდი ჩადის პეტრე I-თან და დებს მასთან ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების მიხედვით, „თუ რუსეთის მეფე ომს დაიწყებდა თურქების წინააღმდეგ. ბრინკოვიანუ გადავიდოდა პეტრე I-ის მხარეზე მთელი თავისი ძალე-ბით, მოუწოდებდა სერბიელებს და ბულგარელებს აჯანყებისაკენ, შეაგროვებდა ჯარს 30 000 კაცის რაოდენობით და მოამარაგებდა რუსეთის არმიას პროვიანტით“¹². თავის მხრივ პეტრე I ვალდებულებას იღებდა: „ეცნო ვლახეთის მთავრად ბრინკოვიანუ, ვლახეთი კი დამოუკიდებელ სამთავროდ, მაგრამ რუსეთის მფარველობის ქვეშ, რომელიც დაიცავდა მას ყოველგვარი მტრისაგან“¹³. ხელშეკრულების დადების შემდეგ პეტრე I-მა კონსტანტინე ბრინკოვიანუს ანდრია პირველწოდებულის ორდენი გაუგზავნა¹⁴. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთსა და ვლახეთს შორის მოლაპარაკება საიდუმლოდ მიმდინარეობდა, ევროპის სხვადასხვა ქვეყნების პრესაში გამოქვეყნდა ცნობები, რომლებშიაც ნათქვამი იყო: „ვლახეთის მთავარს საიდუმლო მიმოწერა აქვს პეტრე დიდთან იმის თაობაზე, თუ როგორ გაათავისუფლოს სამთავრო თურქთა ბატონობისაგან“¹⁵. ენგელი და კოვალნიჩანე საიდუმლოების გახმაურების მიზეზად შემდეგს თვლიან: „ბრინკოვიანუს ყავდა ბიძა, კონსტანტინე კანტაკუზენი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა საგარეო საქმეების წარმოების მთელი რწმუნება. ამ ბოიარს მოხუცებულობაში ერთი ნაკლი დასჩემდა. მას არ შეეძლო არავითარი საიდუმლოს შენახვა. ერთ დღეს, საერთო ზეიმში, მან დამსწრე საზოგადოებას გაანდო ბრინკოვიანუს ყველა საიდუმლო მიმოწერა და დიპლომატიური საქმიანობა“¹⁶. ნამდვილად იყო თუ არა ეს მიზეზი საი-

¹¹ N. Iorga, Istoria Bisericii Romanesti, 1930, გვ. 55.

¹² Fragments... გვ. 182.

¹³ იქვე.

¹⁴ Engel Christian, Geschichte des Ungrischen Reichs und seiner Nebenländer, Band. II, 1804, გვ. 366 (შემდეგ Engel...)

¹⁵ Xenopol Alexandru, Etudes historiques sur le peuple roumain Iassi, 1887, გვ. 62 (შემდეგ Xenopol...), E. Hurmuzaki, vol. I, 1886, გვ. 391—392.

¹⁶ Fragments..., გვ. 182; Engel..., გვ. 555.

დემლო ხელშეკრულების გახმაურებისა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ფაქტი ისაა, რომ პეტრე I-სა და ვლახეთის მთავარს შორის მოლაპარაკება საყოველთაოდ ცნობილი გახდა. კარლოს XIII ატყობინებს თურქებს: „რუსებმა ვლახეთის მთავართან საიდუმლო კავშირი დაამყარეს“¹⁷, ხოლო რაც შეეხება ყირიმის ხანს დევლეთ გირეის, მან პირდაპირ განუცხადა სულთანს: „ბრინჯოვიანუ ძალზე მდიდარი და ძლიერი მთავარია, მას მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავს ჯაღიდიხანია რუსების ერთგულია. რა თქმა უნდა არ იქნება გონივრული, რომ ამ კრიტიკულ მომენტში ასეთი მნიშვნელოვანი სამთავრო მის ხელში დავტოვოთ“...¹⁸.

კრიტიკული მომენტი კი მართლა ახლოვდებოდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც თურქეთის საგარეო და საშინაო მდგომარეობა მკვეთრად უარესდება, რაც განაპირობა „წმინდა ლიგასთან“ ბრძოლაში ოტომანთა იმპერიის სასტიკმა დამარცხებამ და ამ დამარცხების შედეგად მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაკარგვამ. თურქეთის გაბატონებული ფეოდალური წრეები გამოსავალს რევანშისტულ ომებსა და ახალი მიწების დაპყრობაში ხედავენ. აგრესიის პირველ ობიექტად რუსეთი ხდება.

სულთანი და მისი ვეზირები, რომლებიც შიშით შეკეპებდნენ რუსეთის თანდათან მზარდ გავლენას ოტომანთა იმპერიის მრავალრიცხოვანი ქრისტიანული სარწმუნოების მქონე ქვეშევრდომებზე, თავის გარშემო იკრებენ რუსეთის აშკარა თუ ფარულ მტრებს. ასე, მაგალითად, სულთანმა თავისი მფარველობა შესთავაზა პოლტავის ბრძოლაში დამარცხებულ შვედეთის მეფე კარლოს XII-ს. „მუსლიმან ხელისუფალთ, — წერს ქსენოპოლი, — პატივით მიიღეს გამოქცეული მეფე. ეს უკანასკნელი ბენდერში მოკალათდა“¹⁹, ხოლო თვით სულთანმა კარლოს XII-ეს პირადი წერილი გაუგზავნა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ იგი „არასოდეს მიატოვებს მეფეს... აიძულებს რუსებს დაუბრუნონ მას ყველა წართმეული მიწა, ხოლო თუ პეტრე I უარს იტყვობდა, მაშინ სულთანი პირადად მიიღებდა მონაწილეობას რუსეთის წინააღმდეგ ომში და სათავეში ჩაუდგებოდა ოსმალეთის მთელ ძალებს...“²⁰. თავის მხრივ ინგლისელი და ფრანგი დიპლომატები, შემფოთებულნი პეტრე I-ის გაძლიერებით, ყოველმხრივ ცდი-

¹⁷ M. Kogalnicean, *Cronicele Romaniei sau Letopisetele Moldaviei si Valachiei* v. 2, Buc. 1872, გვ. 329 (შემდეგ *Cronicele...*).

¹⁸ *Fragments...*, გვ. 38.

¹⁹ *Xenopol...*, გვ. 61.

²⁰ *Fragments...*, გვ. 35.

ლობდნენ აქძულებინათ თურქეთი, გამოეცხადებინა ომი რუსეთისათვის. თურქეთი აშკარად დაადგა რუსეთთან ომის გაჩაღების გზას. მომენტით ხელსაყრელი იყო, რადგან შეედრეთთან გადატანილი ომის შემდეგ რუსეთი განიცდიდა მთელ რიგ სიძნელეებს. პეტრე I ამაოდ ცდილობდა მშვიდობის შენარჩუნებას. 1710 წლის 17 ივნისს პეტრე I-მა ნოტა გაუგზავნა სულთანს, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ თურქეთი არ ასრულებს განაზღვრული საზავო ხელშეკრულების პირობებს²¹. განვლო სამმა თვემ, მაგრამ სულთნისაგან არავითარი პასუხი არ ჩანდა. 18 ოქტომბერს პეტრე I-მა სულთანს ხელშეკრულება გაუგზავნა ნოტა. ამჯერად რუსეთის იმპერატორი კატეგორიულ ფორმებში მოითხოვდა პასუხს: „აპირებს პორტა საზავო ხელშეკრულების დაცვას თუ არა? წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფად, ჩვენ დავძრავთ ჯარებს საზღვრებისაკენ“²².—წერდა პეტრე I. მაგრამ თურქეთის მთავრობამ ამ ნოტაზედაც დუმილით უპასუხა. პირიქით, სულთანმა ბრალი დასდო რუსებს, რომ ისინი ამაგრებენ საზღვრებს და ამხედრებენ პორტას წინააღმდეგ მის ქრისტიან ჯვეშევროლმებს. რუსეთის ელჩი კონსტანტინოპოლში ტოლსტოი დააპატიმრეს და საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად „შვიდკოშკიან ციხე-სიმაგრეში“ დაამწყვდიეს²³. ხოლო 1710 წლის 22 დეკემბერს პეტერბურგში მიიღეს ოფიციალური ცნობა, რომ თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს²⁴. 1711 წლის 25 თებერვალს მოსკოვში, მიძინების სობოროში, პეტრე დიდის თანდასწრებით ხალხს აუწყეს „ქრისტეს მტრების წინააღმდეგ“ ომის დაწყება. სობოროს წინ ჩამწკრივებული იყო სალაშქროდ გამზადებული ორი გეარდიული პოლკი. მათ წითელი ფერის დროშებს, რომლებზედაც ჯვარი იყო გამოხატული, შემდეგი წარწერა ჰქონდა: „ამ დროშით გაიმარჯვებ“²⁵.

²¹ 1709 წელს, რუსეთის ელჩმა თურქეთში, ტოლსტოიმ, ხელი მოაწერა რუსეთსა და თურქეთს შორის დადებულ ოცდაათწლიანი საზავო ხელშეკრულების განახლებას. ამ ხელშეკრულებით შეედრეთს მეფეს კარლოს XII-ეს დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა ბენდერი და თურქეთის მთავრობას მისთვის ოტომანთა იმპერიის ტერიტორიაზე თავივე საფარი არ უნდა მიეცა. 1710 წლის 17 ივნისის ნოტაში აღნიშნული პროტესტი იმითაა გამოწვეული, რომ მიუხედავად შეთანხმებისა, კარლოს XII ჯერ კიდევ ბენდერში იყო მოქცეული და მის გაძევებას იმპერიის ფარგლებიდან არც კი აპირებდნენ თურქები.

²² А. Кочубинский..., стр. 85.

²³ Хенорол..., გვ. 215. E. Tengberg, Fran Poltava tiil Bender, Lund, 1953, გვ. 93; A kdes Nimet Kurat, Prut seferi ve barisi, c. 1, Ankara, 1951, გვ. 167—168.

²⁴ Журнал или поденная записка блаженные и вечнодостойные памяти государя императора Петра Великого, СПб., 1770, ч. I, 325 (შემდეგ журнал...).

²⁵ С. М. Соловьев, История России с древнейших времен, т. VIII, 1962, стр. 374.

„პეტრე დიდი, პირველი რუსი მეფეთაგანი იყო, — წერს ს. პალაუზოვი, — რომელმაც განიზრახა დაეფარა დასავლეთის მართლმადიდებელი ხალხები თურქთა ჩაგვრისაგან“²⁶. არსებობს ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტი, შედგენილი პეტრე I-ს მიერ. ამ დოკუმენტში აღწერილია ყველა ის ძალმომრეობა, რომელსაც მიმართავდა ოტომანთა პორტა თავის ქრისტიან ქვეშევრდომთა მიმართ. მოხსენიებულია აგრეთვე, თუ თურქთა პირველი დაპყრობების შემდეგ რაოდენ ტანჯვას განიცდიდნენ ოტომანთა იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები ქრისტიანები: „ბერძნები, ვლახელები, ბულგარელები, სერბიელები“²⁷. სწორედ ამ ბერძენ, ვლახელ, ბულგარელ, სერბიელ და სხვა „ქრისტიანთა“ განთავისუფლების დროშით დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი.

მარქსი და ენგელსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ოტომანთა იმპერიის მიერ დამონებული ხალხების — სლავების, ბერძნების, რუმინელების და სხვა ეროვნებების განთავისუფლებას თურქთა ბატონობისაგან. მაგრამ როდესაც მარქსი და ენგელსი ეხებოდნენ რუსეთის პოლიტიკას ოტომანთა იმპერიისა და ამ იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობის მიმართ, ისინი მუდამ განასხვავებდნენ ერთმანეთისაგან რუსეთის მმართველი წრეების სუბიექტურ მიზნებს და მათი საგარეო პოლიტიკის ობიექტურ შედეგებს. მართლაც, ამ დროისათვის რუსეთისათვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა შავ ზღვაზე გასვლის საკითხი, რაც ნაკარნახევი იყო ქვეყნის მზარდი ეკონომიური აღმავლობით. რუსეთის სასარგებლოდ ამ საკითხის გადაჭრა კი გარდუვალად ხდიდა თურქეთთან შეტაკებას და მის დამარცხებას. ამიტომ, რუსეთის მთავრობის მთელი რიგი ღონისძიებანი: ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ „ქრისტიანებთან“ კავშირის დამყარება, მათთვის დახმარების აღმოჩენა თურქების ბატონობის დასამხობად და სხვ. ემსახურებოდა რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ მიზნებს, კერძოდ ბალკანეთში დასაყრდენი პუნქტების შექმნას თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ, რუსეთის ბრძოლას თურქეთის წინააღმდეგ ობიექტურად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ხალხების განთავისუფლებისათვის. ის ასუსტებდა და საფუძველს უთხრიდა უკვე დაცემის პირად მისულ ოტომანთა იმპერიის ძლიერებას და ამით ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ბალკანეთის ხალ-

²⁶ С. Н. Палаузов, Румынские господарства Валахия и Молдавия в историко-политическом отношении, СПб., 1859, 119.

²⁷ Z i n k e i s e n, Geschichte des Osmanischen Reichs in Europa, band 1, გვ. 412.

ხების. კერძოდ ვლახელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

რუსეთ-თურქეთის ომი (1710—1711 წწ.) შედარებით დროის ხანმოკლე პერიოდში მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ სულთნის ფირმანით 1710 წლის 20 ნოემბერს თურქეთმა „საღმართო ომი“ გამოუცხადა რუსეთს, საბოლოო ოპერაციები მხოლოდ 1711 წლის გაზაფხულზე დაიწყო. ორბევ მოწინააღმდეგის ძირითადი ძალები ერთმანეთს შეეჯახნენ ივნისის პირველ რიცხვებში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ორ მეომარ სახელმწიფოს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება. სამხედრო სამზადისს დასჭირდა ოთხი თვე, ამდენივე დრო მოუწია გზას, ვიდრე მოწინააღმდეგის არმიები ერთმანეთს შეხვდებოდნენ და მხოლოდ სამი დღე აღმოჩნდა საკმარისი, რომ გადაწყვეტილიყო ომის ბედი. ამიტომაც სამხედრო და ისტორიულ ლიტერატურაში ეს ომი სამართლიანად ატარებს პრუტის ლაშქრობის სახელს.

პეტრე I-მა არმიას საომარი მოქმედების კონკრეტული გეგმა დაუსახა. „1711 წლის 18 იანვარს იმპერატორმა პეტრემ მოიწვია სახელმწიფო საბჭო, — წერს კოვალნიჩანე, — რომელზედაც განხილული იქნა, თუ როგორ დაეწყოთ ლაშქრობა თურქების წინააღმდეგ და ამის შესახებ მრავალი მოსაზრება მოისმინა. ერთნი გამოთქვამდნენ აზრს, რომ პირველ რიგში საჭირო იყო ყირიმის ხანის წინააღმდეგ გალაშქრება და ჯარის ერთი ნაწილის კიევში დატოვება, რადგან მათი თქმით, მოსალოდნელი იყო თათართა შემოტევა. მეორენი აცხადებდნენ, რომ უკეთესი იქნებოდა დაპყრობდნენ დნებრის ნაპირებს ოჩაკოვამდე და ხელში ჩაეგდოთ დნებრზე და დნესტრზე აგებული ციხე-სიმაგრეები, რაც საშუალებას მისცემდა რუსეთს თავის კონტროლის ქვეშ ჰქონოდა დუნაიმდე გადაჭიმული მთელი ტერიტორია. არსებობდა მესამე მოსაზრებაც, რომ უპირველეს ყოვლისა აუცილებელი იყო ბენდერის აღება. იმპერატორმა სამივე თვალსაზრისი უარყო. მან განაცხადა — თათრები რომ მორჩილებაში გვყავდეს, საკმარისია ერთი კორპუსი განლაგდეს ყირიმის საზღვარზე. ბენდერის აღების გეგმა კიდევ უფრო ნაკლებად მისაღებია, რადგან ამ ციხე-სიმაგრის აღყის შემორტყმა ტყუილუბრალოდ დაქანცავს ლაშქარს და დიდი ვეზირის (ბალტაჯი-ფაშა — ო. გ.) ჯარებთან შეხვედრის დროს ჩვენ არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ბენდერის აღება შეიძლება მოგვიანებითაც. ის, რაც გადაუღებელია და პირველ რიგში უნდა განხორციელდეს — ეს არის დაუყოვნებლივ დუნაიზე გალაშქრება, რათა ხელი შევეშალოთ მტერს, შემოვიდეს მოლდავეთ-

ში²⁸. მოლდავეთში შესვლის შემდეგ რუსების ჯარები უნდა დაპყროდნენ პრუტს დინების მიმართულებით, შემდეგ კი დაეკავებინათ დუნაის მარცხენა სანაპიროები. ასეთი ოპერაციის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ მოეწყვიტათ დუნაის, პრუტსა და დნესტრს შორის განლაგებული თურქთა გარნიზონები ზურგისაგან და არ მიეცათ საშუალება თურქთა მთავარი ძალებისათვის გადმოეღახათ დუნაი. რუსეთის არმიის პროვიანტი მომარაგება უნდა განხორციელებულიყო მტრის ტერიტორიაზე. ფელდმარშალ შერემეტეევს, რომელიც მოქმედი არმიის ავანგარდს მეთაურობდა, დაევალა კავშირი დაეკირა მოლდავეთის მთავართან კანტემირთან და ვლახეთის მთავართან კონსტანტინე ბრინკოვიანუსთან, რომ მათ საჭირო მატერიალური მხარდაჭერა აღმოეჩინათ არმიისათვის. რუსების საბრძოლო ოპერაციები კოორდინირებული უნდა ყოფილიყო ერთდროულ აჯანყებასთან თურქების ბატონობის წინააღმდეგ არა მარტო ოტომანთა პორტას მიერ დამორჩილებულ ვლახეთისა და მოლდავეთის სამთავროებში, არამედ ბალკანეთის მთელ ნახევარკუნძულზე.

1711 წლის 20 ივნისს რუსეთის მეწინავე კორპუსმა ფელდმარშალ შერემეტეევის მეთაურობით გადალახა დნესტრი, შევიდა მოლდავეთში და 2 ივლისს აიღო ქ. იასი. მოლდავეთის მთავარმა კარტემირმა მაშინვე თავი გამოაცხადა რუსების მომხრედ. მან მოუწოდა მოლდაველ ხალხს იარაღით ხელში დახმარებოდა თავის განმათავისუფლებლებს და „აღსდგა ოგარევის, სოროკის, ლაუშინის მოსახლეობა და რუსებთან ერთად მივიდნენ პრუტამდე“²⁹, — წერს შემატრიან ნეკულჩე. რუსეთის არმიის მოლდავეთის ტერიტორიაზე შემოსვლამ ადაფრთოვანა მოსახლეობის ფართო მასები თურქთა ბატონობის წინააღმდეგ საბრძოლველად. პირველ რიგში მოლდავეთის მთავარი ქაქაქების მოსახლეობა აჯანყდა თურქთა გარნიზონების წინააღმდეგ, ამოწყვიტა ისინი და შეუერთდა კანტემირის მიერ დაკომპლექტებულ სამხედრო რაზმებს³⁰. მაგრამ რუსეთის არმიის შემდგომ საბრძოლო ოპერაციების განვითარებას მეტად აძნელებდა პროვიანტის უქონლობა. ამის შესახებ აცნობებდა ფელდმარშალი შერემეტეევი პეტრე I-ს³¹, ამის შესახებ ბჭობდა რუსეთის არმიის შტაბი პრუტის ნაპირებზე³². კოგალნიჩანე რუსეთის არმიის ასეთ პირობებში ჩაყენებას

²⁸ Fragments..., გვ. 43.

²⁹ I. Neculce, Letopiseai Moldovei, Craiova, 1942, vol. II, გვ. 283. (შემდეგ Neculce...).

³⁰ I. Neculce..., გვ. 281—284.

³¹ С. М. Соловьев, История России, кн. VIII, 381.

³² იქვე. გვ. 382.

აზრალეებს კანტემირს, „რომელიც გაცილებით მეტს დაპირდა პეტრე I-ს, ვიდრე შეეძლო“³³. (იგულისხმება კანტემირის დაპირება რუსეთის არმიის პროვიანტით მომარაგებასთან დაკავშირებით, თუმცა ამაში კანტემირს მთლიანად არ მიუძღვის ბრალი, რადგან ამ წელს მოლდავეთში მოუსაველიანობა იყო და „ქვეყანა მთლად დაცარიელდა“³⁴). პეტრე I-მა, თანახმად 1709 წლის ხელშეკრულებისა, დახმარებისათვის მიმართა ვლახეთის მთავარს ბრინკოვიანუს, რომელსაც გაუგზავნა „300 ქისა ოქრო“³⁵ სურსათ-სანოვავის შესაგროვებლად. ამასთანავე, მიუხედავად რუსეთის არმიის მძიმე მდგომარეობისა, პეტრე I-მა საგანგებო ბრძანება გამოსცა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ „სიკვდილის დასჯის შიშით ვერავინ გაბედოს გამოართვას ქრისტიანთ ფულის გარეშე არავითარი პირუტყვი თუ ფრინველი, აგრეთვე არ გააბოროტოს მოსახლეობა, არამედ მოექცეს მას მეგობრულად. მაგრამ, თუ ვინმე თვითნებობას ჩაიდენს, შეუბრალებლად... დაისაჯოს სიკვდილით, მიუხედავად იმისა თუ ვინ იქნება ის“³⁶.

ამავე დროს რუსების მთავარი ძალები პეტრე I-ის სარდლობით მიადგნენ მოგაჩს. თავის ავანგარდთან შესაერთებლად არმიამ მოგაჩიდან მიმართულემა კუჩოკისაკენ აიღო, სადაც ამ დროს ფელდმარშალი შერემეტევი იმყოფებოდა. თვითონ პეტრე I კი იასისაკენ გაემართა.

რუსეთის იმპერატორი იასში ჩავიდა 1711 წლის 24 ივნისს. ყველა იმდროინდელი მემკვიდრე ერთსულოვნად აღწერს რუმინელ ხალხის საერთო სიხარულს და აღფრთოვანებას, გამოწვეულს „ქრისტიანი მეფის“ ჩასვლით, რასაც რუმინელები თურქთა მონობის უღლიდან განთავისუფლებას უკავშირებდნენ. ასე, მაგალითად, ივანე ნეკულჩე შემდეგი სიტყვებით მოგვითხრობს პეტრე I მიღებას იასში: „ბოიარები, ყველაზე უფრო წარჩინებულ და ხანდაზმულ მოქალაქეთა თანხლებით მის შესახვედრად გაემართნენ ქალაქკარეთ. დეპუტაციამ იგი გულლიად მიიღო, თაყვანი სცა დიდი სიხარულით, როგორც ქრისტიან მეფეს. ისინი მადლობას სწირავდნენ მამაზეციერს, რომელმაც რუმინელთა ტანჯვა შეიწყნარა და ამიერიდან დაიხსნიდა მათ თურქეთის მონობისაგან“³⁷. ხოლო ნიკოლოზ მუსტა დასძენს: „მშვენიერი და საუცხოო იყო ჩვენს ქვეყანაში. ქრისტიანი მეფის მიღება.

³³ Fragments..., გვ. 186.

³⁴ Х е п о р о I..., გვ. 80.

³⁵ Cronicele..., გვ. 350.

³⁶ И. Г о л и к о в, Даяния Петра Великого, т. III, М., 1878; стр. 328.

³⁷ Х е п о р о I..., გვ. 74.

იგი თავდაპირველად ეწვია მიტროპოლიტ გედეონს (მოლდავეთის მიტროპოლიტი — ო. გ.), შემდეგ ინახულა ეკლესია. მთელი ამ დროის განმავლობაში განუწყვეტლივ გაისმოდა ზარების რეკვა. ხალხი მეფის სანახავად გამოვლიდა... და იმედოვნებდა, რომ მისი შემწეობით თავს დააღწევდა მონობის უღელს³⁸.

რუსების ჯარების შემოსვლით გამოწვეული ეს საყოველთაო სიზარული გასაგები იქნება, თუ გავიხსენებთ, რა აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდა თურქეთის ბატონობის ქვეშ მყოფი „ქრისტიანი მოსახლეობა“. უკვე XVII საუკუნის დასაწყისიდან, „ბრწყინვალე პორტას ძლიერებისა და დიდების დაცემის“³⁹ ამ პერიოდიდან, თურქეთის იმპერიის ცხოვრებაში შეინიშნება ისეთი მოვლენები, რომლებიც საშინაო კრიზისის დასაწყისის მაჩვენებლები არიან. სამხედრო-საგადასახადო სისტემამ, რომელიც ადრე იმპერიის ძლიერებისა და სიმტკიცის საფუძველს წარმოადგენდა, თავისი თავი მოკლავს. თურქთა დაპყრობითი ომები თანდათან მზარდ წინააღმდეგობას ხდებდა და დრო და დრო მარცხითაც მთავრდება. შემოსავლის სტაბილობისა და ზრდის თვალსაზრისით თურქეთის მმართველი წრეები ამჟღავნებენ ტენდენციას გააძლიერონ დამორჩილებული ქვეყნების მოსახლეობის ექსპლუატაცია. ამასთან დაკავშირებით სულთნის მთავრობა ისწრაფვის მტკიცედ დაიმორჩილოს იმპერიის პერიფერიები. დამორჩილებული ხალხის ექსპლუატაცია ოტომანთა იმპერიაში ყველაზე უფრო მძიმე და მტაცებლურ ფორმებს იღებს. გარდა ამისა, სოციალურ ჩაგვრას ზედ ერთვის უსასტიკესი ნაციონალური და რელიგიური ფანატიზმი. გადასახადის რაოდენობა, რომელსაც უხდის რუმინელი ხალხი თურქ ხელისუფალთ, შეუჩერებლივ იზრდება. ენგელს მოჰყავს საყურადღებო ცნობა. 1706 წელს სულთანმა მოსთხოვა ვლახეთის მთავარს, გადაეხადა არა მარტო იმ წლის გადასახადი, არამედ დამატებით გაეგზავნა მისთვის 116000 ათასი ოქრო. იმავე წლის აგვისტოში ვლახეთს შეაწერეს 100 ქისა ოქრო, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ კიდევ 200 ქისა ოქრო⁴⁰. რუმინელი ხალხი გადასახადს უხდიდა ოტომანთა იმპერიის არა მარტო მაღალი თანამდებობის პირთ, არამედ სულთნის პარამხანის ქალებსაც კი⁴¹. სულთნის ჯარები ისე არ გაივლიდნენ მოლდავეთსა და ვლახეთში, რომ საშინელი ძარცვა-გლეჯისა და სრული ანარქიის კვალი არ დაეტოვებინათ.

³⁸ Х е п о р о I..., გვ. 80.

³⁹ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. X, стр. 61.

⁴⁰ Е n g e l... გვ. 363.

⁴¹ Х е п о р о I..., 76.

ასე მაგალითად, თურქთა არმიამ ვლახეთზე გზად გავლის დროს მოსახლეობას წაართვა მთელი ქირანახული და არ დაუტოვა არც ერთი სული პირუტყვი თუ ფრინველი⁴². „რუმინელები, — წერს ქსენოპოლი, — თურქეთის ნამდვილი მონობის უღლის ქვეშ იმყოფებოდნენ“⁴³. ამას ზედ ერთვოდა თურქეთის ქვეშევრდომი თათრების შემოსევა, რომლებიც „ყოველ წელს მხეცურად არბევდნენ, აოხრებდნენ და ძარცვავდნენ ქვეყანას“⁴⁴. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ როგორ შეიძლება გახარებული არ ყოფილიყო რუმინელი ხალხი, როდესაც რუსები მათ ყოველგვარი გადასახადისაგან ათავისუფლებდნენ⁴⁵. რუმინელი ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერა რუსებისადმი აგრეთვე უნდა აიხსნას სარწმუნოების იდენტურობით. რუსი, რომლის მეშვეობითაც რუმინელი თურქისაგან გათავისუფლებას მოელოდა, დადიოდა იგივე ეკლესიაში, ზიარებას იღებდა იმავე მღვდელთან და პირჯვარს მისივე წესით იწერდა. რუმინელში იღვიძებს ეროვნული თვითშეგნება და სიამაყე. მისი ქვეყანა აღარ იქნება უცხო დამპყრობლის მორჩილებაში — ეს რუმინელის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეობდა. „ქრისტიანი“ აღარ დაემორჩილება „უჩულოს“ — ეს კი რუმინელის რელიგიურ ინტერესს წარმოადგენდა. „ამავე დროს, — წერს ქსენოპოლი, — პეტრე I დიდი იმპერატორი იყო. მისი სახელი ხალხს პატარაობიდანვე ესმოდა და ეს სახელი დიდების შარავანდედით მოსილი მის სულს გრანდიოზულობის იდვით აღავსებდა... ხალხს აცახცახებდა შიშისაგან, როცა იმპერატორის სახით მასში მტერს ხედავდა. ზოლო, მეორეს მხრივ, განუზომელ სიხარულს გვრიდა, როცა იმპერატორი მეგობრად ევლინებოდა... რომელსაც ქრისტიანები ოტომანთა ბატონობის მძიმე უღლისაგან უნდა ეხსნა“⁴⁶.

ახლა კი დავუბრუნდეთ კონსტანტინე ბრინკოვიანუს და მის საქმიანობას ვლახეთში.

თუ 1709 წლიდან მოყოლებული რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე კონსტანტინე ბრინკოვიანუს მთელი პოლიტიკა მიმართული იყო იმისაკენ, რომ ყოველმხრივ ხელი შეწყობოდა რუსეთს, ოტომანთა იმპერიაზე გამარჯვებაში (ბრინკოვიანუ საიღუმლო ცნობებსაც კი აწე-

⁴² Н. Борецкий - Бергфельд, История Румынии, С-П, стр. 123.

⁴³ Xenopol..., გვ. 76

⁴⁴ იქვე, გვ. 186.

⁴⁵ პეტრე I-სა და დიმიტრი კანტემირს შორის 1711 წლის 13 აპრილს დადებულ ხელშეკრულების მეორე მუხლში ნათქვამია: „მოლდავეთი არ გადაიხდის არავითარ გადასახადს“ Fragments..., გვ. 158.

⁴⁶ Xenopol..., გვ. 76.

დიდა პეტრე I-ს თურქეთის არმიის შეიარაღების შესახებ)⁴⁷, ჩვენ ვხედავთ, რომ 1711 წლიდან ვლახეთის მთავარი ირჩევს მოცდის პოლიტიკას: ვისკენ გადაიწვევს გამარჯვების სასწორი — რუსეთის: თუ თურქებისაკენ, რომ საბოლოოდ მიემხროს გამარჯვებულს. ასე მაგალითად, როდესაც მან შეიტყო, რომ მოლდავეთში თურქეთის არმიასთან შედარებით მცირერიცხოვანი რუსების ჯარი შემოვიდა, მან დაუყოვნებლივ მისწერა დიდ ვეზირს, „რათა მან იჩქაროს გადმოსვლა, ვინაიდან რუსებს მხოლოდ 30000 ჯარისკაცი ჰყავს და მათ არავითარი პროვიანტი არ გააჩნიათ. თვით ბრინკოვიანუ კი მზადაა დახმარება აღმოუჩინოს თურქებს“⁴⁸. ამავე დროს კი ბრინკოვიანუ პეტრე I-ს ერთგულებას ეფიცებოდა: „მე მხოლოდ რუსეთის არმიის ვლახეთში მოსვლას ველოდები, რომ გადავიღე მის მხარეზე და თავი რუსეთის მომხრედ გამოვაცხადო“⁴⁹. კონსტანტინე ბრინკოვიანუმ ვლახელთა ჯარს თავი მოუყარა ჰურა ურლაცილორეში, რომელიც ტირგოვიშტედან რვა საათის სავალით იყო დაშორებული⁵⁰. ჰურა ურლაცილორეში ჯარების ბანაკის ადგილი ისე იყო შერჩეული, რომ რუსეთის არმიის ვლახეთში შესვლის შემთხვევაში, ბრინკოვიანუს შესაძლებლობა: ჰქონოდა სწრაფად შეერთებოდა მას. ხოლო, მეორე მხრივ, ბანაკი კარგა მანძილით იყო დაშორებული ღუნაიდან და იმყოფებოდა მთებთან ახლოს, რადგან საჭიროების დროს საშუალება მისცემოდა ბრინკოვიანუს მოუვალი ადგილისათვის შეეფარებინა თავი.

კონსტანტინე ბრინკოვიანუს ასეთი პოლიტიკა შეიძლება შედეგი იყო „გაუბედობისა, რომელიც ყოველთვის ახასიათებდა მთავარს გადამწყვეტ და კრიტიკულ მომენტში“⁵¹, ანდა, საფიქრებელია, იმ პარტიათა შორის არსებული ბრძოლისა, რომელთაც სხვადასხვა თვალსაზრისი გააჩნდათ ვლახეთის მომავალი ბედის მიმართ. პირველი პარტია, რომელსაც ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ „რუსული ორიენტაციის პარტია“ და რომლის სულისჩამდგმელი და მეთაური ვლახეთის მიტროპოლიტი ანთიმ ივერიელი იყო (ამ პარტიას მიეკუთვნება აგრეთვე სპატარი — მხედართმთავარი თომა კანტაკუზენი, დანარჩენების ვინაობის შესახებ, სამწუხაროდ, დოკუმენტები არაფერს ამბობენ. ისინი იხსენიებიან მხოლოდ როგორც „ბრინკოვიანუს პოლიტიკით უკმაყოფილო ბოიარები“)⁵², ბედკრული ვლახეთის ბედნიერებასა და კეთილდღე-

⁴⁷ Fragments..., გვ. 48.

⁴⁸ Fragments..., გვ. 148.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ A. Xenopol, Istoria rominilor din Dacia Traiana, vol. 8, გვ. 60.

⁵¹ Fragments..., გვ. 184.

⁵² Magazin istoric pentru Dacia, Buc. 1848, გვ. 23. (შემდეგ Magazin...)

ობას რუსული იარაღის გამარჯვებას უკავშირებდა. ცნობამ იმის შესახებ, რომ რუსების ჯარები პეტრე I-ის მეთაურობით შევიდნენ მოლდავეთში, კიდევ ერთხელ დაარწმუნა ანთიმ ივერიელი, რომ ახლოვდებოდა დღე, როდესაც შესაძლებელი გახდებოდა საბოლოოდ მოეშორებინათ ვლახელებს თურქების მონობის უღელი. მაგრამ მას აგრეთვე კარგა ესმოდა, რომ ბრძოლა თავისუფლებისათვის იქნებოდა სასტიკი და უღმობელი, რომ ამ ბრძოლაში საკირო გახდებოდა გაბედული და გადამწყვეტი მოქმედება, მთელი ვლახელი ხალხის ერთსულოვნება და მობილიზება. ამასთანავე ანთიმ ივერიელი ითვალისწინებდა, რომ მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით ვლახელი ხალხი ვერ გათავისუფლდებოდა თურქთა ბატონობისაგან, რომ ერთადერთი რეალური ძალა, რომელსაც შეეძლო ჯერ კიდევ ძლიერი ოტომანთა იმპერიის შემუსვრა — ეს რუსეთი იყო. ანთიმ ივერიელი მთელი ვლახელი ხალხის ბედს რუსეთს უკავშირებდა. იგი ითვალისწინებდა ვლახელი ხალხის სიძულვილს თურქი დამპყრობლების მიმართ და მის დიდ სიმპათიებს ერთმორწმუნე რუსი ხალხისადმი.

„როგორც ქართველი, — წერს რუსო, — ანთიმი სიმპათიებით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული პეტრე პირველის მართლმადიდებლური რუსეთისადმი, რომელმაც მიზნად დაისახა გაეთავისუფლებინა ქრისტიანები თურქთა ბატონობისაგან“⁵³.

ბოლო რაც შეეხება მეორე პრატიას, მისი ინტერესების გამომატველად ჩვენ გვევლინება ალექსანდრე კანტაკუზენი, რომელიც შემდეგ რჩევას აძლევდა ბრინკოვიანუს: „საშიშია რუსების მომხრედ თავის გამოცხადება... ვინ იცის, ვლახეთი რუსეთის ბატონობის ქვეშ უფრო ბედნიერი იქნება, თუ თურქეთისა?...“⁵⁴. როგორც ჩანს, ალექსანდრე კანტაკუზენის ასეთმა რჩევამ, დიდი ვეზირის მხედართმთავრობით თურქთა ორასი ათასიანი არმიის მოახლოვებამ, რომელიც უკვე აშენებდა ხიდს დუნაიზე გადმოსასვლელად, თავისი შედეგი გამოიღო. ეს შედეგი კი იმაში გამოიხატა, რომ კონსტანტინე ბრინკოვიანუს, ლავირების პოლიტიკა უკვე აშკარად იღებს რუსების და, აქედან გამომდინარე, ვლახელი ხალხის ინტერესების ღალატის სახეს. ცხადია, ანთიმ ივერიელი და მისი თანამოაზრე ბოიარები ვერ შეუთრიგდებოდნენ კონსტანტინე ბრინკოვიანუს ასეთ მოქმედებას. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ჰურა ურლაცილორეში, სადაც ბანაკად იდგა ვლახთა არმია, ანთიმ ივერიელმა ბრინკოვიანუს ფარულად⁵⁵ საიდუმლო სხდომაზე

⁵³ D. Russo, *Studi istorice greco-romine*, II, 1939, გვ. 51.

⁵⁴ Engel..., გვ. 368.

⁵⁵ M a g a z i n ..., გვ. 23.

შეკრიბა თომა კანტაკუზენი და „მთავრის პოლიტიკის უკმაყოფილო ბოიარები“⁵⁶. ჩვენ აქ საპირიოდ ვთვლით განსაკუთრებით შევჩერდეთ პურა ურლაცილორეში ვლახელ ბოიართა საიდუმლო სხდომაში ანთიმ ივერიელის მონაწილეობაზე, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით რუსულ ისტორიოგრაფიაში, ჩვენ შეგვიძლია დაბეჭითებით განვაცხადოთ, ნამდვილი გაუგებრობა არსებობს, ასე მაგალითად, ა. კოჩუბინსკი თავის გამოკვლევაში „Сношения России при Петре I с южными славянами и Румынами“ აღნიშნავს ფაქტს პურა ურლაცილორეში ვლახელ ბოიართა შეკრების შესახებ. მაგრამ ამ შეკრების ინიციატორად და მოთავედ იგი ასახელებს... „епископ Афанасий“-ს „В Гура Урлацилоре, — წერს ა. კოჩუბინსკი, — состоялось совещание недовольных политикой Брынкована валашских бояр во главе с епископом Афанасием“.⁵⁷ ამ ცნობის მოყვანის დროს ა. კოჩუბინსკი სქოლიოში მიუთითებს რუმინელ ისტორიკოსზე М. Kogalnicean-ზე⁵⁸. თუმცა მ. კოგალნიჩანეს რომელი წიგნით სარგებლობდა ა. კოჩუბინსკი, ეს მისი გამოკვლევიდან არ ჩანს. როდესაც ჩვენ აქ დასმული საკითხის ირგვლივ ვამუშავებდით არსებულ წყაროებსა და ლიტერატურას, ბუნებრივია, მოგვიხდა მ. კოგალნიჩანეს ნაშრომების შესწავლა, რის შედეგადაც აღმოჩნდა: რუმინელი ისტორიკოსი მხოლოდ თავის ორ წიგნში მოგვითხრობს პურა ურლაცილორეში ვლახელ ბოიართა შეკრების ამბავს. ეს წიგნებია: М. Kogalnicean, Fragments tirés des chroniques moldaves et valaques pour servir à l'histoire de Pierre-la-Grand, Charles XII, St. Leszczynski, Démètre Cantemir et Constantin Brancovan v. I, Iassi, 1845, და М. Kogalnicean, Cronicele Romaniei seu Letopisetele Moldaviei si Valachiei de М. Kogalnicean, vol. 2 Buc..., 1872.

აქედან გამომდინარე, ა. კოჩუბინსკის თავისი გამოკვლევის წერის დროს უნდა ესარგებლა მ. კოგალნიჩანეს ან „Fragments“-ით ან „Cronicele“-თი, ანდა სავსებით შესაძლებელია, რომ ის სარგებლობდა ორივე წიგნით ერთდროულად, რადგან როგორც „Fragments“-ში, ასევე „Cronicele“-ში მ. კოგალნიჩანე თავის მხრივ ეყრდნობოდა რადუ პეპუსკუს ერთი და იგივე მატრიანეს. ახლა კი ვნახოთ, რა აქვს ნათქვამი მ. კოგალნიჩანეს როგორც „Fragments“-ში, ასევე „Cronicele“-ში ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით. „ვლახელი მემკვიდრე რადუ პეპუსკუ, — წერს კოგალნიჩანე, — ამბობს, რომ

⁵⁶ Magazin..., გვ. 23.

⁵⁷ А. Кочубинский..., გვ. 98.

⁵⁸ იქვე.

ჰურა ურლაცილორეში შეიკრიბა რამდენიმე, კონსტანტინე ბრინკოვიანუს პოლიტიკით უკმაყოფილო ბოიარი საიდუმლო კრებაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ეპისკოპოსი „Anthimius“-ი⁵⁹. ამრიგად, რუმინელი მეისტორიეს სიტყვებით, ჰურა ურლაცილორეში ვლახელი ბოიარები შეკრებილან „Anthimius“-ის და არა „Афанасий“-ის მეთაურობით და რუსული ორიენტაციის ჯგუფის მოთავე ყოფილა არა ვილაც რიკითი ეპისკოპოსი ათანასე, როგორც ეს ჰგონია ა. კოჩუბინსკის, არამედ მიტროპოლიტი უნგრო-ვლახეთისა ანთიმ ივერიელი. თუმცა მ. კოვალნიჩანე ამ შემთხვევაში ანთიმს იხსენიებს არა როგორც მიტროპოლიტს, არამედ როგორც ეპისკოპოსს. შესაძლოა, სწორედ ამ გარემოებამ შეიყვანა ა. კოჩუბინსკი შეცდომაში. მაგრამ საკმარისი იქნებოდა, რომ მას უშუალოდ მიემართა რადუ პეპესკუს მატიანესათვის და ასეთ კურიოზს აღარ ექნებოდა ადგილი, რადგან რუმინელი მემატიანე გარკვევით ასახელებს „შეთქმულ ბოიართა“ მეთაურად მიტროპოლიტ ანთიმ ივერიელს⁶⁰.

ა. კოჩუბინსკის მსგავს შეცდომას უშვებს ლ. სემიონოვაც თავის გამოკვლევაში: „Из истории румыно-русских связей в конце XVII—начале XVIII в.“ (Внешнеполитические отношения румынского княжества Валахии с Русским государством) — როდესაც წერს: „В Гура Урлацилоре состоялось совещание недовольных политикой Брынкована валашских бояр во главе с епископом Афанасием“⁶¹.

როგორც ვხედავთ, ისევ ის სიტყვები და აზრი, რომლებიც მოყვანილი აქვს ა. კოჩუბინსკის თავის გამოკვლევაში და ისევ ის — არვისთვის ცნობილი ეპისკოპოსი, რომელიც, შესაძლოა, არც კი არსებობდა ამ ქვეყნად და მან მხოლოდ ა. კოჩუბინსკის წყალობით შეისხა სისხლი და ხორცი. მაგრამ ა. სემიონოვას გამოკვლევებიდან ჩვენს მიერ მოყვანილი ციტატა ა. კოჩუბინსკის ნაშრომიდან კი არ არის ამოღებული, არამედ მას სქოლიოში მითითებული აქვს მ. კოვალნიჩანეს „Cronicele Romaniei seu Letopisetele Moldaviei si Valachiei de M. Kogalnicean, vol, 2, Bul. 1872, P. 321“. ხოლო თუ რა არის ნათქვამი მ. კოვალნიჩანეს აქ დასახელებულ წიგნში ჰურა ურლაცილორეში შეკრებილ ვლახელ ბოიართა და მათი მეთაურის შესახებ, ეს ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. ჩვენ არ ვიცით, იყო თუ არა საერთოდ ანთიმ ივერიელის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის პიროვნება ცნო-

⁵⁹ Fragments..., გვ. 114; Cronicele..., გვ. 318.

⁶⁰ Magazin., გვ. 23

⁶¹ Вестник Московского университета, историко-филологическая серия, № 3, 1958, стр. 176.

ბილი ა. კოჩუბინსკისათვის, რადგანაც ის რუსეთ-ვლახეთის ურთიერთობის საკითხის განხილვის დროს ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტს, მაგრამ ა. სემიონოვასათვის რომ უცხო არ ყოფილა მიტროპოლიტ ანთიმ ივერიელის სახელი, ეს კარგად ჩანს მისი გამოკვლევებიდან⁶². და თუ ერთის მხრივ, ა. სემიონოვასათვის ცნობილი იყო მიტროპოლიტ ანთიმის სახელი, ხოლო მეორეს მხრივ, ჰურა ურლაცილორეში ვლახელ ბოიართა შეკრების შესახებ ცნობის მოყვანის დროს იგი მართლაც ეყრდნობოდა მ. კოვალნიჩანეს, რომელიც ამ შეკრების თავმჯდომარედ ანთიმ ივერიელზე მიუთითებს, მაშ როგორღა მოხდა, რომ ყოველივე ამის შემდეგ ჰურა ურლაცილორეში შეკრებილ ვლახელ ბოიართა მოთავედ ა. სემიონოვა მაინც „Афанасий-ს“ ასახელებს?! არ ვამტკიცებთ, მხოლოდ ექვს გამოთქვამთ, ხომ არ მოხვდა ა. სემიონოვა მხოლოდ და მხოლოდ ა. კოჩუბინსკის ზეგავლენის ქვეშ?!

ჰურა ურლაცილორეს ამბებში ანთიმ ივერიელის მონაწილეობაზე ჩვენ იმიტომ შევჩერდით ასე დეტალურად, რადგან დროა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ არასწორ და მცდარ შეხედულებას. მართლაც, მხოლოდ დიდი გულისტკივილით შეიძლება აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ადამიანს, რომელიც მონაწილე იყო ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენისა და არა მარტო მონაწილე, არამედ მისი მოთავე და სულისჩამდგმელიც, არ შეარჩინო იმის უფლებაც კი, მოხსენიებული იყოს თავის ნამოღვაწართან ერთად; უფრო მეტიც: სავსებით აღმოფხვრა ამ ადამიანის სახელი, ხოლო „საქმენი მისნი“ სხვას მიაწერო.

ჰურა ურლაცილორეში შეკრებილი ვლახელ ბოიართა სხდომა, მართლაც არა მცირედი მნიშვნელობის მქონე მოვლენა იყო როგორც ვლახეთის ისტორიაში, აგრეთვე ვლახეთ-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. სამწუხაროდ, მთელი რიგი ასეთი საყურადღებო საკითხებისა, როგორიცაა: ანთიმ ივერიელის მეთაურობით ჰურა ურლაცილორეში შეკრებილ რუსული ორიენტაციის მქონე ვლახელ ბოიართა მიერ თავის წარმომადგენლის გაგზავნა პეტრე I-თან მოსალაპარაკებლად; პრუტის ლაშქრობის დროს რუსეთსა და თურქეთს შორის მშვიდობიანი შეთანხმების ჩაშლაში ვლახეთის მხედართმთავრის თომა კანტაკუზენის როლი; თურქების ციხე-სიმაგრე ბრაილზე რუსების ჯარების შეტევა და სხვა, რომელთა შესახებ ჩვენ ქვევით გვექნება საუბარი, ვერ პოულობდნენ სათანადო გაშუქე-

⁶² Вестник Московского университета, № 3, 1958, გვ. 177.

ბას ისტორიოგრაფიაში ერთმანეთთან ორგანული კავშირის თვალსაზრისით. არ ექცეოდა ყურადღება იმ ფაქტორს, რომ აქ დასახელებული ღონისძიებანი მეტად თუ ნაკლებად გამომდინარეობდნენ ჰურა ურლაცილორეში ანთიმ ივერიელის მეთაურობით შეკრებილ ვლახელ ბოიართა გადაწყვეტილებიდან. განვიხილოთ თანმიმდევრობით ეს საკითხები და შეძლებისდაგვარად შევეცადოთ დავადგინოთ მათი ურთიერთ კავშირი.

როდესაც ანთიმ ივერიელმა ჰურა ურლაცილორეში შეკრიბა თავისი თანამოაზრე ვლახელი ბოიარები, ჩანს, მაშინ გადაწყვიტა, რომ ამიერიდან თავის ხელში აიღებდა ვლახეთის მომავალი ბედის საქმეს და კონსტანტინე ბრინკოვიანუს დაუკითხავად გადადგამდა სათანადო ნაბიჯებს. პირველ რიგში, ვლახელ ბოიართა სხდომამ საჭიროდ ჩათვალა გაეგზავნა თავისი წარმომადგენელი პეტრე I-თან მოსალაპარაკებლად⁶³. რომელიც ამ დროს იასში იმყოფებოდა. ეს დაევალა ვლახეთის ჭარების მხედართმთავარს თომა კანტაკუზენს — „ახალგაზრდა, გონიერ ვაჟკაცს. რომელიც კარგი მცოდნე იყო უცხო ენებისა“⁶⁴. თომა კანტაკუზენის იასში გამგზავრების შესახებ ისტორიკოსთა შორის სხვადასხვა აზრი არსებობს. მაგალითად, კოსტინი თვლის, რომ თომა კანტაკუზენი პეტრე I-თან გაგზავნა კონსტანტინე ბრინკოვიანუმ⁶⁵. ჩვენ ეს მოსაზრება მცდარად მიგვაჩნია, რადგან, ჯერ ერთი, ასეთ შესაძლებლობას უარყოფენ როგორც რადუ პეპესკუს, ასევე ივანე ნეკულჩეს ცნობები⁶⁶. გარდა ამისა, სავსებით წარმოუდგენელია, რომ კონსტანტინე ბრინკოვიანუს არა თუ გაუგზავნა თომა კანტაკუზენი იასში, არამედ რაიმე სცოდნოდა ამის შესახებ, რადგან ვლახეთის მხედართმთავრის პეტრე I-თან წასვლა გადაწყდა იმ სხდომაზე, რომელიც ვლახეთის მთავრის ფარულად იქნა მოწვეული⁶⁷. ჩვენ, აგრეთვე, ხშირად ვვხვდებით ისეთ მეცნიერულ ლიტერატურას და ამა თუ იმ დოკუმენტის კომენტარს⁶⁸, სადაც თომა კანტაკუზენის იასში ჩასვლა პეტრე I-თან და მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი დაკავშირებული რუსეთ-ვლახეთის ურთიერთობის განმტკიცებასთან, მიეწერება მხოლოდ და მხოლოდ ვლახეთის მხედართმთავრის ინიციატივას.

რასაკვირველია, ჩვენ ერთი წუთითაც არ გვინდა ვინმემ დაგვწამოს თომა კანტაკუზენის პიროვნების შეუფასებლობა, როგორც ვლა-

⁶³ Magazin..., გვ. 23.

⁶⁴ Fragments..., გვ. 144.

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ Magazin..., I. Neculce.

⁶⁷ I. Neculce..., გვ. 66.

⁶⁸ იქვე.

ხეთის თვალსაჩინო მოღვაწის, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა თურქების მონობის უღლიდან თავის სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში. მაგრამ თუ ჩვენ სათანადოს მიუვხლავთ თომა კანტაკუზენს, რომელიც მხოლოდ შემსრულებელი იყო ჰურა ურლაცილორეში შეკრებილ ბოიართა სხდომის გადაწყვეტილებისა, მაშინ რატომღა უნდა დავივიწყოთ უნგროვლახეთის მიტროპოლიტი ანთიმ ივერიელი, რომელიც სულისჩამდგმელი და მოთავე იყო სწორედ ამ სხდომისა. ვნახოთ, რას წერდა ამის შესახებ რადუ პეპესკუ: „ვლახელ ბოიართა კრებამ, რომელსაც ანთიმ ივერიელი თავმჯდომარეობდა, გადაწყვიტა, რომ ერთ-ერთი ბოიარი უნდა წასულიყო იმპერატორ პეტრესთან... არჩევანი წილად ხვდა თომა კანტაკუზენს“⁶⁹. ამრიგად, თომა კანტაკუზენს მხოლოდ „წილად ხვდა არჩევანი“ შეესრულებინა ანთიმ ივერიელის თავმჯდომარეობით მოწვეული კრების დავალება. და, როგორც, ჩვენს მიერ მოყვანილ ციტატიდან ჩანს სავსებით შესაძლებელი ყოფილა, რომ ეს „არჩევანი“ შეჩერებულყო არა ვლახეთის მხედართმთავარზე, არამედ კრების მონაწილე ერთ — სხვა რომელიმე ბოიარზე. რა შეიცვლებოდა იმით, რომ ჰურა ურლაცილორეში შეკრებილ ვლახელ ბოიართა სხდომას თომა კანტაკუზენის მაგივრად გაეგზავნა სხვა რომელიმე ვლახელი ბოიარი? შეიცვლებოდა ის, რომ რუსეთ-ვლახეთის ურთიერთობის აქ მოყვანილი პერიოდის აღწერის დროს თომა კანტაკუზენის მაგივრად მოხსენიებული იქნებოდა სხვა ბოიარის სახელი და გვარი, ხოლო ჰურა ურლაცილორეში ანთიმ ივერიელის მეთაურობით შეკრებილი ვლახელ ბოიართა სხდომა ისტორიაში ისევ დარჩებოდა თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ ვლახეთისა და რუსეთის ერთობლივი ბრძოლის ბრწყინვალე ნიმუშად.

ამრიგად, როგორც უკვე ვთქვით, ბოიართა სხდომის გადაწყვეტილებით ვლახეთის მხედართმთავარი თომა კანტაკუზენი უნდა გამგზავრებულყო იასს, პეტრე I-თან შესხავედრად. მაგრამ თუ ჰურა ურლაცილორეს სხდომაზე ანთიმ ივერიელმა და მისმა თანამოაზრე ბოიარებმა საკიროდ ჩათვალეს თავისი წარმომადგენლის გაგზავნა რუსეთის იმპერატორთან მოლაპარაკების საწარმოებლად, ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ ამ წარმომადგენელს რაიმე საგანგებო მისიის შესრულება ექნებოდა დავალებული. თუ რაში მდგომარეობდა თომა კანტაკუზენის ეს მისია, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჰურა ურლაცილორეში ანთიმ ივერიელის მეთაურობით შეკრებილ ვლახელ ბოიართა გადაწყვეტილება, ამის შესახებ ჩვენ შემდეგ გვექნება საუბარი.

⁶⁹ Magazin..., გვ. 23.

ხოლო რაც შეეხება თომა კანტაკუზენს, მან სხდომის დამთავრების-
თანავე მიატოვა ჰურა ურლაცილორე და გაემართა იასისაკენ, ისე
რომ კონსტანტინე ბრინკოვიანუსაგან მას ნებართვაც კი არ აუღია⁷⁰.
ქსენოპოლის ცნობით, „მას თან წაუყვანია ჯარის ნაწილი, რომლის მე-
თაურიც თვითონ იყო“⁷¹.

იასისაკენ მიმავალი თომა კანტაკუზენი გზად ფელდმარშალ შე-
რემეტიევის ბანაკში გაჩერებულა. ამის შესახებ წერდა შერემეტიევი
პეტრე I-ს 1711 წლის 22 ივნისს⁷². ამავე წერილიდან ჩანს, რომ შერე-
მეტიევს და თომა კანტაკუზენს შორის აღგილი ჰქონია აზრთა გაცულა-
გამოცვლას, ხოლო „არა ვრცელს“, რადგან თომა კანტაკუზენს, რო-
გორც აცნობებდა ფელდმარშალი პეტრე I-ს, დაუყოვნებლივ სურდა
„მისი უდიდებულესობის ნახვა“⁷³. ამასთანავე შერემეტიევი დასძენ-
და, რომ საჭიროა ავწონ-დავწონოთ კანტაკუზენის მოქმედება, „ხომ
არ არის ის პარტიკულარული ინტერესებით გამოწვეული“, რამაც შე-
იძლება „გააბრაზოს ვლახეთის მთავარი“⁷⁴. ამ სტრიქონების წერის
დროს, რასაკვირველია, შერემეტიევისათვის, ისევე როგორც პეტრე
I-სათვის, ჭერ კიდევ არ იყო ცნობილი ის ახალი პოზიცია, რომელიც
კონსტანტინე ბრინკოვიანუმ დაიკავა რუსების მიმართ. ამიტომაც იგი
კანტაკუზენის რუსეთის სამხედრო ბანაკში მისვლას, „ვლახეთის მთავ-
რის ინსტრუქციის“⁷⁵ გარეშე, უწოდებს „პარტიკულარიზმს“ და ში-
შობს რუსეთის მოკავშირე ბრინკოვიანუს მხრივ უკმაყოფილების გამო-
წვევას⁷⁶. შესაძლოა შერემეტიევის ასეთი ექვი იმითაც იყო გამოწვე-
ული, რომ თომა კანტაკუზენმა საჭიროდ არ ჩათვალა ეცნობებინა
ფელდმარშლისათვის თავისი მისიის მიზანი. მაგრამ, როდესაც თომა
კანტაკუზენი პეტრე I-ის მიწვევით⁷⁷ წარსდგა იმპერატორის წინაშე
იასში, გასაგები გახდა, თუ რა „პარტიკულარული ინტერესები“ ამოქ-
მედებდა ვლახეთის ჯარების სპატარს და თუ რაში მდგომარეობდა სა-
ერთოდ მისი მისიის არსი.

„თქვენო უდიდებულესობაზე, — მიმართა თომა კანტაკუზენმა პე-
ტრე I-ს. თქვენ გაუგზავნეთ ბრინკოვიანუს სამასი ქისა ოქრო. რათა მას
თავი მოეყარა ლაშქრისათვის და მოეგროვებინა სურსათ-სანოვაგე. და-

⁷⁰ Несулке..., გვ. 66.

⁷¹ Хепорол..., გვ. 65.

⁷² Письма и бумаги императора Петра Великого, т. 11, 1962, гл. 556, (შეზღვე-
დგ Письма...).

⁷³ იქვე.

⁷⁴ იქვე.

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ იქვე.

⁷⁷ იქვე.

ნაპირების თანახმად, როდესაც იგი შეასრულებდა ამ ორ დავალებას, მთავარი უნდა მოსულიყო თქვენი ჯარების შესახვედრად ფალჩხი. მაგრამ შეგიძლიათ დამერწმუნოთ, რომ მისი მოქმედება არის მხოლოდ და მხოლოდ ვერაგობა. თქვენო უდიდებულესობავ, მე მტკიცედ მწამს, რომ ბრინკოვიანუს დაპირებიდან არაფერი გამოვა. ის თქვენ არც ჯარს მოგიყვანთ და არც სურსათით მოგამარაგებთ. მთავარს საიღუმლოდ აქვს გადაწყვეტილი დაემორჩილოს აესტრიის იმპერატორს⁷⁸ იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსები გაიმარჯვებენ თურქებზე. ასეთი ბოროტების თავიდან ასაცილებლად მე მოგმართავთ თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ! ბოიარებს, ვაჰრებს, მთელ ხალხს სურთ თქვენ დაგიქირონ მხარი. მე ისიც უნდა დავსძინო, რომ ისევ და ისევ ბრინკოვიანუ უშლის ხელს ცხრამეტი ათასი სერბიელის დუნაიზე გადმოსვლას, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ თქვენთან შემოერთება⁷⁹. (ვიდრე პრუტის ლაშქრობა დაიწყებოდა, პეტრე I მოლაპარაკებას აწარმოებდა სხვადასხვა სახელმწიფოებთან და ოტომანთა იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრებ „ქრისტიან მოსახლეობა“თან“, რათა თურქეთთან ომის შემთხვევაში მათ დახმარება გაეწიათ რუსეთის არმიისათვის. ასე, მაგალითად, პოლონეთის მეფე ავგუსტი დაპირდა პეტრე I-ს 30 ათასიანი არმიის გამოყოფას, ხოლო 19 ათასი სერბიელი, — წერს კოვანლაჩანე, — მზად იყო პირველ ნიშანზევე წამოსულიყო რუსების დასახმარებლად“ Fragments..., გვ. 128. ცხადია, ამ 19 ათას სერბიელს გულისხმობდა თომა კანტაკუზენი).

ამრიგად, თომა კანტაკუზენის ამ სიტყვებიდან ირკვევა, თუ რა მისიით გამოგზავნა ჰურა ურლაცილორეში ანთიმ ივერიელის მეთაურობით შეკრებილმა ბოიართა საიღუმლო კრებამ ვლახეთის ჯარების მხედართმთავარი იმპერატორ პეტრე I-თან. ეს იყო ნილაბის ახლა კონსტანტინე ბრინკოვიანუს პოლიტიკისათვის. როდესაც რადუ პეპესკუ თავის მატთანეში აღწერდა ჰურა ურლაცილორეს სხდომას, იგი აღნიშნავდა, რომ მიტროპოლიტმა ანთიმმა ჰურა ურლაცილორეში ყოფნის დროს, როდესაც ნახა, რომ კონსტანტინე ბრინკოვიანუ ყოყმანობდა რუსების მიმართ, მან შეკრიბა მთავრის პოლიტიკით უკმაყოფილო ბოიარები თომა კანტაკუზენთან ერთად. სხდომაზე გადაწყდა, გაეგზავნათ იმპერატორ პეტრესთან მხედართმთავარი თომა კანტაკუზენი,

⁷⁸ იმ ცხრა ბრალდებიდან, რომელიც შემდგომ ოტომანთა პორტამ კონსტანტინე ბრინკოვიანუს წაუყენა, ერთ-ერთი მდგომარეობა იმაში, რომ ვლახეთის მთავარი საჭიროების შემთხვევაში აპირებდა ტრანსილვანიაში (აესტრიის იმპერიის ნაწილი, რომელიც აესტრიამ შემოიერთა 1799 წლის კარლოვიცის ზავის შემდეგ. — ო. გ.) გაქცევის“ *Revoluțiile Valahiei de Anton-Maria Del Chiaro, Iasi, 1929*, გვ. 116.

⁷⁹ *Cronicele...*, გვ. 318.

რომელსაც უნდა ემხილებინა ვლახეთის მთავრის ღალატი, რადგანაც ანთომი და სხვა ბოიარები დარწმუნდნენ იმაში, რომ კონსტანტინე ბრინკოვიანუ არ ფიქრობდა დახმარების აღმოჩენას, რომელსაც იგი დაპირდა რუსებს. ეს დახმარება გამოიხატებოდა იმაში, რომ კონსტანტინე ბრინკოვიანუს უნდა მოემარაგებინა რუსები სურსათ-სანოვავით და გაეგზავნა მათთვის ჯარი¹⁰. ჰურა ურლაცილორეს ბოიართა სხდომის შეფასებისას ყველა მკვლევარი, ვინც კი ამ საკითხს შეხებია, ღირითადში ატარებს რაღუ პეპესკუს ამ აზრს. ამავე შეხედულებისაა ა. სემიონოვაც, მხოლოდ ერთის განსხვავებით. ვნახოთ, რას წერდა ის: „ვლახელ ბოიართა ამ ჯგუფის (იგულისხმება ჰურა ურლაცილორეში შეკრებილი ვლახელი ბოიარები — ო. გ.) მიზანი მდგომარეობდა არა მარტო იმაში, რომ რუსების დახმარებით გაეთავისუფლებინა ვლახეთი თურქთა ბონობის უღლისაგან, არამედ სახელი გაეტეხათ ბრინკოვიანუსათვის და რუსების გამარჯვების შემთხვევაში სამთავრო ტახტი გადაეცათ თომა კანტაკუზენისათვის, ამრიგად, რუსული ორიენტაცია აქ ემსახურებოდა არა მარტო სამთავროს თურქებისაგან განთავისუფლების მიზნებს, არამედ გამოყენებულ იქნა ბოიართა ერთ-ერთი ჯგუფის მიერ თავიანთი მიზნების განხორციელების საშუალებად“¹¹. ჯერ ერთი, ჩვენ არ გვესმის რატომ ხმარობს ა. სემიონოვა ასეთ გამოთქმას— „სახელი გაეტეხათ ბრინკოვიანუსათვის“. ჰურა ურლაცილორეში შეკრებილ ბოიართა მიზანი იყო „ემხილებინათ“ ბრინკოვიანუს ღალატი და არა „სახელი გაეტეხათ“ მისთვის. და ამ ორ გამოთქმას შორის, ვფიქრობთ, რაღაც განსხვავება უნდა არსებობდეს. თუმცა ეს წერილმანია და ამას ნუ გამოვეკიდებით. რაც მთავარია, ჩვენ დავინტერესდით საიდან მოიტანა ა. სემიონოვამ ცნობა, რომ ჰურა ურლაცილორეში შეკრებილ ვლახელ ბოიართა ჯგუფს უნდოდა ვლახეთის სამეფო ტახტის თომა კანტაკუზენისათვის გადაცემა. საკითხი მარტივად გადაწყდებოდა, რომ ა. სემიონოვას თავის ნაშრომში ამ მოსაზრების დასადასტურებლად რაიმე წყაროზე მიეთითებინა, სამწუხაროდ, ასეთი რამ ა. სემიონოვას გამოკვლევაში არ ჩანს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევძელით მიგვეკვლია იმ წყაროსათვის, საიდანაც, ჩვენი აზრით, უნდა ესარგებლა ა. სემიონოვას. ეს არის M. Kogalnicean, Fragments tirés des chroniques moldaves et valaques pour servir à l'histoire de Pierre-la-Grand, Charles XII, St. Leszcynski, Démétré Cantemir et Constantin Brankovan, vol. I, Iassi, 1845).

¹⁰ Magazin..., გვ. 23—24.

¹¹ Вестник Московского университета, № 3, 1958, გვ. 176.

ვნახოთ, რას წერს კოგალნიჩანე: „თომა კანტაკუზენი, ბრინკოვიანუს ბიძაშვილი, რომელსაც თუმცა თავისი ნათესავი კარგად ექცეოდა, მაინც გაიქცა ბუქარესტიდან და თავი შეაფარა პეტრე დიდს იასში, იმ იმედით, რომ მისი დახმარებით მიიღებდა ვლახეთის სამთავროს“⁸². რასაკვირველია, გადაჭრით უარყოფა მ. კოგალნიჩანეს ამ მოსაზრებისა ჩვენ არ შეგვიძლია. მაგრამ, ექვს იწვევს ორი გარემოება. პირველი: ჩვენთვის გაუგებარი მიზეზის გამო მ. კოგალნიჩანე თავის ერთსა და იმავე ნაშრომში თვითონვე ეწინააღმდეგება თავის თვს: თუ, ერთ შემთხვევაში, იგი თომა კანტაკუზენის პეტრე I-თან შეხვედრას უკავშირებს ჰურა ურლაცილორეში შეკრებილი ბოიარების გადაწყვეტილებას და ვლახელთა საერთო ინტერესებს, და ამ ცნობის მოყვანის დროს ეყრდნობა რადუ პეპესკუს და ივანე ნეკულჩეს მატრიანებს⁸³, მეორე შემთხვევაში, როგორც ჩვენს მიერ მოყვანილი ციტატიდან ჩანს, იგი თომა კანტაკუზენის იასში ჩასვლას მიაწერს მის პირად ინიციატივას მხოლოდ და მხოლოდ ვლახეთის სამთავროს მოპოვების მიზნით (მ. კოგალნიჩანე აგრეთვე არაა სწორი, როდესაც თომა კანტაკუზენის იასში გამგზავრების ადგილად ჰურა ურლაცილორეს მაგივრად ბუქარესტს ასახელებს). მეორე: ა. სემიონოვას სიტყვით, ჰურა ურლაცილორეში შეკრებილ ვლახელ ბოიარებს განზრახული ჰქონიათ ვლახეთის სამეფო ტახტიდან კონსტანტინე ბრინკოვიანუს გადაყენება და მის მაგივრად თომა კანტაკუზენის არჩევა. და თუ ეს მართლაც ასე იყო, ძნელი წარმოსადგენია, რომ კონსტანტინე ბრინკოვიანუს ეპატივებინა ასეთი განზრახვა ანთიმ ივერიელისათვის, რომლის მიმართაც ვლახეთის მთავარს სიკვდილამდე კეთილი და მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა. თუ ა. სემიონოვასათვის უცნობია ის ფაქტი, რომ ჰურა ურლაცილორეში შეკრებილ ვლახელ ბოიარებს მეთაურობდა ანთიმ ივერიელი, კონსტანტინე ბრინკოვიანუმ ეს ძალზე კარგად იცოდა⁸⁴. სწორედ ამიტომ იყო, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ კონსტანტინე ბრინკოვიანუ საყვედურობდა ანთიმ ივერიელს „პოლიტიკურ საქმიანობაში ჩარევას“⁸⁵. მაგრამ ის ამ სიტყვებში გულისხმობდა უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტის მიერ პეტრე I-თან კონტაქტების დამყარებას და არა ანთიმ ივერიელის და მის თანამოაზრე ბოიარების განზრახვას — ჩამოერთმიათ მისთვის ხელისუფლება.

⁸² Fragments..., გვ. 66.

⁸³ იქვე, გვ. 128.

⁸⁴ *Viala lui Constantin Voda Brincoveanu*. Stefan D. Grecianu, Buc. 1906, გვ. 206. შემდეგ *Viala...*

⁸⁵ იქვე.

აქვე უნდა ითქვას, რომ კონსტანტინე ბრინკოვიანუს ეს გულისწყრომა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ვლახეთის მთავარს, მსგავსად ანთიმ ივერიელისა, ნამდვილად სწამდა, რომ ვლახეთის თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებას მხოლოდ რუსეთის დანმარებით შეძლებდა. და მხოლოდ მისი გაუბედავი და ლაიერების პოლიტიკის შედეგი იყო, რომ ვლახელმა ბოიარებმა შექმნეს ოპოზიციური ჯგუფი. ადვილი შესაძლებელია, რომ ბრინკოვიანუს პოლიტიკით უკმაყოფილო ვლახელ ბოიარებს მართლაც სურდათ მისი ვლახეთის მთავრის ტახტიდან ჩამოგდება, მაგრამ „შესაძლებელი“ ერთია და ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს ვაღიაროთ ის, როგორც უკვე გადაწყვეტილი აუცილებლობა. ამიტომაც ა. სემიონოვას კატეგორიული განცხადება, რომ ჰურა ურლაცილორეში შეკრებილ ბოიარებს განზრახული ჰქონდათ ვლახეთის სამთავრო ტახტის თომა კანტაკუზენისათვის გადაცემა და პეტრე I-თან კავშირის დამყარებით ცდილობდნენ პირადი მიზნების განხორციელებას, ჩვენ საფუძველს მოკლებულად მიგვაჩნია.

თომა კანტაკუზენმა შეასრულა ჰურა ურლაცილორეში შეკრებილ ბოიართა სხდომის დავალება და პეტრე I-ის წინაშე ამხილა კონსტანტინე ბრინკოვიანუს პოლიტიკა. ამაში მდგომარეობდა თომა კანტაკუზენის მისიის პირველი დანიშნულება. რაც შეეხება ამ მისიის მეორე მხარეს, ამასთან დაკავშირებით ჩვენ შემდეგი უნდა აღვნიშნოთ. მოლდავეთში რუსების ჯარების შემოსვლამ და განსაკუთრებით იმ აღფრთოვანებულმა შეხვედრამ, რომელიც მოლდაველებმა პეტრე I-ს იასში მოუწვევეს, როგორც „განმათავისუფლებელს“ და „ქრისტიან მეფეს“, კონსტანტინოპოლში დიდი შეშფოთება გამოიწვია. იქმნებოდა რეალური საფრთხე იმისა, რომ „მთელი საქრისტიანო შეიძლება ამხედრებულ იქნეს სულთანის წინააღმდეგ“⁸⁶ — წერს კოვალნიჩანე. ალბათ, სწორედ ასეთმა სიტუაციამ განაპირობა თურქეთის მხრივ გადადგმული შემდეგი ნაბიჯი. რუსებისა და თურქეთის ჯარებს შორის საბრძოლო ოპერაციების დაწყებამდე სულთანმა თავისთან იხმო იერუსალიმის პატრიარქი ქრიზანთე, რომელიც ბრინკოვიანუსთან კარგ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა და უბრძანა წერილი მიეწერა ვლახეთის მთავრისათვის⁸⁷. ამ წერილით სულთანი ავალებდა ბრინკოვიანუს, ოტომანთა იმპერიის სახელით ზავი შეეთავაზებინა პეტრე I-სათვის. ზავის საფასურად სულთანი თანახმა იყო რუსეთისათვის დაეთმო მთე-

⁸⁶ Fragments..., გვ. 66.

⁸⁷ Cronicele..., გვ. 315.

ლი ტერატორია დუნაიმდე⁸⁸. ვლახეთის მთავარმა დაუყოვნებლივ შეასრულა სულთნის ბრძანება. მან პეტრე I-ს გაუგზავნა გიორგი კანტროტი, რომელმაც გადასცა მეფეს ოტომანთა იმპერიის მიერ შეთავაზებული ზავის პირობები⁸⁹. 24—26 ივნისს საგანგებო სამხედრო სხდომაზე იასში⁹⁰, რომელსაც ესწრებოდნენ პეტრე I. გოლოვეინი, კანტემირი, თომა კანტაკუზენი, რაგუზინსკი, გადაწყდა უარი ეთქვათ თურქეთის მიერ შეთავაზებულ ზავზე, რადგან თურქებს „ნაწილობრივ არ დაუჭერეს და უფრო იმიტომ, რომ მოწინააღმდეგეს გული არ მისცემოდა“⁹¹. შესაძლოა პეტრე I-ს ამ გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინა თომა კანტაკუზენის მიერ ბრინჯოვიანუს პოლიტიკის გამოაშკარაებამ, რის გამოც რუსები აღარ ენდობოდნენ ვლახეთის მთავარს. ფაქტი კი ისაა, რომ, როგორც მიუთითებენ დოკუმენტები, თურქეთისათვის ზავზე უარის თქმის „ყველაზე აქტიური ხელისშემწყობი სპატარი თომა კანტაკუზენი იყო“⁹². ეს გასაგებიცაა, რადგან იმ შემთხვევაში, თუ რუსები თურქეთთან ზავზე შეთანხმდებოდნენ, ვლახეთის მდგომარეობა დარჩებოდა *status quo* ე. ი. ვლახეთის სამთავრო ისევ ოტომანთა იმპერიის ბატონობის ქვეშ აღმოჩნდებოდა. ეს კი სავსებით ეწინააღმდეგებოდა რუსული ორიენტაციის მქონე ბოიართა ინტერესებს, რომლებიც ვლახეთის განთავისუფლების შესაძლებლობას მხოლოდ რუსეთის მიერ ოტომანთა იმპერიის საბოლოო განადგურებაში ხედავდნენ. სამწუხაროდ, არსებული წყაროები არაფერს გვაუწყებენ იმის შესახებ, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის ზავის დადების საკითხი ჰურა ურლაცილორეში შეკრებილ ბოიართა მსჯელობის საგანი ყოფილიყო. მაგრამ ისინი რომ ამ დიპლომატიურ მანევრის საქმის კურსში იქნებოდნენ, ეს ეკვს არ იწვევს. როდესაც კონფლაქტს ბრინჯოვიანუსა და რუსული ორიენტაციის მქონე ბოიარებს შორის ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული აშკარა ფორმები, არა გვგონია, რომ ვლახეთის მთავარს არ ეცნობებინა უნგრო-ვლახეთის პიტროპოლიტისათვის და ვლახეთის ჯარების მხედართმთავრისათვის ოტომანთა იმპერიის ასეთი გადაწყვეტილება. აგრეთვე გამორიცხული არაა, რომ თვით იერუსალიმის პატრიარქ კრიზანტეს შეეტყობებინა ანთიმ ივერიელისათვის თურქთა განზრახვის შესახებ: მოლაპარაკებოდნენ რუსებს, რადგან იერუსალიმის პატრიარქი მეგობარი იყო

⁸⁸ Cronicele..., 315.

⁸⁹ P. P a n a i t e s c u, Dimitrie Cantemir, viata si opera, Buc. 1858, გვ. 113.

⁹⁰ Письма..., стр. 557.

⁹¹ Журнал..., стр. 314.

⁹² Fragments..., გვ. 66.

უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტისა⁹³. მაგრამ აქ მეორეხარისხოვანი საკითხია, თუ რომელი წყაროდან შესძლეს გაგება რუსული ორიენტაციის მქონე ბოიარებმა ოტომანთა იმპერიის ასეთი გადაწყვეტილების შესახებ. საყურადღებო ის ფაქტია, რომ სწორედ კონსტანტინე ბოიკოვიანუს მიერ პატრიარქ ქრიზანთეს წერილის მიღების შემდეგ შეიკრიბნენ ვლახელი ბოიარები ჰურა ურლაცილორეში და რომ ამ ბოიარების წარმომადგენელი — თომა კანტაკუზენი და კონსტანტინე ბოიკოვიანუს ნდობით აღჭურვილი პირი — გიორი კასტროტი, რომელმაც ზავის პირობები გადასცა პეტრე I-ს, თითქმის ერთდროულად ჩავიდნენ იასში⁹⁴. ხომ არ იყო ჰურა ურლაცილორეში ანთიმ ივერიელის მეთაურობით ვლახელი ბოიარების სხდომის მოწვევის ერთ-ერთი მიზეზთაგანი სწორედ ის, რომ თურქებს განზრახული ჰქონდათ მოლაპარაკებოდნენ რუსებს. ჩვენ ამის შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა არ შეგვიძლია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის ზავის დადება ეწინააღმდეგებოდა ანთიმ ივერიელისა და მისი თანამოაზრე ბოიარების ინტერესებს და ამასთანავე გავიხსენებთ, რომ თურქებისათვის ზავზე უარის თქმის „ყველაზე აქტიური ხელისშემწყობი ვლახეთის მხედართმთავარი იყო“, ჩვენ შეგვიძლია წამოვაყენოთ შემდეგი მოსაზრება: თურქეთთან ომის გაგრძელება და თურქეთის მიერ შეთავაზებულ ზავზე რუსების მხრივ უარის თქმა, თომა კანტაკუზენის მისიის მეორე მიზანს წარმოადგენდა.

აქედან გამომდინარე გასაგები ხდება, თუ რატომ მოითხოვდა თომა კანტაკუზენი ასე დაუინებით 28 ივნისს სამხედრო სხდომაზე⁹⁵ (სხდომას ესწრებოდნენ პეტრე I, გოლოვკინი, კანტემირი და რუჟენის არმიის მთელი გენერალიტეტი) სამხედრო ოპერაციების დაუყოვნებლივ განახლებას, კერძოდ, რუსების ჯარის ვლახეთში შესვლას და ციხე-სიმაგრე ბრაილის აღებას⁹⁶.

„ჩვენ დავგრძენია ერთადერთი საშუალება... — ამბობდა თომა კანტაკუზენი, — მომანდეთ მე რამდენიმე სამხედრო ნაწილი... შემოვარტყათ ალყა ბრაილს და ავიღოთ ეს ციხე-სიმაგრე“⁹⁷. ასეთი ოპერაციის აუცილებლობასა და მიზანშეწონილებას თომა კანტაკუზენი შემდეგით ასაბუთებდა; „რუსების ჯარების“ მიერ ბრაილის აღება მომასწავებელი იქნება იმისა, რომ ვლახელი ჯარისკაცები და ვლა-

⁹³ E. Hurmuzaki, Documente vol. XIV, par II, pag. 794.

⁹⁴ A. Xenopol, Istoria Romnilor din Dacia Traiana, vol., 8, Buc. pag. 63.

⁹⁵ Fragments..., pag. 66.

⁹⁶ იქვე.

⁹⁷ იქვე.

ხელი ხალხი მიატოვებს, თავის მთავარს, გადავა რუსების მხარეზე და თავს პეტრე I-ის მფარველობის ქვეშ გამოაცხადებს⁹⁸.

ამავე დროს ბრაილი მეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა, სადაც თავმოყრილი იყო სურსათ-სანოვაგე თურქეთის არმიისათვის. თომა კანტაკუზენის წინადადებას მხარი დაუჭირა კანტემირმაც. მიუხედავად ამგვარი ოპერაციის განხორციელების სირთულისა, რაც გამოიწვევდა რუსების ჯარების დანაწილებას და დასუსტებას (ამას თან ერთვოდა არმიისათვის პროვიანტის უქონლობა) პეტრე I დაეთანხმა თომა კანტაკუზენს⁹⁹. „თუმცა ყოველივე ეს მეტად სასიფათოა, მაგრამ სასოწარკვეთილებაში რომ არ ჩავადლოთ ქრისტიანები, რომელთაც ჩვენი დახმარება საჭიროებთ, ამ მეტად საშიშ ლაშქრობაზე ნება დაერთოს“¹⁰⁰, — ვკითხვლობთ ჩვენ ერთ-ერთ დოკუმენტში. ბრაილის აღების ოპერაციის განსახორციელებლად იწყება სამხედრო ნაწილების სასწრაფო დაკომპლექტება. თავმოყრილ იქნა რვა საკავალერიო პოლკი, რომელიც გააძლიერეს საარტილერიო ქვევანაყოფით. ამ საექსპედიციო კორპუსის¹⁰¹ მეთაურად დანიშნეს გენერალი რენე¹⁰². 48 საათის¹⁰³ შემდეგ გენერალ რენეს კორპუსი მზად იყო სალაშქროდ. გენერალ რენეს მიეცა ინსტრუქცია: ხელში ჩაეგდო მდინარე სირეტის გასწვრივ განლაგებული მოწინააღმდეგის სასურსათო საწყობები, აეღო ბრაილი — უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ცენტრი თურქთა თავდაცვით სისტემაში, ხოლო ბრაილის აღების შემდეგ დაპატრონებოდა ხიდს დუნაიზე, რომელიც თურქებმა ისაქთან ააშე-

⁹⁸ Fragments..., გვ. 66.

⁹⁹ იქვე.

¹⁰⁰ Журнал..., გვ. 337.

¹⁰¹ გენერალ რენეს კორპუსის რიცხობრივი შემადგენლობის შესახებ ისტორიკოსებს სხვადასხვა მოსაზრება გააჩნიათ. ნ. კოსტინი ასახელებს რიცხვს 1200, ისევე, როგორც ხურმუტაკი. „პეტრე დიდის დღიურში“ მოყვანილია ციფრი 7000. „ელახეთის ანონიმურ ქრონიკაში“ დასახელებულია 8000. რადუ გრეჩანუს აზრით, კორპუსის შენადგენლობა განისაზღვრებოდა 10000 კაცით, ხოლო ლე ბრასეს მოკვავს ციფრი 15000. შერბანი ფიქრობს, რომ კორპუსის შემადგენლობა არ აღემატებოდა 7000. Studii si materiale de istorie medie, vol. 1, 1957... გვ. 450. მაგრამ თუ ჩვენ მივმართავთ ფელდმარშალ შერემეტეივის რაპორტს, რომელიც მან პეტრე I ჯაჯგზაენა, კორპუსი დაკომპლექტებული ყოფილა 8 პოლკისაგან და მის შემადგენლობაში შედიოდა 5600 ცხენოსანი (მერეკუტაევის მხედველობაში არ ჰყავს საარტილერიო ქვევანაყოფი — ო. გ.). Письма..., გვ. 556.

¹⁰² კ. რ ე ნ ე, კურლანდიელი ჯენერალი. 1707 წ. მიღებული იქნა რუსეთის სამხატვრო გენერალ-მაიორის ჩინით. შემდგომ—კავალერიის გენერალი. გარდაიცვალა 1716 წელს გენერალ-ანშეფის ჩინით (Записки Юста Юля, М., 1899, стр. 361).

¹⁰³ Studii si materiale de istorie medie, v., II, 1957, გვ. 451 (შემდეგ Studii...).

ნეს და დაენგრია ის¹⁰⁴. გალაცი უნდა ყოფილიყო ლაშქრობის საბოლოო პუნქტი, სადაც შეერთდებოდნენ რუსეთის არმიის მთავარი ძალები და გენერალ რენეს კორპუსი¹⁰⁵. გენერალ რენეს კორპუსის წარმატებით მოქმედების შემთხვევაში თურქთა კომუნიკაციები დარღვეული იქნებოდა და დიდ ვეზირს მოესპობოდა საშუალება უკან დაბრუნების შემთხვევაში გადასულიყო დუნაიზე ანდა მიეღო დახმარება თურქეთიდან¹⁰⁶. ამრიგად, გენერალ რენეს კორპუსის ოპერაციებს ენიჭებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა მთელი კომპანიის მასშტაბით. თეორიული თვალსაზრისით, ომის წარმოების ხელოვნებაში ჩვენ ვხვდებით, შეიძლება ითქვას, სრულიად ახალ შემთხვევას. რუსეთის არმიის მთავარ ძალებს უნდა შეესრულებინათ დამხმარე როლი იზოლირებული კორპუსის მოქმედების დროს¹⁰⁷. ბრაილის აღებაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე „ქრისტიანთა სხვადასხვა რაზმებიც“. სუტონი წერს, რომ „თომა კანტაკუზენმა და კანტემირმა რუსების ბანაკში ყოფნის დროს ჩამოაყალიბეს რაზმები მოლდაველებსაგან, ვლახელებისაგან, ბულგარელებისაგან და სხვ., რომლებიც მათთან რუმელიიდან მოვიდნენ“¹⁰⁸. ეს რაზმები შეუერთდნენ გენერალ რენეს საექსპედიციო კორპუსს. თომა კანტაკუზენს წყალობის ნიშნად უბოძეს „პერსონა ბრილიანტებში“, ე. ი. პეტრე I-ის პორტრეტი, რომელიც 1000 მან. ღირდა და დამატებით ამისა თანხა 1000 მან. ოდენობით¹⁰⁹.

30 ივნისს გენერალ რენეს საექსპედიციო კორპუსი გავიდა მთავარი ბანაკიდან და გაემართა ბრაილისაკენ¹¹⁰. კორპუსის სხვადასხვა სამხედრო ნაწილების მეთაურთა შორის (ბრიგადირები: ჩირიკოვი და კროპოტოვი) ჩვენ ვხედავთ თომა კანტაკუზენსაც¹¹¹.

ამავე დროს პეტრე I-მა, რომელიც თომა კანტაკუზენის ბრალდების შემდეგ მეტად განრისხებული იყო კონსტანტინე ბრინკოვიანუზე, მას წერილი გაუგზავნა. იგი ვლახეთის მთავრისაგან მოითხოვდა „დანაპირების შესრულებას და პირველ რიგში სურსათ-სანოვავით დატვირთული ასი ფორნის გამოგზავნას“. ამ მოთხოვნამ ბრინკოვიანუს

¹⁰⁴ Cronicele..., გვ. 103.

¹⁰⁵ А. Мышлаевский, Война с Турцией, 1711 г. (Прутская операция) СПб, 1898, 141. (შემდეგ А. Мышлаевский).

¹⁰⁶ Studii..., გვ. 451.

¹⁰⁷ Очерки истории СССР, Период феодализма, 1954, стр. 556.

¹⁰⁸ The despatches of sir Robert Sutton, London, 1953, გვ. 56.

¹⁰⁹ Письма..., стр. 556.

¹¹⁰ შაფიროვი 1711 წლის 30 ივნისს წერდა გოლაკეინს, რომ საექსპედიციოდ კორპუსი გავიდა ბანაკიდან (Studii..., გვ. 451).

¹¹¹ Cronicele..., გვ. 318.

გაკვირვება გამოიწვია, რადგან მისი სიტყვებით, „სავესებით ეწინააღმდეგებოდა“ ხელშეკრულების პირობას. „მთავარმა პეტრე I-ს უპასუხა, რადგან რუსები დაპირების თანახმად არ შემოვიდნენ ვლახეთში, იგი იძულებული გახდა სხვა საშუალება გამოენახა თავის გადასარჩენად. ამიტომაც მან გადაწყვიტა თურქებთან შერიგება და ამიერიდან წყვეტს ყოველგვარ კავშირს რუსეთთან¹¹². და მართლაც, როგორც კი დიდი ვეზირი შევიდა მოლდავეთში, ბრინკოვიანუ მის შესახვედრად გაემართა და მოამარაგა თურქეთის მთელი ჯარი იმ სურსათ-სანოვაგით, რომელიც მას რუსებისათვის ჰქონდა დამზადებული¹¹³. ქსენოპოლის აზრით, ბრინკოვიანუ ეს ნაბიჯი გადადგა მას შემდეგ, როდესაც მან შეიტყო მხედართმთავარ თომა კანტაკუზენის გადასვლა რუსების მხარეზე. „ბრინკოვიანუს შეეშინდა ამ ამბის, — წერს ქსენოპოლი, — რადგანაც რუსებისათვის დახმარების გაწევას იგი ფარულად ფიქრობდა. იმ შემთხვევაში, თუ რუსები ომს წააგებდნენ, იგი ცდილობდა პირშავად არ დარჩენილიყო თურქების წინაშე. მისი სპატარის მხრივ რუსებისათვის ამ აშკარა მიმხრობით ღრმად დამწუხრებული ბრინკოვიანუ ყოველგვარ კავშირს წყვეტს რუსეთის მეფესთან. მან რუსებისათვის შეგროვებული სურსათ-სანოვაგე თურქეთის ლაშქარში გაგზავნა და სინდისის ქეჭნა რომ არ ეგრძნო, რუსებს უკან დაუბრუნა 300 ქისა ოქრო, რომელიც უწინ პეტრე I-საგან მიიღო სურსათის შესაძენად¹¹⁴, მაშინ როდესაც თურქების ჯარს სურსათ-სანოვაგე თავზე საყრელი ჰქონდათ, რუსების ბანაკში შიმშილი მძვინვარებდა¹¹⁵. მღგობარეობას კიდევ ის გარემოება ართულებდა, რომ „იმ წელს კალიების შემოსევის შედეგად მოლდავეთის მინდვრებში ვერ ნახავდით ვერც ერთ ღერ ბალახს და ვერც ერთ ფოთოლს ტყეში“¹¹⁶.

რუსების მთავარი ძალები ჯერ კიდევ კუჩოროთან იდგნენ და ელობებოდნენ თომა კანტაკუზენის ბოაილიდან სურსათ-სანოვაგით დაბრუნებას¹¹⁷, როდესაც პეტრე I-ს აცნობეს, რომ დიდი ვეზირი პრუტის მარცხენა ნაპირით სწრაფი მარშით მიდის იასისაკენ¹¹⁸. ჯარების დაქსაქსის შიშით პეტრე I-მა 7 ივლისს გაუზავნა გენერალ რენეს ბრძანება უკან დაბრუნებულიყო. „...დაუყოვნებლივ დაბრუნდით უკან და

¹¹² Fragments..., გვ. 186.

¹¹³ ი ქ ე ე, გვ. 186.

¹¹⁴ X e n o p o l..., გვ. 65.

¹¹⁵ იქვე, გვ. 118.

¹¹⁶ იქვე, გვ. 80.

¹¹⁷ Fragments..., გვ. 71.

¹¹⁸ იქვე, გვ. 364.

შეუერთდით მთავარ არმიას, — წერდა პეტრე — თუ მოახერხებთ სურსათ-სანოვაგის შეგროვება, რასაც შესძლებთ წამოიღეთ თან, მაგრამ არმიასთან შეერთება არავითარ შემთხვევაში არ დააყოვნოთ¹¹⁹. მაგრამ, როგორც ჩანს, გენერალ რენეს პეტრე I-ის განკარგულება არ მიუღია¹²⁰. რუსების საექსპედიციო კორპუსი უკვე 2 ივლისისათვის გასცდა ქალაქ ბირლადს¹²¹ და შევიდა ვლახეთის ტერიტორიაზე. ფოშენიდან დაწყებული, რომლის ნახევარი ვლახეთს ეკუთვნოდა, ნახევარი კი მოლდავეთს¹²², რუსები ავრცელებდნენ ქალაქებსა და სოფლებში ამ ლაშქრობისათვის სპეციალურად შედგენილ მანიფესტს. ეს მანიფესტი მოუწოდებდა ვლახელებს აჯანყებულიყვნენ თურქთა ბატონობის წინააღმდეგ და მიმხრობოდნენ რუსებს¹²³. 11 ივლისს გენერალ რენეს კორპუსმა მიაღწია მექსინენის მონასტერს, სადაც რუსებმა ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან საჭირო ცნობები მიიღეს ბრაილის გარნიზონის რაოდენობისა და ქალაქის ციხე-სიმაგრის მდგომარეობის შესახებ. იმავე ღამით, 11 ივლისს, გენერალი რენე ფორსირებული მარშით გაემართა ბრაილისაკენ და 11 საათის შემდეგ მიაღწა ქალაქის ფარეუბნებს¹²⁴. ქალაქს ხნელეთის მხრიდან იცავდა შალაღი კედელი, რომელზედაც შვიდი კოშკი იდგა, ხოლო ციხე-სიმაგრეს ხუთკუთხედის ფორმა ჰქონდა. ციხე-სიმაგრე ქალაქიდან გამოყოფილი იყო ღრმა თხრილებით. ღუნაის მხრიდან ქალაქს იფარავდა 20 მეტრის სიმაღლის მქონე დაქანებული ნაპარი, რომელიც მდინარეში ეშვებოდა¹²⁵.

ბრაილში იდგა 3000 იანიჩარისაგან შემდგარი თურქების გარნიზონი, რომელსაც დაულ-ფაშა მეთაურობდა¹²⁶. როდესაც დაულ-ფაშამ მიიღო ჰირცგლი ცნობები რუსების საექსპედიციო კორპუსის იასიდან ღუნაისაკენ მოძრაობის შესახებ, მან გასცა ბრძანება, რათა გაეყვანათ ახალი თხრილები ციხე-სიმაგრის ირგვლივ. ძლიერი არტილერია, რომელიც თურქებს გააჩნდა, თავის მხრივ კიდევ უფრო აძნელებდა ბრაილის აღებას. რუსების გენერალური შეტევა დაიწყო 13 ივლისს საღამოს 10 საათზე¹²⁷. მთელი ღამის განმავლობაში ორ პოლკს განუ-

¹¹⁹ Письма..., გვ. 310.

¹²⁰ იქვე, გვ. 569.

¹²¹ А. Мышлаевский..., стр. 148.

¹²² Fragments..., გვ. 185.

¹²³ Studii..., გვ. 451.

¹²⁴ იქვე, გვ. 453.

¹²⁵ იქვე, გვ. 452.

¹²⁶ იქვე.

¹²⁷ იქვე, გვ. 453.

წყვეტილი იერიში მიჰქონდა თურქთა სიმაგრეებზე. გათენებისას კ' შეტევებზე გადავიდა მთელი კორპუსი. ბრიგადირ ჩირიკოვის მეთაურობით მოსკოვისა და იუსანის პოლკებმა პირველებმა შესძლეს დაეძლიათ წინააღმდეგობა და შეჭრილიყვნენ ქალაქში. მათ მიჰყვნენ დანარჩენი ნაწილებიც. ხოლო როდესაც პოლკოვნიკ სოლოვევის რაზმმა დაიკავა გამაგრებული პუნქტი დუნაისა და ციხე-სიმაგრეს შორის, თურქების გარნიზონი ყოველმხრივ გარშემორტყმული აღმოჩნდა. დღისით, 14 იელისს¹²⁸ ბრაილის ციხე-სიმაგრეზე დაუღ-ფაშამ აღმართა კაპიტულაციის თეთრი ალამი¹²⁹. მოლაპარაკების შედეგად დაუღ-ფაშა დაეთანხმა გენერალ რენეს, დაეთმო ბრაილი და გაეყვანა ქალაქიდან თურქების ჯარები იარალისა და ფურაყის გარეშე¹³⁰. კოსტინის ცნობით, ამ ბრძოლაში თურქებმა დაკარგეს 543 ჯარისკაცი და 100 ჯარისკაცი ტყვედ ჩაბარდა რუსებს. საექსპედიციო კორპუსის დანაკლისი შეადგენდა 53 მოკლულ ჯარისკაცს და 78 დაჭრილს¹³¹.

ბრაილის აღების შემდეგ თომა კანტაკუზენი დაუყოვნებლივ შეუდგა სურსათ-სანოვაგის შეგროვებას და ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან ვლახთა ახალი რაზმების ჩამოყალიბებას, რომლებიც გენერალ რენეს კორპუსს შეუერთდნენ¹³². რუსეთის ჯარების ვლახეთის ტერიტორიაზე შემოჭრამ და მათ მიერ ბრაილის აღებამ რეალური პირობები შექმნა ვლახელი ხალხის განთავისუფლებისა თურქთა მონობის უღლიდან. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ფოკშენიდან დაწყებული, ბრაილამდე ლაშქრობის დროს, იქ სადაც ფეხი დადგა რუსმა ჯარისკაცმა, გენერალ რენეს კორპუსს ვლახელი ხალხი დიდი სიხარულით ხვდებოდა. ხოლო ბრაილის ციხე-სიმაგრის დაცემის შემდეგ, ბრაილის ახლომახლო ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა იარაღით ხელში აღსდგა საძულველი ოტომანთა ბატონობის წინააღმდეგ. თვით პროთურქული ორიენტაციის მქონე მემათიანე რადუ გრეჩანუცი იძულებული იყო ელიარებინა, რომ რუსების ჯარების მოსვლამ ვლახელი ხალხის ენთუზიაზმი გამოიწვია¹³³. იგი, აგრეთვე, აღნიშნავდა: ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რუსებს ბრაილი აღებულ იქნა და მიმდინარეობდა ციხე-სიმაგრის იერიში, ბრაილის მოსახლეობა

¹²⁸ ნარკვევებში «Очерки истории СССР. Период феодализма, 1-я четверть XVIII в. გვ. 536, დაბეჭდილი ცნობა, რომ ბრაილი იქნა აღებული 7 იელისს, არ შეესაბამება სინამდვილეს.

¹²⁹ Studii..., გვ. 453.

¹³⁰ Русский архив, 1865, გვ. 673—674.

¹³¹ Fragments..., გვ. 195.

¹³² იქვე, გვ. 216.

¹³³ Viata..., გვ. 210.

თავს დაესხა თურქებს და დაიწყო სანოვაგის საწყობების დარბევა¹³⁴. რადუ გრეჩანუს ცნობით, ვლახელებთან ერთად აჯანყდნენ სხვა ეროვნების მცხოვრებლებიც. „იყო საშინელი ამბოხება და არეულობა, გააფთრებულნი იყვნენ ყველანი და შეიკრიბა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი“¹³⁵. ხოლო რაც შეეხება ვითარებას ბრაილის დაცემის შემდეგ, აქასთან დაკავშირებით წერდა იგივე მემარტიანე, რომ კონსტანტინე ბრინკოვიანუს სამსახურში მყოფი მთელი რიგი მაღალი თანამდებობის პირნი გაეშურნენ ბრაილს რუსებთან შესახვედრად. ასეთები იყვნენ: კაპიტანი მანტა, იორდაკე კოკერესკუ, კონსტანტინე ბანული და სხვები¹³⁶. ბრაილთან რუსების თურქებზე გამარჯვების შემდეგ, ქალაქის მახლობელი რაიონების მოსახლეობის ფართო მასები, იარაღით ხელში აღსდგნენ თურქ დამპყრობლების წინააღმდეგ და გადავიდნენ რუსთა განმათავისუფლებელი არმიის მხარეზე¹³⁷. ამიტომაც იყო, რომ თომა კანტაკუზენი დაჟინებით მოითხოვდა პეტრე I-საგან რუსების ჯარების მიერ ბრაილის აღებას, რადგან მას მტკიცედ სწამდა, რომ რუსების ჯარების ვლახეთის მიწაზე გამოჩენა აუცილებლად გამოიწვევდა „უმრავლესობა ბოიარებისა, ვაჭრებისა და მთელი ხალხის“ აჯანყებას თურქების წინააღმდეგ. ეს იყო თომა კანტაკუზენის მისიის შესამე მიზანი, რომელიც დასახა ანთიმ ივერიელის მეთაურობით ჰურა ურლაცილორეში შეკრებილ ბოიართა სხდომამ.

ანთიმ ივერიელი რომ სულისჩამდგმელი იყო ანტითურქული პოლიტიკისა და რუსებთან მჭიდრო კავშირისა, ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სწორედ უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტს, და არა სხვას, საიდუმლოდ გადაუგზავნეს გენერალ რენეს ჯარების მიერ გავრცელებული ნანიფესტი¹³⁸, რომელიც, როგორც ვიკით, მოუწოდებდა ვლახელებს აჯანყებისაკენ და რუსების მხარდაჭერისაკენ.

ისტორიულ ლიტერატურაში რუსების ჯარების ვლახეთის ტერიტორიაზე შემოჭრისა და ბრაილის აღების საკითხის კანჭილკის დროს სრულიად უგულვებელყოფილია ვლახელ ბოიართა საიდუმლო სხდომის როლი, რომელიც შედგა ჰურა ურლაცილორეში. ასე, მაგალითად, რუმინელი მკვლევრის შერბანის გამოკვლევაში „პრუტის ლაშქრობის ეპიზოდი: ბრაილის აღება 1711 წ.“; რომელიც სპეციალურად ეძღვნება რუსების მიერ ბრაილის აღებას, ნათქვამია: „პეტრე დიდმა გასცა

¹³⁴ Viata..., გვ. 214.

¹³⁵ იქვე.

¹³⁶ იქვე, გვ. 218.

¹³⁷ Studii..., გვ. 455.

¹³⁸ Viata..., გვ. 35.

ბრძანება, რათა მომზადებულიყვნენ კამპანიის გასაძლიერებლად (იგულისხმება გენერალ რენეს კორპუსის გაგზავნა ბრაილის ასაღებად — ო. გ.). ასეთ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო მხედართმთავრის თომა კანტაკუზენის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბრაილის რაიონში შესაძლებელი იქნებოდა მოწინააღმდეგის არმიის მიერ შეგროვებული სურსათ-სანოვაგის დიდი რაოდენობით შოვნა“, შემდეგ: „გენერალმა რენემ მხარი დაუჭირა პეტრე დიდის გეგმას განეხორციელებინათ შეტევათი ხასიათის ოპერაციები. ასეთი გეგმის მიზანშეწონილობის დასადასტურებლად მან მოიყვანა შემდეგი არგუმენტები: სირცხვილი იქნება რუსეთის არმიისათვის, რომელმაც შევლები დაამარცხა, იფიქროს მხოლოდ მდინარე დნესტრის დაკეპზე. არმიის სურსათ-სანოვაგით მომარაგება ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ „მტრის ტერიტორიაზე“, რისთვისაც საჭიროა დუნაიზე გალაშქრება. თურქების მიერ დამორჩილებული რუმინელი სამთავროების მოსახლეობა მოუთმენლად ელის განთავისუფლებას. თურქები სულით დაეცემიან, როდესაც რუსების არმიასთან შებრძოლება მათ მოუხდებათ თავის ქვეყნის შიგნით. ისევე როგორც რუსეთის არმიამ გაანადგურა შევლები, ასევე სძლევს თურქებსაც და გაცილებით იოლადაც“¹³⁹. ძირითადი აზრი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ აქ მოყვანილი ციტატებიდან, ის არის, რომ გენერალ რენეს კორპუსის შესვლას ვლახეთის ტერიტორიაზე და ბრაილის აღებას საფუძვლად დაედო ორი მოტივი: 1. თომა კანტაკუზენის ინფორმაციით ბრაილში დიდძალი სურსათი იყო დაგროვილი. 2. ოტომანთა იმპერიის მიერ დამონებული ვლახელები ელოდნენ განთავისუფლებას. პეტრე I-ის წინასწარ დასახული გეგმით, რომ რუსეთის არმიას უნდა გაელაშქრა დუნაიზე და ამ გეგმას მხარი დაუჭირა გენერალმა რენემ, ყოველივე ეს სიმართლეს შეესაბამება. მაგრამ თუ შერბანს რუსეთის არმიის ბრაილზე გალაშქრების ერთ-ერთ მოტივად თომა კანტაკუზენის მიერ პეტრე I-სათვის მიწოდებული ცნობა მოჰყავს თურქების ციხე-სიმაგრეში პროვიანტის არსებობის შესახებ, რატომღაც ივიწყებს მკვლევარი, რომ სწორედ ეს თომა კანტაკუზენი იყო, რომელმაც მიუთითა რუსეთის იმპერატორს, თუ რა დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა ბრაილი აღებას ანა მარტო სტრატეგიული, არამედ პოლიტიკურა თვალსაზრისითაც. და ბოლოს, ჩვენ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრაილზე რუსების ჯარების იერიშის მიტანის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით შერბანს სათანადო ყურადღება არ მიუქცევია რადუ გრეჩანუს მატთანსათვის, რომლის მიხედვითაც ის პიროვნება, რომ-

¹³⁹ Studii., გვ. 451.

მელსაც მოუცია რჩევა თომა კანტაკუზენისათვის და სხვა ვლახელ ბო-
იარებელსათვის „აშკარად გადასულიყვნენ რუსების მხარეზე და იერი-
შით აედოთ ბრაილი“, ყოფილა ანთიმ ივერიელი¹⁴⁰.

ამრიგად, ვლახელ ბოიარების მიერ წარმომადგენლის გაგზავნა
პეტრე I-თან მოსალაპარაკებლად, პრუტის ლაშქრობის დროს რუსეთ-
სა და თურქეთს შორის მშვიდობიანი შეთანხმების ჩაშლაში თომა კან-
ტაკუზენის როლი და თურქების ციხე-სიმაგრე ბრაილზე რუსების ჯა-
რების მიერ იერიშის მიტანა — ყველა ეს საკითხი, ჩვენი აზრით, მე-
ტად თუ ნაკლებად გამოძღინარებოდა ჰურა ურლაკილორეში ანთიმ
ივერიელის მეთაურობით შეკრებილ ვლახელ ბოიართა გადაწყვეტი-
ლებიდან.

ახლა კი დაეუბრუნდეთ ბრაილს, სადაც თურქების გარნიზონი ტო-
ვებდა ციხე-სიმაგრეს. ბრაილის დაცემის შემდეგ თომა კანტაკუზენა
პეტრე I-ს გაუგზავნა რაპორტი საექსპედიციო კორპუსის ლაშქრობის
შედეგების შესახებ¹⁴¹, მაგრამ მოლაღატე ლუპუმ მოახერხა ამ რა-
პორტის ხელში ჩაგდება და ის დიდ ვეზირს ბალტაჯი ფაშას გადას-
ცა¹⁴². ასე, რომ, რუსეთსა და თურქეთს შორის ზავის დადებადღე პეტ-
რე I-მა არაფერი არ იცოდა ბრაილის აღების შესახებ¹⁴³.

ამავე დროს. რუსების მთავარ ძალებსა და ბალტაჯი ფაშას ჯარებს
შორის მდინარე პრუტის ნაპირებზე სოფელ სტანილეშტთან 19 ივნისს
მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა.

ინტერესს არ იქნება მოკლებული, თუ ჩვენ აქ მოვიყვანთ უცხო-
ელი სამხედრო სპეციალისტების აზრს გამოთქმულს რუსეთის არმიას
ბრძოლისუნარიანობასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი შვედი ოფიცე-
რი, რომელიც პოლტავის ბრძოლის შემდეგ შეხვდა დიდ ვეზირს, შემ-
დეგი სიტყვებით აფასებდა რუსული იარაღის სიძლიერეს: „რუსების
ქვეითი ჯარი გაცილებით ძლიერია, ვიდრე სხვა რომელიმე ერის ლაშ-
ქარი. ბრძოლის დროს იგი მტკიცეა და ურყევი, როგორც კლდე. თუ
ჩვენ, შვედები, ვერაფერს გავხდით მათთან ბრძოლაში, სხვა ხალხები
მათ უმეტეს ვერ შესძლებენ მათ დამარცხებას. ჩემი აზრით, რუსებმა
ძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუ მოწინააღმდეგეს
ეყოლება სამჯერ უფრო მეტი ჯარი და გაცილებით ძლიერი არტილე-
რია. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, დასძლიო რუსები. მე ვფი-
ქრობ, რომ ეს ერთადერთი საშუალებაა რუსეთის ქვეითი ჯარის დასა-

¹⁴⁰ Magazin..., გვ. 24.

¹⁴¹ Fragments..., გვ. 72.

¹⁴² იქვე. გვ. 72.

¹⁴³ იქვე.

მარცხებლად, რომელსაც ძლიერებით პირველი ადგილი უკავია ევროპაში. რაც შეეხება ცხენოსან ჯარს, იგი უფრო სუსტია¹⁴⁴. შეედი ოფიცერი არ შემცდარა რუსების არმიის ძლიერების შეფასებაში. სტანილევშტთან მომხდარმა ბრძოლამ კიდევ ერთხელ ნათელყო რუსი ჯარისკაცის სიმტკიცე. რუსების არმია, რომელიც ხუთჯერ ნაკლები იყო თურქებზე, შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს. თურქთა ცხენოსანი ჯარის გააფთრებული იერიში რამდენჯერმე იქნა უკუგდებულნი. თურქთა არტილერიის განუწყვეტელი ცეცხლი ყველაფერს სპობდა, მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ბრძოლის მეორე დღეს, რუსები თავის მხრივ გადავიდნენ შეტევაზე. გენერალ ვიდმანის¹⁴⁵ ქვეითი ჯარის პოლკებმა თურქებს საშინელი დარტყმა აგემეს. რუსების შეტევა იმდენად მოულოდნელი და გამანადგურებელი იყო, რომ იანიჩარებმა შეწყვიტეს ბრძოლა, შემოეხვივნენ დიდ ვეზირს და ატეხეს ყვირილი „ჩვენ მეტს აღარ ვიბრძოლებთ, ნახევარი ჩვენი ჯარისა უკვე მოისპო! დიდმა ვეზირმა ეხლავე დასდოს ზავი!“¹⁴⁶. დიდი ვეზირი იძულებული შეიქნა, დაეთმო იანიჩარებისათვის და მან თავისი წარმომადგენელი გაუგზავნა რუსებს ბრძოლის შეწყვეტის თხოვნით. ვნახოთ, რას წერდა სტანილევშტის ბრძოლის შესახებ ამ ამბის დამსწრე ნიკოლოზ კოსტინი: „ორშაბათს, 9 ივლისს, იანიჩარები მიუახლოვდნენ სტანილევშტთან დაბანაკებულ რუსების ჯარებს, პოზიციებზე განალაგეს ბატარეები და მარცხენა ფლანგიდან გადავიდნენ შეტევაზე. ბრძოლამ ისეთი სასტიკი ხასიათი მიიღო, რომ არტილერიისა და თოფების კვამლისაგან მზეც კი დაბნელდა. ქვემეხების გრიალსა და ურჯულოების ყვირილში არაფრის გაგონება არ შეიძლებოდა. თურქები დაეუფლნენ პრუტის ხეობას, ვადიიტაჩეს იქ არტილერია და დაუშინეს რუსებს ყუმბარება. არტილერიის ცეცხლი მანამ არ შეწყვეტილა, ვიდრე რუსებმა, რომელთაც დიდი ზარალი მოუვიდათ, უკან არ დაიხიეს. რუსების ჯარის შუაგულში, რამდენიმე ოფიცრის თანხლებით, ხმალამოწვილი იდგა იმპერატორი პეტრე. მან უბრძანა გრენადერებს, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ პატრუქიანი ყუმბარებით, გადასულიყვნენ იერიშზე. რუსები რამდენიმე საათის განმავლობაში განუწყვეტილად უტევენდნენ. დიდი ვეზირის ჯარებმა ვერ გაუძლეს და სანგრები მიატოვეს. მოწინააღმდეგეს ხუთი ზარბაზანი ჩაუვარდა ხელთ. ამტკიცებენ, რომ ამ ბრძოლაში შეიდი ათასი იანიჩარი დაიღუპა ყუმბარებითა და რუსის ხმლით. ზოგნი დახოცილთა რიცხვს აორმაგებენ და ასამკეცებენ.

¹⁴⁴ Fragments..., გვ. 37.

¹⁴⁵ А. Кочубинский., стр. 105.

¹⁴⁶ იქვე, გვ. 121.

რადგან მოკლული იანიჩარები არავის დაუთვლია, ამიტომ მათი რიცხვის ზუსტად დადგენა ძნელია. ამ მძლავრმა შეტევამ აიძულა თურქები სასწრაფოდ მიეტოვებინათ თავიანთი პოზიციები. ბრძოლამ მოწინააღმდეგეებს შორის გასტანა თითქმის ორ დღე-ღამეს — ორშაბათ დილიდან სამშაბათ საღამომდე. საბოლოოდ, თურქებმა დიდი დანაკლისით, შეშინებულებმა შეწყვიტეს სამხედრო მოქმედება. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა თურქებმა იმპერატორის ბანაკში გაგზავნეს თავიანთი ელჩი, რომელმაც ზავი შესთავაზა რუსებს. ამასობაში რუსები ახალი შეტევისათვის ემზადებოდნენ. ეს მათი ხსნის ეჭვადერთი საშუალება იყო. რუსების ჯარები საშინლად იტანჯებოდნენ შიმშილისა და წყურვილისაგან. ძალ-ღონის მოსაკრებად მათ მხოლოდ მცირეოდენი ღვინო ჰქონდათ. ცხენები უარეს მდგომარეობაში ყავდათ. ბალახი და წყალი რომ არ გააჩნდათ, ხეებს ქერქს აცლიდნენ და ცხენებს აძლევენ საკმელად. სამხედრო მოქმედება კიდევ ორ ან სამ დღეს რომ გაგრძელებულიყო, რუსების მთელი კავალერია დაიღუპებოდა და მთელ ჯარს ტყვედ ჩავარდნა ემუქრებოდა. ამიტომ, დიდი ვეზირის წინადადება ზავის შესახებ დაუყოვნებლივ იქნა მიღებული: ოთხშაბათს, 11 ივლისს, შუადღისას, რუსებსა და თურქებს შორის დაიდო ზავი¹⁴⁷.

კანტემირი კი შემდეგი სიტყვებით აგვიწერს სტანილეშტის ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდს: „ოთხას სამოცდაათი ზარბაზნიდან თურქებმა საშინელი სროლა აუტყვეს რუსების ბანაკს. შემდეგ იანიჩარებმა შეიდჯერ მიიტანეს იერიში რუსების პოზიციებზე. თუმცა, რუსების მთელი არტილერია მხოლოდ ოცდაათი ზარბაზნისგან შედგებოდა და ისინი სასმელ-საკმლის გარეშე იყვნენ დარჩენილნი. იანიჩარების გააფთრებულ იერიშებს მათ ვაეკაცური წინააღმდეგობა გაუწიეს. დანაკლისის შემდეგ თურქები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ბრძოლა ორივე მხარისათვის დიდი დანაკლისით და მეტნაკლები წარმატებებით მიმდინარეობდა. ბოლოს, კვამლის ღრუბლებში, მოულოდნელად მშვიდობის მზემ გამოანათა. იმ კენესა-გოდებამ, რომელიც ბანაკში გაისმოდა, აიძულა თურქები მოეთხოვათ ზავი, რადგან სულიერად დაცემული იანიჩარები შიშით გასცქეროდნენ მოწინააღმდეგის სანგრებს, საიდანაც რუსებმა მათ რიგებს მუსრი გაავლეს“¹⁴⁸.

როგორც ვხედავთ, კოჩუბინსკი, კოსტინი და კანტემირი ამტკიცებენ, რომ ის მიზეზი, რომელმაც იძულებული გახადა თურქები შეეწყვიტათ ცეცხლი და შეეთავაზებინათ რუსებისათვის ზავი, იყო რუსების

¹⁴⁷ Fragments..., გვ. 91—92.

¹⁴⁸ იქვე, გვ. 93—94.

მიერ იანიჩარების განადგურება. მაგრამ, ამავე მკვლევართა თვალსაზრისით, თურქების მხრივ ამ მოულოდნელ დათმობაზე წასვლა გამოწვეული ყოფილა აგრეთვე სხვა გარემოებითაც. კერძოდ, ბრაილის აღებით, როგორც აცხადებს კოსტინი. ამავე შეხედულებისაა კოჩუბინსკიც: „იანიჩართა გარდა, — წერს იგი, — იყო სხვა ფაქტორიც, რომელმაც აიძულა დიდი ვეზირი ეთხოვა ზავი; ეს იყო ბრაილის დაცემის ამბავი: ბალტაჯი ფაშამ უკვე იცოდა, რომ რუსებმა აიღეს ბრაილი, მაშინ როდესაც პეტრე I-ს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ რა ბედი ეწია მის მიერ გაგზავნილ კორპუსს. სხვათა შორის, ეს იყო ერთერთი მიზეზთაგანი, რომელმაც გადააწყვეტინა დიდ ვეზირს გაეგზავნა იმბრაპორი იმპერატორ პეტრესთან ზავის წინადადებით“¹⁴⁹.

რაც შეეხება ივანე ნეკულჩეს, რომელიც მომსწრე იყო აქ აღწერილი ამბების, იგი თავის მატიანეში აღნიშნავდა: „დიდმა ვეზირმა, რომელმაც შესძლო რუსების არმიისათვის ალყის შემორტყმა, ბრაილის დაცემის ამბავი უფრო ადრე შეიტყო, ვიდრე ამ ცნობამ მიაღწია რუსების ბანაკამდე. ეს ასე იმიტომ მოხდა, რომ გენერალ რენეს მიერ გაგზავნილი ოფიცერი ხელში ჩაიგდეს ბოიარ ლუპუს ხალხმა. პეტრე I-ის სახელზე გაგზავნილი წერილი კი „როგორც მართლმორწმუნეთა საქმისათვის საზიანო“, გადასცეს დიდ ვეზირს: რუსებმა არაფერი იცოდნენ, რომ გენერალმა რენემ თომასთან (თომა კანტაკუზენთან—ო. გ.) ერთად აიღო ბრაილი¹⁵⁰. „აი, ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი, რის გამოც დიდი ვეზირი სიხარულით დათანხმდა პეტრე I-ს საზავო მოლაპარაკებაზე“¹⁵¹.

თავის მხრივ ფელდმარშალი შერემეტევი და სხვა გენერლებიც ზავის მომხრენი იყვნენ. კანტემირი მუხლებში ჩაუვარდა პეტრე I-ს და თხოვა, უარი ეთქვა ბრძოლის შეწყვეტაზე¹⁵². პეტრე I ყოყმანობდა, მაგრამ ომის გაგრძელება რიცხოზრივად გაცილებით ჭარბ მოწინააღმდეგესთან მეტად სარისკო იყო. ამასთანავე, ბრძოლით დაქანცული რუსეთის არმია პროვიანტის დიდ ნაკლულობას განიცდიდა. „უნდა ითქვას სიმართლე, — წერდა ერთ-ერთი მეისტორიე. — რუსები ომს მოიგებდნენ, სურსათ-სანოვავე რომ ჰქონოდათ“¹⁵³.

პეტრე I დათანხმდა ომის შეწყვეტაზე. 1711 წლის 22 ივლისს სამხედრო ბანაკში, უშში, ხელი მოაწერეს ზავს რუსეთსა და თურქეთს

¹⁴⁹ А. Кочубинский..., стр. 128.

¹⁵⁰ I. Neculce..., გვ. 68.

¹⁵¹ იქვე.

¹⁵² А. Кочубинский..., стр. 133.

¹⁵³ Engel ..., გვ. 370.

შორის. ზავის პირობები რუსეთისათვის მეტად მძიმე იყო. მას უნდა დაებრუნებინა აზოვი თურქებისათვის, დაეგრია ახლადაშენებული ქალაქები—ტაგანროგი და სხვ., ბრაილი და ყირიმი გაეთავისუფლებინა ჯარებისაგან. რუსეთს ეკრძალებოდა ვაქრობის წარმოება შავ ზღვაზე. მან დაკარგა უფლება ყოლოდა ელჩი კონსტანტინოპოლში და სხვა¹⁵⁴. მაგრამ, რუსებმა მაინც შესძლეს გადაერჩინათ თავიანთი არმია კაპიტულაციისაგან და არ გადაეხადათ კონტრიბუცია. პეტრე I-მა კატეგორიული უარი განუცხადა დიდ ვეზირს გადაეცა თურქებისათვის კანტემირი. ბალტაჯი ფაშა ამაზეც დათანხმდა. გარკვეული როლი თურქების ასეთ „ლმობიერებაში“, ქსენოპოლის სიტყვით, ითამაშა „ეკატერინე დედოფალმა, რომელმაც პირადად გადასცა ძვირფასი საჩუქრები ბალტაჯი ფაშას“¹⁵⁵. თურქეთსა და რუსეთს შორის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ თომა კანტაკუზენი, რამდენიმე ვლახელის თანხლებით, მდინარე პროხოვის გაყოლებით ჯერ ტრანსილვანიისკენ გადავიდა, იქიდან კი რუსეთს გაემგზავრა. პეტრე I-მა იგი დიდი პატივით მიიღო — უბოძა გენერლობა, დიდძალი მამული და წლიურად ხუთათასი მანეთი დაუნიშნა. თომა კანტაკუზენმა მეუღლე და ბავშვები თავისთან გაიწვია და ცხოვრების შემდგომი წლები რუსეთში გაატარა¹⁵⁶.

ასე დამთავრდა პრუტის ლაშქრობა. „თუ თავის დროზე მოგაჩთან ბრძოლა ითვლებოდა უნგრეთის დამოუკიდებლობის სასაფლაოდ, — წერდა ბორეცკი-ბერგფელდი. — ასევე ბრძოლა სტანილეშტთან წარმოადგენდა რუმინული ეროვნული თავისუფლების სამარეს“¹⁵⁷.

რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსების სტანილეშტთან დამარცხების შემდეგ კონსტანტინე ბრინკოვიანუ ყოველგვარ ძალას ხმარობდა თავი ემართლებინა ოტომანთა იმპერიის წინაშე იმ ბრალდებებისაგან, რომლებიც მას რუსეთთან კავშირის გამო წაუყენეს. მან ვენასა და ვენეციაში გამოსცა რუსების წინააღმდეგ მიმართული სატირული წერილები, აუკრძალა „ვლახელებს ყოველგვარი მიმოწერა პეტრე დიდის ქვეშევრდომებთან“, და თურქების გულის მოსაგებად საჩუქარს საჩუქარზე გზავნიდა კონსტანტინოპოლში. მაგრამ, ყოველივე ამას იყო.

ერთმა ბერძენმა ექიმმა, სახელად ანტონ კორეამ, დიდი ვეზირის სასახლეში ყოფნის დროს შემთხვევით მოჰკრა ყური, სულთნის მოხელეებს შორის საუბარს იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილი იყო კონსტანტინე ბრინკოვიანუს ტახტიდან ჩამოგდება და მისი კონსტანტინო-

¹⁵⁴ Письма..., стр. 322—324.

¹⁵⁵ Х е н о р о I..., გვ. 81.

¹⁵⁶ Fragments..., გვ. 104.

¹⁵⁷ Н. Б о р е ц к и й - Б е р г ф е л д, История Румыний. стр. 129.

პოლში გაწვევა ოჯახითა და ავლადიდებით. ყოველივე ეს ანტონ კორე-
ამ დაუყოვნებლივ აცნობა ბუქარესტში ერთ-ერთ თავის ნაცნობ ბერ-
ძენს, — ბრინკოვიანუს მეგობარს, რომელმაც თავის მხრივ წერილის
საშუალებით გააფრთხილა მთავარი. ბრინკოვიანუსმ წერილს არავითარი
ყურადღება არ მიაქცია. შესაძლოა ბრინკოვიანუს ასეთი მოქმედება
იმით იყო გამოწვეული, რომ რამდენიმე ხნის წინ მან დიდი ვეზირისა-
გან თავაზიანი მოკითხვის ბარათი მიიღო. გარდა ამისა, ბრინკოვიანუს
კონსტანტინოპოლელ აგენტებს მისთვის თურქების ასეთი განზრახვის
შესახებ არაფერი შეუტყობინებიათ. (ბრინკოვიანუს კონსტანტინოპო-
ლელ აგენტების დუმილი გასაგები ხდება, რადგან, როგორც შემდგომ
გაირკვა, ყველა ისინი თურქების მიერ ყოფილან მოსყიდულნი).

ანტონ კორეას მეორე წერილს ისეთივე ბედი ეწვია, როგორც პირ-
ველს. ბრინკოვიანუსმ ყური არ უგდო, აგრეთვე, თავისი ოჯახის წევრთა
თხოვნასაც, კერძოდ, მისი მეუღლის, მარიამისა, რომელიც ემუდარე-
ბოდა მთავარს ტირგოვიშტეში გახიზვნას, რათა უფრო ახლოს ყოფი-
ლიყო ტრანსილვანიიდან, ბრინკოვიანუს არაფრის გაგონება არ სურ-
და. მან საკუთარი სიძეეც კი გაგზავნა ამალითურთ კონსტანტინოპოლში
თავისი ვაჟიშვილის რადუს საცოლის ჩამოსაყვანად. მაგრამ, კონსტან-
ტინე ბრინკოვიანუს ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

სულთანმა ახმედ III-მ, რომელიც ამ დროს ავსტრიის წინააღმდეგ
საბრძოლველად ემზადებოდა, სახიფათოდ ჩათვალა კონსტანტინე
ბრინკოვიანუს შემდგომი დატოვება ვლახეთის სამთავროს ტახტზე. მან
ზებრძანა მუსტაფა-ალას და ერთ-ერთ ვეზირს, ხელთ ეგდოთ ბრინკო-
ვიანუს.

1714 წლის 4 აპრილს მუსტაფა-ალა ბუქარესტში ჩაეიდა, ხოლო ვე-
ზირი ჭიურჯევოში შეჩერდა, რათა ჯარი შეეყარა იმ შემთხვევისათვის,
თუ ვლახელები შეეცდებოდნენ თავიანთი მთავრის დაცვას. მუსტაფა-
ალა კონსტანტინე ბრინკოვიანუსთან კარგ დამოკიდებულებაში იყო.
ამიტომაც, საგანგებოდ შეარჩიეს იგი ამ მისიისათვის, რათა მთავარს
ეწვი არ აეღო და არ გაქცეულიყო. ბრინკოვიანუსმ დიდი სიხარულით
მიიღო მუსტაფა-ალა. თურქს თან თორმეტი თანმხლები პირი ახლდა,
რომლებსაც წარმოსასხამს ქვეშ ხანჯლები და დამბაჩები ჰქონდათ დამა-
ლული. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში მათ ადგილზევე უნდა
მოეკლათ ბრინკოვიანუს. „უნდა ითქვას, — წერს დელ კიარო, — რომ
მუსტაფა-ალამ, ვიდრე იგი კონსტანტინოპოლიდან წამოვიდოდა, ჰკითხა
დიდ ვეზირს, რა უნდა მოემოქმედა, იმ შემთხვევაში, თუ ბრინკოვი-
ანუს გადაყენების ამბის გაგებისას ხალხი ამხედრდებოდა. ვეზირმა მან
თან გააყოლა რამდენიმე შეიარაღებული კაცი, რომლებიც დარბაზის

კარებთან უნდა მდგარიყვნენ და იქვე მოეკლათ მთავარი და ყველა ის, ვინც დაიცავდა ბრინკოვიანუს. მე თვითონ ვნახე ექვსი ჯარისკაცი, — განაგრძობს დელ კიარო, — რომლებიც დარბაზის კარებში ჩადგნენ და არავის უშვებდნენ არც დარბაზში და არც გარეთ“¹⁵⁸.

ჩვეულებრივი ცერემონიალისა და ურთიერთმისაღმების შემდეგ მუსტაფა აღას სავარძელი მიართვეს. მან უარი განაცხადა, დროის უქონლობა მოიმიზეზა, თან დასძინა, რომ ბრინკოვიანუსათვის, თავის ძველი მეგობრისათვის, მეტად სამწუხარო ამბავი ჩამოიტანა. ამ სიტყვების წარმოთქმისას მუსტაფა-ალამ უბიდან ამოიღო შავი მოსასხამი, კონსტანტინე ბრინკოვიანუს თავზე გადააფარა და ხმამაღლა წარმოსთქვა „Mazil“¹⁵⁹ — (რაც ნიშნავდა კონსტანტინე ბრინკოვიანუს ვლახეთის სამთავროს ტახტიდან გადაყენებას — ო. გ.). ზოგიერთი ისტორიკოსის ცნობით, მოულოდნელი ამბის შეტყობის შემდეგ ბრინკოვიანუს „მუხლთ მოეკვეთა“, „ხმის ამოღება ვერ მოახერხა“, „თავის დასაცავად ცრემლები-ლა გამოიყენა“ და სხვა. ერთი სიტყვით, გვიხატავენ ისეთ ადამიანს. რომელიც მორჩილად და უსიტყვოდ შეხვდა სულთნის ბრძანებას, კოვალნიჩანე კი წერს: როდესაც მუსტაფა-ალამ წარმოთქვა „Mazil!“ და სახეზე შავი წამოსასხამი ჩამოაფარა ბრინკოვიანუს, მთავარი მეტორტმანდა, ტახტის სახელურს დაეყრდნო. მუსტაფა-ალამ მას უბრალო სკამი შესთავაზა და უთხრა, რომ ტახტი მას უკვე აღარ ეკუთვნის... როდესაც ბრინკოვიანუმ ეს მოისმინა, მან გაბრაზებულმა გალანძლა „სულთანი და თურქეთის ხელისუფალნი“ და მათ „უმაღურნი“ უწოდა¹⁶⁰. კოვალნიჩანეს ეს ცნობა ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია, რადგან მოგვიანებით, როდესაც კონსტანტინე ბრინკოვიანუ წარსდგა სულთნის სამსჯავროს წინაშე, მას ერთ-ერთ ბრალდებად სწორედ სულთნის ლანძღვა წაუყენეს¹⁶¹.

კონსტანტინე ბრინკოვიანუ დააპატიმრეს და მცველებად თურქი ჯარისკაცები მიუჩინეს. ამის შემდეგ მუსტაფა-ალამ სასახლის სათათბირო დარბაზში შეკრიბა ბოიარები და წაუკითხა ფირმანი, რომლის მიხედვით ბრინკოვიანუ მოღალატედ იქნა გამოცხადებული. მუსტაფა-ალამ ჩქარობდა და შიშობდა კიდევ. მართალია, მას ოთხასი თურქი ჯარისკაცი ჰყავდა, რომლებიც ჭიურჯევოდან ბუქარესტს მოიყვანა ვეზირმა. მაგრამ, რას გახდებოდა იგი ოთხასი კაცით, თუ კი დედაქალაქის სამო-

¹⁵⁸ Del Chiaro... გვ. 105.

¹⁵⁹ C. Engel..., გვ. 374.

¹⁶⁰ M. Kogalnitchan, Histoire de la Valachie, de la Moldavie et des Valaques transdanubiens, Berlin, 1837, გვ. 202. (შემდეგ M. Kogalnitchan...).

¹⁶¹ იქვე, გვ. 206.

ცი ათასიანი მოსახლეობა¹⁶² იარაღს მოჰკიდებდა ხელს. ამიტომაც, მუსტაფა-ალამ კონსტანტინე ბრინკოვიანუ ვლახელ ბოიარებს ჩააბარა და აიძულა ისინი თავდებად დამდგარიყვნენ სიციოცხლის ფასად, რათა ბთავარი არ გაქცეულიყო. წინააღმდეგობის გწევის შემთხვევაში იგი ჯარის შემოსევით და ვლახეთის აოხრებით იმუქრებოდა, „ბუქარესტის მცხოვრებნი — წერს ვილკინსონი — გულგრილად შეჰყურებდნენ ამ ბოროტმოქმედებას და არაფერი უღონიათ მთავრის გასანთავისუფლებლად“¹⁶³. ხოლო კოგალნიჩანე აღნიშნავდა: „ამგვარ სახელმწიფო ვადატრიალებას ადგილი ჰქონდა დიდ სამთავროში, შიგ დედაქალაქში, რომელშიც 60 ათასი მცხოვრები ითვლებოდა; და ეს ხდებოდა მხოლოდ 12 შეიარაღებული მსახურის და ოთხასი თურქის შიშით, ანდა 12 ათასი თურქის შემოსევის მუქარით. სად იყვნენ ის ვლახელები, რომლებსაც ვლად IV-ის¹⁶⁴ დროს არ შეეშინდათ შებრძოლებოდნენ მტრის შვიდი ათას მხედარსა და ორას ორმოცდაათ ათას ფეხოსანს“¹⁶⁵. ვილკინსონისა და კოგალნიჩანეს ეს გულისწყრომით წარმოთქმული სიტყვები გადაჰარბებულად მიგვაჩნია. თუ ვლახელებს მართლაც „არაფერი უღონიათ მთავრის გასანთავისუფლებლად“, უნდა ითქვას, რომ ისინი „გულგრილად“ არ შეხვედრიან თურქთა ძალადობას. ამ ამბების თანამომსწრე, დელ კიარო წერდა, რომ კონსტანტინე ბრინკოვიანუს დაპატიმრების გამო მრავალი ვლახელი „თანაგრძნობით ტიროდა“ და რომ „ბუქარესტში დიდი მღელვარება იყო“¹⁶⁶.

¹⁶² M. Kogalnitichan... გვ. 203.

¹⁶³ W. Wilkinson, Tableau historique, géographique et politique de la Valachie et de la Moldavie, Paris, 1821, გვ. 285.

¹⁶⁴ ვლად IV, ვლახეთის მთავარი 1456—1462 წწ. მან თავი ისახელა თურქეთის სულთნის მუქამედ II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, როდესაც კოგალნიჩანე იხსენიებს ვლად IV-ის და ვლახელთა ვეჟაკობას მტრის წინაშე, ჩვენი აზრით. მის შემდეგი შემთხვევა აქვს მხედველობაში: ვლად IV, რომელიც გამოირჩეოდა სისასტიკითა და მოხერხებულობით, ერთხელ მუქამედ II-სთან ომის დროს, რამდენიმე ჯარისკაცით შუალამისას მტრის ბანაკში შეიპარა. ბანაკში შესვლა ვლად IV-ეს გაუადვილა იმ ვარემომებამ, რომ მთავარსა და მის თანხლებ პირებს თურქული სამოსელი ეცვათ. თვით ვლად IV კი თავისუფლად ფლობდა თურქულ ენას. ვლად IV-ეს განზრახული ჰქონდა მოეკლა სულთანი მუქამედ II. მაგრამ, შეცდომით რომელიღაც ფაშას კარავში შევიდა და ის გამოასალმა სიციოცხლეს; ატყდა განგაში. თურქებმა, რომელთაც ეგონათ, რომ მათ ბანაკში ღამით ელახელთა რაზმები შემოიჭრნენ, აურზაურში და სიბნელეში ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა დაიწყეს. ვლად IV-მ, სიბნელისა და მტრის დაბნეულობის წყალობით, ადვილად დააღწია თავი ხოჯათს და თავის ბანაკში დაბრუნდა. მან მაშინათვე დარაზმა ჯარი და თავს დაესხა თურქებს. ღამის ბრძოლაში ვლახელებმა უამრავი თურქი გაჟლიტეს, ცოცხალი გადარჩენილები კი სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ.

¹⁶⁵ M. de Kogalnitichan... გვ. 203.

¹⁶⁶ Del Chiaro... გვ. 117.

ელახეთიდან ბრინკოვიანუს გამგზავრების შემდეგ. ვეზირი ბუქარესტში დარჩა, რათა მთავრის მთელი უძრავი ქონება გაეყიდა, ხოლო მოორავი — ფული, ძვირფასეულობა, ბეწვის ქურქები (მათ შორის ზოგი პეტრე I-ის ნაჩუქარი), აეწერა და კონსტანტინოპოლში გაეგზავნა. ბრინკოვიანუს ქონების ღირებულება იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ როდესაც კონსტანტინოპოლში შეიტყვეს მისი ფასი, „თვით ბრწყინვალე პორტას მბრძანებელიც კი საოცრად გაკვირდა“. თუმცა, სულთნისათვის კარგად იყო ცნობილი კონსტანტინე ბრინკოვიანუს სიმდიდრის ამბავი. მას ხომ კონსტანტინოპოლში ზედმეტ სახელად „ალთინ ბეის“, ანუ „ოქროს მთავარს“ ეძახდნენ¹⁶⁷.

1714 წლის 16 აგვისტოს კონსტანტინე ბრინკოვიანუ ოთხი ვაჟი-შვილით სულთნის სერალის შენობის წინ მოედანზე მიიყვანეს¹⁶⁸. ბრალდებულებს — კონსტანტინე ბრინკოვიანუს, მის ვაჟიშვილებს: კონსტანტინეს, სტეფანეს, რადუს და მათეს ხელები შეუკრეს და ერთმანეთის გვერდით მუხლებზე დააჩოქეს. სულთნის ერთ-ერთმა მსახურმა დაპატიმრებულთ წაუკითხა ბრალდებები, რის საფუძველზე ისინი სიკვდილით უნდა დასჯილიყვნენ. განსაკუთრებული ბრალი ედებოდა კონსტანტინე ბრინკოვიანუს, რუსეთთან ომის დროს თურქეთის ღალატისათვის და „სულთნის მიმართ წარმოთქმული შეურაცხყოფელი გამოთქმებისათვის“¹⁶⁹. ამოდ ცდილობდნენ თურქები აეძლებინათ ბრინკოვიანუ, რათა მას მაჰმადიანური სარწმუნოება მიეღო. რჯულის ღალატისათვის ისინი მთავარს სიცოცხლის შენარჩუნებას პირდებოდნენ „გულმხურვალე ლოცვით — წერს კოგალნიჩანე — აღაგზნებდა ბრინკოვიანუ თავის შვილებს წინაპართა რწმენის ერთგულებით: „ჩემო შვილებო, ეუბნებოდა იგი მათ, — იყავით ყოჩაღად. ჩვენ ყველაფერი დაეკარგეთ, რაც კი გაგვარჩნდა ამ ქვეყნად; ისლა დაგვრჩენია, სული მაინც გადავირჩინოთ და ჩვენივე სისხლით განვიწმინდოთ ცოდვებისაგან“¹⁷⁰.

სულთანმა ჯალათს ნიშანი მისცა. ჯერ ბრინკოვიანუს უფროს ვაჟიშვილს კონსტანტინეს მოჰკვეთეს თავი. როდესაც რიგი მთავრის უმცროს ვაჟზე, რადუსზე მიდგა, მან შეჰყვირა, რომ მიიღებს მუსლიმანობას, ოღონდ სულთანმა სიცოცხლე შეუნარჩუნოს. რადუს იმ დროისათვის მხოლოდ ის-ის იყო შეუსრულდა 16 წელი. ამის გამგონე კონს-

¹⁶⁷ C. Engel, გვ. 372.

¹⁶⁸ M. Kogahnitchan... გვ. 206.

¹⁶⁹ იქვე, გვ. 206.

¹⁷⁰ იქვე, გვ. 206.

ტანტინე ბრინკოვიანუმ შეიღს საყვედურით მიმართა: „უმჯობესია ათასჯერ მოკვდე, ვიდრე უღალატო ქრისტეს რწმენას და უღალატო მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ქვეყნად შენი სიცოცხლე გაიხანგრძლივო რადაც ორიოდე წლით“¹⁷¹. ამ სიტყვების შემდეგ რადუმ ამაყად წარმო-
სთქვა: „მე მინდა მოვკვდე ქრისტიანად! მომჭერი თავი, ჯალათო!“¹⁷².

მას შემდეგ, რაც მამის ფერხთ დაგორდა შეიღის თავი, ვლახეთის მთავარი, კონსტანტინე ბრინკოვიანუ, მიუბრუნდა სულთანს და ხმამალა წარმოსთქვა: „ასეთი იქნება ყველას ხედრი, ვისაც ღმერთი არგუნებს უბედურ ბედს — ემსახუროს ტირანს“.

დასჯილთა თავები თურქებმა უზებებზე წამოაგეს და ყვირილით: „ასეთია მოღალატეთა აღსასრული“ — დაატარებდნენ კონსტანტინოპოლის ქუჩებში, გვამები კი — ზღვაში გადაჰყარეს. მაგრამ, ქრისტიან-მა მენავეებმა, ისინი ზღვიდან გამოიტანეს და პატარა კუნძულ, ჰალკის, მონასტრის მიწას მიაბარეს. „სწორედ აქ, სრულ მყუდროებაში, განისვენებს ნეშტი კონსტანტინე II-სი, რომლისთვისაც ვლახელებს ძეგლი უნდა დაედგათ იმ ცივილიზებულ და საქველმოქმედო რეფორმების გამო, რომელიც მან გაატარა თავის სამთავროში“¹⁷³. — წერს ერთ-ერთი ისტორიკოსი.

¹⁷¹ Н. Борек и Н. Бергфельд, История Румынии, СПб, 33. 132.

¹⁷² იქვე.

¹⁷³ М. Когалничан... 33. 207.

ფანარიოტები ვლახეთში. ანთიმ ივერიელის ბრძოლა მათი გატონოზის წინააღმდეგ

1715 წლის 7 ივნისს სულთან ახმედ III-ის ბრძანებით კონსტანტინოპოლში თავი მოკვეთეს ვლახეთის მთავარს სტეფანე კანტაკუზენს (მან, 1714 წელს ვლახეთის სამთავროს ტახტზე შეეცალა სიკვდილით დასჯილი კონსტანტინე ბრინკოვიანუ) და მის მოხუც მამას. „ბოსტანჯი-ბაშის საკანში, — წერს კოგალნიჩანე, — ჩაქრა ვლახთა თავისუფლები-სა და დამოუკიდებლობის უკანასკნელი ნაპერწკალი“¹. სტეფანე კანტაკუზენთან ერთად დაიღუპა უკანასკნელი ვლახელი მთავარი და მასთან ერთად ბოლო მოეღო ვლახეთის უკანასკნელ უფლებებს, რომელთაც აქამდე აღიარებდა ოტომანთა პორტა. „ვლახელებს წაართვეს უწმინდესი უფლება, უფლება იმისა, რომ მათი გამგებელი მათივე ერის შვილი ყოფილიყო“², — აღნიშნავს რენიო. თურქეთის მმართველ წრეებს კარგად ახსოვდათ, თუ როგორი სიხარულით ეგებებოდა ვლახელი ხალხი რუს ქარისკაცებს პრუტის ლაშქრობის დროს (1711 წ.), რომელიც „ქრისტიანთა განთავისუფლების დროშით“ დაიწყო³. სულთანმა ახმედ III-მ და მისმა ვეზირებმა, აგრეთვე, კარგად იცოდნენ, რომ მიუხედავად პრუტის ლაშქრობის მარცხისა, ვლახელი ხალხი მაინც იმედის თვალით შეჰყურებდა პეტრე დიდს — „ქრისტიან მეფეს, რომელიც იხსნიდა მათ ურჯულოთა მონობის უღლიდან“⁴.

ვლახეთის რუსეთთან დაახლოებისათვის ხელის შეშლა და ვლახეთში თავისი ძალაუფლების განმტკიცებისათვის ზრუნვა—აი, ის დილე-

¹ M. Kogalnicean, *Cronicle Romaniei seu Letopisecele Moldaviei si Valachiei*, v 2. Buc. 1872, გვ. 105.

² Regnault Elias, *Histoire politique et sociale des Principautés Danubiennes*, Paris, 1855, გვ. 38 (შემდეგ Regnauet...)

³ *Studii si materiale de istorie medie*, vol. II, 1957 გვ. 451. (შემდეგ Studii)

⁴ M. Kogalnicean, *Fragments tirés des chroniques Moldaves et Valaques pour servir a l'histoire de Pierre-le-Grand, Charles XII, St. Leszczynski, Demètre Cantemir et Constantin Brancovan*. Iassi, 1845, გვ. 158.

მა, რომლის წინაშე აღმოჩნდა ბრწყინვალე პორტა. მაგრამ, რა გზით აპირებდა თურქეთი ამ დილემის გადაჭრას? არსებობდა ორი გზა: პირველი — მოესპო ვლახეთისათვის მინიმალური დამოუკიდებლობის ნიშანიც კი და გადაეჭია ერთ-ერთ საფაშოდ⁵; ანდა დაესვა ვლახეთის სამეფო ტახტზე ისეთი მთავარი, რომელიც უზრუნველყოფდა ამ სამთავროს საბოლოო დამორჩილებას ოტომანთა იმპერიისადმი⁶. თურქები მეორე არჩევანზე შეჩერდნენ. „ამიერიდან, — წერს რენიო, — ვლახეთს დაეპატრონება უცხოელი, უთვისტომო, გადამთიელი ბერძენი, რომელსაც არ ცნობს საბერძნეთი და რომელსაც აბუჩად იგდებს თურქი, რომელსაც სახელიც კი არ გააჩნია და მას სესხულობს კონსტანტინოპოლის ერთი უბნიდან“⁷. ხოლო რაც შეეხება ამ უბნის სახელწოდებას, ის ჯერ კიდევ ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე I-ის დროიდან იწოდებოდა ფანარად⁸. და თუ თურქეთის მმართველი წრეები იმედოვნებდნენ, რომ ფანარიოტის სახით მათ ვლახეთის სამეფო ტახტზე ერთგული მსახური ეყოლებოდათ, და რომ ეს მსახური არ დაზოგავდა არაფერს, რათა ძალდატანებით განემტკიცებინა ოტომანთა ძალაუფლება და დაემორჩილებინა ვლახელი ხალხი, ჩვენ დაბეჭილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი არ შემცდარან. „თუ მოინახება მტკიცე, მიუკერძოებელი და პირდაპირი ხელი, — წერს ზალონი, — რომელიც დაწერდა ვლახეთის... ისტორიას, მაშინ ამ ისტორიის ფურცლები, რომლებიც აღწერენ ფანარიოტთა მმართველობას, აღსავსე იქნება ახალ მთავართა დესპოტობის ფაქტებით. ფანარის თუ ფანარიოტის მხოლოდ სახელის გაგონებაზეც კი სამთავროს საბრალო მცხოვრებლებს შიშის კანკალი ტანდა“⁹. ეს სიტყვები ეკუთვნის ისტორიკოსს, წარმოშობით ბერძენს, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაეწამებთ ტენდენციურობას.

მაგრამ, როდესაც ვიწყებთ ფანარიოტთა ეპოქის განხილვას ვლახეთის ისტორიაში, ძალაუვნებურად ისმის კითხვა, როგორ შეძლეს ქრისტიანმა ბერძნებმა თავი გამოეჩინათ თურქეთის სულთნის კარზე, როგორ შესძლო დამარცხებულმა და დამონებულმა ხალხმა მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა ოტომანთა იმპერიის პოლიტიკაში?

საკითხის გასაშუქებლად ჩვენ საჭიროდ ვთვლით მივმართოთ მცირე ისტორიულ ექსკურსს. როგორც ცნობილია, თურქთა მთელი სახელ-

⁵ Н. Борецкий - Бергфельд, История Румынии, С—П, стр. 122.

⁶ С. Н. Палаузов, Румынские государства Валахия и Молдавия в историко-политическом отношении, СПб, 1859, стр. 119 (შემდეგ С. Н. Палаузов...).

⁷ Regnault... გვ. 57.

⁸ აქედან წარმოსდგა სიტყვა ფანარიოტი—ფანარის უბანში მცხოვრები.

⁹ Zallony, Essai sur les princes de la Valachie et de la Moldavie connus sous le nom de Fanariotes, Paris, 1830 (შემდეგ Zallonyi, Essai sur les Fanariotes...).

მწიფო საქმიანობა ნორმირებული იყო მათი რელიგიური კოდექსის — ყურანის პოსტულატებით. ყურანი, სხვათა შორის, უკრძალავდა მუსლიმანთ ელაპარაკათ არამუსლიმანური რელიგიის მქონე ხალხების ენაზე. აგრეთვე ყოლოდათ თავიანთი წარმომადგენლები ქრისტიანულ სახელმწიფოთა სამეფო კარზე. მაგრამ, კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ თურქებს მეტწილად უხდებათ ევროპულ სახელმწიფოებთან ურთიერთობის გაბმა და დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმოება. ამ მიზნისათვის ისინი იყენებენ ფანარის უბანში მცხოვრებ ბერძენთა არისტოკრატიის წარმომადგენლებს, როგორც თარჯიმნებს. ასე წარმოიშვა ოტომანთა იმპერიაში დრაგომანის (თარჯიმნის) თანამდებობა.

პირველ ხანებში დრაგომანის თანამდებობა არაფერს სახარბიელოს არ წარმოადგენდა. დრაგომანი მოსაცდელ ოთახში უნდა ყოფილიყო, ვიდრე მას არ დაუქანებდნენ რაიმე დოკუმენტის წასაკითხად ან გადასათარგმნელად. მაგრამ, ერთ დღეს ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვალა, სულთან მუჰამედ IV-ის მეფობის პერიოდში. კუნძულ კანდის აღმოსავლეთის დროს, დიდი ვეზირის ახმეტ ფაშის ამაღლებაში იმყოფებოდა ერთერთი დრაგომანი, სახელად პანაიოტაკი, რომელსაც ფართო განათლება ჰქონდა მიღებული და ფლობდა თითქმის ყველა ევროპულ ენას. „პანაიოტაკმა, — წერს რენიო, — თავისი მოხერხებულობით უფრო მეტი გააკეთა კუნძულის კაპიტულაციისათვის, ვიდრე ვეზირმა თავის ჯარებით. და ამ დიდმნიშვნელოვანმა სამსახურმა მას, როგორც ქრისტიანს, უმაგალითო ნდობა მოუპოვა კონსტანტინოპოლის კარზე“¹⁰.

კონსტანტინოპოლში დაბრუნების შემდეგ პანაიოტაკი ზღაპრულად დააჯილდოვეს, დაუნიშნეს დიდი ხელფასი, ნება დართეს ეტარებინა, მსგავსად მაღალი თანამდებობის მქონე თურქი მოხელეებისა, გრძელი სამოსელი და სიასამურის ბეწვით შემოვლებული ქუდი. მან, აგრეთვე, მიიღო უფლება ცხენით სიარულისა¹¹ ოთხი მსახურის თანხლებით. დივანმა სპეციალურად დააარსა დიდი დრაგომანის თანამდებობა და ამ თანამდებობაზე დანიშნა პანაიოტაკი. ამიერიდან იგი ისეთივე ძლიერი და გავლენიანი ხდება, როგორც „დიდი ფაშები“¹².

ეს მოულოდნელი დაფასება და პატივისცემა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ფანარის მცხოვრებლებს გადაჭრით დაესახათ თავისი ცხოვრების ნომავალი გზა. ყველა შეძლებული ბერძენი ცდილობს შეასწავლოს შვილებს ევროპული ენები. ზოგიერთი მათგანი ცოდნის დასაუფლებლად საზღვარგარეთ მიემგზავრება, ხოლო უკან დაბრუნებისას დრაგო-

¹⁰ Regnault... გვ. 62.

¹¹ ბერძნებს კონსტანტინოპოლში მხოლოდ სახედრით სიარულის უფლება ჰქონდათ.

¹² Regnault..., გვ. 63.

მანთა შემადგენლობაში ირიცხება. „ამგვარი საქმიანობა, — წერს ბორეცკი-ბერგფელდი, — გადაიქცა ბერძნების მონოპოლიად, რომლებიც კონსტანტინოპოლის ერთ-ერთ უბანში ცხოვრობდნენ“¹³. თუმცა, ეს ითქმის კონსტანტინოპოლში მცხოვრებ არა ყველა ბერძენზე. გაჭირვებული და ღარიბი ბერძენი მხოლოდ ლუკმა-პურის შოვნაზე ფიქრობს და შორსაა პოლიტიკისაგან. მას არაფერი აქვს საერთო ფანარიოტებთან, რომლებიც „აბუჩად ეკიდებიან ხელმოკლე თანამემამულეებს და ცხოვრობენ განცალკავებით და ქმნიან კადნიერ არისტოკრატთა კასტას“¹⁴.

და აი, სწორედ ამ „კადნიერ არისტოკრატთა კასტის“ წარმომადგენლებს მიაპყრო მზერა ბრწყინვალე პორტამ და აირჩია ისინი საკუთარი პოლიტიკის გამტარებლად ვლახეთში. თავის მხრივ, ვლახეთის სამეფო ტახტის მოპოვებას ფანარიოტები იმდენად ჩვეულებრივ და უბრალო საქმედ თვლიდნენ, როგორც „ლიმონათის გამყიდველად ან კონდიტრად გახდომას“¹⁵. აი. რას წერდა ფანარიოტების შესახებ დესპერეცი: „ჩვენ დავინახავთ, რომ ლიმონათის გამყიდველები და კონდიტრები მთავრებად გახდებიან და ამ ფაქტს ისე ხშირად ჰქონდა აღგილი. რომ კონსტანტინოპოლის ბებიქალები, ბერძენი ბავშვის დაბადებისას, წინასწარმეტყველების სახით ახლადშობილს უსურვებდნენ ერთ მშვენიერ დღეს გამხდარიყო კონდიტერი, ლიმონათის გამყიდველი და ვ ლ ა ხ ე თ ი ს მ თ ა ვ ა რ ი“¹⁶ (კურსივი ჩვენია — ო. გ.).

ნაწილობრივი წარმოდგენა რომ გვქონდეს, თუ რა გზით აპირებდნენ ფანარიოტები „ვლახეთის მთავრად“ გახდომას, მოვიყვანთ ზალონის მიერ მოცემულ რჩევა-დარიგებას, რომელსაც ყოველი ფანარიოტი აძლევდა თავის შვილებს: „შვილო, არ დაგავიწყდეს, რომ ამ ცხოვრებაში არაა ვართ, თუ არა მუდმივი სათამაშო ცვალებადი ბედისა. ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ თავიდან ავიცილოთ ჩვენს წინააღმდეგ მიმართული დარტყმები და ამის ყველაზე უფრო საუკეთესო საშუალებაა ფანარიოტების პოლიტიკა — ერთადერთი სწორი გზის მაჩვენებელი იმ დესპოტურ მმართველობის პერიოდში, რომლის დროსაც ჩვენ ვცხოვრობთ. ამ პოლიტიკის გარეშე შენ ყოველთვის შეეყრები უბედურებას. ეს პოლიტიკა გასწავლის, წარმატებით ებრძოლო მტერს და მოგცემს საშუალებას გზიდან ჩამოიცილო სხვები, რო-

¹³ Н. Борецкий и Бергфельд, История Румынии, С.-П., стр. 135.

¹⁴ Regnault..., გვ. 63.

¹⁵ M. Desperéz, «La Moldo-Valachie et le mouvement roumain», 1848, გვ. 115 (შემდეგ M. Desperéz...).

¹⁶ M. Desperéz..., გვ. 58.

დესაც მოისურვებთ გახდეთ მთავარი, ეს კი შეხი ძისწრაფების მუდმივ საგანს უნდა წარმოადგენდეს.

არ დაგავიწყდეს, რაც შეიძლება ხშირად მიხვიდე პორტას მაღალი თანამდებობის პირთან, მაგრამ, მასთან უნდა მიხვიდე ერთგული და ქველმოქმედი ადამიანის სახით. უნდა იყო სულგრძელი და, რაც მთავარია, მკვერმეტყველი. აგრეთვე, აუცილებელია, გამოიჩინო ყურადღება და მორჩილება იმ პირთა მიმართ, რომლებიც დიდი მოხელის ამაღლებაში არიან. როდესაც შენ დიდი მოხელის ოჯახში შედიხარ, ჭერ თავი დაუკარი მას, შემდეგ მიდი უფრო ახლო, ე. ი. ოთახის შუაგულში და ხელმეორედ დაუკარი თავი, მაგრამ ისე, რომ შენი სხეულით კარები არ დაფარო ბატონის მზერისაგან. ამიტომაც, შენ ოთახში პირდაპირ კი არ უნდა შეხვიდე, არამედ გააკეთო ნახევარი წრე. როდესაც მოხელეს მიუახლოვდები, დაეცი მუხლებზე. ხელში აიღე მისი ტანისამოსის კალთა, ეამბორე და მიიკარი გულზე. ხდება ისიც, რომ სულგრძელი მოხელე ამის ნებას არ დაგრთავს, მაშინ შენ ემთხვევ ფოჩს, რომელიც დივანს აქვს შემოვლებული და შემდეგ მიიტანე გულთან. მერე ადექი, რამდენიმე ნაბიჯით დაიხიე უკან, ამავე დროს უნდა ერიდო რომ ზურგი არ უჩვენო მოხელეს. თუ ის დაჯდომას შემოგთავაზებს, შენ მიდი ოთახის კუთხეში და იქ დადექი მუხლებზე, ამავე დროს ერიდე, რომ არ აღმოჩნდე თურქის წინ. თუ სულგრძელი მოხელე იკითხავს შენი ჯანმრთელობის ამბავს, უპასუხე: „ბატონო, ვეამბორები თქვენი ფეხის მტვერს“. პასუხის დროს შენ ყოველთვის უნდა იხმარო მესამე პირი მრავლობით რიცხვში.

თუ დიდი მოხელე უბრძანებს მსახურთ ოთახიდან გასვლას, შენ კი მოვიხმობს და მის გვერდით დაჯდომას შემოგთავაზებს, მაშინ შენ, ჩემო შეილო, უნდა გამოიყენო შენი მკვერმეტყველების მთელი ძალა, შენი პოლიტიკის მთელი მოხერხებულობა, რათა მიიღო ყველაფერი, ანდა ნაწილი იმისა, რის შესახებაც შენ გინდოდა გეთხოვა პორტას დიდი მოხელისაგან.

როდესაც მოხელის ოჯახიდან გამოხვალ, არ დაგავიწყდეს უხვი ხელით დააჯილდოვო მისი მსახურნი: არ დაიშურო ოქრო, მიეცი დიდსა და პატარას, რადგან თუ შენ ამ უკანასკნელთ დაივიწყებ, ამით თავს ძალიან ავნებ... ეს მრავალრიცხოვანი მსახურნი, რომელთაც შენ თურქეთის დიდ მოხელეთა სასახლეებში ხედავ, სიმდიდრეს მხოლოდ მთხოვნელთა საჩუქრებით იძენენ. მათი ხელფასი მცირეა, ამავე დროს კი ხედავ, რომ ისინი მდიდრულად არიან ჩაცმულნი და ატარებენ ქაშმირის ძვირფას წამოსასხამებს. რაც უფრო გულუხვი და ყურადღებიანი იქნები მათდამი, მით უფრო უკეთ წავა შენი საქმე, რადგან მათზეა დამო-

კადებული მათი ბატონის შენდაში კეთილგანწყობილება... ამ გზით შენ
მიაღწევ დრაგომანის თანამდებობას და შემდეგ
შესძლებ ხელთ იგდო სამთავრო¹⁷.

„კონსტანტინოპოლში ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული“¹⁸ —
წერდა რენიო. ეს კარგად ესმის ფანარიოტს. ამიტომაც იგი არ ერიდებ-
ა არავითარ ხარჯს, დაუზოგავად ფანტავს ოქროს. ფანტავს, რადგანაც
ღარწმუნებულია, რომ მომავალი მისი სამკვიდრო — ვლახეთი ათას-
წილ აუნაზღაურებს დანახარჯს. ეს ძალზე კარგად იცის ფანარში მცხოვ-
რებმა ყველა „მეფახშემ, გამყიდველმა თუ ვაჭარმა“. ისინი მომავალ
მთავარს უსასყიდლოდ სთავაზობენ „სმირნის ლიმონებს და ზეთისხილს,
თესალის ხიზილალას, კონსტანტინოპოლის ცხიმოვან საპნებს და ნელ-
საცხებლებს, აღრიანოპოლის თუთუნს, სპარსეთის ქასმინებს, საუცხოო
წამოსასხამებს, რომლებსაც თვით ფადიშაჰიც კი ინატრებდა“¹⁹. სამა-
გიეროდ ისინი მხოლოდ ერთს თხოვენ „მის ბრწყინვალეობას“: ნება
დართოს მათ თან გაჰყვენ სამთავროში, რადგანაც „ყოველივე ამას ისინი
სამთავროს ძარცვის წყალობით გაორკეცებით აინაზღაურებენ“²⁰.

და აი, დადგა დღე. როდესაც პორტას დივანმა დანიშნა პირველი
ფანარიოტი მთავარი ვლახეთში.

ფანარიოტს გადასცეს ვლახეთის სანჯაკი (დროშა) და იგი ოცი დი-
დებულის თანხლებით გაემართა სულთნის სასახლისაკენ. სასახლის ერთ-
ერთ დარბაზში მას მიაწოდეს იანიჩარების ჩორბი (საქმელი) გასასინ-
ჯად. მოახურეს ყაბანიცი (საპატიო წამოსასხამი, რომელიც ეძლეოდა
მხოლოდ ყირიმის ხანს და დიდ ვეზირს), თავს დაახურეს ვერცხლის ჩა-
ჩქანი, რომელზედაც ბრილიანტის თვლით დამაგრებული იყო ფარშე-
ჯანგის ფრთა. შემდეგ ფანარიოტი ოთხი დიდებულის თანხლებით, რო-
ნელთაც წინ მიუძღვოდა ცერემონიალმეისტერი და პორტას დიდი დრა-
გომანი, შევიდა მისაღებ დარბაზში. სადაც ტახტზე მჯდომი სულთანი
ელოდებოდა. ფანარიოტი. რომელსაც ორივე მხრივ კაბიჯი-
ბაშები ედგნენ, შეჩერდა დარბაზის შუაში, სამჯერ თავი დაჰკრა იატაკს
და გაირინდა სულთნის სიტყვის მოლოდინში. მაშინ მართლმორწმუნე-
თა მბრძანებელმა ანიშნა დიდ ვეზირს, რომელმაც სულთნის სახელით
შემდეგი წარმოთქვა... „შენი ერთგულებისა და გულწრფელი დამოკი-
დებულებისათვის გაძღვეთ სამთავროს სამართავად. ამავე დროს იმე-
ლი გვაქვს შენი მუდმივი მორჩილებისა“. ფანარიოტმა მუხლი მოიყა-

¹⁷ Zallony, Essai sur les Fanariotes.

¹⁸ Regnault..., გვ. 69.

¹⁹ M. Vaillant, La Romanie t. II, გვ. 246.

²⁰ Regnault..., გვ. 77.

რა და უპასუხა: „ვეფიცავ ჩემ თავს, არ დავიშურო ძალღონე ყოვლის-
შემქლე სულთნის სამსახურისათვის, ვიდრე მისი უდიდებულესობა არ
მოაკლებს თავის მოწყალე მზერას მის უბადრუკ მონას“.21. ეს სიტყვები
წარმოთქვა დიდმა დრაგომანმა ნიკოლო მავროკორდატმა და აქ აღ-
წერილი ამბის ორი თვის შემდეგ, 1716 წლის 10 თებერვალს, ზეიმით
შევიდა ბუქარესტში. „ზარების რეკვა. — წერს ზალონი, — სიხარულის
გრძნობით აღავსებდა მისი ამალის წევრთა გულებს და შიშის ზარს
ცემდა ხალხს. და, განა, შეიძლება ხალხს მბრძანებლის მოსვლა უხარო-
დეს. როდესაც იგი მსგავსად ქორისა, მზადაა თავს დააცხრეს უბედურ
მსხვერპლს?“22.

პირველი ღონისძიება, რომელიც ნიკოლო მავროკორდატმა ვლახეთში
გამეფების შემდეგ გაატარა, ეს იყო რუსული ორიენტაციის მქონე ბო-
იართა დევნა. მთავრის რისხვა განსაკუთრებით თავს დაატყდა კანტაკუ-
ზენების გვარს. ნიკოლო მავროკორდატმა ისარგებლა იმ საბაბით, რომ
თომა კანტაკუზენის მეუღლემ, მარიამმა, მოახერხა ჭერ ტრანსილვანიაში
გაქცევა, ხოლო იქიდან რუსეთში გადასვლა და გასცა ბრძანება კანტაკუ-
ზენების დევნისა. კანტაკუზენებს მთელი ადგილ-მამულები ჩამოარ-
თვეს და გაყიდეს. შემოსული თანხა მთავრის სალაროს ჩაბარდა.
მაგრამ, მარტო მამულების ჩამორთმევით როდი დაკმაყოფილდა.
მავროკორდატი. კანტაკუზენებს დიდძალი ფულადი ჭარიმა შეაწერეს.
ვინც ჭარიმა ვერ გადაიხადა, ის სახალხოდ გაჯონეს და საპყრობილეში
ჩააგდეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ სტეფანე კანტაკუზენის (თურქების
მიერ სიკვდილით დასჯილი ვლახეთის მთავრის) დედას საარსებოდ არა-
ვითარი საშუალება აღარ გააჩნდა.

რეპრესიებს განიცდიდა არა მარტო კანტაკუზენების გვარი, „ამ გვა-
რის ნათესავად ან ნაცნობად ყოფნაც კი უკვე დანაშაულად ითვლებო-
და“23 — წერს ენგელი. ასეთ ვითარებაში შეიძლება გაოცება გამოიწვი-
ოს იმ ფაქტმა, რომ ანთიმ ივერიელი, ასე ვთქვათ, „ხელშეუხებელი“
რჩება და დევნილ ბოიართა შორის ვერ ვხედავთ მის სახელს. თუმცა,
პირველ რიგში, სწორედ მას, როგორც რუსული ორიენტაციის ერთ-
ერთ ლიდერს თავს უნდა დატყდომოდა „პორტას მრისხანება“. მაგრამ,
ეს, ჩვენის აზრით, იმით უნდა აიხსნას, რომ არც თურქებმა და არც ნი-
კოლო მავროკორდატმა არაფერი იცოდნენ ჰურა ურლაცილორეში ან-
თიმ ივერიელის მიერ საიდუმლო სხდომის მოწვევის შესახებ. მათთვის
მხოლოდ ცნობილი იყო თომა კანტაკუზენის აშკარა გადასვლა რუსე-

21 П а л а у з о в, стр. 217.

22 Zallony, Essai sur les Fanariotes.

23 Engel..., გვ. 503.

ბის მხარეზე და ამიტომაც ასე სასტიკად გაუსწორდნენ ყველა კანტა-
აუზენს. რაც შეეხება კონსტანტინე ბრინკოვიანუს, მისთვის, რასაკვირ-
ველია, ფარულად არ დარჩენილა ანთიმ ივერიელის როლი „პურა ურ-
ლაცილორის შეთქმულების“ საქმეში. სწორედ ამიტომ უსაყვედურებ-
და იგი ანთიმ ივერიელს „პოლიტიკურ საქმეში ჩარევას“²⁴. მაგრამ მიუ-
ხედავად თავისი უკმაყოფილებისა, როგორც ჩანს, ბრინკოვიანუს მაინც
არ გაუცია ვლახეთის მიტროპოლიტი თურქებისათვის. ხოლო თუ რა
ელოდა ანთიმ ივერიელს მისი „ანტითურქული პოლიტიკის“ გამოაშკა-
რავების შემთხვევაში. ამას ნათლად გვიჩვენებს ის საშინელი ტრაგე-
დია, რომელიც ნიკოლო მავროკორდატის გამეფების შემდეგ დატრიალ-
და ვლახეთში.

ახლა დაუებრუნდეთ ნიკოლო მავროკორდატს და მის „მოღვაწეო-
ბას“, როგორც ვლახეთის პირველი ფანარიოტი მთავრისა. რუსული
ორიენტაციის მქონე ბოიარებთან ანგარიშის გასწორების შემდეგ, ნი-
კოლო მავროკორდატმა ნიშანში ადგილობრივი არისტოკრატია ამოიღო.
მან გააუქმა ეროვნული კრება და ყველა ვლახელი ბოიარი გაყარა სა-
მეფო კარიდან, მათი ადგილები ნიკოლო მავროკორდატის აშალის წევ-
რებმა დაიკავეს. რომლებიც მთავარს კონსტანტინოპოლიდან ჩამოჰყვ-
ნენ. ფანარის რაიონში მცხოვრები „ვაჭრები, მევენახეები და გადამყიდ-
ველები დიდი თანამდებობის პირნი გახდნენ: სახელმწიფო ხაზინადარი,
გრამატიკოსი — მთავრის პირადი მდივანი. დიდი პოსტელნიკი—მთავ-
რის პირადი მომხსენებელი. დიდი კომისი — მთავრის საჩინბოების ზე-
დამხედველი, მუხტურდარი — ბეჭდის მცველი, დივიქტარი — მთავრის
საწერი ნივთების მცველი, კატანჯი — მთავრის გარდერობის უფრო-
სი. ჩოხადარ ბაში — ქოშების ჩამცმელი. რახტაკარი — სკამის დამკე-
რი, რომლის მეშვეობით მთავარი ცხენზე ჯდებოდა, კათეჯი ბაში — ყა-
ვის მიმწოდებელი, შერბეჯი ბაში — შარბათის მიმწოდებელი, ჩიბუკჩი
ბაში — ჩიბუხის მიმწოდებელი, სოფრაჯი ბაში — სუფრის გამწვლევი,
პეშჯერ ბაში — პირსახოცის მიმწოდებელი და სხვ“²⁵. და, აი, ამ „ჩიბუ-
ხის“ და „პირსახოცის მიმწოდებლების“ მეშვეობით ნიკოლო მავრო-
კორდატი მართავდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ძარცვავდა ქვეყანას.

სულთნის დეკრეტის თანახმად ვლახეთი იმ პროვინციას განეკუთ-
ვნებოდა, რომელსაც კონსტანტინოპოლი სურსათ-სანოვავით უნდა
მოემარაგებინა²⁶. გარკვეულ დროში, მთავარი იღებდა ფირმანს, რომელ-
შიაც აღნიშნული იყო, თუ რა რაოდენობის მსხვილი რქოსანი საქონე-

²⁴ Viata lui Constantin Brincoveanu, Buc, 1906, გვ. 206. იხ. აგრეთვე ამ წიგნის

33. 141.

²⁵ Regnault... 64.

²⁶ იქვე, გვ. 75.

ლ, და ზორბალი ევალებოდა ვლახეთს გაეგზავნა ოტომანო პორტასათვის. სწორედ ამ ფირმანს იყენებდა ფანარიოტი, როგორც სპეკულაციონის საშუალებას. თუ სულთნის ბრძანების მიხედვით გადასახადის რაოდენობა ასი ათას კილო ზორბლითა და ორმოცი ათასი სული ცხვრით განისაზღვრებოდა, მთავარი აწერდა მოსახლეობას ხუთასიათას კილო ზორბალს და ორასი ათას სულ ცხვარს, კონსტანტინოპოლში გზავნიდა იმდენ ზორბალსა და ცხვარს, რამდენსაც მისგან ითხოვდნენ. დანარჩენს კი ბაზარზე ყიდდა და შემოსავალს თვითონ ითვისებდა²⁷. ასევე ხდებოდა, როდესაც პორტა ფირმანით მოითხოვდა ხუთი ათასი მუშახელის გამოყვანას ციხე-სიმაგრეთა შესაკეთებლად თუ სხვა სამშენებლო საქმის საწარმოებლად. მთავარი მოელაპარაკებოდა და დაითანხმებდა (რასაკვირველია, ქრთამის, საშუალებით) პორტას წარმომადგენელს. რომ სამუშაოდ მხოლოდ ასორმოცდაათი კაცი გავიდოდა, ზოლო დანარჩენებს ფულს ახდევინებდა სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო და ამ თანხასაც იჯიბებდა²⁸.

იმ ღონისძიებათა შორის, რომელიც ნიკოლო მაგროკორდატმა ელახეთში გამეფების შემდეგ გაატარა, ეს იყო გადასახადებისა და ღალის გადიდება, რამაც ვლახელი ხალხის სრული გაჩანაგება გამოიწვია. ვლახელები იყრებიან ოჯახებით, „თავს აფარებენ ტყეს“ და „ათასობით უცხოეთში იხიზნებიან“, ვაილანს მოჰყავს მეტად საინტერესო ცნობა მოსახლეობის აღწერისა, რომელიც ნიკოლო მაგროკორდატის გამეფების რამდენიმე წლის შემდეგ ჩატარდა ვლახეთში: ნაცვლად 147000 დასახეგრი ოჯახისა, სამთავროში აღმოჩნდა მხოლოდ 70000²⁹. „ეს გაკვეთილი ფანარიოტის გარდა ყველასათვის საკმარისი იქნებოდა, რათა ეზრუნათ მდგომარეობის რამდენადმე შემსუბუქებისათვის, — წერს რენიო, — მაგრამ, ფანარიოტს არავითარი სურვილი არა აქვს შეამციროს თავისი შემოსავალი. რადგანაც მოსახლეობის რიცხვი თითქმის ნახევრამდე შემცირდა, ის აორმაგებს გადასახადს და ამრიგად ბალანსი გათანაბრებულია“³⁰.

ნიკოლო მაგროკორდატის სამეფო კარი „ოქროსა და აბრეშუმში იყო ჩაფლული“³¹. და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც „ვლახელ გლეხს არ გააჩნდა არც ტანსაცმელი, არც საწოლი, არ ჰქონდა არავითარი

²⁷ Regnault... გვ. 75

²⁸ იქვე. 75—76.

²⁹ M. Vaillant, La Romanie, t. II, გვ.

³⁰ Regnault... გვ. 37.

³¹ П а л а у з о в..., გვ. 218.

საოქახო მოწყობილობა, მაშინ როდესაც მხოლოდ ლერწამი ან ცივი მიწა იყო მისთვის ქვეშაგი და საძინებელი“³².

თავის მხრივ, ნიკოლო მაგროკორდატის ხელქვეითი ფანარიოტები ძალმომრეობასა და პატივმოყვარეობაში ეჭიბრებიან მთავარს. ისინი თავიანთ თავს თვითნებურად უბოძებენ ბოიარის ტიტულს და ხშირად თავის მიერვე გაძარცულ და გაუბედურებულ კაცის სახელსაც კი იცუთვნებენ³³. თუ სადამდე იყო მისული ფანარიოტი მთავრის კარზე მლიქვნელობა და პირმოთნეობა, ამის ნათელ სურათს გვიჩვენებს რენიო: „როდესაც მთავარი სავარძლიდან წამოდგომას დააპირებს, რათა აპარტამენტებში გაიაროს. ორი ან სამი ბოიარი მიუახლოვდება, ორივე მკლავში ხელს ჩასკიდებენ და ისე წამოაყენებენ, რომ მისი ფეხის წვერები ოდნავ შეეხოს იატაკს. დანარჩენ ბოიარებს დიდი მოწიწებით უპირავთ მისი წამოსახამის ბოლო. მთავარი წინ ისე მიიწევს, რომ არც ერთი კუნთი არ ერხევა. ძვირფასი კრიალოსნის მარცვლებს თითებით ზანტად რომ არ მარცვლიდეს, ადვილად მიიჩნევდით მას დამბლადაცემულად. სუფრასთან იგივე მეორდება. ყოველი კერძი ფანარიოტს ნაჭრებად დანაწილებული მიერთმევა, პურიც პატარ-პატარა ლუკმებად არის დაქუცმაცებული. მერიქიფე სავარძლის უკან დგას ნახევრადსავსე სასმისით, რომელსაც თავის ოდნავ მობრუნებისთანავე მთავარს ბაგეებთან მიუტანს. პირველი საათია. სადილი მთავრდება. ტოხუჩარი იხმობს ყავის მომწოდებელს. ეს უკანასკნელი მთავარს მუხლმოდრეკილი მიართმევს ყავას აღმასით მოქედით პატარა ფინჯნით. ამავე დროს ტოხუჩარი ფანჯარას გადმოეყრდნობა და ქალაქს ამცნობს, რომ მისი უდიდებულესობა ყავას მიირთმევს და რომ ამის შემდეგ იგი მიეცემა ძილს. ამ დროიდან ყველანი უნდა დადუმდნენ. ბუქარესტი სუნთქვას იკრავს, რათა არაეითარმა ხმაურმა არ დაუფრთხოს მოსვენება მის უდიდებულესობას. სასახლეში წყდება ყოველგვარი საქმიანობა. სამი საათი გადის ასეთ საერთო ღუმილში, ეს არის ტირანიისაგან სამი საათით შესვენება. ოთხ საათზე ბუქარესტის სამრეკლოებში ზარების რეკვა მოსახლეობასა და დიდებულებს ამცნობს მთავრის გამოდვიძებას და უფლებას აძლევს ყველას, რათა მიბაძონ ამ ღირშესანიშნავ მაგალითს“³⁴.

და „ამ ღირსშესანიშნავ მაგალითს“ პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით ბაძავენ ვლახელი ბოიარებიც, ვინც კი გადაურჩა ნიკოლო მაგროკორდატის რისხვას, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ის ბო-

³² Zallony, Essai sur les Fanariotes.

³³ Regnault... გვ. 67.

³⁴ იქვე, გვ. 77—78.

იარები, ვინც თურქ და ფანარიოტ მოძალადეთა ერთგული სამსახურით შესძლო მავროკორდატის ნდობის დამსახურება. ეს ვლახელი ბოიარები ჰაძავენ ბერძნებს, როგორც ძარცვა-გლეჯასა, ასევე ჩაცმულობაში. იმოსებიან აღმოსავლურ გრძელ სამოსელში, ფეხთ იცვამენ ქოშებს, თმის ვარცხნილობას იკეთებენ ბერძნების მსგავსად. ბოიარი გადაიქცა ბერძნულ სამოსელში გამოწყობილ „ავხორც უქნარად“. მას მხოლოდ ისლა აწუხებს, რომ ნება არა აქვს თავისი ქოშები ზიგნიდან წითელი მაუდით მორთოს, რადგან ეს მხოლოდ მთავრის უფლებას წარმოადგენს³⁵.

მაგრამ, ესენი თავს იმშვიდებენ თავიანთი ჩაჩით, რომელიც ჭერ კიდევ უშობელი შავი ბატენის ტყავისაგან არის შეკერილი. ამ ჩაჩეზის წრეხაზი, ჩვეულებრივ, თითქმის ორ მეტრს შეადგენს. მაგრამ, რადგანაც ბოიარის რანგი და ღირსება ჩაჩების მოცულობით ფასდება, აძიტომაც ყოველივე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პროპორციებს მისცემენ მას. იყო შემთხვევები, როცა ბოიარს არ შეეძლო თავის გვერდით ეტლში ვინმე ჩაესვა, რადგან მისი თავის სარქმელი მთელ თავისუფალ ადგილს იკავებდა³⁶. ეს ბოიარები უკვე აღარ კადრულობენ „რუმინელობას“ და სიტყვა „რუმინელს“ აქცევენ ზიზლის გამომხატველ ტერმინად, რომელსაც მხოლოდ გლეხის მიმართ იყენებენ. მაგრამ, გლეხი შურს იძიებს მათზე და ამ ბოიარებისათვის გამოიგონებს მათი მონური ბუნების გამომხატველ დამცინავ სიტყვას ciocoi, რაც ჩაჩან ძალს ნიშნავს³⁷.

მოთმინებიდან გამოსული ვლახელი ხალხი „წყევლის ფანარიოტებს“, „წყევლის ბოიარებს“. აღშფოთებამ მთელი ვლახეთი მოიკვა. ვლახელი ხალხის მღელვარების შიშით ნიკოლო მავროკორდატი ურიგებს თურქებს მიწებს და ასახლებს მათ ვლახეთის ტერიტორიაზე³⁸, რადგან საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის გვერდში ყავდეს დამხმარე ძალა. ბერძნული ეკლესიის მესვეურნი, რომლებიც ათეული წლების მანძილზე მეთოდურად და დაეინებით ებრძოდნენ „რუმინულ ნაციონალიზმს“³⁹, რათა მისგან არავითარი კვალი არ დარჩენილიყო „არც ეკლესიასა და არც სკოლაში“⁴⁰, თავიანთ ანტირუმინულ მისწრაფებაში პოულობენ ფანარიოტი მთავრის არა მხოლოდ მხარდაჭერას,

³⁵ Regnault, გვ. 66.

³⁶ Zallony, Essai sur les Fanariotes.

³⁷ Regnault... გვ. 58.

³⁸ Engel... გვ. 501.

³⁹ Regnault..., გვ. 68.

⁴⁰ იქვე.

არამედ წაქეზებასაც კი. ეროვნული სკოლები უნდა დაიხუროს⁴¹; რუმინული ენა უნდა განიდევნოს სასახლის კარიდან, როგორც „სამარცხენო ყარგონი“⁴²; ეროვნული ჯარის ნაწილები უნდა შეიცვალოს თურქთა რაზმებით⁴³; ბერძნულ აკადემიაში, რომელიც დააარსა ნიკოლო მავროკორდატი, მასწავლებლებად მხოლოდ და მხოლოდ ბერძნები უნდა იყვნენ⁴⁴; სუბსიდიები უნდა გადაეცეს მხოლოდ იმ მონასტრებს და ეკლესიებს, სადაც ღვთისმსახურნი ბერძნები იქნებიან⁴⁵. ასეთია ის „რეფორმები“, რომელთა განხორციელებას აპირებს ელახეთში ნიკოლო მავროკორდატი „ევროპული განათლების“ შემოღების სახელით და ამ „რეფორმების“ მთავარი მამოძრავებელი ძალა უნდა იყოს არა რუმინული, არამედ ბერძნული ენა.

ფანარიოტების პოლიტიკის წყალობით ელახელი ხალხი ორმაგი მონაზის უღლის ქვეშ აღმოჩნდა. თურქის ბატონობას ფანარიოტის მბრძანებლობა დაემატა. „ღუნაის იქითა მხარისკენ, თურქეთის იმპერიის ამ ყველაზე უფრო ჩრდილოეთ პროვინციისკენ, — წერს ერთ-ერთი რუმინელი ისტორიკოსი, — ფანარიოტები გაეშურნენ ახალი ქვეყნის აღმოსაჩენად, რომელიც თითქოს ოდითგანვე ბერძნებისათვის იყო განკუთვნილი, ანდა უკვე მათ კუთვნილებას წარმოადგენდა. გაეშურნენ „ახალი საბერძნეთის“ აღმოსაჩენად, სადაც ფანარიოტი მთავრების წყალობით შესაძლებლობა ექნებოდათ გამხდარიყვნენ ბოიარები, ანდა მდიდარი მემამულეები. ამ „ახალ საბერძნეთში“, ანდა უფრო ზუსტად, ამ „ახალ ამერიკაში“, ამ „საბერძნეთის პერუში“, როგორც უწოდებდნენ ფანარიოტები და მათი თანამემამულენი ღუნაისპირა სამთავროებს, ისინი უფრო მეტად გრძნობდნენ თავს შინ, ვიდრე კონსტანტინოპოლში, თესალიასა თუ ათიკაში“⁴⁶.

ზოგიერთი ისტორიკოსი ნიკოლო მავროკორდატის ელახეთში მეფობის პერიოდის შეფასების დროს ცდილობს წინა პლანზე წამოსწიოს ამ ფანარიოტი მთავრის პიროვნება, როგორც „ლიტერატორი—მოლავისა“ და თვალი დახუქოს მის „პოლიტიკურ საქმიანობაზე“. რა ითქმის?!.. ნიკოლო მავროკორდატი თავის დროისათვის მართლაც ფრიად განათლებული ადამიანი იყო. იგი ფლობდა მრავალ უცხო ენას და ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას⁴⁷. მაგრამ, არც მავრო-

⁴¹ Regnault..., გვ. 69.

⁴² იქვე.

⁴³ Палаузов..., стр. 219.

⁴⁴ Н. Борецкий-Бергфельд, История Румынии, С—П., стр. 139.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ იქვე, გვ. 140.

⁴⁷ D. Russo, Studi istorice greco-romine, 1959, t. II, გვ. 532.

კორდატის განათლებას, არც იმ მფარველობას, რომელსაც იგი უწევდა მეცნიერებს, არ ძალუძდათ გამოესყიდათ ვლახეთის წინაშე ის დანაშაული, რომელიც მას მიუძღვოდა თავისი სისასტიკისა და მძარცველობის შედეგად. და მართლაც, ნიკოლო მავროკორდატის სიკვდილის შემდეგ მის კუბოს, დასვენებულს ვეკარეშტის მონასტერში, რომლის კედლები ამოყვანილი იყო მრავალი ასეული ოჯახის განადგურებისა და გაუბედურების საფასურად, თან სდევდა ვლახელი ხალხის წყევლა-კრულვა⁴⁸.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მკითხველს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ თითქოს ჩვენ შევეხეთ ნიკოლო მავროკორდატის მეფობის მთელ პერიოდს ვლახეთში (ნიკოლო მავროკორდატი ვლახეთში მეფობდა 14 წლის მანძილზე), რადგან მისი „რეფორმები“ და „ლონისძიებები“ იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ მათი ცხოვრებაში გატარებას, მართლაც, კარგა ხანი დასჭირდებოდა. სინამდვილეში კი ნიკოლო მავროკორდატის ვლახეთში „მოღვაწეობის“ აქ აღწერილი პერიოდი მოიცავს მხოლოდ და მხოლოდ 6—7 თვეს. და ეს ხანმოკლე დრო სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ფანარიოტისათვის, რომ მას ვლახეთზე თავისი წარუშლელი დაღი დაემჩნია.

რა ვიციოთ ჩვენ ამ პერიოდში ანთიმ ივერიელის ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ? ამის თაობაზე შემონახული დოკუმენტები თითქმის არაფერს ამბობენ, გარდა ერთი-ორი შემთხვევისა, როდესაც ანთიმ ივერიელი შეხვდა სამიტროპოლიტოში ახლადდანიშნულ მთავარს ნიკოლო მავროკორდატს და როდესაც ანთიმ ივერიელმა დაესწრო მავროკორდატის მეუღლის დაკრძალვას⁴⁹. მაგრამ, ყველაფერი გასაგები გახდება, თუ მივმართავთ ანთიმ ივერიელის წერილს, რომელიც მას გაუგზავნია იერუსალიმის პატრიარქ ქრიზანთესათვის 1716 წლის 24 მარტს. „ამჟამად მეტად მძიმე დღეებია, — წერდა ანთიმ ივერიელი, — დაუმთავრებელი ეპკვი და უნდობლობა, იმის შიში, რომ გაგზავნილი წერილი სათანადო ადგილს მიაღწევს თუ არა, მაიძულებს მე უარი ვთქვა ყოველგვარ მიმოწერაზე“⁵⁰. ამრიგად, როგორც აქ ციტირებული წერილიდან ირკვევა, მიუხედავად იმისა, რომ ანთიმს, ფანარიოტის გამეფების პერიოდში არ განუცდია აშკარა რეპრესიები, მას მაინც ეპკვის თვალით უყურებენ და იგი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა. თუმცა, არ იქნება სწორი, თუ ვიფიქრებთ, რომ „მძიმე დღეებით“

⁴⁸ П а л а у з о в... стр. 219.

⁴⁹ Revolutiile Valahiei de Anton Maria Del Chiaro. 1929, გვ. 79 (შემდგ. Revolutiile Valahiei...).

⁵⁰ Н у р т у з а к и, Documente, vol. XIV, par. III, გვ. 122:

დათრგუნული ანთიმ ივერიელი განერიდა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, შეურიგდა ვლახეთისა და ვლახელი ხალხის საველალლო მდგომარეობაში ყოფნას და პრუტის ლაშქრობის მარცხის შემდეგ⁵¹ საბოლოოდ იმედი გადაწყვიტა ვლახეთის განთავისუფლებაზე თურქთა და ფანარიოტთა ბატონობის უღლისაგან. როგორც შემდეგ გაირკვა, სწორედ ამ „მძიმე დღეებში“ ანთიმ ივერიელი იკრებს თავის გარშემო ნიკოლო მავროკორდატის პოლიტიკით უკმაყოფილო ბოიარებს, იკრებს ყველას — საერო თუ სასულიერო წოდების წარმომადგენელთ, რომელთაც არ გაუცვლიათ ოქროზე სამშობლოს ინტერესები და მტკიცედ სწამდათ, რომ ვლახეთის კეთილდღეობის ერთადერთი საწინდარი თურქთა და ფანარიოტთა მონობის უღლიდან განთავისუფლებაში მდგომარეობდა.

ვინ იყვნენ ეს ბოიარები, რომლებიც ანთიმ ივერიელს მხარში ამოუდგნენ? რადუ პოპესკუს მატიანეს მიხედვით, „ვლახელი ბოიარების უმრავლესობას სწამდა და სჯეროდა ანთიმისა“. ამ ბოიართა რიცხვს მიეკუთვნებიან გრიგოლ ბელიანუ და გოლესკუ⁵². ხოლო სხვა წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასახელოთ პეტრაშკა ბრეზოვიანუ; ბრეილოი, ივანე ბრაზენუა, მიხაილ კანტაკუზენი, ლუპელი, ბუქორეჩნი, ბარბუ კორნეა, ობედენი, რადუ ბენეესკუ, ჯოვანი აბრამი და სხვები⁵³, რომლებიც მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდნენ, რათა განეხორციელებინათ თავიანთი მიზნები. და ეს ხელსაყრელი მომენტიც მალე დადგა.

რუსეთთან ომის შედეგებით გამხნეებულმა ოტომანთა პორტამ პრეტენზიები წაუყენა ვენეციას, მორეასა და არქიპელაგის კუნძულებზე, რომლებიც მან დაკარგა კარლოვიცის ზავის შედეგად. ვენეციამ დახმარებისათვის მიმართა რომის პაპსა და ავსტრიას. რომის პაპმა მოუწოდა კათოლიკურ ქვეყნებს, დახმარებოდნენ ვენეციას. ავსტრიამ, ვენეციის მოკავშირემ და კარლოვიცის ზავის გარანტმა, თავისა შეუამავლობა შესთავაზა. მან მოსთხოვა თურქეთს, დაეცვა 1699 წლის ზავის პირობები. მაგრამ, ოტომანთა პორტამ უარი განაცხადა ამ მოთხოვნაზე. ამის შემდეგ კი ის იყო, რომ დაიწყო ომი თურქეთსა და ავსტრიას შორის.

როგორც ცნობილია, 1716 წლის 5 აგვისტოს ავსტრიელების მხედართმთავარმა, პრინცმა ევგენიმ, სასტიკად დაამარცხა თურქები პეტრევარდენტან. ანთიმ ივერიელი და მისი მომხრე პატრიოტულად გან-

⁵¹ იხ. ამ წიგნის გვ. 287—288.

⁵² M a g a z i n istoric pentru Dacia, IV, Buc. 1847, გვ. 46.

⁵³ იქვე.

წყობილი ვლახელი ბოიარების ჯგუფი იწყებს მოქმედებას. კაპიტანმა ობედენმა ბრძანება გასცა, ვლახეთის ჯარებს წინააღმდეგობა არ გაეწიათ საზღვარზე გადმოსული ავსტრიელებისათვის, რომლებიც თან სდევდნენ თურქებს, ხოლო, ბოიარებმა ბარბუ კორნეამ და რადუ ბენეესკუმ უბრძოლველად ჩააბარეს ავსტრიელებს ტირგულ-ჯიული. ვლახელი ბოიარების ასეთი მოქმედება, როგორც ჩანს, პირველი ფაზა იყო იმ საერთო გეგმისა, რომელიც დასახა „ნიკოლო მავროკორდატის წინააღმდეგ ჩამოყალიბებულმა შეთქმულთა ჯგუფმა ანთიმ ივერიელის მეთაურობით“.

ნიკოლო მავროკორდატი ყოველმხრივ ცდილობდა დაემაღლა ბუქარესტის მოსახლეობისათვის პეტერვარდენთან ავსტრიელების გამარჯვების ამბავი. მაგრამ, 4 სექტემბერს შუის ჩასვლამდე 1 საათით ადრე ბუქარესტის ქუჩებში გაისმა ყვირილი „ავსტრიელები... ავსტრიელები!“⁵⁴, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბუქარესტის მოსახლეობაში ასეთი ხმების გავრცელება ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული⁵⁵, რადგან სინამდვილეში ვლახეთის საზღვარი გადმოლახა ავსტრიელთა მხოლოდ ერთმა ასეულმა და ეს ასეულიც დაკმაყოფილდა იმით, რომ საზღვრის მახლობლად დაიკავა ტირგულ-ჯიული და ჯერჯერობით არც აპირებდა ქვეყნის სიღრმეში შექრას. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ბუქარესტში ავსტრიელთა ჯარების შემოსვლის შესახებ გავრცელებული ხმების ინიციატორები ანთიმ ივერიელი და მისი თანამოაზრე ბოიარები იყვნენ. ეს დასტურდება მემატინანე მიტროფანე გრიგორაშის სიტყვებით: „ანთიმ ივერიელმა და ბოიარებმა, რომლებმაც მოაწყვეს შეთქმულება მთავრის წინააღმდეგ, დაწყარეს ხმები, თითქოს ავსტრიელთა ჯარები შეიჭრნენ ვლახეთში და განზრახული ჰქონდათ მისი (ნიკოლო მავროკორდატის — ო. გ.) დაპატიმრება“⁵⁶.

რა მიზნით უნდა გაევრცელებინათ ანთიმ ივერიელსა და მის მომხრე ბოიარებს ბუქარესტში ავსტრიელთა შემოსვლის ყალბი ცნობა? თუ გავითვალისწინებთ, რომ ანთიმ ივერიელს და პატრიოტულად განწყობილ ბოიარებს განზრახული ჰქონდათ ვლახეთის განთავისუფ-

⁵⁴ Revoluțiile Valahiei..., გვ. 137.

⁵⁵ ჩვენ აქ საჭიროდ ვთვლით საგანგებოდ აღნიშნოთ, რომ თითქმის ყველა მკვლევარი, გამოწაკლისის გარეშე, ვინც კი საერთოდ შეხებია ავსტრიელების ვლახეთში შემოჭრის პერიოდში ანთიმ ივერიელისა და ნიკოლო მავროკორდატის ურთიერთობის საკითხს, კმაყოფილდება მხოლოდ იმ ფაქტებისა და ცნობების კონსტატირებით, რომლებსაც ჩვენ გვაწვდიან პირველადი წყაროები და არ იძლევა მათ განზოგადებასა და ანალიზს.

⁵⁶ Mitrofan Grigoras, Cronica Tarii Romanesti (1714—1716). Revista istorica Romina, MCMXXXIV, vol. IV, Buc. გვ. 28 (შემდეგ M. Grigoras...).

ლება თურქი და ფანარიოტი დამპყრობლებისაგან და ამის მისაღწევად ისინი პირველ რიგში საჭიროდ თვლიდნენ ვლახეთის სამეფო ტახტზე მოძალადე ფანარიოტი მთავრის შეცვლას ვლახელი მთავრით (რის შესახებაც ჩვენ შემდეგ გვექნება საუბარი), ასეთ შემთხვევაში ბუნებრივია, რომ „შეთქმულები“ შეეცდებოდნენ ნიკოლო მავროკორდატასა და მისი მცველი თურქთა რაზმის თავიდან მოშორებას, რათა შესაძლებლობა მისცემოდათ თავისუფალი მოქმედებისათვის.

როგორც ჩანს, ანთიმ ივერიელს ზედმიწევნით კარგად ჰქონდა შესწავლილი ნიკოლო მავროკორდატის ხასიათი და ბუნება, რომლის შესახებაც ენგელი წერდა: „ფანარიოტს თავისი ჩრდილისაც კი ეშინოდა“⁵⁷. ბუქარესტიდან მის მოსაშორებლად საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ ხმების გავრცელება ავსტრიელთა ჯარის შემოსევის შესახებ. მართლაც, როგორც კი მავროკორდატმა ყური მოჰკრა ქუჩაში ყვირილს — „ავსტრიელები... ავსტრიელები...“, მაშინვე შეკრიბა ერთგული ბოიარები, გამოჰკითხა ავსტრიელების შემოჭრის ამბავი, მაგრამ გარკვეული პასუხი ვერ მიიღო, „რადგან ზოგ მათგანს ეს შესაძლებლად მიაჩნდა, მეორენი კი ყოყმანობდნენ“. ამიტომ მთავარმა თვითონ დაასკვნა, რომ „მტერი მას ღამით დაესხმოდა თავს“⁵⁸. როდესაც მავროკორდატმა ეს გადაწყვეტილება მიიღო, დაუყოვნებლივ შეაგროვა განძეულობა, მთელი ავლადილება, დატვირთა ფორნები და თავისი ოჯახითურთ, ახლობლებითა და თურქთა რაზმით იმავე საღამოს დატოვა ბუქარესტი და გაემართა თურქთა ციხე-სიმაგრე ჯიურჯევისაკენ.

ნიკოლო მავროკორდატის თანმხლებ პირთა შორის ჩვენ ვხედავთ მიტროპოლიტ ანთიმ ივერიელსაც. ალბათ, ყოველგვარი ექვის გასაქარწყლებლად გაჰყვა იგი თან ფანარიოტს. რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ, შუალამისას, ნიკოლო მავროკორდატი, ანთიმ ივერიელი და სხვები სოფელ კელუგერენში შევიდნენ. მიტროფანე გრიგორაში წერს, რომ ამ სოფელში ნიკოლო მავროკორდატმა გადაწყვიტა დილამდე დარჩენა, რათა ბუქარესტიდან მიეღო ზუსტი ცნობები მომხდარი ამბების შესახებ⁵⁹. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან მიუხედავად მავროკორდატის მხდლი ბუნებისა, მაინც შეუძლებელი იყო, რომ მას მხოლოდ ქუჩაში გაგონილი ხმების გამო მიეტოვებინა არა მარტო ბუქარესტი, არამედ მთელი სამთავრო. ეტყობა, ყოველივე ეს წინასწარ გათვალისწინებული ჰქონდათ ანთიმ ივერიელსა და პატრიოტულად განწყობილ ბოიარებს. ამიტომ იყო, რომ კელუგერენში ნიკოლო მავრო-

⁵⁷ Engel..., გვ. 159.

⁵⁸ M. Grigoras..., გვ. 27.

⁵⁹ იქვე.

კორდატისა და ანთიმ ივერიელის ჩასვლის ორი საათის შემდეგ, იმ გლეხის ოჯახის კარზე, სადაც გაჩერებული იყვნენ ვლახეთის მთავარი და უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტი, დააკაკუნა ვინმე ბერმა — სახელად ჯოვანი აბრამმა*. ანთიმ ივერიელს მოახსენეს, რომ ჯოვანი აბრამი ჩამოვიდა ბუქარესტიდან და მას დაუყოვნებლივ სურს უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტის ნახვა. როგორც მემპტიანენი დელ კიარო, გრიგორაში და სხვები გვამცნობენ, ჯოვანი აბრამს ანთიმ ივერიელისათვის ჩამოუტანია ბარათი, რომელშიაც ეწერა; გიორგი კანტაკუზენი, ვლახეთის ყოფილი მთავრის, შერბან კანტაკუზენის ვაჟი, 12000 ავსტრიელით შემოიჭრა ვლახეთში ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად⁶⁰. მიტროფანე გრიგორაში კი დასძენს: „ბარათში დაბეჭითებით იყო ნათქვამი, რომ ბუქარესტის მახლობლად ტყე სავსეა მტრის ჯარებით“⁶¹. ბუქარესტიდან გამოგზავნილი ბარათი ანთიმს ნიკოლო მავროკორდატისათვის გადაუცია. ბარათში წაკითხულმა თავზარი დასცა ფანარიოტს, თუ რა შედეგს გამოიღებდა ბუქარესტიდან მოტანილი ამბავი, ცხადია, კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ანთიმ ივერიელს. მავროკორდატი დაუყოვნებლივ შეუდგა სამგზავროდ სამზადისს. ერთ-ერთი ისტორიკოსი იმასაც კი წერს, რომ გზა-კვალ აბნეული მავროკორდატი მაშინვე მოახტა ცხენს და მარტოდმარტომ გაქუსლა ჯიურჯევოსაკენ⁶². ასეა თუ ისე, ფანარიოტი ჩქარობდა გასცლოდა ვლახეთს და თავი თურქების ციხე-სიმაგრისათვის შეეფარებინა.

მიტროფანე გრიგორაში აღნიშნავს, რომ ბუქარესტიდან გამოგზავნილი ბარათი „ყალბი იყო“⁶³ და უსაყვედურებს ანთიმ ივერიელს, რომ ეს ბარათი ნიკოლო მავროკორდატს უჩვენა. გრიგორაშის თქმით, უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტი „ინტრიგების მეშვეობით ცდილობდა მავროკორდატის სამეფო ტახტიდან ჩამოგდებას, მის ვლახეთიდან განდევნას, რითაც იგი მთავარს სასტიკ სირცხვილს აჰმევედა და მის სიცოცხლეს საფრთხეში ჩააყენებდა“⁶⁴.

ვერაფერს ვიტყვი! ჯოვანი აბრამის მიერ მოტანილი ბარათი რომ

* ჯოვანი აბრამი დაახლოებული პირი ყოფილა მიტროპოლიტ ანთიმ ივერიელისა. 1710 წლის 1 ივნისს იერუსალიმის პატრიარქის ქრახანტეს სახელზე გაგზავნილ წერილში ჯოვანი აბრამი წერდა, რომ მან მიიღო სამსახური მიტროპოლიტ ანთიმ ივერიელის კარზე. ჯოვანი აბრამი იყო იმ შეთქმულების მონაწილე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ანთიმ ივერიელი და რაჰელიც მიზნად ისახავდა ნიკოლო მავროკორდატის ტახტიდან ჩამოგდებას... E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par IV, გვ. 685.

⁶⁰ Revolutiile Valahiei..., გვ. 138, M. Grigoras... გვ. 27.

⁶¹ M. Grigoras... გვ. 27.

⁶² Engel... გვ. 219.

⁶³ M. Grigoras... გვ. 28.

⁶⁴ იქვე, გვ. 29.

ყალბი იყო, ეს ეკვეს არავისში იწვევს, რადგან 12 ათასი ავსტრიელის ვლახეთში შემოჭრის ამბავი შეთხზეს. თვით ანთიმ ივერიელმა და მისმა მომხრეებმა. ანთიმ ივერიელი რომ აპირებდა ნიკოლო მავროკორდატის ტახტიდან ჩამოგდებას და ვლახეთიდან მის განდევნას, ესეც სრულ სიმართლეს შეესაბამება. მაგრამ, როდესაც მიტროფანე გრიგორაში ანთიმ ივერიელს უწოდებს „მოლაღატეს“ და „მეამბოხეს“, რომელმაც სასჯელი დაიმსახურა“⁶⁵ — ეს უკვე ნამდვილი კურიოზია. რაში ხედავდა მიტროფანე გრიგორაში ანთიმ ივერიელის ღალატს? იმაში, რომ ვლახეთის პატრიოტმა განიზრახა ფანარიოტის განდევნა ვლახეთიდან და ტანჯული ქვეყნის განთავისუფლება მტარვალისა და მძარცველისაგან? ასეთი მსჯელობა შეეფერება მხოლოდ ფანარიოტი მთავრის აპოლოგეტ ისტორიკოსს, რომელიც მთელ ისტორიულ სინამდვილეს ანაცვალებს თავის პირად ინტერესებსა და თვალსაზრისს.

მაგრამ, მიტროფანე გრიგორაში ერთადერთი არ არის, რომელსაც ასეთი შეხედულება გააჩნია. მემპტიანე რადუ პოპესკუსაც ანთიმ ივერიელი მოლაღატედ მიაჩნია. იგი წერს, რომ უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტი შეეცადა მოეტყუებინა ნიკოლო მავროკორდატი, რომელსაც აცნობა, ვითომ შერბან კანტაკუზენის ერთი შვილი, უნგრეთში დარჩენილი, გადმოვიდა კარპატებს და თავის მამის მემკვიდრეობას ითხოვსო. რადუ პოპესკუ ბრალს დებს ანთიმ ივერიელს, რომ იგი ვლახელ ბოიარებთან თათბირებს აწყობდა და მათ ავსტრიელთა ჯარების მოწვევას ურჩევდაო⁶⁶.

რადუ პოპესკუს საპასუხოდ ჩვენ სავსებით საკმარისად მიგვაჩნია გავიმეოროთ თვალსაზრისი ემილ პიკოსი, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ერთი სიტყვით, — წერს ემილ პიკო, — რუმინელი ისტორიკოსი მხოლოდ მლიქვნელობს უცხოელი დამპყრობელის წინაშე და აძაგებს კაცს, რომელიც ქვეყნის ხსნის საშუალებას ეძებდა“⁶⁷.

ახლა დავუბრუნდეთ ნიკოლო მავროკორდატს, რომელიც ჭიურჯევოს გზას ადგას. ენგელი გადმოგვცემს, რომ გამგზავრების წინ ნიკოლო მავროკორდატსა და ანთიმ ივერიელს შორის მწვავე საუბარი გამართულა. „ფანარიოტი, — წერს ენგელი, — დიდხანს არწმუნებდა უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტს ანთიმს, მასთან ერთად გაქცეულიყო და არავითარ შემთხვევაში არ დაბრუნებულყო ბუქარესტში“⁶⁸.

⁶⁵ M. Grigoras... გვ. 28.

⁶⁶ Magazin istoric pentru Dacia, IV, 1847, გვ. 50.

⁶⁷ P i c o t E. Notice biographique et bibliographique sur l'imprimeur Antime D'Ivir, Métropolitain de la Valachie. Paris, 1866, გვ. 543.

⁶⁸ Engel... გვ. 315.

როგორც ამ სიტყვებიდან ირკვევა, ანთიმ ივერიელს კულუგერენიდან გამგზავრების წინ უარი უთქვამს ნიკოლო მავროკორდატისათვის ერთად გაეგრძელებინათ გზა და განუზრახავს ბუქარესტში დაბრუნება. ეს გასაგებიცაა. ანთიმ ივერიელის მიზანს ხომ პირველ რიგში ფანარიოტის ბუქარესტიდან მოშორება წარმოადგენდა. როდესაც ანთიმ ივერიელი დარწმუნდა იმაში, რომ ნიკოლო მავროკორდატი არა მხოლოდ აღარ დაბრუნდებოდა ბუქარესტში, არამედ ვლახეთიდან გაქცევასაც აპირებდა, რასაკვირველია, მისთვის უკვე აღარავითარ აზრს არ წარმოადგენდა თან გაპყლოდა ფანარიოტს.

ნიკოლო მავროკორდატი დაბეჯითებით თხოვდა ანთიმ ივერიელს ერთად გაქცეულიყვნენ, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო იმ მოტივით, რომ მას, როგორც ვლახეთის მიტროპოლიტს, ამ ვითარებაში „არ შეეძლო ბედის ანაბარად მრევლის მიტოვება“⁶⁹. ასეთი არგუმენტაცია, ერთი შეხედვით, მართლაც დამაჯერებელი უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვლახეთში იმ დროს არსებული წესის მიხედვით, თუ მთავარი არ იმყოფებოდა სამთავროს ფარგლებში, მთელი ძალაუფლება ქვეყნის მართვისა გადადიოდა მიტროპოლიტის ხელში⁷⁰. და რადგან ნიკოლო მავროკორდატმა მიატოვა ბუქარესტი და თურქეთში გაქცევას აპირებდა, ამდენად ვლახეთის ბედ-იღბალზე ზრუნვა მიტროპოლიტს ევალებოდა. მაგრამ, ნიკოლო მავროკორდატს, როგორც ეტყობა, ეჭვი მიუტანია ანთიმ ივერიელზე. როგორც წერენ დელ კიარო და ენგელი, მას შემდეგი სიტყვებით მიუმართავს ანთიმ ივერიელისათვის: „მიტროპოლიტს იმიტომ არ სურს მას გაპყვეს, რადგან გადაწყვეტილი აქვს ბუქარესტში დაბრუნება, რაც მხოლოდ და მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ მას განუზრახავს ახალი მთავრის არჩევა“⁷¹. თან მუქარით დაუძენია, რომ „მალე დაბრუნდება ვლახეთში თურქთა და თათართა დიდი ჯარით და სასტიკად გაუსწორებს ანგარიშს მემამბოხეებს“⁷². ანთიმ ივერიელს ნიკოლო მავროკორდატის ბუქარისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, რადგან დარწმუნებული ყოფილა, რომ „მავროკორდატი ველარასოდეს ვერ იხილავდა ვლახეთს“⁷³ და ბუქარესტში დაბრუნებულა. მიტროფანე გრიგორაშის სიტყვებით, ანთიმ ივერიელს პირდაპირ განუცხადებია მავროკორდატისათვის, რათა მას მართო გაეგრძელებინა თავისი გზა, რა-

⁶⁹ Magazin istoric pentru Dacia, IV, Buc., 1847, გვ. 50.

⁷⁰ N. I o r g a, Istoria Bisericii romanesti, vol. II, 1930, გვ. 55.

⁷¹ Revolutiile Valahiei,.. გვ. 138; Engel... გვ. 315.

⁷² E n g e l... გვ. 316.

⁷³ იქვე.

დგან „ამერიიდან მასა და ვლახეთის მთავარს შორის უკვე აღარაფერი შეიძლება ყოფილიყო საერთო“⁷⁴. ამის შემდეგ ჩვენ საესებით უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცება იმის შესახებ, რომ ანთიმ ივერიელის ბუქარესტში დაბრუნება მისი ავამდყოფობით იყო გამოწვეული⁷⁵.

თავის მხრივ ნიკოლო მავროკორდატმა განაგრძო გზა და მეორე დღის გათენებისას მიაღწია ჯიურჯევოს. როგორც ჩანს, ავსტრიელების შემოსევის ამბავი უკვე ჯიურჯევოშიაც შეიტყვეს, ვინაიდან, დაინახეს თუ არა ქალაქის მცხოვრებლებმა მოახლოვებული ცხენოსანთა რაზმი, ისინი ავსტრიელებად მიიღეს. ჯიურჯევოს მოსახლეობის ნაწილმა ქალაქის ციხე-სიმაგრეს შეაფარა თავი, ნაწილი მოსახლეობისა კი ჩასხდა ნაგებში და გაემართა რუმულისაკენ. რამდენიმე ნავი, — წერს დელკიარო, — რომლებშიაც 25—30 თურქი იყო, მგზავრებითურთ დუნაისში ჩაიძირა, გადარჩენილებმა კი, რის ვაივავლახით მიაღწიეს რუმულის და იქ საშინელი შიში და დაბნეულობა გამოიწვიეს“⁷⁶.

ამავე დროს ნიკოლო მავროკორდატი და მისი თანმხლები პირები ჯიურჯევოში შევიდნენ, სადაც მას თურქ ხელისუფალთ პასუხი მოსთხოვეს: „რას ნიშნავდა მისი საქციელი?“⁷⁷. მავროკორდატმა თავი იმართლა მათ წინაშე ავსტრიელების ბუქარესტში შემოჭრის მიზეზით. მაგრამ სულ მოკლე ხანში გაირკვა, რომ ბუქარესტში არც ერთი ავსტრიელი ჯარისკაცი არ შემოსულა და რომ ვლახეთში ავსტრიელთა შემოჭრის შესახებ გავრცელებული ხმები სრულიად ყალბი იყო. ეს ამბავი ჯიურჯევოში მოიტანეს ნიკოლო მავროკორდატის დახლოებულმა პირებმა. ამ ცნობამ ჯიურჯევოსა და რუმულისში მცხოვრებ თურქთა უკმაყოფილება და გააფთრება გამოიწვია. მათ ბრალი დასდეს ნიკოლო მავროკორდატს ბრწყინვალე პორტას წინაშე ლალატში. გადაწყვიტეს შეეპყროთ იგი და ხელფეხშეკრული გაეგზავნათ ადრიანოპოლში⁷⁸, სადაც იმყამად სულთანი იმყოფებოდა. მაგრამ, ნიკოლო მავროკორდატმა მოახერხა თავის მართლება სულთნის წინაშე. მან თავის გამოქცევა ბუქარესტიდან ახსნა იმით, რომ „შეცდომაში იქნა შეყვანილი რამდენიმე ვლახელი მეამბოხის მიერ“⁷⁹. ნიკოლო მავროკორდატისათვის, რასაკვირველია, უკვე ცხადი გახდა, თუ რასთვის გაავრცელეს ხმები ანთიმ ივერიელმა და მისმა თანამოაზრე ბოიარებმა ავს-

⁷⁴ M. Grigoras... გვ. 29.

⁷⁶ Biserica Ortodoxa Romina, 1956, № 8—9, გვ. 686.

⁷⁷ Revolutiile Valahiei... გვ. 138.

⁷⁸ იქვე.

⁷⁹ იქვე.

⁸⁰ იქვე.

ტრიელების შემოსევის შესახებ და რატომ აიძულეს იგი დაეტოვებინა ბუქარესტი. ნიკოლო მავროკორდატი მიხედა, რომ საფუძველს არ იყო მოკლებული მისი ექვები, როდესაც ანთიმ ივერიელის კელუგერენიდან ბუქარესტში დაბრუნების განზრახვა მან ვლახეთის ახალი მთავრის არჩევას დაუჟავშირა. ფანარიოტმა სულთანს დამხმარე ჯარები გამოსთხოვა და 10 სექტემბერს, შუალამისას, თურქებით გარშემორტყმული, მოულოდნელად შეიჭრა ბუქარესტში⁸⁰.

სამწუხაროდ, დოკუმენტები მეტად მკრთალ ცნობებს გვაწვდიან იმის შესახებ, თუ რა მოიმოქმედეს ანთიმ ივერიელმა და მისმა თანამოაზრე ბოიარებმა ნიკოლო მავროკორდატის ბუქარესტში არყოფნის პერიოდში. მაგრამ, ერთი კი ცხადია, რომ მათ მოასწრეს რეალური ნაბიჯის გადადგმა. „ნიკოლო მავროკორდატის გაქცევის შემდეგ, — წერს მემატინანე, — ანთიმმა ვლახეთის მთავრად აირჩია დიდი ვორნიკი პეტრაშკა ბრეზოვიანუ“⁸¹. ექვს გარეშეა, რომ ვლახეთის ტახტზე მხოლოდ ახალი მთავრის არჩევის აქტით არ შეიძლება შემოფარგლულიყო ანთიმ ივერიელისა და მისი თანამოაზრეების საბოლოო მიზნები. მათ, რასაკვირველია, ძალზე კარგად ესმოდათ, თუ ვლახელი ხალხი და ჯარი⁸² არ დაუქერდა მხარს, მხოლოდ რამდენიმე ბოიარის გადაწყვეტილება უშედეგო იქნებოდა. როგორც ვიციით, რუსეთ-თურქეთის ომის დროს ანთიმ ივერიელმა და რუსული ორიენტაციის მქონე ბოიარებმა მოუწოდეს ვლახელ ხალხს და ჯარს იარაღით ხელში აღმდგარიყვნენ თურქთა ბატონობის წინააღმდეგ⁸³. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაშიც ანალოგიური გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული. ოდღან ავსტრია-თურქეთს შორის წარმოებული ომი განთავისუფლების ახალ იმედებს უნერგავდა ვლახელ ხალხს.

მაგრამ, მთავარ ბრეზოვიანუს არჩევა ვლახეთის სამეფო ტახტზე პირველი და, სამწუხაროდ, უკანასკნელი ნაბიჯი აღმოჩნდა. რაც შეეხება ვლახელი ხალხის და ჯარის ამხედრებას თურქთა ბატონობის წინააღმდეგ, ეს როგორც ჩანს, ანთიმ ივერიელმა და მისმა თანამოაზრეებმა ვერ მოასწრეს ნიკოლო მავროკორდატის ბუქარესტში მოულოდნე-

⁸⁰ Revolutiile Valahiei... გვ. 139.

⁸¹ M. Grigoras... გვ. 28.

⁸² ანთიმ ივერიელსა და მის მომხრეებს რომ თავისი მიზნების განსახორციელებლად ვლახეთის ჯარების მხარდაჭერა ექნებოდათ გათვალისწინებული, ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ნიკოლო მავროკორდატის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო ვლახთა ჯარების სპატარი — მხედართმთავარი მისაელ კანტაკუზენი, რომელიც შეთქმულების გამოაშკარავების შემდეგ სიკვდილით დასაჯა ფანარიოტმა. Revolutiile Valahiei... გვ. 139.

⁸³ Studii... გვ. 452.

ლი დაბრუნების გამო. ფანარიოტის დაბრუნება კი „სისხლითა და ცრემლით“ აღინიშნა მთელს ვლახეთში. „სიმშვიდისა და წესრიგის“ აღდგენის სახელით მან „ბრძანა დაეპატიმრებინათ და ხმლით ნაკუწ-ნაკუწ აეჩხნათ ვლახელი ბოიარი ბრეზოვიანუ, რომელსაც ბრალად ედებოდა ის, რომ ნიკოლო მეუროკორდატის ბუქარესტში არყოფნის დროს ანთიმ ივერიელის მეთაურობით სამიტროპოლიტოში შეკრებილმა ბოიართა სხდომამ იგი ვლახეთის მთავრად აირჩია“⁸⁴. ბრეზოვიანუს მხეცურად მოკვლის შემდეგ მთელ ბუქარესტში იწყება სასტიკი რეპრესიები. ჩამოახრჩეს საპატარი მიხეილ კანტაკუპენი და ზოიარი გოლესკუ, თავი მოჰკვეთეს ბოიარებს ლუბელსა და ბუეორენს. დააპატიმრეს და სიკვდილით დასჯა ელოდა, აგრეთვე, ჯოვანი აბრამს, რომელმაც ბარათი ჩაუტანა ანთიმ ივერიელს ბუქარესტიდან. იგი სიკვდილს გადაარჩინა მისმა მეგობარმა დელ კიარომ⁸⁵. საპატიმროში ჩაყარეს და ტანჯვა-წამებით სულს ხდიდნენ ათობით ვლახელ ბოიარს. „დიდებულთაგან პირველ რიგში იმათ გაუსწორდნენ, — წერს რენიო, — ვიზედაც ეროვნული პარტია ამყარებდა იმედებს (რენიოს მხედველობაში ჰყავს ბოიართა ის ჯგუფი, რომელიც ილაშქრებდა თურქთა და ფანარიოტთა ბატონობის წინააღმდეგ და რომლის წარმომადგენლებიც ანთიმ ივერიელი და მისი თანამოაზრეები იყვნენ — ო. გ.). მთავარი ადგენს საპროსკრიპციო სიებს. ამ სიებში მოხვდა ყველა, ვინც უკმაყოფილებას გამოთქვამდა არსებული მდგომარეობით, ვინც იმედის თვალთ შეჰყურებდა მომავალს... კონსპირანტად იქნა გამოცხადებული ყველა, ვინც კი არ მლიქვნელობდა. უკმაყოფილო ელემენტები დასაჯეს, ხოლო მათი ქონება ნიკოლო მეუროკორდატმა მიისაკუთრა. ექვემდებარებული ბოიარები ციხეში ჩაჰყარეს, ფეხის გულზე ჯოხები ურტყეს, შემდეგ კი შიშველნი და გაძარცულნი განდევნეს ქვეყნიდან. ბევრი მათგანი თავის ნებით გაეცალა ვლახეთს და თავი ტრანსილვანიას შეაფარა. აქ, სიღარიბის გარდა, მათ არავითარი საშიშროება არ ელოდა“⁸⁶.

ვლახელი ხალხის მღელვარების შიშით ფანარიოტის სასახლეს თურქთა გაძლიერებული რაზმები დარაჯობდნენ, ხოლო სასახლის კარიბჭეს 14 გატენილი ზარბაზანი იცავდა⁸⁷. ნიკოლო მეუროკორდატმა ჯიურჯევოდან დამატებით გამოითხოვა თურქთა ჯარები, რომლებიც კალიასავეით მოედნენ მთელ ბუქარესტს. ამას შედეგად კი ის მოჰყვა,

⁸⁴ Revolutiile Valahiei... გვ. 139.

⁸⁵ იქვე, გვ. 142.

⁸⁶ Regnault... გვ. 55.

⁸⁷ Revolutiile Valahiei... გვ. 55.

რომ ნიკოლო მავროკორდატის სახელს ახალი ეპითეტები შეემატა: „ტირანი“, „მჩაგვრელი“, „ჯალათი“, „ვლახელთა მტერი“⁸⁸.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ საკვებით არასწორად მიგვაჩნია იმ ისტორიკოსთა თვალსაზრისი, რომლებიც ნიკოლო მავროკორდატის დამცველებად გამოდიან და ყოველმხრივ ცდილობენ გაამართლონ იგი.

საჭიროდ ვთვლით, განსაკუთრებით შეეჩერდეთ შტურცას ნაშრომზე „ფანაროტები ვლახეთში“, კერძოდ ამ ნაშრომის V თავზე. რომელიც დასათაურებულია „ნიკოლო მავროკორდატის ვლახეთის ტახტზე ასვლა...“, რადგან შტურცა აცხადებს პრეტენზიებს იმის შესახებ, რომ მან მრავალრიცხოვანი წყაროების, დოკუმენტებისა და შრომების საფუძველიანი შესწავლის შედეგად შეძლო საბოლოო სიტყვა ეთქვა ნიკოლო მავროკორდატის ვლახეთში მოღვაწეობის შესახებ და მიეცა მისთვის სწორი შეფასება.

„ნიკოლო მავროკორდატის ვლახეთში მეფობის შესახებ, — წერს შტურცა, — რუმინელ და თვით უცხოელ ისტორიკოსებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მათგან არცერთი არ არის მისაღები და სწორი. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია წინასწარ შემუშავებული აზრის გარეშე ზუსტად და მართებულად აღვადგინოთ ფაქტები. მთელ ამ შრომაში ჩვენს მიერ სახელმძღვანელოდ აღებული პრინციპი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ხშირად მივმართავთ, ის არის, რომ ისტორიულ ფაქტებზე, რომლებიც რუმინულ ქვეყნებს, ან თვით კარპატო-ბალკანურ ქვეყნებს ეხებიან, არ უნდა ვიმსჯელოთ მხოლოდ და მხოლოდ რუმინული, ბერძნული ან თურქული თვალსაზრისით. ერთადერთი თვალსაზრისი, რომელიც ჩვენ გონივრულად და მართებულად მიგვაჩნია და შეესაბამება მეცნიერებასა და მიუკერძოებულობას. ეს არის ყველა ფაქტისა თუ მოვლენის გაშუქება ევროპული თვალსაზრისით⁸⁹, მათი ყოველმხრივ განზოგადება, შეფასება და არა მათდამი ვიწრო და სუბიექტური ანდა ამა თუ იმ ქვეყნის, ამა თუ იმ მხარის შოვინისტური თუ ნაციონალისტური თვალსაზრისით განხილვა. გარდა ამისა, აუცილებლად მიგვაჩნია წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი იმ დროში, როდესაც ამა თუ იმ ფაქტსა და მოვლენას ჰქონდა ადგილი და გავითვალისწინოთ ის განსაკუთრებული გარემოებანი, რომლებმაც ისინი გამოიწვიეს. მეთვრამეტე საუკუნეში დაწერილი თუ გამოცემუ-

⁸⁸ A. Sturdza, L'Europe Orientale et le rôle historique des Maurocordato, Paris, 1913, გვ. 114 (შემდეგ A. Sturdza...).

⁸⁹ შტურცა თვითონ შემდეგ ახსნა-განმარტებს იძლევა: ე. ი. თვალსაზრისი, რაც სხვა ქვეყნებს: საფრანგეთს, ავსტრიას, იტალიას, პოლონეთს, რუსეთს შეიძლება ჰქონოდათ რუმინული ქვეყნების მიმართ. Sturdza... გვ. 112.

ლი ისტორიული წყაროები დღეს საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ასე რომ, შესაძლებლობა გვაქვს შევისწავლოთ იმდროინდელი შეხედულებანი, შევეცადოთ მოვნახოთ ის საერთო პუნქტები, რომლებშიც ეს დოკუმენტები ერთმანეთს ემთხვევიან. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამ დოკუმენტთა შედარების დროს ჩვენ შევხვდებით აზრთა სხვადასხვაობას, შევეცადოთ, საერთო ანალიზის საფუძველზე დავადგინოთ სიმართლე. აუცილებლად საჭიროა ყურადღება მივაქციოთ რუმინულ თვალსაზრისს, როცა საქმე ეხება ნიკოლო მავროკორდატის მეფობას ვლახეთში, მაგრამ, არ უნდა მივცეთ უპირატესობა რუმინულ თვალსაზრისს და არ შევწიროთ მას ყველა დანაჩენი, როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსი სჩადის⁹⁰.

შტურცას მიერ საკითხის ასეთი დასმა, რასაკვირველია, სწორი და მართებულია. ცხადია, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში, კერძოდ, ვლახეთში მომხდარ ისტორიულ ფაქტზე მსჯელობისას პირველ რიგში უნდა დავეყრდნოთ ამ ქვეყნის ისტორიულ წყაროებს და ამ წყაროებზე არსებულ რუმინულ ისტორიკოსთა შეხედულებებს. მაგრამ, სურათის სრული და მთლიანი წარმოდგენისათვის, აგრეთვე, საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ როგორ შეფასებას აძლევენ ამავე ისტორიულ ფაქტს თუ მოვლენას სხვადასხვა ქვეყნის მკვლევარნი, იქნებიან ისინი ფრანგები, გერმანელები, რუსები თუ სხვ. ერთი სიტყვით, საჭიროა ვიცოდეთ საერთო თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხზე.

ფანარიოტთა ეპოქასთან დაკავშირებით შტურცას მართლაც შეუსწავლია სხვადასხვა ენაზე არსებული მრავალრიცხოვანი წყაროები და გამოკვლევები. „გაანალიზა და განაზოგადა მრავალი ფაქტი“, მაგრამ მივყევთ ამ ფაქტებს და ვნახოთ, თუ რამდენად სწორად არის ახსნილი ისინი შტურცას მიერ და რამდენად სწორ დასკვნამდე მიდის მკვლევარი.

„როგორც უკვე ნათქვამი იყო, — წერს შტურცა, — ფანარიოტების ეპოქის შესწავლის საკითხში გაბატონებული იყო გაუგებრობა — პირველ რიგში ეს შეიძლება ითქვას ნიკოლო მავროკორდატის მეფობის შესახებ. ამ გაუგებრობის შედეგად ისეთმა თვალსაჩინო ისტორიკოსმა, როგორცაა ქსენოპოლი, მავროკორდატის საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა, მთლიანად დაეყრდნო რა რუმინულ თვალსაზრისს. ეს გაუგებრობა კი ნაყოფია იმ მთელი რიგი შეცდომებისა, რომლებსაც უშვებენ რუმინელი ისტორიკოსები გაზვიადებული პატრიოტიზმის შედეგად. ისინი ვერავითარ განსხვავებას ვერ პოულობენ ფანარიოტებსა და თურქებს შორის. თუ გულდასმით გავეცნობით ქსენოპოლის არგუ-

⁹⁰ Sturdza..., გვ. 112—113.

მენტაციას და ყურადღებას მივაქცევთ მის მიერ არსებული წყაროების გაანალიზების შედეგებს, ვნახავთ, რომ ვლახელ ბოიართა სურვილი (იგულისხმება ანთიმ ივერიელი და მისი თანამოაზრე ბოიარები — ო. გ.), განთავისუფლებულიყვნენ ოტომანთა უღლისაგან, რაც რეალური და სამართლიანი იყო, მუდამ არის დაკავშირებული შეთხზულ და არარსებულ სურვილთან, განთავისუფლებულიყვნენ ვითომდღა ფანარიოტთა პირველი მეფის ბატონობის უღლიდან⁹¹.

ამრიგად, შტურცა აკრიტიკებს ქსენოპოლს და სხვა ისტორიკოსებს, რომლებიც ანთიმ ივერიელის და პატრიოტულად განწყობილ ბოიართა ბრძოლას თურქების წინააღმდეგ უკავშირებენ ფანარიოტი მთავრის ბატონობისაგან განთავისუფლებას; ეპეის ქვეშ აყენებს იმ ჩველევართა თვალსაზრისს, რომლებიც „ვერავეითარ განსხვავებას ვერ პოულობდნენ ფანარიოტებსა და თურქებს შორის“. შტურცას მტკიცების უარსაყოფად აღარ გავიმეორებთ ჩვენს მიერ ფანარიოტების ეპოქის განხილვის დროს უკვე ილუსტრირებულ მაგალითებს⁹², რომლებიც ნათელყოფენ ოტომანთა იმპერიის მმართველი წრეებისა და ფანარიოტების ორგანულ კავშირს და ერთობას. დავკმაყოფილდებით მხოლოდ თვით შტურცას სიტყვებით, რომლითაც იგი საკუთარ თავს ეწინააღმდეგება. „ნიკოლო მაეროკორდატი იყო თურქების ნდობით აღჭურვილი პირი, — წერს შტურცა, — რადგანაც იგი იცავდა მათ ინტერესებს, ერთგულად ემსახურებოდა და ყოველმხრივ ცდილობდა განემტკიცებინა მათთვის status quo რუმინულ ქვეყნებში“⁹³. და შემდეგ — „რაში მდგომარეობდა მისი (ნიკოლო მაეროკორდატის — ო. გ.) ამოცანა როგორც მთავრისა, რომელიც თურქებმა დასვეს ვლახეთის სამეფო ტახტზე და რომელიც ყოველმხრივ მათზე იყო დამოკიდებული. უნდა დაეცვა თუ არა მაეროკორდატს ოტომანთა იმპერიის ინტერესები ვლახეთში? რასაკვირველია, უნდა დაეცვა“⁹⁴. და თუ ეს ასეა, მაშინ როგორღა შევძლოთ განვაცალკევოთ ერთმანეთისაგან ანთიმ ივერიელისა და მისი თანამოაზრე ბოიარების „სურვილი“ ოტომანთა მონობის უღლისაგან განთავისუფლებისა, „რასაც რეალურად და სამართლიანად თვლის“ თვით შტურცა, მათივე სურვილისაგან.

⁹¹ Sturdza... გვ. 112.

⁹² საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ფანარიოტების ეპოქის განხილვის დროს ჩვენ ძირითადად და შეიძლება ითქვას, განზრახაც ვიყენებდით, შტურცას სიტყვებით რომ ეთქვათ, „ვერობულ თვალსაზრისს“, ესარგებლობდით გერმანელ, ფრანგ, ინგლისელ, იტალიელ, ბერძენ მკვლევართა ნაშრომებით, რათა თავიდან აგვეცილებინა ე. წ. „რუმინულ თვალსაზრისი და „გაზვიადებული რუმინული პატრიოტიზმი“.

⁹³ Sturdza გვ. 113.

⁹⁴ იქვე, გვ. 114.

განთავისუფლებულიყვნენ ფანარიოტი მთავრის ბატონობისაგან; როგორ შეეძლოთ ანთიმ ივერიელსა და პატრიოტულად განწყობილ ვლახელ ზოიარებს ებრძოლათ თურქთა მბრძანებლობის წინააღმდეგ და ამავე დროს არ ებრძოლათ მავროკორდატის ტირანიის დასამხობად, რომელიც იცავდა ოტომანთა იმპერიის ინტერესებს და ცდილობდა პორტას status quo-ს, ე. ი. თურქთა ბატონობის განმტკიცებას ვლახეთში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კომენტარები აქ ზედმეტია.

შტურცა თავის ნაშრომში განაგრძობს: „თავდაპირველად საქიროთა ჩამოვარდნით ზუსტი, უცილობელი ფაქტები, რომელთა შესახებ ყველა ისტორიკოსს, რუმინელსა თუ უცხოელს, ერთი შეხედულება და აზრი ექნება და რომლებიც დამოწმებული იქნებიან სარწმუნო დოკუმენტებით“⁹⁵. ასეთი შესავლის შემდეგ შტურცა განაგრძობს: „თავდაპირველად ნიკოლო მავროკორდატმა სინამდვილეში მხოლოდ ერთი წელი იმეფა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იგი ბუქარესტში, როგორც მთავარი, 1716 წლის იანვრის ბოლოს შევიდა. ხოლო 1716 წლის ნოემბერში ავსტრიელების მიერ იქნა დატყვევებული. 1716 წლის დეკემბრიდან 1719 წლის ივლისამდე ვლახეთის ტახტზე იჯდა ნიკოლოს ძმა, იოვანე. 1719 წლის ივლისიდან (იოვანეს სიკვდილის შემდეგ) — 1730 წლის სექტემბრამდე, ნიკოლო მავროკორდატი ხელმეორედ მეფობდა ვლახეთში. იგი გარდაიცვალა 1730 წლის 3 სექტემბერს“⁹⁶.

ამ ფაქტების შესახებ, მართლაც, ყველა ისტორიკოსს, მიუხედავად ეროვნებისა. ერთნაირი შეხედულება გააჩნია. მაგრამ, როდესაც შტურცა წერს, რომ ნიკოლო მავროკორდატი „იყო მოუსუსიდეელი და უანგარო ადამიანი, რომელიც ხალხის საკეთილდღეოდ ზრუნავდა“. იყო „ღმობიერი, ფრთხილი და ავგულობას მოკლებული მეფე“⁹⁷, ამასთან დაკავშირებით სრულად ზედმეტად მიგვაჩნია იმ მრავალმხრივი და მრავალრიცხოვანი დამამტკიცებელი საბუთების მოყვანა, რომლებიც საესებით საწინააღმდეგო სურათს გვინატავენ. დავიმოწმებთ მხოლოდ რუს ისტორიკოსს, პალაუზოვს, რომელიც ფანარიოტი მთავრის ვლახეთში მართვა-გამგეობის შეფასებისას შემდეგ დასკვნამდე მიდის: ერთადერთი, რაც ნიკოლო მავროკორდატმა თავის მეფობის შედეგად მოიპოვა, ნერონის საველალლო სახელი იყო⁹⁸.

⁹⁵ S l u r d z a... გვ. 113.

⁹⁶ იქვე

⁹⁷ იქვე.

⁹⁸ П а л а у з о в..., стр. 218.

ნიკოლო მავროკორდატის დასაცავად და გასამართლებლად შტურცა კიდევე უფრო შორს მიდის. იგი წერს: „ნიკოლო მავროკორდატი ვლახეთში გამეფების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ შეეძლო მკაცრად გასწორებოდა ყველა მოწინააღმდეგეს, კერძოდ იმ ბოიარებს, რომლებიც თავის დროზე (იგულისხმება რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდი — ო. გ.) ოტომანთა პორტას სიუზერენული ძალაუფლების წინააღმდეგ მოქმედებდნენ, იქცევა დინჯად და ლმობიერად, აცხადებს საერთო ამნისტიას ყველასათვის და ამცირებს კონტრიბუციებსა და გადასახადს⁹⁹, მაგრამ, ვინ იყვნენ ოტომანთა პორტას სიუზერენული ძალაუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ეს ბოიარები? როგორც ვიცით, თურქების ბატონობის წინააღმდეგ რუსეთ-თურქეთის ომის დროს ილაშქრებდა პატრიოტულად განწყობილი ვლახელ ბოიართა ჯგუფი, ანთიმ ივერიელისა და თომა კანტაკუზენის მეთაურობით, რომელიც რუსეთის დახმარებით იმედოვნებდა „სიუზერენული ძალაუფლების“ საბოლოოდ თავიდან მოშორებას. აგრეთვე, ვიცით, თუ რა რეპრესიები და დევნა განიცადეს რუსული ორიენტაციის მქონე ბოიარებმა და, კერძოდ, კანტაკუზენებმა ნიკოლო მავროკორდატის გამეფების შემდეგ, რაზედაც დაწვრილებით მოგვითხრობენ ენგელი, რენიო და „ევროპული თვალსაზრისის“ მქონე სხვა ისტორიკოსები. და თუ „გაჯოხვაში“, „ოჯახების დარბევაში“, „გადასახლებაში“, „საპყრობილეებში ჩაყრაში“, „ძარცვაში“¹⁰⁰ შტურცა ხედავს ნიკოლო მავროკორდატის „ლმობიერებას“, „საერთო ამნისტიის გამოცხადებას“, ეს უკვე მისი პირადი საქმეა. ხოლო რაც შეეხება შტურცას მტკიცებას, რომ ფანარიოტმა მთავარმა ვლახეთში შეამცირა „გადასახადები და კონტრიბუციები“, ასეთი განცხადების საპასუხოდ ჩვენ მოვიყვანთ ბერძენი მემკვიდრის, ნიკოლო მავროკორდატის აპოლოგეტის, მიტროფანე გრიგორაშის სიტყვებს. რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლო მავროკორდატს „ყოველთვის უსაზღვროდ აქებს და იდეალურ მთავარს უწოდებს“¹⁰¹, თვით ნიკოლო მავროკორდატის ეს თაყვანისმცემელი მემკვიდრეც კი იძულებულია გულისტკივილით აღნიშნოს: ვლახეთში ნიკოლო მავროკორდატი იმიტომ შეიძულეს, რომ მან მთელს ქვეყანას მეტად მძიმე გადასახადი შეაწერაო¹⁰².

მაგრამ, შტურცას მიერ ფაქტების არასწორი ინტერპრეტაცია, არალოგიურობა და არათანმიმდევრობა მიმართული იყო არა მარტო

⁹⁹ Sturdza... გვ. 113.

¹⁰⁰ Regnault; ...Engel;... Zallony...

¹⁰¹ D. Russo, Studii istorice greco-romine, II, გვ. 441.

¹⁰² იქვე, გვ. 442.

ნიკოლო მავროკორდატის პიროვნების გასამართლებლად. შტურცა თავისი ნაშრომის „ფანარიოტები ვლახეთში“ წერის დროს ორ მიზანს ისახავდა. პირველი იყო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოეყვანა ფანარიოტი მთავარი „კუმანურ და სამართლიან ადამიანად“¹⁰³, ხოლო მეორე — ანთიმ ივერიელი, ბრეზოვიანუ, მიხაილ კანტაკუზენი, გოლესკუ, ლუპელი, ბუეორენი, ბარბუ კორნეა, ობედენი და სხვა ბოიარები მოენათლა „მოძალატეებად“?.

შტურცა თავის გამოკვლევაში მიუთითებს ფაქტებზე, რომ პეტერვარდენტან მომხდარი ბრძოლის შემდეგ კაპიტან ობედენის ბრძანებით ვლახეთის ჯარმა წინააღმდეგობა არ გაუწია საზღვარზე გადმოსულ ავსტრიელებს და რომ ბოიარებმა ბარბუ კორნეამ და რადუ ბენეესკუმ უბრძოლველად ჩააბარეს საიმპერიო ჯარებს ტირგულ-ჯიული¹⁰⁴. შტურცა საბოლოოდ დაასკვნის: „ეს ფაქტები უცილობელია და ვინ არის ამაში დამნაშავე? არასკვირველია, ვლახელი ბოიარები, რომლებიც ავსტრიელთა გამარჯვებით აღფრთოვანებულნი მოქმედებენ უდროოდ და პოლიტიკურად არახელსაყრელ მომენტში, დაადგნენ ლალატის გზას და მიემხრნენ ავსტრიელებს... რა საჭირო იყო ამის შემდეგ ლაპარაკი იმაზე, რომ ნიკოლო მავროკორდატმა დაიწყო ბოიარების დარბევა, მათი „წამებით მოკვლა“... ისინი ნამდვილად დამნაშავენი იყვნენ ლალატში და მოთმინებიდან გამოსულმა მთავარმა აქ გამოიყენა მხოლოდ სუვერენის უფლება სიკვდილით დასჯისა, რაც სახელმწიფოს კეთილდღეობის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა... ვლახელი ბოიარები შეუჟავშირდნენ ავსტრიელებს, რაც, ჩვენის აზრით, აშკარა ლალატი იყო და ხელს უწყობდა ავსტრიელების პოლიტიკური ინტერესების განხორციელებას. ეს კი სრულებითაც არ იყო სასარგებლო ისეთ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის, როგორიც ვლახეთი იყო.“¹⁰⁵.

ამრიგად, შტურცა პატრიოტულად განწყობილ ვლახელ ბოიარებს ბრალს დებს „აშკარა ლალატში“, „ავსტრიელებთან კავშირში“, ვლახეთში „ავსტრიელთა პოლიტიკური ინტერესების განმტკიცებაში“ და ამ ბრალდებათა ორომტრიალში იქამდისაც კი მიდის, რომ ეჭვს გამოთქვამს, ხომ არ იყვნენ მოსყიდულები ანთიმ ივერიელი და სხვა ბოიარები ავსტრიელების მიერ?...¹⁰⁶. თუმცა, შტურცა ხვდება, რომ მის მიერ წამოყენებულ ამგვარ ვერსიაში იგი სცდება ყოველგვარ საზღ-

¹⁰³ Sturza... გვ. 113.

¹⁰⁴ იქვე.

¹⁰⁵ იქვე, გვ. 114.

¹⁰⁶ იქვე, გვ. 115.

ვარს და თვითონვე უარყოფს ამ ცილისწამებას¹⁰⁷. კაპიტანმა ობედენ-
მა, ბოიარებმა ბარბუ კორნეამ და რადუ ბენეესკუმ, მართლაც გახს-
ნეს საზღვრები და შემოუშვეს ავსტრიელები ვლახეთში. ეს, რასაკვირ-
ველია, ღალატი იქნებოდა, რომ ვლახეთი დამოუკიდებელი სახელმწი-
ფო ყოფილიყო და მის ჯარს წინააღმდეგობა არ გაეწია შემოსეული
მტრისათვის. მაგრამ, შტურცას ალბათ ავიწყდება, რომ ამ დროს ვლა-
ხეთი თურქების მიერ იყო დამორჩილებული და ვლახელებს უკვე
იმის უფლებაც კი არ ჰქონდათ, რომ ქვეყანა ემართა მათივე ერის
შვილს და მას თურქების მიერ დაყენებული უცხოელი ფანარიოტი
განაგებდა. გარდა ამისა, ავსტრია ეომებოდა არა ვლახეთს, არამედ
ოტომანთა პორტას. ასეთ ვითარებაში ნუთუ შეიძლება ღალატი დაე-
წამოთ ვლახელ ბოიარებს იმისათვის, რომ ავსტრია-თურქეთის ომის
დროს მხარი დაუჭირეს ავსტრიელებს. რომლებიც ებრძოდნენ მათა
სამშობლოს დამპყრობელს — ოტომანთა იმპერიას?!

რაც შეეხება შტურცას სიტყვებს, რომ ვლახელი ბოიარები მოქ-
მედებდნენ „უდროო და პოლიტიკურად არახელსაყრელ მომენტში“. ამასთან დაკავშირებით ჩვენ შეგვიძლია სრული დარწმუნებით განვა-
ცხადოთ: ვლახელი ბოიარები მოქმედებდნენ დროულად და პო-
ლიტიკურად სწორედაც რომ ხელსაყრელ მომენტში. ისევე როგორც
რუსეთ-თურქეთის ომის დროს ანთიმ ივერიელი, თომა კანტაკუზენი
და სხვა ბოიარები იმედოვნებდნენ, რომ რუსეთის თურქეთზე გამარ-
ჯვების შემთხვევაში ვლახეთი შესძლებდა თურქთა ბატონობისაგან
განთავისუფლებას, ვინაიდან თურქების მიერ ომის წაგება მომასწა-
ვებელი იქნებოდა ოტომანთა იმპერიის ძლიერების შესუსტებისა, მისი
ექსპანსიური პოლიტიკის კრაზისა, დამორჩილებულ და დაპყრობილ
ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისისა,
რისი ლოგიკური დაბოლოება ხალხის მიერ თავისუფლებისა და დამო-
უკიდებლობის მოპოვებაა, ასევე ავსტრიასა და თურქეთს შორის ომის
მსვლელობის დროს, როდესაც თურქთა არმია დამარცხებას დამარ-
ცხებაზე განიცდიდა, ანთიმ ივერიელმა და მისმა თანამოაზრეებმა გა-
დაწყვიტეს დაეწყოთ მოქმედება, რადგან სწორედ ასეთ ვითარებაში
იქმნებოდა რეალური შესაძლებლობა თავიდან მოეცილებინათ პორ-
ტას ერთგული მსახური ნიკოლო მავროკორდატი, იქმნებოდა რეალუ-
რი პირობები, რათა ავსტრია-თურქეთის კომფლიქტი გამოყენებული
ყოფილიყო ვლახეთის გასანთავისუფლებლად თურქთა მონობის ულ-
ლისაგან. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთ შემთხვევაში, არც რუსეთ-
თურქეთის ომისა და არც ავსტრია-თურქეთის ომის დამთავრებას შე-

¹⁰⁷ Sturdza... გვ. 115.

დევად არ მოჰყოლია ვლახეთის განთავისუფლება თურქთა მონობის უღლიდან. თუმცა, ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ ანთიმ ივერიელმა და მისმა თანამოაზრე ბოიარებმა შეცდომა დაუშვეს და დაიწყეს მოქმედება „პოლიტიკურად არახელსაყრელ მომენტიში“, როგორც ამტკიცებს შტურცა. ვიმეორებთ, მომენტი სწორეადაც რომ ხელსაყრელი იყო და ძალზე ხელსაყრელიც. მაგრამ, განა ანთიმ ივერიელს ან სხვას ძალუძდა წინასწარ განეკვირბა, რა შედეგით დამთავრდებოდა ესა თუ ის ომი?!...და თუ ანთიმ ივერიელის და მის თანამოაზრე ბოიარების ოცნება. განუხორციელებელი დარჩა, ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსებმა მარცხი განიცადეს და თურქები არსებული მდგომარეობის ბატონ-პატრონი დარჩნენ...

რაც შეეხება ავსტრიელებს, თუმცა მათ დაამარცხეს თურქები პეტრეარდენთან, მაგრამ რუსეთის გაძლიერების შიშით, რაც, ავსტრიელების აზრით, ოტომანთა იმპერიის დასუსტებას გამოიწვევდა, ისინი დაკმაყოფილდნენ პირველი წარმატებებით. ავსტრიელებმა თავი შეიკავეს ვლახეთის ტერიტორიაზე შემოსვლისაგან, რაც, ეკვს. გარეშეა, სტიმულს მისცემდა ვლახელი ხალხის გამოსვლას ოტომანთა პორტას წინააღმდეგ ისევე, როგორც რუსეთ-თურქეთის ომის დროს¹⁰⁸, როდესაც ანთიმ ივერიელის დაჟინებითი მოთხოვნით პეტრე დიდმა უბრძანა გენერალ რენეს შექრილიყო ვლახეთის სილრმეში და აეღო ციხესიმაგრე ბრაილი¹⁰⁹, რამაც განაპირობა ვლახელი ხალხის იარაღით ხელში გამოსვლა თურქთა ბატონობის დასამხობად¹¹⁰.

შტურცა ადანაშაულებს ანთიმ ივერიელს და მის თანამოაზრე ბოიარებს „ავსტრიელებთან კავშირში“ და „ვლახეთში ავსტრიელთა პოლიტიკური ინტერესების განმტკიცებაში“. რა სარწმუნო დოკუმენტებს ეყრდნობა შტურცა ასეთი მტკიცებების დროს, ჩვენთვის უცნობია, რადგან თავის ნაშრომში იგი არ მიუთითებს წყაროებს. შესაძლოა, შტურცას მხედველობაში აქვს დემეტრე იულიანოს წერილი, რომელიც მან იერუსალიმის პატრიარქ ქრიზანთეს მისწერა 1716 წელს. წერილში მართლაც ნათქვამი იყო: როდესაც ნიკოლო მავროკორდატი ჯიურჯევოდან ისევ ბუქარესტში დაბრუნდა, დარწმუნდა, რომ მიტროპოლიტი მოლაღატეა და „ნახა მისი მიმოწერა გერმანელებთან და, აგრეთვე, მათთან დადებული ხელშეკრულება“¹¹¹. ამ ცნობის სიზუსტეში ეკვს შეტანის საფუძველს გვაძლევს მეორე, ჩვენის აზრით, არანაკლებ სარწმუნო წყარო.

¹⁰⁸ Studii... გვ. 451.

¹⁰⁹ Magazin istoric pentru Dacia, IV, Buc. 1847, გვ. 23.

¹¹⁰ Studii... გვ. 455.

¹¹¹ E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par. II გვ. 794.

როგორც ვიცით. იმავე წელს, რომლითაც დემეტრე იულიანო ათარილებს თავის წერილს, გაგზავნილს იერუსალიმის პატრიარქისადმი. თვით ანთიმ ივერიელი შემდეგ სწერდა პატრიარქ ქრიზანთეს: „ამჟამად მეტად მძიმე დღეებია. დაუსრულებელი ეპევი და უნდობლობა, იმის შიში, რომ გაგზავნილი წერილი სათანადო ადგილზე მივა თუ არა, შაიძულებს მე უარი ვთქვა ყოველგვარ მიმოწერაზე“¹¹². და თუ ანთიმ ივერიელი უარს ამბობს, ვინაიდან მას „უნდობლად“ უყურებენ, ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთ ვითარებაში მას ოფიციალური მიმოწერა გაემართა ავსტრიელებთან და მათთან ხელშეკრულებაც კი დაედო. სავსებით დასაშვებია, რომ ანთიმ ივერიელს მოლაპარაკება ჰქონდა გამართული ავსტრიელ ემისრებთან ოტომანთა პორტას წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის თაობაზე, მაგრამ სავსებით დაუშვებელია, რომ უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტს, ორთოდოქსალური მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურს, რომელიც სასტიკად ილაშქრებდა კათოლიკური ეკლესიის დოგმების წინააღმდეგ (თვით ანთიმ ივერიელმა რამდენიმე პოლემიკური ხასიათის წიგნი დაბეჭდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. გარდა ამისა, იგი ჯერ კიდევ 1708 წელს გაცხოველებულ მიმოწერას აწარმოებდა ბრამოვის მართლმადიდებლურ მოსახლეობასთან და პირდებოდა დახმარებასა და დაცვას „კათოლიკეთა შევიწროებისა და ძალდატანებისაგან“), მიზნად ჰქონოდა დასახული ვლახეთში კათოლიკური სახელმწიფოს“ პოლიტიკური ინტერესების განმტკიცება“. ანთიმ ივერიელს მხოლოდ იმდენად აინტერესებდა ავსტრია, რამდენადაც მასში ხედავდა თურქეთის მოწინააღმდეგეს.

თავისი მოსაზრების ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტად შტურცას მოჰყავს ასეთი შემთხვევა: ნიკოლო მავროკორდატის ბუქარესტში დაბრუნების შემდეგ თურქებმა დააპატიმრეს ბოიარი ბალაგეანუ, რომელსაც უთქვამს: „ნეტავ მალე მოვიდნენ ავსტრიელები, რომ გაათავისუფლონ ქვეყანა ამ აუტანელი დღეებისგანო“¹¹³. ეს სიტყვები, შართლაც წარმოთქვა ბოიარმა ბალაგეანუმ, მაგრამ წარმოთქვა მას შემდეგ, როდესაც მის თვალწინ თურქმა ჯარისკაცმა ვლახელ ქალს ხელიდან წაართვა რვა წლის შვილი და გაშიშვლებული ხმლით იმუქრებოდა ბავშვის მოკვლას, თუ მას არ მისცემდნენ 2500 ოქროს მონეტას¹¹⁴. სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთი სურათის ნახვით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ადამიანს, თურქთა წინააღმდეგ მებრძოლი ავსტრიელები ეხსენებინა, როგორც განმათავისუფლებლები.

¹¹² E. Hurmuzaki, Documente, vol XIV, par. III გვ. 122.

¹¹³ Sturdza... გვ. 135.

¹¹⁴ Revoluțiile Valahiei... გვ. 135.

მართლაც, როცა აქ აღწერილი ამბის შემდეგ განვლო ერთმა წელსა და კონფლიქტი ავსტრიასა და თურქეთს შორის უფრო გამწვავდა, როდესაც, ამჯერად, ავსტრიის ჯარი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ საზღვრის გადმოლახვით, არამედ პოლკოვნიკ დეტინის მეთაურობით ვლახეთში შეიჭრა და ბუქარესტისაკენ გაემართა, ვლახელი ხალხი დიდი სიხარულით შეეგება ავსტრიელებს. პოლკოვნიკ დეტინის რაზმს მრავალი ბოიარი და ათასობით ვლახელი გლეხი შეუერთდა და ყველა ერთად — ავსტრიელები, გლეხები, ბოიარები ბუქარესტში შევიდნენ, ამოკლიტეს თურქები, ხოლო მავროკორდატი საშინაო ტანსაცემელში შეიპყრეს¹¹⁵,

საოცარია რომ ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შტურცას. პატრიოტულად განწყობილი ვლახელი ბოიარების სიკვდილით დასჯა მიაჩნია აუცილებელ პირობად ვლახეთის კეთილდღეობისათვის და ფანარიოტთა ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლთ „სამშობლოს მოლაპატეებს“ უწოდებს.

ჩვენ აღწერეთ, თუ როგორ გაუსწორდა ნიკოლო მავროკორდატი ყველა იმ ვლახელ ბოიარს, რომლებიც იბრძოდნენ თურქების ბატონობისა და ფანარიოტთა ტირანიის წინააღმდეგ, ყველა იმათ, ვინც ვლახეთის ბედნიერებას და კეთილდღეობას უცხოელი დამპყრობლებისაგან განთავისუფლებაში ხედავდა.

მაგრამ, რა ბედი ეწია თვით უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტს — ანთიმ ივერიელს, რომელიც ვლახელი ხალხის ანტითურქული და ანტიფანარიოტული ბრძოლის სულისჩამდგმელი იყო? როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ნიკოლო მავროკორდატს ანთიმ ივერიელი სასახლეში დაუბარებია. თუმცა, მიტროპოლიტისათვის ძალზე კარგად იქნებოდა ცნობილი, თუ რა ელოდა მას ფანარიოტისაგან, როდესაც მთელს ვლახეთში სისხლიანი ტერორი მძვინვარებდა, მიუხედავად ამისა, ანთიმ ივერიელს არც გაქცევით და არც დამალვით არ უცდია თავის გადაარჩენა. უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული მიტროპოლიტი უნგრო-ვლახეთისა ამაყად გაემართა სიკვდილისაკენ. მაგრამ ის, რაც ანთიმ ივერიელს ნიკოლო მავროკორდატის სასახლეში მისვლისას გადახდა თავს, ამას ალბათ არ ელოდა თვით ანთიმიც კი, რომლისთვისაც უცხო არ იყო ფანარიოტის მზაკერული და ფლიდური ბუნება. აი, რას წერს ერთ-ერთი მემატრიანე: როდესაც ეტლი, რომელშიაც მიტროპოლიტი იჯდა, სასახლის წინ შეჩერდა, მას მისცვივდნენ თურქი ჯარისკაცები, გადმოაგდეს ეტლიდან, დააგდეს მიწაზე, შემოახიეს სამოსელი, დააგლიჯეს წვერ-ულვაში, შემდეგ კი წა-

¹¹⁵ Engel... გვ. 181, Regnacult... გვ. 59.

ათრიეს და ჩაეეტეს სასახლის ერთ-ერთ სარდაფში¹¹⁶. დარაჯად თურქი ჭარისკაცები მიუჩინეს. ასე დახვდა ნიკოლო მაგროკორდატი უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტს — ანთიმ ივერიელს. რამდენიმე დღე გაატარა ანთიმ ივერიელმა საპყრობილეში, როდესაც გადასცეს ნიკოლო მაგროკორდატის ბრძანება, რათა მას ნებაყოფლობით უარი ეთქვა უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტობაზე¹¹⁷. ანთიმ ივერიელმა მაგროკორდატს კატეგორიული უარი შეუთვალა. ეს გასაგებია. სასულიერო იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მყოფ ბერძენ მღვდელმთავართან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ სიტყვიერად უწოდებდნენ საკუთარ თავს „მრევლის მწყემსებს“, სინამდვილეში კი თავიანთი თანამდებობანი მიაჩნდათ მხოლოდ შემოსავლისა და განდიდების წყაროდ, ანთიმ ივერიელმა მიტროპოლიტობა ჰეშმარითად აქცია „მრევლის მწყემსად“, „მრევლის პატრონად“, ვლახელი ხალხის მოქირნახულედ. ვლახელ ხალხსაც სჯეროდა ანთიმის და ენდობოდა მიტროპოლიტს, როგორც ერის მამას. და, ვიდრე ცოცხალი იყო ანთიმ ივერიელი, განა შეეძლო მას ნებაყოფლობით უარი ეთქვა მიტროპოლიტობაზე, რომელსაც იგი უყურებდა არა როგორც უმაღლეს სასულიერო თანამდებობას, არამედ როგორც მოვალეობას და სამსახურს ვლახელი ხალხის წინაშე.

ნიკოლო მაგროკორდატი შეეცადა აეძულებინა ანთიმ ივერიელი დათანხმებულიყო მიტროპოლიტობიდან გადადგომაზე. ყოველივე ამოუგამოდგა. მაშინ მაგროკორდატმა დახმარებისათვის მიმართა კონსტანტინოპოლის პატრიარქს იერემიას და სთხოვა, რომ ანთიმო არა მარტო გადაეყენებინა მიტროპოლიტის თანამდებობიდან, არამედ აეყარა მისთვის სასულიერო წოდებაც¹¹⁸. ბერძენი პატრიარქი სიამოვნებით დათანხმდა ხელი შეეწყოს ფანარიოტისათვის. ბერძენ ეპისკოპოსთა ყრილობამ, რომელიც შეიკრიბა პატრიარქ იერემიას და ნიკოლო მაგროკორდატის მოწვევით, ანთიმ ივერიელი დაადანაშაულა „მისნობასა და ეშმაკურ საქმიანობაში“. („აქ უეჭველია იგულისხმება ნიჭი ანთიმისა, როგორც მესტამბისა და ხელოვანისა“ — წერს ემილ პიკო)¹¹⁹. უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტს ბრალი დასდეს, „რომ ის იყო შეთქმული და რევოლუციაზე წამქეზებელი, მემამბოხე თავისი კანონიერი ხელმწიფის წინააღმდეგ“¹²⁰. ეპისკოპოსთა ყრილობამ ანთიმ ივე-

¹¹⁶ M. Grigoras... გვ. 329.

¹¹⁷ Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 686.

¹¹⁸ E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par. II, გვ. 796.

¹¹⁹ E. Picot.... გვ. 556.

¹²⁰ E. Picot.... გვ. 457.

რიელი „შეაჩვენა, განკვეთა ეკლესიიდან და გამოაცხადა ყოველივე სამღვდელო ღირსებაახდილად“¹²¹. ანთიმ ივერიელს აუკრძალეს ეტარებინა სახელი „ანთიმი“ და დაუბრუნეს საერო სახელი „ანდრია“¹²². ანთიმ ივერიელის მიმართ ეპისკოპოსთა ყრილობის მიერ გამოტანილ დადგენილებას ხელს აწერენ: აექსენტი, ეპისკოპოსი კვიზიკიისა; დიონისე, ეპისკოპოსი ამასიისა; ნეოფიტე, ეპისკოპოსი არტასი; ნიკოდიმე, ეპისკოპოსი დერკისა; კონსტანტინე, ეპისკოპოსი ქალკედონისა; კირილე, ეპისკოპოსი ბრუსისა; კალინიკე, ეპისკოპოსი ფილიპოპოლისა; თეოკლიტე, ეპისკოპოსი პრიკონისოსი; გერასიმე, ეპისკოპოსი ნიკეისა; ქრისტეფორე, ეპისკოპოსი იკონისა და ნიკოდიმე, ეპისკოპოსი მიტელენისა. ყველა აქ ჩამოთვლილი ეპისკოპოსი ბერძენი იყო. არც ერთ რუმინელ ეპისკოპოსს არ მიუღია მონაწილეობა ამ უსამართლო განაჩენში¹²³. ანთიმ ივერიელისათვის სასულიერო წოდების აყრისა და ეკლესიიდან განკვეთის პროცედურა, რომელსაც მხოლოდ საღისტი და გესლით აღსავეს ადამიანი თუ მოიგონებდა, ნიკოლო მავროკორდატის სასახლეში ჩატარდა¹²⁴. ანთიმ ივერიელს მოხადეს მიტროპოლიტის მიტრა და თავზე წითელი თურქული ფესკა დაახურეს¹²⁵.

მაგრამ ნიკოლო მავროკორდატისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა ანთიმ ივერიელის უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტობიდან გადაყენება. ვიდრე ანთიმ ივერიელი ცოცხალი იქნებოდა, ფანარიოტს მშვიდი ძილი არ ექნებოდა. თუმცა, მისი ფიზიკური მოსპობაც ვერ გაბედა ფანარიოტმა, ითვალისწინებდა რა ვლახელი ხალხის დიდ სიყვარულს ანთიმისადმი. ამიტომ ნიკოლო მავროკორდატმა გადაწყვიტა მოეშორებინა ანთიმ ივერიელი ვლახეთიდან. ანთიმს წაუყითხეს ბრძანება, რომლის მიხედვითაც იგი სამუდამოდ იქნა გაძევებული სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში¹²⁶ „ნიკოლო მავროკორდატის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებისათვის და სხვა პოლიტიკური საქმიანობისათვის“¹²⁷. ეს ბრძანება დაუყოვნებლივ იქნა სისრულეში მოყვანილი. რამდენიმე თურქი ჯარისკაცის თანხლებით ანთიმ ივერიელი გაუდგა თავის უკანასკნელ გზას. იმის შიშით, რომ ბუქარესტის მოსახლეობაში ანთიმ ივერიელის გაძევებას მღელვარება არ გამოეწვია, შუალამისას, როდესაც მთელ ქალაქს ეძინა, ანთიმი გაიყვანეს ბუქარესტიდან. მაგრამ, სინას

¹²¹ E. P'col... გვ. 458.

¹²² Revolutiile Valahiei... გვ. 143.

¹²³ E. P'col... გვ. 526.

¹²⁴ Biserica Ortodoxa Romîna, № 8—9, 1956, გვ. 688.

¹²⁵ Revolutiile Valahiei... გვ. 142.

¹²⁶ იქვე.

¹²⁷ Biserica Ortodoxa Romîna, vol. VIII, 2884, გვ. 807.

მთამდე ანთიმ ივერიელს არ მიუღწევია. გალიპოლიის მახლობლად, აღრიანოპოლზე გამავალი მდინარის დულჩიას ნაპირებზე¹²⁸ (დულჩია ერთვის მდინარე მარცხენა¹²⁹, რომელიც თავის მხრივ თრაკიაში უერთდება ენოსის უბეს), თურქმა ჯარისკაცებმა ასო-ასო აკუწეს ანთიმ ივერიელი და მისი სხეულის ნაწილები მდინარეში გადაყარეს¹³⁰.

ემილ პიკოს ცნობით, ანთიმ ივერიელის მოკვლის ბრძანება თურქმა ჯარისკაცებმა ჯერ კიდევ ბუქარესტში მიიღეს ნიკოლო მავროკორდატისაგან¹³¹, ხოლო, მეორე ცნობით, ანთიმ ივერიელი მოკლეს მას შემდეგ, რაც სინას მთისკენ გზად მიმავალ თურქ ჯარისკაცებს მდევარმა გადასცა სულთნის ფირმანი, რომლის მიხედვითაც სიცოცხლეს უნდა გამოესალმებინათ განდევნილი მიტროპოლიტი უნგრო-ვლახეთისა¹³².

მაგრამ, აქ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როდის მიიღეს თურქმა ჯარისკაცებმა ანთიმ ივერიელის მოკვლის ბრძანება. ფაქტი ისაა, რომ ანთიმ ივერიელის ფიზიკურად მოსპობა გამომდინარეობდა როგორც ნიკოლო მავროკორდატის, ასევე მისი პატრონის — თურქეთის სულთნის ინტერესებიდან.

ანთიმ ივერიელის დაღუპვის ამბავმა ბერძნული ეკლესიის მესვეურთა, ოტომანთა პორტას ამ ყურმოჭრილ მსახურთა შორის, განუზომელი სიხარული გამოიწვია (თუმცა მათ რიცხვშიაც იყვნენ ერთეულები, რომლებიც ღირსეულად აფასებდნენ უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტს, როგორც თვალსაჩინო მოღვაწესა და მოქალაქეს). ბერძენ მღვდელმთავართა ეს სიხარული გასაგებია, რადგან აღარ იყო ცოცხალი ის პიროვნება, რომელიც საღ კლდედ აღიმართა თურქთა და ფანარიოტთა ექსპანსიის წინაშე; აღარ იყო ცოცხალი ერის ამადარი, რომელმაც მთელი თავისი დაუშრეტელი ცოდნა, ნიჭი და ენერჯია მოახმარა ვლახელი ხალხის ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეს, რითაც ის წინაღუდგა ბერძნული ეკლესიის მისწრაფებას დაემორჩილებინა ვლახეთში „ყოველივე და ყველაფერი“ ბერძნული ზეგავლენისათვის.

1716 წლის 12 სექტემბერს დემეტრე იულიანო წერდა იერუსალიმის პატრიარქს ქრიზანთეს: ნიკოლო მავროკორდატს „მრავალი მტერი და მოღალატე ყავს. როდესაც იგი თურქების ჯარის თანხლებით ბუქარესტში დაბრუნდა და დარწმუნდა, რომ მიტროპოლიტი შეამბოხეა...

¹²⁸ Revolutiile Valahiei.... გვ. 124.

¹²⁹ იქვე.

¹³⁰ Acte si fragmente, Blay, 1855, გვ. 226, Picot.... გვ. 558.

¹³¹ D. R u s s o, Studii istorice greco-române, 1959, vol. II, გვ. 415.

¹³² E. H u r m u z a k i, Documente. vol. XIV, par. I, გვ. 402.

მაშინათვე დააპატიმრა ის და მოითხოვა, რომ აქედან (კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან — ო. გ.) გაეგზავნათ ანთიმისათვის სასულიერო წოდების ჩამორთმევის სიგელი...“ „აი, ეს არის შენი საუკეთესო მეგობარი, მაგრამ მას ჩადენილი ბოროტებისათვის საკადრისი მიეზლო კიდევ“¹³³ — ნიშნისგებით დასძენდა იულანო. 1716 წლის 20 სექტემბერს „მსოფლიო საყდრის“ დიდი რიტორი — სპანდონისი, პატრიარქ ქრიზანთეს სახელზე გაგზავნილ წერილში აღწერდა „ნიკოლო მეგროკორდატის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას“ და ბოლოს დასძენდა: „როდესაც მეამბოხეებს და განდგომილებს დანაშაულის ადგილზე წაასწრეს, ისინი დასჯილ იქნენ. ბრეზოვიანუ სიკვდილით დასაჯეს. ხოლო მიტროპოლიტი უნგრო-ვლახეთისა გადაყენებულა მიტროპოლიტობიდან, რადგანაც ცხადია, რომ ის მეამბოხე და მოღალატეა, რომლისთვისაც სასულიერო წოდების ჩამორთმევის სიგელი, შედგენილი მისი უბრწყინვალესობა მთავრის (ნიკოლო მეგროკორდატის — ო. გ.) მოხსენებითი ბარათისა და მოთხოვნის საფუძველზე, უკვე რამდენიმე დღეა აქედან გაეგზავნეთ“¹³⁴. 1716 წლის 29 სექტემბერს კი მიტროფანე ნისელი აცნობებდა იერუსალიმის პატრიარქს ქრიზანთეს: „რადგანაც ყოფილი მიტროპოლიტი უნგრო-ვლახეთისა არ იცავდა წესებს, რომლებიც სავალდებულო იყო მღვდელმთავრისათვის და ერეოდა პოლიტიკურ საქმიანობაში... იგი განდევნილ იქნა ეკლესიიდან“¹³⁵.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ანთიმ ივერიელისა და ნიკოლო მეგროკორდატს შორის მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებით და ანთიმ ივერიელის „დანაშაულის მხილებაში“ ბერძენ მღვდელმთავართა და მკვლევარ შტურცას ერთნაირი აზრები აქვთ და არა მხოლოდ აზრები, სიტყვებიც კი ერთი არსენალიდან აულიათ: „მეამბოხე“, „მოღალატე“ და სხვ. უცნაურია, რადგან მას შემდეგ, რაც შტურცა ამა თუ იმ ისტორიული მოვლენისა თუ ფაქტის სწორად გაგებასა და ახსნისათვის მოითხოვდა მათ ყოველმხრივ განზოგადებას. მათდამი „არაშოვინისტური“ და „არც ნაციონალისტური“ კუთხით მიდგომას, არამედ „ეგროპული“ და არა ვიწრო „ბერძნული“ თვალსაზრისის გამოყენებას, ჩვენ ვხედავთ, რომ მას თავის გამოკვლევაში წითელ ხაზად გაუტარებია ის ტენდენციური შეხედულებები, რომლებიც გააჩნდა ანთიმ ივერიელის მიმართ ბერძნული ეკლესიის ყველაზე უფრო რეაქციულ წარმომადგენლებს.

რადგან სიტყვამ მოიტანა, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ შტურ-

¹³³ E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par. II, pag. 794.

¹³⁴ იქვე, pag. 796.

¹³⁵ E. Hurmuzaki, Documente, vol. XIV, par. III, pag. 124.

კას და ვნახოთ, რას წერდა იგი ანთიმ ივერიელის მკვლევლობის შესახებ: „რაც ყოველგვარ ცილისწამების და გაზვიადების საზღვარს აცილდება, არის ის, რომ რეალური სარწმუნო საბუთის გარეშე აცხადებენ, ვითომ ნიკოლო მავროკორდატმა იმ მიზნით მოაკვლევინა მიტროპოლიტი ანთიმო, რათა „მის ფულს დაპატრონებოდაო“¹³⁶. და დასაქენს „დროა ბოლო მოედოს რუმინეთში ასეთი უსინდისო ისტორიების შეთხზვას“¹³⁷.

ვის ეკამათება აქ შტურცა და რის დამტკიცებას ცდილობს? იმას, რომ ნიკოლო მავროკორდატმა ფულის მითვისებისათვის არ მოაკვლევინა მიტროპოლიტი უნგრო-ვლახეთისა? მაგრამ, ეს ხომ ცხადზე უცხადესია და არცერთი იმდროინდელი მემკვიდრე, ვინც კი ამ საკითხს ეხება, ასეთ ბრალდებას არ უყენებს ნიკოლო მავროკორდატს. მაშ, რაში დასჭირდა შტურცას ასეთი გამოგონილი ამბის მოტანა? არის ფაქტები, რომლებიც იძულებულს გხდიან აღიარო ისინი, მიუხედავად შენი ნებასურვილისა და დამოუკიდებლად იმისა, შეესაბამებთან თუ არა ისინი შენს თვალსაზრისს. ნიკოლო მავროკორდატის მოთხოვნით რომ გადაყენეს ანთიმ ივერიელი მიტროპოლიტობიდან და აპყარეს მას სასულიერო წოდება, ამას აღიარებს შტურცაც; რომ ნიკოლო მავროკორდატის ბრძანებით გაასახლეს ანთიმ ივერიელი სინას მთაზე, ამასაც არ უარყოფს იგი. მაგრამ, როდესაც ისმის კითხვა, იყო თუ არა ანთიმ ივერიელი მოკლული ნიკოლო მავროკორდატის ბრძანებით, აქ უკვე შტურცა სარგებლობს აზრთა სხვადასხვაობით¹³⁸ და ცდილობს კიდევ ერთხელ გამოვიდეს ფანარიოტი მთავრის დამცველის როლში. ანთიმ ივერიელის მკვლევლობის მიზეზად მას იმდენად აბსურდული მოტივი მოჰყავს, რომ უნებურად ეჭვის ქვეშ აყენებს თვით მავროკორდატის მონაწილეობას დულჩიას ნაპირებზე მომხდარ ტრაგედიაში. აი, რატომ დასჭირდა შტურცას მართლაც რომ „ყოველგვარ საზღვარს გადაცილებული“ ბრალდების შეთხზვა. ჩვენ ისევ გიმეორებთ, რომ ნიკოლო მავროკორდატს არ მიუძღვის ბრალი ანთიმ ივერიელის მკვლევლობაში ფულის მითვისების მიზნით, ხოლო რაც შეეხება ფანარიოტი მთავრის მონაწილეობას ამ შავბნელ საქმეში, ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ

¹³⁶ Sturdza... გვ. 115.

¹³⁷ იქვე.

¹³⁸ როგორც უკვე აღვნიშნეთ არსებობს ორი ვერსია ანთიმ ივერიელის მკვლევლობისა. პირველი ვერსიის მიხედვით ანთიმ ივერიელის მოკვლის ბრძანება ჟერ ბუქარესტში გასცა ნიკოლო მავროკორდატმა, მეორე ვერსიის მიხედვით ანთიმ ივერიელი სიოცხლეს გამოასალმეს სულთანის განკარგულებით. D. Russo, *Studi istorice greco-romine*, 1959, vol. II, გვ. 415., E. Hurmuzaki, *Documente*, vol. XIV, par. I, გვ. 402.

იქნებოდა, რომ შტურცას ყურადღება მიექცია ერთ-ერთი დოკუმენტისათვის, სადაც ვანდერბეკი, იმდროინდელი სამეფო კარის ექიმი, არაორაზროვნად წერდა: „ნიკოლო მავროკორდატი არ შეუშინდა იმას, რომ ხელები შეეღება მის მიერ განდევნილი მიტროპოლიტის სისხლით“¹³⁹.

ანთიმ ივერიელის სიკვდილის ამბავმა თავზარი დასცა ვლახელ ხალხს. „მიტროპოლიტ ანთიმის მხეცურმა მკვლელობამ. (ვლახელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ანთიმ ივერიელი ცოცხალი იყო და იგი პატიმრობაში იმყოფებოდა¹⁴⁰), — წერს დელ კიარო, — მთელი ვლახეთი შეაძრწუნა“¹⁴¹. დიდი იყო გლოვა ვლახელი ხალხისა, რადგან მთელი მოღვაწეობა ანთიმ ივერიელისა იმ დღიდან დაწყებული, როდესაც მან პირველად დაადგა ფეხი ვლახეთის მიწას და ვიდრე იანიჩარის იათაგანი მას სიცოცხლეს მოუსწრაფებდა, უპირველეს ყოვლისა მიმართული იყო იმ უბრალო ვლახელი ადამიანის საკეთილდღეოდ, რომელმაც ავბედობით, სამშობლოს მოწყვეტილი ქართველი ჭაბუკი ანდრია თავის ძმად, შეილად თუ მამად იგულა. უსაზღვრო იყო რისხვა და ზიზღი ვლახელი ხალხისა ანთიმ ივერიელის მკვლელების მიმართ. თაობიდან თაობას გადაეცემოდა სისხლით დაღდასმული მათი სახელები. გასული საუკუნის მეორე ნახევარში რუმინეთში უმოგზაურია დე მარსილიაკს და ბუქარესტში ყოფნის დროს უნახავს სახლი, რომელიც ოდესღაც ეკუთვნოდა ვინმე კოლფესკულოს. „ეს კოლფესკულო, — წერს მარსილიაკი, — იმ თურქ ჯარისკაცთა უფროსი ყოფილა, რომელთაც მოუკლავთ ანთიმ ივერიელი. ამით, მან, თავის გვარს სამუდამო წყევლა-კრულვა დაუმკვიდრა“¹⁴².

ანთიმ ივერიელმა უკვდავყო თავისი სახელი რუმინელი ერის ხსოვნაში.

„რამდენჯერაც დახედავს მზე რუმინეთის მიწას, — წერს ერთ-ერთი რუმინელი ისტორიკოსი, — იმდენჯერ რუმინელი ხალხი სიყვარულითა და პატივისცემით გაიხსენებს ანთიმ ივერიელს, რომელმაც დასდო საძირკვლის ქვა რუმინეთის ეროვნული კულტურის ბალაყარში და უკანანსკენლ ამოსუნთქვამდე იბრძოდა მისი თავისუფლებისათვის“¹⁴³.

¹³⁹ Magazin istoric pentru Dacia, IV, Buc. 1847, გვ. 51.

¹⁴⁰ Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 688.

¹⁴¹ Revolutiile Valahiei... გვ. 143.

¹⁴² I o r g a, Istoria Romînilor prin calatori, 1929, გვ. 347.

¹⁴³ Biserica Ortodoxa Romina, № 8—9, 1956, გვ. 689.

ანთიმ ივერიელის ცხოვრების ის მონაკვეთი, რომელიც მოიცავს ხანას მისი ვლახეთში დამკვიდრებამდე, სათანადო დოკუმენტური მასალის უქონლობის გამო ნაკლებადაა შესწავლილი. ამიტომაც, მკვლევარნი კმაყოფილდებიან ან ცალკეული ფაქტების კონსტატირებით. ანდა აყენებენ ამა თუ იმ ვერსიას.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგად გამოვთქვით შემდეგი თვალსაზრისი:

1. ანთიმ (ერისკაცობაში — ანდრია) ივერიელი წარმოშობით ქართველია. ანთიმის ზედმეტი სახელი „ივერიელი“ ნაწარმოები კი არ არის ათონის ივერიის მონასტრისაგან, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია (აქედან გამომდინარე ისინი ანთიმს არაქართველად თვლიან), არამედ იდენტურია ეროვნების გამომხატველი სიტყვის „ქართველის“. ანთიმ ივერიელი დაბადებულა დაახლოებით 1650—1660 წლებს შუა სავარაუდოა, რომ იგი ტყვედ. ჩაიგდეს ჩრდილოეთ კავკასიაში მთიელებმა და მონად გაჰყიდეს. წინააღმდეგ გავრცელებული შეხედულებისა, ანთიმ ივერიელი უნდა მოეტაცათ არა ბავშვობის ხანაში, როდესაც მხოლოდ იწყებდა შეგნებულ ცხოვრებას და საფუძველი ეყრებოდა მის, როგორც მოქალაქის ფორმირებას, არამედ გაცილებით გვიან პერიოდში, როდესაც უკვე გარკვეული „ინტელექტუალური ვინაობის“ მქონე პიროვნებას წარმოადგენდა. სინამდვილესთან უფრო ახლოა, რომ ანთიმ ივერიელმა თავისივე სამშობლოში შეისი'ხლხორცა ქართული ხელოვნების ტრადიციები და იგი საქართველოშივე აღიზარდა და ჩამოყალიბდა, როგორც შესანიშნავი მხატვარი, ხუროთმოძღვარი, კალიგრაფი, მოჩუქურთმე და სხვ. მან, XVIII ს. დასაწყისში, თავისი სამშობლოს ხუროთმოძღვრებისა და ქანდაკების ნიმუშები შეიტანა რუმინულ ხელოვნებაში. ჩვენი ვარაუდით, ანთიმ ივერიელი კონსტანტინოპოლში მონობიდან გამოისყიდა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა იმ მიზნით, რომ გამოეყენებინა მისი — მხატვრის, გრაფიკოსისა და კალიგრაფის ნიჭი სასტამბო საქმიანობაში. ის ფაქტი, რომ ანთიმ ივერიელმა შეიტანა რუმინულ ხელოვნებაში არა ბიზანტიური, არამედ ქართული ხელოვნების ელემენტები და ვლახეთში ჩასვლისთანავე გაილაშქრა ბერძნული ეკლესიის ინტერესების წინააღმდეგ, ცხადყოფს შემდეგს: ანთიმ ივერიელის სულიერი მრწამსი, მისი მოქალაქეობრივი სახე არ უნდა ჩამოყალიბებულყო ბერძნული ეკლესიის მესვეურთა ზეგავლენით. აქედან გამომდინარე, გამორიცხულია იერუსალიმის საპატრიარქო კარზე მისი, თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ყოფნის შესაძლებლობა. საფიქრებელია, რომ ანთიმ

ივერიელმა იერუსალიმის საპატრიარქო კარზე დაჰყო შედარებით ხანმოკლე პერიოდი და იქ ყოფნამ, თუ რაიმე ახალი შეიტანა მის ცხოვრებაში, ეს შეიძლება გამოიხატოს ანთიმის მიერ უცხო ენების: ბერძნულის, თურქულის და სხვ. ენების დაუფლებასა და მის ბერად აღკვეცაში. მან, ბრწყინვალე განათლება, სახელდობრ, კლასიკური ლიტერატურის შესანიშნავი ცოდნა ძიილო უკვე ვლახეთში ჩასვლის შემდეგ.

ანთიმ ივერიელს არ შეეძლო დაუფლებოდა მესტამბეობას კონსტანტინოპოლში, ვინაიდან ამ ქალაქში პოლიგრაფიული საქმიანობის შესწავლამ შემდეგი სურათი მოგვცა. ბერძნული სტამბა კონსტანტინოპოლში პირველად ამოქმედდა 1627 წელს, როდესაც ის ინგლისიდან ჩამოიტანა მეტაქსამ. ეს სტამბა განადგურებულ იქნა თურქების მიერ 1633 წელს. როგორც ცხადჰყო მთელი რიგი დოკუმენტებისა და ლიტერატურის შეჭერებამ, მეტაქსას სტამბის დარბევის შემდეგ წიგნები ბერძნულ ენაზე იბეჭდებოდა იასში (მოლდავეთი), ბუქარესტში, ბუზეუში (ვლახეთი) და არა კონსტანტინოპოლში, რადგან ამ ქალაქში, დაწყებული 1633 წლიდან, იმ პერიოდის ჩათვლით, როდესაც ანთიმ ივერიელი უკვე ვლახეთში დასახლდა, არ არსებობდა არც ერთი ბერძნული სტამბა (სტამბა ჰქონდათ ებრაული სამღვდლოების წარმომადგენლებს).

არსებობს ვერსია, რომ ანთიმ ივერიელმა მესტამბეობა შეისწავლა ვლახეთში, ბუზეუში, ეპისკოპოს მიტროფანესთან მოწაფედ ყოფნის დროს. მაგრამ, მიტროფანე ბუზეუში ჩავიდა 1691 წელს, როდესაც ანთიმი უკვე ბექდავს თავის პირველ წიგნს ვლახეთში, ბუქარესტის სტამბაში. ფიქრობენ, რომ ანთიმ ივერიელი ბექდავის ხელოვნებაში გათვითცნობიერდა თბილისში. ამ თვალსაზრისის ასაბუთებენ შემდეგი გარემოებით: ოცი წლით ადრე, ვიდრე თბილისში გაიმართებოდა პირველი ქართული სტამბა (1709 წ.), მოსკოვში მყოფმა არჩილ მეფემ პოლანდიაში, ტოტვალუშს დაუკვეთა ქართული შრიფტი და სასტამბო მოწყობილობანი და თითქოს, შემდგომში, ყოველივე ეს ჩამოიტანეს თბილისში. მაგრამ საქმე იმაშია, რომ აღნიშნულ შრიფტს არამცთუ თბილისამდე, არამედ მოსკოვამდესაც არ ჩაულწევია. (ამ ფაქტის გათვალისწინების შედეგად უარყოფილ უნდა იქნას ვერსია იმის შესახებ, რომ მოსკოვში, 1705 წელს, არჩილ მეფის ინიციატივით დაბეჭდილ „დავითნში“ გამოიყენეს ტოტვალუშის მიერ დამზადებული შრიფტი).

ანთიმ ივერიელმა მესტამბეობა შეისწავლა ან რუსეთში, სადაც იგი შესაძლოა იმყოფებოდა არჩილ მეფესთან ერთად (რუსეთში ყო-

ფნისას უნდა დაუფლებოდა ანთიმე ძველ სლავურ ენას), ანდა პატრი-
არქ დოსითეოსის მიერ ქ. იასში დაარსებულ სტამბაში. მოსალოდნე-
ლია, რომ სწორედ ამ ქალაქიდან მოიწვია მთავარმა კონსტანტინე
პრინცივიანუმ ანთიმ ივერიელი ვლახეთს.

გარდა ამისა, ჩვენ გამოვთქვით შემდეგი მოსაზრება: არ უნდა
იყოს გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ანთიმ ივერიელს ჩამოესხა
ქართული შრიფტი ვლახეთს, სნაგოვოს მონასტრის სტამბაში და ამ
შრიფტით დაბეჭდილიყო არჩილ მეფის მიერ 1705 წელს მოსკოვში
გამოცემული „დავითნი“.

2. კონსტანტინე ბრინკოვიანუს მეფობის პერიოდი (1688 —
1714 წწ.) ითვლება ძველი რუმინული კულტურის აყვავების ზანად.
იგი საბაჟს ფარაო გეგმებს ბეჭდვითი საქმიანობის გასაწვითარებლად,
რომელიც მიზნად ისახავდა არა მხოლოდ ვლახეთის, არამედ „მთელი
ქრისტიანული აღმოსავლეთის“ მომარაგებას წიგნებით. ბეჭდვითმა
საქმიანობამ მთელ ქვეყანაში არნახული გაქანება ჰპოვა და ამ დრო-
სათვის უმაღლეს დონეს მიაღწია. ყოველივე ამის სულისჩამდგმელი
და ორგანიზატორი იყო ანთიმ ივერიელი, რომელიც ვლახეთში დაახ-
ლოებით 1689—1690 წლებში ჩავიდა.

ანთიმ ივერიელის, როგორც მბეჭდავის მოღვაწეობის პირველი
ნაბეჭდები ვლახეთში დაკავშირებულია ბუქარესტის სტამბასთან, სა-
დაც იგი 1691 წელს ბეჭდავს პირველ წიგნს. თუ ეს პირველი წიგნი
აღშრდელლობითი დანიშნულებისა იყო, ანთიმ ივერიელის მიერ შემ-
დგომში გამოქვეყნებული წიგნები სხვადასხვა ხასიათს ატარებდნენ.
სკოლების საჭიროებისათვის იბეჭდება წიგნები მეცნიერების სხვადა-
სხვა დარგში: ისტორიაში, ლიტერატურაში, ფილოსოფიაში, ეკლესი-
ისათვის — საღვთისმეტყველო წიგნები; ხოლო ხალხს რომ დაინტე-
რესება და სიყვარული გამოეჩინა კითხვისადმი, ანთიმ ივერიელი ბეჭ-
დავს ფანტასტიკურ რომანს ალექსანდრე მაკედონელის შესახებ —
„ალექსანდრიას“ და სხვ. ანთიმ ივერიელს — „ყველა ხელოვნებათა
ოსტატს, არ დაუზოგავს არც ხელები და არც თავისი ბრწყინვალე
ნიჭი“, რათა განსაკუთრებული წვლილი შეეტანა ძველი რუმინული
ლიტერატურის განვითარების საქმეში და გაემდიდრებინა ის სხვადა-
სხვა მოცულობისა და შინაარსის ათეული წიგნით.

ცხადია, რუმინული ლიტერატურული ენის განვითარება მკიდ-
როდ იყო დაკავშირებული ვლახეთში არსებულ ნაბეჭდ პროდუქცი-
ასთან. თითოეული ახალი წიგნის გამოცემას რუმინულ ენაზე თან
სდევდა ამ ენის სრულყოფა, დახვეწა და ჩამოყალიბება. მიუხედავად
ამისა, რომ ანთიმ ივერიელი, ცხადია, მხოლოდ ვლახეთში ჩასვ-

ლის შემდეგ უნდა დაუფლებოდა რუმინულ ენას, მან ისეთი სრულყოფითი შეითვისა და აღიქვა ის, რომ მომავალში რუმინული ენის ერთ-ერთი რეფორმატორის სახელი დაიმკვიდრა. მართლაც, მან შესძლო დაეზღვია რუმინული ენა ყოველგვარი უცხოური დამახინჯებისაგან, გაეწმინდა უცხოური სიტყვებისა და გამოთქმებისაგან, დაეახლოვებინა სალაპარაკო, ხალხური ენისათვის და გასაგები გაეხადა ფართო მასებისათვის.

ანთიმ ივერიელის მიერ ბერძნულიდან რუმინულ ენაზე ნათარგმანი სალიტურგო წიგნების გამოცემა მიზნად ისახავდა გაექარწყლებინა ის მცდარი შეხედულება, თითქოს რუმინული ენის სიღარიბის გამო შეუძლებელი ხდებოდა ბერძნული ტექსტის სათანადო გადმოცემა, რომ რუმინულ ენას ძალუძდა თავისი სიმდიდრისა და გამოსახველობის წყალობით მთელი სიზუსტითა და ნიუანსებით აესახა ბერძნულ ენაზე შესრულებული ტექსტი, რომ რუმინულ ენას თანამად შეეძლო დაეკავებინა ადგილი იმ ენის გვერდით, რომელზედაც ორიგინალში დაწერილი იყო „სახარება“.

ანთიმ ივერიელი სათავეში უდგება ვლახეთის კულტურულ ცხოვრებაში იმ დიდ მოძრაობას, რომელიც მიმართული იყო ბერძნული ენის და საერთოდ ბერძნული ეკლესიის ჰეგემონიის წინააღმდეგ ვლახეთის ეკლესიებსა თუ მონასტრებში. საფუძველი ეყრება „ეკლესიებში ღვთისმსახურების რუმინიზაციას“, რომლის დევიზად აღებულ იქნა შემდეგი სიტყვები: „მე შირჩევნია ეკლესიებში ითქვას მხოლოდ ხუთიოდე სიტყვა იმ ენაზე, (რუმინულზე — ო. გ.) რომელიც ყველასათვის გასაგები იქნება, ვიდრე წარმოითქვას ოცი ათასი სიტყვა მსმენელთათვის გაუგებარ ენაზე (ბერძნულ ენაზე — ო. გ.)“.

ანთიმ ივერიელი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ღვთისმსახურება ქვეყანაში წარმოებულყო ვლახელი ხალხის მშობლიურ ენაზე — რუმინულ ენაზე და არა მასებისათვის გაუგებარ ბერძნულ ენაზე. არსებულ ვითარებაში რუმინულ ენაზე ღვთისმსახურების წარმოებას უდავოდ ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

1713—1715 წლებში ანთიმ ივერიელმა ბუქარესტში ააშენა „ყოვლად წმიდათა“ მონასტერი, ამ მონასტრისათვის მას დაუწერია წესდება, რომელიც შედგება შესავლისა და 32 თავისაგან.

„ყოვლად წმიდათა“ მონასტრის წესდების შედგენის დროს ანთიმ ივერიელი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა მონასტრის დამოუკიდებლობის საკითხს, სახელდობრ, ანთიმ ივერიელმა ბერძნულ ეკლესიისაგან დამოუკიდებლად გამოაცხადა „ყოვლად წმიდათა“ მო-

ბასტერი, ისევე როგორც რამდენიმე საუკუნით ადრე მეორე ქართველმა მოღვაწემ, ბიზანტიის იმპერიის დიდმა დომესტიკოსმა გრიგოლ ბაკურიანისძემ გამოიჩინა ბერძნული ეკლესიისაგან მის მიერ 1083 წელს ბულგარეთში დაარსებული „პეტრიწონის მონასტერი“.

გრიგოლ ბაკურიანისძის გადაწყვეტილება, გამოიჩინა ბერძნულ ეკლესიას აიხსნებოდა, ჯერ ერთი, იმ დაუცხრომელი ბრძოლით, რომელიც ბერძენ და ქართველ სასულიერო პირთა შორის წარმოებდა, როგორც ათონის, ისე შავი მთისა და იერუსალიმის მონასტრებში და, მეორეც, იმ გარემოებით, რომ ამ პერიოდში „ქართველებმა ეკლესიურ-კულტურულად და თან ეროვნულადაც კატეგორიულად დაუპირისპირეს თავისი თავი ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროს“.

ანთიმ ივერიელის გადაწყვეტილებაც — მოეპოვებინა „ყოვლად წმიდათა“ მონასტრისათვის დამოუკიდებლობა, ჩვენ უნდა განვიხილოთ, როგორც კერძო შემთხვევა იმ საერთო მიმდინარეობაში, რომელიც გააოხრებოდა რუმინული ეკლესიის ეროვნული იტერესების დაპირისპირებაში ბერძნულ სასულიერო სამყაროსთან.

ბიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში ანთიმ ივერიელი სულ უფრო მალა აღიოდა საეკლესიო იერარქიის კიბეზე სნაგოვლს მონასტრის წინამძღვარი, რიმნიკის ეპისკოპოსი და, ბოლოს, ვლახეთის მიტროპოლიტი), ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია მისი, როგორც მესტამბის მოღვაწეობისათვის. ანთიმ ივერიელის ინიციატივით ვლახეთში საფუძველი ეყრება და დროის სხვადასხვა მონაკვეთში მოქმედებას იწყებს სტამბები სნაგოვოში, რიმნიკში, ტირგოვიშტში, „ყოვლად წმიდათა მონასტერში“, სადაც წიგნები იბეჭდება რუმინულ, ბერძნულ, ძველ-სლავურ, არაბულ და თურქულ ენებზე. ანთიმ ივერიელმა აღზარდა და შეასწავლა მესტამბის ხელობა მრავალვლახელს. 26 წლის მანძილზე მისი უშუალო მონაწილეობით თუ მეტაღყურეობით ვლახეთში დაიბეჭდა 64 წიგნი; აქედან 30 წიგნი ბერძნულ ენაზე, 24 წიგნი რუმინულ ენაზე, 1 წიგნი ძველ სლავურ ენაზე, 3 წიგნი რუმინულ ძველ სლავურ ენებზე, 2 წიგნი ბერძნულ-არაბულ ენებზე და ერთი წიგნი რუმინულ-ბერძნულ-ძველ სლავურ ენებზე. აღნიშნული წიგნებიდან 4 წიგნი თვით ანთიმ ივერიელის მიერაა დაწერილი, 10 წიგნს თან დაურთო წინასიტყვაობა, ხუთი წიგნისათვის მან შეთხზა ლექსები, 6 წიგნი თარგმნა ბერძნულიდან.

ანთიმ ივერიელის მიერ დაბეჭდილი წიგნები (იგი თვითონვე ამზადებდა შრიფტს და წიგნის თავსამკებს და ბოლოსამკებს, გრავიურებს და სხვ.) ტექნიკურად ბრწყინვალედ არის შესრულებული და თამა-

მად შეიძლება დავაყენოთ იმდროინდელ ევროპის ქვეყნების სტამბეში დაბეჭდილ საუკეთესო ნიმუშების გვერდით.

ლილი წვლილი მიუძღვის ანთიმ-ივერიელს ვლახეთის ფარგლებს გარეთ სტამბების დაარსების საქმეში, სახელდობრ, სირიაში, ქ. პალაზში. არაბეთში პირველი არაბული სტამბის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით მთელ რიგ მკვლევართ გამოთქმული აქვთ მეტად თუ ნაკლებად დასაბუთებული შეხედულებები და ამ შეხედულებათა შორის არსებობს სხვაობა. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი დასკვნა შემდეგი იქნება.

ეიდრე ანტიოქიის პატრიარქი ათანასე ეწვეოდა ვლახეთს, არაბეთში არ არსებობდა ეროვნული სტამბა. ანთიმ ივერიელმა ათანასეს მოთხოვნით პირველმა დაბეჭდა ვლახეთში ბერძნულ-არაბულ ენაზე სალიტურგიო წიგნები. ათანასეს ვლახეთიდან სირიაში დაბრუნების შემდეგ საფუძველი ეყრება პირველ ეროვნულ არაბულ სტამბას, სადაც 1706 წელს დაიბეჭდა „დავითნი“, რომლის სატიტულო ფურცლის მეორე გვერდზე გამოსახულია ვლახეთის სამთავროს ღერბი. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ არაბეთში წიგნების ბეჭდვა გადმოინერგა ვლახეთიდან. ხოლო გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ ვლახეთში იმ პერიოდში მთელი ბეჭდვითი საქმიანობა დაკავშირებული იყო ერთადერთ სახელთან — ანთიმ ივერიელის სახელთან, ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პალაზის პირველი არაბული სტამბის დაარსება და ამ სტამბაში დაბეჭდილი არაბული წიგნების შრიფტის დამზადება უშუალოდ ანთიმ ივერიელის მონაწილეობით უნდა განხორციელებულიყო.

3. განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ანთიმ ივერიელს პირველი ქართული ეროვნული სტამბის დაარსების საქმეში. ვახტანგ VI-ის დროინდელი ქართლის (1703—1724 წწ.) კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში გარკვეული პროგრესული მოძრაობა შეინიშნება. ამ მოძრაობის ნაყოფია პირველი ქართული ეროვნული სტამბაც, როგორც ერთ-ერთი მუხლი ვახტანგისა და მისი დროინდელი ქართველების კულტურული საქმიანობის.

გავრცელებული შეხედულება, თითქოს საქართველოში პირველი სტამბის მოწყობა განხორციელებული იყო აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებთან პირადი ურთიერთობისა და მოლაპარაკების შედეგად, ჩვენ არ მიგვაჩნია სარწმუნოდ. ვინაიდან იმ ხანებში არც ერთ ბერძნულ საპატრიარქოში (იერუსალიმისა, კონსტანტინოპოლისა თუ სხვ.) არ არსებობდა სტამბები. უფრო მეტიც, როდესაც საქართველოში უკვე ოთხი წლის მანძილზე მოქმედებდა

სტამბა, თვით იერუსალიმის პატრიარქი ქრიზანთე 1712 წელს დახმარებას თხოვს ანთიმ ივერიელს — დააარსოს საპატრიარქოში სტამბა. აქედან გამომდინარე გასაგები ხდება, თუ რა რეალური დახმარების გაწევა შეეძლოთ მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურთ ქართველებისათვის სტამბის ორგანიზაციის საქმეში.

მთელი რიგი დოკუმენტური წყაროები პირველი ქართული სტამბის დაარსებას აკავშირებენ ვლახეთთან. საკითხი იმის შესახებ, რატომ სწორედ ვლახეთიდან მოიპოვა ვახტანგ VI-ემ სტამბა და არა მოსკოვიდან, ან სხვა რომელიმე ქალაქიდან, მკვლევართა საკამათო საგანს წარმოადგენს. საფიქრებელია, რომ ამ დროს საქართველოში უკვე ჰქონდათ ცნობები ვლახეთში მცხოვრებ სახელგანთქმული მესტამბის — ანთიმ ივერიელის შესახებ, რომელიც არა მხოლოდ შესძლებდა, არამედ მოინდომებდა კიდევ საჭირო დახმარების გაწევას სტამბის გასამართავად.

ჩვენი ვარაუდით, ის კონკრეტული პიროვნება (გამორიცხული არაა, აგრეთვე, ქართველი და უცხოელი ვაჭრები), რომლის მეშვეობითაც ცნობილი გახდა ვახტანგ VI-სათვის ანთიმ ივერიელის სასტამბო მოლაპარაკება, უნდა ყოფილიყო ვახტანგ VI-ის ძმა — დომენტი.

პირდაპირი საბუთი ვახტანგ VI-სა და ანთიმ ივერიელს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ ჯერჯერობით არ არსებობს. მაგრამ ანთიმ ივერიელს რომ უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული საქართველოში პირველი ეროვნული სტამბის დაარსების საქმეში, ამაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტი: ქართველებმა, 1709 წელს თბილისში დაბეჭდილი პირველი წიგნი, „სახარება“, გაუფზავნეს ანთიმ ივერიელს ვლახეთში.

რატომ არ მოიხსენიება ანთიმ ივერიელის სახელი თბილისის სტამბაში დაბეჭდილ წიგნებში, რაც მკვლევართა გაოცებას იწვევს? (აქვე უნდა ათქვას, რომ ანთიმ ივერიელის სახელი არაა მოხსენიებული, აგრეთვე, პალატიში გამოცემულ წიგნებშიც, მიუხედავად იმისა, რომ მისი ღვაწლი, პირველი რუსული ეროვნული სტამბის დაარსების საქმეში, ექვს არ იწვევს. ჩვენ საჭიროდ ვცანით გავცნობოდით არა მხოლოდ ვახტანგ VI-ის დროს თბილისში გამოცემულ წიგნებს, არამედ ამ ერაოდში ვლახეთში დაბეჭდილ წიგნებსაც, რათა დაგვედგინა: რომელი პიროვნებები მოიხსენიებოდნენ აღნიშნულ წიგნებში, რა შემთხვევაში და რა პრინციპით. თბილისში და ვლახეთში დაბეჭდილი წიგნების შესწავლამ გვიჩვენა, რომ მათში მოიხსენიებიან ქვეყნის გამგებელნი, წიგნთა ავტორები, რედაქტორები, კორექტორები და მბეჭდავები. ანთიმ ივერიელი არ ყოფილა ქვეყნის გამგებელი,

მას არ დაუბეჭდავს თავისი ხელით არც პალატში და არც თბილისში არცერთი წიგნი. არ ყოფილა მათი არც ავტორი და არც რედაქტორი. ამიტომაც არ ჩანს აქ აღნიშნულ გამოცემებში მისი სახელი. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა შემდეგი ფაქტი. ანთიმ ივერიელი რომნიკში (ვლახეთი) ჩასვლის შემდეგ აარსებს სტამბას — პირველი ქალაქის ისტორიაში. მართალია, რომნიკში გამოცემულ წიგნებში მოხსენიებულია ანთიმ ივერიელი: სახელი, მაგრამ მოხსენიებულია მხოლოდ როგორც ბეჭდავის და არა როგორც რომნიკის სტამბის ორგანიზატორის.

